ლადო ჯაფარიძე

•

მოგონებები
ჩანაწერები

„ნაკადული“
თბილისი
2004

ჟაკ (УДК) 894,631 – (4)
ჯ 272

პედაგოგის, მთარგმნელის, მხატვრისა და საზოგადო მოღვაწის – ლადო (ვლადიმერ) მალაქიას-ძე ჯაფარიძის (1887-1981) წინამდებარე წიგნში წარმოდგენილია არაერთი დიდმნიშვნელოვანი მოგონება და ჩანაწერი XIX და XX საუკუნეების გამოჩენილ ქართველ და რუს მწერალთა, ხელოვნებისა და საზოგადო მოღვაწეთა შესახებ.

კრებული შეადგინეს
დავით მაჭავარიანმა
შოთა ხოდაშნელმა

რედაქტორები
პროფ. *სოლომონ ხუციშვილი*

ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი *ბორის დარჩია*

ISBN 999 28-47-190
© „ნაკადული“ 2004 წ.

შემდგენლისაგან

ლადო ჯაფარიძე გახლდათ ჩემი ბაბუა (დედის მამა). მან შოთა ხოდაშნელთან ერთად გამოსაცემად მოამზადა ამ წიგნის ერთი ნაწილი - „მემედ ბეგის ამბამდე" (რედაქტორი პროფ. სოლომონ ხუციშვილი). გარდაცვალების შემდეგ მისი არქივის შესწავლის შედეგად გამოვლინდა სხვა მასალებიც.

კრებული წაიკითხა და რედაქტირება გაუკეთა მეცნიერ-ფილოლოგმა ბორის დარჩიამ.

მადლობას ვუხდი მწერალს - რეზი თვარაძეს საინტერესო შენიშვნებისათვის; რამაზ კობალაძეს, ზურაბ ჯაფარიძეს, რამაზ ჯაფარიძესა და ნინო სვანიძეს საგულისხმო დახმარებისათვის.

დავით მაჭავარიანი

ლადო ჯაფარიძე

ვლადიმერ ჯაფარიძე – პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე – დაიბადა ცნობილი პედაგოგისა და თავისი ხალხის ჭეშმარიტი მოამაგის – მალაქია ჯაფარიძის ოჯახში 1887 წლის 27 მაისს, მთიანი რაჭის სოფელ ღარში. მალაქიას მის გარდა კიდევ 5 ვაჟი ჰყავდა. ყველაზე უმცროსი იყო საქვეყნოდ ცნობილი მხატვარი უჩა ჯაფარიძე.

ვლადიმერი ამქვეყნად თავის ტყუპისცალ ძმასთან – გრიგოლთან – ერთად მოევლინა. ტყუპები განსაცვიფრებლად არა მარტო გარეგნულად ჰგავდნენ ერთიმეორეს, არამედ ხასიათითაც.

რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის დროს აკაკისაც უნახავს ეს ყმაწვილები და მათით მოხიბლულს უთქვამს: *„რა უჭირს იმ ერს, რომელსაც ასეთი ახალგაზრდობა ეზრდებაო."*

საზოგადოებრივ საქმიანობას ძმებმა ადრე მოჰკიდეს ხელი. ისინი ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს დგამდნენ პატარ-პატარა ვოდევილებს მეზობლებისთვის, 1906 წელს კი ონშიც მოაწყვეს წარმოდგენა, შემდეგ ქუთაისის გაზეთ „კოლხიდას" რედაქტორის მიხეილ ჯაფარიძის რეჟისორობით დადგეს აკაკის „პატარა კახი".

მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტობის წლები კიდევ უფრო ნაყოფიერი გამოდგა ძმების ეროვნული მოღვაწეობისათვის. ლადო და გრიშა აქტიურად ებმებიან სტუდენტურ ცხოვრებაში, კერძოდ, ქართული სათვისტომოს – ე. წ. „ზემლიაჩესტვოს" – საქმიანობაში. ცდილობენ შეძლებისდაგვარად ქართული კულტურა და ლიტერატურა გააცნონ რუსეთის ფართო წრეებს.

ილია ჭავჭავაძის ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ ძმებმა ხელი მოჰკიდეს ილიას უკვდავი პროზაული ნაწარმოებების რუსულად თარგმნას. მას მალე მოჰყვა ალ. ყაზბეგის ე. წ. მცირე მოთხრობები („Елисо" и другие рассказы), აკაკის „ბაშიაჩუკი" და სხვა. თარგმანები გამომცემლობა „პოლზაში" გამოიცა.

ძმებს დიდი ლტოლვა ჰქონდათ სახვითი ხელოვნებისადმი. 1922 წელს, როდესაც საქართველოს სამხატვრო აკადემია გაიხსნა, ლადო ჯაფარიძემ

სწავლა გრაფიკის ფაკულტეტზე დაიწყო. მასთან ერთად სწავლობდნენ: ვახტანგ კოტეტიშვილი (მისი ქალიშვილის ნათლია), ნიკოლოზ კანდელაკი, ელენე ახვლედიანი, ირაკლი თოიძე და სხვა ცნობილი მხატვრები. ლადომ, მართალია, გარემოებათა გამო აკადემია მიატოვა, მაგრამ მხატვრის ფუნჯი და ფანქარი არასოდეს გადაუდია გვერდზე.

სტუდენტობის დროს ლადომ და გრიშამ შექმნეს იმ დროს მოსკოვში მცხოვრები ჩვენი სახელოვანი კომპოზიტორის დიმიტრი არაყიშვილის პორტრეტი. ყველაზე მეტად კი მათი „შოთა რუსთაველის პორტრეტი“ გახმაურდა. ძმებმა გენიოსი პოეტი ავთანდილის მსგავსი ჭაბუკის სახით წარმოადგინეს, სრულიად ახალი ინტერპრეტაციით. ეს პორტრეტი ხშირად იბეჭდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში.

ტყუპების მხატვრობის ძირითადი თემა იყო ჩვენი დიდი ეროვნული მოღვაწეების პორტრეტები: ილია, აკაკი, ყაზბეგი, გოგებაშვილი და სხვ.

ერთად, ერთსულოვნად ეწეოდნენ ცხოვრების ჭაპანს. ისინი მხოლოდ სიკვდილმა დააშორა – გრიგოლი ადრე გარდაიცვალა – 1953 წლის შემოდგომაზე 66 წლისა, ვლადიმერი კი 1981 წლის 8 ნოემბერს, 94 წლისა.

სიკვდილიც რაღაც განსაკუთრებული ჰქონდა: ბატონი ლადო დიდი მოყვარული და უერთგულესი გულშემატკივარი იყო ყველაფერი ქართულისა. ის აღფრთოვანებით შეხვდა 1981 წლის 13 მაისს თბილისის „დინამოს“ მიერ ფეხბურთში ევროპის თასების მფლობელთა თასის მოპოვებას. ილხენდა, სიხარულს და კმაყოფილებას ვერ მალავდა... ამაყად დააბიჯებდა - გულ-სრული, ბედნიერი - სახეზე შუქ მოფენილი და ხვალინდელ საქართველოს ფიქრში ეფერებოდა. იმავე 1981 წლის 8 ნოემბერს თბილისის „დინამო“ მოსკოვის რომელიღაც გუნდს ხვდებოდა, ბატონი ლადო თამაშს ტელევიზიით ადევნებდა თვალს. პირველ ტაიმში ჩვენი გუნდი 0:1 აგებდა, ტაიმის მიწურულს ჩვენმა გუნდმა თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა ვერ გამოიყენა. ბატონმა ლადომ თავი ცუდად იგრძნო და განერვიულებული, ტაიმებს შორის შესვენებისას აღესრულა, თამაში კი „დინამოს“ გამარჯვებით დამთავრდა.

როგორც ხალხური ლექსი ამბობს:

„არ მოკვდა. ღმერთთან წავიდა, ძმა არი წილნაყარიო.“ ჭეშმარიტად!

„არ არის მკვდარი, ვინც მოკვდეს და ხალხს შესწიროს დღენია

მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ სახელი არ დარჩენია!!.“

ლადო ჯაფარიძე – ფრიად საინტერესო პიროვნება, აქტიურად იყო ჩაბმული ყველანაირ საზოგადოებრივ საქმიანობაში, რაც კი სამშობლოს კეთილდღეობას წაადგებოდა. ამის დასტურია მისი მოგონებების კრებულიც, სადაც მკითხველი უფრო ფართოდ გაეცნობა მის ღვაწლს, ცხოვრებას და შემოქმედებით საქმიანობას.

შოთა ხოდაშნელი

გოგლა ლეონიძე

დღეს 1963 წლის 23 აპრილია. მივყვები რუსთაველის ძეგლიდან ვაკისაკენ მიმავალ ქუჩას და აი, ლიტერატურის ინსტიტუტის წინ გოგლა ლეონიძეს ვხედავ; თავის მხრივ ისიც მამჩნევს, მხიარულად მესალმება და, მოკითხვის შემდეგ, საყვედურით მომმართავს:

- რაო, ლადო, ისევ დამივიწყე? რატომ აღარ მნახულობ?

- შენმა რჩევა დარიგებამ, მოგონებებზე ვიმუშაო, ძალიან დამაფიქრა; დიდხანს ვყოყმანობდი და, აი, ამას წინათ გავბედე და კალამს ხელი მოვკიდე, მოვხაზე კიდეც რაღაც რაღაცები, გავაკეთე ჩანაწერები. ძალიან გამიჭირდა, მაგრამ თანდათან შევდივარ როლში...

- მოგონებების წერა დიდებული საქმეა, მან ახალი ცნობები უნდა მიაწოდოს მკითხველს და არა ისე, როგორც ერთმა ჩვენმა ნაცნობმა გააკეთა. შენი არ იყოს, მასაც ვთხოვე აკაკი წერეთელზე მოგონებები დაეწერა. გავიდა ხანი, მოვიდა ის კაცი და, მოგონებათა მაგივრად, აკაკის შემოქმედების კრიტიკული განხილვა მომიტანა: აკაკის ლექსი ასეთი იყო და ისეთიო; მე კი მოგონებები მინდოდა. აკაკის შემოქმედებას მე იმაზე უკეთესად ვიცნობ, ის კი პოეტის პიროვნების მომსწრე იყო და სწორედ მოგონებები უნდა დაეწერა, მაგრამ არ გამოუვიდა... მოგონებაში უნდა აისახოს პიროვნების ყოფა და არა პოეზია. მერე გილიაროვსკის მიხსენებს, რომელსაც ძალიან ემარჯვებოდა ყოფით საკითხებზე წერა... ყოფაა მთავარი, ჩემო ლადო... მოიგონე, როგორ ცხოვრობდა მოსკოვში ქართველი სტუდენტობა, რას აკეთებდა, რა აწუხებდა და სხვა ამგვარი. განა ცოტა რამე გინახავს ცხოვრებაში?

- აკი გითხარი, რაღაც რაღაცები კიდეც მოვხაზე მეთქი, - ვეუბნები ძვირფას გოგლას და ღიმილ-ღიმილით ვშორდებით ერთმანეთს...

*

ეს იყო 1963 წლის 14 ივნისს. საჯარო ბიბლიოთეკის ქვედა დარბაზში, სადაც მეცნიერ-მუშაკები ფუსფუსებენ, ისევ შევხვდი გიორგი ლეონიძეს. იგი რომელიღაც ძველ გაზეთში ფიროსმანზე კითხულობდა წერილს; იქვე ახლოს იჯდა ოსი პოეტი და დრამატურგი ილია კავკაზაგი, იგივე კაჩმაზოვი.

ორთავეს ნახვამ დიდად გამახარა.

სამუშაოს რომ მოვრჩით, მე და გოგლას ერთად მოგვიხდა ბიბლიოთეკიდან გამოსვლა; შინ წასაყვანად გიორგისათვის მანქანით უნდა მოეკითხათ, მანქანა ჯერ არ ჩანდა და ჩვენც საკმაო დრო მოგვეცა სამუსაიფოდ.

დიდხანს ვიდექით საჯარო ბიბლიოთეკის კიბეებზე და ვსაუბრობდით, ვიხსენებდით ძველს, წარსულ ამბებს, ბარისას თუ მთისას, მავანსა და მავანს, ჩვენს პირველ შეხვედრას გაზეთ „საქართველოს“ რედაქციაში მოსკოვის ქუჩაზე, სადაც ჯერ კიდევ ახალგაზრდა პოეტმა დაიწყო მუშაობა და სადაც მე და გრიშა გავეცანით.

გოგლას მაშინ წვერ ულვაში არც კი ეტყობოდა, მთლად პირტიტველი იყო, ლამაზი და თვალტანადი. ამბობდნენ, დამწყები პოეტია, მაგრამ სიტყვას მშვენივრად იმორჩილებსო. მისი მაშინდელი პოეტობისა მე თითქმის არაფერი მახსოვს, სამაგიეროდ, დღემდე არ დამვიწყებია გოგლას თავაზიანი და მოკრძალებული ხასიათი და ერთ ერთი წერილი, გაზეთ „საქართველოში“ რომ

იყო გამოქვეყნებული გ. ლეონიძის ხელმოწერით. აბა, მაშინ რას ვიფიქრებდი, რომ ის გ. ლეონიძე დიდი გოგლა გახდებოდა.

სხვასთან ერთად გავიხსენეთ ჩემი და გრიშას ერთობლივი ნამუშევარი - „რუსთაველის პორტრეტი“, რომელიც სწორედ იმხანად იყო დაბეჭდილი გაზეთ „საქართველოს“ სურათებიან დამატებაში.

- მეც მახსოვს, შენ და გრიშა სად და როდის გაგიცანით. ერთხელ პროსპექტზე დაგინახეთ, სულ ერთნაირად გეცვათ და ისედაც ალი კვალი იყავით ერთმანეთისა. ვიღაცამ მითხრა: ძმები ჯაფარიძეები არიან, „რუსთაველის“ პორტრეტი რომ დახატეს; ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობიც“ მაგათ თარგმნეს რუსულად და მოსკოვში ცალკე წიგნადაც გამოსცესო... თქვენ სახელოვან მოღვაწეებად იყავით ცნობილი... და მერე რატომ მიუშვით ხელი ყველაფერს?.. აღარც თარგმნით, აღარც ხატავთ... გარდასულზე მოგონებების წერას რაღა უდგას წინ... ამას წინათაც გითხარი, ვიცი, წერა შეგიძლია; მადლობა ღმერთს, მოსაგონარი ბევრი გაქვს. შენ და გრიშა ხომ მოსკოვის შუაგულში ტრიალებდით. ჯერ მარტო შენს ტყუპ ძმაზე რომ დაწერო რაიმე, საწიგნე მასალად ისიც გეყოფა! ახლა სხვებზე?! ოღონდ შენ რამე დაწერე და მისი გამოცემა ჩემზედ იყოს, - დამაიმედა გოგლამ...

აი, სწორედ მაშინ გადავწყვიტე, კალამი ამეღო და წერას შევდგომოდი. რამდენი ამბის მომსწრე ვიყავი და მთელი ეს ცოდნა, გამოცდილება, თავგადასავალი საფლავში რატომ უნდა წამეღო? ამას წინათ დავიწყე კიდეც რაღაცების წერა, მაგრამ გული ვერ დავუდე.

გოგლას მანქანა იგვიანებდა, არც ჩვენ გველეოდა სასაუბრო და ამ ბაასში ნაცნობმაც ბევრმა აგვიარ-ჩაგვიარა. მათ შორის იყო - მაშინ თბილისის მასწავლებელთა სახლის ლიტერატურული წრის ხელმძღვანელი, კარგი კალმოსანი იური ჩიკვაიძე. იური ამ წრეს სავლე აბულაძის შემდეგ ჩაუდგა სათავეში და მეც ხშირად მიხდებოდა მასთან მუშაობა.

იურიც ჩაერთო ჩვენს საუბარში, უფრო კი ყურს გვიგდებდა. მოხიბლული იყო გოგლას მჭევრმეტყველი, ლამაზი ქართულით. თავად იურიც ჩინებულად ფლობდა ქართულ ენას, აპირებდა საკანდიდატო დისერტაციის დაცვას ვაჟა ფშაველას საბავშვო ნაწარმოებებზე და ვთხოვე, არ გამოეპარებინა ჩემთვის დისერტაციის დაცვის დღე... მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ბედნიერ დღეს ვერ მოვესწარით, - იური ავტოკატასტროფას შეეწირა...

.

გოგლას რჩევა დარიგებამ ძალიან დამაფიქრა. მართლაც, რატომ არაფერს ვწერ ან რატომ არ ვხატავ? დაე, ნუ დაიბეჭდება, დაე, უჯრაში ეყაროს, შინაურები ხომ მაინც წაიკითხავენ და რაღაც ახალს გაიგებენ. გოგლა უკვე მერამდენედ მირჩევს წერას, მე კი ყურად არ ვიღებ მის თხოვნას, ამიერიდან კი...

მაშ, ასე, გადაწყდა: ვიწყებ მოგონებებზე მუშაობას!... ის ორიოდე მოგონება, რაც დავიწყე, დასაწყისი იყოს ჩემი ნამდვილი, დაუღალავი შემოქმედებითი ლიტერატურული მუშაობისა.

იმ საღამოს სახლში გოგლას მანქანით მივედი...

.

1964 წლის 24 მაისი იყო. რუსთაველის ძეგლს გავცდი, ჯავახიშვილის ქუჩის თავდაღმართს მივუახლოვდი და ის იყო, გაბაშვილის ქუჩისაკენ უნდა

გადამეხვია, სადაც მე ვცხოვრობ, რომ მოულოდნელად ჯავახიშვილის ქუჩაზე მომავალ მანქანას მოვკარი თვალი და ისიც შევამჩნიე, რომ სარკმლიდან ვიღაც მამაკაცმა დამიქნია ხელი. კარგად დავაკვირდი და გოგლა ლეონიძე ვიცანი. იგი თავის მანქანაში იჯდა და მეც მეპატიჟებოდა. კარები გამოვაღე და სავარძელზე მოვთავსდი. გოგლამ მის გვერდით მყოფ ქალზე მიმითითა:

- ეს ბალმონტის ქალიშვილია, ლადო, იცნობდეთ ერთმანეთს. ჩვენ კავშირგაბმულობის სახლში გვაქვს საქმე და ცოტა გვეჩქარება, მაგრამ მაინც მინდა გთხოვო რაიმე მოგონების დაწერა ბალმონტზე. ვიცი, შენ მას შეხვედრიხარ თბილისში. დაგვიწერე ყველაფერი - სად და რა პირობებში შეხვდი; მოკლედ, რაც გაგახსენდეს, გულში არაფერი დაიტოვო...

- ბევრი მაინცა და მაინც არაფერი მახსოვს, ბალმონტს პირველად მე და ჩემი ძმა გრიგოლ დიასამიძის კაბინეტში შევხვდით, შემდეგ კი ქართულ კლუბში, მაგრამ უშუალოდ რომელ კაბინეტში, ეს უკვე აღარ მახსოვს. ის მაშინ იქ კითხულობდა თავის თარგმანს „ვიტე“ დან...

- მე, ალბათ, ისევ მალე ჩამოვალ თბილისში და იმედი მაქვს, რაც გაგახსენდებათ, იმას მაინც დამიწერთ მამაჩემზე, - მთხოვა ბალმონტის ქალიშვილმა.

თხოვნაზე უარი არ მითქვამს... ამ პირობით დავშორდით ერთმანეთს და იმედი მაქვს, ჩემს დანაპირებს პირნათლად შევასრულებ.

ჩემი მეგობრები და ხელისშემწყობნი,

ჩემი „მოგონებების“ წერის შეფები!

10. VIII. 78. უკვე თვეზე მეტია აღარაფერი დამიწერია, დასაწერი კი ბევრი მაქვს, уйма! ხალისი აღარა მაქვს და იმიტომ. იმის მაგიერ, რომ 90 წელს გადაცილებული ადამიანი გაამხნევონ და წაახალისონ, პირიქით, ხალისს მიკარგავენ, თითქოს თავის გასართობად გამოგონილ რამეებს ვწერდე. აი, თუნდაც, ჩემი წერილი ვახუშტი ბაგრატიონზე! შარშან (1977) ნოემბერში გავაგზავნე „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში და ბეჭდავენ თუ არა, დღემდე პასუხიც კი არ მაღირსეს. არადა, წერილი საინტერესოა ჩვენი კულტურის ისტორიის თვალსაზრისით. ასევე, ჩემი მოგონება ი. გრიშაშვილზე უკვე ორი წელიწადია „მნათობში“ დევს, და სხვაც მრავალი.

ყველაფერი, რაც დაბეჭდილი მაქვს, სულ შოთას დამსახურებაა და თუ მართლა ოდესმე ჩემი მოგონებები ვინმეს დააინტერესებს და გამოადგება, მე კი არა, შოთა ხოდაშნელს უნდა უმადლოდეს.

თვით ის პირველი ჩემი მოგონება („ლ. ტოლსტოის“ შემდეგ), რომელიც „ცისკარში“ დაიბეჭდა 1973 წელს „მაიაკოვსკების ოჯახზე“, - შოთამ დამაძალა. წერილი მეტად საინტერესოა, რადგან მე და გრიშა ახლოს ვიყავით იმ ოჯახთან და ბევრი რამეც ვიცოდით მათი. „Руки опускаются“ – რომ იტყვიან, ისეთ გუნებაზე ვდგები ხოლმე, მაგრამ შოთა არ მეშვება, მარწმუნებს, „მოგონებებზე“ უკეთესს რას დაწერო.

შოთამ ასე დამაწერინა მოგონება „ცისფერყანწელებზე“. გადამეკიდა, დაწერეთ უთუოდო, რადგან მათზე ამდენი რამ ვის ეცოდინებაო. სხვა რომ არაფერი, ამ ამბების მომსწრე ცოცხალი თითქმის აღარავინაა და ა. შ. დავწერე თუ არა, მაშინვე ჟურნალ „კრიტიკას“ წაუღო. იქ ძალიან მოსწონებოდათ და პირველსავე თავისუფალ ნომერში დაბეჭდეს.

დამაწერინა აგრეთვე სარკიზოვ სერაზინთან ჩემი მეგობრობის ამბავი და ჩემი დიდი როლის შესახებ თბილისის საჯარო ბიბლიოთეკისათვის მისი უნიკალური ბუკინისტური წიგნების გამოგზავნაში. „ესენი სარკიზოვმა კი არა, თქვენ გამოუგზავნეთო“ და, მართლაც, მე რომ არა, სარკიზოვი თბილისის ბიბლიოთეკას წიგნებს აღარ გამოუგზავნიდა, რადგან ერთხელ უკვე გაეგზავნა, როცა წიგნების განაწილება დაიწყო სხვადასხვა ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებში. მაგრამ ამაზე მოგონებაშიც მაქვს მოთხრობილი და აქ აღარ გავიმეორებ.

შოთას დაჟინებით დაიწერა ჩემი დროის მოსკოვზე, სტუდენტურ „ზემლიაჩესტვოზე“, ი. გრიშაშვილზე და სხვა. რომ დავწერდი, ის მაშინვე მანქანაზე გადააბეჭდვინებდა და მიჰქონდა რედაქციაში.

დიდი ენერგიის კაცია შოთა. მუშაობა არ ეზარება. გორკის სახელობის კლუბის ლიტერატურული წრის ხელმძღვანელია და განიზრახა, ჩემს 90ე წლისთავთან დაკავშირებით კლუბში შეხვედრა მოეწყო. რამდენი შრომა გასწია მისი ორგანიზებისათვის და საქმე გამარჯვებით დააგვირგვინა. ვეხვეწებოდი, – მომეშვით, არც ღირსი ვარ და არც სურვილი მაქვს მეთქი, მაგრამ ვინ მოგეშვა?! მართლაც, ჩინებულად ჩაატარა, – „На славу“. იშვიათი შეხვედრა გამოვიდა. ფოტოალბომიც კარგი გააკეთა გრიშა ჟორჟოლიანმა, რომელიც მისი ნატიფი ხელოვნების სხვა ნამუშევრებთან ერთად (უჩას იუბილე!), უეჭველია, საუკუნოდ დარჩება ჩვენს ოჯახში.

ერთი სიტყვით, დიდად დავალებული ვარ ამ კეთილშობილი ადამიანისაგან და მის ამაგს ვერ გადავიხდი, თუმცა, მას რომ ჰკითხო, ჩემი მოგონებები „ღირსია იმისა“, რომ მისთვის ენერგია არ დაიშუროს ადამიანმა.

დიდად დავალებული ვარ აგრეთვე ილია ჭავჭავაძის სახელობის ლიტერატურული გაერთიანების თავმჯდომარის იოსებ პავლიაშვილისაგან, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ ჩემი (და გრიშას) 85 წლისთავი ასე ბრწყინვალედ ჩაეტარებინა. იშვიათი ადამიანია, უკეთილშობილესი სულის პატრონი. ასევე პატიოსანი და საყვარელი ადამიანია მისი უახლოესი მეგობარი და „გაერთიანების“ ერთ ერთი დედაბოძი პოეტი ილია კავკაზაგი, ოსი პოეტი - ჩვენი ძვირფასი ჯავახასი და გიგოს დისწული.

გულწრფელი სიყვარულის გამო დავალებული ვარ აგრეთვე ჩემი ძვირფასი „ორი აიაქსისაგან“, ესენი არიან ტყუპი ძმები - ტარიელ და ავთანდილ ვართაგავები, შვილიშვილები ცნობილი ლიტერატორისა და კრიტიკოსის იპოლიტე ვართაგავასი. იშვიათი ქართველი ახალგაზრდები არიან - მშრომელები, პატრიოტები; ჟურნალისტები, პოეტები - საზოგადოებისათვის სასარგებლო ახალგაზრდები.

მცირე მოგონება ონის სკოლასა და მის პედაგოგებზე

მახსენდება ჩემი მოწაფეობის ხანა. ეს იყო გასული საუკუნის 90 იანი წლები „ონის უნივერსიტეტში“, როგორც ხუმრობით უწოდებდნენ ხოლმე მაშინ ორკლასიან სამაზრო სასწავლებელს, რომელიც ერთადერთი იყო მთელს მაშინდელ რაჭაში.

ხალხი მაშინაც დიდი გულმოდგინებით მიისწრაფვოდა განათლებისაკენ. ორკლასიანი სასწავლებლის თეთრად მოკიაფე ქვითკირის ორსართულიანი შენობა მაგნიტივით იზიდავდა მრავალ რაჭველ ბავშვს, როგორც წინსვლის საწინდარი.

დღეს, როდესაც ამ სკოლაში აღზრდილ ჩემს თანაკლასელებს შევხვდები ხოლმე, მადლიერების გრძნობით ვიგონებთ მას და ჩვენს დაუვიწყარ მასწავლებლებს: მამაჩემს - მალაქია ჯაფარიძეს, ემელიან თუთბერიძეს, ნესტორ მინდელს, მელიტონ გობეჩიასა და სხვა მრავალს, რომლებმაც, შესანიშნავ ცოდნასთან ერთად, ღრმად ჩაგვინერგეს კაცური კაცობისა და მშობლიური ქვეყნის უანგარო სიყვარულის უმაღლესი გრძნობები.

სკოლის გამგედ მამაჩემი მუშაობდა, რომელიც იმ დროის კვალობაზე საჭირო და აუცილებელი ცოდნით იყო აღჭურვილი: დამთავრებული ჰქონდა თბილისის „ამიერკავკასიის სამასწავლებლო ინსტიტუტი“.

მამაჩემის ღვაწლი განათლების დარგში არც ფართო საზოგადოებას გამორჩენია მხედველობიდან. ასე მაგალითად, 1916 წელს გაზეთმა „სახალხო საქმემ“ ცალკე წერილი მიუძღვნა მამაჩემის პედაგოგიური საქმიანობის 35-ე წლისთავს. ასევე თბილად მოიხსენიეს მისი ღვაწლი თბილისის გაზეთებმა 1924 წელს, როცა რაჭის მაზრის ხელისუფლებამ ზეიმით აღნიშნა მალაქია ჯაფარიძის პედაგოგიური მოღვაწეობის 45-ე წლისთავი, ამასთან დაკავშირებით მას იუბილე გადაუხადეს.

აი, სწორედ ამ სასწავლებელში მოღვაწე აღმზრდელთა ნიჭსა და მაღალ კვალიფიკაციას უნდა ვუმადლოდეთ იმ ცოდნასა და ერუდიციას, რაც მათმა ნამოწაფარებმა ცხოვრების გზაზე გამოვავლინეთ.

ამ მასწავლებელთაგან, ცხადია, ყველას ერთნაირი ცოდნა და აღმზრდელობითი უნარი არ გააჩნდა, თუმცა, მთელი მონდომებით იღვწოდნენ და მიზანსაც სასიკეთოს აღწევდნენ.

ამიტომ ჩემს ადამიანურ მოვალეობად მივიჩნიე, მცირე მოგონება დამეწერა მათ შესახებ და ამით მშობლიური კუთხის ისტორიისათვის ორიოდე ფურცელი შემემატებინა.

დაე, ეს იყოს იმ ღირსეულ მასწავლებელთა მიმართ გამოთქმული სამადლობელი, რომლებიც კარგა ხანია წასულან ამ წუთისოფლიდან, მაგრამ მათი ღვაწლის გამონაშუქი დღესაც გადადის თაობიდან თაობაში.

ჩვენ ვალდებულნი ვართ, გვახსოვდეს ისინი, ვინაიდან, ილია ჭავჭავაძისა არ იყოს, „ვინც ორი მარცვალი მოიყვანა იქ, საცა მანამდე მარტო ერთი მარცვალი მოდიოდა, იგი ერთს უდიდეს სამსახურს უწევს კაცობრიობას“.

მოსკოვი ჩემი დროისა. უნივერსიტეტი

როგორც თითქმის ყოველ ხანდაზმულს, მეც გარდასულ დღეთათვის გონების თვალის გადავლება მჩვევია.

- ვაჰ, დრონი, დრონი! – ვიტყვით ხოლმე დანანებით... რადგან სწორედ მან შვა ეს ცხოვრება, რომელიც თავისთავად „არის მშობელი მომავალისა“.

არ დამავიწყდება ის ბედნიერი წუთები, როცა ქუთაისის მატარებელი მეხუთე დილას მოსკოვს მიუახლოვდა. ეს იყო 1906 წლის აგვისტოს დამლევი. მომავალი სტუდენტები გულის ფანცქალით ველოდით ქალაქის გამოჩენას. და, როგორც კი ვიღაცამ მოსკოვს თვალი ჰკიდა და ხმამაღლა წარმოთქვა მისი სახელი, ყველანი მატარებლის სარკმლებს მივაწყდით.

ადრიანი დილა იყო და მზის პირველი სხივები უამრავი ეკლესიის გუმბათებზე ირეკლებოდა. პირველ რიგში კი მათ შორის უმაღლესის – მაცხოვრის ეკლესიის ოქროთი მოვარაყებულ სახურავზე.

ვაგზალზე აუარებელი კომივოიაჟორი შემოგვესია; თავიანთ სასტუმროებში წაყვანას გვთავაზობდნენ, თან ლამაზად დაბეჭდილ რეკლამის ფურცლებს გვაჩეჩებდნენ ხელში. ბოლოს ერთმა მათგანმა ჩვენს ჩემოდნებს წაავლო ხელი და გაგვიძღვა გარეთ, სადაც მისივე სასტუმროს კარეტა ელოდა. შიგ ბატონებივით ჩავსხედით და მივედით სასტუმროში, რომელიც ლუბიანკას მოედანზე ფასადით გადმოჭიმულიყო. სასტუმრომ თავისი სისუფთავით და კოხტა ნომრებით კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ნომრები საკმაოდ ძვირი იყო. ორი ადამიანი – ე. ი. მე და გრიგოლი, რომელმაც ჩემთან ერთად იმ წელს ქუთაისის რეალური სასწავლებელი დაამთავრა, ერთ ნომერში დღე ღამის განმავლობაში 80 კაპიკს ვიხდიდით.

იმავე დღეს ორთავენი მოსკოვის უნივერსიტეტში წავედით, რათა იქ ჩვენი ჩარიცხვის ამბავი გაგვეგო.

უნივერსიტეტის სასწავლო ნაწილი იმ დროს მოხოვაიას ქუჩის ერთ ძველ შენობაში იყო მოთავსებული. მოკრძალებით შევყურებდით მრავალი ამბისა და არაერთი გამოჩენილი პიროვნების მომსწრე შენობას, მის სვეტებს, გვხიბლავდა მისი ხუროთმოძღვრება; დიდი მოწიწებით ავდიოდით მის კიბეებზე, რომელზედაც ცოდნის წყურვილით ანთებულ არაერთ ახალგაზრდას აევლო ჩვენზე თითქმის ორი ასეული წლით ადრე. თითქოს მათ შორის ვხედავდით საყვარელ ადამიანებს: გრიბოედოვსა თუ ლერმონტოვს, გონჩაროვსა თუ ბელინსკის, ოგარიოვსა თუ გერცენს, პიროგოვსა თუ ბოტკინს და ამ შენობაში აღზრდილ სხვა დიდ განმანათლებლებს, რუსული კულტურის დიდ მაშუქებელთ.

- ჩვენც ხომ ამ წმინდა სავანეს მოვაშურეთ, - ვეუბნებოდით ერთმანეთს მე და გრიშა, - და ვინ იცის, რაოდენ სულიერ საზრდოს გვიწილადებს.

ამას განსაკუთრებული გრძნობით განიცდიდა პოეტურად განწყობილი გრიგოლი და მდუმარედ მისჩერებოდა ძველებურ თაღებს და მის სიდიადეში თითქმის გარდასული დროის სუნთქვა ესმოდა.

ჩვენი გვარები უნივერსიტეტში ჩარიცხულ სტუდენტთა საერთო სიაში ამოვიკითხეთ, ეს დიდი ბედნიერება იყო. სასტუმროში გახარებულები დავბრუნდით... ჩვენი სიხარული იმითაც იყო გაორკეცებული, რომ იმავე

შენობის მრგვალ სააქტო დარბაზში, უნივერსიტეტის დამაარსებელთა შორის, ვახუშტი ბაგრატიონის სახელიც ამოვიკითხეთ.

მოსკოვში მაშინ თითქმის მარტონი ვიყავით და იმდენად შეგვაწუხა ამ გარემოებამ, რომ ქალაქის დატოვება და ჩვენი საბუთების ხარკოვში გადატანაც კი გადავწყვიტეთ, სადაც დიდძალი ნაცნობი სტუდენტი გვეგულებოდა. მაგრამ, ჩვენდა იღბლად, ბოლოს ნაცნობებიც გამოჩდნენ და მოსკოვიდან წასვლაზე ფიქრიც გაგვიქრა.

ესენი იყვნენ ჩვენი ქუთაისელი მეზობლების მაიაკოვსკების ბავშვები - და ძმა ოლია და ვალოდია; მოსკოვის სამხატვრო სასწავლებლის სტუდენტი, შემდეგში საქართველოს სახალხო მხატვარი გრიგოლ მესხი (აგრეთვე ქუთაისიდან) და, რაც მთავარია, ჩვენი საუკეთესო ამხანაგი და მეგობარი ანდრია რაზმაძე. იმ წელიწადს მან ჩვენთან ერთად დაამთავრა ქუთაისის რეალური სასწავლებელი, მერე მოსკოვის უნივერსიტეტში მოეწყო და ახლა ბინას ეძებდა. ჩვენც სწორედ ამ დროს შევხვდით მას.

სამთავემ უნივერსიტეტთან ახლოს ერთად ვიქირავეთ ოთახი, ბოლშაია ნიკიტსკაიას (დღევანდელი გერცენის) ქუჩაზე, კონსერვატორიის პირდაპირ, ერთ ერთი სახლის მესამე სართულზე. ბინის პატრონი აღმოჩნდა უნივერსიტეტის ახალგაზრდა პრივატ დოცენტი გიდულიანოვი, შემდეგში ცნობილი პროფესორი. სამი სულის მიღება ერთ ოთახში არ უნდოდა, მაგრამ ბოლოს დაგვეთანხმა – კავკასიელები კარგი ხალხი ხართო. აი ის დიდი ოთახიც კავკასიელ სტუდენტს უკავიაო, - გვითხრა კმაყოფილებით.

იმ საღამოსვე გავიცანით ჩვენი კავკასიელი მეზობელი. იგი მეტად სიმპათიური ახალგაზრდა აღმოჩნდა, გარეგნობით ნამდვილი კავკასიელი, წარმოსადეგი ვაჟკაცი. სტუდენტური ფორმა ეცვა და ლამაზი შავი თვალ-წარბითა და პატარა შავი ულვაშებით მეტად კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა. გვარად ამბარცუმიანი აღმოჩნდა, ამაზასპ ივანეს ძე. ჩვენ მას ამაზასპ ივანოვიჩს ვეძახდით და, როგორც უფროსსა და გამოცდილ სტუდენტს, ჩვენს დამრიგებლად ვთვლიდით. ასეც იყო სინამდვილეში. არანაკლებ ყურადღებით გვექცეოდა ბინის პატრონი გიდულიანოვიც და ეს ორი ადამიანი გამოუცდელ სტუდენტებს მზრუნველობას არ გვაკლებდა. ამაზასპ ივანეს ძე განსაკუთრებით ანდრია რაზმაძის პიროვნებით დაინტერესდა, რომელიც მეტად გულმოდგინედ მეცადინეობდა, - სულ თავის მათემატიკურ წიგნებს უჯდა და სხვადასხვა ამოცანების ამოხსნაზე მუშაობდა. ამაზასპს მოსწონდა ეს მონდომება და ბრწყინვალე მომავალს უქადდა მას: - ისწავლეთ, მეგობრებო, - გვეუბნებოდა იგი, - კავკასიას სჭირდება განათლებული ხალხი და აბა, ჰე, თუ მიეშველებით, თუ გაამართლებთ თქვენი მშობლების იმედებს!

* * *

მოსკოვი იმხანად უფრო პროვინციულ ქალაქს ჰგავდა, ვიდრე პირველ სატახტოს (первопрестольная), როგორც მას უწოდებდნენ ოფიციალურად. ძალიან ჰგავდა რიაზანს, ნოვგოროდს, ყაზანსა და ტულას, მხოლოდ სიდიდითა და ეკლესიების სიმრავლით განირჩეოდა მათგან. ათას ექვსასამდე ეკლესიას თვლიდნენ იქ (сорок сороков). მათი ზარების რეკვა, განსაკუთრებით უქმე დღეებში, პირდაპირ გამაყრუებელი იყო.

მოსკოვს „დიდ სოფელსაც“ უწოდებდნენ, განსაკუთრებით პეტერბურგელები (ჰგავდა კიდეც თავისი ვიწრო და მოუკირწყლავი ქუჩებით). იმ

დროს ასფალტი არ არსებობდა და ქუჩების საფარი რიყის ქვა იყო. ცუდად იგვებოდა და სიცხეში მუდამ მტვერი იდგა, ხოლო ავდარში ტალახდებოდა. ასე რომ, „უკალოშოდ“ სიარული შეუძლებელი იყო, განსაკუთრებით ცენტრიდან დაშორებულ ქუჩებზე.

სახლებს ხშირად ნომრები არ გააჩნდათ და მათ უფრო პატრონების გვარებით აგნებდნენ. ჩემი მისამართი ასე იწერებოდა: „ბოლშაია ნიკიტსკაია, დომ სემენკოვიჩა“. „სპირიდონოვკა, დომ ელჩინსკოვა“ (აქ ერთ დროს ცხოვრობდა მაიაკოვსკების ოჯახი). ტიდოვის სახლი, ბახრუშინის სახლი და ა.შ. ხშირად ასეთი მისამართებიც იყო: „Арбат. Дом церкви святого Николы Богоявлинского“. „Дом греческого подворья“ და სხვა ამგვარი.

ეს უზარმაზარი ქალაქი თავისი კონტრასტებით გამოირჩეოდა. დიდი იყო სხვაობა მდიდარსა და ღარიბს შორის; სრული განუკითხაობა იყო ქალაქის განაშენიანების მხრივაც. ბრწყინვალე არქიტექტურული ნაგებობის გვერდით სულ უბრალო ქოხი აუშნოებდა გარემოს. ჩვენს მეზობლად ბოლშაია ბრონნაიას ქუჩაზე ერთსართულიანი ხის პატარა სახლი იდგა, თითქმის მთელ ქუჩას კი 100 120 მეტრის მანძილზე მიუყვებოდა ეზო, რომელსაც მოძველებული შეუღებავი ფიცრული, ალაგ-ალაგ გვერდზე წამოქცეული და ჩატეხილი ღობე გასდევდა. ჩალეწილ ფიცრებში მოჩანდა მოუწყობელი კარ მიდამო თავისი პატარ-პატარა სამეურნეო ნაგებობებით, დაბმული ძაღლითა და ორიოდე მოფუსფუსე ადამიანით. ამ ქოხმახებს ულმობლად აწვებოდნენ მდიდართა სასახლეები, გადაყლაპვას და მოსპობას რომ უქადდა თითოეულ მათგანს. მათი გახსენება ჩემში ხან სიამოვნებას, ხანაც დიდ სევდას იწვევს ხოლმე. მე მიყვარს ყველაფერი ის და მათ შესახებ ყოველი შელამაზებისა და რეტუშის გარეშე მინდა მოვუთხრო მკითხველს.

ან, თუ გნებავთ, მოსკოვის მაშინდელი ტრანსპორტი – ერთი მხრივ, მდიდარი „ლიხაჩები“, ხოლო მეორე მხრივ, უბრალო „ვანკები“. ასე ეძახდნენ მეეტლეებს, რომლებიც ერთცხენიანი ეკიპაჟებით მოთმინებით იდგნენ ბირჟაზე და მუშტარს ელოდნენ, თუნდაც სულ რაღაც სამშაურიან მუშტარს, ხშირად ორშაურიანსაც კი, იმდენად გაჭირვებულად ცხოვრობდნენ.

- Извозчик!– დავუძახებდით ხოლმე ასეთ ვანკას და იგრიალებდნენ ერთის მაგიერ ყველა იქ მდგომი ვანკები.

- Пожалуйте, барин, пожалуйте, свезу! Куда прикажете?

- Замоскворечие.

- Полтинник, барин, полтинник! Далеко!

მოგვდევდნენ, არ გვეშვებოდნენ მანამ, სანამ არ ავიყვანდით. პალტინნიკიდან (50კაპ) თანდათან „двугривенный“-მდე (20კაპ) და ხშირად „пятиалтынный“-მდეც (15კაპ) ჩამოვიდოდნენ. „гривенник“-საც (10კაპ) ხშირად დაგვჯერებიან; ტრამვაის უწევდნენ მეტოქეობას ის საცოდავები!

და რახან ტრამვაი ვახსენეთ, ბარემ იმასაც დავუმატებ, რომ ეს ელექტროტრანსპორტი მხოლოდ ერთ ხაზზე დადიოდა მოსკოვში – ე. წ. „ბულვართა წრეზე“. ქალაქის დანარჩენ ნაწილში, ყველა ქუჩაზე ცხენიანი ტრამვაი, ანუ „კონკა“ გვემსახურებოდა. შიგ ორი ცხენი იყო შებმული და ხშირად ორსართულიანიც გახლდათ: ქვემოთ დახურულ სალონში მგზავრობის ბილეთი 5 კაპიკი ღირდა, ზემოთა გადაუხურავ მონაკვეთში – 3 კაპიკი: სტუდენტები, რასაკვირველია, უფრო ზემო სართულის მუშტრები ვიყავით, თუნდაც წვიმა და თქეში ყოფილიყო.

მოსკოვის ქუჩები მაინცდამაინც ვერ დაიკვეხნიდნენ თავისი ბრწყინვალებითა და სისუფთავით, თითქმის ერთნაირად გამოიყურებოდა ყველა, გამონაკლისი ტვერის (დღევანდელი გორკის) ქუჩა და უფრო კი „კუზნეცკი მოსტი“ გახლდათ, სადაც მაღაზიები და ვიტრინები მართლაც ევროპულ ყაიდაზე იყო გაფორმებული და ხალხიც უფრო იქაურობას ეტანებოდა; ტვერის ქუჩას ელისეევის ბრწყინვალე მაღაზიით იცნობდნენ, რომელშიც კაფე იყო და იქ იშვიათი ოსტატობით გამომცხვარი უგემრიელესი „კალაჩები“ იყიდებოდა. სამაგიეროდ, ტვერის ქუჩიდან სულ რაღაც ორიოდე წუთის სავალზე და ისიც კრემლის მახლობლად განსაცვიფრებელი უსუფთაობა სუფევდა. აქ იყო ცნობილი „ოხოტნი რიად“ (სანოვაგის ბაზარი), რომელსაც შუა ქალაქში თვალუწვდენელი ადგილი ეკავა და თავისი უსუფთაობით, პირდაპირ, ჰაერს წამლავდა. მის გვერდით შესანიშნავი შენობები იდგა, მათ შორის პირველი იყო ე. წ. კეთილშობილთა საკრებულო („благородное собрание“ - დღეს პროფკავშირთა სვეტებიანი სასახლე). უსუფთაობით არანაკლებ იყო ცნობილი ასევე ქალაქის შუაგულში მდებარე „ზარიადიე“ - თავისი ვიწრო უგეგმო შუკებით, სადაც თავიანთ დუქნებში ფულის მოგებით გატაცებული პირები ბუზებივით ირეოდნენ. სხვადასხვა საქონელს მამასისხლად ყიდიდნენ და, ცხადია, სისუფთავისათვის არც ეცალათ.

სხვაფრივ მოსკოვი იშვიათი ქალაქი იყო, ცნობილი თავისი ჯანსაღი ჰაერით და განსაკუთრებით სუფთა და გემრიელი ანკარა ცივი წყლით.

რესტორნებსა და მდიდართა სხვა საქეიფო თუ დროის სატარებელ დაწესებულებებს, ქალაქგარეთ მოეყარათ თავი, მაგალითად „იარ“-ს ბოშათა მომღერლებით გაეთქვა სახელი. ისინი ჩვენისთანა სტუდენტებისათვის მიუწვდომელი იყო. ამიტომ მათს „ავან-ჩავანზე“ ვერც ვერაფერს გეტყვით, გარდა იმისა, რომ თავქეიფა ვაჭრები პირდაპირ ოქროებს აყრიდნენ თავზე იქაურ მომღერალ ბოშებს და „შამპანურში აბანავებდნენ“, მათი გულის მოგებისათვის არაფერს ზოგავდნენ. ვინ არ იცოდა, აგრეთვე, მაშინდელ მდიდართა „Широкий размах. Силеча!“

უნივერსიტეტშიც ხშირად მოდიოდნენ ასეთი „რაზმახისტები“, როცა გაიგებდნენ, რომ სწავლის ფულის შეუტანლობისთვის სტუდენტებს რიცხავენო და საპრორექტოროში მიტანილი ფულის სიმრავლით ყველას აკვირვებდნენ: ათიათასობით მანეთს ტოვებდნენ სტუდენტთა სწავლის გადასახადისაგან განთავისუფლების მიზნით. როცა გვარსა თუ ვინაობას ჰკითხავდნენ, ბევრი მათგანი ხელს ჩაიქნევდა ხოლმე და უპასუხებდა: გვარი რა საჭიროა, ჩაწერეთ „უცნობი პირისაგან“. ადვილად ნაშოვნ ფულს ასევე ადვილად შეელეოდნენ ხოლმე. კიდევ კარგი, რომ ეს ფული კეთილი საქმისათვის მაინც იხარჯებოდა.

მაგრამ ქართველი სტუდენტები მოსკოვში მაინცდამაინც გაჭირვებულნი არ იყვნენ. რაკი მაშინდელ მოსკოვს უფრო ძვირ ქალაქად იცნობდნენ, ამიტომ იქ მეტ ნაკლებად უზრუნველყოფილი სტუდენტები ჩადიოდნენ, (მათ შორის იყვნენ დავით სარაჯიშვილის, წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, თავადაზნაურთა და სხვათა სახელობის სტიპენდიანტებიც), რომელთაც 15 მანეთიდან 50 მანეთამდე რაოდენობის თანხა ჰქონდათ. ეს იმის მიხედვით, თუ ვინ ან რა დაწესებულება აძლევდა მათ სტიპენდიას. სტიპენდიები კავკასიის სასწავლო ოლქსაც საკმარისად ჰქონდა, მაგრამ ეს თანხა განკუთვნილი იყო მხოლოდ ოდესასა თუ ხარკოვში მყოფი სტუდენტებისათვის.

იყვნენ შეძლებული ოჯახის შვილებიც. მაგალითად, დავასახელებდი თბილისიდან ჩამოსულ ოთხ ძმა ფორაქიშვილს, რომელთაგან თითოეული ხუთ ხუთ თუმანს იღებდა სახლიდან. ცნობილი ბაქოელი ნავთის მრეწველის მანთაშევის შვილს თვეში 100 მანეთი ჰქონდა და ეს დიდი ფული იყო მაშინ.

ამიტომ მე არ მახსოვს, რომ მოსკოვში მყოფ რომელიმე ქართველ სტუდენტს განსაკუთრებული მატერიალური გაჭირვება ჰქონოდა. ქართულ პრესაში ქართველ სტუდენტთა შიმშილობის, უსახსრობისა თუ ავადმყოფობის თაობაზე არასოდეს არავითარი მასალა არ გამოქვეყნებულა. ასეთი შემთხვევები უკვე ისტორიის კუთვნილებას წარმოადგენდა, რადგან ახალგაზრდებს გამოუჩნდნენ მზრუნველი ადამიანები, ღარიბ სტუდენტთა დამხმარე კომიტეტები, რომლებიც საჭირო ზომებს იღებდნენ გაჭირვებაში მყოფი სტუდენტების დასახმარებლად. მათი ხელშეწყობით სტუდენტს შეეძლო გათავისუფლებულიყო სწავლის ფულის გადასახადისაგან, უფასოდ ეჭამა კომიტეტის მიერ დაარსებულ სასადილოში, იმავე კომიტეტის ფონდიდან მიეღო თბილი ზამთრის ტანსაცმელი, პალტო, კოსტიუმი; რასაკვირველია, ნაცვამი და შემოწირული, მაგრამ მაინც ისეთი, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ შელახავდა ახალგაზრდის თავმოყვარეობას.

რეპეტიტორობასაც ეწეოდნენ, ამის შესახებ ხშირად ნახავდით განცხადებებს სტუდენტთა სასადილოს კედლებზე; შეიძლებოდა დროებით სამუშაოზე გაფორმებაც და საკმაო მოთხოვნაც იყო ხოლმე. არსებობდა ღარიბ სტუდენტთა უფასო საერთო საცხოვრებელი. ასეთი გახლდათ, მაგალითად, ვინმე ლიაპინის სამსართულიანი სახლი პეტროვკაზე, სადაც სტუდენტებს არა მარტო უფასო ბინები, კვებაც მეტად შეღავათიან ფასებში ჰქონდათ და ამიტომ გაჭირვებული ახალგაზრდისათვის ეს პირდაპირ „მისწრება“ იყო. იქ ისეთი სტუდენტები ცხოვრობდნენ, რომელნიც სახლიდან ვერავითარ დახმარებას ვერ ღებულობდნენ და იძულებულნი იყვნენ თავი „ლიაპინკაში“ შეეფარებინათ. მათ შორის შემიძლია დავასახელო სამხატვრო სასწავლებლის სტუდენტები გრიგოლ მესხი, ალექსანდრე ციმაკურიძე. როგორც მახსოვს, ეს სტუდენტები მაინცდამაინც არ ემდუროდნენ თავიანთ ცხოვრებას „ლიაპინკაში“ და საშუალება ჰქონდათ გულდამშვიდებით დაწაფებოდნენ ცოდნას. იქ მცხოვრებ სტუდენტებს სხვა შეღავათებიც ჰქონდათ: უფასოდ შეეძლოთ თეატრებში წასვლა, ოღონდ ორგანიზებულად, ჯგუფებად, სიის მიხედვით. ეს დადასტურებული უნდა ყოფილიყო ადმინისტრაციის წარმომადგენლის მიერ. გრიგოლ მესხი, შეიძლება ითქვას, საღამოს არ გამოტოვებდა, რომ სათანადო სია არ შეედგინა და ჩვენც არ წავეყვანეთ დიდ თეატრში რომელიმე საოპერო წარმოდგენაზე, ან მცირეში, უფრო კი, კორშის და ნეზლობინის თეატრებში.

გრიგოლ მესხი, ლიაპინკის ადმინისტრაციის დახმარებით, სტუდენტთათვის ექსკურსიებსაც აწყობდა მოსკოვიდან თბილისსა და ქუთაისში, რითაც საშუალებას აძლევდა ახალგაზრდებს შეღავათიან ფასებში „კომფორტაბელურად“ ემოგზაურათ ცალკე საექსკურსიო ვაგონით.

ძმები ლიაპინები დიდი ქონების პატრონები იყვნენ, ორთავე უცოლშვილო და ქველმოქმედი. ტამბოვის გუბერნიიდან ჩამოსული უსწავლელი გლეხები იმდენად გამდიდრდნენ, რომ პეტროვკაზე სასახლე აიშენეს და საუცხოოდ მოაწყვეს. იქვე მეორე სასახლე ააშენეს ღარიბი სტუდენტებისათვის და, როგორც ვთქვით, დახმარებას უწევდნენ მათ.

ძალიან მიყვარდა კრემლში სიარული. კრემლი და ტრეტიაკოვის სამხატვრო გალერეა - აი, ის ადგილები, სადაც შეიძლებოდა კულტურულად დასვენება და დატკბობა, სულიერად ამაღლება. კრემლი იგივე უზარმაზარი მუზეუმი იყო „ღია ცის ქვეშ“. უშესანიშნავესი კულტურული ძეგლები, მონასტრები, ტაძრები, სასახლეები, საჯაბადრო, ისტორიული მუზეუმი და მრავალი სხვა.

მარტო „ივანე დიდის“ სამრეკლოზე ასვლა რად ღირდა, საიდანაც მთელ მოსკოვს გადახედავდა კაცი. სამრეკლო მაცხოვრის ეკლესიის შემდეგ თითქმის ყველაზე მაღალი შენობა იყო მაშინდელ მოსკოვში, ჯვრით 98 მეტრს აღწევდა, უჯვროდ – 90 მეტრს. იგი აშენებულია ბორის გოდუნოვის მიერ 1600 წელს დიდი შიმშილობის დროს და 33 ზარს იტევს, რომელთაგან ყველაზე მძიმე 4000 ფუთს, ე. ი. 64 ტონას იწონის.

„ივანე დიდის“ სამრეკლოსთან მიწაზე დევს უზარმაზარი ზარების მეფე, რომელიც მე 18 საუკუნეშია ჩამოსხმული და 10000 ფუთს, ე.ი. დაახლოებით 162 ტონას იწონის. იქვეა მე-16 საუკუნეში ჩამოსხმული მეფე ზარბაზანი, რომლის თითო ჭურვი 2 ტონას აღწევს. ცხადია, არც ზარების მეფე და არც მეფე ზარბაზანი არაფერში გამოსადეგნი არ არიან. დაბადებიდანვე „ინვალიდები“ - სამშვენისებს წარმოადგენენ.

ამ გარემოებამ, როგორც ცნობილია, იმდროინდელ ენამახვილთ სხარტად ათქმევინა: “В россии что ни царь, то инвалид“.

უამრავ სამლოცველოთა შორის თავისი სიმდიდრით გამოირჩეოდა მე-14 საუკუნის მიძინების (Успенский) ტაძარი, სადაც მრავალი ოქრო ვერცხლი და უნიკალური საეკლესიო ნივთი ინახებოდა. ოფიციალური მონაცემებით, მარტო ნაპოლეონის ჯარებმა იქიდან 325 ფუთი ვერცხლი და 18 ფუთი ოქრო ამოიღეს.

ძველ საკრებულო ტაძრებს ოქრო ვერცხლით არც ახალი – 1840 წელს აშენებული მაცხოვრის ეკლესია ჩამოუვარდებოდა, რომელიც პრეჩესტენკაზე იდგა, სიმაღლით ჯვართან ერთად 105 მეტრს აღწევდა და აგებული იყო ნაპოლეონის ჯარებისაგან მოსკოვის გათავისუფლების სამახსოვროდ, იგი 15 მილიონი მანეთი დაუჯდა მთავრობას; სამლოცველო ერთდროულად 10000 ადამიანს იტევდა; მისი უზარმაზარი გუმბათების მოოქროებაზე, იმავე ცნობის მიხედვით, 26 ფუთი ოქრო დაიხარჯა, მიტომაც ასე ლამაზად ბრწყინავდა მზეზე. ერთი სიტყვით, მისი ყოველმხრივი შემკობისათვის მეფის მთავრობას თავი არ დაუზოგავს. ძვირფასი პორფირითა და მარმარილოთი მოპირკეთებული შენობა სახელოვანი მხატვრების ნამუშევრებმა აავსეს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ეკლესიის ყველა კარი ბრინჯაოსაგან იყო ჩამოსხმული, რომელთაგან ერთ ერთი მათგანი 800 ფუთს იწონიდა.

ისტორიულ შენობებს შორის ყველაზე უფრო საინტერესო სანახავი იყო ე. წ. „Грановитая палата“, რომელიც ჯერ კიდევ ივანე მესამემ ააგო მე-15 საუკუნეში და განკუთვნილი იყო უცხოელი ელჩების მისაღებად, აგრეთვე, მეფეების საზეიმო სუფრის გასაშლელად.

ცნობილია, რომ ქართველი ბატონიშვილი (შემდეგში ერეკლე პირველი), რომელსაც რუსეთში ნიკოლაი დავიდოვიჩს ეძახდნენ, მოსკოვში ჩასვლისას, 1654 წლის 1 იანვარს, მეფე ალექსი მიხეილის ძემ „გრანოვიტაია პალატაში“ მიიღო დიდი ზარ ზეიმით და ამასთანავე საზეიმო სადილიც გაუმართა მთელი თავისი ამალით.

ერთი სიტყვით, მოსკოვში არაერთი დიდებული, ისტორიული ძეგლია და როცა მათ ვიხსენებ, უნებურად მაგონდება საქართველოს იავარქმნილი ძეგლები, მტერთან გაუთავებელ ბრძოლებში რომ ნადგურდებოდა, სანახევროდ დანგრეული ციხე-ტაძრები. სასახლეებიდან თითქმის ვერც ერთი ვერ გადაურჩა მრისხანე წარსულს, სამოქალაქო ნაგებობის თუნდაც ერთი პატარა ნიმუშიც კი. სწორედ ასეთი ფიქრები ამიყოლიებდნენ ხოლმე მოსკოვში, როცა კრემლის გრანდიოზულ ხედებს შევყურებდი.

ზემოთაც ვთქვი, რომ მოსკოვს ძველად ორმოცჯერ ორმოცი ეკლესიის ქალაქს („сорок сороков“) უწოდებდნენ. ცხადია, ეს მართლაც ასე იყო და რა საოცარი უნდა ყოფილიყო ამდენი ზარის გამაყრუებელი გუგუნი.

მე მომისმენია მოსკოვის თითქმის ყველა ზარის ერთდროული გუგუნი. ეს იყო 1913 წლის ზაფხულს, როცა რომანოვების დინასტიის 300 წლისთავის დღესასწაულზე მეფე ჩამოვიდა მოსკოვში. ზარების რეკვა მანამდე არ შენელებულა, ვიდრე კრემლში მეფის მისვლის ცერემონია არ დამთავრდა.

რუსი გლეხები თუ წვრილი ხელოსნები თავიანთი ოჯახებით მარტო ეკლესიაში კი არა, მის გარეთაც ლოცულობდნენ ხოლმე. მე არაერთხელ მინახავს მოსკოვში კარეტით მიმავალი რომელიმე სასულიერო პირი, რომელსაც კარეტაში დიდი ზომის ხატი ესვენა. საკმარისი იყო ხატის დანახვა, რომ ქუჩაში მიმავალნი, ქალი თუ კაცი, მუხლებზე ეცემოდნენ და მანამდე იწერდნენ პირჯვარს, ვიდრე კარეტა თვალს არ მოეფარებოდა.

პეტერბურგისაგან განსხვავებით, მოსკოვი - ნამდვილი რუსული, მაგრამ უცხოელებით სავსე ქალაქი იყო. ცხოვრება ევროპულ ყაიდაზე იყო აწყობილი.

უქმე დღეებში ეკლესიებში დილიდანვე რომ ატყდებოდა ზარების გუგუნი, ხოლო ქვაფენილზე ეტლების რკინის სალტეებიანი ბორბლებისა და განსაკუთრებით კი ურესორო ურმების რიხინი (რეზინის შინები ის-ის იყო შემოდიოდა ხმარებაში და ამდენად იშვიათობას წარმოადგენდა), ყურთასმენა აღარ იყო. ამას ემატებოდა გამყიდველთა შეძახილიც: “Яблоки мочёные! Арбузы, арбузы!“ ან ძველმანების მყიდველ ყაზანელთა დაუსრულებელი ყვირილი: “სტარი ვეშჩ პაკუპაიმ!“ ასეთ დროს კაცს სარკმელი უნდა დაეხურა.

ახლა ორიოდე სიტყვით, თუ როგორ ცხოვრობდა საშუალო შეძლების სტუდენტი მოსკოვში. როგორც უკვე ვწერდი, ღარიბი ქართველი სტუდენტი მოსკოვში მე არ მეგულებოდა, ვინაიდან იქ ცოტად თუ ბევრად შეძლებული ოჯახის შვილები ჩამოდიოდნენ. თუ რომელიმე მათგანი 20-25 მანეთზე ნაკლებს იღებდა, ის უფასოდ სადილობდა სტუდენტურ სასადილოში. საჭირო იყო მხოლოდ სათანადო განცხადების შეტანა კომიტეტში. თვეში სადილი 6 მანეთი ღირდა, ე.ი. თითო ულუფა 20 კაპიკი. სადილი ჩინებული გახლდათ: პირველი უთუოდ ხორცით იყო დამზადებული, რომელიც შეიძლებოდა განმეორებითაც მოგეთხოვათ, მეორეც ასევე ხორცეული იყო, თანაც იმდენი, რომ ზოგი ვერც ერეოდა. ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოებას სასადილოს საქმეების წარმართვისათვის სპეციალური კომიტეტი ჰყავდა არჩეული და, შეიძლება ითქვას, კომიტეტი ამ საქმეს კარგად ართმევდა თავს.

ამგვარად, სადილი სტუდენტს თვეში 6 მანეთი უჯდებოდა, ხოლო დაქირავებულ ოთახთან ერთად სულ - 16-18 მანეთი, სხვა საჭმელ-სასმელსა და ტრანსპორტს კი დასჭირდებოდა 5-6 მანეთი. რა თქმა უნდა, გაჭირვებით, მაგრამ 25 მანეთი მაინც საკმარისი იყო. მე და ჩემი ძმა ერთდროულად 50 მანეთს ვიღებდით და სავსებით გვყოფნიდა. ოთახში 20 მანეთზე მეტი არ იხარჯებოდა,

ზოგჯერ ნაკლებიც კი – 17-18 მანეთი. ამიტომ ზამთრის სუსხში სადილს ხშირად სახლშივე ვიღებდით, ან იქვე მის ახლოს; ამას შინაურ სადილს ეძახდნენ, სუფთა ერბოზე მზადდებოდა; სამაგიეროდ, თვეში 7 მანეთი ჯდებოდა.

დილის საუზმე ჩაით იწყებოდა. „სამოვარი“, დილა საღამოს, ოთახის ქირაში შედიოდა, ოღონდ მოსამსახურისთვის „საჩუქრად“ 50 ან 75 კაპიკი უნდა მიგვეცა თვეში. კარაქი, პური, შაქარი და ზეთი ცალკე ხარჯი იყო, ისიც კაპიკები... გაზეთი იმ დროს 3 კაპიკი ღირდა და თუ ფულზე მწყრალად ვიყავით, ერთი მათგანი - ''Русское слово'' სრულიად საკმარისი იყო საქვეყნო ამბების გასაგებად; თუმცა, ხშირად ამ ხარჯისაგანაც ვიკავებდით თავს. თუ არა და, პირიქით, „Русские ведомости“-საც შევიძენდით. მას - წერილთა სერიოზული ხასიათის გამო - პროფესორების გაზეთს უწოდებდნენ.

გვქონდა კიდევ ერთი პატარა ხარჯიც – შვეიცარს ყოველთვიურად ვაძლევდით 75 კაპიკს, რათა ტელეფონზე დავეძახეთ ხოლმე, როდესაც ამას საჭიროება მოითხოვდა. ტელეფონი მაშინ არც ისე ხშირი იყო, მაგრამ „შვეიცარსკაიაში“ იგი თითქმის ყველგან იდგა. ასე რომ, 25 მანეთი ერთი სტუდენტისათვის, ყველა ხარჯის დასაფარავად, სრულიად საკმარისი იყო. ხოლო თუ ეს არ ჰყოფნიდა, შეეძლო რაიმე სამუშაოზე მოწყობილიყო. მაგალითად, ერთი ჩვენი ამხანაგი, გვარად ბარნაბიშვილი, რომელიღაც ეკლესიაში მედავითნედ მუშაობდა. საქმე ბევრი არ ჰქონდა, უფრო უქმე დღეებში იყო დაკავებული. ჯამაგირი კარგი იყო და არც სწავლაში ეშლებოდა ხელი.

ყველაზე იოლი იყო რეპეტიტორობა და ამას სტუდენტობა ხშირად მიმართავდა ხოლმე. მეც არაერთხელ მქონია შემთხვევა მერეპეტიტორა. ერთხელ ქალაქის სამმართველოშიც მოგვიხდა მუშაობა სახელმწიფო სათათბიროში მოწყობილი არჩევნების დროს. ოჯახებში დავიარებოდით და ამომრჩეველთა ანკეტებს ვავსებდით. ბევრი კარგი ოჯახი გავიცანით მაშინ.

მალე მოსკოვში მე და გრიგოლს ორი უმცროსი ძმა – ვალერიანი და ალექსანდრეც შემოგვიერთდა. თუმცა არსებობა არ გვიჭირდა, მაინც ვმუშაობდით დიდ საოპერო თეატრში. ახალგაზრდებს უფრო შესახედაობის მიხედვით არჩევდნენ. ჩვენ ძირითადად მასიურ სცენებში ვიღებდით მონაწილეობას და თანაც ისეთ დიდ მომღერლებთან, როგორებიც იყვნენ შალიაპინი, სობინოვი, ნეჟდანოვა და სხვები. სცენის ადმინისტრატორად მუშაობდა პოლონელი გრაფი კამაროვსკი, ახოვანი ვაჟკაცი, მას თბილისის ოპერაში ემუშავნა და ნამდვილ სიამოვნებას ჰგვრიდა ჩვენთან თავისი „დამტვრეული“ ქართულით გამოსაუბრება. ჩვენ როლებშიც ვიყავით ხოლმე დაკავებული და ამიტომ რეპეტიციებზეც ხშირად გვეძახდნენ; ამისთვის ყოველ მისვლაზე 50 კაპიკი გვეძლეოდა, ხოლო სპექტაკლში მონაწილეობისათვის – თითო მანეთი, ამით თვის განმავლობაში კარგი ჰონორარი გროვდებოდა – 20 მანეთზე მეტი. ეს უკვე დიდი შეღავათი იყო ჩვენთვის. თანაც, როგორც მასწავლებლის შვილებს, სწავლის ფულის გადახდა არ გვევალებოდა.

ქართველი სტუდენტებიდან თითქმის ათ კაცამდე ვიყავით დიდ თეატრში დაკავებული და ყველას კარგი ურთიერთობა გვქონდა იქაურ მსახიობებთან, განსაკუთრებით ჩემს ძმას ვალერიანს – სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტს. მას ძალიან ემარჯვებოდა თბილისური ანეკდოტების მოყოლა, რაც მეტად ამხიარულებდა მსახიობებს, მათ შორის კამაროვსკისაც. ამიტომ ვალერიანი საკმაოდ პოპულარული იყო მათ შორის, ხოლო, როცა ოპერა „ხოვანშჩინაში“ შალიაპინი ივანე მრისხანეს როლში თხუთმეტიოდე ცხენოსნის თანხლებით

სცენაზე შემოდიოდა ხოლმე, მასთან ყველაზე უფრო ახლოს ვალერიანი იდგა. დიდი მომღერალი გვერდიდან არ იშორებდა ჩემს ძმას. ცხენი თუ დამიფრთხა, ვალერიანი ყველაზე საიმედოა ჩემთვისო, ხშირად იტყოდა ხოლმე ის. ვალერიანის ოჯახში დღესაც საპატიო ადგილზე ჰკიდია შალიაპინის ფოტოსურათი მისივე წარწერით: "Валериану Малакиевичу Джапаридзе на доброе воспоминание о сцене Большого Театра Москы. Ф. Шаляпин. 28. 12. 1914 г."

ჩვენი ჩვეულებრივი, სტუდენტური დღე მოსკოვში ასეთი გახლდათ: დილით ადრე მოსამსახურე ქალი ცხელ სამოვარს შემოგვიტანდა, შემდეგ სანოვაგის მაღაზიებს მოირბენდა, რომლებიც იმავე შენობაში, ან იქვე ახლოს მდებარეობდა. და 5 კაპიკად ღირებულ ცხელ „კალაჩებს", კარაქს, რძეს და ყველს მოიტანდა. ვისაუზმებდით და მივდიოდით ლექციებზე პროფესორების: მანუილოვის, მურომცევის, ოზეროვის, ბაროვოის, პოზნიშევის, კასსოსა და ტრუბეცკოის - მოსასმენად (იურიდიული ფაკულტეტი); ხშირად ფილოლოგიის ფაკულტეტზეც ვუსმენდით გამოჩენილ ლექტორებს: კლიუჩევსკის, ხვოსტოვს, როზანოვს, საკულინს და ჩელპანოვს, ლებედევს – ფიზიკის, ხოლო ტიმირიაზევს, კაბლუკოვსა და ვერნადსკის – საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე.

ნასადილევს რუმიანცევის (ახლანდელი საჯარო) ბიბლიოთეკაში ვაგრძელებდით მეცადინეობას. საღამოს, თეატრში ერთობლივი დასწრება თუ არ იყო დაგეგმილი, ერთერთ გაშინაურებულ ოჯახს, ან ამხანაგს ვესტუმრებოდით ხოლმე... თუ არადა, უფრო ხშირად სახლში გვიხდებოდა ყოფნა, რადგან ჩვენი ბინა განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა მთელ სტუდენტობაში. მას „შტაბკვარტირას" ეძახდნენ. მოდიოდნენ ამხანაგები, ვსაუბრობდით, ვკამათობდით. დიასახლისს აოცებდა ამდენი ახალგაზრდის თავყრილობა, განსაკუთრებით ჩვენი ხმამაღალი კამათი. თუ რომელიმე ქართველი ჩამოვიდოდა მოსკოვში და ვინმეს ნახვას მოისურვებდა, უთუოდ ჩვენთან გამოგზავნიდნენ – ჯაფარიძეებთან მიდით, იქ ყველაფერს გაიგებთ და გაერკვევითო.

ერთხელ თბილისიდან წერილი მომივიდა – მიგზავნიდა საშა აბაშელი, მაშინ ჯერ კიდევ დამწყები პოეტი. მატყობინებდა: მოსკოვში მოვდივარ სწავლის გასაგრძელებლად, არ ვიცნობ არც ქალაქს და არც მანდაურ ძეხორციელს, ამიტომ გთხოვთ დამეხმაროთ და რამდენიმე დღე თქვენს ბინაზე მიმიღოთო. საშა მალე ჩამოვიდა მოსკოვში და მთელი წელიწადი ცხოვრობდა ჩემთან, მერე პეტერბურგს გაემგზავრა.

ამით ის მინდა ვთქვა, რომ მოსკოვში ქართველ სტუდენტობას ერთმანეთთან მჭიდრო, მეგობრული ურთიერთობა გვქონდა. როცა საჭირო იყო, დახმარებასაც ვუწევდით ერთმანეთს, ხოლო, როდესაც ვშორდებოდით, „სადარბაზო ბარათით" მაინც შევახსენებდით თავს.

სადარბაზო ბარათები იმ დროს პირდაპირ მოდა იყო. ბარათზე ეწერა მოქალაქის სახელი, გვარი და ტიტული. მაგალითად: „ვლადიმერ მალაქიას ძე ჯაფარიძე, მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის სტუდენტი". თუ მას მეგობარს გაუგზავნიდი ახალ წელიწადს, აღდგომას ან სხვა დღეებში, ეს მილოცვას ნიშნავდა, თითქოს პირადად მისულიყავი მისალოცად.

მოსკოვში ერთი ავთანდილოვი იყო – კარგი, მშრომელი კაცი, თბილისელი. სადღაც უმნიშვნელო თანამდებობაზე მსახურობდა. მაგრამ სადარბაზო ბარათი მაინც ჰქონდა. როგორც ჩანს, სადარბაზო ბარათზე თავისი თანამდებობა აღნიშვნის ღირსად არ ჩათვალა. მაგრამ მის მაგიერ რაღაც ხომ

უნდა დაეწერა და დაწერა კიდეც: სახელი, მამის სახელი, გვარი და ქვემოთ: „Племянник князя Аргутинского.“ ეს ამბავი მაშინ ბევრს სახუმაროდ და სასაცილოდ ჰქონდა გადაქცეული, მაგრამ ასეთი იყო იმდროინდელი მოდა და მოდის ჭირვეულობა კი, მოგეხსენებათ, თითქმის ვერსად ვერავის აუცილებია თავიდან.

დღესაც სასიამოვნოდ ვიხსენებ მოსკოვში ვასო კანდელაკის ქორწილს. მან ჯერ კიდევ სტუდენტმა ჯვარი დაიწერა ერთ მშვენიერ რუს ქალიშვილზე. ქორწილი ჩვენმა კარგმა მეგობარმა ჯიბილო ლორთქიფანიძემ მოუწყო თავის ოჯახში - ზვენიგოროდის მაზრის ერთ-ერთ სოფელში. „მაყრებად“ მე და გრიშაც ვიყავით და ძალიან კარგი დროც გავატარეთ. ეკლესიიდან მარხილებით დავბრუნდით. გზად დიდ თოვლში ხან ერთი, ხან მეორე მარხილი ბრუნდებოდა და საერთო მხიარულებას ბოლო არ უჩანდა. სტუმრებს შორის ჩვენი საყვარელი მსახიობი ლადო მესხიშვილიც იყო ცოლსა და ორივე ქალიშვილთან ერთად.

მახსოვს ქსენია ლორთქიფანიძის ჯვრისწერაც სტუდენტ კულიკოვთან. მე და გრიშა იქაც მაყრებად ვიყავით, თუმცა ნამდვილი ქორწილი არც კი ყოფილა. ეკლესიიდან ყველა პირდაპირ სახლში წავიდა, რადგან ნეფე დედოფალს „მაყრების“ დაპატიჟების საშუალება არ ჰქონდა.

მახსოვს რევოლუციურად განწყობილი და მეხივით მგრგვინავი გაბო ხუნდაძე. თბილად ვიხსენებ ბრწყინვალე ქართველ პატრიოტებს საინგილოდან: ვანო პაპიაშვილს და გიორგი გამხარაშვილს; დამწყებ მწერლებს, მაშინ სულ ახალგაზრდა სტუდენტებს – ტიციან ტაბიძესა და სერგო კლდიაშვილს, ილიკო ქურხულსა და ვასო ბეჟანიშვილს, დათიკო და ერმილე ლობჟანიძეებსა და ბევრ კიდევ სხვას.

ვინ მოთვლის, რამდენი ამხანაგი, მეგობარი და ნაცნობი დამრჩა აქ მოუხსენებელი. თავს ისე ვგრძნობ, თითქოს დანაშაული ჩამედინოს მათ წინაშე. მაგრამ მაინც მინდა აუცილებლად გავიხსენო ჩემი ერთი მეგობარი კოსტა მაისურაძე.

მოსკოვში ჩემსობას სპორტი მეტად განუვითარებელი იყო და მისი ერთადერთი სახეობა, რაც ხალხს იზიდავდა, ფრანგული ჭიდაობა იყო, რომელსაც ვინმე ივან ლებედევი მეთაურობდა. მისი სქელი და დაკუნთული სხეული იმას ამტკიცებდა, რომ ოდესღაც თვითონაც, მაშინ უკვე ხანში შესული მამაკაცი, ამ დარგის მიმდევარი იყო. მის მიერ მოწყობილ ჩემპიონატში მოჭიდავეები ევროპისა და აზიის ქვეყნებიდანაც კი ჩამოდიოდნენ. მათ შორის სახელგანთქმული იაპონელი მოჭიდავე სირაკიკი იყო. 1908 1910 წლებში, თუ ცოტა მოგვიანებით, მის ჩემპიონატში მონაწილეობდა თბილისელი ცნობილი სპორტსმენი კოსტა მაისურაძე. კოსტა რაჭის მაზრის სოფელ ცხმორიდან იყო. სიჭაბუკეში თბილისში ჩამოსულ ყმაწვილს მზარეულობა შეესწავლა და იმ დარგში მუშაობდა კიდეც. მაგრამ შემდეგში სპორტს გაჰყვა. ჯერ ქართული, მერე კი ფრანგული ჭიდაობა დაუწყია (ახლა რომ კლასიკურს უწოდებენ). კოსტა დიდი წარმატებით გამოდიოდა. კარგი მონაცემებიც ჰქონდა. საშუალო ტანის მხარბეჭიანი, მკერდგანიერი ვაჟკაცი იყო, ძალ-ღონეც მოსდევდა და ჭიდაობის ტექნიკაც კარგად აეთვისებინა. ამიტომ საჭიდაო ხალიჩაზე მისი გამოსვლები სასიამოვნო სანახავი იყო და მაყურებელსაც სხვა რა უნდა! სხვათა შორის, გარეგნობაც მეტად მიმზიდველი ჰქონდა; ქართველ სტუდენტობას ძალიან უყვარდა მისი ჭიდაობა და ხშირადაც ესწრებოდა ლებედევის მიერ მოწყობილ ჩემპიონატებს. კოსტა ერთ ერთი წამყვანი მოჭიდავე გახლდათ, ხალხიც მისდამი

დიდი პატივისცემით იყო განმსჭვალული. მე და გრიშა ახლოს ვიცნობდით კოსტას და, ბუნებრივია, მის გამოსვლებს არ ვაცდენდით. ეს ძალიან ახალისებდა და გულადობასაც ჰმატებდა. თეატრი „აკვარიუმი“ სადოვაია-კუდრინსკაიაზე, სადაც წარმოდგენების შემდეგ ჩემპიონატი მიმდინარეობდა, სავსე იყო ჭიდაობის მოყვარულებით. კოსტას გარდა, ამ ჩემპიონატში სხვა პოპულარული მოჭიდავეებიც ხშირად მონაწილეობდნენ, მათ შორის ევროპიდან ჩამოსული შვარცი, იაპონელი სირაკიკი, რუსები: ზაიკინი, პოდდუბნი და სხვა.

ერთხელ, როცა კოსტამ ევროპიდან ჩამოსულ რომელიღაც სახელგანთქმულ ფალავანთან გაიმარჯვა, ხალხმა ტაშით კინაღამ თეატრი დაანგრია. ამ დროს ვიღაცამ შესძახა: „Лезгинку, Костя!..“ და, მართლაც, კოსტამ ლამაზად და წარმტაცად ჩამოუარა თავისებურად. სახე უცინოდა, შავი ულვაშები მაღლა აეპრიხა, ხალხის აღტაცება მართლაც გულწრფელი იყო. ბოლო დროს კოსტას მსოფლიო ჩემპიონის ტიტულიც ჰქონდა მიკუთვნებული. აფიშებზე მის გვართან „Чемпион мира“ ეწერა და ამის გამო ჩვენს სიამაყეს საზღვარი არ ჰქონდა. ლამაზი კაცი იყო კოსტა. ყოველთვის სუფთა და ლამაზად შეკერილი კოსტუმი ეცვა, ხანდახან ჩოხა ახალუხშიც იყო გამოწყობილი. სულ ახალგაზრდა გარდაიცვალა 1919 წელს ე. წ. „ისპანკით“...

* * *

1906 წელს, რეაქციის პერიოდში, უნივერსიტეტის სტუდენტობას უკვე აღარ ჰქონდა კრებების მოწყობის უფლება, მით უფრო გაფიცვისა. ერთადერთი, რაც არ აიკრძალა, ეს სათვისტომოები გახლდათ. არსებობდა ისეთი ორგანიზაციაც, რომელიც ამ სათვისტომოებს აერთიანებდა უნივერსიტეტის ფარგლებში.

ჰოდა, აი, ერთ დღეს, ამ გაერთიანებამ, არ მახსოვს რა საკითხის ირგვლივ ან რა მიზეზით, სასწრაფოდ სტუდენტთა კრება გამოაცხადა. თავს რომ პოლიცია არ დაგვსხმოდა, რექტორმა სტუდენტებს დაშლა სთხოვა, მაგრამ ამაოდ. მართლაც, სულ რაღაც ნახევარ საათში პოლიციამ ალყა შემოარტყა უნივერსიტეტს და ჩვენს აუდიტორიაშიც გამოჩნდა. იურიდიული ფაკულტეტის #2 დიდი აუდიტორია სტუდენტებით იყო სავსე. ამიტომ ყველა მონაწილის დაპატიმრება შეუძლებელი ჩანდა, რის გამოც 50 მდე სტუდენტი, ვითომ კრების პრეზიდიუმი და აქტივისტები, ოთახში ჩაგვკეტეს, დანარჩენი კი უნივერსიტეტის შენობიდან გარეკეს. იმ დღეს ლექციები, რა თქმა უნდა, აღარ ჩატარებულა.

დაკავებული სტუდენტები, იმის შემდეგ, რაც საბუთების მიხედვით ჩვენი პირადობა დაადასტურეს და მისამართებიც ჩაიწერეს, რომელიღაც პოლიციურ ნაწილში წაგვიყვანეს, ერთხანს გაგვაჩერეს და ბოლოს სახლებშიც გამოგვისტუმრეს. ეს იყო 1907 თუ 1908 წლის ზამთარი.

ამის შემდეგ ათ დღესაც არ გაევლო, რომ ბინაზე პოლიციელმა მომაკითხა და როგორც მოსკოვის უნივერსიტეტში ნებადაურთველი კრების მონაწილეს, ადმინისტრაციული წესით, თხუთმეტდღიანი პატიმრობის განაჩენი გამომიცხადა. ეს ბრძანება ყველა „ეჭვმიტანილზე“ ყოფილა გაცემული. წინადადება მომცა, წავყოლოდი საპატიმროში. რაღა უნდა მეთქვა. მისი ნებართვით, ორიოდე საკითხავი წიგნი და ერთი სახატავი ალბომი ავიღე და უკან გავყევი. გრიშას პატარა წერილი დავუტოვე მომხდარი ამბის შესახებ და ვთხოვე, ნურც იდარდებ და ნურც მომძებნი, წვალებად არ ეღირება მეთქი.

მიმიყვანეს საპატიმროს უფროსთან, რომელიც ფართო კაბინეტში იჯდა და იმ სიცივეში ცხელ ჩაის მიირთმევდა. მსუქანი კაცი იყო, „ტოლსტიაკს“ ეძახდნენ. ჩემდა გასაოცრად, მეტად თბილად შემხვდა, თითქოს მისი დიდი ხნის უნახავი ახლობელი ვყოფილიყავი და არა უცნობი ახალგაზრდა და ისიც პატიმარი.

- აჰა, კიდევ მოიყვანეთ სტუდენტი? - იკითხა მან და თანაგრძნობით შემომხედა. ჩანდა, ნაოფიცრალი იყო, თვინიერი, ბუნჩულა, უბოროტო მოხუცი. - მესამე კამერაში მისსავე ამხანაგებთან მოათავსეთ ბატონი სტუდენტი, - ბრძანა მან და პოლიციელიც, დიდი დერეფნის გავლის მერე, ერთ მოზრდილ დარბაზში შემიძღვა, სადაც უკვე იჯდა იმ კრების მონაწილე ორი რუსი სტუდენტი. მე მათ პირველად ვხედავდი: ერთი მათგანი მათემატიკოსი იყო, მაღალი და გრძელთმიანი; უბრალო პიჯაკი და მაღალყელიანი ჩექმები ეცვა. ძალიან უყვარდა ფანჯარაში ცქერა; ტაბურეტზე საათობით შემდგარი შორეულ სივრცეს ან საპატიმროს ეზოს გაჰყურებდა. მეორე ახალგაზრდა, რომელიც სტუდენტურ ფორმაში იყო კოხტად გამოწყობილი, ფილოლოგი გამოდგა. ის სულ ლოგინზე იწვა და ერთთავად შინიდან მოტანილ წიგნებს კითხულობდა.

რომ გითხრათ, ძალიან გამიჭირდა საპატიმროში ყოფნა–მეთქი, არ ვიქნები მართალი: მშვენივრად ვერთობოდით საუბრებით, ანეკდოტებით, წიგნების კითხვით. დღეში რომ სამჯერ კარებს გააღებდნენ და საჭმელ სასმელს შემოგვიტანდნენ, ესეც ჩვენი ერთგვარი გართობა და დროის მოკვლა იყო. მეც მივეჩვიე სარკმელში ცქერას: ტაბურეტზე შემდგარი, დიდხანს მივჩერებოდი საპატიმროს თოვლით დაფარულ ეზოს, სადაც თბილად ჩაცმული თოფიანი პოლიციელები დაიარებოდნენ: ახლად მოსული კარეტიდან პატიმრები გადმოჰყავდათ ან, პირიქით, ციხიდან მიჰყავდათ სადღაც.

მე ჩემს ალბომში ბევრი რამ ისეთი მოვხაზე, ახლა რომ დავხედავ ხოლმე, ნათლად წარმომიდგება იქ ყოფნის დღეები. მხოლოდ ერთ რამეზე მწყდება გული, - არც ერთზე თარიღი არ დამიწერია და ამიტომ ზუსტად არ ვიცი, ცხრაას შვიდი წელი იყო, თუ ცხრაას რვა. ეს კი დანამდვილებით მიწერია: „В тюрьме Арбатской 1 части,“ ან „Арбатский полицейский дом“, და სხვ. ჩანახატი ფანქრითაა უბრალოდ მოხაზული, მაგრამ ჩემთვის ესეც ბევრის მთქმელია.

თხუთმეტი დღის განმავლობაში არც არავინ გაუყვანიათ ჩვენი კამერიდან და არც არავინ შემოუყვანიათ. სამივენი ერთად გაგვათავისუფლეს. ჩემმა გათავისუფლებამ ქართულ სათვისტომოში დიდი ფურორი მოახდინა. თითქოს რაღაც არაჩვეულებრივი გმირობა ჩამედინოს, ან დიდი ხნის პატიმრობიდან დავბრუნებულიყავი ნაცემ ნაწვალები. ლუბა და კატო გოცირიძეები პირველები მოიჭრნენ ჩვენს ბინაზე და ისე გახარებულები იყვნენ, თითქოს საიქიოდან დავბრუნებულიყავ. ანდრო რაზმაძე, ავეტიკ მარტიროსოვი, მიშა თუხარელი, გრიშა ცხაკაია, დათიკო გაგუა და, რა ვიცი, ვინ არ მოვიდა ჩემ სანახავად!

დიდხანს მეყო ჩემი პატიმრობის ამბავი სულის საზრდოდ, სალაპარაკოდ და მოსაყოლად.

ამით ვამთავრებ ჩემი დროის მოსკოვზე საუბარს. 1914 წლიდან ფეხი არ დამედგა იქ და, როცა 1956 წელს მივლინებით ჩავედი, გამაოცა მისმა თანამედროვე იერსახემ, განსაკუთრებით ახალმა უნივერსიტეტმა, რომლის შედარება არც კი შეიძლება მაშინდელ უნივერსიტეტთან.

მე მაინც სიყვარულით ვიგონებ ჩემი დროის მოსკოვს, მის ძველ სახლებს, შაბოლოვკასა და იაკიმანკას, ბოჟედომკასა და ტაგანკას, ოსტაპენკასა და ვოლხონკას, ხამოვნიკსა და პრესნას... რომელი ერთი ჩამოვთვალო... ეს სახელები

ახლაც ტკბილად ჩამესმის ყურში, როგორც გარდასულ დღეთა დაუვიწყარი მოგონება.

მოსკოვის ქართული სათვისტომო

ჩემი სტუდენტობის დროს, რევოლუციამდელ რუსეთში ახალგაზრდებს შორის დიდი სახელით სარგებლობდა სტუდენტური ორგანიზაცია „სათვისტომო“, რომელიც ყველა ერის სტუდენტთა ენაზე „землячество“-ს სახელწოდებით იყო ცნობილი. ეს ორგანიზაცია თავს უყრიდა და აერთიანებდა რუსეთის სხვადასხვა კუთხიდან საუნივერსიტეტო ქალაქში ჩამოსულ ახალგაზრდებს, თვისტომ (земляки) თანამემამულეებთან დაახლოვების, ურთი-ერთობის, კულტურული და მატერიალური დახმარების მიზნით.

მოსკოვის უნივერსიტეტში „ზემლიაჩესტვოები“ უფრო იმ ქალაქების მიხედვით იყო ჩამოყალიბებული, სადაც ახალგაზრდობას დამთავრებული ჰქონდა გიმნაზიები, ხოლო ასეთი გიმნაზიები იმ დროს მხოლოდ დიდ საგუბერნიო ქალაქებში არსებობდა. ამიტომ სათვისტომოებიც იმ ქალაქების სახელწოდებებით იყო ორგანიზებული: Рязанское землячество, Орловское, Тверское, Тамбовское და ა.შ. ერთ დროს „Тифлисское землячество“-ც არსებობდა, სადაც გაერთიანებულნი იყვნენ თბილისის გიმნაზიის კურსდამთავრებული რუსი და სხვა ეროვნების წარმომადგენლები. ქართველები კი განურჩევლად იმისა, თუ რომელი ქალაქის გიმნაზიიდან იყვნენ ჩამოსულნი, ერთიანდებოდნენ ეროვნულ ორგანიზაციაში, რომელსაც “Грузинское землячество” ეწოდებოდა.

თბილისის სათვისტომოს ამ სახელწოდებით დიდხანს არ უარსებია. როგორც მახსოვს, მალე „Кавказское землячество“-ს სახელით გაერთიანდა. ამით თავის ორგანიზაციას მეტი ძალა და ღონე შემატა, ასპარეზი გაუფართოვა. ამ სათვისტომოში კავკასიის მთელი რიგი ქალაქების ყოფილი გიმნაზიელები იყრიდნენ თავს.

მოსკოვის უნივერსიტეტში კულტურულად თუ მატერიალურად ყველაზე ღონიერი ქართული სათვისტომო იყო, სადაც მარტო ქართველები იყვნენ გაერთიანებულნი, განურჩევლად იმისა, თუ რომელი ქალაქის გიმნაზიიდან იყვნენ ჩამოსულნი – მხოლოდ იმ პირობით, რომ მათ აუცილებლად ქართული ენა უნდა სცოდნოდათ, რადგან მის უცოდინარობას ხელი არ უნდა შეეშალა ეროვნულ სათვისტომოში მათი საქმიანობისათვის.

ქართველები, რომლებმაც ქართული ენა არ იცოდნენ უმეტეს წილად იმის გამო, რომ დაბადებულნი და აღზრდილნი საქართველოს ფარგლებს გარეთ იყვნენ, კავკასიის სათვისტომოში ერთიანდებოდნენ; მათ ჩვენთან თითქმის არავითარი ურთიერთობა არ ჰქონდათ, ამიტომ არც კი ვიცნობდით ერთიმეორეს. მაგალითად, ჩვენი ეროვნული გეოლოგიის ერთ ერთი ფუძემდებელი და დიდი მოამაგე აკადემიკოსი ალექსანდრე თვალჭრელიძე, რომელიც ჩემს დროს მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლობდა, მე მხოლოდ მეოთხე კურსზე გავიცანი და ისიც შემთხვევით. მან ქართული ენა სრულებით არ იცოდა. ფიზიკა მათემატიკის ფაკულტეტზე ფიზიკის დიდ აუდიტორიაში პროფესორ უმოვის ლექციაზე იურიდიული ფაკულტეტის რამდენიმე სტუდენტი ვიყავით. უმოვი იშვიათი ლექტორი გახლდათ და ცდებსაც საინტერესოდ ატარებდა; ამიტომ ხშირად ვისმენდით მის ლექციას. ეს მაშინ დაშვებული იყო და სტუდენტები

თავისუფლად ესწრებოდნენ ყველა ლექციას უნივერსიტეტის ნებისმიერ ფაკულტეტზე.

როცა ლექცია დამთავრდა და სტუდენტები ეზოში გამოვიდნენ, ერთმა სტუდენტმა სიით რამდენიმე ამხანაგის გვარი ამოიკითხა და მათ შორის „თვალჭრელიძე“. უცბად შევჩერდი, რადგან ეს გვარი მოსკოვში პირველად მესმოდა, იქაურ ქართველობას კი უკვე რამდენიმე წელიწადი იყო, რაც ვიცნობდი. ვინ უნდა ყოფილიყო ეს თვალჭრელიძე, ვერაფრით ვერ გავიხსენე, ამიტომ ვიკითხე: რომელი ბრძანდებით თვალჭრელიძე მეთქი?

- თვალჭრელიძეს კითხულობთ? – წარსდგა ჩემ წინ ერთი რუსი სტუდენტი, - მე გახლავართ, ხომ არაფერი გნებავთ?

თვალს არ ვუჯერებდი: ეს იყო ტიპიური რუსი სტუდენტი ქერა თმით, მშვიდი, ცისფერი და მეტად სანდომიანი თვალებით, ოქროს ჩარჩოიანი სათვალით. მის სახეს ახლად ამოსული წვერ ულვაში კიდევ უფრო მიმზიდველს ხდიდა.

ჩვენ გამოველაპარაკეთ ერთმანეთს; მე დიდი ინტერესი გამოვიჩინე მისდამი, რაც მას ძალზე ესიამოვნა. იგი აღმოჩნდა თვალჭრელიძეთა ცნობილი ოჯახის წარმომადგენელი რაჭის მაზრის სოფელ ცახიდან, იმ დროს საკმაოდ სახელმოხვეჭილი პოეტის პარმენ ცახელის ძმისწული. სტუდენტი თვალჭრელიძე ჩრდილოეთ კავკასიის ერთ-ერთ ქალაქში ყოფილა დაბადებული და აღზრდილი, სადაც მამამისი მსახურობდა თურმე; ამიტომ ერთი ღერი ქართულიც არ იცოდა, მით უფრო, რომ დედაც იქაური რუსი ჰყოლია. ალექსანდრე თვალჭრელიძე გეოლოგიას სწავლობდა და ღირსეულ სტუდენტად ითვლებოდა. მასაც გულით სურდა ქართველებთან დაახლოება. სტავროპოლიდან ჩამოსული სტუდენტი არავის არ იცნობდა, რადგან კავკასიის სათვისტომოში ქართველი თითქმის არავინ იყო.

იმ დღიდან ალექსანდრე თვალჭრელიძეს ხშირად ვხვდებოდი და ვმეგობრობდით კიდეც. ეს მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა თბილისში, სადაც იგი მოღვაწეობდა და დააარსა მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი.

ალ. თვალჭრელიძეს რაჭაშიც ხშირად ვხვდებოდი, სადაც სოფელ ღებთან მთებში, დიდ გეოლოგიურ საქმეებს ხელმძღვანელობდა. პატრიოტმა კაცმა ენერგიულად მოჰკიდა ხელი ქართული ენის შესწავლას, მაგრამ ქართულად მაინც ვერ ალაპარაკდა...

ჩვენთან არაქართული წარმოშობის სტუდენტებიც იყვნენ, მაგრამ მათ უცხო თესლ-ტომობისა უკვე აღარაფერი ეტყობოდათ, ქართველობდნენ და პატივს მიაგებდნენ ქართულ მიწას. ზოგიერთი მათგანი დედით ქართველიც კი იყო, ზოგს მხოლოდ გვარი შერჩენოდა არაქართული. ასეთები იყვნენ ქუთაისის მკვიდრნი: ფრიდრიხ გერარდი, ვანო მატიუხოვი, ვანო მისენკო, ფედია ჩუდეცკი, რუბენ აუშტროვი, ფრანგულიანი, ამირაგოვი და ალავერდოვი; თბილისელნი: კრუპენიკოვი მიშა, სანდრო შალიგინი, პოლუმორდვინოვი და სხვები... ამის გამო სათვისტომოში მუდამ ეროვნულთან შეზრდილი ინტერნაციონალური სულისკვეთება სუფევდა, რომელიც დიდ როლს ასრულებდა ახალგაზრდობის სულიერ და ზნეობრივ დავაჟკაცებაში. იქ სტუდენტები ერთ ოჯახად ცხოვრობდნენ, სადაც ეროვნულსა და სარწმუნოებრივ სხვადასხვაობას რაიმე მნიშვნელობა არ ენიჭებოდა. ეს სინამდვილეში ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან სათვისტომოს ერთ ერთი ძირითადი მიზანი ერთმანეთისადმი მატერიალური

დახმარება და პატივისცემა იყო, რასაც სულიერი ურთიერთობის დამყარებაც მოსდევდა თან.

როდესაც პირველად სათვისტომოს კრებაზე მივედი, თვალები ამიჭრელდა ამდენი ქართველი სტუდენტის ერთად დანახვით. ყველა ისეთი ლამაზი და ახოვანი იყო, გეგონებოდათ, საგანგებოდ არიან შერჩეულნიო. მათ უმეტესობას სახეს წვერ ულვაში უმშვენებდა. ისე წყნარად ისხდნენ კრებაზე, თითქოს უცხო და საპატიო ოჯახში მისულიყვნენ სტუმრად, თანაც დარბაისლურად ბაასობდნენ ზაფხულში გატარებულ დღეებზე. მაგრამ აი, ერთხელ როგორ აენთო ეს დინჯი კრებული, როცა საქმე ეროვნულ სიმს შეეხო და ჰაერში მისი მტკივნეული ჟღერა გაისმა.

საკითხი ეხებოდა სათვისტომოს სახელის შეცვლას, რაც თითქოს იმით იყო ნაკარნახევი, რომ „ქართული სათვისტომო“ სტუდენტთა ორგანიზაციას ეროვნულად ზღუდავდა და ხელს უშლიდა ქართული ენის არმცოდნე ან არაქართველი სტუდენტის ჩვენს წრეში შემოსვლას, მიუხედავად იმისა, რომ მას გიმნაზია საქართველოში დაემთავრებინა და ქართველ სტუდენტებთან სურდა მუშაობა.

ამ საკითხის ირგვლივ დიდი დავა ატყდა.

საქმე ისაა, რომ იმ დროს ყოველივე „ეროვნული“ „რევოლუციისა“ თუ „პროლეტარულისათვის“ ხელის შემშლელად ითვლებოდა, ამიტომ ბევრი ცდილობდა ეროვნული საკითხებისადმი მტრულად თუ არა, ნიჰილისტურად მაინც ყოფილიყო განწყობილი. ამ ულტრამემარცხენეებს ხსენებულ საკითხში ლიდერობდნენ ძველი სტუდენტები: ევგენი გეგეჭკორი - შემდეგში ულტრანაციონალისტი, მენშევიკური მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი; გიორგი კონიაშვილი – შემდეგში მათემატიკის მასწავლებელი, შესანიშნავი ადამიანი და კარგი ქართველი; ანდრო ტატიშვილი, გიზო ანჯაფარიძე, ვ. ნემსაძე, სამსონ წუწუნავა, სიო ჭანტურიშვილი და სხვები. მაგრამ კრების უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა მათ. განსაკუთრებით ცხარედ შეებრძოლა მათ სტუდენტი სილოვან გაბუნია, რომელიც ამტკიცებდა, რომ არაქართველთა მასიური გაერთიანება ქართულ სათვისტომოში მარტო იმ მოსაზრებით, რომ მათ გიმნაზიები საქართველოში დაემთავრებინათ, მიზანშეწონილი არ იყო და ხელს შეუშლიდა სათვისტომოს მუშაობას წმინდა ეროვნულ, კულტურულ საგანმანათლებლო და იდეურ-პოლიტიკურ საკითხებში, სტუდენტთა ეროვნულ ნიადაგზე გაერთიანებას და მათი ეროვნული საკითხებით დაინტერესებას. სათვისტომო დაკარგავდა თავის ეროვნულ სახეს და მთლად გაითქვიფებოდა, რაც არავისთვის არ იყო საჭირო, მით უფრო საზიანო იქნებოდა ქართველთათვის. სილოვან გაბუნიას მხარი დაუჭირეს სტუდენტებმა, რომლებმაც მძაფრი კრიტიკით გაილაშქრეს ანტიეროვნული საკითხების წინააღმდეგ. მათ შორის იყვნენ გიორგი ჟორდანია, გიორგი ფორაქიშვილი, სევერიან ღოღობერიძე და სხვები.

ერთი სიტყვით, წინადადება არ გავიდა და სათვისტომო კვლავ იმავე სახელწოდებით დარჩა.

სილოვან გაბუნია კოლორიტული ფიგურა იყო მოსკოვის ქართველ სტუდენტთა შორის.

იმ წელს, როცა მე მოსკოვში ჩავედი, სილოვანი უკვე ძველი სტუდენტი გახლდათ. 1902 წელს, ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, ის მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შესულიყო, მაგრამ კურსის

დამთავრებაზე სულაც არ ზრუნავდა, იმდენად იყო დაკავებული ქართული სათვისტომოს საზოგადოებრივი საქმიანობითა და სტუდენტთა საერთო რევოლუციური მუშაობით. ის ამასთანავე „მოსკოვის ქართული საზოგადოების“ აქტიური წევრი, მრავალ წამოწყებათა სულისჩამდგმელ-ხელმძღვანელიც იყო, ამიტომ უნივერსიტეტში გამოცდების ჩაბარებისათვის არ ეცალა. აქ მას ხელს უწყობდა უნივერსიტეტში იმ დროს არსებული სწავლის ე. წ. „предметная“ სისტემა: სტუდენტი ჩაეწერებოდა ლექციებზე, რაც აუცილებლად უნდა მოესმინა წლის განმავლობაში, მაგრამ დაესწრებოდა თუ არა ამ ლექციებს, ეს მისი საქმე იყო, მთავარია, გამოცდები და კოლოქვიუმები ჩაებარებინა ამ საგნებში. გამოცდის ვადებიც სტუდენტის სურვილზე იყო დამოკიდებული და ისე გაეპარებოდა ხოლმე დრო, საგნების ჩაბარება ძალაუნებურად უნდა გადაედო. წარმოიდგინეთ, არც ამისათვის მოგთხოვდნენ პასუხს, რადგან კურსიდან კურსზე გადასვლა არ ხდებოდა; მხოლოდ იმ ლექციების მოსმენა იყო საჭირო, რომელიც საერთო კურსს შეადგენდა, უფრო კი ლექციების ჩაწერა; ეს ლექციები ისე იყო განაწილებული, რომ სტუდენტს ოთხი წლის განმავლობაში შეეძლო მათი მოსმენა - ყოველ წელიწადს გარკვეული რაოდენობის საათები. თუ სხვადასხვა მოსაზრებით ნაკლებ ლექციას ჩაიწერდი, ამაზეც არავინ მოგთხოვდა პასუხს, მაგრამ კურსის დამთავრებისათვის ოთხი წელიწადი უკვე აღარ გეყოფოდა. იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სტუდენტები, პირიქით, - 4 წელზე უფრო ადრე ამთავრებდნენ უნივერსიტეტს. ასე მოიქცა, მაგალითად, ჩემი უმცროსი ძმა ალექსანდრე, რომელიც 1913 წელს ჩავიდა მოსკოვს, სამი წლის განმავლობაში იურიდიულ ფაკულტეტზე ჩააბარა ყველა სავალდებულო საკურსო საგანი, 1916 წელს კი სახელმწიფო გამოცდებიც მოათავა. ოღონდ სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების უფლების მისაღებად პეტერბურგში განათლების მინისტრთან დაჭირდა წასვლა.

ესეც სავსებით თქვენს ნებაზე იყო დამოკიდებული და ამის გამო არავინ არ დაგიწყებდათ დავას. შეგეძლოთ თუნდ ათი წელიწადიც დარჩენილიყავით უნივერსიტეტში, თუკი წესიერად გადაიხდიდით სწავლის ფულს, რომელიც წელიწადში ას მანეთს შეადგენდა. მაგრამ ვერც ეს გარემოება აშინებდა სტუდენტს, რადგან ის ხშირად თავისუფლდებოდა გადასახადიდან, თუ სათანადო განცხადებას შეიტანდა „სტუდენტთა დამხმარე კომიტეტში“ ან თვით უნივერსიტეტის რექტორატში და თან ქართული სათვისტომოს შუამავლობასაც დაიხმარდა, რექტორატში კი ყოველ შობა ახალწელს ზოგიერთ მოსკოველ ბობოლა ვაჭარს ათასობით და ხშირად ათიათასობითაც მოჰქონდა შემოწირულობა „ღარიბ სტუდენტთა სწავლის ფულისაგან გასათავისუფლებლად („от неизвестных“). მე არ მახსოვს, რომ რომელიმე ქართველი სტუდენტი სწავლის ფულის შეუტანლობის გამო უნივერსიტეტის გარეთ დარჩენილიყო.

უთუოდ ამ მიზეზის გამო დარჩა სილოვანი უნივერსიტეტში ასე დიდხანს. მხოლოდ 1910 წელს შეძლო მისი დამთავრება და დიდად გულდაწყვეტილმა დატოვა მოსკოვი, რომელსაც ასე მიეჩვია მთელი რვა წლის განმავლობაში.

სილოვანი დიდი დემოკრატი იყო: მთელი გულითა და სულით, სიყვარულითა და მონდომებით ეხმარებოდა ახალგაზრდა სტუდენტობას. და ამ დახმარებას თავის სულიერ მოთხოვნილებად და პატრიოტულ მოვალეობად მიიჩნევდა.

1908 წელს, აკაკის წინასაიუბილეო დღეებში, ქართულმა სათვისტომომ, პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების გაშუქების მიზნით, საგანგებო ლიტერატურული საღამოს მოწყობა განიზრახა. ამასთანავე საჭიროდ ცნო მგოსნის ლექსთა კრებულის რუსულ ენაზე გამოცემა, რომელიც ადრე დაბეჭდილი კი იყო, მაგრამ უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენდა. როგორც მოველოდით, ამ საკითხის მოგვარება სათვისტომომ სილოვან გაბუნიას მიანდო. სილოვანმა ამ საქმეში მე და ჩემი ძმაც ჩაგვაბა და, მიუხედავად ჩვენი მრავალი მცდელობისა, სხვადასხვა ჟურნალ გაზეთებიდან მხოლოდ ათიოდე ლექსის მოძიება თუ შევძელით. წიგნის გამოსაცემად კი ეს ნამდვილად არ კმაროდა. სილოვანმა საჭიროდ მიიჩნია მე და გრიშას აკაკის რუსულად უთარგმნელი ლექსების ბწკარედები გაგვეკეთებინა, რათა მერე რომელიმე რუსი პოეტისთვის გვეთარგმნინებინა. მალე ამ დავალების მოსაგვარებლად, სილოვანთან ერთად, სტოლეშნიკოვის შესახვევში, საერთო მეგობარს - ვლადიმერ ალექსის ძე გილიაროვსკის ოჯახში ვეწვიეთ. ვლადიმერ ალექსის ძე – შესანიშნავი ადამიანი, პოეტი, ჟურნალისტი, სპორტსმენი, დიდად პოპულარული გახლდათ მოსკოველთა შორის. მასპინძლის მეუღლე და იმ დროს ქალთა გიმნაზიის მოწაფე – მათი ერთადერთი ქალიშვილი ნადეჟდა გილიაროვსკაია გულღიად შეგვხვდნენ, გაგვიმასპინძლდნენ.

ვლადიმერმა დიდ პატივისცემად ჩათვალა ჩვენი თხოვნა, ეთარგმნა აკაკის ლექსები და ამის გამო დიდი მადლობაც უთხრა თავის ძველ მეგობარს სილოვანს. აკაკის ის იცნობდა, როგორც დიდ პოეტსა და ქართველი ერის ერთ-ერთ თვალსაჩინო მოღვაწეს.

რამდენიმე ლექსი თარგმნეს ვლადიმერმა და მისმა ქალიშვილმა ნადეჟდამ, მათ შორის „საიდუმლო ბარათი“, „სანამ ვიყავ ახალგაზრდა“, „თავო ჩემო“, „ნახევარი ცხოვრების გზა გავლილ“ და სხვა, რაც სილოვანმა აკაკის უკვე შეკრებილ ლექსებს მიუმატა და მომავალი წიგნის მაკეტიც გააკეთა.

გილიაროვსკებთან ორჯერ სამჯერ კიდევ დაგვჭირდა შევლა, რომ მთარგმნელებს ჩვენგან ქართული ორიგინალის მუსიკალური ჟღერადობა მოესმინათ, რათა რიტმი შეედარებინათ მათ მიერ თარგმნილი მასალისათვის. შემდეგ სათვისტომომ მიიღო მომავალი წიგნის საჭირო მასალა, რომელსაც დაერთო პროფ. ალ.ხახანაშვილის მშვენიერი წინასიტყვაობა და აკაკის საღამოსათვის წიგნიც უკვე მზად იყო. რაღაც იღბლად იმ წიგნის ერთი ეგზემპლიარი დღემდე შემომრჩა. ის ახლა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. ამიტომ ზოგიერთი დამატებითი ცნობა კიდევ მინდა მოგაწოდოთ მის შესახებ: წიგნის ზომაა 20x15 სმ. ყდაზე ასეა დაბეჭდილი: „Грузинский поэт кн. Акакий Церетели. Избранные стихотворения в переводе русских поэтов. (К пятидесятилетию литературной деятельности). С предисловием А. С. Хаханова. Издание студентов-грузин в Москве, №1, Москва, 1908 г.“

წიგნში მოთავსებულია აკაკის პორტრეტი და 19 ლექსი. როგორც ზემოთ ვწერდი, შვიდი გილიაროვსკების მიერ არის თარგმნილი. სათვისტომოს გამგეობამ სპეციალური დადგენილებით მადლობა გამოუცხადა სილოვან გაბუნიას დავალების ბრწყინვალედ შესრულებისათვის.

აკაკის იუბილე მოსკოვში იმავე სათვისტომოს მიერ გრანდიოზულად ჩატარდა. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ იგი შედგა უნივერსიტეტის დიდ სააქტო დარბაზში, რომელიც საუცხოოდ, სადღესასწაულოდ იყო მორთული, კედელს აკაკის დიდი სურათი ამშვენებდა. სათვისტომო შეეცადა ზეიმისათვის მეტი

ბრწყინვალება მიენიჭებინა, რისთვისაც საღამოზე დასასწრებად დიდძალი ხალხი მოიწვია, უმთავრესად მწერლები და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწენი. ლიტერატურული საღამოს თავმჯდომარედ ტაშის გრიალში ერთხმად აირჩიეს მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი პ.ნ.საკულინი, მეტად პოპულარული ლექტორი და რუსული ლიტერატურის დიდი სპეციალისტი. მან ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ქართველი პოეტის უდიდესი მნიშვნელობის შესახებ როგორც მისი ერის, ასევე, საზოგადოდ, კულტურის ისტორიაში. ასევე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა პროფ. ალ.ხახანაშვილი, შემდეგ კომპოზიტორი დიმიტრი არაყიშვილი. საღამოზე მხურვალე სიტყვები წარმოთქვეს აქტიურმა სტუდენტებმაც: კოტე ფანიაშვილმა, სიკო ვაჩნაძემ, გრიგოლ ცხაკაიამ, გიორგი ჟორდანიამ და სხვებმა. იყო მისალოცი დეპეშებიც, მათ შორის უნივერსიტეტის რექტორის ა.ა.მანუილოვისა. საღამო ჩვეულებრივ კონცერტით დამთავრდა. მღეროდა ქართული გუნდიც, რომელსაც ლოტბარობდა სტუდენტი დიმიტრი მგალობლიშვილი. სტუდენტმა ილიკო აბაშიძემ ჩელოზე შეასრულა ქართული რომანსები. წაიკითხეს აკაკის ლექსები როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზე.

ერთი სიტყვით, აკაკის იუბილე მეტად გულთბილად და ჩინებულად ჩატარდა. იუბილარს სათვისტომოს მთელი ქართველი სტუდენტობისა და დამსწრე რუსი საზოგადოების სახელით მისალოცი დეპეშა გაეგზავნა, რომელსაც პროფესორი საკულინი აწერდა ხელს.

მეორე დღეს, აკაკის საიუბილეო საღამო უკვე მოსკოვის „სალიტერატურო სამხატვრო წრეში“ გაიმართა, რომელსაც ალ.სუმბათაშვილ იუჟინი და პოეტი ვალერი ბრიუსოვი მეთაურობდნენ. აქაც დიდი იყო საზეიმო განწყობა, მაგრამ ეს ჩვენი სათვისტომოს მუშაობას არ შეეხება და ამიტომ აქ აღარ შევჩერდები.

აღვნიშნე უკვე, რომ სათვისტომოები უნივერსიტეტში პირველ რიგში სტუდენტთა მატერიალური დახმარების საქმეს ემსახურებოდნენ და მათი უმრავლესობა მხარისა თუ ქალაქის მიხედვით იყო ორგანიზებული. ქართული სათვისტომო კი ეროვნულობის ნიშნით იყო შექმნილი, რის გამოც ის ერთგვარი წარმომადგენელიც იყო თავისი ერისა როგორც უნივერსიტეტის ფარგლებში, ისე მის გარეთ. თუ ეროვნული ინტერესები უკარნახებდა, სათვისტომო ხშირად ეხმაურებოდა უნივერსიტეტის გარეთ მიმდინარე კულტურულ, პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენებს და სათანადო მონაწილეობასაც იღებდა. ამ მიმართებით ჩვენს სათვისტომოს არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩაუტარებია, სადაც მეც ვმონაწილეობდი. მარტო ის რად ღირს, რომ სათვისტომომ 1910 წლის შემოდგომის ყინვიან დღეებში გენიალური მწერლისა და დიდი მეამბოხის ლევ ტოლსტოის დაკრძალვის ცერემონიალში მიიღო მონაწილეობა.

1907 წელს მოსკოვში ჩატარდა გამოჩენილი მსახიობისა და მწერლის ალექსანდრე სუმბათაშვილ იუჟინის თეატრალური მოღვაწეობის 25 წლის იუბილე. სათვისტომო ფართოდ გამოეხმაურა ამ მოვლენას, სპეციალურ სხდომაზე ერთხმად დაადგინა იუბილეზე დელეგაციის გაგზავნა და იუბილარისათვის ადრესის მირთმევა. ვინაიდან დელეგატები სპექტაკლს უნდა დასწრებოდნენ, ხოლო ბილეთების რაოდენობა შეზღუდული იყო, დელეგაციაში მხოლოდ სამი წევრი აგვირჩიეს – მე, ჩემი ძმა გრიშა და ძველი სტუდენტი სევერიან ღოღობერძე.

მცირე თეატრი, რომ იტყვიან, ხალხით იყო „გაჯეჯგილი“. მიდიოდა „ოტელო“, რომელსაც თამაშობდა იუბილარი, დეზდემონას როლს კი ცნობილი მსახიობი ქალი – გზოვსკაია ასრულებდა.

მილოცვები პირველი თუ მეორე მოქმედების შემდეგ დაიწყო. ფარდა რომ აიხადა, მაყურებელს იშვიათი სურათი წარმოუდგა. თეატრის მთელი შემადგენლობა სცენაზე გამოფენილიყო, ზოგი გრიმით, ზოგი უგრიმოდ. ა.ი.სუმბათაშვილ-იუჟინი ოტელოს გრიმით გახლდათ. იყო დაუსრულებელი ტაში. დელეგაცია დელეგაციას ცვლიდა. სიტყვებს ბოლო არ უჩანდა. მიჰქონდათ საჩუქრები. ვისგან არ მოდიოდა მოლოცვა! ცნობილმა ფრანგმა მოქანდაკემ როდენმა თავისი ნამუშევარი გამოუგზავნა, ლევ ტოლსტოიმ – თხზულებათა კრებული, რომელსაც მადლიერი იუბილარი მოწიწებით ეამბორა.

საქართველოს დელეგაციას ქულაჯაში გამოწყობილი მსახიობი კოტე მესხი მეთაურობდა. დიდი ოვაცია გამოიწვია მისმა სიტყვამ. მან კარგად წაიკითხა ერთ ერთი რუსი პოეტის ლექსი, საკუთარი სიტყვა კი ასე დაასრულა: „...Пусть никто не скажет, что ты изменил родной сцене, ибо твоя „Измена“ исключает всякую измену!...“

გრიგალივით მოსწყდა ტაში დარბაზს...

ჩვენი გამოსვლაც მშვენივრად დასრულდა. სევერიანემ მთელი გზნებით წაიკითხა საკმაოდ მოზრდილი ადრესი ჩვენი სათვისტომოსი. მე და გრიშა ერთნაირ ჩოხა ახალუხში გამოწყობილნი აქეთ-იქით ვედექით მას. დარბაზი გაკვირვებით მოგვჩერებოდა სამეულს, რომელთაგან ორი მთლად ერთნაირი იყო, მესამე კი - სტუდენტურ სერთუკში გამოწყობილი ახოვანი ახალგაზრდა, რომლის ლამაზ სახეს ღია წაბლისფერი წვერ-ულვაში ამშვენებდა. ტაშის გრიალი ჩვენც უხვად გვერგო და დიდხანს არ ცხრებოდა იგი. ყველგან ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს ქება ისმოდა. ჩანდა, კარგი შთაბეჭდილება მოვახდინეთ მაყურებელზე. გაზეთები ფართოდ გამოეხმაურნენ ა.სუმბათაშვილ-იუჟინის იუბილეს; ერთერთ მათგანში ასეთი მეგობრული შარჟიც იყო მოთავსებული: უზარმაზარი იუჟინი – ოტელოს როლში და ჩიტივით ფრთხიალა პატარა გზოვსკაია – დეზდემონას როლში. შარჟის ტექსტი დაახლოებით ასეთი იყო: „Отелло Южина, или шашлык из Гзовской“. „შაშლიკის“ თემა მხატვარს შეიძლება იმანაც უკარნახა, რომ იუჟინის „იუბილე“ იმ ღამეს გაგრძელდა დემეტრაძის რესტორანში, სადაც საქართველოდან ჩამოსულმა დელეგატებმა, და განსაკუთრებით კოტე მესხმა, პირდაპირ მოხიბლეს ამ დიდ ბანკეტზე მყოფი საზოგადოება. მცირე თეატრის ცნობილმა მსახიობმა კ.რიბაკოვმა ყველას მისამართით გაიხუმრა: დღეიდან მე კონსტანტინ რიბაკოვი აღარა ვარ, ყველამ კოტე თევზაძე მიწოდეთო...

ალ.სუმბათაშვილ იუჟინი დიდი პოპულარობით სარგებლობდა მოსკოვში. გარდა იმისა, რომ მცირე თეატრის წამყვანი მსახიობი და ცნობილი მწერალი დრამატურგი იყო, იშვიათი გარეგნობის ახოვანი ვაჟკაცი და ნამდვილი მჭევრმეტყველიც გახლდათ.

ერთხელ, ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისადმი მიძღვნილ საღამოზე მან მეტად ამაღელვებელი სიტყვა წარმოთქვა, და მერე ლექსიც დააყოლა: „С тех пор как я полюбил, о Грузия родная“. ეს იმდენად გრძნობით იყო ნათქვამი, რომ ცრემლები მოადგა და ჩვენც ძალზე აგვაღელვა.

ქართული ზერელედ იცოდა და, მიუხედავად იმისა, რომ გიმნაზია თბილისში ჰქონდა დამთავრებული, ლაპარაკი არ ეხერხებოდა. მახსოვს,

ნინოობის სადღესასწაულო ბანკეტზე, სადაც ქართველობა იყო თავშეყრილი და სტუდენტებიც ვესწრებოდით, სთხოვეს ქართულად წარმოეთქვა სიტყვა, დაიწყო კიდეც, მაგრამ აზრების გამოთქმა იმდენად უჭირდა, რომ ბოდიში მოიხადა და ისევ რუსულზე გადავიდა. ძალიან უყვარდა რუსულად თარგმნილი ქართული ლექსების კითხვა. ისიც მახსოვს, თუ რა იშვიათი გრძნობით წაიკითხა აკაკის „Улыбка“, („Когда я окружен “).

ასეთივე აქტიური მონაწილეობა მიიღო ქართულმა სათვისტომომ მოსკოვის სამხატვრო თეატრის 10 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოში 1908 წელს. ადრესის შედგენა სათვისტომომ სტუდენტებს – სილოვან გაბუნიას და მიხეილ დავითაშვილს დაავალა, რაც ორთავემ დროულად და კარგად შეასრულა. სილოვანი მშვენიერი მჭერმეტყველი გახლდათ და ამასთანავე რუსულ ენასაც ჩინებულად ფლობდა, ემარჯვებოდა სიტყვის წარმოთქმა, გალამაზება.

მაგრამ მალე მათ თავიანთი გამოსვლის ლექსად ჩამოყალიბება მოინდომეს და საკუთარ თავს რომ ვერ ენდვნენ, დახმარებისათვის ისევ ჩვენს მეგობარ პოეტ ქალს ნადეჟდა ვლადიმერის ასულ გილიაროვსკაიას მიმართეს. ლექსი მართლაც კარგი გამოვიდა. იგი სულ ხუთი სტროფისაგან შედგებოდა და სათაურად ასეთი სიტყვები ჰქონდა: „От Московского Грузинского студенческого землячества. Московскому Художественному театру по поводу 10-летнего юбилея. 14 октября 1908 года.

Мы – дети Грузии далекой
От всей души приносим Вам
Поклон почтительный, глубокий
Искусства славного жрецам.
Вы храм воздвигли совершенный,
Вы жизнь на сцену принесли,
И новый жертвенник священный
Рукою смелою зажгли.
И верим мы, - тот факел ясный,
Что ярко здесь, в Москве горит.
Наш юг свободный, юг прекрасный
Отчизну нашу озарит.
Цветущей Грузии долины,
Алмазы цепи снеговой
Блестящих ледников равнины
Бездонных пропастей покой.
Потоки бурные, обвалы,
Орлов заоблачных приют,
Туман седой, седые горы
Вам через нас поклон свой шлют. “

ეს ლექსი თვითონ მიხეილ დავითაშვილმა გადმომცა ჯერ კიდევ 30 იან წლებში. იგი მისივე ხელით იყო დაწერილი და პატარა შენიშვნებიც ერთვოდა იმის თაობაზე, თუ ვინ შეადგინა ეს ლექსი და ვინ წაიკითხა იუბილეზე. მიხეილი გარდაცვალებამდე თბილისში, საავადმყოფოში, მთავარ ექიმად მუშაობდა.

შემონახული მქონდა კოტე მესხის მიერ სუმბათაშვილ იუჟინის იუბილეზე წარმოთქმული ლექსიც, მაგრამ, სამწუხაროდ, ვეღარ ვიპოვე. ის ლექსი დიდი მოწონებით სარგებლობდა ჩვენს სტუდენტობაში და, მერეც, არაერთხელ

მიუმართავთ მისთვის სხვადასხვა საჭიროების დროს. ერთხელ, 1916 წელს, როცა ფოთში ვმუშაობდი, ასეთი დეპეშა მომივიდა: „Телеграфируй стихотворение юбилей Сумбатова. По крайней мере куплет „Ревнуя“. Силован“.

ეს სილოვან გაბუნიას დეპეშა იყო თბილისიდან, სადაც იგი იმავე მონდომებით განაგრძობდა სასარგებლო მოღვაწეობას და, ალბათ, რაღაც საქმეზე დასჭირდა აღნიშნული ლექსი. მეც სიამოვნებით ვუდეპეშე ლექსის ის სტრიქონები, რაც ზეპირად მახსოვდა.

სილოვანი თბილისის ერთ-ერთ ადვოკატურაში მუშაობდა და დიდ დახმარებას უწევდა მისი კუთხიდან ჩამოსულ გლეხებს სასამართლოს საქმეებში. გარდაიცვალა 40 იან წლებში ისე, რომ დაოჯახებაც ვერ მოასწრო. პირადი საქმისათვის ვერ მოიცალა ამ ყოვლად უანგარო ადამიანმა; კუპლეტი, რომელსაც ის მოითხოვდა, მხოლოდ ნაწილობრივ მახსოვს: „И Грузия, любя, ревнуя, шлёт привет.“

ქართული სათვისტომოს მიერ იუბილეზე გაგზავნილ დელეგაციაში სამი სტუდენტი შევდიოდით: დავით გაგუა, აკაკი ფაღავა და მე. ლექსი დავით გაგუამ წაიკითხა და შესანიშნავადაც, მაგრამ იმის გამო, რომ ჩვენამდე სულ რაღაც ნახევარი საათის წინ თეატრს შალიაპინმა მიულოცა და უმღერა, თითქოს ჩვენ რაღა უნდა გამოვჩენილიყავით. თუმცა, მიუხედავად ამისა, ლექსის ლამაზმა შინაარსმა მოხიბლა მსმენელები და ნამდვილი ფურორი მოვახდინეთ, რასაც ადასტურებდა გაზეთ „Утро России“-ს საიუბილეო რეპორტაჟში მოთავსებული ლამაზი „კომპლიმენტი“: „Студенты-грузины, - ეწერა იქ, - прислали делегацию из прекрасных представителей своей прекрасной нации.“ ეს, რა თქმა უნდა, სასიხარულო იყო სტუდენტებისათვის და ჩვენც ვცდილობდით კიდევ უფრო გაგვეთქვა საქართველოსათვის სახელი.

სპექტაკლის დამთავრების შემდეგ მიგვიწვიეს კაბარეში რომელსაც „ლეტუჩაია მიშ“ ეწოდებოდა. ის, მგონი, იმავე სამხატვრო თეატრს ეკუთვნოდა. საღამო ძალზე მხიარულად ჩატარდა. იგი მიჰყავდა იმავე თეატრის მეტად ნიჭიერ მსახიობს–ბალიევს, წარმოშობით ვგონებ თბილისელ სომეხს, შესანიშნავი გარეგნობისა და მახვილი ენის პატრონს. ყოველი მისი სიტყვა დიდ მხიარულებასა და ხარხარს იწვევდა. ლიტველი პოეტი და ლიტერატორი ბალტრუშაიტისი პატარა ლექსით გამოვიდა და მხურვალე ტაშიც დაიმსახურა. სუფრასთან რომ იჯდა, ბალიევმა ხმამაღლა მოგვმართა: “Дорогие гости, не стесняйтесь, балтрушайтесь на здоровье!“.. ბალტრუშაიტისი მორიდებული და მორცხვი ახალგაზრდა იყო და, როცა მისი გვარი სახუმაროდ გამოიყენეს, მან კიდევ უფრო დაირცხვინა.

ამგვარად, ჩვენი სათვისტომო მოსკოვის უნივერსიტეტში საქართველოს „სრულუფლებიან ელჩს“ წარმოადგენდა. იგი არ ჰგავდა „ქართველთა საზოგადოებას“, რომლის წევრები უკვე სწავლადამთავრებულნი და მუშაობაში ჩაბმულნი იყვნენ.

ქართული სათვისტომო მშობლიური მზრუნველობის ერთგვარ მადლსაც გვაზიარებდა და გვასწავლიდა საკუთარი ერის სიყვარულს, სხვა ხალხთა პატივისცემასაც გვინერგავდა, აკაკის ლექსის სტრიქონებისა არ იყოს: „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე – მთელი ქვეყანა“. ეს გვმატებდა სულიერ სიმაღლეს, სიდარბაისლესა და კეთილშობილებას. ამიტომაც ქართველის სახელს თვალისჩინივით ვუფრთხილდებოდით და ვცდილობდით უცხო ხალხში და ქვეყანაში არ შეგვებღალა ჩვენი ერის ავტორიტეტი და ღირსება.

მე და ჩემმა ძმამ ქართული მხატვრული პროზის ნიმუშების თარგმნა რომ გადავწყვიტეთ, რაღაც იდუმალი ბიძგი სათვისტომოდანაც მოდიოდა. მარტო ის რად ღირდა, რომ სათვისტომო სტუდენტთა შორის ნამდვილ მეგობრულ ურთიერთობას და ძმურ კავშირს განამტკიცებდა, ქმნიდა ერთსულოვან ოჯახს. რასაკვირველია გამონაკლისის სახით ერთეული „ჩავარდნებიც“ იყო ხოლმე. ერთხელ სათვისტომოს კრებაზე (არ მახსოვს რა საკითხის გამო) სილოვან გაბუნიასა და შალვა მესხიშვილს შორის „მაგარი შეტაკება“ მოხდა. სილოვანმა დუელში გამოიწვია შალვა, ძლივს დააშოშმინეს ისინი. მახსოვს, კარიკატურაც დავხატე ამ თემაზე. კრების თავმჯდომარე ლეო ნათაძე იყო.

სათვისტომო ქართულ საღამო-კონცერტებსაც მართავდა, რომელიც შემოსავლის წყაროც იყო და ეროვნული შეფერილობის ჩვენი შესაძლებლობების, უნარის, ნიჭის დემონსტრირებაც. 1906 წელს, როცა მე მოსკოვში ჩავედი, სათვისტომომ უკვე რიცხვით ოცდამეორე „ტრადიციული ქართული საღამო“ მოაწყო. საღამო ალ. სუმბათაშვილ იუჟინის სახელით იმართებოდა: „XXII традиционный Грузинский вечер устраиваемый кн. Сумбатовым-Южиным во всех залах Благородного Собрания“ - გვაუწყებდა აფიშა. ბილეთები უცბად საღდებოდა, რომლის ნაწილი საპატიო პირთათვის ინახებოდა. ამ ბილეთებს მოსაწვევ ბარათებთან ერთად განსაკუთრებულად პატივსაცემ პროფესორებს მივუტანდით ხოლმე: რექტორ მანუილოვს, პრორექტორებს: მენზბირს, კლიუჩევსკის, უმოვს, ლებედევს, კაბლუკოვსა და ა.შ. აგრეთვე ქალაქის თავს და ბობოლა კომერსანტებს, რომლებიც დიდ პატივად მიიჩნევდნენ „თავად სუმბატოვ-იუჟინის“ მიერ მირთმეულ მოსაწვევ ბარათს და ხშირად დიდ ფულსაც იძლეოდნენ ხოლმე. ეს იყო მათი წვლილი ქართველ სტუდენტთა დახმარების ფონდისათვის. თვითონ ალ.სუმბათაშვილ-იუჟინს, მიუხედავად იმისა, რომ საღამოს მომწყობი იყო, სათვისტომოს სალაროში თავის მხრივ ყოველთვის შემოჰქონდა 100 მანეთი.

იმავე 1906 წლის კონცერტზე თ.ი.შალიაპინსაც ვთხოვეთ მონაწილეობა და, მიუხედავად იმისა, რომ მას ძალზე არ უყვარდა საქველმოქმედო საღამოებზე გამოსვლა, მაინც დაგვთანხმდა და, როცა აფიშაზე მისი სახელი იხილეს, ზღვა ხალხი მოგვაწყდა. მაშინ საერთო შემოსავალმა შვიდი ათასამდე მიაღწია. მართალია, გასავალიც დიდი იყო, მაგრამ სალაროში თანხა იმდენი დარჩა, რამდენიც მანამდე, თურმე, არასდროს ყოფილა.

ქართული საღამოები დიდი ზეიმისა და აღფრთოვანების ვითარებაში ტარდებოდა. აუარებელი ხალხი ესწრებოდა და მუდამ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა.

„კეთილშობილთა საკრებულოს“ (დღეს პროფკავშირების სვეტებიანი სახლი) ვრცელი და ფეშენებელური დარბაზები სავსე იყო ელეგანტური ადამიანებით. სცენაზე გამოდიოდნენ ცნობილი მსახიობები, ქართველ სტუდენტთა თვითმოქმედ მომღერალთა გუნდები. დამსწრენი ეცნობოდნენ ქართულ სამყაროს, და, რაც მთავრია, ქართველ სტუდენტებს, რომლებიც ამართლებდნენ იმ კარგ შთაბეჭდილებას, რაც მათზე ჰქონდათ. ჩვენც ვეცნობოდით იქ მოსულ რუს ახალგაზრდებს და ჩვენს ურთიერთდამოკიდებულებაში მტკიცდებოდა ნამდვილი მეგობრობის გრძნობა.

ეს საღამოები იმითაც იყო აღსანიშნავი, რომ თავს უყრიდა მოსკოვის მთელ ქართველობას: მუშა იყო ის თუ ინტელიგენტი, მოსწავლე თუ მოსამსახურე,

ისინი ხვდებოდნენ თანამემამულე სტუდენტებს, ამყარებდნენ მათთან მეგობრულ, ძმურ და საქმიან კავშირს.

ქართულ საღამოებზე არაერთხელ მინახავს ხანში შესული მამაკაცი ჯიბილო ლორთქიფანიძე, რომელიც მოურავად მუშაობდა მოსკოვის ახლოს ზვენიგოროდის მაზრაში, სადაც ოლღა გრუზინსკაიას იქაურ მამულებს განაგებდა. არ შეიძლებოდა დაჰკლებოდა იგი ქართულ საღამოებს და არ დაემშვენებინა თავისი იშვიათი გარეგნობითა და ძველი ქართული ყურთმაჯებიანი ჩოხა ახალუხით. იშვიათი შესახედაობის ვაჟკაცი იყო, მაღალი, მხარბეჭიანი, ტანწერწეტა და ლამაზი, წაბლისფერი, ჭაღარაშერეული წვერ ულვაშითა და სწორი, მიმზიდველი კლასიკური სახის ნაკვთებით. ამ კაცს ერთი ნაკლი ჰქონდა: 25 წელი ცხოვრობდა რუსეთში და ხეირიანი რუსული ლაპარაკი ვერ ესწავლა, ისეთი, როგორიც მის არისტოკრატულ გარეგნობას შეეფერებოდა. რა კარგი იქნებოდა, ჯიბილო, მუნჯი რომ ყოფილიყავი, - უთხრა ერთხელ ხუმრობით მისმა ერთმა მეგობარმა ამის გამო.

ერთი იშვიათი ქართველიც მახსოვს ჩვენს საღამოზე. არ ვიცი, რა მიზეზით, ან რა მიზნით იყო იგი მოსკოვში ჩამოსული, მაგრამ ხალხის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ეს ნამდვილი გოლიათი დაინახა. ჯიბილოსთან ვერ მოვიდოდა, მაგრამ სხვაფრივ იშვიათი ვაჟკაცი იყო. ხალხში რომ დავინახე, მეგონა, მხრებზე აყვანილი მოჰყავთ მეთქი. ეს ლეჩხუმელი აზნაური ვაღურია ჩიქოვანი იყო.

იმავე ქართულ საღამოზე სხვა უცნობ ქართველთა შორის მე და გრიშამ ერთი ახალგაზრდა ოფიცერი არსენ ლომაძეც გავიცანით. იგი ლამაზი, შავთვალწარბა და მოხდენილი ტანის ახალგაზრდა იყო, ულანთა ოფიცრის ფორმა კიდევ უფრო ალამაზებდა და ამშვენებდა მას. რამდენიმე ხნის შემდეგ არსენი მე და გრიშას შინ გვეწვია და ქორწილში დაგვპატიჟა. დაპატიჟებულთა შორის პროფ. ალ.ხახანაშვილიც გახლდათ. დათქმულ დროს სამივენი ერთად მივედით და კარგი დროც გავატარეთ. არსენმა შესანიშნავი მეგობარი შეიძინა, გერმანელი ბარტელსის ქალი, რომელიც გარეგნობითა და მაღალი სულით პირწავარდნილი ფაუსტის გრეტჰენი იყო. სახელად მარგარიტა ერქვა. მამამისი იოჰან ბარტელსი სულ ახალგაზრდა ჩამოსულიყო გერმანიიდან და როგორც პურ ფუნთუშეულის კარგ მცხობელს, დიდი ქონებაც შეეძინა. პრესნიაზე ვოლკოვის შესახვევში საკუთარი სახლი ჰქონდა, ორი ქალიშვილი და ერთი ვაჟი ჰყავდა. ბარტელსს საკონდიტრო დიდ შემოსავალს აძლევდა და შესანიშნავად ცხოვრობდა. საკონდიტრო მოთავსებული იყო ნიკიტსკაიას ქუჩაზე ტვერის ბულვარის გადასაკვეთთან და მაღალხარისხიანი და მეტად გემრიელი ნამცხვრების წყალობით მომხმარებელთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდა. საკონდიტროს მართავდა ბარტელსის უფროსი ქალიშვილი კლარა, რომელიც თავისი ოჯახით იქვე მეორე სართულზე ცხოვრობდა. მე და ჩემი ძმა ხშირი სტუმრები ვიყავით ამ ოჯახში და ერთი დღეც რომ არ მივსულიყავით, უეჭველად შემოგვეხმიანებოდნენ და მოგვიკითხავდნენ ხოლმე. ტკბილად ცხოვრობდა ოჯახი და ყველა ბედის მადლიერი იყო, მაგრამ დაიწყო პირველი მსოფლიო ომი და ბარტელსების ბედიც უკუღმა დატრიალდა. როგორც გერმანელები, ომის პირველსავე დღეებში დაარბიეს და წარმოებაც წაართვეს. რევოლუციის შემდეგ არსენ ლომაძეც ცოლ შვილით დაბრუნდა საქართველოში, სამხედრო სამსახურს თავი დაანება და სამოქალაქო საქმიანობაში ჩაება. აქ მას ახლო ნათესავები ჰყავდა და, პირველ ყოვლისა, შესანიშნავი მშრომელი ძმები -

თუ არ ვცდები, რვა თუ ათი ძმა, რომელთაგან ერთი ამერიკაშიც კი იყო ნამყოფი. მე თითქმის ყველას ვიცნობდი, პუშკინის ქუჩაზე მუშაობდნენ რკინეულობის მაღაზიაში და იშვიათი ძმობა ჰქონდათ. გურიაშიც ერთად ცხოვრობდა ყველა. მე ისინი არსენის საშუალებით გავიცანი და კმაყოფილიც ვიყავი ასეთი კარგი ადამიანების გაცნობით და მეგობრობით.

ბარტელსი მამაც ეწვია შვილებს თბილისში და აქვე გარდაიცვალა 30 იან წლებში. არსენი და მარგარიტა სიამტკბილობით ცხოვრობდნენ და კარგი ოჯახიც შექმნეს. მათი შვილებიდან ვაჟი ცნობილი მათემატიკოსია, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი.

ქართული საღამოები მოსკოვში, ტრადიციულად სტუდენტობისათვის ყოველწლიურად რომ ეწყობოდა, საკონცერტო პროგრამების ნაირფერობით გამოირჩეოდა. მე მათზე აღარ შევჩერდები. ვახსენებ მხოლოდ ერთ საკმაოდ მნიშვნელოვან ღონისძიებას, რომელიც 1913 წელს გაზაფხულზე ორდინკაზე ჩაატარა სათვისტომომ „მასწავლებლის სახლის“ დიდ დარბაზში. ეს იყო სამგანყოფილებიანი ქართული სპექტაკლი. პირველში ჩატარდა დ.კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი,“ მეორეში – „უბედური დღე,“ ანუ ვოდევილი ერთ მოქმედებად, ხოლო მესამეში დაიდგა დივერტისმენტი.

მნიშვნელოვანი ღონისძიება იმიტომ ვუწოდე ამ საღამოს, რომ ქართული პიესები ქართულ ენაზევე დაიდგა და მსახიობებიც ქართველები იყვნენ. დარისპანის როლს თამაშობდა ვალერიან შალიკაშვილი, კაროჟნას – ნატალია ჯავახიშვილი, ოსიკოს – იუზა ზარდალიშვილი. წარმოდგენაში ჩვენი სტუდენტებიც მონაწილეობდნენ: ლუბა ბრეგვაძე, მარგარიტა დუნდუა, ანეტა ამირაგოვა და სხვა. დივერტისმენტშიაც ასევე სტუდენტები გამოდიოდნენ: თამარ აბაშიძე, ნინო საყვარელიძე – ქართული რომანსები, გიორგი ქარცივაძე – ოთარბეგის არია ოპერა „ღალატიდან“ და ა.შ. ცეკვებსაც ქართველი დირიჟორობდა - მასწავლებელი იასონ როინიშვილი. ეს მეტად საინტერესო იყო და დიდი აღტაცებაც გამოიწვია მოსკოველ ქართველებში, მით უფრო, რომ რუსული საზოგადოებიდანაც ბევრი დაესწრო და გაეცნო ქართულ კულტურას. ამით ერთგვარი პროპაგანდა ეწეოდა ჩვენს ხელოვნებას.

მოსკოვის უნივერსიტეტში ქართული სათვისტომო, როგორც ეროვნული ორგანიზაცია, ერთგვარი პარლამენტის როლს ასრულებდა ქართველ სტუდენტთა ცხოვრებაში. ამიტომ ჩვენი სათვისტომოს კრებებზე რუსი სტუდენტებიც ხშირად ისხდნენ ხოლმე და უსმენდნენ ქართველ სტუდენტთა ბრწყინვალე გამოსვლებს. სათვისტომოს კრებები ძირითადად რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, მაგრამ გამოსვლები ქართულ ენაზედაც იყო. საკითხები უმრავლეს შემთხვევაში მშვიდობიან ვითარებაში იხილებოდა, წყნარად, აუღელვებლად. მახსოვს, მხოლოდ ერთხელ გაწყდა მოთმინების ძაფი. ეს იყო 1907-1908 წლებში, როცა სათვისტომოში პროფ. ალ.ხახანაშვილის საკითხი ირჩეოდა. პროფესორმა 1906 წელს თავის კათედრაზე ლაზარევის სახელობის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტში ჟანდარმერიის მიერ გადასათარგმნად გამოგზავნილი „Кавказская дружина“-ს წევრთა წერილები მიიღო. ეს წევრები დაპატიმრებულნი იყვნენ. პროფესორმა ხახანაშვილმა, როგორც ქართული ენის კათედრის გამგემ, მიიღო წერილები, რადგან ოფიციალურ მომართვაზე უარი ვერ თქვა და არც ჰქონდა ამის უფლება.

პროფ. ხახანაშვილი მეტად პატივსაცემი პიროვნება, პატრიოტი და ღირსეული მოქალაქე იყო, მაგრამ სათვისტომომ მაინც არ დაინდო და

აღნიშნული საკითხის გამო პასუხი მოსთხოვა. ეს ამბავი სათვისტომოს პრინციპულობაზე და მის კეთილსინდისიერებაზე მეტყველებდა, მას არ სურდა, რომ ქართველი მეცნიერისა და მოღვაწის სუფთა სახელს თუნდაც იოტისოდენა ჩირქი მოსცხებოდა ჟანდარმერიასთან ურთიერთობის გამო, თუნდაც იგი ოფიციალური და სამსახურეობრივი ყოფილიყო.

ეს საკითხი კარგა ხანს ირჩეოდა სათვისტომოში და აღარ მახსოვს, რით დამთავრდა.

აი, სწორედ ამ საკითხმა გაყო სტუდენტობა ორ ჯგუფად და უნდა გენახათ, ახალგაზრდა ორატორები რა ბრწყინვალედ, რა მჭევრმეტყველურად გამოდიოდნენ! არა მგონია, ზოგიერთ პარლამენტში უფრო ლამაზსა და შინაარსიან გამოსვლებს ჰქონოდა ადგილი.

არასოდეს დამავიწყდება მაშინდელი ცხარე კამათი, შეუპოვარი, თავდადებული და გულწრფელი ბრძოლა. სტუდენტები: სილოვან გაბუნია, შალვა მესხიშვილი, გრიგოლ ცხაკაია, კოტე ფანიაშვილი, გიორგი ჟორდანია, გიორგი კონიაშვილი, სერგო დანელია, ალექსანდრე კვიტაიშვილი და სხვები კათედრაზე ერთიმეორეს ცვლიდნენ, ერთმანეთზე ბრწყინვალე და შეუპოვრები იყვნენ! მართლაც, რაოდენ მაღალი, სპეტაკი და კეთილშობილური სული ტრიალებდა იმ დროს ქართველ სტუდენტთა შორის.

აუდიტორიის უკანა მერხებზე ისხდნენ და ორატორებს გულმოდგინედ უსმენდნენ უნივერსიტეტის თანამშრომლები და რუსი სტუდენტები.

მიუხედავად გადაღლილობისა, სათვისტომოს კრებებზე არასოდეს ირღვეოდა პარლამენტური წესრიგი. მღელვარებამ მხოლოდ კიდევ ერთხელ იფეთქა სილოვანის ისტორიის შემდეგ და იმგვარი სიმძაფრით, რომ სტუდენტმა ალექსანდრე კვიტაიშვილმა დუელში გამოიწვია ერთერთი სტუდენტი. ატყდა ქალთა გნიასი და ძლივს დააშოშმინეს მოქიშპენი. ეს იყო სათვისტომოს კრების მეორე დიდი მღელვარება, რაც ჩემს დროს მოხდა მოსკოვში.

სათვისტომო, ცხადია, აქტიურად ჩაება 1905 წლის შეიარაღებულ გამოსვლებში, რაც იმაში გამოიხატა, რომ მისი მთელი შემადგენლობა დადგა ბარიკადებზე.

ქართველმა სტუდენტებმა ჩამოაყალიბეს ე. წ. „Кавказская дружина“-ს ორი რაზმი: ერთი – ვასო არაბიძის, ხოლო მეორე - სტუდენტ ვალერიან ჯაფარიძის მეთაურობით.

1906 წელს, როდესაც პირველად ჩავედი მოსკოვის უნივერსიტეტში, უკვე რეაქციის პერიოდი იყო და რაზმი, რა თქმა უნდა, აღარ არსებობდა, მაგრამ ორი სამი კაცი მაინც მოქმედებდა. ესენი იყვნენ სტუდენტები: ნიკა კანდელაკი, ნოე ცინცაძე და კანანოვი, რომლებიც გაასამართლა მოსკოვის სასამართლო პალატამ. ბრალდებულებს უმნიშვნელო სასჯელი გამოუტანეს და, ჩვენდა სასიხარულოდ, დარბაზშივე გაათავისუფლეს.

1905 წლის მღელვარე დღეების კოშმარი ყველამ იცოდა მოსკოვში. მისი მონაწილე ქართველი სტუდენტები სათვისტომოს ღირსეული წარმომადგენლები იყვნენ: ვასო არაბიძე, ვალერიან ჯაფარიძე, თედო კაპანაძე, გიზო ანჯაფარიძე, ვასო და ნიკა კანდელაკები, ალიოშა და სამსონ წუწუნავები, პავლე მესხი, კოტე დანდუროვი, მიხეილ არჯევანიძე და სხვა. ისინი შემდეგშიც ერთგულად იღვწოდნენ ქვეყნის სამსახურში.

ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს წევრთა უანგარო მოღვაწეობა საზოგადოებრივ სარბიელზე რევოლუციამდელ რუსეთში თავმოსაწონი,

შეუმცდარი მოქმედებებით ამდიდრებს ჩვენი ინტელიგენციის სახელოვან ისტორიას.

რაც ჩემი თვალით მინახავს

ქართულ მეცნიერულ ლიტერატურაში კარგა ხანია ჭეშმარიტებადაა მიჩნეული ის, რომ დიდი ქართველი გეოგრაფი და მეცნიერი ვახუშტი ბატონიშვილი მოსკოვის უნივერსიტეტის ერთ ერთი დამაარსებელთაგანია.

ამის უტყუარი დასტურია ვ.გაბაშვილის ნარკვევი „ვახუშტი ბაგრატიონი“ (თბილისი, 1969 წ.), მოსკოვის უნივერსიტეტის რევოლუციამდელ სტუდენტთა ზეპირი განცხადებები და, სულაც, ჩემი საკუთარი თვალით ნანახი დაფა.

1906 წელს მე და ჩემი ტყუპისცალი გრიგოლ ჯაფარიძე მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორთან ერთ ერთი მორიგი აუდიენციის დროს უნივერსიტეტის ძველი შენობის სააქტო დარბაზში მოვხვდით, სადაც ის სტუდენტ ახალგაზრდობას ღებულობდა. მე და ჩემს ძმას, ვიდრე რექტორთან სასაუბროდ შევიდოდით, საშუალება მოგვეცა ეს მრგვალი, მდიდრულად გაფორმებული დარბაზი დაგვეთვალიერებინა. რექტორი ამ დროს ადრე მისულ სტუდენტებს ესაუბრებოდა.

ერთ ადგილზე, კედელთან სულ ახლოს, მყარ კვარცხლბეკზე დადგმულ მარმარილოს დაფას მოვკარი თვალი. დავინტერესდი, დავაკვირდი და... იქ გრაფიკული ჭრის თვალსაზრისით ლამაზად გაფორმებული – ოქროს ვარაყითა და არშიით დამშვენებული უნივერსიტეტის დამაარსებელთა სახელები იყო ოქროს ასოებით ამოჭრილი.

შევავლე თვალი თუ არა დაფაზე ამოჭრილ სახელებს, მაშინვე თვალში მეცა: “Гузинский царевич Вахушти Вахтангеевич“. მოულოდნელობისაგან ისე დავიბენი, ერთხანს თვალებს არ ვუჯერებდი... კიდევ უფრო ახლოს მივედი, კიდევ წავიკითხე – ერთხელ, ათჯერ და... როცა დავრწმუნდი, რომ ეს ნამდვილად ვახუშტი ბატონიშვილი იყო და არა სხვა, სასწრაფოდ ჩემს ძმას ვუხმე. ის ჩემზე მეტად აღაფრთოვანა ამ სიურპრიზმა, მკლავში ხელი ჩამჭიდა და სიხარულისაგან ლამის ხმამაღლა შეჰყვირა:

- ხედავ... ვახუშტი ვახტანგეევიჩი... ვახუშტი ბატონიშვილი! მაგრამ რატომ „ვახტანგეევიჩი“ და არა „ვახტანგოვიჩი“... ჰა, რას იტყვი, ლადო?

სახელის ამნაირად წარმოებულ ფორმას, რასაკვირველია, მეც ვხედავდი და მწყინდა, რომ „ვახტანგოვიჩის“ მაგიერ დაფას „ვახტანგეევიჩი“ ეწერა.

მაგრამ გახარებულნი იმით, რომ ჩვენ – რაჭის შორეული სოფლიდან ჩამოსულმა ქართველმა სტუდენტმა ძმებმა, ასეთი რამ „აღმოვაჩინეთ“, ამგვარ ლაფსუსს არად დაგიდევდით იმ წუთში და მანამ ვაკვირდებოდით მარმარილოს ვარაყიან მემორიალურ დაფას, ვიდრე, ბოლოს და ბოლოს, რიგის მიხედვით, რექტორთან არ შევედით სასაუბროდ.

მოსკოვის უნივერსიტეტის დამაარსებელთა შორის, ვახუშტი ბატონიშვილის გარდა, არაერთი პიროვნების გვარი და სახელი იყო ამოჭრილი, მაგრამ ისინი არ დამამახსოვრდა. მხოლოდ ბუნდოვნად აღმებეჭდა გრაფ შუვალოვის სახელი, რომელიც დაფის ბოლოში ეწერა.

ამის შემდეგ დიდმა დრომ განვლო, თითქმის 70 წელმა და, აი, ჟურნალ „ცისკრის“ 1977 წლის ივლისის ნომერში ვალერიან მაჭარაძის წერილს

ვკითხულობ: „მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსებაში ქართველთა მონაწილეობის საკითხისათვის“. ცხადია, წერილმა სათაურშივე მიიპყრო ჩემი ყურადღება. ვიფიქრე, აქ საქმის ღრმა ცოდნით, ისტორიკოსის მახვილი თვალით იქნება მეთქი ახსნილი ის, რაც ბუნდოვნად ვიცოდი ან საერთოდ არ ვიცოდი და კითხვას შევუდექი.

წერილი თავიდან ბოლომდე რამდენჯერმე გადავიკითხე და აღმოჩნდა, რომ იგი ძირითადად ვახუშტი ბატონიშვილის პიროვნებას ეხებოდა, რომელსაც, ავტორის აზრით, თურმე არავითარი წვლილი არ მიუძღოდა მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსების საქმეში. ამ ნიადაგზე ავტორი ცდილობდა მკვლევარ ვ.გაბაშვილის დიდად საყურადღებო წიგნის („ვახუშტი ბაგრატიონი“) სრულ იგნორირებას.

ქართული კულტურის ისტორიისა და, საერთოდ, ჩვენი ხალხისათვის იმდენად მნიშვნელოვანია ეს საკითხი, რომ ამ წერილის უპასუხოდ დატოვება დაუშვებლად მივიჩნიე, ამიტომ ჩემი თავი მოვალედაც კი ჩავთვალე, ხმა ამემაღლებინა და ამით, როგორც იტყვიან, მეთქვა შეუბღალავი, ობიექტური სიმართლე, მიმეგო „კეისრისათვის - კეისრისა“.

90 წლის კაცს მიმძიმს წერა, მაგრამ, რა ვქნა, დუმილი არ შემიძლია. ამგვარი რამ როგორ დავტოვო უპასუხოდ!

პატივცემული ვალერიან მაჭარაძე უარყოფს მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსების საშვილიშვილო საქმეში ვახუშტი ბატონიშვილის მონაწილეობის საამაყო ფაქტს. იგი ამ ვერსიას დაუსაბუთებლად თვლის და იმასაც ამბობს, თითქოს ვ.გაბაშვილი დაყრდნობია არასერიოზულ მასალებს, კერძოდ, კორესპონდენტთა წერილებს და ძველ სტუდენტთა პირად განცხადებებს.

ვ.მაჭარაძის აზრით, ვახუშტი ბაგრატიონი არ წარმოადგენდა ისეთ ფიგურას, რომელიც მხარში ამოუდგებოდა ლომონოსოვს პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში – ეს ერთი. მეორე, - მოსკოვის უნივერსიტეტის პროფილი მაშინ ისეთი იყო, რომ ვახუშტის არ შეეძლო მონაწილეობა მიეღო იქ, როგორც პროფესორს; მესამეც, ვახუშტის მატერიალური მდგომარეობა იმდენად უნუგეშო იყო, რომ მას არ ძალუძდა რაიმე თანხის გაღება უნივერსიტეტის დაარსების ფონდისათვის. მაშასადამე, აქედან გამომდინარე, ის ვერც ამ სასწავლო კერის წევრ-დამფუძნებელთა სიაში და ვერც მემორიალურ დაფაზე მოხვდებოდა.

გამოდის, რომ ვახუშტი ბაგრატიონის პიროვნების დაცვის ყველა გზა მოგვიჭრა ვალერიან მაჭარაძემ. მხოლოდ ის უნდა დავიჯეროთ, ვირწმუნოთ, რასაც ის ასე დაჟინებით ამტკიცებს. ავტორი მემორიალური დაფის საერთოდ არსებობასაც კი უარყოფს; სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ის ნამდვილად არსებობდა და თავისი თვალით უნახავთ ამავე უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს: ჩიტო კაპანაძეს, ლადო ჯაფარიძეს, ალექსანდრე ჯავახიშვილს (შემდგომში აკადემიკოსს) და ამის შესახებ ვ.გაბაშვილის წერილშიც ნათლად და გარკვევითაა ნათქვამი.

წაიკითხავს რომელიმე ქართველთმოძულე ვ.მაჭარაძის ამ წერილს და სიამოვნებით მიიჩნევს სინამდვილედ, ირწმუნებს ამას.

მერედა, ვის ჭირდება ფაქტების ასე გაყალბება, იმ ღვაწლის იგნორირება, დიდ წინაპარს – ვახუშტი ბატონიშვილს – უნივერსიტეტის დაარსების საქმეში რომ მიუძღვის?

დიდი ხანია არ ვყოფილვარ აღნიშნულ უნივერსიტეტში და არ ვიცი, კიდევ არსებობს თუ არა ეს დაფა, – მაგრამ თუ აღარ არსებობს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ის განზრახ არის განადგურებული.

ასეა თუ ისე, მემორიალური დაფა მოსკოვის უნივერსიტეტში ნამდვილად არსებობდა. ის ჩემი თვალით მინახავს. ყველაფერ ამას მე ვაცხადებ და ვადასტურებ მთელი პასუხისმგებლობით ჩემი სინდისის, სამშობლოს წინაშე. ამას მე მავალებს მხოლოდ სამართლიანობის გრძნობა, მოქალაქეობრივი მაღალი შეგნება და არა ცრუპატრიოტობა.

იმასაც აღვნიშნავ, რომ ხსენებული დაფის ნახვამ ჩემზე და, რასაკვირველია, ჩემს ძმაზეც, ისეთი წარუშლელი კვალი დატოვა, რომ თანაკურსელებთან და უფროსი თაობის სტუდენტებთან, აგრეთვე – პროფესორ მასწავლებლებთან შეხვედრისას, სულ ამაზე ვლაპარაკობდი.

ასე განსაჯეთ, მშობლებსაც და თვით უმცროს ძმებსაც კი მივწერეთ საქართველოში ამის თაობაზე. მოკლედ, არ შეიძლებოდა ამ საამაყო ფაქტის სასხვათაშორისოდ მიჩნევა და ჩვენც ხმამაღლა ვაცხადებდით მას.

მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდი ყველაზე უბედნიერესი მონაკვეთია ჩემს ცხოვრებაში.

ვამთავრებ რა ჩემს წერილს, მინდა მადლობაც კი გადავუხადო პატივცემულ ვალერიან მაჭარაძეს იქნებ უნებლიეთ ჭეშმარიტების გაყალბებისათვის, რამაც 90 წელს გადაცილებულ ადამიანს საშუალება მომცა ნათელი მომეფინა ამ ერთ დროს ეჭვშეუტანელი ფაქტისათვის. რამეთუ ეს არის ეროვნული საქმე, რომლის დამახინჯებასაც შთამომავლობა არ გვაპატიებს. მინდა დავარწმუნო ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია, რომ, ასეთი, თითქოსდა, ყოველმხრივ დადასტურებული ფაქტის უარყოფისას მეტი სიფრთხილის გამოჩენა მართებს. ზოგი, რაც არ გაუკეთებია, იმას იჩემებს და ჩვენ რა გვემართება! თუ ჩვენი მოწინააღმდეგეა, აშკარად ტენდენციური ცრუ მოწმისათვისაც კი ყველა გზა ხსნილია. საპირისპირო აზრი ცხრაკლიტულში იკეტება. მე არავითარი მიზანი არ მამოძრავებს, გარდა სიმართლისა და ჭეშმარიტების დადგენისა. ამ საკითხზე ყველას შეგვტკივა გული და, როგორც ამ ფაქტის ცოცხალმა მხილველმა, მინდა დახმარება გავუწიო მომავალ მკვლევართ.

ვწუხვარ, რომ გამოუცდელმა ახალგაზრდამ ვერ გავითვალისწინე მემორიალური დაფის მნიშვნელობა, არ გადავწერე მთელი ის ტექსტი, დაფაზე რომ ეწერა და არ შემოვუნახე შთამომავლობას.

ამნაირად, საკითხი ვახუშტი ბაგრატიონის წვლილის შესახებ მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსების საქმეში უსაფუძვლო კი არა, პირიქით, სავსებით დასაბუთებულია და ფაქტებით განმტკიცებული.

ერთი ცოცხალი მოწმე ხომ მეც ვარ ამისა, მე, ვინც ესესაა 90 წელს გადავაბიჯე.

ეს ის ასაკია, როდესაც ადამიანს ტყუილიც კი დაეჯერებაო. მაგრამ ტყუილი რა საკადრისია, იმავე დაფის ოქროს შუქი დღესაც მინათებს გზას და ჩემს აზრს, გონებას თუ სინდისს სიმართლისა და ჭეშმარიტების საქადაგებლად მოძღვრავს.

ლევ ტოლსტოის დაკრძალვაზე

სრული ნახევარი საუკუნეა მას შემდეგ, რაც მე და ჩემმა ძმამ გრიგოლმა მონაწილეობა მივიღეთ ლევ ტოლსტოის დაკრძალვაში. ჩემი მეხსიერებიდან ორმოცდაათმა წელმაც ვერ წაშალა ეს დაუვიწყარი ამბავი. დღესაც გუშინდელივით მახსოვს ყველაფერი.

იმ ხანებში მე და გრიგოლი მოსკოვის უნივერსიტეტში ვსწავლობდით.

მოწადინებული ვიყავით, რაღაც ისეთი რამ გაგვეკეთებინა, რაც ხელს შეუწყობდა ჩვენი დიდი კულტურის პოპულარიზაციას. ამ მიზნით ვთარგმნეთ ქართველ მწერალთა რიგი თხზულებები და გამოვეცით კიდეც.

დღეს ასეთი რამ ჩვეულებრივ საქმედ გვეჩვენება, მაგრამ იმ დროს ეს მხოლოდ ერთეულ გულშემატკივართა კერძო ინიციატივაზე იყო დამოკიდებული. მეფის ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკა ასეთ ენთუზიასტებს ათასგვარ დაბრკოლებას უქმნიდა და ყოველმხრივ უხშობდა გზას.

ჩვენი თარგმნილი წიგნები მაშინდელი იმპერიის მრავალ კუთხეში გავუგზავნეთ ბევრ ნაცნობსა და მეგობარს. ბოლოს ვიფიქრეთ, ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“, რომელიც ასევე გამოქვეყნებული გვქონდა ცალკე წიგნაკად, დიდი რუსი მწერლის ლევ ტოლსტოისთვისაც მიგვერთმია. დარწმუნებული ვიყავით, რომ ტოლსტოი, რომელსაც „რუსეთის სინდისს“ უწოდებდნენ, იცნობდა ი.ჭავჭავაძეს, როგორც სახელოვან ქართველ მწერალსა და დიდ საზოგადო მოღვაწეს, სახელმწიფო საბჭოს ერთ-ერთ პოპულარულ წევრს, რომელმაც 1907 წელს მოწამეობრივი გვირგვინი დაიდგა.

გადავწყვიტეთ პირადად ვხლებოდით დიდ მწერალს იასნაია პოლიანაში და, თუნდაც რამდენიმე წუთით, დაგვეინტერესებინა ქართული კულტურის საკითხებით. ორიოდე სიტყვაც გვეთქვა მის აწმყოსა და წარსულზე, ტოლსტოის ყოველი სიტყვა კი დაწვრილებით ჩაგვეწერა და ქართული საზოგადოების ყურამდე მიგვეტანა. მთელ მსოფლიოში ცნობილია, თუ როგორ აფასებდნენ და რა დიდ ანგარიშს უწევდნენ იმ დროს ტოლსტოის თითოეულ სიტყვას.

მაშინ არაფერი ვიცოდით ტოლსტოის მეგობრული დამოკიდებულების შესახებ მწერალ ილია ნაკაშიძესთან, სამაგიეროდ, მისი ბიოგრაფიიდან გვახსოვდა, რომ ის ახალგაზრდობაში ერთხანს თბილისში ცხოვრობდა, მოგვიანებით კი გურული გლეხების 1906 წლის რევოლუციურ გამოსვლებსაც გამოეხმაურა.

ჩვენ ეს საქმე მით უფრო ჭკუაში გვიჯდებოდა, რომ მსგავსი მაგალითები მწერლის ცხოვრებაში არაერთი იყო. ტოლსტოისთან მრავალი მნახველი მიდიოდა, განსაკუთრებით ე. წ. „ტოლსტოელები“, და ბევრი მათგანი მიზანსაც აღწევდა – მწერალს პირადად ხვდებოდნენ და ესაუბრებოდნენ. ბოლოს, ჩვენ გვქონდა ერთი კარგი მაგალითი მოსკოველი თანაკურსელი ამხანაგის სტუდენტ ალექსანდრე ცაგარეიშვილისა, რომელმაც იასნაია პოლიანაში იმოგზაურა და მოინახულა დიდი მწერალი.

მე და ჩემი ძმა წინასწარ ვაწყობდით გეგმებს: როგორ მივსულიყავით „პოლიანაში“, როგორ წარვდგომოდით დიდ მწერალს და განგვეცვიფრებინა იგი ჩვენი არაჩვეულებრივი ფიზიკური მსგავსებით.

ჩვენ, მართლაც, ძალიან ვგავდით ერთმანეთს და არათუ მოსკოვში, ასე გასინჯეთ, ხშირად შინაურებს, მშობლებსაც კი ვეშლებოდით და რა გასაკვირი იქნებოდა, თუ დიდი მწერალი და ფსიქოლოგი, რომელსაც თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე ბევრი რამ ენახა, შესაძლებელია, ნამდვილად დაინტერესებულიყო ჩვენით და ოჯახის წევრებისათვისაც კი წარვედგინეთ.

ერთი სიტყვით, მტკიცედ გვქონდა გადაწყვეტილი ტოლსტოისთან ჩასვლა და ხელსაყრელ წუთს ველოდით, რომ ჩვენი განზრახვა სისრულეში მოგვეყვანა. და აი, სწორედ იმ ხანებში მოსკოვის გაზეთებმა დაბეჭდეს სენსაციური ამბავი, რომ ლევ ნიკოლოზის ძე 28 ოქტომბერს დილით ადრე სახლიდან გავიდა და უკან აღარ დაბრუნებულა. თან მეუღლის სახელზე ბარათი დაუტოვებია, ნუ მომძებნით... რადგან, ერთხელ და სამუდამოდ, განმარტოებული ცხოვრება გადავწყვიტეო. შეიძრა მთელი რუსეთი. ამ ამბავს მოსკოვი ღრმად განიცდიდა. მსოფლიოს გადასწვდა ტოლსტოის შინიდან წასვლისა და მისი დაკარგვის ამბავი. ახმაურდნენ გაზეთები; ყველას მხოლოდ ეს უცნაური გაუჩინარება ეკერა პირზე.

აღმოჩნდა, რომ რამდენიმე დღის მგზავრობის შემდეგ ავადმყოფი ტოლსტოი ასტაპოვოში ჩამოუსვამთ მატარებლიდან და მომაკვდავი მოხუცი რკინიგზის სადგურის უფროსის ბინაში მოუთავსებიათ. პატარა სადგური ასტაპოვო, რომლის არსებობა ბევრს არც გაეგონა, მყის კულტურული კაცობრიობის ყურადღების ცენტრში მოექცა. ყველა ასტაპოვოს გაიძახოდა და ავადმყოფი გენიოსის ბედზე ფიქრობდა... ბოლოს, 7 ნოემბერს გაზეთებმა მკითხველებს სამგლოვიარო ამბავი აუწყეს: „დილის 6 საათზე ლევ ნიკოლოზის ძე მშვიდად გარდაიცვალაო“.

მომხდარი ვითარების გამო მოსკოვის ყველა გაზეთმა შავი სამგლოვიარო არშიებით დამატებითი ფურცლები დაბეჭდა, სადაც დიდი მწერლის უკანასკნელ დღეებსა და წუთებზე იყო მოთხრობილი. იმ დღეს თეატრებმა წარმოდგენები შეწყვიტეს; დაიკეტა, აგრეთვე, ბევრი საზოგადოებრივი დაწესებულება და სასწავლებელი. უნივერსიტეტის სტუდენტობამ დილიდანვე ასეთი განცხადება გამოაკრა: ,,იასნაია პოლიანაში მივდივართ ყველანი და ვისაც სურვილი გაქვთ, დღესვე სიებში ჩაეწერეთო.“ სახელდახელოდ მოწვეულ კრებაზე ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს, რა სახე და მიმართულება მიეცათ ამ ეროვნული გლოვისათვის.

ქალაქის მთელი პოლიცია ფეხზე დადგა.

საღამოს 10 საათზე რამდენიმე ათასმა სტუდენტმა კურსკის რკინიგზის სადგურზე მოვიყარეთ თავი. დარბაზებსა და მოედანზე ტევა აღარაა. პოლიციელები სტუდენტობას გზას უკეტავენ, რათა ასე ბევრნი კი არა, ნაწილ-ნაწილ გაუშვან იასნაია პოლიანაში. თვით „გრადონაჩალნიკის“ თანაშემწე პოლკოვნიკი მოდლიც კი აქაა და ყველანაირად ცდილობს მღელვარე ახალგაზრდობის დაშოშმინებას.

მატარებლის გასვლამდე კი სულ ცოტა დრო რჩება. ირგვლივ რაღაც საშინელი ზედახორა და ორომტრიალია...

დიდი წვალების მერე მე და გრიშა იმ სატვირთო ვაგონში მოვხვდით, რითაც, ჩვეულებრივ, საქონელი და ცხენები გადაჰყავთ ხოლმე. ათასზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი გაჭედილა ოციოდე ასეთ ვაგონში... არც სინათლე, არც დასაჯდომი ადგილები, მხოლოდ სტეარინის სანთელი თუ ბჟუტავს აქა იქ; სკამების მაგიერ, ხის განიერი ტახტია კედლის ერთი ბოლოდან მეორემდე.

მაგრამ ახალგაზრდობა ისეთი თავდავიწყებით მიეშურება დიდი მწერლის დაკრძალვაზე, რომ სრულებით აღარ ჩივის ამ მდგომარეობას, ოღონდ კი თავის დროზე ჩააღწიოს დანიშნულ ადგილს.

როგორც იქნა, გათენებისას ჩავედით სადგურ კოზლოვო ზასეკაში, რომელიც დღეს იასნაია პოლიანას სახელს ატარებს. აქ უნდა დავხვდეთ ასტაპოვოდან წამოსულ მატარებელს, რომლითაც მიცვალებული უნდა ჩამოასვენონ.

ცივა. მიწა ნაადრევი თოვლითაა დაფარული... გვეზარება გარეთ გამოსვლა, მაგრამ ბაქანს გადაღმა ცეცხლი გუზგუზებს, ჩვენც იქით მივეშურებით და მომლოდინე ხალხს ვუერთდებით. ეს იასნოპოლიანელი გლეხები არიან; ისინი სოფლიდან ურმებით ჩამოსულან, რათა საყვარელი მასწავლებლის ცხედარს უკანასკნელი პატივი მიაგონ. მათ ტრანსპარანტი უჭირავთ ასეთი გულისამაჩუყებელი წარწერით: "Лев николаевич! Память о твоём добре не умрёт среди нас, осиротевших крестьян Ясной Поляны".

აქ არიან ტოლსტოის ოჯახის წევრებიც, რომელთაც, რაღაც მიზეზით, ასტაპოვოში წასვლა ვერ მოუსწრიათ.

აი, მატარებელიც შემოდის სადგურში და უბრალო საბარგო ვაგონიდან გადმოაქვთ დახურული კუბო... აქედან იასნაია პოლიანამდე კუბო უკვე სტუდენტებს მიგვაქვს. დაღლილ ძმებს ხშირად თბილისელი სტუდენტები - მომავალი ექიმი მებურნუთოვი და ასევე მომავალი აგრონომი ნიკიტა ბარხუდაროვი გვენაცვლებიან. იშვიათად, იასნოპოლიანელი გლეხებიც...

ჩვენს ყურადღებას ის გარემოება იპყრობს, რომ იმ დროის წესისამებრ კუბოს სახურავზე ჯვარი არა აქვს გამოსახული, გვირგვინებიც ურმებით მოაქვთ და არა ხელით.

უცხოელი ფოტოგრაფები და კინოოპერატორები „ლეიკებითა" და კინოაპარატებით წამდაუწუმ იღებენ დაკრძალვის სცენებს... მეორე თუ მესამე დღეს მოსკოვის რამდენიმე ეკრანზე უკვე უჩვენებდა იასნაია პოლიანაში გადაღებულ კადრებს. გახარებული დავრჩი, როცა ტოლსტოის ოჯახის წევრებთან ერთად საკუთარი თავი და ჩემი ძმა გრიშა ვიხილე. ასე გასინჯეთ, ქუთაისის „სინემატოგრაფიაშიც" ვუნახივართ ძმები ჩვენს ნაცნობ-მეგობრებს, რაც მხურვალე წერილებით გვაცნობეს მოსკოვში.

კინო იმ დროს სულ ახალი ხილი, უცხო და იშვიათი რამ იყო...

იასნაია პოლიანამდე სამკილომეტრიანი სოფლის უბრალო შარაგზა მიუყვება. ძალიან გვიჭირს ცხენების ფლოქვებითა და ურმის თვლებით დაღარულ, ნოემბრის სუსხით გალიპულ, თოვლიან გზაზე ფეხის "მოკიდება", განსაკუთრებით, კუბოსთვის მხარშედგმულებს.

კუბოს მოჰყვებიან ტოლსტოის უახლოესი ადამიანები: მეუღლე სოფიო ანდრეის ასული, ვაჟიშვილები: სერგეი, ანდრეი, ლევ, მიხეილი; ქალიშვილები: ტატიანა და ალექსანდრა. აქვე მოდის ექიმი მაკოვსკი, რომელიც სახლიდან წასვლის დღიდან გარდაცვალებამდე თან ახლდა განსვენებულს. აგერ ურმებს მოტანილი ორიოდე გვირგვინიც მოაქვთ ასეთი წარწერით: „დაუვიწყარ ქომაგს და მრჩეველს ჩვენს გაჭირვებაში ლ.ნ.ტოლსტოის," „მეზობელი სოფლების გლეხობისაგან" და სხვა.

პროცესიას შორიახლოს ცხენოსანი პოლიციელებიც მოჰყვებიან...

გამოჩნდა იასნაია პოლიანაც... პატარ-პატარა და ჩალით დახურულ გლეხურ ქოხებს შუაზე განიერი ქუჩა ჩაუდის; ახლოს სახნავი მიწები და

დაუსრულებელი ნაძვნარი იტაცებს თვალს... აგერ ტოლსტოის ქვის ორსართულიანი სახლიც გამოჩნდა, რომელსაც ირგვლივ დიდი გალავანი არტყია. პროცესია წუთით მწერლის კარმიდამოს დიდ ჭიშკართან შედგა. აქეთ იქით ორი მოზრდილი და ასევე თეთრად შეღებილი მრგვალი კოშკურა დგას, ძველად დარაჯების თავშესაფრად რომ იყენებდნენ.

სახლს გარშემო უზარმაზარი ეზო და პარკი აკრავს. პარკის დიდ გუბურაში გედები და სასეირნო ნავები მოჩანან. უკან უღრანი ტყე გადაჭიმულა...

ტოლსტოის ეს სიმდიდრე მძიმე ტვირთად აწვა და გადაწყვეტილი ჰქონდა გლეხებისათვის გადაეცა, მაგრამ ცოლ შვილის დიდ წინააღმდეგობას წააწყდა და განზრახვა შეუსრულებელი დაურჩა.

„ამ ჭიშკართან დიდი მწერლის კარმიდამოში შესვლის წინ, ვინ იცის, რამდენი გული აძგერებულა მოწიწებით... “ - ვფიქრობ ჩემთვის და თან თვალწინ მეხატებიან ტურგენევი, გონჩაროვი, ჩეხოვი, გორკი, ტოლსტოის მეგობარი - დიდი მხატვარი რეპინი და მრავალი სხვა...

აქედან სახლისაკენ არყის ხეთა გრძელი ხეივანი მიუყვება, რომლის გარშემო დიდი პარკი, ყანა და ხეხილის ბაღია გადაჭიმული. თეთრი გედები გუბურის კრიალა ზედაპირს კორტნიან, ნიავისაგან აშრიალებულ ტალღებზე პატარა ნავები ირწევიან...

ღრუბლიანი დღეა, მაგრამ დილის სუსხი მაინც იგრძნობა და ვცდილობთ გაყინული ფეხები მიწაზე ბაკუნით ცოტათი მაინც შევითბოთ. რომელიღაც ჩვენთაგანმა ერთ ხეზე ციყვი შეამჩნია და ყველას ყურადღება იქით მიაპყრო. პაწია ცხოველი სულაც არ გრძნობდა ყინვას, თავისი დიდი კუდით ტოტიდან ტოტზე ხტოდა და წინა თათებით საჭმელს შეექცეოდა.

ვდგავართ და ვუცდით ჩვენს რიგს, რათა ბოლოს და ბოლოს სახლში შევიდეთ და ამ სამუდამო დამშვიდობების ჟამს ძვირფას ცხედარს თაყვანი ვცეთ.

სახლის უკანა ეზოში დიდი მსხვილტანიანი თელა მოჩანს, რომლისთვისაც ირგვლივ ფიცრული სკამები შემოუვლიათ. აქ შორი გზით მოსული გლეხები ისვენებდნენ თურმე და დიდ მოამაგეს თხოვნისა და რჩევა დარიგებისათვის ელოდნენ.

ეზოში შინაურთა ფუსფუსია. მარცხნივ პატარა შენობიდან სინათლე მოჩანს და ხანდახან ნიავს ცხელი პურის სასიამოვნო სურნელი მოაქვს. შინამოსამსახურე ქალები გობებით თუ ვედროებით დარბიან და ფუსფუსებენ.

მე ნაკლებად ვხედავ მოსკოვიდან თუ პეტერბურგიდან ჩამოსულ ინტელიგენციას. ეს, უთუოდ, პოლიციის დამსახურებაა. მხოლოდ რამდენიმე მწერალს ჩამოუღწევია მოსკოვიდან ავტომობილით, რაც მაშინ დიდ იშვიათობას წარმოადგენდა. მათ შორის იყვნენ ჩვენი თანამემამულე ალ.სუმბათაშვილ-იუჟინი და პოეტი ვალერი ბრიუსოვი.

ხალხის რიგი თანდათან უახლოვდება სახლს. როგორც იქნა, შევდივართ ოთახში, პირველ სართულზე, სადაც მწერალი ასვენია. აქ ყვარებია მწერალს მუშაობა, ამ თაღიან ოთახში შეუქმნია თავისი უკვდავი ქმნილებები, მათ შორის „ომი და მშვიდობა.“

კუბოს გვერდით მიცვალებულის ახლობლები დგანან: ცოლი, შვილები და მეგობრები. აქვე დგას ჩემი ძმა გრიგოლი. მე გამოვეყავი ხალხის რიგს და კუბოსთან ძმის გვერდით დავდექი. ტოლსტოის შვილები მოგვჩერებიან და ჩვენი იშვიათი მსგავსების გამო ერთმანეთს ეჩურჩულებიან.

- კოლეგავ, თქვენზე ლაპარაკობენ, - ჩამჩურჩულებს მეგობარი სტუდენტი და ტოლსტოის ოჯახის წევრებს აკვირდება, თითქოს მათი მოძრაობისა და ხასიათის შესწავლა სურს.

ასეთ დროს გამოლაპარაკება უხერხულია, ამიტომ შემოსულ ხალხს გზას ვუთმობთ და უნებურად უკანა რიგებისკენ მივიწევთ.

მე ვსარგებლობ ხალხის სიმრავლით, ჯიბიდან უბის წიგნაკს ვიღებ და ფანქრით მწერლის სახის ჩახატვას ვიწყებ. ხელს არავინ მიშლის. შემიძლია მთელი საათი ვხატო. ვაკეთებ რამდენიმე ვარიანტს. ეს წიგნაკი დიდხანს დაკარგული მეგონა, ვიდრე სრულიად შემთხვევით არ აღმოვაჩინე ჩემს ქაღალდებში. 1978 წელს, ტოლსტოის დაბადების 150 წლისთავთან დაკავშირებით, მხატვარმა ავთანდილ ვართაგავამ გამომართვა და ჩემს მოგონებასთან ერთად პირველად დაბეჭდა ალმანახ „საუნჯეში.“

ტოლსტოის შვილები უკვე ხანში შესულები არიან. ვაჟები გარეგნობით მამას ჰგვანან, განსაკუთრებით – სერგეი.

ტატიანა სუსტი აგებულების ქალია და დაღლილობის გამო ხშირად ისვენებს. მისი და – ალექსანდრა უფრო ჩასკვნილია, პირბუტაყი, ამშვენებს მოკლედ შეკრეჭილი შავი თმა. მაგრამ ყველაზე ავადმყოფურად ტოლსტოის მეუღლე – სოფიო ანდრიას ასული გამოიყურება...

კუბო თავახდილი დგას. დიდ მწერალს, თითქოს სძინავსო, ხელები გულზე აქვს დაკრეფილი; ტანთ თალხი ხალათი „ტოლსტოვკა“ აცვია. კუბოში ცოტაოდენი ყვავილებიც დევს...

დავჩერებივარ ძვირფას სახეს, მკერდზე დაყრილ მის განიერ წვერს, ჭაღარა, დაფანჩულ წარბებს და ვცდილობ, ეს ყველაფერი კარგად დავიმახსოვრო, სამუდამოდ ჩავიბეჭდო გონებაში.

აი, ესაა ლევ ტოლსტოი – გენიალური მოაზროვნე, ყოველი ადამიანისათვის ძვირფასი მწერალი, რუსეთის მონარქიის, ბატონყმობისა და სახელმწიფო პოლიტიკის შეურიგებელი მტერი.

დავყურებ ძვირფას სახეს და მაგონდება მწერლის „ბავშვობა და ყრმობა“, არაერთხელ რომ აუღელვებია ჩემი ნორჩი გული; მაგონდება მისი „ჰაჯი მურატი“, რომლის მთავარი გმირის ვაჟკაცური სიკვდილი ალექსანდრე ყაზბეგის გმირთა სიკვდილს გვაგონებს.

რამდენიმე საათის შემდეგ, როდესაც ხალხის მდინარება შეწყდა, შვილებსა და ახლობლებს კუბო უკანა ოთახიდან ეზოში გამოაქვთ, საიდანაც გზა პირდაპირ ტყისკენ მიდის. ამ ტყის პატარა ბორცვზე მომზადებულია მწერლის სამუდამო განსასვენებელი. ეს ადგილი აურჩევია თავად ლევ ნიკოლოზის ძეს. აქ უყვარდა მას დასვენება და ფიქრი; სიყმაწვილისას თურმე აქ თამაშობდა თავის ძმა ნიკოლენკასთან ერთად; ბავშვებს აქ გადაუწყვეტიათ სიკეთისათვის მოღვაწეობა და ნიშნად ამისა, ხსენებულ ადგილზე პატარა წარწერიანი ჯოხიც ჩაუსვამთ.

- ბარემ იქ დამასაფლავეთ, სადაც ერთ დროს ჩვენ, ბავშვებმა, წარწერიანი ჯოხი დავარჭეთ. ეს იქნება ჩემი ძმის ნიკოლენკას სამახსოვროც, – უთქვამს ლევ ნიკოლოზის ძეს ახლობლებისათვის.

და აი, მისი დანაბარები ასრულდა...

კუბო კარებში გამოჩნდა და ეზოში მდგომი ხალხი მუხლებზე დაემხო. ჭირისუფლები ახლოს მოყვებიან ცხედარს და სტუდენტობას დიდი თავაზიანობით გვეკიდებიან, ცდილობენ ხშირად შეგვენაცვლონ. ანაზდად ქუდი ხელიდან მივარდება და ეს ესაა ფეხებით უნდა გადათელონ, მაგრამ ტოლსტოის

ვაჟი სერგეი, მაღალი, ბრგე, გრძელი ჭაღარა წვერით დამშვენებული, ჩემ გვერდით რომ მოაბიჯებს, იხრება, ქუდს იღებს და მანამდე მოაქვს, ვიდრე სხვა არ შემენაცვლება. მე მადლობას ვუხდი სერგეის და მორიდებით ვართმევ ქუდს...

უკვე ბინდდება... პროცესია ღია საფლავთან ჩერდება და მალე ჭირისუფალთა გამოთხოვებაც მთავრდება. კუბოს საფლავში უშვებენ და ყველანი მუხლებზე ვემხობით. გაისმის „საუკუნო ხსენება“, რომლის შეძახილში ჩვენც ვმონაწილეობთ. მერე ირგვლივ სამარისებური სიჩუმე ისადგურებს. მხოლოდ პოლიციელთა ცხენების ლაგამთა ჟღარუნი თუ არღვევს ამ დუმილს. ახლოს მოსული, ჩამოქვეითებული პოლიციელები გვერდით უდგანან თავიანთ ცხენებს.

ერთი მჭექარე შეძახილი: ”На колени, полиция!” და ისინიც იძულებულნი ხდებიან, უყოყმანოდ დაიჩოქონ ტოლსტოის საფლავთან.

ამ მჭექარე და მბრძანებლური განკარგულების გამცემი ჩვენი ამხანაგი, სტუდენტი ლაზარე შურღაიაა...

პროცესიის დასასრულს ტოლსტოის ერთ ერთი მეგობარი, სამხატვრო თეატრის რეჟისორი სულერჟიცკი ხმამაღალი შეძახილით ამბობს მგზნებარე სიტყვას...

ხალხი თანდათან იშლება და ტოლსტოის საფლავი ობლად რჩება.

ფიზიკურად დაღლილნი, მაგრამ სულიერად ამაღლებულნი მივაბიჯებთ მე და ჩემი ძმა კოზლოვო ზასეკას რკინიგზის სადგურისაკენ მარხილებითა და ურმის თვლებით დაღარულ თოვლიან გზაზე, რომელიც საღამოს სუსხს კიდევ უფრო მოუყინავს...

ეს გარეგნულად თითქოს უბრალო, მაგრამ ღრმა შინაარსით სავსე სანახაობა – მღელვარე სტუდენტებით, გულჩათხრობილი გლეხებითა და დაჩოქილი პოლიციელებით უკვდავი მეამბოხის საფლავის წინ – ჩვენს წარმოდგენაში დიდი განახლების დასაწყისის შთაბეჭდილებას ტოვებდა...

„მე უარვყავი ეკლესია და აღარ ვასრულებ მის არავითარ წესებს... ანდერძს ვტოვებ, რომ როცა მოვკვდები, არ მოუშვათ ჩემთან ეკლესიის არც ერთი მსახური და ჩემი გვამი გაიტანონ სახლიდან რაც შეიძლება მალე ყოველგვარი ლოცვებისა და კურთხევის გარეშე...“ - წერდა დიდი მწერალი სინოდის მისამართით, როცა გაიგო ეკლესიიდან მისი განდევნის ამბავი. სახელგანთქმული მწერლის ასეთი დასაფლავება პირველი მაგალითი, პირველი სამოქალაქო დასაფლავება იყო ყოველგვარი საეკლესიო წესების გარეშე. უბრალო და მაინც დიადი!...

უკვე თენდებოდა, როდესაც ჩვენ ისევ იმ „სახელოვანი“ მატარებლით დავბრუნდით მოსკოვში. ბაქანზე შევხვდით ჩვენსავით დასაფლავებაზე მყოფ ალი არსენიშვილს, ალექსანდრე ცაგარეიშვილს, ირაკლი ლეკიშვილსა და სხვებს.

ჩემმა ძმამ გრიგოლმა მოსკოვში დაბრუნებისთანავე ჩაიწერა თავისი შთაბეჭდილებანი და თბილისში გამოსაქვეყნებლად გამოგზავნა. ცას ვეწიეთ სიხარულით, როცა გაზეთში გრიგოლის მოზრდილი წერილი ვიხილეთ. იგი პროფესორმა ალ.ხახანაშვილმა ლექციის დაწყების წინ გადმოგვცა. ეს გრიგოლის პირველი ნაბეჭდი ნაკალმარი იყო.

დღესაც მოწიწებით ვინახავ ამ გაზეთს, 1910 წლის 24 ნოემბრის რიცხვით რომ არის დათარიღებული. იგი ცოცხლად მაგონებს გარდასულ დღეებს, ჩემს ძმას და იმ ახალგაზრდულ გატაცებას, რამაც ჩვენ ყოველგვარი დაბრკოლება გადაგვალახვინა, იასნაია პოლიანში ჩაგვიყვანა და ამით უკვდავი მწერლის დასაფლავების მონაწილენი გაგვხადა.

ტოლსტოის დასაფლავებაზე ჩვენი მონაწილეობა ყველას დიდხანს აოცებდა და უკვირდათ, როგორ მოვახერხეთ იქ ჩასვლა, რაც უამრავ სიძნელესთან იყო დაკავშირებული. ამის გამო მეგობრები დღესაც „ისტორიულ პირს“ მეძახიან ხოლმე. - Хоронил Толстого! - გააცნო ერთხელ ჩემი თავი ერთმა მეგობარმა ჟურნალისტებს.

ვკითხულობ ამ გაზეთს და თითქოს ახლაც ჩამესმის დაუვიწყარი მწერლისადმი მიმართული მადლიერი ხალხის მაშინდელი სიტყვები: “დაე, მსუბუქი იყოს შენთვის ის მიწა, რომლის წუხილი გაღელვებდაო“.

ამას წინათ, თურმე, მორიგი სიხარულის მოწმე უნდა გავმხდარიყავი: ჟურნალ „Огонёк“-ში ერთ-ერთ ძველ ფოტოსურათზე, რომელიც ლევ ტოლსტოის დაკრძალვის დაუვიწყარ წუთებს ასახავს, ჩემი და ჩემი ძმის გამოსახულებაც ვიხილე. ჩვენ, სტუდენტურ ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდები, სამუდამო განსასვენებლისაკენ მივაცილებთ დიდი მწერლის ცხედარს...

გულით მეწადა, სამახსოვროდ ამ ჟურნალის რამდენიმე ცალი მქონოდა. და ამისათვის რედაქციას თხოვნით მივმართე. რამდენიმე ხნის შემდეგ, მართლაც, მივიღე „Огонёк“-ის ორი ეგზემპლიარი, რისთვისაც უდიდეს მადლობას ვწირავ ჟურნალის ყველა თანამშრომელს. მე კი ამ ფაქტმა თითქოს სიჭაბუკე დამიბრუნა და დაუვიწყარ დღეთა ყვავილობა მაგრძნობინა.

ანდრია რაზმაძე

თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი, სახელოვანი მათემატიკოსი ანდრია რაზმაძე სტუდენტობის პერიოდში ჩემი ძმის გრიშას ერთერთი უახლოესი მეგობარი იყო.

1903 თუ 1904 წელი იყო. მე და ჩემი ძმა ქუთაისის რეალური სასწავლებლის მეხუთე კლასის მოწაფეები ვიყავით. მამაჩემი, რომელიც იმ დროს ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებელში მუშაობდა, ბევრ საინტერესო ამბავს ყვებოდა თავისი საქმიანობის, მასწავლებელთა თუ მოსწავლეთა შესახებ. და, აი, ერთ ერთი ასეთი საუბრის დროს მან ანდრია რაზმაძეც ახსენა, რომელიც გულმოდგინედ მეცადინეობდა სკოლაში და თურმე მათემატიკურ საგნებში განსაკუთრებულ ნიჭს ამჟღავნებდა.

სხვათა შორის, რაზმაძეები რაჭაში, სოფელ წმენდაურში ცხოვრობდნენ. ისინი მეტად ღარიბები იყვნენ, მაგრამ გამოირჩეოდნენ დიდი შრომისმოყვარეობით, თუმცა სწავლა-განათლებას თითქმის არ ეტანებოდნენ.

დიახ, მამა აქებდა მას და ამბობდა, რომ, თუ ეკონომიკურმა მდგომარეობამ არ შეუშალა ხელი და სწავლას თავი არ დაანება, უთუოდ გამოჩენილი პიროვნება დადგებაო.

როდესაც მეექვსე კლასში გადავედით, სწორედ მაშინ გავიგეთ, რომ სამოქალაქო სასწავლებლიდან რეალურ სასწავლებელში გადმოვიდა და მისაღები გამოცდები დაიჭირა მამაჩემის ყოფილმა შეგირდმა ანდრია რაზმაძემ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენზე ორი წლით უმცროსი გახლდათ, მაინც დიდად დავმეგობრდით და დავუახლოვდით ერთმანეთს.

ანდრია გულით ხარობდა მისი საყვარელი მასწავლებლის შვილების გაცნობით, მასწავლებლისა, რომელიც მუდამ მშობლიურ მზრუნველობას უწევდა მას.

1906 წლის ივნისში დავამთავრეთ სასწავლებელი და მაშინვე მოსკოვში გავემგზავრეთ. როცა ჩასვლის პირველსავე დღეებში უნივერსიტეტის კანცელარიაში მივედით და ჩვენი განცხადებების ბედს ვეცნობოდით, მოულოდნელად ანდრია რაზმაძეს შევეფეთეთ, მათემატიკურ ფაკულტეტზე შეეტანა საბუთები და მასაც პასუხის გაგება უნდოდა.

ამ ამბავმა დიდად გაგვახარა, მით უფრო, რომ ამდენ ხალხში ჯერ კიდევ არავის ვიცნობდით მაშინ, როცა ქუთაისში განებივრებულები ვიყავით ნაცნობ მეგობრებით, ნათესავებით და მათ ყოველ ნაბიჯზე ვხვდებოდით.

შეუძლებელია იმ სიხარულის გადმოცემა, რაც მაშინ ვიგრძენით... ამ სიხარულს ჩვეულებრივი სიტყვებით ვერ გადმოსცემს ადამიანი.

მეოთხე კლასის მოსწავლემ ანდრია რაზმაძემ მეხუთე კლასის გამოტოვებით პირდაპირ მეექვსეში დაიჭირა გამოცდები და ამით ერთი წელი მოიგო, მაგრამ მეექვსე კლასის შემდეგ მეშვიდეც გამოატოვებინეს და პირდაპირ ატესტატის გამოცდები ჩააბარებინეს.

ეს ყველაფერი მისი დიდი ნიჭის წყალობით მოხდა.

გავიგეთ თუ არა ჩვენი უნივერსიტეტში ჩარიცხვის ამბავი, მაშინვე გადავწყვიტეთ, რომ ბინა ერთად დაგვექირავებინა.

ბევრი სიარული არ დაგვჭირვებია და იქვე უნივერსიტეტის ახლოს - ბოლშაია ნიკიტოვკაზე (დღეს გერცენის ქუჩა) სემენკოვიჩის ექვსსართულიან სახლში დავბინავდით.

ბინის პატრონი მეტად კეთილი და სათნო ახალგაზრდა აღმოჩნდა. მას უკვე მიღებული ჰქონდა დოცენტის სამეცნიერო ხარისხი და მოსკოვის უნივერსიტეტში მსახურობდა, ბინაც ახლად დაეკავებინა და ზედმეტი ფართობი, დაახლოებით 20 კვ.მ. ჩვენ მოგვაქირავა. სამი სტუდენტისათვის ეს სრულიად საკმარისი იყო, თანაც თვეში 14 მანეთს ვიხდიდით.

ბინის პატრონის გვარი გიდულინოვი გახლდათ; იგი შემდეგში იმავე უნივერსიტეტის პროფესორი გახდა და იურიდიული ფაკულტეტის დეკანის თანამდებობა დაიკავა.

ჩვენც მეტად კმაყოფილნი დავრჩით როგორც ბინის სიახლოვით, ისე მისი პატრონისა და სხვა მდგმურთა სიკეთით. ნიკიტსკაიას ქუჩაზე ერთი წელიწადი ვიცხოვრეთ მხოლოდ. ნამდვილად კარგ გარემოში ვიყავით. ხშირად დავდიოდით ხოლმე კონცერტებზე იქვე, კონსერვატორიაში. სტუმარი არც ჩვენს სახლს აკლდა; განსაკუთრებით ხშირად მოდიოდნენ ჩვენი ქუთაისელი ამხანაგები, ვისთან ერთადაც დავამთავრეთ რეალური სასწავლებელი. ესენი იყვნენ: ტერ მარტიროსიანი და რუბენ აუშტოვი, იაშა ალავერდოვი, ალექსანდრე ბადრიძე თბილისის გიმნაზიიდან, აგრეთვე ორი რუსი მათემატიკოსი, რომელთაგან ერთის გვარი ჩიჟოვი იყო, მეორისა კი აღარ დამამახსოვრდა... ვინ იცის, იქნებ ის დღეს გამოჩენილი მათემატიკოსია!...

ანდრია რაზმაძე გატაცებით მეცადინეობდა მათემატიკურ საგნებში და ამასთან ერთად ინგლისურ და, მგონი, იტალიურ ენებსაც ეუფლებოდა. ერთხელ, როდესაც ვკითხე – ასე რატომ იტვირთავ თავს მეთქი, მან მიპასუხა, - ჩემთვის არაა ძნელი, რადგან მათემატიკური ენა ყველგან ერთია: პუნქტირი ყველგან პუნქტირია, ასევე სინუსიც და კოსინუსიც, ეს კი ძალიან მიადვილებს შრომასო.

ანდრო მუდამ გვეუბნებოდა, - წამოდით, ანდრეევის ლექციას მოგასმენინებთ და მაშინ ნახავთ, როგორი საინტერესოა მათემატიკაო. ანდრო სულ მის ხსენებაში იყო. ახსენებდა აგრეთვე ცესარსკის გვარსაც, რომელიც ასტრონომიის კურსს კითხულობდა. დანარჩენ ლექტორთა გვარებს უკვე ვეღარ ვიხსენებ.

ერთხელ ანდროს პროფესორ უმოვის ლექციაზე წავყევი, რომელიც ფიზიკას ასწავლიდა. იგი შესანიშნავი აღნაგობის ადამიანი იყო, მაღალი, ჭაღარა წვერ ულვაშითა და სქელი, უკან გადავარცხნილი თმით. მოკლედ, მარტო გონებით კი არა, გარეგნობითაც ნამდვილი მეცნიერი იყო. ფიზიკის თეორიული ნაწილის გარდა, მე უფრო ცდები მაინტერესებდა; ამისათვის პროფესორს საგანგებო თანამშრომელი ჰყავდა, ერთი მაღალ მაღალი, მეტად უბრალო ადამიანი და ბავშვობიდან თავის საქმეში დახელოვნებული იმდენად, რომ ლექციებსაც კი უკითხავდა სტუდენტებს...

აქებდნენ პროფესორ ლებედევსაც, მაგრამ მე უფრო უმოვის პიროვნებამ დამაინტერესა.

იმ პირველი წლის შემდეგ ანდრო რაზმაძეს ძალიან იშვიათად ვხვდებოდი, რადგან იგი სხვაგან გადავიდა საცხოვრებლად. „ზემლიაჩესტვოში“ თუ შემოივლიდა ხანდახან ქართულ საღამოზე დასასწრებად, თორემ სხვაგან თითქმის აღარც ვხვდებოდით ერთმანეთს. ტყუილად დროის კარგვას ერიდებოდა, მუდამ სახლში იჯდა და მუშაობდა. არც ის ვიცი, სად ან ვისთან ცხოვრობდა, მხოლოდ ის ვიცი, რომ მოსკოვის უნივერსიტეტი ზუსტად ოთხ წელიწადში დაამთავრა და სამსახურიც სადღაც რუსეთში დაიწყო, მგონი, ქალთა გიმნაზიის მასწავლებლად. ქალებთან კი ძალიან მორიდებული იყო.

1919 წლიდან ანდროს უკვე თბილისში ვხვდებოდი. მაშინ მეც თბილისში დავსახლდი და სამსახურიც დავიწყე. აღარ მახსოვს, თუ რა პირობებში შევხვდი თავდაპირველად; რამდენჯერმე თვითონაც მინახულა, ერთხელ კი მე და გრიშა საგანგებოდ წაგვიყვანა თავისთან მელიქიშვილის ქუჩაზე. ეს იყო სასტუმრო „საქართველოს“ პირდაპირ, კუთხის ერთ სახლში, რომლის ნომერი დღეს უკვე აღარ მახსოვს. ლამაზად მოწყობილი პატარა, მაგრამ კოხტა ბინა მეორე სართულზე იყო, მასთან ერთად ცხოვრობდნენ დედა და ორი და – ელენე და მარო, სახით ალი-კვალი თავიანთი ღვიძლი ძმისა. ანდროს კი მეტად სიმპათიური სახე ჰქონდა, ლამაზი და მიმზიდველი. ტანად მაღალი იყო, თხელი და ჩამოსხმული. ლაპარაკიც ძალიან დახვეწილი ჰქონდა და ცდილობდა ქართულად სწორად და გამართულად ესაუბრა. როგორც ჩანს, ლექციების კითხვამ უაღრესად დაუხვეწა მეტყველება. მაგრამ მაინც რუსულად საუბარი უფრო ემარჯვებოდა. ძალიან უყვარდა მხატვრული ლიტერატურა და ფილოსოფია, კოხტად და მოხდენილად ჩაცმა.

ამ მეტად თავაზიან და კეთილშობილურ ბუნებასთან ერთად, მეტად ფიცხიც იყო. საუბრის დროს თუ შემთხვევით რაიმე საწყენს ეტყოდით, უცბად იფეთქებდა, მაგრამ, საზოგადოდ, გულის მოსვლა არ სჩვეოდა.

რატომღაც საკუთარი სახელი არ მოწონდა და ხშირად ანდრიას მაგიერ ანდრონიკს წერდა, მაგრამ მალე ამასაც მიანება თავი. ხელი არაჩვეულებრივად ლამაზი ჰქონდა და როცა დაფაზე რაიმეს წერდა, გეგონებოდათ, ხატავსო.

მე შემომრჩა ანდროს ორად ორი ნამუშევარი, რომელთაგან ერთი ფრანგულ, მეორე კი გერმანულ ენებზეა დაწერილი. ასოები მარგალიტებივითაა ჩამოსხმული: „ჩემს მეგობარს ლადო ჯაფარიძეს ავტორისაგან. ტფილისი. 17.4.22

წ.“ ამათგან პირველია „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე #1“. მართალია, ეს ჩემთვის გაუგებარი საგანია, მაგრამ მაინც სიამოვნებით ვათვალიერებ ხოლმე. ანდრიას მეორე ნაშრომი ცალკე ამონაბეჭდია ბერლინის 1921 წლის ჟურნალიდან...

გულდასაწყვეტი ის იყო, რომ ანდრიას, მათემატიკის გარდა, სხვა არაფერი ახსოვდა. ჩვენ ვამჩნევდით ამას, ხშირად ვეხუმრებოდით ხოლმე და ბევრსაც ვიცინოდით.

ერთ დილით, ჩაი რომ დავლიეთ და მოსამსახურე ქალმა ჩვენი ოთახიდან სამოვარიც კი გაიტანა, ანდრიამ ფრანგულ და გერმანულ წიგნებს მოჰკიდა ხელი და სერიოზული კილოთი გვკითხა: მეგობრებო, ჩაი თუ დავლიეთ?... ახლა ხომ უნივერსიტეტში წასვლის დროაო...

ჩვენ სიცილი წაგვსკდა და შევახსენეთ, რომ ჩაი უკვე დალეული გვქონდა: - როგორ, აღარ გახსოვს? - ვკითხეთ ჩვენ.

- აჰ, არა, არ მახსოვს, - გადაჭრით გვიპასუხა მან, მაგრამ მერე დაფიქრდა, ყველაფერი გაიხსენა და თავადაც ბევრი იცინა. ეს იყო და ეს, წამოავლო ხელი წიგნებს და საჩქაროდ გაიქცა უნივერსიტეტში.

ერთხელ ისევ გვკითხა: - ჩაი თუ დავლიეთ, მეგობრებო?

მიუხედავად იმისა, რომ ადრე იყო, ჩვენ მაინც განგებ ვუპასუხეთ: - რა თქმა უნდა, დავლიეთ, განა აღარ გახსოვს?

- მაშინ რატომ ვარ ასეთი მშიერი? – იკითხა მან.

ამ დროს კარიც გაიღო და ქალიც გამოჩნდა მოთუხთუხე სამოვარით ხელში. მაშინ მიხვდა ანდრო, რომ ვეხუმრებოდით.

ანდროს მისტიკურ ასტრალური ამბებისაც სჯეროდა. ნამდვილად სწამდა თუ ჩვენ გვაჩვენებდა თავს, ამას დანამდვილებით ვერ ვიტყვი, მაგრამ ერთხელ აბასთუმანში ჩვენს ოჯახში „სულის გამოძახებაც“ ითავა და ამისათვის ქალებს საგანგებოდ მაგიდაც მოატანინა. მე იქ არ ვიყავი და ამ სეანსის შესახებ ჩემმა მეუღლემ მიამბო.

ყველანი ცარიელ მაგიდას შემოუსხდნენ თურმე და მაგიდაზე ხელები დააწყვეს, ანდრომ კი ჩუმად პუშკინის ”გამოძახების” პროცესი დაიწყო... სული თუ „მოვიდოდა“, მაგიდა უნდა ამოძრავებულიყო და ეს იქნებოდა „პუშკინის მოსვლის“ ნიშანი. მაგრამ, მიუხედავად მრავალი ცდისა, მაგიდა მაინც არ განძრეულა. როცა ცდის უშედეგობის გამო დამსწრეებმა სიცილი ატეხეს, ანდრო განაწყენებულა და უთქვამს: - ეს ალბათ იმიტომ, რომ თქვენ არასერიოზულად მოეკიდეთ ცდასო და მაშინვე თავი დაუნებებია მორიგი სეანსისათვის.

გუშინდელივით მახსოვს ის მწარე დღე, როცა გავიგე ანდროს ავადმყოფობა, ხოლო შემდეგ მისი გარდაცვალების ამბავი. თითქოს ღვიძლი ძმა მომკვდომოდეს, ისე განვიცადე.

იგი უნივერსიტეტიდან გამოასვენეს და ამ ცერემონიას უამრავი ხალხი დაესწრო. ითქვა ბევრი გულისამაჩუყებელი და მგძნობიარე სიტყვა, აღინიშნა, რომ ანდროს სიკვდილი დიდი დანაკლისია ქართული მათემატიკური მეცნიერებისათვის, რომ 39 წლის ასაკში მეცნიერები მხოლოდ იწყებენ გაფურჩქვნას და სხვ.

დაასაფლავეს იგი დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

მაიაკოვსკების ოჯახი

მაიაკოვსკების ოჯახი მუდამ გამოირჩეოდა თავისი კეთილშობილებითა და ადამიანური ღირსებებით. მათი ოჯახის წევრებს საქართველო თავის სამშობლოდ მიაჩნდათ და ზოგიერთი მათგანი, მგონი, ქართველობდა კიდეც.

ეს მოგონება მაიაკოვსკების ოჯახზე 1903 წლიდან იწყება. ჩვენი ოჯახი იმ დროს ქუთაისში ცხოვრობდა, სადაც მამაჩემი – მალაქია ჯაფარიძე – სამოქალაქო სასწავლებელში მსახურობდა. ეს სასწავლებელი რიონის მარჯვენა მხარეს, გეგუთის ქუჩის ერთ პატარა შესახვევში იყო, ბინაც იმ მიდამოებში გვქონდა. მაიაკოვსკების ოჯახიც აღნიშნულ უბანში ცხოვრობდა. ოლია და ვალოდია გიმნაზიაში გეგუთის ქუჩით დადიოდნენ და ამიტომ ყოველ დილით ვხვდებოდით ერთმანეთს.

ვალოდია და ჩემი უმცროსი ძმა ალექსანდრე ტოლები იყვნენ, კლასიკურ გიმნაზიაში ერთად სწავლობდნენ და დილაობით სასწავლებელშიც ერთად უხდებოდათ სიარული. ძნელი იყო ფორმაში გამოწყობილი ბიჭუნების ერთმანეთისაგან გარჩევა, მაგრამ ვალოდია თავისი აღნაგობით, დიდრონი, შავი, აზრიანი თვალებით და ცოცხალი სახით ყველასაგან გამოირჩეოდა. და ძმა ამ მხრივ ძალიან ჰგავდა ერთმანეთს, ორთავე კი - მამას, ბრგე ტანის, სანდომიანი სახის ვაჟკაცს, რომელსაც კიდევ უფრო ამშვენებდა წაბლისფერი მოგრძო წვერი, ჩვენებურ, ქართულ იერს რომ აძლევდა. მასაც ხშირად ვხვდებოდით გეგუთის ქუჩაზე და ყოველი შეხვედრისას მოწიწებით ვუხდიდით ხოლმე ქუდს.

მაიაკოვსკების მამა ბაღდადში მუშაობდა, მაგრამ ხშირად ჩამოდიოდა ქუთაისში თავისი ცოლ შვილის სანახავად. მას, ისევე როგორც მთელ ოჯახს, ძალზე კარგი დამოკიდებულება ჰქონდა მეზობლებთან, ამიტომ ყველასათვის საყვარელი და პატივსაცემი ადამიანი იყო. ყოველ ჩამოსვლაზე მამაჩემს ხვდებოდა ხოლმე. არაერთხელ ვყოფილვარ მათი გულთბილი საუბრის მოწმე.

ჩვენი პატარა მეგობრების მამისადმი კიდევ იმიტომ ვიყავით კეთილად განწყობილნი, რომ მან ქართული ენა ჩინებულად იცოდა.

1905 წელს მამაჩემი ერევნის გუბერნიაში რომ გადაიყვანეს სასწავლებლის ინსპექტორად, ძმები რიონის მარცხენა ნაპირზე გადავედით საცხოვრებლად და ამით უფრო დავუახლოვდით ჩვენს რეალურ სასწავლებელს, სამაგიეროდ, უფრო იშვიათად ვხვდებოდით მაიაკოვსკების ბავშვებს, უფრო კი - დემონსტრაციების დროს.

იმ ხანებში ქუთაისში მოსწავლეთა გამოსვლებიც იყო. სხვადასხვა სასწავლებლის ბავშვები დარაზმულნი დაიარებოდნენ ქალაქის ქუჩებში და „მარსელიეზასა“ და სხვა რევოლუციურ სიმღერებს მღეროდნენ. ვალოდია მაიაკოვსკი მოსწავლეთაგან მუდამ გამოირჩეოდა თავისი მგზნებარე სიტყვებითა და იმ ადრეული ლექსებით, რომლებშიაც უკვე ჩანდა მომავალი მგოსნის მაღალნიჭიერება. გამოსვლებში მხურვალედ მონაწილეობდა მისი და ოლიაც.

და ძმას ისე ვუყურებდი, როგორც ახლობლებსა და მეგობრებს; ამიტომაც ასე ღრმად ჩამრჩა მეხსიერებაში მათი სახე. ჩვენ მარტო ქუჩაში კი არა, ქუთაისის თეატრშიც ვხვდებოდით ერთმანეთს. ლადო მესხიშვილის მიერ დადგმული სპექტაკლები სულიერად ენათესავებოდა ვალოდიას ბობოქარ ბუნებას.

განვლო ხანმა, დროებით ჩაწყნარდა გაფიცვები, გამოსვლები და ახალგაზრდებიც მერხებს დავუბრუნდით. ხოლო 1906 წელს მე და ჩემმა ძმამ

გრიგოლმა დავამთავრეთ ქუთაისის რეალური სასწავლებელი და მოსკოვს გავემგზავრეთ უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად.

მოსკოვში უცნობ ადამიანთა შორის ცხოვრებამ სევდა მოგვგვარა. ქუთაისის შემდეგ ობლად ვგრძნობდით თავს. იქ ხომ ყოველ ნაბიჯზე მეგობარი თუ არა, ნაცნობი მაინც გვხვდებოდა ხოლმე.

მაგრამ ერთ დღეს ბრონნაიას ქუჩაზე მოულოდნელად ნაცნობი სახეები დავინახეთ.

- ეს ხომ ჩვენი ქუთაისელები არიან! – წამოვიძახეთ გახარებულებმა და დიდი ხნით დაშორებული ძმებივით გადავეხვიეთ ერთმანეთს. ესენი იყვნენ ჩვენი ბავშვობის მეგობრები და ძმა ოლია და ვალოდია მაიაკოვსკები.

ძნელია კაცმა წარმოიდგინოს ის დიდი სიხარული, ქუთაისელ მეგობრებთან ასეთი მოულოდნელი შეხვედრის დროს რომ განვიცადეთ, მით უფრო უცნობ ზღვა ხალხში. ჩვენდა მოულოდნელად, გავიგეთ მაიაკოვსკების მამის დაღუპვის ამბავი. ამ მიზეზით ოჯახს სამუდამოდ დაეტოვებინა ქუთაისი და მოსკოვში გადმოსახლებულიყო, სადაც სწავლობდა და ცხოვრობდა ოჯახის უფროსი ქალიშვილი ლიუდმილა.

მართალია, გული დაგვწყვიტა შესანიშნავი ადამიანის დაკარგვამ, მაგრამ ამავე დროს სიხარული ვიგრძენით იმის გამო, რომ თურმე მარტონი არ ვყოფილვართ უცხო ქალაქში, მოკეთენი აქაც გვყოლია.

იმ საღამოსვე მოვნახეთ ელჩინსკის სახლი სპირიდონოვკაზე, სადაც ჩვენთვის ძვირფასი ოჯახი იყო დაბინავებული და საყვარელ თანამემამულეებთან თავი ისე ვიგრძენით, როგორც მშობლიურ სახლში.

ოჯახის დედას, - ალექსანდრა ალექსის ასულს, ჯერ კიდევ არ გაქრობოდა იმ დიდი მწუხარების კვალი, რომელიც ძვირფასი ადამიანის დაკარგვამ გამოიწვია მასში, მაგრამ დაგვინახა თუ არა ქუთაისელები, ნაღვლიანი თვალები გაუბრწყინდა და სახეზე სიხარული მოეფინა. ძალზე თბილად შეგვხვდა, ჩვენები მოიკითხა, ტკბილად გაგვიბა საუბარი, იგონებდა ყოველგვარ წვრილმანს, რაც კი ქუთაისთან იყო დაკავშირებული.

- დროებით მარტოობა ნუ დაგანაღვლიანებთ, ბიჭებო, - გვითხრა ალექსანდრა ალექსის ასულმა, - მალე გაიჩენთ მეგობრებს, ჩვენც აქა ვართ. ჩემი შვილებიც მოწყენილები არიან, მშობლიური მხარე ენატრებათ, განსაკუთრებით ვალოდიას, სულ ბაღდადზე ოცნებობს, მაგრამ რა ვქნათ, გაივლის დრო და მიეჩვევით აქაურობას.

ამ სიტყვებმა სევდისა და სულიერი ობლობის გრძნობა მაშინვე წაშალა ჩვენს სულში.

მას მერე დიდმა დრომ განვლო, ბევრმა წყალმა ჩაიარა, წელთა ბევრი ათეულიც დამრჩა უკან. ვფურცლავ ჩემს საყვარელ წიგნებს; განსაკუთრებული მოწიწებით ვჩერდები ხოლმე ლიუდმილა მაიაკოვსკაიას მიერ საკუთარ ოჯახზე დაწერილ წიგნზე, რომლის თავფურცელს ავტორის ლამაზი ხელით ასეთი წარწერა ამშვენებს: „ჩვენი ოჯახის ძვირფას მეგობარს სტუდენტური წლებიდან - ლადო ჯაფარიძეს იმ წლების მცირე ნაკვეთი ჩემი აღწერით. ლიუდმილა მაიაკოვსკაია.“

ვფურცლავ აღნიშნულ წიგნს და ჩემი თავი ისევ მაიაკოვსკების ოჯახში მგონია. მადლიერების გრძნობით ვიხსენებ იმ შეხვედრას, რომლის წყალობით მე და ჩემი ძმა მოსკოვში დავრჩით, ხოლო, მერე, თანდათან არა თუ შევეგუეთ მოსკოვსა და სტუდენტურ ცხოვრებას, სულ მალე ქართველ სტუდენტთა

სათვისტომოს აქტიური წევრებიც გავხდით და მონაწილეობას ვღებულობდით მის ყველა ღონისძიებაში.

ამ სათვისტომოსთან დაკავშირებული ჩვენი საქმიანობა მუდამ კეთილადაა გასახსენებელი. ორივე ძმას ბევრჯერ გაგვხსენებია ჩვენი პირველი ძნელბედობის დღეები მოსკოვში და მაიაკოვსკების სასიკეთო გავლენა ჩვენს ცხოვრებაზე, გავლენა, რომელმაც მოსკოვი ჩვენს მშობლიურ ქალაქად აქცია. ასევე მშობლიურ ქალაქად იქცა მოსკოვი მაიაკოვსკების ოჯახისთვისაც. მათი ჩემდამი სიყვარულის ნათელი დადასტურებაა ოლღა მაიაკოვსკაიას მიერ ქალაქ ჩილგოპოლიდან 1941 წლის ოქტომბერში გამოგზავნილი თბილი წერილი. ამ ქალაქში ოლღა დროებით იმყოფებოდა მეორე მსოფლიო ომის დროს. აი, ხსენებული წერილიც:

„გულითადი სალამი ლადოს! – მწერდა იგი, - მივიღე თქვენი ღია ბარათი და ძალიან ამაღელვა თქვენმა ყურადღებამ. ადგილი აქ, მართალია, ლამაზი და წარმტაცია, მაგრამ ამჟამად ქვეყნიერებაზე ჩვენი მოსკოვისთანა არაფერი არაა. ჩემი ფიქრი და გონება მას დასტრიალებს. ძალიან ვწუხვართ, ასეთ დროს თბილისში რომ არ ჩამოვედით, მაგრამ, სადაც არ უნდა ვიყო, ჩემი ოცნებაა, რაც შეიძლება მალე დავბრუნდე მშობლიურ მოსკოვში. სალამი თქვენს ოჯახს და გრიშას. იყავით კარგად. ოლია.“ სიტყვა „ოლია“ მას ქართულად აქვს დაწერილი, თანაც ფრჩხილებში ასეთი მინაწერიც გაუკეთებია: *„ჯერ კიდევ მახსოვს, თუ როგორ იწერება ჩემი სახელი.“*

მართალია, დრომ ფერი დაუკარგა მელნით შესრულებულ პწკარებს, მაგრამ დაუვიწყარი მეგობრის ნათელი სული, რომელიც შიგ უხილავად ტრიალებს, ისევ ისე ცოცხლობს ჩემს მეხსიერებაში.

1907 წლის შემოდგომაზე უნივერსიტეტის სათვისტომოს კრებაზე თავზარდამცემი ამბავი გავიგეთ: ვერაგულად მოეკლათ ჩვენი ერის დიდი მოამაგე ილია ჭავჭავაძე. ეს ცნობა მთელ უნივერსიტეტს მოედო და ქართველ სტუდენტებში დიდი მწუხარება გამოიწვია. ჩვენმა სათვისტომომ განსაკუთრებული საღამო მოაწყო, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ ასეთივე საღამო, მხოლოდ უფრო ღრმად გააზრებული პროგრამით, მოსკოვის ეთნოგრაფიულმა საზოგადოებამაც გამართა.

ქართველმა სტუდენტებმა გადავწყვიტეთ, რაც შეიძლება, მეტი ნაცნობ მეგობარი წაგვეყვანა ამ საღამოზე და ჩვენი ეროვნული კულტურისათვის პროპაგანდა გაგვეწია. გული დაგვწყდა, როდესაც ზოგიერთმა მათგანმა ფრიად გაიოცა ეს ამბავი, რადგან არ ეგონათ, რომ ქართველებს ჰყავდათ მწერლები და ჰქონდათ დამწერლობა. მიზეზი ის გახლდათ, რომ მეფის რუსეთის პირობებში „ინოროდცების“, ე.ი. არარუს ხალხთა ლიტერატურა არ ითარგმნებოდა რუსულ ენაზე და, მაშასადამე, არც არსებობდა.

ხსენებულ საღამოზე ოლია მაიაკოვსკაიაც მოვიდა და ამხანაგებიც მოიყვანა, რომლებსაც გატაცებით უყვებოდა საქართველოს შესახებ და განმარტებებს აძლევდა საინტერესო მოხსენების ირგვლივ. საერთოდ, ოლია მაიაკოვსკაიას ძალიან უყვარდა ისეთ კრებებზე სიარული, სადაც შეიძლებოდა შეხვედროდა თავის თანამემამულეებს, უყვარდა ე. წ. „ქართულ საღამოებში“ მონაწილეობის მიღება. ეს საღამოები თავისი ორიგინალობისა და ეროვნული კოლორიტის გამო, საკმაო პოპულარობით სარგებლობდა მოსკოვში. ამ „საღამოების“ ხშირი სტუმარი ვალოდიაც იყო.

აი, ჩემი ძმის გრიგოლისადმი მოსკოვიდან გამოგზავნილი ოლია მაიაკოვსკაიას წერილი, რომელშიც „ქართულ საღამოებს“ იგონებს:

„გულწრფელი სალამი გრიშას! მეტად გავიხარე თქვენი წერილის მიღებით; მან შორეული ახალგაზრდობა გამახსენა, როცა ვალოდია იყო და მასთან ერთად „ქართულ საღამოებზე“ დავდიოდით, მაგრამ ცხოვრება ძალიან გამოიცვალა. დიდი სურვილი მაქვს ჩამოვიდე სამშობლოში, მაგრამ ეს ყველაფერი მეტად რთულია და არ ვიცი, როდის მოვახერხებ ამას. თუ მოსკოვში მოხვდით, აუცილებლად მოდით ჩვენთან თქვენ და ლადო. ცხოვრება მიდის, მაგრამ ძველი მეგობრები არ ივიწყებენ ერთმანეთს, და ეს მეტად სასიამოვნოა. გისურვებთ ყოველივე კარგს. დედამ და ლიუდამ მოგიკითხეს, სალამი ლადოს და ყველა თქვენებს. მუდამ მახსოვხართ. ოლია.“

ეთნოგრაფიული საზოგადოების მიერ ჩატარებულმა საღამომ მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა ჩვენს ძველ განზრახვას, რუსული ფართო საზოგადოებისათვის ქართული კულტურა და, კერძოდ, ილია ჭავჭავაძის შემოქმედება გაგვეცნო.

მაიაკოვსკებთან შევიარეთ. მთელი ოჯახი სიხარულით შემოგვეგება მე და გრიგოლს. შეგვხვდნენ როგორც დიდი ხნის უნახავ, სასურველ სტუმრებს. ვალოდია უფრო დავაჟკაცებულიყო. ხმა დაბოხებოდა. ჩვენდა სასიამოვნოდ, იქვე დაგვხვდა ჩვენი ძველი ქუთაისელი მეგობარი და ცნობილი რევოლუციონერი კოლა (ისიდორე) მორჩაძე, მოსკოვის 1905 წლის აჯანყების აქტიური მონაწილე. მთელი ის საღამო ქუთაისსა და საქართველოზე იყო საუბარი. გამოითქვა აზრიც, რომ, რაც შეიძლება სრულყოფილად გაგვეცნო რუსი მკითხველისათვის ქართული ლიტერატურის ნიმუშები. მაიაკოვსკების ოჯახი მხურვალედ გამოეხმაურა გადაწყვეტილებას და დახმარებაც აღგვითქვა, განსაკუთრებით აქტიურობდნენ ოლია და ვალოდია.

რამდენიმე ხნის შემდეგ მე და ჩემმა ძმამ გრიგოლმა ვთარგმნეთ ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“, რომელიც პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილის დახმარებით, მისი რედაქციითა და წინასიტყვაობით დაბეჭდა გამომცემლობა „პოლზამ“. წიგნი რომ გამოქვეყნდა და გარეკანზე რუსულად წარწერილი „ილია ჭავჭავაძე“ წავიკითხეთ, ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მაიაკოვსკებმა პირველებმა გაიზიარეს ჩვენი სიხარული და ეს სავსებით გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ეს იყო პირველი ნაბიჯი ან, უკეთ რომ ვთქვათ, ქართული მწერლობის საგზური დიდ სარბიელზე გასასვლელად.

გავიდა რამდენიმე წელი და უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე საქართველოში დავბრუნდი.

მალე რუს პოეტთა შორის მაიაკოვსკის გვარიც გახმაურდა, და რაოდენ დიდი გახლდათ ჩემი სიხარული, როდესაც გავიგე, რომ ეს ჩვენი ვალოდია მაიაკოვსკი იყო, ჩემი თანამემამულე და სიყრმის მეგობარი, ვისაც მუდამ გულწრფელად უყვარდა საქართველო, მშობლიური ბაღდადი და რომელიც ამბობდა: “ჩემი სამშობლო სოფელი ბაღდადია, ქუთაისის გუბერნია, საქართველო.“

ქუთაისმა განსაკუთრებული როლი ითამაშა მაიაკოვსკებისა და, უშუალოდ, ვლადიმერის სულიერი ცხოვრების ჩამოყალიბებაში. იმ დროს ქუთაისში დიდი აკაკი იმყოფებოდა, რომლის მებრძოლი პოეზია უდიდეს ზეგავლენას ახდენდა ახალგაზრდობაზე და მათ შორის, უეჭველია, ვალო-დიაზეც. „გმირებს დაეძებს, უყივის ჩემი დაფი და ნაღარა.“ ასე რომ, დიდი

პოეტის შემოქმედებამ დასაბამი „ბაღდადის ცათა ქვეშ“ ცხრაასიანი წლების ქუთაისში ჰპოვა, ხოლო შემდეგ, მისი პოეტური ნიჭი საბოლოოდ მოსკოვში გაღვივდა და გაიფურჩქნა.

ამავე აზრისა იყო პოეტის და ლიუდმილაც. იგი ამბობდა: ჩემი ძმის ზოგიერთ ბიოგრაფს რატომღაც ავიწყდება მისი შემოქმედებითი და, საერთოდ, ბიოგრაფიის უშუალო კავშირი კავკასიასთან; მე კი ვამტკიცებ, რომ კავკასია და, კერძოდ, საქართველო, ქუთაისი, მისთვის ყველაფერი იყო. მან იგივე აზრი გაიმეორა 30 იან წლებში მისი დეიდაშვილის ვერა აგაჩოვა ნანეიშვილის ბინაზე თბილისში, როდესაც მე და მიქელ პატარიძემ ვინახულეთ ლიუდმილა. ამავე აზრს ავითარებდა მწერალი გ.ვ.ბებუთოვი წიგნში: „მაიაკოვსკის მოწაფეობის წლები და პედაგოგი ვს.ი.კაპანაძე.“

აღსანიშნავია მაიაკოვსკების დიდი სიყვარული ქართული ენისადმი. მე უკვე ვთქვი, რომ მათ ოჯახში ჩინებულად ლაპარაკობდნენ ქართულად, განსაკუთრებით – ვლადიმერი, რომელმაც ბოლომდე შემოინახა ეს ცოდნა. იგი პატივს მიაგებდა თავის ახლო მეგობრებს ვასო კანდელაკსა და კოლა მორჩაძეს, რომ აღარაფერი ვთქვა სხვა მეგობრებზე. ძალიან უყვარდა ეროდიონ ევდოშვილის ლექსი: „მეგობრებო, წინ, წინ გასწით!“ ამასთან, მშვენივრად წაუმღერებდა ხოლმე ცნობილ რომანსს „მხოლოდ შენ ერთს“...

ჩემი ძმა გრიგოლი უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ხშირად იმყოფებოდა მოსკოვში და ყოველთვის მოინახულებდა ხოლმე მაიაკოვსკების ოჯახს. თბილისში დაბრუნებული კი სიამაყით მიამბობდა ვალოდიას არნახულ წარმატებებზე. 1930 წელს, როდესაც მისი მოულოდნელი გარდაცვალების ამბავი გავიგეთ, თავზარი დაგვეცა და ისე განვიცადეთ, როგორც შეიძლება კაცმა ყველაზე ახლობელი ადამიანის დაკარგვა განიცადოს.

უკანასკნელად ვლადიმერ მაიაკოვსკი თბილისში 1929 წლის გაზაფხულზე ვნახე: უეცრად ტრამვაიდან დავინახე იგი. ყავისფერ კოსტუმიანი, ბრგე და ახოვანი ვაჟკაცი ფართო ნაბიჯებით მოდიოდა ქუჩაში; გვერდით ქართველ პოეტთა ჯგუფი მიყვებოდა. მართალია, დიდი ხნის უნახავი მყავდა, მაგრამ მაინც ვიცანი. იმ დღეს მასთან მისვლა დამაგვიანდა, ხოლო მეორე დღეს მოსკოვში გამასწრო.

ვლადიმერი იშვიათი ენამახვილი იყო და ექსპრომტებიც მოხდენილი იცოდა; ცნობილია მისი მიმართვა ვალერიან გუნიასადმი ბაქოში გამართულ ერთ-ერთ ბანკეტზე 1927 წელს, რომელიც „სალიტერატურო გაზეთში“ დაიბეჭდა 1933 წლის 31 ოქტომბერს. მოვიყვან ნაწყვეტს:

И теперь в дали от вас
Висурвебди вкопиликав
тквентан ертад,
Как с братом брат.
Хотелось вновь и в глаз, и в бровь
Делить и ласку и любовь,
И посмеятся и побалагурить,
Квлав могвелхина гвинит да пурит,
Маглари гвесва кацит да чурит.

თბილისში ჩამოსვლისას მაიაკოვსკები ჩერდებოდნენ ლენინის ქუჩის ერთ პატარა შესახვევში, სადაც ცხოვრობდნენ აგაჩოვები: ალექსანდრა ალექსის ასულის და მარიამი და მისი შვილები ვერა და კონსტანტინე. მე და გრიგოლი

ხშირად ვიყავით აგაჩოვების ოჯახში, ანუ, როგორც ხშირად ვამბობდით, „მაიაკოვსკების ფილიალში“, მეტადრე კი მაშინ, როცა ოლია ჩამოვიდოდა ხოლმე მოსკოვიდან. ასეთ დროს აგაჩოვების ოჯახში ბევრი ქუთაისელი მეგობარი ვიყრიდით თავს: მე და გრიგოლი, კოლაუ ნადირაძე, ვასო კანდელაკი, კაკო მარუსიძე, მიქელ პატარიძე, კოლა მორჩაძე და სხვები. ბევრს ვსაუბრობდით, ვიგონებდით ქუთაისში გატარებულ დღეებს, ვსეირნობდით თბილისის ქუჩებში. ოლღა ქართულ ლაპარაკს ეძალებოდა, რადგან ეს ყველაფერი ბავშვობას აგონებდა, თანაც ხშირ ხშირად გვეკითხებოდა, თუ როგორ ახერხებდა ქართულად ლაპარაკს ან რა შეცდომებს უშვებდა.

ოლღა აღნაგობით ძალიან ჰგავდა თავის გოლიათ ძმას, ისეთივე ტანმაღალი იყო, ისეთივე ცოცხალი და მეტყველი შავი თვალები ჰქონდა. იგი სულ ახალგზარდა გარდაიცვალა მოსკოვში გულის ავადმყოფობით 1949 წლის გაზაფხულზე.

მოვიყვან ერთ ამონაწერს ჩემი ძმის გრიგოლის 1949 წლის 5 ივნისს მოწერილი წერილიდან: „...დღეს კი ორთავენი (კოლა მორჩაძესთან ერთად) მაიაკოვსკებთან ვიყავით და ეს არის დავბრუნდით სახლში. ძალიან გულთბილად შეგვხვდნენ. აქ არიან ალექსანდრა ალექსის ასული, ლიუდა და ვერა აგაჩოვა. ჩვენი პირველი სიტყვა, რა თქმა უნდა, ოლიას გახსენება იყო: როგორ უყვარდა განსვენებულს თქვენი მოგონება, ორივე ძმის გახსენება, რომ ვერ გარჩევდით და გეკითხებოდით, რომელი გრიშა ხარ და რომელი ლადო. რაოდენ აღფრთოვანებით ლაპარაკობდა საქართველოზე! – იგონებდნენ ლიუდა და დედამისი. საათის შვიდიდან თორმეტამდე ჩვენი ცოცხალი საუბარი ამ თემაზე არ შეწყვეტილა.“

ალექსანდრა ალექსეევნა მეტად კეთილი ადამიანი იყო, გულთბილი და სტუმართმოყვარე. დღე და ღამე გაერთიანებული ჰქონდა შვილების მოვლასა და სამსახურში. პენსიას იღებდა, მაგრამ ოჯახს არ ყოფნიდა და ხელმოკლედ ცხოვრობდა.

სიცოცხლის ბოლო წლებში შესანიშნავი მოგონება დაწერა შვილზე „ვლადიმერ მაიაკოვსკის ბავშვობა და ყრმობა,“ რომელიც საბავშვო გამომცემლობამ გამოსცა მოსკოვში 1959 წელს.

მაიაკოვსკების ოჯახის გულთბილი დამოკიდებულება ჩვენდამი, დიდი სიყვარული საქართველოსადმი ნათლად ჩანს თუნდაც იმ წერილში, რომელიც ლიუდმილა ვლადიმერის ასულმა დაურთო ჩემთვის გამოგზავნილ თავის წიგნს, მოსკოვში რომ დაიბეჭდა და რომელიც ვლადიმერ მაიაკოვსკის ცხოვრებასა და შემოქმედებას შეეხება. „ჩვენი ოჯახის დიდი ხნის მეგობარს ძვირფას ლადო ჯაფარიძეს, საქართველოსა და მოსკოვში ჩვენი შეხვედრების კეთილად მოსაგონებლად. სიყვარულითა და სალმით ლიუდმილა მაიაკოვსკაია, მოსკოვი, 1966 წლის 26 აგვისტო.“

ეს წიგნი, ისევე როგორც ყველა მისი ნაწერი, საინტერესოდ აღწერს მაიაკოვსკების ოჯახსა და მის ცხოვრებას ბაღდადსა და ქუთაისში, სავსეა ჩვენი ქვეყნის ამსახველი ლამაზი ილუსტრაციებით.

ამით მინდა მოვათავო ჩემი მცირე მოგონება.

1964 წლის გაზაფხულზე გარდაიცვალა ალექსანდრა ალექსის ასული, მაიაკოვსკების დედა, ხოლო 1972 წლის შემოდგომაზე 88 წლისა სიცოცხლეს გამოეთხოვა მაიაკოვსკების ოჯახის უკანასკნელი წარმომადგენელიც – ლიუდმილა ვლადიმერის ასული მაიაკოვსკაია.

ლიუდმილა ენერგიული, შრომისმოყვარე და თავმდაბალი ადამიანი იყო. როდესაც 1906 წელს მის ოჯახს უბედურება ეწვია და მარჩენალი მამა დაეღუპა, უმწეოდ და უსახსროდ დარჩენილი ოჯახის პატრონობა მან, გამოუცდელმა სტუდენტმა იდო თავს. დედა მცირეწლოვანი ბავშვებით ქუთაისიდან მოსკოვში გადაიყვანა და წლების მანძილზე მისი ერთადერთი მზრუნველი და მსახური იყო. ხოლო როცა 1930 წელს ძმაც დაეღუპა, მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის თავგამოდებული მეურვე შეიქნა და შესანიშნავი წიგნებიც დაწერა თავის ოჯახსა და ძმაზე, რომლებსაც ვლადიმერ მაიაკოვსკის მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის.

შეხვედრა კოტე მარჯანიშვილთან მოსკოვში

ეს იყო 1909 წელს, როცა კოტე მარჯანიშვილი მოსკოვში ნეზლობინის თეატრში რეჟისორობდა და ლ.ანდრეევის „შავი ნიღბების“ დადგმით იყო დაკავებული.

ლეონიდ ანდრეევის ეს პიესა ერთი ულამაზესთაგანია მწერლის შემოქმედებაში და თავისი დახვეწილი ოსტატობით ნამდვილ პოემას მოგვაგონებს. ამის გამო მან დიდი გამოხმაურება პოვა მაშინდელ რუსულ ლიტერატურულ და თეატრალურ წრეებში.

„შავი ნიღბების“ პერსონაჟები მეტწილად უსიტყვოდ მოქმედებენ და სცენის დახელოვნებულ ოსტატებს არ საჭიროებენ. ამიტომ თავისუფალ მსახიობთა სიმცირის გამო თუ სხვა რაღაც მოსაზრებით, პიესის დამდგმელმა რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა ამ როლებზე ათი ქართველი სტუდენტი მიგვიწვია, მათ შორის: მე, ჩემი ძმა გრიგოლი, ვანო მჭედლიძე, მიხეილ თუხარელი, გრიგოლ ცხაკაია, დავით გაგუა, ვასო შარაშიძე, გრიგოლ ლაღიძე და სხვ.

ქართველ ახალგაზრდებს მეტად სასიამოვნოდ დაგვრჩა თანამემამულესა და გამოჩენილ თეატრალურ მოღვაწესთან პირისპირ შეხვედრა, მით უფრო, რომ მას პირველად ვხედავდი; პირადად მე კოტე მარჯანიშვილის ნამდვილი თაყვანისმცემელი გავხდი. კოტეს ესოდენ დიდი სახელი და პოპულარობა მუდამ აღფრთოვანებას იწვევდა ჩემში. თეატრში სამუშაოდ მისული, მოკრძალებით ვუსმენდი მის ყოველ სიტყვას და თაყვანს ვცემდი დიდი ხელოვანის მიმზიდველსა და მეტყველ სახეს.

თბილად მიგვიღო კოტე მარჯანიშვილმა თანამემამულენი, მაგრამ არანაკლები სითბო გვაგრძნობინეს იქაურმა მსახიობებმაც, როდესაც სცენაზე მათთვის საყვარელი რეჟისორის თვისტომი ქართველი სტუდენტები გვიხილეს.

ყველაფერმა ამან, ცხადია, კარგი განწყობილება შეგვიქმნა და სითამამე შეგვმატა, მაგრამ საოცრება ის იყო, რომ თეატრში ჩვენთვის უჩვეულო დისციპლინა სუფევდა...

ჩვეულებრივი რეპეტიციის დღე იყო. მუშავდებოდა პირველი მოქმედების მესამე სურათის მასობრივი სცენა და ჩვენც, სხვა მსახიობებთან ერთად, სცენაზე ვიდექით. რეჟისორი რეპეტიციას პარტერიდან ხელმძღვანელობდა, თანაც რატომღაც ნერვიულობდა და ერთსა და იმავეს გვამეორებინებდა...

- არ ვარგა!... ხელმეორედ!... დავიქანცეთ! – მალიმალ გაიძახოდა კოტე.

და აი, როცა „შავი ნიღბები“ ბუხართან იყრიან თავს და გაისმის მათი სიტყვები: - გვცივა!... გვცივა!... - ერთმა მსახიობმა ქალმა საპირისპირო წამოიძახა: - მცხელა!...

ერთბაშად გაფუჭდა ხუმრობის განწყობილება და ქალებს ფერი დაეკარგათ, შეკრთნენ მოსალოდნელი მრისხანების შიშით.

- ვის ცხელა მანდ? – შეჰყვირა რეჟისორმა პარტერში და მუშტი ისე მაგრად დაარტყა პატარა მაგიდას, რომ ყველანი შიშმა აგვიტანა. მერე უეცრად ადგილიდან მოწყდა და სცენისკენ გამოემართა.

- ვის ცხელა აქ? – ისევ გაიმეორა კოტემ, როცა მაღლა ამოვიდა და შავი თვალები დააბრიალა.

გაქვავებული ვიდექით და ველოდით, თუ რა უნდა მომხდარიყო; რისხვა კი გარდუვალი ჩანდა, რადგან დიდ ოსტატს ასეთ შემთხვევაში ხუმრობა არ უყვარდა; მაგრამ ჰოი, საკვირველებავ! ღრუბლებმა გადაიარა და ყველაფერი კარგად დამთავრდა.

ქალებს თურმე სცოდნიათ აღელვებული კოტეს დამშვიდების უებარი საშუალება: ისინი სიყვარულით შემოეხვივნენ საყვარელ მასწავლებელს და ბოდიშით, სინანულით და ტკბილი სიტყვით უეცრად დააცხრეს მისი მრისხანება.

რეჟისორმა სცენის დაღლილ მუშაკებს აპატია ეს შეცოდება და ისევ თავის სამეთაურო ადგილას დაბრუნდა. ყველას გულზე მოგვეშვა და თავისუფლად ამოვისუნთქეთ.

რამდენიმე წუთის შემდეგ ყველაფერი ისევ თავიდან დაიწყო, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს, მხოლოდ იმ მსახიობ ქალს კიდევ კარგა ხანს ეტყობოდა შიშის ნაკვალევი და სახეზე სანთლის ფერი ედო.

- მადლობა ღმერთს, აგვცდა ქარიშხალი!... – მომიბრუნდა ერთი ხნიერი მსახიობი, როცა მუშაობა დამთავრდა და მსახიობებმა ნელ-ნელა იწყეს დაშლა, - ქართველები გულფიცხნი ხართ, მაგრამ უბოროტონი. მე მიცხოვრია თბილისში და კარგად ვიცნობ თქვენი ხალხის ხასიათს...

- ფიცხია ჩვენი რეჟისორი, მაგრამ სამართლიანი, კაცს ტყუილუბრალოდ არ გაწირავს, - გამოეხმაურა მეორე...

დიდხანს ვუგდებდი ყურს მათ და ახალგაზრდა ქართველ სტუდენტს მიხაროდა, რომ ჩვენი თანამემამულე, დიდი თეატრალური მოღვაწე კოტე მარჯანიშვილი ასე უყვარდათ და აფასებდნენ...

ი.ჭავჭავაძისა და ალ.ყაზბეგის თხზულებათა თარგმანის ისტორიისათვის

როგორც ცნობილია, ალ.ყაზბეგის მოთხრობა „ელისო“ არაერთხელ თარგმნილა და გამოცემულა რუსულ ენაზე როგორც ცალკეულ წიგნაკებად, ისე მწერლის სხვა მოთხრობებთან ერთად მის თხზულებათა საერთო კრებულში. ამ უკანასკნელს განეკუთვნება „უნივერსალური ბიბლიოთეკის“ სერიით (# 401) მოსკოვში გამომცემლობა „პოლზას“ მიერ ჯერ კიდევ რევოლუციამდე

დაბეჭდილი „Элисо и другие рассказы“. ყვითელ გარეკანში ლამაზად ჩასმული პატარა წიგნაკი, რომლის ზომა 15 X 10 სმ. იყო, იმავე სერიით გამოცემულ სხვა მრავალ წიგნაკებთან ერთად, თავის დროზე უამრავ მკითხველს იზიდავდა.

მისი სატიტულო ფურცლის მთლიანი წარწერა ასეთია: А. Казбек. Элисо и другие рассказы. Перевод с грузинского Г. и В. Джафари под редакцией и с предисловием А. С. Хаханова. Книгоиздательство «Польза». Москваю

გამოცემის წელი, მართალია, წიგნზე აღნიშნული არაა, რადგან ასეთი რამ იმ დროს რატომღაც აუცილებლად არ იყო მიჩნეული, მაგრამ მე, როგორც ერთ ერთმა მთარგმნელმა, დანამდვილებით ვიცი, რომ წიგნი დაბეჭდილია მოსკოვში 1911 წელს.

მისი თარგმნისა და გამოცემის მოკლე ისტორია, ვფიქრობ, მოკლებული არ უნდა იყოს საზოგადოებრივ ინტერესს...

ცხრაასიან წლებში რუსი საზოგადოება ნაკლებად ერკვეოდა ქართული კულტურის საკითხებში და წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, ჩვენ თუ ასეთი მდიდრული და უძველესი ანბანის პატრონები ვიყავით. მე აღარაფერს ვამბობ რუსთაველის, ილიას, აკაკის, ვაჟასა და სხვათა შესახებ, რომელთა შემოქმედებას ისინი საერთოდ არ იცნობდნენ.

ყველაფერ ამას ჩვენ ძალზე მტკივნეულად განვიცდიდით.

ამ დიდი ხარვეზის შესავსებად მე და გრიშამ გადავწყვიტეთ გვეთარგმნა ქართული მწერლობის ზოგიერთი ნიმუში და მათ შორის „გლახის ნაამბობი“.

პროფესორმა ალექსანდრე ხახანაშვილმა, რომელიც საკმაოდ მიღებული იყო იქაურ ინტელიგენციაში, აღფრთოვანებით მოისმინა ჩვენი განზრახვა და დაგვპირდა სათანადო დახმარებას იმაში, რაც ბეჭდვის სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ამ მიზნით შეუთანხმდა კიდეც გამომცემლობა „პოლზას“ ხელმძღვანელობას.

ეს გამომცემლობა კერძო ამხანაგობას ეკუთვნოდა, იგი „უნივერსალური ბიბლიოთეკის“ სერიით თარგმნიდა და რუსულ ენაზე უშვებდა ლამაზად გაფორმებულ უცხოური მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებს, რომელთა შეძენა ყველასათვის შესაძლებელი იყო ხელმისაწვდომი ფასების გამო. ამიტომ იქაური წიგნები მეტად პოპულარული იყო, განსაკუთრებით, ახალგაზრდა მკითხველთა შორის...

იმის შემდეგ, რაც „გლახის ნაამბობის“ შინაარსს გაეცვნენ, „პოლზის“ რედაქციის თანამშრომლებმა მე და ჩემს ძმას იშვიათი შეხვედრა მოგვიწყვეს. ამ პატარა მოთხრობამ პირდაპირ ფურორი მოახდინა; განსაკუთრებით აღტაცებული იყო გამომცემლობის მთავარი რედაქტორი ნ.ბრონშტეინი, რომელიც თავის მხრივ იტალიური მწერლობის საუკეთესო ნიმუშებს თარგმნიდა.

მან სხვა ქართული მოთხრობების მიტანაც გვთხოვა, რათა ისინი, მოწონების შემთხვევაში, გვეთარგმნა და გამოსაცემად მოგვემზადებინა.

ასეთმა კეთილმა დამოკიდებულებამ დიდად წაგვახალისა და სულ მალე ბრონშტეინს ალ.ყაზბეგის მოთხრობები: „ელბერდი“, „ფატი“, „ციცკა“ და სხვ. წარვუდგინეთ, რომლებიც ასევე აღფრთოვანებით მიიღეს.

გავიდა რაღაც ხანი.

ერთ დღეს რედაქციიდან წერილი მივიღეთ: მე და ჩემს ძმას იქ მისვლას გვთხოვდნენ.

- საცენზურო კომიტეტი უარს გვეუბნება თქვენი მეორე წიგნაკის გამოცემაზე, აღშფოთებით გვითხრა ბრონშტეინმა, განსაკუთრებით „ელბერ-დის“ დაბეჭდვაზე... გვიშველეთ, ახლგაზრდებო, ახლავე წაიღეთ კომიტეტში ქართული დედანი და დაარწმუნეთ ცენზორი, რომ ის ნებადართულია... ვაჰ, ვაჰ, ვაჰ, ვაჰ!... შეიძლება არ დაიბეჭდოს ასეთი მშვენიერი მოთხრობა?! – ჩიოდა იგი და თან „ელბერდის“ უკვე შეკრულ გვერდებს ნერვიულად ფურცლავდა, - ამის ამოღება პირდაპირ წიგნის დაღუპვა იქნება...

კომიტეტში იმავე დღეს მივედით, ნებართვაზე ჩვენც ცივი უარი გვითხრეს. ვერც ქართულმა დედანმა (ალ.ყაზბეგის ერთტომეულმა) შეცვალა ცენზორის გადაწყვეტილება (ერთტომეულს ხომ თან ერთვოდა მისი გამოცემის ნებართვა!).

- ეს სქელი წიგნი, - გვიპასუხა მან, - განსაზღვრული რაოდენობით იბეჭდება და მკითხველიც სხვა ჰყავს. „პოლზას“ გამოცემები კი მასობრივია და დიდი ტირაჟით ვრცელდება მუშებსა და სტუდენტებს შორის. როგორ შეიძლება ასეთი ნაწარმოების გამოცემა?!

მან მაგიდის უჯრა გამოაღო, „ელბერდის“ წითელი მელნით აჭრელებული გვერდები ამოალაგა და სათითაოდ დაუწყო ფურცვლა.

მეტი რა გზა იყო: არავითარი თხოვნა არ გავიდოდა მასთან და ჩვენც იძულებულნი გავხდით, აკრძალული „ელბერდის“ ნაცვლად გამომცემლობაში მისი მოცულობის სხვა მოთხრობა მიგვეტანა, რათა უკვე დასაბეჭდად გამზადებულ „ციცკასა“ და „ფატისთან“ ერთად ერთ წიგნაკში მოთავსებულიყო და გვერდები შეგვევსო.

თანაც დრო არ ითმენდა.

ამ მძიმე მდგომარეობიდან ისევ ჩვენმა მოამაგე პროფესორმა ალექსანდრე ხახანაშვილმა გამოგვიყვანა. მან საჩქაროდ გამოძებნა თავის დიდ არქივში შემონახული ძველი რუსული ჟურნალები, რომლებშიაც ნაწყვეტებად იყო დაბეჭდილი მის მიერ ოდესღაც თარგმნილი ალ.ყაზბეგის „ელისო“.

ეს ნაწარმოები სავსებით გამოდგებოდა „ელბერდის“ მაგიერ, მაგრამ სავალალო ის იყო, რომ ჟურნალის ყველა ნომერი ვერ მოინახა, მოთხრობის ტექსტს მესამე თავი აკლდა, რომლის თარგმნაც ჩვენი საერთო ამხანაგის გიორგი ჟორდანიას მეუღლეს ქ ნ ნინოს ეთხოვა. ისინი ჩვენ მეზობლად ცხოვრობდნენ და ალ.ხახანაშვილთანაც მეგობრობდნენ. მაგრამ საბოლოოდ ისე გამოვიდა, თითქოს ერთ პატარა წიგნაკს ერთდროულად ოთხი მთარგმნელი ჰყავდა, რომელთა გვარები აღნიშნული უნდა ყოფილიყო სატიტულო ფურცელზე, ეს კი გამომცემლობას მიზანშეუწონლად მიაჩნდა.

ამიტომ ალ.ხახანაშვილმა, როგორც ამ საერთო თარგმანის რედაქტორმა და მისი წინასიტყვაობის ავტორმა, თავისი გვარი წაშალა.

ამგვარად, აშკარაა, რომ ყაზბეგის „ელისო“ პირველად ალ.ხახანაშვილს უთარგმნია, შესაძლოა, სტუდენტობის დროსაც კი.

ჟურნალის სახელწოდება, რომლის ნომრებშიც მისი თარგმანი იყო მოთავსებული, სამწუხაროდ, აღარ მახსოვს; ვერც წელსა და თვეებს ვიხსენებ.

დღეს ეს წიგნი, ილ.ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობთან“ და აკაკის „ბაში-აჩუკთან“ ერთად, ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს და სულ

რამდენიმე ცალია დაცული თბილისის მარქსის* სახ. რესპუბლიკურ, ი.გრიშა-შვილის სახელობისა და ინჟინერ ნ.ი.კვეზერელი კოპაძის მდიდარ საოჯახო ბიბლიოთეკებში; შესაძლებელია, უნივერსიტეტშიც ინახებოდეს.

მეც მაქვს ერთადერთი ცალი, რომელიც ი.გრიშაშვილმა მისახსოვრა 50 ან წლებში და მას თვალის ჩინივით ვუფრთხილდები...

პირადად ჩვენი ეგზემპლიარებიდან, 30 ცალის რაოდენობით რომ მივიღეთ წიგნის გამოსვლისას, არც ერთი აღარ შემოგვრჩა. ისინი ნაცნობ მეგობართა შორის დავარიგეთ, როგორც ძვირფასი საჩუქარი. ეს ასეც იყო სინამდვილეში, რადგან რუსულ ენაზე დასტამბული ქართული ნაწარმოები იმ დროს იშვიათობას წარმოადგენდა და ამიტომ მასზე დიდი მოთხოვნილება იყო.

დღეს ასეთი რამ ჩვეულებრივი მოვლენაა: ქართული წიგნები დიდი რაოდენობით იბეჭდება რუსულ ენაზე, თავი რომ დავანებოთ სხვადასხვა ხალხთა ენებზე გამოქვეყნებულ ქართულ გამოცემებს.

არ დამავიწყდება ის გულთბილი შეხვედრები, „გლახის ნაამბობის“ დაბეჭდვის შემდეგ არდადეგებზე თბილისში ჩამოსულებს რომ გვხვდა წილად. ქართულ და რუსულ რედაქციებში მე და ჩემს ძმას, პირდაპირ, პატივისცემითა და სიყვარულით გვხვდებოდნენ.

მაშინ გავიცანით დაუვიწყარი ადამიანები: პართენ გოთუა, გრიგოლ დიასამიძე, სანდრო ყანჩელი, შიო არაგვისპირელი, შიო მღვიმელი, გიორგი ამირეჯიბი, ოვანეს თუმანიანი, სამსონ ფირცხალავა და კიდევ ბევრი სხვა, რომლებიც დიდ კმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმ კეთილი საქმის გამო. მართლაც, ეს არ იყო უმნიშვნელო რამ, რადგან „უნივერსალური ბიბლიოთეკის“ გამომცემლობა „პოლზა“ დიდი რაოდენობით უშვებდა ასეთ წიგნებს და მათ მთელ რუსეთში ავრცელებდა. ისე გამოვიდა, რომ ქართული წიგნი პირველად აღებდა რუსულენოვან ოჯახთა კარს და ღირსეულ ადგილს იჭერდა საყვარელი წიგნების გვერდით.

მართლაც, „გლახის ნაამბობის“ გამოქვეყნებას დიდი წარმატება ხვდა წილად და ორი თუ სამი წლის განმავლობაში სამჯერ დაიბეჭდა.

ასევე ორჯერ დაიბეჭდა ალ.ყაზბეგის „ელისოც“. ჩემს ოჯახში სწორედ ამ გამოცემის ერთადერთი ნიმუშია შემონახული.

ის მხურვალე მადლობა ქართველი საზოგადოებისაგან ასევე ეკუთვნოდა ისეთ უანგარო მოღვაწეს, როგორიც პროფ. ალ.ხახანაშვილი გახლდათ.

ზემოთ მოვიყვანე „ელისოს“ სატიტულო ფურცლის ამონაწერი, სადაც მთარგმნელად ნინო ჟორდანია არის მოხსენიებული და არა ალ.ხახანაშვილი, რადგან ასეთი იყო მისი სურვილი.

რაც შეეხება ჩვენ მიერ თარგმნილ „ელბერდს“, რომელიც „ციცკასა“ და „ფატისთან“ ერთად ამ წიგნაკში უნდა გამოქვეყნებულიყო, მისი ანაბეჭდები დიდხანს შერჩათ „პოლზას“ რედაქციაში და არაერთ იქ მოხვედრილ მკითხველს აღელვებდა თავისი მხატვრული ღირსებითა და სიუჟეტის სიმძაფრით.

რედაქციაში თითო-თითო ცალი მე და ჩემს ძმასაც გვისახსოვრეს, მაგრამ დროთა განმავლობაში უამრავ ნაცნობ მეგობრებში ხელიდან ხელში „სიარულის“ გამო უკვალოდ დაიკარგა.

მაგრამ ის უთუოდ იქნება სადღაც, შესაძლოა, „საცენზურო კომიტეტში,“ რომელიც ასე გააფთრებით იცავდა მეფის თვითმპყრობელურ იდეოლოგიას.

---

* ამჟამად ი. ჭავჭავაძის სახ. რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

აი, ამ საცენზურო კომიტეტის „ცენტრარქივში“ იქნება იგი დაცული და, ვფიქრობ, მოინახება კიდეც...

ამას წინათ ძველი გაზეთის „ზაკავკაზიეს“ 1911 წლის 18 ოქტომბრის „ქრონიკის“ განყოფილებაში შემთხვევით წავაწყდი ცნობას სათაურით: „ალ.ყაზბეგის თხზულება და რუსული ცენზურა“, რომელშიც ნათქვამია, რომ ,,მოსკოვის ცენზურამ გავრცელების ნება არ მისცა ალ. ყაზბეგის წიგნაკებად დაბეჭდილ მოთხრობებს, მიუხედავად იმისა, რომ თარგმანი შესრულებულია ცენზურის მიერ ნებადართული ქართული გამოცემიდანო“...

მართალია, „ელბერდმა“ საჭირო საგზური ვერ მიიღო მკითხველთა გულებისაკენ და მკაცრად აიკრძალა ცენზურისაგან, მაგრამ, სამაგიეროდ, „ელისომ“ პოვა თავისი გზა და კიდევ ერთხელ ააღელვა რუსი მკითხველი იმ ზნეობრივი სიმაღლით და სიწმინდით, რითაც განმსჭვალულია ალ.ყაზბეგის ყველა მოთხრობა.

ყველაფერი ხალხს მისცა...

ცნობილმა მეცნიერმა, აღმოსავლეთმცოდნემ ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილმა მთელი ცხოვრება საყვარელი სამშობლოს კულტურის, ისტორიის შესწავლას მიუძღვნა და დიდი ძალისხმევა მოანდომა მათ პოპულარიზაციას თავისი სამშობლოს გარეთ, ძირითადად კი, რუსული საზოგადოების ფართო წრეებში. საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის საკითხების დამუშავებისას მან პირველმა გამოიყენა ევროპული მეცნიერების მეთოდები. სწორედ ის იყო ქართული ლიტერატურის ზეპირი და წერილობითი ძეგლების პირველი მკვლევარი.

მისი კაპიტალური ნაშრომი, ოთხტომეული, “ქართული სიტყვიერების ისტორიის ნარკვევები” (“Очерки по истории грузинской словесности”), რომელიც მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულმა ისტორიისა და რუსეთის სიძველეთა საიმპერატორო საზოგადოებამ გამოსცა, წარმოადგენს ქართული ლიტერატურის ზეპირი და წერილობითი ძეგლების მიმოხილვას უძველესი დროიდან XX საუკუნის დასაწყისამდე. ის ყველასათვის სამაგიდო წიგნად მიიჩნევა, ვინც მცირედ მაინც დაინტერესებულა ქართველი ხალხის წარსულით და მისი კულტურით.

ალექსანდრე ხახანაშვილი დაიბადა გორში, დაამთავრა თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზია, შემდეგ ფრიადებით დაასრულა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი, სადაც 1900 წლიდან, როგორც პრივატდოცენტი, ლექციებს კითხულობდა ქართული ისტორიისა და ლიტერატურის საკითხებზე. უკვე მისმა პირველივე ნაბეჭდმა შრომებმა “ხალხური პოეზიის კვალი ქართულ მატიანეში” (“Следы народной поэзии вгрузинской летописи”) და ,,ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან მის მიერთებამდე" (,,Крепостное право в Грузии до присоединения ее к Росии”) დაგვარწმუნა მის ჭეშმარიტ მოწოდებაში და ის პროფესორების გერიეს, ვინოგრადოვის, კლიუჩევსკის, მილერის ერთერთ საუკეთესო მოწაფედ წარმოგვიდგა.

თავისი ხანმოკლე სიცოცხლის (1864-1912) მანძილზე ალექსანდრე ხახანაშვილმა შექმნა 180-ზე მეტი ნაშრომი ლიტერატურის, ისტორიის, არქეოლოგიის, პედაგოგიკის, ეთნოგრაფიის და ა.შ. საკითხებზე.

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის აზრით, "მოსკოვში ალექსანდრე ხახანაშვილის სამეცნიერო შრომის შედეგად რუსულ საზოგადოებას შესაძლებლობა მიეცა, თავისუფლად გარკვეულიყო ქართული კულტურის საკითხებში. საიმედოდ გამყარდა ის საფუძველი, რომელიც მისმა დიდებულმა წინამორბედებმა ჩაყარეს - უფლისწულმა ვახუშტიმ, მეფე ვახტანგმა, პროფესორმა სერებრიაკოვმა (ოქრომჭედლიშვილი) და სხვებმა. ეს ის სამეცნიერო სკოლაა, რომელიც მოსკოვში ჩაისახა და თავის მომავალ მოღვაწეებს ელოდება, როგორც ეს ქართული სამეცნიერო აზრის უძველეს ცენტრებში - პალესტინაში, სინას მთაზე და ათონში იყო".

ალექსანდრე ხახანაშვილის მოღვაწეობის პერიოდში პეტერბურგში კავკასიოლოგიის სარბიელზე მეორე დიდი სწავლული - პროფესორი ნიკო მარი მოღვაწეობდა. ცნობილია, რომ ალექსანდრე ხახანაშვილმა, პირველმა ქართველ მეცნიერთა შორის, შეუღო სამეცნიერო ტაძრის კარი ქართველოლოგიას, როგორც კონკრეტულ მეცნიერებას. სწორედ ამ ორმა დიდმა მეცნიერმა შეუქმნა რუსული საზოგადოების ფართო წრეებს წარმოდგენა ჩვენი და მთელი კავკასიის ხალხის კულტურასა და ისტორიაზე. მათ საერთაშორისო ასპარეზზეც გაიტანეს ქართული კულტურა.

პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილის სახელი ჩემთვის პირველად ცნობილი გახდა 1905-1906 წლებში ქუთაისის რეალური სასწავლებლის მაღალ კლასებში სწავლის დროს, მისი იმ დროისათვის ძალიან პოპულარული "ნარკვევების" წყალობით. მათ თავდავიწყებით კითხულობდა ეროვნულ-რევოლუციური გრიგალით მოცული ახალგაზრდობა. ამ ნაშრომის წაკითხვა და საფუძვლიანი შესწავლა ყოველი მოსწავლე ახალგაზრდის ღირსებად ითვლებოდა.

ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ გასტუდენტებულმა ორმა ძმამ - მე და გრიგოლმა - 1906 წლის შემოდგომაზე მოსკოვში პირველად ჩასვლისას ჩვენს მოვალეობად ჩავთვალეთ მივსულიყავით თანამემამულე პროფესორთან, მთელი ქუთაისის ახალგაზრდობის დიდი პატივისცემა გამოგვეცხადებინა "ქართული სიტყვიერების ისტორიის ნარკვევების" ავტორისათვის და გვეამბნა მისი მშობლიური საქართველოს ამ კუთხის ყოფის შესახებ.

ჩვენი სტუმრობით პროფესორი ძალიან კმაყოფილი დარჩა, გვთხოვა, მომავალშიც ვწვეოდით, მით უმეტეს, რომ ბინა მის მეზობლად გვქონდა დაქირავებული. იქიდან მოყოლებული, ჩვენ ხშირად დავიარებოდით ძვირფას მასწავლებელთან. ვხვდებოდით, აგრეთვე, უნივერსიტეტში მის ლექციებზე კავკასიოლოგიაში.

მე ცოცხლად მახსოვს ალექსანდრე ხახანაშვილის მიმზიდველი გარეგნობა, მისი გამხდარი, პატარა ტანის ოდნავ მოხრილი ფიგურა, სიმპათიური, მადლმოფენილი სახე შავი წვერით, უკან გადავარცხნილი სქელი თმით, კუპრივით შავი მეტყველი თვალებით, რომლებიც სათვალის ოქროს ჩარჩოდან იმზირებოდნენ.

ბრიუსოვის შესახვევში პროფესორი სადად ცხოვრობდა, ბოლშაია ნიკიტსკაიასა და ტვერსკაიას შორის (ამჟამად გერცენისა და გორკის ქუჩები), "რუსკიე ვედომოსტის" რედაქციის მახლობლად. მისი ბინა მესამე სართულზე

წიგნებით სავსე ორი დიდი ოთახისაგან შედგებოდა. საერთოდ, მასთან შესვლისას შეამჩნევდით, რომ მთელ მის ავლადიდებას მხოლოდ დიდი ბიბლიოთეკა შეადგენდა.

ალექსანდრე ხახანაშვილი კავკასიის დიდი პატრიოტი და ყველა ეროვნების პროგრესულ ძალთა გაერთიანების ურყევი მომხრე იყო. მან თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა, განსაკუთრებით, კავკასიოლოგიაზე გამოცემული ფრიად იშვიათი წიგნები ლაზარევის აღმოსავლური ენების ინსტიტუტს უანდერძა (ახლა ის ერევანშია).

ალექსანდრე ხახანაშვილი არაჩვეულებრივად შრომისმოყვარე ადამიანი იყო: ლაზარევის აღმოსავლური ენების ინსტიტუტში ლექციებს საქართველოს ისტორიასა და ლიტერატურაზე კითხულობდა, მოსკოვის უნივერსიტეტში კი, გარდა ამისა, კავკასიოლოგიაშიც. იყო რუსული სიტყვიერების პედაგოგი მოსკოვის უძველეს სასწავლო დაწესებულებაში - ქალთა პირველ გიმნაზიაში; ის ირიცხებოდა აგრეთვე გაზეთ "რუსკიე ვედომოსტის" რედაქციის წევრად, თანამშრომლობდა ჟურნალებში "რუსკაია მისლ", "ვესტნიკ ევროპი", "ვესტნიკ ვსემირნოი ისტორიი", "ეტნოგრაფიჩესკოე ობოზრენიე" და სხვა, წერდა აგრეთვე სტატიებს კავკასიასა და მის მოღვაწეებზე ბროკჰაუზისა და ეფრონის "ენციკლოპედიურ ლექსიკონში". ხახანაშვილი უყურადღებოდ არც ქართულ ჟურნალ-გაზეთებს ტოვებდა, რომლებშიც თავის სტატიებს ათავსებდა.

მას უწიგნოდ ვერ ნახავდით. მორიგი სამეცნიერო ნაშრომის წერა მისი ყოველდღიური საქმიანობა გახლდათ, რომელსაც სერიოზული საბაბის გარეშე არ მიატოვებდა.

იგი დიდი შინაყუდა იყო და საღამოობით არსად გავიდოდა, თუ არა რაიმე სამეცნიერო სხდომა ან წარმოდგენა თეატრში. ხახანაშვილს მეგობრებთანაც კი არ უყვარდა საქეიფოდ სიარული. ამიტომ ჩვენ ფრიად გაკვირვებულნი დავრჩით, როცა ჩვენთან ბინაზე ა.ლომაძემ შემოიარა თავის ქორწილზე მისაპატიჟებლად, გაგვაფრთხილა, რომ იქ პროფესორი ხახანაშვილიც იქნებოდა, მთხოვა გზად მასთან შემევლო და ქორწილში მიმეყვანა.

როგორც შემდგომ შევიტყვეთ, ქორწილზე დასწრებაზე ძალიან ძნელად მიუცია თანხმობა, მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ ჩვენც ვიქნებოდით. ჩვენ ხახანაშვილი განსაკუთრებით გვენდობოდა.

სტუმრად ბევრი ხალხი იყო, განსაკუთრებით ქალიშვილები, რომლებიც "ახალგაზრდა მიმზიდველ სწავლულს ეხვეოდნენ" (თანაც უცოლოს!). იქ დიდი მხიარულება სუფევდა, მაგრამ ხახანაშვილი ყველაფრის მიმართ გულგრილი იყო. ის სუფრასთან ჩვენ გვერდით იჯდა, არ ჭამდა, არ სვამდა და მხოლოდ მდუმარედ აკვირდებოდა სტუმრებს. ქეიფ-ნადიმებს მიუჩვეველი, ცხადია, ასეთ ხმაურიან საზოგადოებაში თავს უცხოდ გრძნობდა, გული სახლისაკენ, ჩვეული სამუშაოსაკენ მიუწევდა და, მართლაც, როგორც კი ეტიკეტით შესაძლებლად მიიჩნია, მაშინვე წავიდა.

ამით იმის თქმა არ მინდა, რომ პროფესორი ხახანაშვილი ანაქორეტად ცხოვრობდა და საზოგადოებას გაურბოდა; მაგრამ მას მხოლოდ ახლობლებთან შეეძლო ყოფნა, ისიც, შეძლებისდაგვარად, საქმიან ვითარებაში. არ სჩვეოდა სამუშაოს მოწყვეტა, მაგრამ, აუცილებლობის შემთხვევაში, თუ საჭირო იყო ვინმესთვის საქმიანი დახმარება, განსაკუთრებით, მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, ის გულწრფელად მზად იყო, შეეწირა მისთვის ძვირადღირებული დრო. ლექციებზე ძალიან თავდაჭერილი იყო, თავის კურსს

გატაცებით კითხულობდა. სტუდენტების მიმართ ყოველთვის კეთილგანწყობილს, არასოდეს დასცდებოდა მკვახე სიტყვა.

მისი გულისხმიერება ხომ ყოველგვარ ზღვარს სცილდებოდა ნებისმიერი კულტურული წამოწყების მიმართ, განსაკუთრებით, თუ ის საქართველოს და მის კულტურას ეხებოდა.

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი. 1910 წელს, ჩემი და ჩემი ძმის გრიგოლის იასნაია პოლიანადან დაბრუნების შემდეგ, გრიგოლმა სტუდენტთა ლიტერატურული წრის სხდომაზე თავის შთაბეჭდილებათა შესახებ მოხსენება წაიკითხა. როცა ეს ალექსანდრე ხახანაშვილმა შეიტყო, ფრიად კმაყოფილმა გრიშას ნაშრომით, ის თავისი სარეკომენდაციო ბარათით დაუყოვნებლივ გაუგზავნა თბილისის გაზეთ "ზაკავკაზიეს" რედაქციას. როგორი იყო ჩვენი და ჩვენი ყველა კოლეგა-ახლობლის სიხარული, როცა გარკვეული დროის შემდეგ ბატონმა პროფესორმა გადმოგვცა გაზეთი "ზაკავკაზიე", სადაც გრიშას წერილი იყო დაბეჭდილი. ეს ახალგაზრდული სიხარული დაუვიწყარია! ასეთი სასიამოვნო სიურპრიზით წახალისებულმა ჩემმა ძმამ ხახანაშვილს თავისი მეორე ნაშრომი აჩვენა, ისიც სტუდენტურ წრეში წაკითხული - "დავით გურამიშვილი და ქართველთა დასახლება მალოროსიაში", რომელიც აგრეთვე გაზეთ "ზაკავკაზიეში" დაიბეჭდა ორ გვერდზე.

1912 წელს მე და გრიგოლმა დავამთავრეთ ჩვენი ძიებანი შოთა რუსთაველის პორტრეტისა, რომელიც ტრადიციული წვერის გარეშე დავხატეთ. ცხადია, რაკი არ ვიცოდით, რამდენად დააკმაყოფილებდა ჩვენი ინტერპრეტაცია გენიალური პოეტის თაყვანისმცემელთა ფართო წრეებს, დიდხანს ვიკავებდით თავს მისი გამოქვეყნებისაგან, თუმცა ბევრი ჩვენი მეგობარი მოსკოვში და იმ დროს ცნობილი მხატვარი გ.ბ. იაკულოვიც კი გვიქებდნენ ნამუშევარს.

ალექსანდრე ხახანაშვილიც, აგრეთვე, კმაყოფილი დარჩა პორტრეტით. სხვათა შორის, მან ისიც აღნიშნა, რომ დღეს უკვე ტრადიციული წვერი საქართველოში მოგვიანებით, დეკადანსის პერიოდში სპარსეთის გავლენით დამკვიდრდა; და ამდენად, რუსთაველი წვერს ალბათ არ ატარებდაო. პოეტის თავდაპირველი პორტრეტი, რომელიც საფუძვლად დაედო შემდგომ მის ტრადიციულ წვერიან პორტრეტებს, შექმნილი იყო უცნობი ავტორის მიერ (ალბათ ბერის) სწორედ დეკადანსის ეპოქაში, როცა წვერი მამაკაცის სახის განუყრელ ატრიბუტად მიიჩნეოდა.

როგორც ცნობილია, ალექსანდრე ხახანაშვილი ბავშვობიდან სუსტი ჯანმრთელობით გამოირჩეოდა. ბოლო წლებში, განსაკუთრებით 1908 წლიდან, ის უკვე თავს ძალიან ცუდად გრძნობდა. ამიტომ მე და ჩემი ძმა ხშირად ვახსენებდით ჩვენი მშობლიური კუთხის გამაჯანსაღებელი კლიმატის განსაკუთრებულობას, ვთხოვდით, ზაფხულში ჩვენთან, რაჭაში დაესვენა (მართალია, მაშინ შოვის ხსენებაც არ იყო, მაგრამ იყო უწერა და სხვა). ბატონმა ალექსანდრემ ჩვენთან ჩამოსვლა 1911 წლის ზაფხულში გადაწყვიტა, მოგვწერა კიდეც, მაგრამ დანაპირების შესრულება ვეღარ შეძლო. ჩვენი მასწავლებლის და მეგობრის აკურატულად დაწერილ ბარათს მე ახლაც ვინახავ, როგორც ძვირფას რელიქვიას.

1912 წლის გაზაფხულზე, ზაფხულის არდადეგებზე მოსკოვიდან წამოსვლის წინ, მე, ჩემმა ძმამ და კიდევ რამდენიმე სტუდენტმა ჩვენს ძვირფას პროფესორთან ერთად ფოტოსურათი გადავიღეთ. იმავე წლის ზაფხულში კი იგი აღესრულა.

ალექსანდრე ხახანაშვილის გარდაცვალების წლისთავზე, მოსკოვის სინოდური სასწავლებლის დიდ დარბაზში, ბოლშაია ნიკიტსკაიაზე, სადაც მრავლად იყვნენ მისი აღზრდილნი და თაყვანისმცემელნი, ჩატარდა გამოჩენილი მეცნიერის ხსოვნისადმი მიძღვნილი "ქართული მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების საზოგადოების" ღია სხდომა, რომელსაც კომპოზიტორი დიმიტრი არაყიშვილი ხელმძღვანელობდა. მოხსენებებით გამოვიდნენ: პროფესორები იანჩუკი, კრიმოვი, დურნოვო, დიმიტრი არაყიშვილი, ჩემი ძმა გრიგოლი ("ალექსანდრე ხახანაშვილი, როგორც ქართული ლიტერატურის ისტორიკოსი") და მე ("ალექსანდრე ხახანაშვილის პიროვნების დახასიათებისათვის").

პოპულარული მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის, ისტორიკოსის, ფილოლოგის, ეთნოგრაფის, კავკასიოლოგისა და, საერთოდ, ენციკლოპედიური ცოდნის მქონე საყვარელი ადამიანის სიკვდილმა დიდი ტკივილი მიაყენა საქართველოს ყოველი კუთხის მცხოვრებთ. გაზეთები და ჟურნალები ერთსულოვნად აღნიშნავდნენ დიდ, აუნაზღაურებელ დანაკლისს.

,,ალექსანდრე ხახანაშვილი ყოველნაირად შეეცადა ბუნებისაგან ბოძებული ნიჭი და უნარი განევითარებინა და მოწიწებით დაედო იგი სამშობლოსა და მთელი კაცობრიობის კეთილდღეობის სამსხვერპლოზე, - წერდა გაზეთი "თემი", - ის ერთგულად ემსახურებოდა თავისი ქვეყნის კულტურის აღორძინების საქმეს, მას მიუძღვნა მთელი თავისი ახალგაზრდული ძალა და ენერგია.

განსვენებულმა მშობლიურ ქვეყანას შესწირა ყველაფერი, რაც ებადა.

პროფესორ ხახანაშვილის სახელი დამსახურებულად დაიჭერს საპატიო ადგილს იმ სახელებს შორის, რომლებმაც სამუდამოდ დაიმკვიდრეს ადგილი ჩვენი ხალხის გულებში".

დიდებული აკაკი წერეთელი, რომელიც იმხანად ჩვენთან, რაჭა-ლეჩხუმში სტუმრობდა, ფრიად დაანაღვლიანა ახალგაზრდა მეცნიერის დაკარგვამ, რომელმაც ვერ მოასწრო თავისი ბოლო სიტყვის თქმა მეცნიერებაში; აკაკიმ გულისტკივილით, გრძნობით გამსჭვალული სიტყვით მიმართა ხალხს და აღნიშნა: ,,მართალია, გარემოებებმა განუსაზღვრეს განსვენებულ პროფესორს სამშობლოდან მოშორებით ცხოვრება, მაგრამ ის იქიდანაც ახერხებდა თავისი ნიჭი და შესაძლებლობა ჩვენთვის შემოეწირა. ის კელაპტარივით იწვოდა და ჩრდილოეთიდან მეცნიერების შუქით უნათებდა მშობელ ქვეყანას. ასეთი ადამიანი არ კვდება, ის მუდამ იცოცხლებს მის გამომზრდელ ხალხთან ერთად", - დაამთავრა სიტყვა პოეტმა.

მართლაც, თავდადებული მუშაკის და მეცნიერის, საქართველოს მგზნებარე პატრიოტის, კავკასიის ყველა ერის პროგრესული ძალების გაერთიანების მგზნებარე ქომაგის, ჩვენს ქვეყანაში მეცნიერული აზრის განვითარების საქმეში დიდი წვლილის შემტანის, პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილის ხსოვნა დღესაც ცოცხალია.

შეხვედრა ანატოლ ფრანსთან

დიდ ფრანგ მწერალ ანატოლ ფრანსთან შეხვედრას უფრო უეცარ შეფეთებას ვუწოდებ და მეხსიერებაში ახლაც სასოებით ვინახავ ამ ფაქტს, როგორც ჩემი სიჭაბუკის ერთ-ერთ ულამაზეს ეპიზოდს.

შემთხვევა იშვიათი და მეტად საინტერესოა, თუმცა ცოტა ხმამაღლა კია ნათქვამი „ჩემი შეხვედრა ანატოლ ფრანსთან“ და ვშიშობ, ამ თითქოს დაუჯერებელმა ფაქტმა, რომელმაც მაშინ დიდი სიამაყე განმაცდევინა, ერთგვარი გამონაგონის შთაბეჭდილება არ შეუქმნას მკითხველს.

მაგრამ ის, რასაც ახლა მოგახსენებთ, თავიდან ბოლომდე სრული ჭეშმარიტებაა.

1913 წლის ზაფხული იდგა, მე ჯერ კიდევ ჩემს სტუდენტურ ბინაში ვცხოვრობდი. იმ ზაფხულს რაღაც საქმეზე შევყოვნდი მოსკოვში; ჩემი ძმა გრიშა უკვე წამოსული იყო ზაფხულის არდადეგებზე.

კვირა დღე იყო. შინ ვიჯექი და მსახურის მიერ სამოვართან ერთად შემოტანილ დილის გაზეთებს ვათვალიერებდი. უცებ, ახალი ამბების რუბრიკაში თვალი მოვკარი ცნობას, რომ იმ დღეს დილის მატარებლით სამშობლოში მიემგზავრებოდა ფრანგი მწერალი ანატოლ ფრანსი, რომელიც თურმე მოსკოვში ყოფილიყო სტუმრად.

- ანატოლ ფრანსი?!... – განცვიფრებისაგან ზეზე წამოვიჭერი.

ამ დიდ მწერალს, დიდ ჰუმანისტს, საფრანგეთის აკადემიის წევრს და ნობელის პრემიის ლაურეატს ღრმა პატივს ვცემდი მუდამ. მყის თვალწინ დამიდგა მასთან ერთად ფრანგ მწერალთა მთელი პლეადა – ვიქტორ ჰიუგო, ფლობერი, ბალზაკი, ემილ ზოლა და ყველა ისინი, მსოფლიოს რომ ანათებენ თავიანთი უკვდავი შემოქმედებით.

ღმერთო ჩემო, როგორ მოხდა, რომ ანატოლ ფრანსი მოსკოვში ყოფილა და ამის თაობაზე გაზეთები არაფერს იუწყებოდნენ!

როგორც მწერალი და მოაზროვნე, ის დიდი ფიგურა გახლდათ იმდროინდელ ევროპაში და დიდი სახელიც ჰქონდა მთელ კულტურულ მსოფლიოში.

ტყუილად კი არ წერს კონსტანტინე გამსახურდია 1924 წლით დათარიღებულ წერილში, რომელიც ანატოლ ფრანსის გარდაცვალებისადმია მიძღვნილი და შეტანილია მისი თხზულებების მე 6 ტომში: „ანატოლ ფრანსი უკანასკნელი იყო დიდ კაცთა შორის, რომელნიც ადამიანს აცვიფრებენ თავიანთი უნივერსალური მრავალმხრივობით“ და რომ იგი „რენესანსის ყალიბის მწერალია, პოეტი, ნოველისტი, კრიტიკოსი, ისტორიკოსი...“

ბუნების დიდ კატასტროფას ადარებს დიდი ქართველი მწერალი ანატოლ ფრანსის გარდაცვალებას:

- „შემცხადებელივით დაიწივლა რადიომ და რამდენიმე წუთში მთელი კულტურული კაცობრიობა შეშფოთდა ამ კატასტროფისაგან.“

იმ დროს, რომელზედაც მე მოგახსენებთ, ანატოლ ფრანსი პროგრესულად მოაზროვნეთა შორის უფრო იყო პოპულარული და ვფიქრობ, ალბათ, ამის გამო ჩაიარა უხმაუროდ მისმა მოსკოვში სტუმრობამ და მასთან შეხვედრებმა.

მოკლედ, წავიკითხე თუ არა გაზეთში, რომ ანატოლ ფრანსი დილის მატარებლით მიემგზავრებოდა სამშობლოში, სულმა წამძლია და ამ ძვირფასი

ადამიანის სანახავად წავედი. ბედნიერად ვიგრძნობდი თავს, თავისუფლებისმოყვარე საფრანგეთის ეს დიდებული მწერალი თუნდაც შორიდან რომ მენახა!.. – ცდა ბედის მონახევრეა, უნდა წავიდე!

მაშინვე ჩემს წიგნებში სათუთად შემონახული მატარებლების მიმოსვლის განრიგი მოვნახე, დავხედე საათს და დავრწმუნდი, რომ თავისუფლად შემეძლო მიმესწრო მატარებლისათვის. მხოლოდ სიმარტოვე მაწუხებდა. ტყუპი ძმის გარეშე არსად არ დავდიოდი და, მით უფრო, ასეთ ვითარებაში. გრიშა რომ ჩემთან ყოფილიყო, ორთავე უფრო თამამად შევხვდებოდით მწერალს.

მაინც არ გავიტეხე იხტიბარი, მეზობელ ოთახში მყოფ ორ სტუდენტს ჩემი განზრახვა გავუზიარე და რკინიგზის სადგურზე წაყოლა ვთხოვე.

- ბიჭებო! – შევძახე კარის გაღებისთანავე, - გაზეთიდან გავიგე, რომ მოსკოვში ანატოლ ფრანსი ყოფილა სტუმრად, დღეს დილით კი მატარებლით პარიზში მიემგზავრება. თუ დრო გაქვთ, წავიდეთ და გავაცილოთ.

– რაო? ანატოლ ფრანსიო?... მერედა მაგისათვის კარგავ დროს?! რა ახირებული ხალხი ხართ ეს ფილოლოგები თუ ისტორიკოსები...

ამ ორი ახალგაზრდიდან იგორი მათემატიკოსი იყო და სხვა რამ ნაკლებად აინტერესებდა, მაგრამ არც მომავალი ფილოლოგი ვალერი შეხვდა ჩემს წინადადებას აღტაცებით.

- ანატოლ ფრანსი დიდი მწერალია, კოლეგა, მაგრამ მას იმდენი გამცილებელი ეყოლება, რომ მის ნახვას ვერც მოახერხებთ. დღეს კვირაა. დარჩით და სოკოლნიკებისაკენ გავიაროთ. დაჯექით, ჯერ ადრეა. ვილაპარაკოთ.

მაგრამ მე მათთან სალაპარაკოდ უკვე აღარ მეცალა. საჩქაროდ დავიხურე ქუდი, რაკიღა იმ დროს უქუდოდ ქუჩაში გასვლა არ იყო „მოდაში“ და ბურთივით გავვარდი ტვერის ქუჩაზე.

რით მივსულიყავი ვაგზალზე, რომ არ დამგვიანებოდა? „ლიხაჩებს“ ჩემთვის არ ეცალათ, „ვანკები“ კი სანდონი არ იყვნენ, დამაგვიანებდნენ. მრჩებოდა ერთადერთი: ტრამვაი... აბა სად იყო დღევანდელი ჩვენი ტაქსი, ან თუნდაც ავტობუსი და საზოგადოდ ისეთი სწრაფი ტრანსპორტი, როგორიც დღეს გვაქვს.

ერთიღა მრჩებოდა - უნდა დავლოდებოდი ტრამვაის და ასეც მოვიქეცი. გაჩერებისაკენ ავიღე გეზი და დავდექი სხვებთან ერთად პუშკინის ძეგლის მახლობლად.

ტრამვაი იმ დროს პირდაპირ მიდიოდა „სტრასტნოის“ – დღევანდელი პუშკინის მოედნის გავლით, სოკოლნიკებიდან ტვერის ქუჩით ბრესტის – დღეს ბელორუსიის – ვაგზლამდე, საიდანაც იმ დროს ევროპის ქალაქებისაკენ მიმავალი მატარებლები გადიოდნენ.

ვდგავარ გაჩერებაზე და საკმაოდ ვღელავ. თითქოს ჯიბრზე, არა და არ ჩანს ნანატრი ტრამვაი. თან ფიქრი მაწვალებს - ღირს თუ არა ასე დაგვიანებით სადგურზე წასვლა? ეგებ არც კი ღირდეს! მოდი, ისევ სოკოლნიკში წავყვები მეზობლებს, ეს უფრო ჭკვიანური იქნება ...

ამ დროს მგზავრებით „ახორხლილი“ ტრამვაიც გამოჩნდა. ჯიქურ ავიჭერი გაჭედილი ვაგონის ბაქანზე, როგორც კი რკინიგზის სადგურზე მივედი, საჩქაროდ გადმოვხტი და შურდულივით გავექანე ბაქნისაკენ.

მატარებლის გასვლამდე წუთიღა რჩებოდა. ის იყო რკინიგზის სადგურის ბაქანის ბილეთის შესაძენად სალაროსთან მივირბინე, რომ მესამე ზარიც დარეკეს. მოლარემ ზედ ცხვირწინ მომიხურა სარკმელი.

ძალიან შევწუხდი - პირდაპირ ხელიდან მეცლებოდა დიდი მწერლის ნახვის საშუალება, მაგრამ თავს ზევით ძალა არ იყო.

რკინიგზის სადგურის ბაქნიდან დიდძალი ხალხი ბრუნდებოდა, რომელთა უმეტესი ნაწილი ფრანგულად ლაპარაკობდა. ბედნიერად ჩავთვალე ისინი, რადგან უკვე გაეცილებინათ დიდი მწერალი და ახლა შინ ბრუნდებოდნენ. მე კი იღბალი არა მქონია!

უკან გამოვბრუნდი და ის იყო მოედანს მივაღწიე, რომ ისევ შევჩერდი და კვლავ ბაქნისაკენ მოვკურცხლე.

იქ უკვე სრული სიცარიელე იყო. ძეხორციელი არ ჭაჭანებდა. ვხედავ ლიანდაგებზე რაღაც მატარებელი დგას. იქვე ერთი კონდუქტორი სასტვენით რაღაც ნიშანს აძლევს მემანქანეს... ზარი, მართალია, დარეკილი იყო, მაგრამ მატარებელი მაინც არ იძროდა ადგილიდან.

ზაფხულის მზიანი დღე იყო, მგზავრებს სარკმლები გაეღოთ და გარეთ იყურებოდნენ. ბაქანი მაღალი იყო და ამის გამო კუპეში მსხდომთაც კი კარგად ვხედავდი.

ვაგონის ერთ კუპეში ორ მგზავრს შევავლე თვალი. ისინი ღია სარკმელთან იდგნენ და საქმიანად ბაასობდნენ. მეტად ელეგანტურად და ლამაზად ეცვათ. ერთი მათგანი თითქოს ვიცანი და მრავალმნიშვნელოვნად მივაპყარი მზერა.

- ვაჰ, ეს ხომ ანატოლ ფრანსია?! – წამოვიყვირე ჩემდაუნებურად, - ანატოლ ფრანსია!...

რუხი, ახალი კოსტუმი ეცვა, რომელიც ისე უხდებოდა მის არისტოკრატულ ფიგურას, რომ სხვათაგან აშკარად გამოირჩეოდა.

შეკრეჭილი თმა წვერითა და მაღალი ცხვირით დავით კლდიაშვილის გმირს – იმერელ აზნაურს – ჩამოჰგავდა.

- დიახ, ეს ანატოლ ფრანსია, - ერთხელ კიდევ გავიმეორე გულში და ნერვიულად ავწრიალდი.

ჩემდა იღბლად ანატოლმა თვალი მომკრა ცარიელ ბაქანზე კენტად მოსიარულე ახალგაზრდას, „დაგვიანებულ მაყარს“ და თანამგზავრს რაღაც გადაულაპარაკა.

ამას არც მოველოდი და, ცხადია, შევკრთი კიდეც, მაგრამ მაშინვე გაბედულად გადავდგი ნაბიჯი, სარკმელთან მივედი და თანამოსაუბრეებს მდაბლად დავუკარი თავი. სულ უვიცად რომ არ ჩავეთვალე სტუმრებს, ფრანგულად ორიოდე წინადადება შევაკოწიწე და მივმართე: - რა დასანანია, რომ ფრანგულად არ ვლაპარაკობ! - და მაშინვე გადავედი რუსულზე და მოვახსენე დიდ სტუმარს, რომ ეროვნებით ქართველი ვარ, მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი.

- ჟორჟიენ, - გადაულაპარაკა მან თავის თანამგზავრს.

- საქართველოდან მეთქი, - დავუმატე რიხიანად.

- გეორგია, - კიდევ გაიმეორა ანატოლ ფრანსმა და თავიც დამიქნია იმის ნიშნად, რომ მან აღნიშნული ქვეყანა კარგად იცოდა.

- მე თქვენი შემოქმედების მხურვალე თაყვანისმცემელი ვარ, - განვაგრძე ჩემი სიტყვა, - და როცა თქვენი აქ ყოფნა გავიგე, გადავწყვიტე, აუცილებლად შეგხვედროდით და ქართველი სტუდენტების სახელით, რომლებიც ასევე თქვენი გულმოდგინე მკითხველები არიან, გადმომეცა უღრმესი პატივისცემა და სიყვარული.

- ნუ გეშინია სიკვდილისა, გეშინოდეს სირცხვილისა, - მაინც ჩამძახოდა ძველი ანდაზა ყურში, რადგან ვშიშობდი, არ შევრცხვენილიყავი ეს თავმოყვარე ყმაწვილი, მაგრამ იმასაც ვგრძნობდი, რომ ყველაფერი რიგზე მიდიოდა.

ის იყო საქართველოზე უნდა მეთქვა ორიოდე სიტყვა, რომ ამ დროს ისევ გაისმა სასტვენის ხმა...

- ეეჰ, რა დროს მიმუხთლა! – გავიფიქრე გუნებაში, - რა დროს მიმუხთლა! – მაგრამ, გულახდილად რომ ვთქვა, მესიამოვნა კიდეც, რადგან მღელვარებისა და დაძაბულობისაგან გავთავისუფლდი. მწერალს ღიმილი აუთამაშდა სახეზე. ვიგრძენი, რომ ჩემი სიტყვები ესიამოვნა. მან ისევ რაღაცა გადაულაპარაკა თარჯიმანს, რომელმაც თავის მხრივ გადმომცა ანატოლ ფრანსის სიტყვები: - მოხარული ვარ, მოხარული... გმადლობთ!

ამასობაში მატარებელიც დაიძრა. დიდმა მწერალმა სარკმლიდან მეგობრულად გამომიწოდა მარჯვენა და იმავე საამო ღიმილით მაგრად ჩამომართვა ხელი.

მატარებელმა სიჩქარეს უმატა, მაგრამ ანატოლ ფრანსი მარჯვენა ხელს მაინც არ მიშვებდა; თითქოს დიდი ხნის მეგობრები ვყოფილიყავით.

- მშვიდობით, მშვიდობით, დიდო ხელოვანო! – ვჩურჩულებდი მე ჩემთვის და, ვიდრე შემეძლო, გვერდში მივყვებოდი დაძრულ მატარებელს.

- მშვიდობით, კეთილი მგზავრობა!...

და როცა მატარებელმა სიჩქარე აიღო, ერთ ადგილზე გავჩერდი და ნიშნად გულთბილი გამოთხოვებისა, მანამ ვუქნევდი ხელს, ვიდრე უკანასკნელი ვაგონი თვალს არ მიეფარა.

ყველაფერი კარგად დასრულდა.

შინ დაბრუნებამდე ტვერის ბულვარში გასეირნება გადავწყვიტე, რათა ვინმე ნაცნობი ან მეგობარი შემხვედროდა და ჩემი თავგადასავალი მეამბნა. საამისოდ ზედგამოჭრილი იყო პუშკინის ძეგლთან ჯდომა.

გუმანმა არ მიმტყუნა.

იქ, მართლაც, აღმოჩნდა ჩვენი რამდენიმე სტუდენტი, რომლებიც ძველი თაობის ქართველებს შეხვედროდნენ და მათთან საუბრობდნენ. ისინი გრძელ მერხებზე ისხდნენ ძეგლის პირდაპირ.

მე ჯიქურ მივიჭერ მათთან და ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე.

- ანატოლ ფრანსი? საიდან სადაო, წმინდაო საბაო?... ფრანსს აქ რა უნდოდა? –გაიოცეს მათ.

- საქმეც ისაა, რომ ყოფილა და ჩვენ კი ჭურში ვისხედით თურმე. მეც ხომ დღეს გავიგე და მოვასწარი კიდეც მისი გაცილება! - ვხარობდი მე.

მეგობრებმა შემაქეს და კმაყოფილნი დარჩნენ, რომ ქართველი სტუდენტების სახელითაც მივესალმე დიდ ფრანგს.

- ყოჩაღ, აი, ყოჩაღ! – გაიძახოდნენ ისინი.

- ეს უბრალო ამბავი როდია, მეგობრებო. ეს შემთხვევა, შესაძლოა, ანატოლ ფრანსის დღიურშიაც კი მოხვდეს! – თქვა ალი არსენიშვილმა, რომელმაც ორიოდე წუთის წინ, სანამ მე ამ ამბავს ვყვებოდი, ჯერ გულით იცინა, მერე კი დანანებით წარმოთქვა: - როგორ ვწუხვარ, ლადო, რომ დილითვე ვერ შეგხვდი! თორემ მეც უთუოდ წამოვიდოდი! რა სამწუხაროა, რომ ასეთი იშვიათი შემთხვევა გავუშვი ხელიდან!

იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ალი არსენიშვილი მწერლობის დიდი ტრფიალი იყო და მოსკოვში ბევრ შემოქმედსაც პირადად იცნობდა, ზოგიერთს მეგობრობდა კიდეც.

კარგა ხანს ვისხედით გრძელ მერხზე პუშკინის ძეგლთან, ვიდრე ამ საინტერესო ლაპარაკით გულნაჯერები სერგო წერეთელი თავისებური სიდინჯით არ წამოიმართა. სერგო პროვიზორი იყო, უკვე ხანში შესული, მეტად მიმზიდველი ქართველი, დიდი პატრიოტი და ერის მოჭირნახულე, ამასთან, ლიტერატურისა და ხელოვნების კარგი მცოდნე.

- გმადლობთ, ახალგაზრდებო, ასეთი მშვენიერი საუბრისათვის. ახლა კი დროა, დაგშორდეთ... - თქვა მან წასვლისას და დაუმატა, - ჩვენს ძვირფას ლადოს ეს შესანიშნავი ამბავი კიდევ დიდხანს ეყოფა სალაპარაკოდ.

- და საამაყოდაც, ბატონო სერგო, საამაყოდაც! ანატოლ ფრანსს ასე ოილად ქუჩაში ვერ შეხვდები, მით უფრო სალაპარაკოდ... ეს იშვიათი შემთხვევაა! უნიკალური!... – გამოეხმაურა მას იაშა კუპრაძე, მისი ახალგაზრდა მეგობარი, მერე ისიც წამოდგა წასასვლელად.

- რა დაუდგრომლები ხართ ძმები ჯაფარიძეები, - გვითხრა ერთხელ ერთმა მეგობარმა, ვითომ ხუმრობით, - ტოლსტოის ამბავი არ გეყოთ, ახლა ანატოლ ფრანსთან მოგეხალისათ შეხვედრა?!... უფრო დაბალი რანგის ხალხი არ გაინტერესებთ თუ როგორაა თქვენი საქმე...

ამის თქმა იყო და უცებ მეტად საწყენი რამ ამომიტივტივდა გონებაში, - ფრანსთან შეხვედრისას თან რომ არ მქონდა ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“. თორემ მე, როგორც მთარგმნელი, საჩუქრად მივართმევდი. იგი დაინტერესდებოდა წიგნის ავტორით, მისი ვინაობით და, შესაძლებელია, ფრანგულადაც კი ეთარგმნა. აი, რა ვერ შევძელი იმ დღეს მე, მისმა ქართველმა გამცილებელმა.

შემდგომში, როცა დიდ მწერალთან ჩემი შეხვედრა კიდევ უფრო გახმაურდა, ბევრი მირჩევდა, განსაკუთრებით, ჩემი ძმა გრიშა, რომ მისთვის წერილი და ჩვენი თარგმნილი „გლახის ნაამბობი“ გამეგზავნა, მაგრამ დიდი მორიდებულობის გამო, კადნიერებად ჩავთვალე და თავი შევიკავე.

მერე კი ვინანე, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

ერთი სიტყვით, მეც ისე უნდა მოვქცეულიყავი, როგორც გრიშა. მან თავის საყვარელ ნორვეგიელ მწერალს კნუტ ჰამსუნს გაუგზავნა წერილი და თან „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ეგზემპლარიც დაურთო საჩუქრად, რისთვისაც მალე პასუხი მიიღო მწერლის შესანიშნავ ფოტოპორტრეტთან და გულთბილ წარწერასთან ერთად. გრიშამ ამ პორტრეტის ასლები გადაიღო და ერთი მეც მიბოძა. ეს უკვე მისი დიდი წარმატება იყო. ჩვენ შეგვძინა კნუტ ჰამსუნის იშვიათი ფოტოპორტრეტი ავტოგრაფით, ხოლო „ვეფხისტყაოსანმა“ ქართული კულტურის დიდი სახელი გაიყოლია ნორვეგიაში. ვინ იცის, იქნებ ასეთივე შედეგი მოჰყოლოდა ჩემს წერილს და „გლახის ნაამბობს“, ანატოლ ფრანსისათვის რომ გამეგზავნა, მაგრამ ეს ყველაფერი ოცნებაა და მეტი არაფერი. სინამდვილე კი ის გახლდათ, რაც მოხდა და რაც, ძვირფასო მკითხველო, შეძლებისდაგვარად, თქვენც - გიამბეთ.

შეხვედრები კომპოზიტორ დიმიტრი არაყიშვილთან

დიმიტრი არაყიშვილთან თითქმის ნახევარსაუკუნოვანი მეგობრობა მაკავშირებდა. ეს დრო გრძელდებოდა ჩემი სტუდენტობის დროიდან დაწყებული, ვიდრე კომპოზიტორის გარდაცვალებამდე, ე.ი. 1953 წლის ჩათვლით.

ამ ხანგრძლივი დროის მანძილზე იმდენი ღირსსახსოვარი რამ აღნუსხა ჩემმა გონებამ, რომ, ვფიქრობ, ღირს იმ გარდასულის გახსენება. მინდა იმით ვინუგეშო თავი, რომ არაყიშვილის პორტრეტი რაგინდ უხეიროდაც უნდა იყოს დაწერილი, მაინც არ იქნება საზოგადოებისთვის ინტერესს მოკლებული.

.

1906 წლის გაზაფხულზე მე და გრიშამ დავამთავრეთ რეალური სასწავლებელი და არდადეგები მშობლიურ რაჭაში გავატარეთ, შემოდგომაზე კი გამოვეთხოვეთ შინაურებს, „ნაჩვევ ბაღებს“, დავსხედით ეზოში შემოსულ ორცხენიან ოსურ „ლინეიკაზე“ და საყვარელ ადგილებთან განშორებით გულდაწყვეტილნი გავუდექით რუსეთის გზას.

გავიარეთ უწერა, შოვი, გადავიარეთ მამისონის თვალწარმტაცი უღელტეხილი, არდონის ხეობა, ქართველებით დასახლებული ალაგირი და მესამე დღეს კავკავში ჩავედით. რამდენიმე დღის შემდეგ უკვე მოსკოვში, უნივერსიტეტის ძველი შენობის წინ ვიდექით; თვალს გვჭრიდა მისი მაღალი სვეტები და თავისებური ხუროთმოძღვრება. მის რკინის კიბეებზე თითქოს ვხედავდით ჩვენთვის საყვარელი გრიბოედოვის, ლერმონტოვის, ბელინსკის, ბოტკინის, ოგარიოვის, გერცენისა და სხვათა სახეებს.

მალე ქართული სათვისტომოც - ე. წ. „ზემლიაჩესტვოც“ - შეიკრიბა და ჩვენც იქ აღმოვჩნდით. და აი, სათვისტომოს ერთ-ერთ კრებაზე 1906 წელს პირველად ვნახე დიმიტრი არაყიშვილი. ის სტუდენტთა კრებაზე ქართველთა უფროსი თაობის ზოგიერთ წარმომადგენელთან ერთად მოსულიყო და საერთო ეროვნულ საკითხებზე ბაასობდა, კერძოდ, მორიგი „ქართული საღამოს“ წარმოდგენისა და იქ ქართული ხალხური სიმღერების გამოტანის შესახებ. იგი გატაცებით ლაპარაკობდა ქართულ მუსიკასა და სიმღერებზე. მისი გვარი არაკჩიევი იყო, საუბრის კილოც ზედმიწევნით რუსული ჰქონდა. ყურადღებას იპყრობდა მისი მიმზიდველი და სანდომიანი სახე, მაყვალივით შავი თვალები და სწორი, საშუალო ზომის ცხვირი.. შავი, სქელი და უკან გადავარცხნილი თმა და პატარა წვერ ულვაში თითქოს უფრო მის ქართველობაზე მეტყველებდა.

ერთმა სტუდენტმა დიმიტრის შესახებ მითხრა, - დიმიტრი ქართველია, გვარიც ქართული აქვს და, რაც მთავარია, ქართული მუსიკის დიდი მცოდნე გახლავთო.

ეს ჩემთვის ნამდვილი აღმოჩენა იყო, რადგან ქართული მუსიკის მცოდნე იმ დროს თითქმის არც კი გვყავდა; ამიტომ დიმიტრი იმთავითვე ისეთ პიროვნებად წარმომიდგა, ვინც ქართული ეროვნული კულტურის სიყვარულით ანთებულიყო და მისი სამსახურისათვის გადაედო თავი. ეს მან შემდეგში ბრწყინვალედ დაამტკიცა კიდეც და გამოჩენილ ქართველ კომპოზიტორებთან -

მელიტონ ბალანჩივაძესა და ზაქარია ფალიაშვილთან ერთად ქართული მუსიკის აღმავლობას შეალია მთელი თავისი ძალა და ენერგია.

სამშობლოდან შორეულ მოსკოვში გადახვეწილმა ქართველმა ახალგაზრდებმა გულწრფელად შევიყვარეთ ეს უანგარო ადამიანი და ეს სიყვარული შემდეგში მტკიცე მეგობრობაში გადაიზარდა.

•

დიმიტრი 1873 წელს ღარიბ ქართულ ოჯახში ქალაქ კავკავში (ახლანდელ ორჯონიკიძეში) დაბადებულა, სადაც მშობლიური ქართული ენა თითქმის დავიწყებოდათ და თავისი ქვეყნის სიყვარულის წყალობით, მხოლოდ სული თუღა ჰქონდათ შერჩენილი. ათი წლის ბავშვი ფართლის პატარა სავაჭროში მიუბარებიათ, საიდანაც მერე სხვაგან გადაუყვანიათ ხელობის შესასწავლად.

- სად არ ვიყავი, რა ხელობა არ მოვსინჯე, სამზარეულოშიც კი ვიმუშავე მზარეულის ხელობის დასაუფლებლად, მაგრამ მძიმე გაჭირვებიდან მაინც ვერ ამოვძვერი, - გვიამბობდა დიმიტრი არაყიშვილი, - კვირაობით ეკლესიაშიც კი ვგალობდი ორიოდე გროშის გულისათვის...

•

და აი, ერთ დღეს ჭაბუკს თითქოს ცა გაეხსნა, როდესაც ქალაქ არმავირში შემთხვევით ჩამოსულ ქართველ მომღერალთა გუნდს მოუსმინა. ამ გუნდს ცნობილი ლადო აღნიაშვილი ხელმძღვანელობდა. იმ დღიდან ქართული ხალხური მუსიკის შესწავლა გადაექცა დიმიტრი არაყიშვილს ოცნებად. მან გულმოდგინედ მოჰკიდა ხელი ამ ჭეშმარიტად საშვილიშვილო საქმეს. ერთხანს იქაურ მუსიკალურ წრეებში მუშაობის შემდეგ, პირდაპირ მოსკოვს ეწვია და 1894 წელს მუსიკალურ დრამატულ სასწავლებელში მოეწყო, რომელიც მალე ბრწყინვალედ დაამთავრა. იმ დღიდან მოსკოვი დიმიტრის მეორე სამშობლოდ იქცა; თითქოს ხელმეორედ დაიბადა იგი, მაგრამ ამჯერად უკვე ქართული მუსიკისათვის.

•

ამგვარად, დიმიტრი არაყიშვილი იმ დროს გავიცანი, როდესაც ის ჯერ კიდევ „არაკჩიევი“ იყო, რაც მაშინ, მოგეხსენებათ, ჩვეულებრივი რამ გახლდათ არარუს ხალხთა გარუსების მიზნით, ნაციონალურ გვარებს რუსულ ყაიდაზე უკეთებდნენ. ასე, მაგალითად: სუმბათოვ, თულაევ, ბახუტოვ, ჩილიაევ, ციციანოვ და ასე შემდეგ. თვით ვაჟა-ფშაველაც კი - რაზიკაშვილი, როგორც ცნობილია, მისი მოწაფეობის დროს საკლასო ჟურნალში რაზიკოვად ეწერა.

დიმიტრი არაყიშვილის ამ გზით გადაკეთებული გვარის გამო მოსკოველ სტუდენტებს დიდხანს ეგონათ, რომ ალექსანდრე პირველის ცნობილი ფავორიტი, იმდროინდელი რუსეთის ფაქტიური დიქტატორი ულტრარეაქციონერი ა.არაკჩიევიც ქართული წარმოშობისა იყო. ამ გარემოებას ისიც უწყობდა ხელს, რომ ა.არაკჩიევის სოფელს ნოვგოროდის გუბერნიაში „გრუზინო“ ერქვა რატომღაც.

სინამდვილეში ამ ძველ რუსულ გვარსა და დიმიტრი არაყიშვილის გადაკეთებულ გვარს - არაკჩიევს შორის არავითარი საერთო არ არსებობდა.

დიმიტრი არაყიშვილმა ბავშვობიდანვე გაითავისა ქართული წარმომავლობა და მიზნად დაისახა ღრმად შეესწავლა მშობლიური ქართული ენა და ქართველი ერისათვის შესაფერისი სამსახური გაეწია. ეს მან მოახერხა კიდეც თავისი შესანიშნავი მუსიკით. აღარაფერს ვამბობ ქართულ ენაზე, რომელიც მშვენივრად შეისწავლა...

დიმიტრის მხოლოდ მოგვიანებით მიეცა საშუალება თავისი გვარი - არაკჩიევი - პირვანდელ ქართულ ყაიდაზე გადაეკეთებინა და ამით მამაპაპეულ სამწყსოს დაბრუნებოდა.

.

1907 წლის შემოდგომაზე, როდესაც ქართველი სტუდენტობა მორიგი ტრადიციული ქართული საღამოსათვის ემზადებოდა, დიმიტრიმ მომღერალთა გუნდისათვის შეუმცდარად შეარჩია ნიჭიერი ახალგაზრდები და მთელი მონდომებით შეუდგა მუშაობას.

ტრადიციული ქართული საღამოები ყოველწლიურად ტარდებოდა ე. წ. „კეთილშობილთა საკრებულოს˜ ვრცელ დარბაზებში (ახლანდელი პროფკავშირების სახლის სვეტებიან დარბაზებში).

ქართული საღამოები იმ დროს, ისე როგორც მოსკოვსა და რუსეთის სხვა ქალაქებში, სტუდენტთა სასარგებლოდ ეწყობოდა, სათვისტომოების მატერიალური ბაზის გასამაგრებლად; ამასთანავე, ისინი ქართული კულტურის - სიმღერების, ცეკვების, ჩაცმულობის პოპულარიზაციისთვისაც იყო გათვალისწინებული. თან ეცნობოდნენ ქართველ ახალგაზრდობას. ამიტომ ყოველი ქართველი დაინტერესებული იყო, ეს საღამოები ღირსეულად წარემართა.

როგორც ვწერდი, ქართული საღამოები მოსკოვში ალექსანდრე ივანეს ძე სუმბათაშვილი-იუჟინის სახელს უკავშირდებოდა და დიდძალ ხალხსაც იზიდავდა.

დიმიტრი არაყიშვილმა შესანიშნავად მოამზადა მომღერალთა გუნდი და თავადვე უდირიჟორა კანტანტას მის მიერ უკვე ჩაფიქრებული და დაწყებული ოპერიდან: „თქმულება შოთა რუსთაველზე“.

ამ კანტანტამ დიდი მოწონება დაიმსახურა დამსწრე საზოგადოებაში, ხოლო ქართველებს ჩაგვისახა რწმენა იმისა, რომ ახლო მომავალში ჩვენი საკუთარი ეროვნული ოპერა გვექნებოდა.

* * *

წლების განმავლობაში მე და გრიშა დავუმეგობრდით დიმიტრის, რომელიც, მართალია, ასაკით ჩვენზე უფროსი იყო, მაგრამ თავაზიანობის გამო არაფერს გვაგრძნობინებდა და ისე მეგობრობდა ჩვენთან, როგორც თანატოლებთან. ოჯახშიაც ხშირად დავდიოდით მასთან „პრესნიაზე“, სადაც მას პატარა, შემოქმედებითი მუშაობისათვის მეტად მოუხერხებელი, ბინა ეკავა. მატერიალურადაც ვერ იყო უზრუნველყოფილი, მაგრამ ბედის სამდურავი იშვიათად თუ დასცდებოდა:

- ვერ მომიხერხებია, კაცო, ერთ ხეირიან ბინაში გადავიდე და ჩემს საყვარელ ოპერას მივხედო. ქართველები მუსიკალური ხალხი ვართ და ჩვენს

დიდ ლიტერატურასთან ერთად, დროა, საკუთარი ოპერებიც გვქონდეს. და გვექნება კიდეც, ყმაწვილებო, სულ მალე გვექნება.

ოპერაზე მუშაობასთან ერთად დიმიტრი არაყიშვილი მოსკოვის სახალხო ფილარმონიაში პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა, თან ქართულ სიმღერებსაც არ ივიწყებდა. ამ სიმღერებით ცხოვრობდა იგი, მათი ბედით სულდგმულობდა. წუთს არ გაუშვებდა ხელიდან მათ გასაცნობად, შესასწავლად. ამის გამო დიმიტრის ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხე აინტერესებდა და სტუდენტებთანაც ნიადაგ ამ საკითხზე საუბრობდა.

ჩვენც ხშირად გვეკითხებოდა ხოლმე რაჭის ცხოვრებასა და იქაურ ხალხურ სიმღერებზე. 1908 წლის გაზაფხულზე კი გამოგვიცხადა, რომ ზაფხულში უთუოდ წამოვიდოდა რაჭაში, გაეცნობოდა და ჩაიწერდა ადგილობრივ სიმღერებს, ისე როგორც ჩაწერილი ჰქონდა ქართლ კახური, მეგრული და მდინარე თერგის პირას მცხოვრებ ქართველთა სიმღერები შესაბამისად 1901, 1902 და 1904 წლებში.

ამ ამბავმა ძალიან გაგვახარა. საზაფხულო არდადეგებზე რაჭაში გამგზავრების წინ ხელახლა ვინახულეთ ძვირფასი მეგობარი და დაწვრილებით გავაცანით საეკიპაჟო მარშრუტი - ქუთაისი-ონი, რომელიც იმ დროს ერთადერთი იყო რაჭაში ასასვლელად. გზა მეტად ცუდი გახლდათ, მაგრამ საფოსტო მასალა ე. წ. „ტროიკებით“ გადაჰქონდათ და ყოველი 17 20 კილომეტრის შემდეგ, ახალ სადგურებამდე ცხენები იცვლებოდნენ, მაგრამ ცალკეული მგზავრისათვის უფრო ხელსაყრელი იყო კერძო ლინეიკები, რომლებიც ასოც კილომეტრიან გზას ქუთაისიდან ონამდე ორ დღეს თუ დღენახევარს მაინც ანდომებდნენ. ეს იმიტომ, რომ გზა მეტად მოუწყობელი გახლდათ. იგი ვიწრო ზოლად გასდევდა მდინარე რიონის ნაპირს. შეუჩვეველ ადამიანს შიშის ზარს სცემდა ღრმა, კლდოვანი ხეობები და უცნაური მოსახვევები.

ვიცოდით, რომ ჩვენი ძვირფასი სტუმარი ასეთ გზებზე სიარულს ჩვეული არ იყო, ამიტომ ვაფრთხილებდით და წინასწარ ვაჩვევდით მის სიძნელეებს.

* * *

მართლაც, დიმიტრი არაყიშვილი 1908 წლის ზაფხულში რაჭაში ამობრძანდა და თავისი სტუმრობით ყველანი ძალიან გაგვახარა. მე და გრიშა ონში შევეგებეთ, რადგან წინასწარ ვიყავით გაფრთხილებულნი. ქუთაისიდან ონში ამოსვლას ორი დღე მონდომებოდა და ამიტომ, ძალიან დაღლილი, მაინც დიდად კმაყოფილი იყო, რომ სურვილი შეისრულა. ჩვენი შეხვედრის სიხარულმა კი დაღლილობა მთლად გადაავიწყა და ის ორი თუ სამი კილომეტრი ონიდან ჩვენს სოფელ ღარამდე შთაბეჭდილებებით სავსე კომპოზიტორმა ჩვენთან საუბარში შეუმჩნევლად გამოიარა.

* * *

ონში დიმიტრი არაყიშვილს ჩვენი საუკეთესო მომღერლები გავაცანით, მათ შორის ცნობილი სამეულიც: ანტონ ჯანუაშვილი, სამსონ მიქიაშვილი და პეტრე ჯაფარიძე, რომელთა ხმაშეწყობილ სიმღერებს მთელ რაჭაში გაეთქვა სახელი. ისინი გარეგნული სილამაზითა და ვაჟკაცობითაც გამოირჩეოდნენ.

ლამაზ სხეულში ლამაზი სულის არსებობას ეს სამეულიც ადასტურებდა. ჩვენმა სასიქადულო მწერალმა სერგო კლდიაშვილმა „პატარა მოთხრობა˜ მიუძღვნა ამ სამ ახალგაზრდა მომღერალს და ისინი მოთხრობაში „სამი მუშკეტერის˜ სახით წარმოგვიდგინა.

კომპოზიტორს ძალიან მოეწონა მათი სიმღერები, ფონოგრაფზეც გადაიღო საგანგებოდ, მაგრამ „ნამდვილი“ რაჭული სიმღერების ჩასაწერად მაინც ადგილობრივი გლეხკაცებისაგან შემდგარი გუნდის მოსმენა მოისურვა, როგორც უფრო უშუალო, შეულამაზებელი და ბუნებრივი.

იმ დროს ასეთ მომღერალთა მონახვა ძნელი არ იყო, განსაკუთრებით „პარასკეობას“, როდესაც ონში ბაზრობაზე რაჭის თითქმის ყოველი კუთხიდან ბევრი სოფლელი იყრიდა თავს. ისინი „ქალაქში“ საჭირო საქმეებსაც აგვარებდნენ და ხალხსაც ნახულობდნენ. მართლაც, ვის არ შეხვდებოდით იმ დღეს ონში, მოხუცსა და ახალგაზრდას, ქალსა თუ კაცს... ამის გამო ადვილი იყო მომღერლის მოძებნა და მასთან გასაუბრება...

* * *

ბოლოს და ბოლოს, დიმიტრი არაყიშვილმა მრავალი სიმღერა ჩაიწერა. მიხეილ ჯაფარიძემ სოფელ ხირხონისიდან მეზობელი გლეხებიც მოუყვანა. სერგო კლდიაშვილის იმავე მოთხრობაში მიხეილი „მიშაგოს“ პროტოტიპია. სწორედ ამ კაცმა ჩააწერინა დიმიტრი არაყიშვილს მათ მიერ საუცხოოდ ნათქვამი სიმღერა - „ქვედრულა ადიდებულა“. ღებელმა მომღერლებმა კი - „დალიე, ჩემო ბატონო“, ღარელებმა - „ქრისტე აღდგა, გვიხაროდეს, მადლი მახარებელსაო“ და ა.შ. საქმის შესრულებას ის გვიადვილებდა, რომ ყველამ კარგად იცოდა, რომელ სოფელში ვინ მღეროდა უკეთ და ჩვენც ამ საუკეთესოებს ვსტუმრობდით.

ჩვენი გლეხები სიამოვნებით მოდიოდნენ, განსაკუთრებით კი იმის შემდეგ, რაც გაიგეს, რომ მათ სიმღერებს „ყუთში იწერენ და ინახავენ“. ისინი თავისი ცნობისმოყვარეობითა და გულუბრყვილობით ხშირად აცინებდნენ დიმიტრის. მახსოვს, ერთხელ თავიანთი სიმღერა ფონოგრაფზე მოისმინეს და ერთმანეთს პირდაღებულნი ეკითხებოდნენ: ნუთუ ამ სიმღერას მართლა ჩვენ ვასრულებდითო?.. ყურებს არ უჯერებდნენ, რომ ეს მათი ნიჭის გამონაშუქი იყო, მათი სულის ხმა, სევდა, ტკივილი. ისინი თვალს არ აშორებდნენ ფონოგრაფის ლილვაკის ბრუნვას, საიდანაც მათი ხმები მოისმოდა.

თუმცა ედისონის გამოგონილი ეს აპარატი სიმღერას ბგერის დაუკარგავად იწერდა, ცხადია, დღევანდელ ჩამწერ აპარატებთან შედარებაც არ შეიძლება. ერთი კია, იმ დროისთვის იგი დიდი მიღწევა გახლდათ და მისი მეშვეობით არაერთი ხალხური სიმღერა გადაურჩა დავიწყებას თუ სრულ დაკარგვას.

დღეს არავის აღარ უკვირს თანამედროვე ელექტროაკუსტიკური ჩამწერი, მაგრამ იმ დროს ფონოგრაფიც კი აღტაცებასა და გაოგნებას იწვევდა. თვით ბევრი რამის მნახველი ბაბუაჩემიც კი მწარედ ჩააფიქრა იმან, რომ ერთ დღეს კომპოზიტორმა ჩაწერილი ხალხური სიმღერები მოასმენინა.

- მამიჩემის სული არ წამიწყდება, ეს ნასწავლი ხალხი სულ გადარევს ქვეყანას! ეს რა გამოუგონიათ, თქვენი ჭირიმე?!.. - დანანებით და ნაღვლიანად თქვა მან.

დიმიტრიმ სიმღერების დიდი ნაწილი ონში პარასკეობას მოსული გლეხებისაგან ჩაიწერა, მაგრამ ახლო სოფლების მოვლა და მათი ადგილზე

მოსმენა მაინც აუცილებლად მიიჩნია; წავედით კიდეც და უნდა გენახათ, როგორი თავდადებით მუშაობდა ყველგან! საქმეს მხოლოდ ის ართულებდა, რომ დიმიტრის მთის აღმართ დაღმართებზე სიარული ძალიან უჭირდა. ჩვენი სახლის უკან, ფერდობზე „მჟავე წყალი“ გადმოჩუხჩუხებს. გადავწყვიტეთ, სტუმარი იქ აგვეყვანა, წყალიც დაელია და, რაც მთავარია, თვალი მოევლო შოდის ულამაზესი მთისათვის, რომელიც ვეფხვივითაა გაწოლილი ცის დასასრულთან. აქედანვე მოჩანს მდინარე ღარულას იშვიათი სილამაზის ხეობაც, მაგრამ დიმიტრიმ ფერდობზე ასვლა ვერ შეძლო და იძულებული გავხდით უკან დავბრუნებულიყავით.

- არა ვარ, კაცო, ამ აღმართებს ჩვეული და ვერც იმ ციცაბოსკენ ვიზამ პირს, - გვეუბნებოდა გულდაწყვეტილი სტუმარი, - რასაც აქედან ვხედავ, ჩემთვის ისიც საკმარისია...

დიმიტრი არაყიშვილს განსაკუთრებული სიხარული მოჰგვარა ონში მისი მოსკოველი მეგობრების მოულოდნელმა შეხვედრამ. ესენი იყვნენ მოსკოვის უნივერსიტეტის პრივატდოცენტი ალ. ჯავახიშვილი, შემდეგში აკადემიკოსი, გეოგრაფი და სტუდენტი ვახტანგ ციციშვილი, ასევე, სტუდენტები მიხეილ თუხარელი და მიხეილ დავითაშვილი. ისინი ჩემი ძმის ახლო მეგობრებიც იყვნენ და ამიტომ მათი შეხვედრა ჩვენც ძალიან გვესიამოვნა. ეს მეგობრები რაჭაში მოვლინებულნი იყვნენ ადგილობრივ ხალხთა ანთროპოლოგიური გამოკვლევისათვის.

საქმეებს რომ მორჩა, დიმიტრი მეგობრებთან ერთად ქუთაისისაკენ გაემგზავრა, იქედან კი მოსკოვში უნდა წასულიყო.

დიმიტრი არაყიშვილმა რაჭაში ორმოციოდე სიმღერა ჩაიწერა შესაბამის ტექსტებთან ერთად, რომლებიც შემდეგ მთლიანად გადაამუშავა და შეიტანა თავის წიგნში: «Грузинское народное музыкальное творчество» ამ წიგნში მოთავსებულია მთელ საქართველოში შეგროვილი 225 ხალხური სიმღერა და ტექსტი.

ეს წიგნი 1916 წელს დაიბეჭდა მოსკოვში. მის შექმნას კომპოზიტორმა დიდი შრომა მოანდომა. მოსკოველი ასოთამწყობები, რომლებიც ქართულ ანბანში ვერ ერკვეოდნენ, ტექსტს მხოლოდ მიმგვანებით აწყობდნენ, რისთვისაც დიმიტრის საგანგებო კალიგრაფიული სამუშაოების ჩატარება დასჭირდა. იგი თავად უწერდა ზუსტ ქართულ ასოებს, უფრო კი უხატავდა და ამით ოსტატებს მუშაობას უადვილებდა. თითქმის ყოველდღე დადიოდა სტამბაში, თვალყურს ადევნებდა ასოთამწყობთა მუშაობას, ეხმარებოდა ასოების მოძებნაში, რათა ძვირფასი წიგნი, შეძლებისდაგვარად, უშეცდომოდ დაბეჭდილიყო.

საბოლოოდ წიგნი საკმაოდ მოზრდილი გამოვიდა, რადგან მასში თავი მოიყარა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ხალხურმა და აგრეთვე ჩრდილო კავკასიაში ჩაწერილმა ე. წ. ქართველი კაზაკების სიმღერებმაც.

ხალხური ლექსების ანუ ტექსტების რუსულად თარგმნა კი დიმიტრიმ ჩვენ, ქართველ სტუდენტებს მოგვანდო. მან თავის პატარა ბინაში დაგვსხა: მე და ჩემი ძმა გრიგოლი, მიხეილ ზანდუკელი, ირაკლი ამირეჯიბი, მიხეილ დავითაშვილი და ჩვენც, როგორც შეგვეძლო, საქმე ბოლომდე მივიყვანეთ. როცა წიგნი დაიბეჭდა, ავტორმა სათანადო წარწერით ყველას თითო თითო ცალი გვისაჩუქრა.

ეს ძვირფასი წიგნი დღესაც ამშვენებს ჩემს მოკრძალებულ პატარა წიგნსაცავს.

1910 წლის 4 ნოემბერს მოსკოვის პოლიტექნიკური მუზეუმის დარბაზში ეთნოგრაფიული საზოგადოების სხდომაზე დიმიტრი არაყიშვილმა წაიკითხა მოხსენება, სადაც დაახასიათა მაშინდელი რაჭის პატრიარქალური ცხოვრება და ადგილობრივი სიმღერები. აღნიშნა, რომ ისინი მეტად ჰარმონიულია, ხასიათდება ერთგვარი სიმძიმით და ენათესავება ქართლ-კახურ სიმღერებსო.

- რაჭა ძნელად მისადგომია, - თქვა მომხსენებელმა, - და ამიტომ ისევ ძველებურად ცხოვრობს; მამაპაპური ტრადიციები ჯერ კიდევ მტკიცედაა შენარჩუნებული იქ და ოჯახში ხშირად 40 და მეტი სული ცხოვრობს. რაჭული სიმღერები სამხმიანია, მძიმე, მაგრამ ჰარმონიული.

მან გამოთქვა ვარაუდი, რომ რაჭულმა სიმღერებმა სწორედ ის ელემენტები შემოგვინახა, რაც ოდესღაც ახასიათებდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სიმღერებს.

დიმიტრი არაყიშვილის მოხსენების შესახებ ჩემმა ძმამ გრიგოლმა „ფაიქომელის“ ფსევდონიმით ქუთაისის გაზეთ „კუტაისკი ლისტოკში“ (#202. 17.11.1910) დაბეჭდა ვრცელი ანგარიში.

* * *

რაჭაში ყოფნის დროს დიმიტრის ძირითადად მამაჩემი - მალაქია ჯაფარიძე ეხმარებოდა. მე და გრიშა, როგორც ყოველ ზაფხულს, მაშინაც დაკავებულნი ვიყავით დრამატულ წარმოდგენებში მონაწილეობით. რაჭის შორეულ სოფლებში სიარული ადვილი საქმე როდი იყო, მაგრამ მამაჩემიც და დიმიტრიც სიამოვნებით მიდიოდნენ ყველგან და იწერდნენ უძვირფასეს ხალხურ სიმღერებს, რომლებიც დღეს, შესაძლოა, აღარც კი გვქონოდა.

მამა თითქმის ერთი კვირის განმავლობაში დაჰყვებოდა მას. შემდეგში დიმიტრი გულთბილად იგონებდა მამასთან ერთად რაჭის სოფლებში გატარებულ დღეებს და ამ ამბავს 1952 წელს პატარა წერილიც მიუძღვნა.

- ამ მოგონებით თავადაც ვისიამოვნე და მინდა თქვენც გასიამოვნოთ, ძმებო, - გვითხრა ძვირფასმა მეგობარმა და წასაკითხად გადმოგვცა მამაჩემზე დაწერილი მოგონება.

ამის შემდგომ მამაჩემმა მადლობის წერილი მიიღო მოსკოვის ეთნოგრაფიული საზოგადოებისაგან, სადაც აღნიშნული იყო ის წვლილი, რაც მამამ მიაგო იმ საზოგადოების წევრს დიმიტრი არაყიშვილს - „მისი რაჭაში მოგზაურობის დროს ხალხური სიმღერების შეკრებისას კეთილი და უანგარო დახმარებისათვის“. სამადლობელი წერილი დიმიტრისაც გავაცანით, რომელიც ამის თაობაზე თურმე ხშირად საუბრობდა ხოლმე ჩვენს მოსკოველ თანაკურსელებთან და ხუმრობით დასძენდა: „ჯაფარიძეები ორღობეში დგამენ წარმოდგენებს, რომ სოფლად კულტურას ემსახურონო“.

ეს ხუმრობა ჩვენთვის მარტო შექება კი არა, წახალისებაც იყო.

ჩემი ძველი მოსკოველი ამხანაგები დიმიტრი მგალობლიშვილი და სოლომონ ერისთავი, რომელთაც მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ დიმიტრი არაყიშვილთან, ყოველ შეხვედრაზე მოიგონებდნენ ხოლმე დიმიტრის ნახსენებ „ორღობეს“. ამგვარად, ჩვენი პატარა და უჩინარი მოღვაწეობა სოფლად დიმიტრი არაყიშვილმა ცნობილი გახადა თვით მოსკოვშიც კი და ამით თითქოს მადლობა მიაგო სპექტაკლების ყველა მონაწილეს, რომლებმაც მოკრძალებული წვლილი შეიტანეს ქართული თეატრის განვითარების საქმეში.

დიმიტრი არაყიშვილის გაცნობის პირველ წლებში მე და გრიშამ ერთად დავხატეთ მისი პორტრეტი, რომელიც ბუნებრივ ზომაზე ცოტა მეტი იყო. იგი შევასრულეთ თეთრ ქაღალდზე ნახშირით. ამ პორტრეტზე დიმიტრი ოდნავ გვერდზეა მიბრუნებული და ძალიან შვენის წვერ ულვაში, ახალგაზრდული იერი და უკან გადავარცხნილი გრუზა თმა. თავზე ფეტრის ფართოფარფლებიანი ქუდი ახურავს, ხოლო მხრებს ლამაზად მოგდებული პლედი უმშვენებს.

ეს პორტრეტი მოსკოვიდან საქართველოში ჩამოვიტანეთ და იგი დიდხანს ამშვენებდა ჩვენს ბინას, მაგრამ 1931 წელს იგი ჩვენმა მეგობარმა, ცნობილმა ხელოვნებათმცოდნემ დავით არსენიშვილმა თეატრალური მუზეუმისათვის გვთხოვა, რომელიც იმ ხანებში მან თავად დააარსა. დავითს ჩვენი ნახატი გადავეცით, როგორც მცირედი შეწირულობა. სამწუხაროდ, მას შემდეგ ის ნამუშევარი აღარც მინახავს. მხოლოდ დავით არსენიშვილის დატოვებული ხელწერილი თუ შემახსენებს ხოლმე ამ ნამუშევარს და მეტად ვღონდები, რადგან იგი სამუდამოდ წავიდა ჩემგან, თუმცა საიმედო ადგილზეა დაცული და იქ გაცილებით უფრო საჭიროა მუზეუმისთვისაც და ხალხისთვისაც.

რამდენიმე ხნის შემდეგ გულმა მაინც არ მომითმინა და პორტრეტი ზუსტად აღვადგინე ხელწერითაც და იმავე ზომითაც.

კომპოზიტორის თავდაპირველი პორტრეტი გაზეთ `საქართველოს~ სურათებიან დამატებაში 1916 წლის ივლისში (#29) დაიბეჭდა.

* * *

დიმიტრი არაყიშვილი მუდამ მოუსვენარი და საქმის ერთგული კაცი იყო. მოსკოვის ქართულ საზოგადოებაში, რომლის შეუცვლელი თავმჯდომარე ალექსანდრე სუმბათაშვილ იუჟინი გახლდათ, ის მთელი მონდომებით იღვწოდა - ივანე თულაშვილთან, ალექსანდრე ხახანაშვილთან, ალექსანდრე ჯავახიშვილთან, მიხეილ ზანდუკელთან, ნიკო ხორავასთან (ექიმი) და სხვებთან ერთად. დიმიტრიმ იქ ჩამოაყალიბა „მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის ქართული საზოგადოება.“

1913 წლის გაზაფხულზე მან განიზრახა ჩაეტარებინა ამ საზოგადოების ღია საჯარო სხდომა, სადაც უნდა აღენიშნათ პროფ. ალ. ხახანაშვილის გარდაცვალების წლისთავი. ამის გამო მე და გრიშაც გაგვაფრთხილეს და გვთხოვეს, მონაწილეობა მიგვეღო იმ სხდომაზე და სიტყვები მოგვემზადებინა. ჩვენ ჯერ ვიუარეთ, რადგან გამოსვლა გვიწევდა ცნობილ მეცნიერთა გვერდით და საერთოდ მოსკოვის საზოგადოების წინაშე, მაგრამ არავითარმა უარმა არ გაჭრა. მალე დიმიტრიმ მოსაწვევი ბარათები დააბეჭდვინა, რომელშიც ნაჩვენები იყო მთელი საღამოს პროგრამა და მომხსენებელთა გვარები, მათ შორის - ჩვენიც.

მეტი რა გზა იყო, მოხსენებები დავწერეთ და გამოსასვლელად მოვემზადეთ.

1913 წლის მარტში სინოდური სასწავლებლის დიდ დარბაზში საზოგადოების საჯარო სხდომა ჩატარდა (ახლანდელ გერცენის ქუჩაზე). მომხსენებლები იყვნენ: პროფ. ნ.ი.იანჩუკი, პროფ. ა.ე.კრიმსკი, ქართული ეკლესიის ცნობილი მოამაგე ნ.ნ. დურნოვო, ჩემი ძმა გრიგოლი, დიმიტრი და მე.

დიდი დარბაზი სავსე იყო. ბლომად იყვნენ ლაზარევის სახელობის აღმოსავლური ენების ინსტიტუტის წარმომადგენლები, სადაც ძირითადად მოღვაწეობდა განსვენებული ალ. ხახანაშვილი, კითხულობდა ლექციებს და ამავე დროს ხელმძღვანელობდა ქართველოლოგიის კათედრას. ბევრი სტუმარი

იყო ქალთა პირველი გიმნაზიიდანაც, იქ განსვენებული პროფესორი რუსულ სიტყვიერებას ასწავლიდა.

მახსოვს, რა დიდებულად გამოვიდა დიმიტრი არაყიშვილი. სხდომაზე მან ასეთი მოხსენება წაიკითხა: „რამდენიმე სიტყვა მუსიკალურ ეთნოგრაფიული ცნობების შესახებ ალ. ხახანაშვილის შრომებში.“

დიმიტრის თავის გამოსვლებში საზოგადოდ სჩვეოდა შინაარსის სიღრმისეული წარმოჩენა. იგი პირდაპირ დახელოვნებული იყო ამ საქმეში. ამასთან ერთად, მას მეტად ლამაზი ენა, დიქცია და მდიდარი ლექსიკა ჰქონდა.

გრიგოლის მოხსენების სათაური ასეთი გახლდათ - „პროფ. ალ. ხახანაშვილი, როგორც ქართული ლიტერატურის ისტორიკოსი“, ჩემი მოხსენება კი უფრო უბრალოდ იყო დასათაურებული - „პროფ. ალ. ხახანაშვილი“.

შემიძლია თამამად და სიამაყით ვთქვა, რომ ორთავე მოხსენებამ გაამართლა ჩვენი დიდი მეგობრის იმედები. მადლობაც კი დავიმსახურეთ დიმიტრისგან, მაგრამ მადლობლები ჩვენ უფრო უნდა ვყოფილიყავით, რადგან სწორედ მან შეგვაგულიანა გამოუცდელი სტუდენტები და ამით ფართო გზა გაგვიხსნა საზოგადოებისაკენ.

ამ სხდომის მოსაწვევ ბარათს, დიმიტრის დიდ და საშვილიშვილო წიგნთან ერთად, დღემდე ვინახავ სასოებით. ასევე სიყვარულით ვინახავ მის ღია ბარათს, რომელიც მოსკოვიდან 1916 წლის ოქტომბერში ერთი ჩემი წერილის პასუხად გამომიგზავნა.

„ძვირფასო ლადო! - მწერს დაუვიწყარი მეგობარი, - დამნაშავედ ვგრძნობ თავს, რომ აქამდე პასუხი ვერ მოგწერე, მაგრამ ხომ იცი, როგორ შეგვიცვალა ომიანობამ მდგომარეობა და აგვირია ცხოვრება...“

წერილში დიმიტრი თავის გულისტკივილს გამოთქვამს იმის გამო, რომ ბავშვებმა ქართული ენა არ იციან და ვერც ვასწავლი, იმდენად არახელსაყრელი პირობები მაქვს ცხოვრებაშიო.

დიმიტრის მეტად ლამაზი ხელწერა მძივივითაა ასხმული.

ის ოჯახშიაც მუყაითი და გამრჯე პიროვნება იყო. ამაში დიდ დახმარებას უწევდა საყვარელი მეუღლე მატრონა გერასიმეს ასული – იშვიათი დედა, უბადლო მეგობარი და მეოჯახე, რომელმაც ჩვენს ქვეყანას ექვსი შესანიშნავი ქალ ვაჟი აღუზარდა.

დიმიტრი ამასთანავე ძველი ტრადიციების მოყვარულიც გახლდათ, იშვიათი სტუმართმოყვარე და გულღია ადამიანი. მახსოვს, 1910 წლის გაზაფხულზე მე და გრიშას მოსკოვში საქართველოდან მონატრებული მშობლები და პატარა ძმა - უჩა გვეწვივნენ. დიმიტრიმ დიდად გაიხარა თავისი ყოფილი მასპინძლების ხილვით, პრესნიაზე, თავის ბინაზე დაგვპატიჟა და მთელი დღე თავს დაგვტრიალებდა, გვართობდა იშვიათი მუსიკით, საუბრით და ამას იმდენად გატაცებით აკეთებდა, რომ მეზობელ ოთახში ვიოლინოზე მომეცადინე თავის პატარა ვაჟს - სანდროსაც კი ხშირად გასძახებდა ხოლმე, ხელს ნუ გვიშლიო.

მე და უჩა დღესაც კმაყოფილებით ვიგონებთ იმ ამბავს.

ჩვენ მაშინ ბოლშაია გრუზინსკაიას რაიონში ვცხოვრობდით. და ერთხელ, როდესაც პრესნიასკენ მივდიოდით, მოულოდნელად ჩვენკენ მომავალი ავტომანქანა შევამჩნიეთ, რაც მაშინ იშვიათი რამ იყო მოსკოვის ქუჩებისთვისაც კი. ეს შეუხედავი, თავღია, თანაც ნელა მოხრიგინე მანქანა დღევანდელს როგორ

შეედრებოდა. თუმცა კი ერთცხენიანი ეტლების ფონზე მაინც უცხო სანახავი გახლდათ. ჩემი მშობლები პირველად ხედავდნენ ამ ახალი მოდის ტრანსპორტს.

მანქანაში ორი მოხუცი იჯდა; თითქოს გარეგნული იერიც ერთნაირი ჰქონდათ: მოშვებული თმაწვერი, ჭაღარა და ქათქათა. თავზე ფართოფარფლიანი ჩალის ქუდები ეხურათ; მოახლოვდა თუ არა მანქანა, გრიშამ შეჰყვირა:

- ლევ ტოლსტოი, მამაჩემო, ლევ ტოლსტოი, შეხედე!

მართლაც, ერთი მათგანი ლევ ტოლსტოი იყო, მის გვერდით მჯდომი მოხუცი კი ცნობილი მეცნიერი, პარიზის პასტერის ინსტიტუტის დირექტორი ილია მეჩნიკოვი გახლდათ, რომელიც იმ დროს მოსკოვს სტუმრობდა და ამის შესახებ თითქმის მთელმა მოსკოვმა იცოდა.

სინანულით გავაყოლეთ თვალი ამ უცხო ტრანსპორტს, მაგრამ ამ დროს ხელში აყვანილმა უჩამ მორთო ტირილი: - „ჩამაჯინეთ იმ ურემში“... არ ცხრებოდა იგი, - „ჩამაჯინეთ, ჩამაჯინეთ...“ ბოლოს და ბოლოს ძლივს გავაჩუმეთ უჩა.

დიმიტრისთან რომ მივედით, თითქმის მთელი დღე ტოლსტოიზე და ამ ახალ ავტომანქანაზე ვლაპარაკობდით, მაგრამ დიმიტრისთვის უცხო არ ყოფილა არც ის მანქანა და არც ორი დიდი ადამიანის ხილვა. ტოლსტოი იქვე სამოვნიკებში ცხოვრობდა და დიმიტრი არაყიშვილს არაერთხელ მოუკრავს თვალი, როდესაც იგი მანქანით ქუჩაში გაივლიდა ხოლმე.

სამაგიეროდ, მამაჩემი ვეღარ იკავებდა მღელვარებას და, როგორც კი შემთხვევა მიეცემოდა, მაშინვე ტოლსტოიზე ჩამოაგდებდა სიტყვას.

ერთი პატარა შემთხვევაც მინდა გავიხსენო, ურომლისოდაც ჩემი მოგონება დიმიტრი არაყიშვილზე სრულყოფილი არ გამოვა.

მგონი 1908 წელი იყო. დიმიტრიმ ერთ კონცერტზე მიგვიწვია არბატზე, სახალხო ფილარმონიაში, სადაც იგი მასწავლებლობდა კიდეც. წვეულთა შორის ვიყავით: მე, გრიშა ცხაკაია, დათიკო გაგუა და მიშა თუხარელი.

დიმიტრი ფილარმონიაში დაგვხვდა. მასთან ერთად იყვნენ დები ბახუტაშვილები, რომლებიც მოსკოვის კონსერვატორიაში სწავლობდნენ, მათი ძმა, ასევე მოსკოვის ერთ ერთი სასწავლებლის სტუდენტი და სოლომონ ერისთავი.

დარბაზი სავსე იყო მაყურებლით.

დიმიტრისთან ერთად სცენაზე მოვეწყვეთ.

ადგილობრივ შემსრულებელთა შემდეგ დიმიტრიმ დები ბახუტაშვილები მიიწვია სცენაზე; ამათგან ერთმა იმღერა, მეორემ კი როიალზე დაუკრა. ამით ყველაფერი უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ანაზდად დიმიტრიმ მოისურვა, რომ სტუდენტ სოლომონ ერისთავსაც ემღერა რამე. მას შესანიშნავი ლირიკული ტენორი ჰქონდა და ხშირად გამოდიოდა სტუდენტთა საღამოებზე.

სოლომონმა მშვენივრად იმღერა რომანსი - „На холмах Грузии“ და დიდი შთაბეჭდილებაც მოახდინა, მით უფრო, რომ გარეგნობაც შესანიშნავი ჰქონდა. დარბაზში დიდხანს გრიალებდა ტაში.

ამ დროს უცბად მიშა თუხარელმა წამოიძახა:

-Автора! - და დიმიტრიზე მიუთითა.

-Автора, автора! - აჰყვა მას დარბაზიც. მაშინ სტუდენტებმა ციმციმ აიტაცეს კომპოზიტორი და რამპასთან გაიყვანეს. როცა ხალხმა „ავტორი“ დაინახა, ტაში "პირდაპირ ოვაციად გადაიქცა. არ ვიცი, ეს დიმიტრის მოკრძალებით იყო გამოწვეული თუ რით, მაგრამ ის თავის დაკვრასაც კი ვერ ახერხებდა. ერთი

ორჯერ გაქცევაც კი სცადა, თუმცა სცენიდან ვინ გაუშვებდა. იგი ტყვესავით იდგა სცენაზე და ოვაცია მხოლოდ მაშინ შეწყდა, როდესაც ფარდა დაეშვა.

- თქვე ყურუმსაღებო, ეს რა მიყავით, ის რომანსი ჩემი კი არა, რიმსკი კორსაკოვისა იყო...

თურმე „На холмах Грузии“-ს სიტყვებზე, დიმიტრის გარდა, რიმსკი კორსაკოვსაც ჰქონია რომანსი დაწერილი.

ამ ამბავს მე და დიმიტრი ხშირად ვიგონებდით ხოლმე და ბევრსაც ვიცინოდით.

1918 წელს დიმიტრი არაყიშვილი მოსკოვიდან ოჯახიანად სამუდამოდ გადმოსახლდა თბილისში.

ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს და სიყვარულით ვიგონებდით მოსკოვში გატარებულ არც თუ იოლ, მაგრამ რომანტიკულსა და იმედებით აღსავსე ცხოვრებას.

ცალ ცალკე რომ შეგვხვდებოდა მე და გრიშას, უთუოდ გვკითხავდა: - რომელი ხარ, გრიშა თუ ლადო?..

მაგრამ ერთადაც რომ გადაგვეყრებოდა, მაშინაც ვერ გვარჩევდა ერთმანეთისაგან და თითქოს სინანულით გვეუბნებოდა:

- კაცო, ამდენი წელია გიცნობთ, მაგრამ თქვენი გარჩევა მაინც მიჭირს. ნეტავ, თქვენი მშობლები თუ გარჩევენ ერთმანეთისაგან?

და როცა მოვუყვებოდით ჩვენი მსგავსების გამო გამოწვულ კურიოზებს, ბევრს იცინოდა.

მიყვარდა მისი სიცილი, გულიანი, ხმამაღალი, სიცოცხლითა და ხალისით სავსე. და თვალებზე მომდგარ ცრემლებს თეთრად გაქათქათებული ცხვირსახოცით იწმენდდა.

დიმიტრი საცხოვრებლად ერეკლეს მოედანზე, შავთელის ქუჩის დასაწყისში, ყოფილი ეგზარხოსის სახლის ერთ პატარა ფლიგელში მოეწყო.

მართალია, დიდი დარბაზები არ ჰქონია, მაგრამ მაინც კმაყოფილი იყო. მისი ჭეშმარიტად პატრიოტული სული დიდად ხარობდა, ბოლოს და ბოლოს, სამშობლოში ცხოვრებას რომ ეღირსა. მისმა შვილებმაც კარგად ისწავლეს ქართული ენა.

მოკლედ, კომპოზიტორის წინაშე ცხოვრების ნათელი პერსპექტივა გადაიშალა.

ის დიდ შემოქმედებით მუშაობაში ჩაება და მალე არაერთი მუსიკალური ჟანრის ნაწარმოები მიუძღვნა მშობლიურ ქვეყანას. დაამთავრა ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“, რომლის მეორე აქტი - ნადიმი თამარის სასახლეში - ჯერ კიდევ 1907 წელს მოგვასმენინა მოსკოვში გამართულ ქართულ საღამოზე.

1919 წლის 5 თებერვალს უკვე დამთავრებული ოპერა დადგა თბილისის ოპერის სცენაზე. ეს დღე ქართული ეროვნული ოპერის დაბადების დღედაც ითვლება.

ქართველმა ხალხმა ღირსეულად დააფასა ეროვნული სულისკვეთების ოპერა და მის ავტორს ტკბილი ჰანგების მგოსანი უწოდა.

იგი ხელოვნების უმაღლეს მწვერვალებს დაეუფლა. გახდა პროფესორი და რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

მეტი რაღა უნდა ინატრო კაცმა!

40 იან წლებში მან მრავალოთახიანი ბინა მიიღო გმირთა მოედანზე თერთმეტსართულიან სახლში და ამით საბოლოოდ გაიმარჯვა უბინაობასთან

დაუსრულებელ ჭიდილში, რაც მძიმე ტვირთად აწვა მის მრავალრიცხოვან ოჯახს.

- დიდებული ბინა მომცეს, კაცო, იშვიათი, - მითხრა ერთ დღეს დიმიტრიმ, - მაგრამ ქალაქის გარეთ არის... სანამ შევეჩვეოდე, ძალიან გამიჭირდება.

მართლაც, ხსენებული სახლი იმ დროს უკაცრიელ ადგილზე იდგა, ცენტრიდან შორს, მაგრამ გავიდა დრო და ეს სახლი თითქმის ქალაქის ცენტრში მოექცა.

რა უცბად იცვლება დრო, რა უცბად შენდება ქალაქი!..

•

ქართულ მუსიკალურ სამყაროში იმ დროს ნამდვილი ყამირი იყო და ამ ყამირზე მხნედ მიაბიჯებდა დიმიტრი არაყიშვილი თავისი მშვენიერი ქმნილებებით. მარტო მისი ოპერა - „თქმულება შოთა რუსთაველზე˜ - რად ღირს, რომლის წარმატება გაცილებით დიდი იქნებოდა, უხეირო ლიბრეტო რომ არ უშლიდეს ხელს.

დიმიტრი დიდად განიცდიდა ამ გარემოებას და ცდილობდა დაშვებული შეცდომის გამოსწორებას, მაგრამ ვერ იქნა და ძველი ლიბრეტო ვერ შეცვალა. დროდადრო იცავდა კიდეც მას.

სამწუხაროდ, მე არასოდეს მიკითხავს ამ ლიბრეტოს წარმოშობის ისტორია, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ მან იგი ამოიღო ალ. ხახანაშვილის სამტომეულიდან „Очерки по истории грузинской словесности“, რომელიც 1910 წელს უკვე გამოცემული იყო.

ლეგენდა შოთა რუსთაველზე იქ ხალხურ თქმულებებთან, აპოკრიფებთან თუ ძველ ზეპირ გადმოცემებთან ერთადაა დაბეჭდილი და ლამაზი ეპიზოდებით იპყრობს ყურადღებას. ამან მოაჯადოვა კომპოზიტორი და თავის ოპერას დაუდო სარჩულად.

1906 თუ 1907 წელს ერთი მოქმედება უკვე მზად ჰქონდა და ქართულ საღამოზე კომპოზიტორმა თავად უდირიჟორა. ეს იყო „თამარის კავატინა“ ანუ მეჯლისი თამარის სასახლეში შოთა რუსთაველის პატივსაცემად. მაგრამ ოპერის შინაარსიის შემდგომმა განვითარებამ სცენაზე აბდულ არაბი გამოიყვანა, რომელმაც არათუ ხელი შეუწყო შოთას სახის კიდევ უფრო გაბრწყინებას, არამედ, დაჩრდილა კიდეც. შოთა ნეგატიურ სახედ წარმოაჩინა. ოპერის ნამდვილ გმირად კი შოთა რუსთაველის მეჯინიბე, ვიღაც აბდულ არაბი, იქცა. ამგვარად, „თქმულება შოთა რუსთაველზე“ გადაიქცა ოპერად - „თქმულება ვინმე აბდულ არაბზე“, რამაც, რა თქმა უნდა, გული აუცრუა მაყურებელს და ოპერაზე დასწრების ხალისიც დააკარგვინა. ეს კი წლიდან წლამდე უფრო და უფრო შესამჩნევი შეიქნა.

თანდათან გამოირკვა, რომ ამ შესანიშნავ ლირიკულ დრამატული ჟანრის ოპერას, რომელსაც აღტაცებაში მოჰყავდა ხელოვნებათმცოდნეები და მას ქართული მუსიკალური კულტურის სიამაყედ თვლიდნენ, თურმე ასეთი უსუსური ლიბრეტო ჰქონია. მიუხედავად ათასგვარი შეკეთება შესწორებისა, ლიბრეტოს მაინც შერჩა გამოუსწორებელი ნაკლი, რამაც ასე შეუშალა ხელი ოპერის წარმატებას.

დიმიტრის დიდხანს არ სჯეროდა ეს მწარე ამბავი და უკვირდა მისი ქმნილების წარუმატებლობა.

ერთხელ, როცა მე და ჩემი ძმა გრიშა ჩვეულებისამებრ ვსტუმრობდით კომპოზიტორს, საუბარი ამ ოპერაზედაც ჩამოვარდა.

დიმიტრის, ცხადია, უყვარდა თავისი ქმნილება და მასზე საუბარს არაფერი ერჩია.

- გახსოვს, დიმიტრი, რა წარმატებით გაისმა მოსკოვში „ქართულ საღამოზე“ „თამარის კავატინა“, რა სიხარული და იმედები მოუტანა ჩვენს სტუდენტობას? - ლაპარაკი წამოიწყო გრიგოლმა.

კომპოზიტორს სიამოვნების ღიმილმა გადაუარა სახეზე.

- მახსოვს, კაცო, როგორ არ მახსოვს!... მერედა, რა წვალება გვჭირდებოდა იმ დაწყევლილ დროში, რათა პატარა რამეც კი საჯაროდ გამოგვეტანა!... ძლივს მოვახერხე იმ ერთი კავატინის წარმოდგენა და როგორი აღტაცება გამოიწვია ხალხში!... მაგრამ დღეს რომ აღარ იდგმება? - შენიშნა ნაღვლიანად.

- ეგ არაფერია, მამა, - გამოსძახა მეორე ოთახიდან დიმიტრის ქალიშვილმა თამარმა, - ეს იმიტომაა, რომ ხალხს არ აკმაყოფილებს მისი ლიბრეტო.

- რატომ, ლიბრეტო რითია ცუდი?

საუბარში ახლა მე ჩავერიე:

- ჩემო ძვირფასო დიმიტრი, ლიბრეტო იმითაა ცუდი, რომ მასში რუსთაველის სახე შეურაცხყოფილი და დაჩრდილულია ვიღაც აბდულ არაბის გამო.

- შენ ცდები, ლადო, აბდულ არაბი უკვე პოპულარული გახდა ჩვენში, ის უკვე უყვარს ხალხს...

- შეიძლება უყვარს, მაგრამ რუსთაველზე მეტად? – მორიდებით შევესიტყვე კომპოზიტორს, რათა მისი თავმოყვარეობა არ შემელახა, - მუსიკა შესანიშნავია, მაგრამ ლიბრეტოს სისუსტის გამო მაყურებელმა გული აიცრუა.

- კაცო, ეს თქმულებაა, ხალხური თქმულება... აქ რუსთაველს რა ჩრდილი უნდა მიადგეს?... მე ვხედავ, თქვენც უარყოფითად უყურებთ ჩემი ნაწარმოების გმირს. ეს დიდი შეცდომაა, ძვირფასო მეგობრებო, დიდი შეცდომა, - რუსულად წარმოთქვა მან.

ასეთსავე შენიშვნას აძლევდნენ დიმიტრის მისი სხვა მეგობრებიც: გიორგი ჟორდანია, სოლომონ ერისთავი, დიმიტრი მგალობლიშვილი და სხვები. ისინი ურჩევდნენ ლიბრეტოს ან მნიშვნელოვან გადაკეთებას ან მთლიანად შეცვლას, მაგრამ ეს საქმე ადვილი არ იყო კომპოზიტორისათვის. მან არაერთხელ გადააკეთებინა ხან ვისა და ხან ვის, პოეტსა თუ დრამატურგს, ბოლოს სანდრო შანშიაშვილსაც მიმართა, მაგრამ გადაკეთებულსაც იმდენი ძველი „ცოდვები˜ შერჩა, რომ საერთო მოწონება მაინც ვერ დაიმსახურა.

და ამ მისი „აქილევსის ქუსლის“ გამო ოპერამ ისეთი საპატიო ადგილი ვერ დაიმკვიდრა სცენაზე, როგორიც ეს მის მუსიკალურ ღირსებას ეკადრება. მივიწყებულია აბდულ არაბისა და გულჩინას დუეტი, ასევე, დავლური და სათამაშო, - ქართული ჰანგების ეს უჭკნობი ნიმუშები.

კომპოზიტორმა განსაკუთრებით მწვავედ ლიბრეტოს ნაკლი 1931 წელს იგრძნო, როცა ქართული ხელოვნების დეკადაზე მოსკოვში მისი ოპერა არ წაიღეს.

სწორედ იმ დღეებში დიმიტრის ოპერის თეატრის წინ შევხვდი. გარშემო ქალიშვილები ეხვივნენ: იქვე იდგნენ მისი სტუდენტები კონსერვატორიიდან.

ისინი ესიყვარულებოდნენ ძვირფას მასწავლებელს, ხუმრობდნენ, ლაღობდნენ, მაგრამ კომპოზიტორი მაინც წარბშეკრული იდგა ახალგაზრდებს შორის.

დამინახა თუ არა, მაშინვე ჩემკენ გამოემართა.

- რომელი ხარ, კაცო, გრიშა თუ ლადო? ვაგლახ, რომ მუდამ ასეთი შეკითხვები მჭირდება თქვენთან, - მითხრა დიმიტრიმ ჩვეული ღიმილით და, როცა ჩემი ვინაობა შეიტყო, ისევ წარბი შეიკრა და დაღონებულმა მითხრა: - ცუდ გუნებაზე ვარ, ლადო, ჩემი ოპერა არ წაიღეს მოსკოვში! როგორც გადმომცეს, სულ იმ ოხერი ლიბრეტოს ბრალია, მაგრამ ახლა რაღას ვუშველი. მეტად დაღონებული ვარ, ჩემო მეგობარო, მეტად... ახლა დავრწმუნდი, რომ შეცდომა დავუშვი, როცა ამ სიუჟეტს მოვკიდე ხელი. ღირსეული მისგან არაფერი გამოვა, - თქვა კომპოზიტორმა და თავი ჩაჰკიდა, - ერთადერთი გამოსავალი ისაა, რომ ლიბრეტო ძირფესვიანად გადამუშავდეს, - თქვა მან, საჩქაროდ გამომეთხოვა და შინისაკენ გასწია.

მეც გამიფუჭდა გუნება და ფიქრი მომეძალა: „მართალია, მაყურებელს სიამოვნებს რუსთაველის სცენაზე ნახვა და ისიც თამარის სასახლეში, მაგრამ ეს ბედნიერება მხოლოდ ერთი მოქმედების მანძილზე გრძელდება. მთავარი, რაც სულის სიღრმეში რჩება მაყურებელს, ესაა ვიღაც აბდულ არაბი თავისი ქურდული სიყვარულით: „რა ტკბილია სიყვარული!“ რუსთაველი კი, პირიქით, შეურაცხყოფილი და შერცხვენილი რჩება, როგორც ძველად იტყოდნენ - „ქუდმოხდილი“, მორალურად დაცემული.

ასეთი რუსთაველი საინტერესო არ არის, რაგინდ კარგი მუსიკა ახლდეს მას და კარგი მომღერალი მღეროდეს. მუსიკა მაშინ ხიბლავს მსმენელს, თუ მისი შინაარსიც მუსიკასავით მომხიბლავია.

როცა დიმიტრის იმდროინდელ სულიერ მდგომარეობას ვიგონებ, პირდაპირ, მოგონების წერის ხალისი მეკარგება.

სამაგიეროდ, სიამოვნებით ვიხსენებ მისი დაბადების 80 წლისთავის იუბილეს, რომელიც თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში მოუწყო ქართველმა ხალხმა. მახსოვს, რაოდენ გახარებული იყო მადლიერი და ვალმოხდილი ხელოვანი, ვინაც ასე გაამდიდრა ქართული მუსიკალური კულტურა.

მისმა მოსკოველმა მეგობრებმა გადავწყვიტეთ, ცალკე სიტყვით გამოვსულიყავით საიუბილეო საღამოზე, აღგვენიშნა მისი თავდადებული მუშაობა მოსკოვში ქართული კულტურის ფართო პროპაგანდის საქმეში, მოკლე ადრესიც კი დავწერეთ, მაგრამ „დროში ვერ ჩაგვტიეს“ და ამის გამო ჩვენი გამოსვლა არ მოხერხდა.

- შენ, ძვირფასო დიმიტრი, თავდადებით იღვწოდი მოსკოვში და ენერგიას არ ზოგავდი, რათა ქართული კულტურა და, კერძოდ, ქართველი ხალხის მუსიკალური შემოქმედება ხელმისაწვდომი გაგეხადა იმდროინდელი რუსული მოწინავე საზოგადოების ფართო ფენებისათვის, - ვწერდით ჩვენ იმ ადრესში. - შენ გამოდიოდი შესანიშნავი მოხსენებებით, ბეჭდავდი წიგნებს, წერილებს. კარგად გვახსოვს, თუ რარიგ გიჭირდა მაშინ, რა ძვირი გიჯდებოდა ამ ტვირთის ზიდვა, მაგრამ წინ მაინც მედგრად, თავდადებითა და იმედებით სავსე მიაბიჯებდი.

შენ მიერ შექმნილი ტკბილი ქართული ჰანგები ყოველდღიურად გაისმის სივრცეში და შრომით დაღლილ გულს უსაზღვრო სიამოვნებას ანიჭებს“.

ადრესს ხელს ვაწერდით მე, გრიშა, ჩიტო კაპანაძე, სოლომონ ერისთავი, სენო წერეთელი, გრიგოლ მესხი, მიხეილ თუხარელი, დიმიტრი მგალობლიშვილი და დავით გაგუა. დღეს ამათგან აღარც ერთი აღარ არის ცოცხალი.

იუბილე ძალზე თბილად ჩატარდა. ოპერის თეატრი ხალხით იყო გაჭედილი. სცენაზე დელეგაციას დელეგაცია ცვლიდა და ყველა აღნიშნავდა საყვარელი კომპოზიტორის დიდ დამსახურებას.

დიმიტრი, მართალია, ღელავდა, მაგრამ მაინც კარგად გამოიყურებოდა. და ეს ყველაფერი შესანიშნავად გამოხატა თავის სამადლობელო სიტყვაში:

- დავბერდი, მაგრამ არ დავჩაჩანაკდი, - დაიწყო მან სადად და ლამაზად.

უეცრად მთელ თეატრს ტაში მოსწყდა და ასე გრძელდებოდა იგი მთელი მისი სიტყვის მანძილზე.

იუბილიდან რაღაც ორიოდე თვის შემდეგ, იმავე 1953 წელს გარდაიცვალა ეს დიდი ადამიანი.

წავიდა იგი ფიზიკურად, მაგრამ სულიერად მაინც ჩვენთან დარჩა სამუდამოდ.

თბილისში, გმირთა მოედანზე, ლენინის ქუჩის 63 ნომერში, თერთმეტსართულიანი სახლის სადარბაზო კარზე ასეთი შინაარსის მემორიალური დაფაა გაკრული:

„ამ სახლში 1939 1953 წლებში ცხოვრობდა გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი, აკადემიკოსი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი დიმიტრი არაყიშვილი.“

ჭეშმარიტად ბედნიერ ვარსკვლავზე იყო დაბადებული დიმიტრი არაყიშვილი. ამქვეყნად სამდურავი არაფერი უნდა ჰქონოდა. ერთ დროს წელში სიღარიბით გაწყვეტილი ბიჭუნა, მომღერალთა გუნდში მუშაობას რომ ნატრობდა, თავდადებული შრომით გამოჩენილი კომპოზიტორი გახდა. დიმიტრის მიენიჭა ყველა საპატიო ტიტული და ეს დიდი ჯილდოები თუ წოდებანი დაუყვედრებლად დაიმსახურა მან.

არაფერია ამქვეყნად უფრო მაღალი და ღირსეული!.. მის ცხოვრებას შეიძლება თამამად ეწოდოს:

„ოცნება, რომელიც შესრულდა,
ხოლო შესრულდა იგი ბრწყინვალედ!..“

მცირე მოგონება კნუტ ჰამსუნზე

ჩემს ოჯახში მთელ რიგ მწერალთა და მხატვართა სამახსოვრო ფოტოპორტრეტებს შორის შემონახულია გამოჩენილი ნორვეგიელი მწერლის კნუტ ჰამსუნის ფოტოსურათიც. იგი მიძღვნილია ჩემი ძმის გრიგოლისადმი და გამოგზავნილია 1935 წელს ნორვეგიის პატარა ქალაქ ნორჰოლმიდან, სადაც კნუტ ჰამსუნმა თავისი ხანგრძლივი ცხოვრების უკანასკნელი წლები გაატარა.

სათანადო წარწერითა და მწერლის ხელმოწერით დამშვენებული ფოტოსურათი წარმოადგენს პასუხს ჩემი ძმის მიერ გაგზავნილ წერილზე.

საქმე ის გახლავთ, რომ მოსკოვში ჩვენი სტუდენტობის დროს ახალგაზრდები ჰამსუნის შემოქმედებით ვიყავით გატაცებულნი, ხოლო ჩემი ძმა, პირდაპირ, მოჯადოებული იყო მისი ნაწერებითა და ცხოვრებისეული თავგადასავლებით. ამიტომ დიდხანს ფიქრობდა მისთვის წერილის გაგზავნას.

და ბოლოს, მოგვიანებით, 1935 წელს შეასრულა კიდეც თავისი განზრახვა. გრიშამ, ნიშნად დიდი პატივისცემისა, ~ვეფხისტყაოსნის~ ქართული გამოცემის ერთ ერთი ნიმუშიც გაუგზავნა.

მე კი ეს ამბავი ასევე მოგვიანებით მინდა გავიხსენო და დავუკავშირო იგი კნუტ ჰამსუნის 120 წლისთავს...

ჩვენი სტუდენტობის დროს მოსკოვში, ცხრაასიანი წლების დასაწყისში, ძირითადად უცხოურ ლიტერატურას ვკითხულობდით, რადგან რუსულ მწერლობას, როგორც საგიმნაზიო კურსს, ზედმიწევნით კარგად ვიცნობდით, რომ აღარაფერი ვთქვათ ქართულ ლიტერატურაზე. და აი, კნუტ ჰამსუნმა დაიპყრო ჩვენი სული და გული, მისი „ვიქტორია“, „შიმშილი“, „მისტერიები“ და სხვ. თითქმის ყველას თავსასთუმალთან ედო.

ჩემი ძმა პირდაპირ „ჩამწვარი“ იყო მის ნაწერებში და მთხოვდა, ღირსეული წერილი გაგვეგზავნა მწერლისათვის, მაგულიანებდა და მირჩევდა ჩვენს მსგავსებაზეც გვემცნო ორიოდ სიტყვით, რათა ამის შესახებ რაიმე დაეწერა; ის ხომ ადამიანის სულის სიღრმეთა პოეტიაო, - მეუბნებოდა, მაგრამ მე ვვუარობდი, რადგან მიმაჩნდა, რომ დიდი მწერალი ვერ მოიცლიდა ამდენ თაყვანისმცემელთა წერილების წასაკითხად.

იყო ჩვენს შორის დაუსრულებელი აზრთა გაცვლა გამოცვლა, ვიდრე ოცდაათიან წლებში გრიშამ თბილისიდან პირადად არ გაუგზავნა წერილი.

ნორვეგია, საიდანაც კნუტ ჰამსუნის შემოქმედება მსოფლიოს მწერლობას მოევლინა, ევროპის უკიდურეს ჩრდილოეთში მდებარე ერთი პატარა ქვეყანაა სულ რაღაც 3 მილიონი მოსახლეობით, მაგრამ დიდი კულტურითა და წარსულით. განსაკუთრებით ცნობილია მხატვრული ლიტერატურით და მისი ისეთი ღირსეული წარმომადგენლებით, როგორებიც არიან: ბიერნსტიერნე - ბიერნსონი, ჰენრიკ იბსენი თავისი განთქმული დრამებით: „ნორა“, „ექიმი შტოკმანი“, „ბრანდი“, „მოჩვენებები“ და მრავალი სხვა. საქვეყნოდ ცნობილია, ასევე, დიდი კომპოზიტორი ედვარდ გრიგი.

ამ გამოჩენილ ნორვეგიელთა ჯგუფს ეკუთვნის მათივე თანამედროვე კნუტ ჰამსუნი (1859 1952), მაგრამ განსხვავება ის გახლავთ, რომ წარმოშობით ჰამსუნი ღარიბთა წრეს განეკუთვნება და ამიტომ თავისი ორიგინალური ბიოგრაფიით უფრო მაქსიმ გორკის მოგვაგონებს. მას, გორკის მსგავსად, ღირსეული სასკოლო განათლება არ მიუღია, თუ არ გავითვალისწინებთ დაწყებითი სკოლის კურსს, რომელიც მან თავის მშობლიურ სოფელში გაიარა, ხოლო უფრო დიდი განათლება უშუალოდ ცხოვრებიდან და წიგნებიდან შეიძინა. წიგნებს კი ეს სწავლას მოწყურებული და მძიმე შრომისაგან დაღდასმული გლეხი ბიჭი რვა წლის ასაკიდან ეწაფებოდა; ასეთ ჭაპან წყვეტაში გაატარა მან თავისი ბავშვობის ულამაზესი წლები და უკვე თოთხმეტი წლის ასაკში იძულებული გახდა მშობლიური კერა მიეტოვებინა და ლუკმა პურის საშოვნელად დაეწყო ხეტიალი.

რომელ ქალაქსა თუ ქვეყანაში არ ყოფილა კნუტ ჰამსუნი, ამერიკაშიც კი ამოყო თავი; სად არ იმუშავა, რას არ აკეთებდა; მოჯამაგირეობდა, მუშაობდა ფერმერებთან, ომნიბუსის კონდუქტორად, მაღაზიის ნოქრის თანაშემწედ და სხვ.

მაგრამ ვერსად ჰპოვა ვერც მატერიალური უზრუნველყოფა და ვერც სულიერი კმაყოფილება.

და აი, 1877 წელს, თვრამეტი წლის ყმაწვილმა, სრულიად მოულოდნელად ხელი მოჰკიდა კალამს და ლიტერატურულ სარბიელზეც მოსინჯა ბედი. ანაზდეულად გამობრწყინვებული შემოქმედებითი ნიჭის წყალობით დაიწყო მოთხრობებისა თუ პატარ-პატარა საგაზეთო წერილების წერა, რომელთაც ზოგჯერ უბეჭდავდნენ კიდეც. ასეთ წვალებაში იცხოვრა რამდენიმე წელიწადს ნახევრად მშიერი ლიტერატორის ცხოვრებით.

ამერიკაში ყოფნის შთაბეჭდილებები ერთ მოზრდილ წერილად ჩამოაყალიბა და მალე დაბეჭდა კიდეც. მან მკითხველთა ფართო ინტერესი გამოიწვია, მაგრამ გაჭირვებას მაინც ვერ დააღწია თავი. ბოლოს და ბოლოს თავისი ტანჯული ცხოვრების აღწერას მოჰკიდა ხელი. 1890 წელს კნუტ ჰამსუნმა ერთად მოუყარა თავი ხსენებულ ნაწერებს, ძირფესვიანად გადაამუშავა ისინი და ერთ დიდ მოთხრობად ჩამოაყალიბა, რომელსაც სათაურად „შიმშილი~ უწოდა.

აქ უკვე აშკარად გაუღიმა ბედმა და ნახევრად ავტობიოგრაფიული ხასიათისა და დიდი ფსიქოლოგიური ოსტატობით დაწერილი მოთხრობების წყალობით კნუტ ჰამსუნი ერთბაშად გახდა ცნობილი მთელი ნორვეგიისათვის, ხოლო შემდეგ - ევროპისთვისაც. მხატვრული სიტყვის თაყვანისმცემლებმა მისი სახით უზარმაზარი და მეტად თავისებური მწერალი აღმოაჩინეს.

დიდი მწერლები ბიერნსონი, გეორგ ბრანდესი, ჰენრიკ იბსენი და სხვები გაოცებულნი დარჩნენ ამ „ერთბაშად ამოხეთქილი ნიჭის“ გამოჩენით, ხოლო მისი მოთხრობა „შიმშილი“ ყველასთვის საყვარელ ნაწარმოებად იქცა.

ამ ქმნილებებმა დასაბამი მისცეს კნუტ ჰამსუნის უაღრესად საინტერესო ლიტერატურულ ბიოგრაფიას. მკითხველებმა მალე იხილეს ასევე მაღალმხატვრულად დაწერილი მომდევნო მოთხრობები და რომანები: - „ვიქტორია“, „პანი“, „მისტერიები“ და სხვა, ხოლო 1917 წელს გამოდის კნუტ ჰამსუნის ყველაზე დიდი რომანი, რომელსაც რუსულ თარგმანში „შოკ ძემლი“ ეწოდება. მე მას ქართულ ენაზე პირობითად „მიწის მადლს“ ვუწოდებდი. ეს ნაწარმოები მიჩნეულია მეოცე საუკუნის მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ ყველაზე მონუმენტურ ეპიკურ ნაწარმოებად, რისთვისაც კნუტ ჰამსუნს ნობელის პრემია მიენიჭა.

კნუტ ჰამსუნმა 93 წელი იცოცხლა და ამ დროის მანძილზე არაერთი მხატვრული ქმნილება შესძინა მსოფლიო მწერლობას. 1959 წელს, მისი დაბადების 100 წლისთავზე, ნორვეგიაში გამოქვეყნებულმა მწერლის თხზულებათა საერთო მოცულობამ 15 ტომი შეადგინა.

მწერალი ბევრს მუშაობდა და მოგზაურობდა, ეცნობოდა სხვადასხვა ხალხთა ცხოვრებას; სხვათა შორის, საქართველოშიც იყო, როცა რუსეთი და კავკასია მოიარა. ეს მოგზაურობა ჭეშმარიტი პოეტური აღმაფრენით დაგვიხატა ნაშრომში „ზღაპრულ ქვეყანაში“. აქაა საქართველოში მიღებული შთაბეჭდილებებიც. ამასთან, ჩვენს ქვეყანას მიუძღვნა დრამა „თამარ მეფე“.

ეს ორი ნაწარმოები უფრო იმითაა ჩვენთვის საინტერესო, რომ, თუ შეიძლება ასე ითქვას, “ქართული თემა” უშუალო შთაბეჭდილებებითაა ნასაზრდოები.

„თამარ მეფე~ სამმოქმედებიანი დრამაა, მაგრამ ისტორიულ სინამდვილესთან თითქმის არაფერი აკავშირებს. ის უფრო რომანტიკული თზულებაა - შექმნილი ჰამსუნისათვის დამახასიათებელი ხელწერით. ის

სიყვარულისა და სილამაზის ჰიმნს წარმოადგენს, თუმცა მისი ზოგიერთი მოქმედი პირი ისტორიულია, მათ შორის თამარის შვილები გიორგი და რუსუდანი, რომლებიც თამარს მეორე ქმართან - დავით სოსლანთან ჰყავდა და არა გიორგი რუსთან; დავითი კი ნაწარმოებში, როგორც გიორგი, ისეა მოხსენიებული.

თავის დიდ მოგზაურობას ჰამსუნი უძღვნის მეორე წიგნს - „ზღაპრულ ქვეყანაში“, რომელშიაც გვაწვდის შესანიშნავ პოეტურ სენტენციებს.

გზად მწერალი მოსკოვში ჩერდება. ის პირდაპირ განცვიფრებულია ამ ქალაქის ორიგინალობითა და სილამაზით: - „სად არ ვყოფილვარ, ქვეყნის რომელი კუთხე არ მინახავს, მაგრამ არსად შემხვედრია მოსკოვის კრემლის მსგავსი სილამაზე. ის პირდაპირ ზღაპრულია“!

გაკვირვებულია აგრეთვე მოსკოვის ეკლესიების სიმრავლითა და რუსი ხალხის განსაკუთრებული ღვთისმოსაობით.

- ეს სლავიანები არიან, - ვფიქრობ მე და მივჩერებივარ მათ, ეს მომავალი ხალხია... ასეთ ხალხს შეუძლია წარმოშვას რუსული ხასიათის უსაზღვრო და უკიდეგანო ლიტერატურა... ჩვენ ყველას ბევრი დრო დაგვჭირდება, რათა შევეგუოთ და მივუახლოვდეთ მას...

მოსკოვიდან საქართველომდე ჰამსუნი ჯერ კავკავში ჩერდება (ახლანდელი ორჯონიკიძე). საქართველოს სამხედრო გზით თბილისისაკენ მიემგზავრება, აქედან კი შთაბეჭდილებებით სავსე გადაჰყურებს დუშეთს, არაგვსა და მხრებზე კოკებშედგმულ ქალებს.

და ბოლოს თბილისიც...

- ესეც თბილისი, - ამბობს კნუტ ჰამსუნი, - ქალაქი, რომელზედაც ასე ხშირად წერდნენ რუსი პოეტები და სადაც არაერთი რუსული რომანის მოქმედება იშლება.

- დავათვალიერეთ თბილისი, - განაგრძობს მწერალი, - და არ მოგვეწონა იგი, მაგრამ მის წიაღში მოვნახეთ პატარა კუთხე, რომელიც ძალზე ორიგინალური გვეჩვენა. ხშირად ვესტუმრებოდით ხოლმე მას და იქ ყოფნით ვერა ვძღებოდით. ეს იყო ქალაქის აზიური კვარტალი, რომელსაც რაღაც თავისებური იერი და სახე ჰქონდა. აქ რაღაც სართულებიანი ლაბირინთებია, კიბეები გადიან სახლიდან სახლამდე, მიწიდან ბანებამდე, თითქოს რაღაც სხვა ქვეყანააო. და სწორედ ასეთი იშვიათი კუთხე გარშემორტყმულია თანამედროვე ვაჭრული ქალაქის ხმაურით.

- ჩემი სასტუმრო „ლონდონია“, - განაგრძობს კნუტ ჰამსუნი და თანაც ასეთი ცნობებიც მოაქვს თბილისზე: - ქალაქში 160 ათასი მცხოვრებია ამჟამად (იგულისხმება გასული საუკუნის ბოლო წლები. ლ.ჯ.). კაცები ორჯერ მეტია ქალებზე. აქ 70 ენაზე ლაპარაკობენ... ქალაქში შემონახულია ქართველ მეფეთა სასახლე, რომელიც ამჟამად საპატიმროდაა გადაქცეული. ქალაქში რომელიღაც რუსი გენერლის ერთი ძეგლი დგას (გულისხმობს ვორონცოვის ძეგლს, რომელიც რევოლუციამდე იდგა დღევანდელი მარქსის მოედანზე. ლ.ჯ.). შორს, ქალაქის თავზე გაშენებულია წმინდა დავითის მონასტერი. ის დგას ქართველებისათვის წმინდად მიჩნეულ „მთაწმინდაზე“. მონასტრის ახლოსაა გრიბოედოვის საფლავი...

თბილისის შემდეგ მწერალი ბაქოს სწვევია: ყველაზე უფრო შეუხედავი ქალაქია, - ამბობს იგი, - მტვერშია გახვეული ადამიანებიც, ცხოველებიც და ის ორიოდე ბუჩქიც კი, რომელიც ქალაქის პარკში შევამჩნიეთ. ირგვლივ ყველაფერი

ნავთის სუნითაა გაჟღენთილი, ყოველ ნაბიჯზე დგას მაზუთით ჩაშავებული კონკები და დღედაღამ გაუჩერებლივ გუგუნებენ მიწის საბურღავი მანქანები...

სამაგიეროდ, დასავლეთ საქართველოში, თბილისიდან ბათუმამდე მატარებლით მგზავრობამ ასეთი სიტყვები ათქმევინა მას:

- აქ ირგვლივ ისეთი მცენარეულობაა და ისეთი მდიდარია ბუნება, რომლის მსგავსი არსად შემხვედრია: ტყეები, გაუვალი ტევრები, კაკალი, მუხა, თელა, წაბლი, თხილი, რა გინდათ, არ იყოს აქ ყოველ ნაბიჯზე. ჩვენ მატარებლის ფანჯრიდან ხარბად მივჩერებივართ ყველაფერ ამას, ამ ღვთივკურთხეულ ქვეყანას, გვაოცებს ასეთი თვალწარმტაცობა და ვუმადლით ბედს, წყალობა რომ არ მოგვიშალა და ამ იშვიათი სანახაობის ღირსი გაგვხადა. ეს ადგილი უმშვენიერესი კუთხეა კავკასიაში. ხვალ ჩვენ ისევ უნდა დავბრუნდეთ ბაქოში, რათა იქიდან უკვე აღმოსავლეთში წავიდეთ და დავტოვებთ კიდეც ამ მხარეს, მაგრამ მე ის სამუდამოდ ჩამრჩება გულში და მისი ხელახალი ნახვის დიდი ნატვრა ყოველთვის მტკივნეულად მომაწვება გულზე, რადგან მე ხომ ერთი იმათგანი ვარ, ვისაც ცხოვრებაში ერთხელ მაინც რგებია „მტკვრის წყლის დალევის ბედნიერება.“

აი, ის ცოტაოდენი რამ, რაც კნუტ ჰამსუნის მოგზაურობის შთაბეჭდილებებზე მინდოდა მეთქვა - ის განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენთვის, რადგან ხსენებული თხზულებები მაშინდელი საქართველოს სურათებსაც გვიხატავს.

ლიტერატურათმცოდნეთა საერთო აზრით, კნუტ ჰამსუნმა ლიტერატურაში აღმოაჩინა სიყვარულის ახალი, სულ სხვაგვარი, მანამდე უცნობი მხარეები, ახალი სახეები, ახალი გაგება.

მისი ლირიკული რომანი „ვიქტორია˜ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებად ითვლება, იმათ შორის რაც კი სიყვარულის თემაზე დაწერილა XX საუკუნის მსოფლიო ლიტერატურაში. იგი თარგმნილია ქართულ ენაზე ცნობილი მთარგმნელის ილია აგლაძის მიერ და ნაწილ ნაწილ დაიბეჭდა ერთ-ერთ მაშინდელ ქართულ ჟურნალში, თუ არ ვცდები, ოცდაათიან წლებში.

ჰამსუნის თხზულებების რუსეთში - და კერძოდ, ჩემი დროის მოსკოვში - რუსულ ენაზე მთარგმნელი და გამომცემელი ბევრი იყო, მაგრამ ჩვენ - მაშინდელი სტუდენტობა - ამ დიდი მწერლის ნაწერებს, ისევე როგორც ბევრ სხვას, გვაზიარა ერთმა მშვენიერმა გამომცემლობამ „პოლზა“ მ, რომელიც კერძო პირს ვ.ანტიკსა და ამხანაგობას ეკუთვნოდა. ის საგანგებოდ უცხოური ლიტერატურის გამოცემაზე მუშაობდა და თარგმნილ წიგნებს „უნივერსალური ბიბლიოთეკის“ სახელწოდებით აწვდიდა რუსეთის ფართო საზოგადოებას.

სხვათა შორის, ეს ის ,,პოლზაა” რომელმაც ჩვენი თარგმნილი „გლახის ნაამბობი“, „ბაში აჩუკი“, ყაზბეგის „ელისო“ და სხვა მოთხრობებიც გამოაქვეყნა.

ყოველი ავტორის ცალკეულ ნაწარმოებს „პოლზა“ ცალ ცალკე, პატარა ზომის, ერთი ფორმატის წიგნად და ერთნაირი გაფორმებით ბეჭდავდა. თითოეული წიგნი ათი კაპიკი ღირდა და ყველას თავისი ნომერი ჰქონდა, რაც აადვილებდა მის მიკვლევას. თუ ნაწარმოები დიდი მოცულობის იყო და ერთ ნომერში არ თავსდებოდა, „პოლზა“ მაინც ერთ წიგნად ბეჭდავდა, მაგრამ ორი ნომრით და ფასსაც ორმაგს - 20 კაპიკს ადებდა. ასეთი წესით იყო გამოცემული ფლობერის „მადამ ბოვარი“, დიკენსის „დავით კოპერფილდი“, შილერის „ყაჩაღები“ და ბევრი სხვა. ზოგიერთი მისი გამოშვებული წიგნი სამ და ოთხნომრიანიც კი იყო.

ასე გააცნო „პოლზამ“ თავის მკითხველს მაშინ ჩვენთვის ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილ ხალხთა მწერლობა, აღარას ვიტყვი დიდი ქვეყნების - ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიისა და სხვათა ლიტერატურაზე.

მოკლედ, სწორედ ”პოლზას” მეშვეობით ვეზიარეთ დანიური, ბელგიური, შვედური, ნორვეგიული, ფინური ლიტერატურის ნიმუშებს. ასე გავეცანით კნუტ ჰამსუნის თხზულებებსაც.

სწრაფად ვრცელდებოდა „პოლზას“ მიერ გამოცემული ეს უამრავი ლიტერატურა რუსეთის მთელ ტერიტორიაზე, იყიდებოდა მაღაზიებშიც და რკინიგზის სადგურებში ჟურნალგაზეთებისთვის განკუთვნილ ჯიხურებშიც. რომელი მგზავრი არ შეიძენდა ასე იაფსა და ლამაზად გამოცემულ წიგნაკს? ასეთი გამოცემები ხშირად დიდ ტირაჟს აღწევდა და რამდენჯერმე იბეჭდებოდა, მაგრამ მკითხველს მაინც არ ყოფნიდა. მახსოვს, სამჯერ დაიბეჭდა ჩვენი თარგმნილი „გლახის ნაამბობი“, მაგრამ მკითხველი მაინც უწიგნოდ დარჩა. ბევრი მას ორ სამ ცალს და მეტსაც იძენდა. როგორც იოსებ გრიშაშვილის ნაამბობიდან ვიცი, მიუხედავად მისი ხელმოკლეობისა, პოეტმა ამ წიგნის რამდენიმე ცალი შეიძინა, ხოლო ძველი ინტელიგენციის წარმომადგენელმა ინჟინერმა ნიკო კვეზერელმაკოპაძემ პეტერბურგში ათი ცალი იყიდა.

დიახ, თავდავიწყებით ვკითხულობდით კნუტ ჰამსუნის ნაწერებს, რომელიც ადამიანთა სულის მოძრაობის ნიუანსებსა და საიდუმლოებებს გვაზიარებდა და გვაყვარებდა კიდეც.

ო, რა ბრწყინვალედ პასუხობდნენ მისი წიგნები ჩვენს მაშინდელ ახალგაზრდულ განწყობილებებს!

რაჭაში, მშობლიურ სოფელ ღარში, ჩვენს ბინაში ხატივით გამოვკიდეთ კნუტ ჰამსუნის დიდი პორტრეტი, რომელიც მე და გრიშამ ნახშირით შევასრულეთ.

ჩვენებიც სათაყვანებელ მწერლად მიიჩნევდნენ მას. მხოლოდ პატარა უჩა, მაშინ სკოლის ცეროდენა მოსწავლე, ვერ ერკვეოდა მის ვინაობაში; მაგრამ გავიდა დრო, გაიზარდა ჩემი უმცროსი ძმა და მანაც მთელი არსებით შეიყვარა კნუტ ჰამსუნის შემოქმედება.

1935 წელს გრიშამ ხელი მოჰკიდა ჰამსუნის ერთ ერთი შედევრის ~პან~ ის ქართულ ენაზე თარგმნას. ამასთან დაკავშირებით, ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტა წერილი გაეგზავნა საყვარელი მწერლისათვის, რათა ახლა მაინც აესრულებინა თავისი დიდი ხნის სურვილი და მისწერა კიდეც.

გრიშამ მის მიერ რუსულად დაწერილი ბარათი თავის ერთ უნივერსიტეტელ მეგობარს გადაათარგმნინა გერმანულ ენაზე, მერე ლამაზი ხელით სუფთად გადაწერა და ფრთხილად ჩადო კონვერტში. წერილს თან „ვეფხისტყაოსნის~ ახალი ეგზემპლარი დაურთო და ნორვეგიაში გაგზავნა.

გრიშას წერილი ასეთი იყო:

„უღრმესად პატივცემულო დიდო ხელოვანო ბატონო ჰამსუნ!

თითქმის ყოველდღე მიხდება მე იმ სასტუმრო „ლონდონის~ წინ გავლა, რომელშიც თქვენ გაგიტარებიათ რამდენიმე დღე თბილისში ყოფნის დროს და ყოველი გავლისას ცხოვლად წარმომიდგება ხოლმე თვალწინ მომენტები თქვენი დაუვიწყარი მხატვრული პერსონაჟების ცხოვრებიდან; ამ დროს მე ხშირად მეუფლება ხოლმე სურვილი გამოგეხმაუროთ აქედან და მოგაწოდოთ ჩემი

უგულითადესი, გულიდან ამოღებული სალამი, დიდო ჰამსუნ - საყვარელთა შორის უსაყვარლესო პოეტო.

მინდა გაგახსენოთ თბილისი და საზოგადოდ საქართველო, რომელსაც თქვენ ჯერ კიდევ იმ დროს უყვარდით, როცა მისი ცის ქვეშ დაიარებოდით შორეული ნორვეგიიდან ჩამოსული ახალგაზრდა სტუმარი.

გულწრფელი სიყვარულის ნიშნად ამ წერილთან ერთად საჩუქრად გიგზავნით ქართველი კაცისათვის ყველაზე უფრო საყვარელ წიგნს - XII საუკუნის დიდი ქართველი პოეტის - რუსთაველის პოემას.

დავიწყე თქვენი რომანის „პან“-ის თარგმნა და ვითხოვ თქვენს ნებართვას ამ რომანისა და სხვა თქვენი ნაწერების თარგმნაზე, რომელთა შესრულება უახლოეს მომავალში მაქვს განზრახული.

თქვენი რამდენიმე ნაწარმოები ახმაურდება საქართველოში, როგორც თქვენი პოეზიის ულამაზესი ნაწყვეტი და უძვირფასესი რელიქვია, აგრეთვე, როგორც თქვენი სალამი ჩვენს ძველ რაინდს - რუსთაველს, რომელიც საუკუნეებით დაშორებულია ჩვენგან.

მინდა მჯეროდეს, რომ მე და ჩემს მეგობრებს გვეღირსება სახსოვრად მივიღოთ თქვენი რომელიმე წიგნი ან პორტრეტი. მე მას წავიღებ სასტუმრო „ლონდონში“ ან მოპირდაპირე ბაღში და გავახსენებ ოდესღაც თქვენი იქ ყოფნის დღეებს.

იცოცხლეთ დიდხანს და იყავით ჯანმრთელად, დიდო ჰამსუნ, და იმ მრავალმილიონიან თქვენს მკითხველთა შორის, რომელთაც უყვარხართ და ეყვარებით მუდამ მომავალშიც, საუკუნეების მანძილზე, გთხოვთ მიგულოთ მეც - თქვენი ერთგული პატივისმცემელი გრიგოლ ჯაფარიძე, რომელიც მოელის თქვენგან ჩემი წერილისა და წიგნის მიღების რაიმე დამადასტურებელ ნიშანს.

კავკასია. თბილისი. ორბელიანის ქუჩა, 36.

1935 წლის ნოემბერი.“

მალე გრიშამ ნორვეგიიდან ერთი მოზრდილი კონვერტი მიიღო და გულის ფანცქალით გახსნა. იგი მადლობის აღმნიშვნელი ოფიციალური წერილი ეგონა, როგორიც იციან ხოლმე დიდმა ადამიანებმა ასეთ შემთხვევაში, - და რა გახარებული და ფრთაშესხმული იყო, როცა კონვერტში მწერლის პორტრეტი აღმოჩნდა მისივე ავტოგრაფით.

ეს იყო კნუტ ჰამსუნის მიერ გერმანულ ენაზე დაწერილი და მარგალიტის მძივებად ასხმული სიტყვები:

„გრიგოლ ჯაფარიძეს მადლობით მისი უთავაზიანესი წერილისათვის, ნორჰელმი, 16 დეკემბერი, 1935, კნუტ ჰამსუნი“...

შორეული ქვეყნიდან მიღებული ძვირფასი ნობათი გრიშამ თავისი სურვილების კეთილ დაგვირგვინებად მიიჩნია.

მალე ამ ფოტოსურათის ასლი ჩემთვისაც გადააღებინა და საჩუქრად გადმომცა.

ასე გაჩნდა ჩემს ოჯახშიც დიდი ნორვეგიელი მწერლის პორტრეტი ავტოგრაფით, რომელიც ძალიან ბევრ სასიამოვნო წუთს მომაგონებს და თითქოს სიჭაბუკესაც კი მიბრუნებს ხოლმე.

გრიშას მიერ კნუტ ჰამსუნთან გაგზავნილი წერილი და „ვეფხისტყაოსანი˜, ალბათ, გამოფენილი იქნება მწერლის მემორიალურ მუზეუმში ნორვეგიაში.

ჩემი სცენისმოყვარეობა

ამ ცოტა ხნის წინათ თბილისში ონიდან საგასტროლოდ ჩამოვიდა ადგილობრივი რაიონული თეატრი და მარჯანიშვილის სახელობის თეატრში დადგა თავისი ერთ ერთი საუკეთესო სპექტაკლი.

წარმოდგენას უამრავი ხალხი დაესწრო და მაყურებელთა წრიდან არაერთი აღფრთოვანებული სიტყვაც წარმოითქვა დასისა და მისი ხელმძღვანელობის მისამართით.

ჩვენში რაიონული თეატრების მიერ თავიანთი დადგმების თბილისში ჩამოტანისა და ჩვენების კარგი ტრადიცია დამყარდა. ცხადია, გემოვნებიან მაყურებელთა ფართო აუდიტორიასთან შეხვედრა დიდი სტიმულია მათ წასახალისებლად და პასუხისმგებლობის გრძნობის ასამაღლებლად. ამასთან, იზრდება თეატრის პოპულარობაც.

ვფიქრობ, რაიონული თეატრების დღევანდელ მოღვაწეობასთან დაკავშირებით ინტერესს მოკლებული არ იქნება მოგახსენოთ მათი მდგომარეობა ჩემი ახალგაზრდობის დროს.

სტაციონარული თეატრი, თბილისის გამოკლებით, მაშინ თითქმის არსად არ არსებობდა ჩვენში.

თვით საქართველოს გუბერნიისა და ოლქის ცენტრები – ქუთაისი და ბათუმიც კი ვერ დაიკვეხნიდნენ თეატრისთვის შესაფერისი შენობებით და, აბა, ონსა და მის მსგავს დაბებში რა თეატრი უნდა ყოფილიყო, ან კიდეც რომ ყოფილიყო, რა დონის მხატვრული სახე უნდა ჰქონოდა?!

თვით ისეთ დიდ ქალაქსაც კი, როგორიც საქართველოს საზღვაო ჭიშკარი ფოთი იყო, თეატრის ცალკე შენობა არ გააჩნდა და როცა რაიმე წარმოდგენის დადგმა ან საღამოს ჩატარება გვჭირდებოდა (მე იქ ვმუშაობდი 1914 წლიდან 1920 წლამდე), საგანგებოდ უნდა გვეძია შესაფერისი შენობა.

მაგრამ ცხოვრება თავისი გზით მიდიოდა და თავისას მაინც არ იშლიდა. ხალხის შეგნებაში იზრდებოდა განათლების, წინსვლისა და ბედშავი ყოფის გაუმჯობესების სურვილი. ასე, თანდათან ჩნდებოდა იმედისმომცემ სცენისმოყვარეთა ჯგუფები, რომელნიც პატარ-პატარა სპექტაკლების დადგმითაც კი დიდ სახალხო საქმეს აკეთებდნენ.

პროვინცია არ იყო, სცენის მოყვარენი რომ არა ჰყოლოდა და ავად თუ კარგად, დგამდნენ კიდეც იმ დროისთვის შესაფერის და პოპულარულ პიესებს.

მშვენივრად თქვა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ ცნობილმა რედაქტორმა იოსებ იმედაშვილმა:

„თუ ვინმეს შეუძლია თქვას, რევოლუციის ცეცხლს ვაღვივებდი, თვითმპყრობელობას ძირს ვუთხრიდი, წოდებრივ ურთიერთობას თუ საზოგადოებრივ უსამართლობას ვააშკარავებდი და ძველი წესწყობილების დამხობას მთელი ჩემი არსებით ვემსახურებოდიო, ეს ყველაზე თამამად შეუძლია თქვას ხალხურმა თეატრმა“.

და ეს გახლდათ სრული ჭეშმარიტება!

ვიქნებოდით ასე ათი წლისანი, მე და გრიშამ სცენა პირველად რომ ვნახეთ ონში. მოგვეწონა ახალგაზრდების თამაში და დიდი შთაბეჭდილებით აღვსილნი დავბრუნდით შინ. ეს იყო დაახლოებით 1897 98 წლებში.

მერე პატარებმა ჩვენს მშობლიურ ღარშიც ვსინჯეთ „სცენის“ წარმოდგენა. ერთ ზაფხულის არდადეგებზე კი პატარა ვოდევილიც დავდგით - „საცოლე ერთი საათით“, რომელშიც უმცროსი ძმებიც ჩავაბით და ამით სრულიად შეუმჩნევლად სცენისმოყვარეთა დასში „შევდგით ფეხი“.

სამსახიობო საქმეში უკვე კარგა გაწვრთნილადაც ვგრძნობდით თავს, როცა 1906 წლის ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ოჯახში ჩვენი ნათესავი, ბავშვობის მეგობარი გრიშა ჯაფარიძე მოვიდა და ორივე ძმას გვთხოვა მასთან ერთად მიგვეღო მონაწილეობა ონში წარმოდგენის დადგმაში.

იმ დროს რაჭაში ასეთი რამ იშვიათი მოვლენა იყო. ათასში ერთხელ თუ გავიგონებდით, რომ ონელმა მოსწავლე ახალგაზრდებმა, შესაძლებელია იგივე ადგილობრივმა კულტურტრეგერებმა, წარმოდგენა გამართესო. ეს პირდაპირ დღესასწაული იყო ონელებისათვის.

პირველი ასეთი დადგმა ონში ძმების – სპირიდონ და არჩილ ჯაფარიძეების ინიციატივითა და მონაწილეობით მოხდა. სპირიდონი და არჩილი სოფელ ველთეთიდან იყვნენ - ე. წ. ლომკაციშვილები, მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლობდნენ და დიდი დაფასებაც ჰქონდათ ჩვენში, ამიტომაც არავის გაკვირვებია ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს მათგან ონში წარმოდგენის დადგმა. სცენა მოწყობილი ჰქონდათ ონის ორკლასიანი სამაზრო სასწავლებლის შენობაში, მაშინ საუკეთესო რომ იყო მთელ მაზრაში. ამ შენობას ჰქონდა მოზრდილი საკლასო ოთახები, რომლებიც იმ დროს, საზაფხულო არდადეგების გამო, თავისუფალი იყო და სავსებით აკმაყოფილებდა მაშინდელ მოთხოვნებს.

დადგეს ვალერიან გუნიას ცნობილი პიესა „და ძმა“ და განსაკუთრებული შთაბეჭდილებაც მოახდინეს. წარმატება კიდევ უფრო დიდი იქნებოდა, მარინეს შემსრულებელი ქალი რომ ჰყოლოდათ. ამ როლს ვაჟი ასრულებდა, რასაკვირველია, კაცის ხმითა და იერით, მაგრამ ქალის სამოსელში გამოწყობილი.

იმ დროს ჯერ კიდევ არ იყვნენ სცენაზე გამოსვლის მოსურნე ქალები, ჯერ კიდევ აკლდათ საამისო „გამბედაობა“.

ასეთი ხარვეზების გამოსწორება მხოლოდ შემდეგში მოხერხდა, როცა სცენიმოყვარეთა რიგებში ჩადგნენ ადგილობრივი ონელი ახალგაზრდები – ძმები ერმილე და გიორგი ლობჟანიძეები, რომლებმაც ქალების როლების შემსრულებლებად თავიანთი დები გამოიყვანეს: მარიამი (შემდგომში, მწერალ მიხეილ მრევლიშვილის დედა), ბაბუცა და ნინო. ეს უკვე გვარიანი ანსამბლი იყო და ხალხსაც ბევრს იზიდავდა. თანაც, ძმები სცენას თავიანთ ეზოში ღია ცის ქვეშ აწყობდნენ, სადაც ხალხიც ბევრი ეტეოდა და მოხერხებულიც იყო.

ლობჟანიძეების და ძმათა ანსამბლმა იმდენად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ადგილობრივი მაყურებლის აღზრდაში, რომ, როცა ზაფხულში რაიმე მიზეზით წარმოდგენა არ შედგებოდა ხოლმე, მაყურებელი უკვე „კულტურულ შიმშილს“ გრძნობდა და უკმაყოფილებას გამოთქვამდა.

სწორედ ამ დროს გიმნაზიელმა მიშა ჯაფარიძემ, რომელსაც ქუთაისში რამდენიმე წლის სწავლისა და თეატრში ხშირი სიარულის გამო კარგად შეესწავლა სცენის საქმე, ითავა ონში წარმოდგენების გამართვა, რათა მოწყურებული ხალხისათვის სულიერი საზრდო მიეწოდებინა.

მიშა ჯაფარიძე, უფრო სწორად მიშაგო, როგორც მას მეგობრები ვეძახდით ჩვენი სასიქადულო მწერლის სერგო კლდიაშვილის ჩათვლით, ასევე რომ უწოდებს მას თავის შესანიშნავ ნოველაში „პატარა ცხოვრება“, სოფელ ხირხონისიდან იყო, რაჭაში მეტად პოპულარული ოჯახის – „დიდი სვიმონის“

ოჯახის – შვილი, მეტად ფხიანი და მარჯვე, შემდგომში ქუთაისის გაზეთის „იმერეთის“ რედაქტორი.

მიშაგომ მალე მოუყარა თავი ახალგაზრდების ჯგუფს და გვარიანი დასიც ჩამოაყალიბა. იმ ზაფხულს ჯერ ონში დადგა ორი პიესა – „პატარა კახი“, ა.ყაზბეგის „არსენა“ და მერე ამ პიესებით ქვემო რაჭასაც ესტუმრა. ამბროლაური იმ დროს არც კი არსებობდა და ჩვენ სოფელ ხიდიკარში, იქვე ხიდთან ახლოს, თეატრისათვის ერთი ორსართულიანი, იმ ხანებში თავისუფალი შენობა დავიკავეთ. მიშაგომ ჩვეული სიმარჯვით უცბად მოაგვარა საქმეები, სცენისა და დარბაზის მოსაწყობად მაშინვე იშოვა საჭირო მასალა და ხელოსნებიც.

ღმერთო ჩემო, რომელი შორეული სოფლიდან აღარ ჩამოვიდნენ წარმოდგენაზე დასასწრებად - ბუგეული, ჯვარისა, ხონჭიორი, ნიკორწმინდა და სხვ. - ონიდან არტისტები ჩამოსულან ხიდიკარშიო. ახალგაზრდები სიბნელეში კვარითა და კელაპტრებით ინათებდნენ გზას და სიმღერ სიმღერით მოდიოდნენ ხიდიკარისაკენ.

კვირიკეწმინდიდან ახალგაზრდა მეზობლებთან ერთად საგანგებოდ ჩამოვიდა სტუდენტი გრიგოლ მესხი. იგი იმდენად გახარებული იყო ჩვენი კულტურული ღონისძიებებით, რომ სცენაზეც კი გვეახლა, გაგვეცნო და სპექტაკლის დაწყების წინ ხალხს აღფრთოვანებული სიტყვით მიმართა. მან სპექტაკლის დამდგმელებს ხალხის სახელით მადლობა გადაუხადა, მერე კი მაყურებლებს მოუწოდა დაეწყოთ თანხის შეგროვება ხიდიკარში სპეციალური პრიმიტიული ფარდულის ასაშენებლად, სადაც მსგავსი წარმოდგენები სისტემატურად გაიმართებოდა.

ამ წინადადებას ყველა აღტაცებით შეხვდა.

საამისოდ იქვე სათანადო კომისიაც აირჩიეს და მახსოვს, ამ კეთილ საქმეს განსაკუთრებული ხალისით სოფ. წკადისის მკვიდრმა, ოფიცერმა სვიმონ ენუქიძემ მოჰკიდა ხელი.

ერთი სიტყვით, იმ დროს ჩვენი ხალხი დიდად იყო მოწყურებული სულიერ საზრდოს.

დღეს მთელ რაჭაში – ონშიაც და ამბროლაურშიაც - ფარდულები კი არა, პროფესიონალ მსახიობრეჟისორთა სამოღვაწეოდ საგანგებოდ აშენებული თეატრები და კულტურის სახლები არსებობს. ამ საქმეს მოთავეობს ისეთი ხელმძღვანელი, როგორიცაა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რაჭაში მეტად პოპულარული გიგა ჯაფარიძე; ონში მას სცენის ქურუმს უწოდებენ და აქვთ კიდეც ამის საფუძველი.

აბა, იმ დროს სად იყო „შემოქმედებითი ტრადიციები“, სად იყო მასწავლებელი და დამრიგებელი?! ჩვენ თვითონ ვიყავით საკუთარი თავის მოწაფეცა და მასწავლებელიც. ცხადია, ამ პირობებში ჩვენს თამაშს აკლდა სათანადო ოსტატობა და გამოცდილება.

მაგრამ იმ დროს მხატვრულობა იმდენად არ გვაინტერესებდა, რამდენადაც პატრიოტული სიტყვის გადასროლა სცენიდან მაყურებელთა გულებში, მათში მამულიშვილური გრძნობების გაღვივება.

ახლა მოგახსენებთ, რას ერქვა ,,აქტივი” მიშა ჯაფარიძის ენაზე. ეს იყვნენ ახალგაზრდები, რომლებსაც, მართალია, სცენაზე თამაში არ შეეძლოთ, მაგრამ სხვა მხრივ სასარგებლონი იყვნენ თეატრისა და მსახიობთათვის, დადიოდნენ მეზობლებში საჭირო ტანსაცმლის და სხვა აუცილებელი ნივთების საშოვნელად, - ანუ ყველა, ვისაც კი შეეძლო რაიმე სარგებლობა მოეტანა თეატრისათვის,

რითიმე დახმარებოდა მას. დიდსა და პატარას საამაყოდ მიაჩნდა თეატრთან ასეთი სიახლოვე. პატარა მოწაფეებიც კი გვეხმარებოდნენ და გვეგზავნებოდნენ სხვადასხვა საქმეებზე; წერდნენ, ხატავდნენ. ასეთები იყვნენ, თუნდაც – დღეს ჩვენს საზოგადოებაში უკვე კარგად ცნობილი პირები, მოღვაწენი – უჩა ჯაფარიძე, ჩემი ძმა, საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი, აკადემიკოსი; დიმიტრი ჯანელიძე, თეატრმცოდნე, ხელოვნების მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; გერცელ ბაზოვი, შემდეგში ცნობილი მწერალი და სხვებიც. მაგრამ ეს სამი ერთმანეთთან შეზრდილი მოწაფეთანაკლასელი მაინც სულ სხვა იყო - ნამდვილი ენთუზიასტები, დაუზარელნი. თავს არ ზოგავდნენ თეატრისათვის, საზოგადო საქმისათვის, ნამეტნავად, პატარა დიმიტრი.

ერთი სიტყვით, ჩვენი პატარა სცენისმოყვარეთა დასი, გარდა იმისა, რომ სპექტაკლებს დგამდა და ამით აღმზრდელობითს მუშაობას ეწეოდა, კარგ მაგალითს აძლევდა ახალგაზრდობას. რამდენმა მათგანმა მიატოვა კლუბში სიარული, სადაც აზარტულ თამაშობებში იყვნენ ჩათრეულნი; ღვინის სმაც კი მიატოვა ზოგიერთმა და თეატრის თანამშრომელი გახდა.

ონის მაშინდელი ახალგაზრდობის გართობა კლუბში სიარული და ბანქოს თამაში იყო, ან ე. წ. „ქეიფი“ - მათი ჯანმრთელობის გამანადგურებელი და დამღუპველი. ფულის წაგებას ვინ ჩიოდა, რაც თავისთავად დიდად საზარალო და საზიანო რამ იყო. ეს წაგება მოგება მეტად ცუდ გზაზე აყენებდა ახალგაზრდებს.

ამ მიზეზით ონში არაერთი ადამიანი გაუბედურდა... ერთხელაც, როგორც ყოველთვის, ბანქოს თამაშობდნენ ჯერ თავის შესაქცევად, მერე მოგება წაგებაზეც და თან იმდენად აზარტულად, რომ ბევრმა მთელი თავისი ახლად აღებული ხელფასი წააგო.

ერთი სიტყვით, ყველა ეს წაგებული თანხა ერთ ბედნიერს დაუგროვდა ხელში, მაზრაში სულ ახლად გადმოყვანილ სასამართლოს გამომძიებელ რუსს, რომლის გვარი აღარ მახსოვს. ონში ეს ამბავი ძალიან გახმაურდა. მოკლედ, გამომძიებელმა დიდძალი ფული მოიგო და შინ წავიდა. წაგებულები დარჩნენ გაწბილებულნი, იმედგაცრუებულნი და სასოწარკვეთილნი. რა ექნათ, რა უნდა ეღონათ?! ჯერ სცადეს ღვინოში ჩაეხრჩოთ ჯავრი, მაგრამ ამან სულ გაახელა ისინი და მთვრალებმა გადაწყვიტეს გამომძიებელისათვის მოგებული ფულის წართმევა.

მართლაც, ასე ქნეს: ტანსაცმელი გამოიცვალეს, სახეზე ჩაბალახები შემოიხვიეს, არ გვიცნოსო, იმ კაცს შინ შეუცვივდნენ და მოგებული თანხა მთლიანად წაართვეს. თან იცინოდნენ: „ახლა დაიტრაბახოს, თუ ბიჭია, თავისი მოგებაო“.

მაგრამ სიცილი ნაადრევი აღმოჩნდა: დაზარალებულს ერთი თავდამსხმელთაგანი მისი არაჩვეულებრივად ლამაზი თვალებით ეცნო. მეორე დღესვე ყველანი გამომძიებელთან მიიყვანეს და, რაღა თქმა უნდა, დააპატიმრეს კიდეც, მერე კატორღაში უკრეს თავი. ტუსაღობაში ორი ამ უბედურთაგანი მალე გარდაიცვალა. დანარჩენებმა 1917 წლამდე ძლივს მიატანეს და მხოლოდ რევოლუციის ტალღამ იხსნა, მაგრამ კატორღული ცხოვრებით ჯანგატეხილებს და დაავადებულებს ტუბერკულოზმა მათაც მალე მოუღო ბოლო.

მერე რა კარგი ახალგაზრდები და რა კარგი ოჯახის შვილები იყვნენ! ცუდი არაფერი ჩაუდენიათ ცხოვრებაში, მაგრამ აზარტულმა თამაშმა და ღვინომ ამ ბოროტებისაკენ უბიძგა მათ.

ონში წარმოდგენების დადგმისათვის დათა ბერუჩაშვილის სახლს ვიყენებდით ხოლმე, სადაც ერთ დროს სამაზრო სასამართლო იყო მოთავსებული და გვარიანად მოზრდილი დარბაზიც ჰქონდა მაყურებლისათვის.

მაგრამ უფრო ხშირად სახელდახელო შენობებსაც ვაგებდით, მასალად ადვილად საშოვარ და იაფად ღირებულ ლამფას (თხელ ფიცარს) ვიყენებდით. რამდენიმე დღეში კვალიფიციური ხის ოსტატებისთვის თეატრის შენობის აგება – საჭირო სკამებითა და სცენით - არავითარ სირთულეს არ წარმოადგენდა. ყველაფერ ამას სულ ადვილად ახერხებდა დასის ხელმძღვანელი მიშა ჯაფარიძე.

ასეთი ლამფის შენობა ერთხელ უწერაშიც ავაგეთ, როცა იქ ერთ ზაფხულს საგასტროლოდ წავედით.

ჩვენი სტაბილური რეპერტუარი ასეთი იყო: „პატარა კახი“, „არსენა“ – ა.ყაზბეგის, „და ძმა“ – ვ.გუნიასი, „ქართველი დედა“, „ხანუმა“ – ავქს.ცაგარელისა, „სამშობლო“ და ორიოდე კიდევ სხვა; რუსულადაც ვთამაშობდით, მაგალითად - ნ.გოგოლის „შეშლილის წერილებს“. ამას კარგად ასრულებდა ჩვენი დასის წევრი ვიქტორ ელიავა, ონში ხაზინის ერთ ერთი თანამშრომელი, შემდეგში თბილისის ხაზინის მმართველი. წარმოვადგინეთ აგრეთვე, ა.ნ.ჩეხოვის „დათვი“.

სულ რეპეტიციებსა და საორგანიზაციო საქმეებს ვიყავით გადაყოლილი. რაკი დასადგმელად ხელს რომელიმე პიესას მოვკიდებდით, სხვა აღარაფერი გვახსოვდა, შინ ღამე ვბრუნდებოდით ხოლმე.

- ბავშვებო, ბოლოს და ბოლოს, სახლშიაც გამოჩნდით, რა საქმე გაქვთ ასეთი გაუთავებელი, სულ ერთთავად ონში რომ ხართ დილიდან საღამომდე? – გვსაყვედურობდნენ ხოლმე მშობლები.

თეატრი მატერიალურ დახმარებასაც უწევდა ონის საზოგადოებას. ქალაქის ბაღში, რომელსაც ადგილობრივი მაცხოვრებლები „ბულვარს“ უწოდებდნენ, იდგა ხის ერთი პატარა ოროთახიანი შენობა. ერთი ოთახის ოთხივე კედელი სავსე იყო თაროებითა და მათზე დალაგებული წიგნებით, მეორეში კი მოთავსებული იყო სამკითხველო. იქ იდგა სკამებშემოწყობილი გრძელი, ჟურნალ გაზეთებით დამშვენებული მაგიდა, რომელთანაც სულ ხალხი ირეოდა. აი, სწორედ, ეს „ბულვარი“ და ის პატარა ორი ოთახი თავისი წიგნებითა და ჟურნალ გაზეთებით იქაური ინტელიგენციისა და მოსწავლე ახალგაზრდობის უსაყვარლეს ადგილად ითვლებოდა. იმ დროს ჟურნალ გაზეთების გასაყიდი ჯიხურები ჯერ კიდევ არ არსებობდა. ამიტომ ერთადერთი „კულტურული“ დაწესებულება, სადაც საქვეყნო ამბების გაგება შეიძლებოდა, ონის „სამკითხველო“ გახლდათ.

ეს შენობა აგებული იყო ქალაქის (მაშინ – დაბის) მმართველობის მიერ და მას ეკუთვნოდა ბიბლიოთეკაც და სამკითხველოც.

მთელი ეს ბიბლიოთეკა ცხრაასიანი წლების დასაწყისში ქალაქს შემოსწირა კახელმა ნიკო მრევლიშვილმა, სოფელ იყალთოს მკვიდრმა, რომელიც დიდხანს მუშაობდა ონის სასამართლოში და იქ დაოჯახდა კიდეც მარიამ ლობჟანიძეზე. ეს ქალი დიდად განათლებული და წიგნის მოყვარული ადამიანი იყო. ნიკომ ონიდან წასვლისას ეს წიგნები ქალაქს იმ პირობით დაუტოვა, რომ იქ საჯარო ბიბლიოთეკა დაეარსებინათ, რაღა თქმა უნდა, სათანადო შენობის აგების შემდგომ. ნიკო და მარიამი მშობლები იყვნენ ცნობილი მწერლის მიხეილ და პროფესორ შალიკო მრევლიშვილებისა.

და, აი, ამ ბიბლიოთეკა სამკითხველოსთვის თანხის შესაწირადაც ვდგამდით ჩვენ წარმოდგენებს, ამიტომ ქალაქის მმართველობა და ხალხი ყოველმხრივ უფრო მეტი ხალისით გვიწყობდა ხელს.

დასში ვიყავით: ხელმძღვანელი მიშა (მიშაგო) ჯაფარიძე, გრიგოლ დვალი, ვლადიმერ გრძელიძე (მასწავლებელი), ვიქტორ ელიავა (მოსამსახურე), ივანე (პასკო) ლანდია (მოსამსახურე), სერგო გამყრელიძე (სტუდენტი), დები ლობჟანიძეები, ბაბუცა, ნინო; მე და ჩემი ძმა გრიშა.

ქვემო რაჭაში, ხიდიკარში, შემოგვემატნენ დები ლუბა და კატო გოცირიძეები თავისი უმცროსი ძმით აკაკით, რომელიც მაშინ გიმნაზიელი იყო - შემდგომში ცნობილი ნევროპათოლოგი, პროფესორი, და მათი მეზობელი ვალოდია ერისთავი - რაჭის ერისთავების უკანასკნელი წარმომადგენელი, პროვიზორი, დიდი პოპულარობით რომ სარგებლობდა თავის სოფელში, როცა რევოლუციის შემდეგ თავისი საყვარელი ბარაკონი დატოვა და სამუშაოდ თბილისში ჩამოვიდა, აქაც არანაკლები სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

ლუბა და კატო გოცირიძეები სულ ახალგაზრდები იყვნენ და ქუთაისის ეპარქიულ ქალთა სასწავლებელში სწავლობდნენ, ამასთან, დიდ კულტურულ მუშაობას ეწეოდნენ სოფლად და ჩვენ გულწრფელად გვეხმარებოდნენ წარმოდგენების დროს.

ერთხელ უწერაში სპექტაკლის დასადგმელად მიშაგო ჯაფარიძემ ლამფისაგან სახელდახელოდ ლამაზი შენობა ააგო. შენობა მაშინდელი უწერის ყველაზე თვალსაჩინო ადგილზე დაიდგა - ეკლესიის გვერდით მდებარე საკმაოდ მოზრდილ ეზოში, რომელიც თბილისის პირველი გიმნაზიის დირექტორს ვანო გამყრელიძეს ეკუთვნოდა და მწვანედ ბიბინებდა გზატკეცილის გასწვრივ, მქუხარე რიონის მაღალ ნაპირზე.

უწერაში დადგმული სპექტაკლებიდან მახსოვს: „ქართველი დედა“, „პატარა კახი“ და ყაზბეგის – „არსენა“.

იმ ზაფხულს უწერაში განსაკუთრებით ბევრი მოაგარაკე ისვენებდა და ამიტომ ჩვენი სპექტაკლებიც სულ „ანშლაგებით“ მიდიოდა. თუმცა მაყურებელი არც სხვა დროს გვაკლდა.

1912 წლის ზაფხულს დიდი მგოსნის – აკაკი წერეთლის რაჭა ლეჩხუმში მოგზაურობის მოლოდინში თითქმის მთელი დასი მგოსნის დასახვედრად ემზადებოდა. ზოგი ახალ ჩოხა ახალუხს იკერავდა, ზოგი ლამაზ იარაღს ეძებდა, ზოგი – ცხენს, ზოგი კიდევ – რას. მაგრამ უმთავრესი ის გახლდათ, რომ საგანგებოდ ვამზადებდით მის „პატარა კახს“, რათა კარგი დადგმით საპატიო სტუმრის გული გაგვეხარებინა. პოეტის დასახვედრად უფროსებიც ადგენდნენ თავიანთ გეგმებს და საამისოდ სპეციალური კომიტეტიც იყო არჩეული.

ასე რომ, ყველა თავისი საქმით იყო დაკავებული...

აი სწორედ ამის გამო, როდესაც პოეტი და მისი მრავალრიცხოვანი ამალა ონს ესტუმრა, დამხვდურთა პროგრამა იმდენად გადატვირთული აღმოჩნდა სხვადასხვა ღონისძიებებით, პურმარილით, ოფიციალური შეხვედრებით, სიტყვებით, სიმღერებით, ცეკვითა და სხვა გასართობით, რომ სპექტაკლისათვის დრო ვეღარ გამოინახა.

ასე რომ, იმ წლის ზაფხული სცენაზე გამოუსვლელად გავატარე მშობლიურ სოფელ ღარში და ბოლოს სექტემბრის პირველ რიცხვებში წავედი ლანჩხუთში, სადაც სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით ჩემი მშობლები უკვე ჩასულიყვნენ პატარა უჩასთან ერთად. მამაჩემი იქ სამოქალაქო

სასწავლებლის გამგედ (ინსპექტორად) მუშაობდა 1909 წლიდან და ჩვენც ისე შევეჩვიეთ იქაურობას, რომ ლანჩხუთზე უკეთესი ადგილი არსად გვეგულებოდა. ახლაც კი, თითქმის სამოცი წლის შემდეგ, ისევე მიყვარს ის ადგილი და ის ხალხი, თუმცა სადღა არიან ისინი დღეს?

ლანჩხუთში ბევრი კარგი ახალგაზრდა იყო და არაერთ მათგანთან ვმეგობრობდი კიდეც, განსაკუთრებით, ჩვენს მეზობელ, მამაჩემთან მომუშავე სიმღერის ახალგაზრდა მასწავლებელ კალენიკე ჟღენტთან. ხშირად ვსაუბრობდით თეატრზე, მსახიობებზე. კალენიკე პირდაპირ „ჩამწვარი“ იყო მსახიობობაში და არ იქნებოდა, დადგმებში მონაწილეობა არ მიეღო. ლანჩხუთელებიც, საერთოდ, დიდი მოტრფიალენი იყვნენ სპექტაკლებისა, მაგრამ რა უნდა ეღონათ, თუკი არავითარი ხელისშემწყობი პირობა არ გააჩნდათ.

ჩვენი საუბრების შემდეგ კალენიკემ პიესის დადგმისათვის დახმარება მთხოვა. მე სიამოვნებით დავეთანხმე და მალე მან ახალგაზრდა სცენისმოყვარეთა წრის ჩამოყალიბებაც მოახერხა.

დასადგმელად ავირჩიეთ პაოლო მრეთელის პიესა „ქრისტინე“, ეგნატე ნინოშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით.

პიესის დადგმისათვის საჭირო საორგანიზაციო საქმეების მოგვარება, რეჟისორობა და საერთო ხელმძღვანელობა თვითონ კალენიკე ჟღენტმა იკისრა. როლებიც მანვე გაანაწილა და თავისთვის სპირიდონ მცირიშვილის როლი აირჩია. ტარიელ მკლავაძის როლი მე მომცა, ხოლო რაკი ქრისტინეს როლის შემსრულებლად ლანჩხუთში არავინ აღმოჩნდა, კალენიკემ მის კარგ ნაცნობს, ქუთაისის დრამატული თეატრის ცნობილ მსახიობს მარიამ მდივანს მისწერა. მან თანხმობა შემოუთვალა და წარმოდგენის დღეს ჩამოვიდა კიდეც ლანჩხუთში.

წარმოდგენა მოეწყო რკინიგზის სადგურთან მდებარე ერთ დიდ შენობაში, რომლის სიგრძე ოცი, ხოლო სიგანე ათი მეტრი მაინც იქნებოდა. იგი რაღაც იღბლად თავისუფალი აღმოჩნდა და მარჯვედაც მოერგო ჩვენს წარმოდგენას.

დადგმამ ჩინებულად ჩაიარა და ლანჩხუთის საზოგადოება მეტად ნასიამოვნები დარჩა, მით უფრო, რომ იგი ადგილობრივი ძალებით იქნა ჩატარებული, რაც იმხანად ლანჩხუთში მეტად იშვიათი რამ გახლდათ.

აუარებელი ხალხი სულგანაბული უსმენდა პიესას და აღტაცებით ეგებებოდა თითოეულ მსახიობს.

ყოველმხრივ კარგი იყო ლანჩხუთი, განსაკუთრებით კი - იქაური ხალხით. ყოველ მათგანში ეგნატე ნინოშვილის რომელიმე პერსონაჟს ვხედავდი.

სიზმარივით გაქრა იმ შესანიშნავ კუთხეში გატარებული დღეები და უაღრესად სანატრელ მოგონებებად ჩამრჩა მეხსიერებაში.

რაკი სცენაზე და სცენისმოყვარეობაზე გიყვებით, ბარემ ჩემს, მოსკოვურ ”თეატრალურ მოღვაწეობასაც” გავიხსენებ. წარმოიდგინეთ, მონაწილეობა მიმიღია მოსკოვის კონსერვატორიაში კომპოზიტორ ბალამბერგის მიერ დადგმულ საოპერო სპექტაკლში „დემონი“, ნეზლობინის თეატრში რეჟისორ კოტე მარჯანიშვილის მიერ დადგმულ ლეონიდ ანდრეევის პიესაში „შავი ნიღბები“ და ბოლოს - გინდ დაიჯერეთ, გინდ არა - ბედად ”დიდი თეატრის”, ან როგორც მას უწოდებენ, „მსოფლიო კულტურის სიამაყის“ – „ხელოვნების აკადემიის“ სცენაზე გამოსვლაც კი მხვდა წილად.

დიახ, მქონდა ეს ბედნიერება და თუმცა დიდ როლებს არ ვასრულებდი, სამაგიეროდ, სცენაზე დიდ მსახიობებთან – შალიაპინთან, სობინოვთან, ნეჟდანოვასთან და სხვებთან ერთად ვმდგარვარ. ეს კი დიდი პატივი და

ღირსებაა. დღესაც საამაყოდ მაქვს ჩემი სტუდენტობისდროინდელი ეს ულამაზესი ხანა – დიდ თეატრში მუშაობის ორი წელი.

იქ როგორ მოვხვდი?

მაშინ თეატრი სტატისტებზე კონკურსს აცხადებდა ხოლმე, რომლებიც მასიური სცენებისათვის სჭირდებოდა. კონკურსს უმეტესად, სტუდენტობა ეძალებოდა, რადგან ეს მათ დიდ დროს არ ართმევდა და თანაც სცენაზე სახელგანთქმულ მსახიობებთან ერთად გამოდიოდნენ. ამასთან, ძალიან ხშირად ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან გასტროლიორებიც ჩამოდიოდნენ და აბა ამას რა ჯობდა?

ასეთ სპექტაკლებზე მოსახვედრად ხალხი ბილეთების საშოვრად რიგში ღამეებს ათევდა, ჩვენ კი სტატისტის წიგნაკით თეატრში თავისუფლად შევდიოდით, ოღონდ მარტო სცენაზე და არა მაყურებელთა დარბაზში.

გარდა ამისა, ამ სტატისტობისას საშუალება გვეძლეოდა ახლოს გავცნობოდით მსახიობთა საზოგადოებას და იქ მომუშავე სხვა პირებს. თან, სხვა სიკეთესთან ერთად, ჰონორარსაც ვიღებდით. რეპეტიციაზე დასწრებისათვის 50 კაპიკს, ხოლო სპექტაკლში მონაწილეობისთვის ერთ მანეთს გვაძლევდნენ. ისე რომ, ჯამში, თვე არ გავიდოდა, 20 25 მანეთი არ მიგვეღო.

სტატისტად ჩარიცხვა დიდ თეატრში არც ისე ადვილი იყო. სპეციალური ჟიური საათობით არჩევდა ამ საქმისათვის გამოსადეგ მოზღვავებულ ახალგაზრდობას. ყურადღება ექცეოდა უმთავრესად ტანადობას, წარმოსადეგობას, სიარულის და, საზოგადოდ, მოძრაობის კულტურას.

ქართველი სტუდენტებიდან დიდ თეატრში თითქმის ათამდე კაცი ვიყავით და მათ შორის მე და გრიშაც. ეს კი დიდად სახალისო იყო ჩვენთვის და საამაყოც, ვინაიდან, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, სცენაზე გამოსვლა დიდ მსახიობებთან ერთად გვიხდებოდა და ხშირად ვიყავით მათ საზოგადოებაში.

1913 წლიდან დიდ თეატრს კიდევ შემოემატა სტატისტთა ახალი ნაკადი და, მათ შორის, იმ წელს მოსკოვის უნივერსიტეტში ჩარიცხული ჩვენი ორი ძმა – ვალერიანი და ალექსანდრე. მართალია, მამაჩემი ოთხივე ძმას ყოველთვიურად გვიგზავნიდა საკმაო თანხას, მაგრამ თეატრში მუშაობით კიდევ უფრო ვიადვილებდით ცხოვრებას, ამასთან დროც ცოტა გვეხარჯებოდა.

თითქმის ყოველდღიური ურთიერთობის წყალობით ახლოს გავეცანით, გავუშინაურდით და დავუმეგობრდით დიდი თეატრის მსახიობებსა და თანამშრომლებს.

ეს განსაკუთრებით ჩემს ძმა ვალერიანზე ითქმის. ვალერიანი სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი იყო და ხშირად, საჭიროებისამებრ, სამედიცინო დახმარებას უწევდა ყველას, რის გამოც თეატრში საკმაოდ პოპულარული „ექიმი“ გახდა; ამას ისიც დაერთო, რომ ვალერიანი მეტად ენამახვილი იყო, თბილისური ანეკდოტებით ართობდა მსახიობებს, მათ შორის, ყოფილ “თბილისელს” თეოდორ შალიაპინს, რომელიც კარგად იცნობდა თბილისს და თბილისელებს. ამიტომაც შალიაპინი ძალიან დაუმეგობრდა ვალერიანს, მით უფრო, როცა ოპერა „პსკოვიტიანკა“ მიდიოდა. აქ ცხენზე მჯდომი ვალერიან „ბოიარინი“ მოუშორებლად თან ახლდა ასევე ცხენზე ამხედრებულ ივანე მრისხანეს პარტიის შემსრულებელ შალიაპინს. ცხენოსნებიდან, რომელნიც მას ახლდნენ სცენაზე, ვალერიანი ყველაზე უფრო ეიმედებოდა და გვერდიდან არ იშორებდა. შალიაპინმა ვალერიანს თავისი ფოტოპორტრეტიც უსახსოვრა თბილი

წარწერით: “Валериану Малакиевичу Джапаридзе на доброе воспоминание о сцене Большого Театра Москы. Ф. Шаляпин. 28. 12. 1914 г.“

ეს პორტრეტი ახლაც ამშვენებს ვალერიანის საოჯახო ფოტოგალერეას და დღემდე თვალის ჩინივით ინახავენ.

ორი წელიწადი დავყავი დიდი თეატრის სცენაზე და თუმცა იქ მხოლოდ მდუმარე სტატისტად „ვმუშაობდი,“ მაინც იქ გატარებულ დროს დიდი სიამოვნებითა და კმაყოფილებით ვიხსენებ თუნდაც იმიტომ, რომ თავს სავსებით შინაურულად ვგრძნობდი ამ დიდი ხელოვნების წმინდა ტაძარში.

ზემოთ მოსკოვის კონსერვატორია და ნეზლობინის თეატრიც ვახსენე. ამ სცენებზე ქართველმა სტუდენტებმა მხოლოდ თითო სპექტაკლში მივიღეთ მონაწილეობა და ორივე მათგანი ტკბილ მოგონებებს მიღვივებს.

კონსერვატორიაში დაიდგა კომპოზიტორ ბალამბერგის ოპერა „დემონი“, რომლის შინაარსიც იგივეა, რაც ლერმონტოვის ცნობილი პოემისა, მუსიკა კი დიდად განსხვავდება რუბინშტეინის ოპერის „დემონის“ მუსიკისაგან, რომელსაც კარგა ხანია შეჩვეულია ჩვენი მსმენელი.

ქართველი სტუდენტები ქორეოგრაფიულ ნაწილში ვიღებდით მონაწილეობას. რეპეტიციებზე ჩვენ კონსერვატორიის სტუდენტ ქალებთან ერთად გვავარჯიშებდნენ და იქ სრულიად შემთხვევით „აღმოვაჩინეთ“ ერთი მეტად სანდომიანი და ლამაზი ქართველი ქალიშვილი, გვარად აბულაძე, გარუსებული შვილი იმ ოჯახისა, რომელმაც ერთი სიტყვაც კი არ იცოდა ქართული. ამ ამბავმა გული მატკინა და ახლაც მტკივნეულად განვიცდი, როცა წარმოვიდგენ, თუ რამდენი ქართველი ახალგაზრდაა მოწყვეტილი თავის მშობლიურ ქვეყანას და ალბათ აღარც კი აინტერესებს მისი წინაპრების ენა, კულტურა და ისტორია.

ნეზლობინის თეატრში კოტე მარჯანიშვილმა მიგვიწვია, სადაც იგი რეჟისორობდა. იმხანად ლეონიდ ანდრეევის პიესა „შავი ნიღბები“ დადგა. უსიტყვო როლებისათვის თითქმის თხუთმეტამდე სტუდენტმა კარგა ხანს ვიარეთ რეპეტიციებზე.

ეს რეპეტიციები არასოდეს დამავიწყდება. სპეცხალათში გამოწყობილი კოტე ქურუმივით იდგა და არაფერი ახსოვდა, თავისი საქმის გარდა.

1914 წელს ფოთში დავიწყე მუშაობა. ეს მოხდა დიდი ქართველი პუბლიცისტის ნიკო ნიკოლაძის წარდგინებით. ნიკო იმ დროს ქალაქის თავი გახლდათ. მე ამირჩიეს ადგილობრივი საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ და სულ მალე მშვენივრად შევეგუე იქაურობას. გავიცანი ხალხი და ისინიც გამეცვნენ. იქ, ჩემს ძირითად მოვალეობასთან ერთად, თანდათან დავიტვირთე სხვა საზოგადოებრივი საქმეებითაც.

ვმუშაობდი და, ამასთან, ვხელმძღვანელობდი დრამატულ საზოგადოებას. მახსოვს, რა გაწვალებული ვიყავი უბინაობის გამო; ერთი უბრალო ფარდულიც არ გაგვაჩნდა, დროდადრო რეპეტიციები მაინც რომ ჩაგვეტარებინა. ამიტომ ხშირად ვაწუხებდით ხოლმე კინოთეატრ „კომეტას“ მეპატრონეს ბატონ ნიკოლაიშვილს დარბაზის სათხოვნელად.

„კომეტა“ იმ დროს ერთადერთი დიდი დარბაზი იყო ფოთში. ახალი აშენებული გახლდათ და ხალხიც ძალზე ეტანებოდა კინოსეანსებს, როგორც ერთადერთ გასართობს. ადგილიც იშვიათი აერჩია მის პატრონს – ქალაქის ცენტრალური ადგილი. წარმოდგენების დასადგმელად უკეთესს ვერაფერს ვნახავდით და, ცხადია, ხშირად ვაწუხებდით მას ხან სპექტაკლის

დასადგმელად, ხან ლიტერატურული საღამოს ან რომელიმე გამოჩენილი პირის ლექციის ჩასატარებლად.

ერთხელ შალვა ნუცუბიძე მოვიწვიეთ ქუთაისიდან, ხოლო თბილისიდან იოსებ გრიშაშვილი გვეწვია. ამ საღამოებს დიდძალი ხალხი დაესწრო. მახსოვს, ავქსენტი მეგრელიძის წინადადებით, სუფსაშიაც წარმოვადგინეთ ჩვენი სპექტაკლი. წარმოდგენაში ავქსენტისთან ერთად მისი მეუღლე – „მიმქრალის“ ფსევდონიმით ცნობილი პოეტი ქალი ლიდია მეგრელიძეც მონაწილეობდა. ავქსენტი იმ დროს ფოთში მსახურობდა. პიესა რაღაც საქველმოქმედო მიზნით დავდგით.

რასაკვირველია, გვიჭირდა სათანადო შენობის უქონლობა და ახლაც მიკვირს, როგორ ახერხებდა იმოდენა ქალაქი უთეატროდ ცხოვრებას. ალბათ, ამ მხრივ დიდ მიზნებს ისახავდა ფოთის იმდროინდელი მესვეური და მოამაგე ნიკო ნიკოლაძე, მაგრამ შესაფერის დროს ელოდა.

ბევრი ტკბილი მოგონება შემომრჩა იმ დროიდან, განსაკუთრებით კი ვალერიან გუნიას იუბილეზე ჩემი და იოსებ გრიშაშვილის გამოსვლა თბილისში 1917 წელს.

ჩემი ახალგაზრდობის ის დაუვიწყარი შთაბეჭდილებანი ახლაც გუშინდელ დღესავით მახსოვს. ამას მთლიანად ფოთის დრამატულ საზოგადოებასა და ფოთელებს ვუმადლი.

სცენა!...

ამბობენ, ვინც ერთხელ სცენას ეზიარება, მას ველარ დაივიწყებსო.

ონის პატარა სცენიდან დიდი თეატრის დიდ სცენამდე!

აი, მანძილი!...

მანძილი, მართლაც, უდიდესია!... ოი, რა აუწონელი ბედნიერება მეწვია ახალგაზრდობაში!

დიდ თეატრში ერთ შეხედვასაც კი ბედნიერებად თვლის ზოგიერთი, მე კი იქ შინაურივით ვიყავი კარგა ხანს.

უკანასკნელად მომაჯადოებელი შთაბეჭდილება თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენიდან დამრჩა, როდესაც 1968 წლის 19 იანვარს ჩემი ძმის უჩას 60 წლისთავის საიუბილეო საღამოზე სიტყვით მომიხდა გამოსვლა მეორე ძმასთან - დავითთან ერთად.

„თეატრის მიზანია მაყურებელს მიანიჭოს სიხარული, შეჰმატოს მხნეობა“, - ამბობდა დიდი კოტე მარჯანიშვილი.

მე ამას მუდამ ვცდილობდი და მგონი ვაკეთებდი კიდეც.

მაქსიმ გორკი ქალაქ ონში

1903 წლის ზაფხული იდგა.

ჩვენი ოჯახი არდადეგებზე მშობლიურ სახლში, ზემო რაჭის სოფელ ღარში ისვენებდა. სოფელი ღარი მაშინდელი მაზრის ადმინისტრაციულ ცენტრს - ონს - 3 კილომეტრით იყო დაშორებული.

ონი პატარა, უმნიშვნელო, მაგრამ თავისი მდებარეობის წყალობით საკმაოდ ცნობილი დაბა იყო.

დღეს ონი ქალაქია, რაიონული ცენტრი.

მამაჩემი, მალაქია ჯაფარიძე, იმხანად მასწავლებლად ქუთაისში მუშაობდა და შვილებსაც იქაურ გიმნაზიაში გვასწავლიდა, მაგრამ მტკიცე ჩვეულება ჰქონდა, ზაფხულის არდადეგების დაწყებისთანავე მთელი ოჯახით რაჭაში წასულიყო, სადაც მას მოუთმენლად ელოდნენ მშობლები და ახლობლები, მამაპაპეული სოფლური სახლი. ჩვენ კი, ბავშვებს, საყვარელი ბებია და ბაბუას გარდა, ხეხილით სავსე დიდი მწვანე ეზო, ტყე, მინდორი, ველი და, რაც მთავარია, შესანიშნავი საბანაო ცივი და ანკარა მდინარე ღარულა გვიზიდავდა. მდინარე კვაჟის მთიდან მოედინება და ჩვენი სოფლის ბოლოს რიონს ერთვის. ამიტომ სოფელი თავისი ყოველდღიური და მოუსვენარი ცხოვრებით მიმზიდველი და სანატრელი იყო. ონში იშვიათად თუ ჩავდიოდით; ყიდვა არაფრისა გვჭირდებოდა. ზოგჯერ ჟურნალ გაზეთებისათვის მივაკითხავდით ფოსტას, მხოლოდ კვირაში ორჯერ რომ ამოდიოდა ქუთაისიდან.

ერთხელ, საღამო ჟამს, როცა მამაჩემი ყანიდან დაბრუნდა, დანანებით გვითხრა:

- აი რამდენი დღეა თქვენ ონში არ ჩასულხართ და თურმე როგორი დიდი ამბავი გამოგვპარვია: მაქსიმ გორკი ყოფილა იქ ქუთაისიდან კავკავში მიმავალიო.

ამ სრულიად მოულოდნელი ამბით პირდაპირ გაოცებულნი დავრჩით.

ოჯახში იმხანად ხუთი ძმა ვიყავით; მეექვსე ძმა უჩა მხოლოდ სამი წლის შემდეგ, 1906 ში შემოგვემატა.

- გორკი უდავოდ დიდი მწერალია, - გადავულაპარაკეთ ერთმანეთს, - მისი წიგნები ხომ მამაჩვენის კარადაშიც აწყვია... რამდენი რამ გვასწავლეს ამ წიგნებმა! მარტო ქართველი კაცის - ერთი საწყალი შაქრო ფათაძის ამბავი რად ღირს, რომლის სახელიც ჩვენ მწერლის მოთხრობიდან – „ჩემი თანამგზავრი“ – ამოვიკითხეთ.

თავისუფლებისა და სინათლისაკენ გორკის მოწოდებები მუდამ გვხიბლავდა მე და ჩემს ძმას.

ჩვენ მაშინ მეხუთე თუ მეექვსე კლასის გიმნაზიელები ვიყავით და საკმაოდ კარგად ვერკვეოდით მწერლობის საკითხებში; განსაკუთრებით კარგად ვიცნობდით რუს კლასიკოსებს. გორკი, მართალია, ახალი შემოსული იყო ლიტერატურაში, მაგრამ მაინც გვიზიდავდა. მისი მოთხრობები აზრსა და განწყობილებას გვიფორიაქებდა.

ამიტომაც გადავწყვიტეთ, როგორმე შევხვედროდით მაქსიმ გორკის.

მეორე დღეს დილით, გამთენიის ხანს მე და ჩემი ძმა ხალისით გავუყევით ჩვეულებრივ საურმე გზას. უფრო სწორად, გზა შევამოკლეთ და ბილიკითა თუ უბილიკოდ, ხეტიალის შემდეგ, ონში ამოვყავით თავი. თან წავიღეთ მამის მიერ საგანგებოდ ჩვენთვის ნაყიდი ფოტოკამერა - „კოდაკი“, რომელიც იმ დროს იშვიათობას წარმოადგენდა. ცხადია, ეს კამერა დღევანდელთან შედარებით დიდი ვერაფერი ბედენა იყო, მაგრამ მისი საშუალებით ბევრი პორტრეტი და სოფლის ხედი გადავიღეთ. ახლაც ამ ფოტოაპარატით საყვარელი მწერლის პორტრეტის გადაღება გვქონდა გადაწყვეტილი.

ონში იმ დროს, მსგავსად არაერთი სხვა პატარა ქალაქისა თუ სოფლისა, ერთგვარი „სანახშო“ იყო.

ჩვენც აქ გავიგეთ, რომ ,,გორკი თავისი მეგობრებით ეს ესაა „ლინეიკით“ გავიდა უწერის გზითაო”.

რა უნდა გვექნა? ნუთუ შინ ისე უნდა დავბრუნებულიყავით, შორიდან მაინც არ გვეხილა საყვარელი მწერალი? სანახშოზე თავშეყრილებმა გვირჩიეს, დრო არ დაგვეკარგა, „ლინეიკას“ გამოვდგომოდით და ხიდის გაღმა აღმართით გზა გადაგვეჭრა. ასეც მოვიქეცით. მაგრამ, მიუხედავად ჩვენი გულამოვარდნამდე სირბილისა, მაინც ვერ მოვახერხეთ დავწეოდით მგზავრებს და როცა ძნელი აღმართი ავიარეთ და ფოსტის გზაზე ავედით, „ლინეიკა“ უკვე გრიალ გრიალით მიუყვებოდა მამისონისაკენ მიმავალ შარას. შიგ რამდენიმე მგზავრი იჯდა, რომელთა შორისაც ნათლად გამოირჩეოდა გორკის მაღალი ფიგურა ნაბდის თეთრი ფართოფარფლიანი ქუდით, როგორიც ახურავთ ხოლმე ზაფხულობით ტურისტებს. მან მოიხედა ჩვენკენ და დიდხანს მოგვჩერებოდა დაკვირვებით, სანამ ეტლი მოსახვევს არ მიეფარა.

ჩვენ ადვილად შეგვეძლო გაგვეჩერებინა „ლინეიკა“, თუკი ხელს დავუქნევდით და გავძახებდით, მაგრამ ეს კადნიერებად მივიჩნიეთ.

დავრჩით გაწბილებულნი.

შორს, ქვემოდან, თითქო ნუგეშის ნიშნად, ათას ხმაზე შემოგვშხუოდა გიჟმაჟი რიონი.

რა შთამბეჭდავი იყო იმ დროს ჩვენ ირგვლივ გაშლილი სივრცე, რომელსაც კავკასიონის მარად თოვლიანი ქედი აგვირგვინებდა. რა კარგი იქნებოდა, ცოტა ადრე რომ მოვსულიყავით და ამ ლამაზი პეიზაჟის ფონზე იშვიათი სტუმრისა და მისი მეგობრებისთვის სამახსოვრო სურათი გადაგვეღო ჩვენი ფოტოაპარატით.

უკან იმედგაცრუებულნი დავბრუნდით.

ონში მეგობრებისა და ნაცნობების გამოკითხვის შემდეგ დაწვრილებით გავიგეთ გორკის იქ ყოფნის ამბავი.

ალექსი მაქსიმეს ძე ონში ქუთაისიდან თავის მეგობარ კონსტანტინე პეტრეს ძე პიატნიცკისთან ერთად ჩამოვიდა, რომელიც პეტერბურგის ერთ ერთი გამომცემლობის „ზნანიეს“ ხელმძღვანელი იყო. აქეთ იმ განზრახვით გამოუვლია, რომ ოსური „ლინეიკა“ ეშოვნა და გზა კავკავამდე განეგრძო. ინტერესი ჰქონია ოსეთის სამხედრო გზას გასცნობოდა და ამით თავისი დიდი ხნის სურვილი აესრულებინა.

მწერლის “ჩვენი გზით” წამოსვლა გასაგები გახდა, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ერთადერთი საშუალება, რომლითაც მამისონის უღელტეხილით კავკავში გადასვლა შეიძლებოდა იმ დროს, „ლინეიკა“ იყო. მისი შოვნა კი მხოლოდ ონში შეიძლებოდა, რადგან ტვირთი ჩრდილო კავკასიიდან მხოლოდ ონამდე გადმოჰქონდათ.

ამრიგად, ჩრდილო ოსეთიდან გადმოსული „ლინეიკის“ ბოლო გაჩერების ადგილი ონი იყო. მგზავრებმაც იცოდნენ ეს და ამიტომ „გადაღმა“ წასვლის მსურველები ონში მოდიოდნენ. დიდი მწერალიც, ეჭვი არაა, ხსენებული მიზნით აღმოჩნდა ჩვენს ქალაქში.

მართლაც, ამ პატარა „ლინეიკებს“ მარჯვედ შეეძლოთ დაეძლიათ იქაური ვიწრო გზები. ასეთი რამ კი ამ მარშრუტზე ხშირი იყო. სხვათა შორის, მგზავრებს ხშირად უხდებოდათ ჩამოქვეითება, რომ ცხენებისათვის სიმძიმე შეემსუბუქებინათ და თვითონაც ხიფათს არ გადაჰყროდნენ.

მე, პირადად, ჩემს ტყუპ ძმასთან, გრიგოლთან, ერთად, ხშირად მივლია ამ გზით. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, რუსეთისაკენ სწორედ ამ გზით და ასეთი „ლინეიკით“ გავემგზავრე. პირველად მოგვიხდა მგზავრობა ონიდან კავკავამდე. პირდაპირ გაოცებული ვიყავი არა მარტო გზის ზღაპრული

სილამაზით, არამედ ამ პატარა ეტლის გამძლეობითა და იმ სრულიად მოუწყობელ გზაზე ცხენების სიმარჯვითაც. გზას კი, დიდის ამბით, „ოსეთის სამხედრო გზა“ ერქვა. გზა იმ პირობებშიც თუ მაინც ინარჩუნებდა თავის ფუნქციას და დასავლეთ საქართველოსა და ოსეთს შუა მიმოსვლა არ წყდებოდა, მე ვფიქრობ, პირველ ყოვლისა, ამას ოსი „მელინეიკეების“ უნარს უნდა ვუმადლოდეთ, მათი პატარა ეტლებისა და კუნთმაგარი ცხენების იშვიათ გამძლეობას.

მაშასადამე, გორკის განზრახვა ჰქონია ონს სტუმრებოდა, რომ კავკავში სამგზავრო „ლინეიკა“ ეშოვნა, თანაც, ისიც ჰქონია გაგონილი, რომ იქ (ონში) ღამის გასათევს ვერსად იშოვიდა, თუ არა სადმე ოჯახში. ამაში მას დახმარება გაუწია მისმა კეთილმა მეგობარმა, იმხანად ქუთაისში მყოფმა, შემდგომში ბაქოს 26 კომისართაგან ერთერთმა - ალიოშა ჯაფარიძემ. მას თავისი ონელი ნათესავისათვის, შემდგომში ცნობილი ოტოლარინგოლოგის დავით ჯაფარიძისათვის მიეწერა, რომელმაც მწერალი დიდი სიხარულით მიიღო ოჯახში და ონის ახალგაზრდობაც გააცნო.

მაქსიმ გორკის ონში დიდი პატივისცემით შეხვდნენ და ბოლოს ვერცხლით მოჭედილი ჯიხვის ყანწებიც აჩუქეს.

ონში მაქსიმ გორკიმ ორ დღეს დაჰყო. მასპინძლებმა მთელი ეს დრო ერთ დიდ, დაუმთავრებელ ზეიმად უქციეს ძვირფას სტუმარს. ამას დღესაც იგონებს ჩემი მეგობარი პროკოფი ერისთავი, რომელიც უშუალო მონაწილე იყო აღნიშნული ამბისა.

ამ შეხვედრადღესასწაულის ნამდვილი სულისჩამდგმელი იყო მაშინ სულ ახალგაზრდა პარმენ გამყრელიძე – შემდგომში თვალსაჩინო იურისტი და საზოგადო მოღვაწე, ჭიათურის საექსპორტო მარგანეცის საზოგადოების („ჩემოს“) საქმეთა მმართველი.

ლიტერატურის დიდმა მოყვარულმა პარმენ გამყრელიძემ საამაყო სტუმარს არა მარტო ონში გაუწია მასპინძლობა, არამედ ოსეთის საზღვრამდე – მამისონის უღელტეხილამდეც – გააცილა იგი და მეტად კარგი შთაბეჭდილებაც დატოვა სტუმარზე. ეს ნათლად ჩანს დიდი მწერლის მიერ მისთვის ნიჟნი ნოვგოროდიდან გამოგზავნილ თხზულებათა ექვსტომეულის პირველი ტომის სატიტულო ფურცელზე შესრულებული წარწერიდან: „На память Пармену Давидовичу Гамкрелидзе. Глубоко благодарный за гостеприимство и любезность, М Горький, Н. Новгород. 5-го августа 1903 года.“

მაქსიმ გორკის ეს წიგნები დღესაც ინახება პარმენ გამყრელიძის ოჯახში, როგორც ძვირფასი საოჯახო რელიქვია და ახლანდელ მის მფლობელს სიმონ პარმენის-ძეს, თბილისის უნივერსიტეტის დოცენტს, განზრახული აქვს ის თბილისში ახლად გახსნილ გორკის მუზეუმს შესწიროს.

გორკის წიგნებთან ერთად პ.გამყრელიძისათვის თავისი ფოტოპორტრეტიც გამოუგზავნია, ისიც საკუთარი წარწერით. ეს პორტრეტიც დაამშვენებს გორკის სახელობის თბილისის მუზეუმის ექსპონატებს.

გავიდა რამდენიმე წელი. მე და გრიგოლი უკვე მოსკოვის უნივერსიტეტში ვსწავლობდით. გორკიც ალბათ იქვე სადღაც ახლოს ცხოვრობდა და ამიტომ ქუჩაში ხშირად შეგვიმჩნევია ფეხით მოსიარულე.

და აი, ერთხელ სახელოვანი მწერალი „თავისუფალ თეატრში“, ანუ როგორც მას ხშირად უწოდებდნენ მოსკოველები, „მარჯანოვთან“ (რადგან თეატრის ხელმძღვანელი ცნობილი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი იყო)

შევნიშნეთ: ის პირველი რიგის რბილ და ღრმა სავარძელში იჯდა საპატიო სტუმრებთან ერთად და დიდი ყურადღებით მისჩერებოდა სცენას.

ჩვენ ვისარგებლეთ ანტრაქტით და ალექსი მაქსიმეს ძესთან მივედით. გამოვეცნაურეთ. ესიამოვნა, რადგან ქართველებისაგან და საქართველოდან ბევრი რამ ახსოვდა სასიამოვნო, მოვაგონეთ 1903 წელი და მისი ონში ყოფნა. ვუამბეთ აგრეთვე, თუ რა ამაო გამოდგა მაშინ ჩვენი თავგამოდება და მარათონი, რადგან ბავშვებს არ გვეყო გამბედაობა, გაგვეჩერებინა მისი ეტლი. დიდმა მწერალმა ბევრი იცინა, მაგრამ თან სინანულიც გამოთქვა, რომ ვერ გადავიღეთ ის ქალაქ ონისა და კავკასიის მთების ფონზე.

- თქვენ რომ მაშინ გამბედაობა გყოფნოდათ, მეგობრებო, - გვითხრა გორკიმ გამოთხოვებისას და თან ქერა ულვაშებში საამოდ ჩაიღიმა, - დღეს ერთი ლამაზი საბუთიც გვექნებოდა ხელთ ოდესღაც კავკასიის მთებში ოსეთის სამხედრო გზაზე შეხვედრის მოსაგონებლად.

ჩვენი საყვარელი ფოტოაპარატი „კოდაკი“ დღესაც სათუთად ინახება ჩვენს ოჯახში, როგორც იმ ლამაზი, მაგრამ უიღბლო ეპიზოდის უტყვი მოწმე.

აკაკისთან ერთად რაჭა ლეჩხუმში

ჩვენი საყვარელი მგოსანი აკაკი წერეთელი პირველად ქუთაისში ვნახე, როცა ის 60 წლის ვაჟკაცი იყო, მე კი, გიმნაზიის მოწაფეს, მისი ხილვა ოცნებად მქონდა გადაქცეული. და მაინც, ბოლოს და ბოლოს, 1912 წელს, აკაკის რაჭა ლეჩხუმში მოგზაურობის დროს, მასთან პირისპირ შეხვედრის ბედნიერებაც მეღირსა. მაშინ მგოსანი უკვე ჭარმაგი მოხუცი ბრძანდებოდა.

როგორც იმ ისტორიული მოგზაურობის მონაწილემ, მინდა ზოგი რამ გავიხსენო პირადად აკაკისა და იმ საზეიმო შეხვედრების შესახებაც, მგოსანს რომ რაჭა ლეჩხუმში მოუწყვეს და ჭეშმარიტად სახალხო დღესასწაულის ხასიათი მიიღო. ეს, საერთოდ, ცნობილი ამბავი გახლავთ, მაგრამ მე ჩემი თვალით ნანახ ამბებზე გიამბობთ თქვენ, ვისაც დიდი აკაკი თვალით არასოდეს გინახავთ.

დავიწყებ იმით, თუ რა გაფაციცებით ვემზადებოდით დიდი თუ პატარა, ახალ ჩოხებს ვიკერავდით. ჩემს პატარა ძმას უჩასაც კი, რომელიც მაშინ მხოლოდ ხუთი წლისა იყო, დედამ სირმით მოვლებული მშვენიერი ქულაჯა შეუკერა...

სტუმარს ონიდან 12 კილომეტრის დაშორებით, სორის ჭალებში დავხვდით. სამასი ცხენოსანი ვეგებებოდით საპატიო სტუმარსა და მის თანმხლებთ. პირველი ეტლი, რომელშიაც აკაკის დიდებულ სახეს მოვკარით თვალი, სხვა ეტლებისაგან განსხვავებით, ცოცხალი ყვავილებით იყო მორთული.

ვიხილეთ თუ არა მგოსანი, მაშინვე ხმამაღალი ვაშა შევძახეთ და ამ გუნდურ ძახილს ტაშის გრიალიც დავურთეთ თან.

მან აღფრთოვანებული სალმითა და ქუდის მოხდით უპასუხა ჩვენს საზეიმო შეძახილს და როცა შენიშნა, რომ სიტყვით მიმართავდნენ, ფეხზე წამოდგომა სცადა, მაგრამ დაღლილი ჩანდა და, ხალხის თხოვნით, ისევ ეტლის სავარძელში დაბრძანდა. სიტყვაც ქუდმოხდილმა და ეტლში მჯდარმა მოისმინა; იარაღში ჩამსხდარ ცხენოსნებს გვადევნებდა თვალს. ჩანდა, რომ ღელავდა, რადგან თვალებთან წამდაუწუმ მიჰქონდა ცხვირსახოცი და ცრემლს იმშრალებდა.

ამის შემდეგ მგოსნისა და მის თანამგზავრთა ეტლების უკან დავეწყვეთ და სიმღერის გუგუნით ავათქარუნეთ ცხენები...

იშვიათი სანახავი გახლდათ ონის მისადგომთან აღმართული ტრიუმფალური თაღი, რომელიც ყვავილებითა და ლოზუნგებით იყო შემკული. ამ თაღთან აუარებელ ხალხს მოეყარა თავი. ქალაქის წარმომადგენელმა ისევ მორიგი მისასალმებელი სიტყვით მიმართა მგოსანს.

და, აი, ამ დროს ხალხის წიაღიდან, როგორც წყლის ჭავლიდან თეთრი გედები, ამოიმართა თეთრით შემოსილი და თაიგულებით ხელდამშვენებული სამი ულამაზესი გოგონა; ისინი მსუბუქად გამოეყვნენ ხალხის ტალღას და, როგორც მგოსნის მუზები, ფერიებივით მიეგებნენ მას, მერე კი ეტლში ჩაუსხდნენ ძვირფას სტუმარს.

ამ "მუზებთან" დაკავშირებით მინდა მცირედით გადავუხვიო მთავარ სათქმელს და თქვენი ყურადღება მათზე გადავიტანო.

აკაკის სამი პოეტური მუზა, სამი ულამაზესი ქალიშვილი ონის მოწინავე საზოგადოებიდან, ერთად სწავლობდა ქუთაისის წმინდა ნინოს ქალთა გიმნაზიაში, რომელიც მათ ერთად დაამთავრეს 1912 წლის ზაფხულში...

ლენა გიორგობიანი იყო ულამაზესი ულამაზესთა შორის; სათნო და მორიდებული უფროსების მიმართ, ხოლო ამხანაგების წრეში – ხალისიანი და სიცოცხლით სავსე, გულღია და გულმხურვალე. მას ჯერ კიდევ სასწავლებელში ეძახდნენ „ღვთაებას“ და ეს ეპითეტი არა მარტო სილამაზის, იშვიათი გარეგნობისა და მაღალი ადამიანური თვისებებისათვის, არამედ ქალური სინატიფისა და მომხიბვლელობისათვის, კეთილი ქცევისა და ყველასადმი სიყვარულით სავსე და სუფთა გულისათვის შეერქმიათ მისთვის.

ლენა ქუთაისში ცნობილი ექიმის დიმიტრი ნაზარიშვილის ქალიშვილ ისიასთან ერთად იზრდებოდა. ისიაც მთელ ქუთაისში ასევე სათნო და მომხიბვლელი გოგონა გახლდათ და ორთავე იქაურ მოწინავე საზოგადოებაში ტრიალებდა. პოეტები აღმერთებდნენ მათ. 1912 1913 წლებში ქუთაისის იმდროინდელ გაზეთებში ლენასადმი მიძღვნილი არაერთი ლექსია დაბეჭდილი; თუნდაც ლექსი „ფიორდების ასულს“, რომელიც „ოქროს ვერძის“ 1913 წლის მე 5 ნომერშია გამოქვეყნებული. აღარაფერს ვიტყვი გამოუქვეყნებელ წერილებზე და პაოლო იაშვილის ლექსზე - „მეორეს“, ისია ნაზარიშვილს რომ ეძღვნება. ასეთი სათაური პაოლოს ლექსს იმიტომ ჰქონდა, რომ მისი წარმოდგენით „პირველი“ ლენა გიორგობიანი იყო.

მაგრამ ლენა ძალზე მოკრძალებული და კდემამოსილი გახლდათ და ამდენ ქებას ყურადღებას არ აქცევდა, თითქოს არც გაეგონოს და არც არაფერი სმენოდეს. ამიტომ იყო, რომ მას არც ერთი გაზეთი არ შეუნახავს, რომლებშიაც მისდამი მიძღვნილი ლექსებია დაბეჭდილი.

იმ დროს ჯერ კიდევ ახალგაზრდა პოეტმა ლელი ჯაფარიძემ მოიწადინა ყველა ამ ლექსთა შეკრება და ერთ წიგნად გამოქვეყნება, რათა იგი საჩუქრად მიერთმია ადრესატისათვის, მაგრამ ლენამ შორს დაიჭირა და ყურიც არ ათხოვა ლელის სურვილს...

ლენა ცეკვისთვის იყო დაბადებული. მართლაც იშვიათი მომხიბვლელობით ასრულებდა როგორც ევროპულ, ისე ქართულ ცეკვებს, პრიზიც კი მიიღო „ნაურულის“ ცეკვისათვის 1913 წელს ქუთაისის კლუბში. „Кутаисский листок“-მაც აღნიშნა: „В конце бала исполнена наурская лезгинка Леной Гиогобиани“.

რაჭა ლეჩხუმში ლენას შეხვედრა დიდ აკაკისთან პირველი და უკანასკნელი არ ყოფილა; ქუთაისში მას კიდევ ელოდა მთელ საღამოს მგოსნის გვერდით ყოფნა.

ლენას გასაოცრად, აკაკიმ თავად იცნო მისი ერთ ერთი მუზა, გამოელაპარაკა და დარბაზში ვანო სარაჯიშვილსაც კი გააცნო, რომელიც იმ საღამოს კონცერტზე გამოდიოდა.

ეს დაუვიწყარი შეხვედრა ლენა გიორგობიანს - იგივე ჩემს მეუღლეს - აღწერილი აქვს ერთ მცირე მოგონებაში და რემინგტონზე გადაბეჭდილი ჩვენს ოჯახში ინახება.

ლენას შემდგომშიაც კარგად იცნობდნენ ქართულ საზოგადოებაში... მას მოხუცებულობამდე არ დაუკარგავს მომხიბვლელობა და იშვიათი ადამიანური თვისებები...

ნათქვამია „ცოლის ქება რა რიგიაო“ და მეც აქ მინდა დავუსვა წერტილი...

აკაკის მეორე მუზა – ნადია ჩიკვაიძე – ლენას დეიდაშვილი, ექიმ ჩიკვაიძის ქალიშვილი, ჩემმა ძმამ გრიშამ ითხოვა. ხოლო მესამე მუზა – თამარ გელოვანი – ექიმ ასლან გელოვანის ქალიშვილი და შემდეგში პოეტ ლადო გეგეჭკორის მეუღლე, მსახიობი ძმების მერაბ და გოგი გეგეჭკორების დედა გახლდათ.

აი, ის სამი თეთრი პოეტური მუზა, რომლებიც გვერდს უმშვენებდნენ აკაკის რაჭა ლეჩხუმში მოგზაურობის დროს...

ეტლის გვერდითა საფეხურებზე მე და ჩემი ძმა გრიგოლი დავდექით, ორი ერთნაირი ქანდაკება და ერთნაირად მორთულმოკაზმულნი. ამის შემდეგ ეტლიც დაიძრა, მაგრამ რის ვაი ვაგლახით მიიწევდა ხალხით გაჭედილ ქუჩაში და, როცა გაშლილ მინდორზე აღმოვჩნდით, შეკრებილთა ისეთი სიხარულის ყიჟინა და ვაშას ძახილი გაისმა, რომ ცხენები დაფრთხნენ და ძლივს შეაკავეს ისინი.

პარასკევი იყო, ადგილობრივი ბაზრობის დღე, რაც ძალაუნებურად ხელს უწყობდა ხალხის სიმრავლეს; გეგონებოდათ, მთელ რაჭას აქ მოუყრია თავიო.

დავით გოცირიძის სახლი, რომელიც სტუმრის მისაღებად იყო გათვალისწინებული, ძვირფას საზოგადოებას აევსო; ეზოში ფერხული მოეწყოთ და დიდებული სიმღერებით ატკბობდნენ ყურთასმენას.

სამი დღე დაჰყო აკაკიმ ონში და ამ ხნის მანძილზე გვერდიდან არ მოვშორებივართ, სულ თავს ვევლებოდით, შევცქეროდით მას და ვხარობდით მისი იმერული კილოთი შეზავებული ქართულით, ხუმრობებითა და მოსწრებული სიტყვით.

რაც უნდა ღრმა აზრის შემცველი ყოფილიყო მისი სიტყვა აკაკი სადად და მარტივად გადმოსცემდა, თანაც ხმის ყოველი აწევისა და დაწევის გარეშე. მისი საუბარი თანაბარი, მშვიდი და წყნარი იყო, რაც ძალიან შვენოდა აკაკის ოლიმპიურ შესახედაობას, მის სიდინჯესა თუ სიდარბაისლეს.

ხმა დიდი არ ჰქონდა, როგორც ეს მგოსნის გოლიათურ სხეულს შეეფერებოდა, მაგრამ ტკბილი, სასიამოვნო და ოდნავ მაღალი ტონი უთუოდ შვენოდა მის საშუალო სიძლიერის ტემბრს. მგოსნის ხმადაბალი სიტყვებიც კი მკაფიოდ და გარკვევით ისმოდა.

ყოველმხრივ შემკული იყო ჩვენი მგოსანი. მის ღვთიურ სახეს თითქოს იდუმალი შარავანდედი მოსავდა. ერთი სიტყვით, ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულიო, რომ იტყვიან, სწორედ ის იყო...

აკაკის წარმოსადეგობა და მეფური სიდიადე ბუნებრივად იწვევდა ხალხის მოწიწებასა და თაყვანისცემას.

არ დარჩენილა რაჭა ლეჩხუმის არც ერთი გზაჯვარედინი, რომ შორეული სოფლებიდან ჩამოსული ხალხით არ ყოფილიყო სავსე. ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა – ყველა იქ იყო; ყველას უნდოდა მისი დანახვა, ყველა ხარობდა; მის დანახვაზე ქუდებს მაღლა ისროდნენ. აი, სიყვარული, აი, ნამდვილი, ჭეშმარიტი სიყვარული!...

ცნობილია, რომ 1908 წელს, აკაკის იუბილის დღეებში, ქუთაისის ახალგაზრდობამ მგოსნის ეტლიდან ცხენები გამოუშვა და შიგ თავად შეება...

თუ არა ასეთი სიყვარული, მაშ, რამ აიძულა უბრალო სოფლელი ადამიანები, სახლ კარი მიეტოვებინათ და ბილიკ ბილიკ ერბინათ ტყეებსა და ველებზე, რათა „ფოშტის გზაზე“ მიესწროთ და საკუთარი თვალით ეხილათ პოეტი, რომლის ლექსები, მიუხედავად წერაკითხვის უცოდინრობისა, ბევრმა მათგანმა ზეპირად იცოდა.

ცხადია, მგოსანიც დიდად გახარებული იყო.

- განა შეიძლება ჩემი აღტაცების გადმოცემა? – თქვა მან მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ, - ან აღწერა ყველაფერ იმისა, რაც მე ვნახე და განვიცადე?... ისეთი აღფრთოვანება სუფევდა ყველგან, რომ თავი სიზმარში მეგონა...

ამიტომ არც კი გამკვირვებია, როდესაც შქმერიდან, ბაჯიხევიდან, ღებიდან თუ ჭიორადან ჩამოსულ ფარაჯიან მოხუცებს ვხედავდი.

ჩემს შეკითხვაზე ერთმა მათგანმა ისიც კი მითხრა, - აკაკის ლექსები როგორ არ ვიცი? განა მან არა თქვა, „გმირებს დეეძებს, უყივის ჩემი დაფი და ნაღარა“, მაგრამ კარგად მახსოვს, რომ „ნაღარას“ ნაცვლად „ნეღერა” თქვა... „ნეღერა დეეძებსო“, – იმერული კილოთი მიპასუხა მან. ეტყობა, კითხვა არ იცოდა და თავისებური ვარიანტით წარმოთქვამდა აკაკის ლექსს...

მგოსანს განსაკუთრებით მოსწონდა რაჭული სიმღერები, უფრო კი, „მაღლა მთას მოდგა“, „ქრისტე აღდგა“, „თვალჟუჟუნა“ და სხვ. რომელთაც მოხუცები დიდი გატაცებით, მღეროდნენ ფერხულში, ამასთან, აკვირდებოდა მათ თავისებურ ცეკვებს, ხშირად საუბრობდა მათთან.

აკაკი სუფრის თავში „ღმერთივით“ იჯდა და ყურადღებით უსმენდა საუბარს. ღვინოს ძალზე ძუნწად სვამდა, თითქმის არც კი ეკარებოდა, მიუხედავად იმისა, რომ სუფრას უხვად ამშვენებდნენ ხვანჭკარიდან მოტანილი უგემრიელესი ალექსანდროულით სავსე დოქები და ვერცხლის ყელსალამურა სურები.

მასპინძლებს გაეგოთ, რომ აკაკის არც სხვისგან მოსწონდა ღვინის სმა და თრობა, მით უფრო, გადაჭარბებული, და ამიტომ ყველა ფრთხილობდა, - თავდაჭერილად სვამდნენ, რათა მგოსანი არ შეეწუხებინათ.

როცა სიტყვაში გამოსულები მის შემოქმედებასა და სამშობლოს სიყვარულზე ლაპარაკობდნენ, აკაკის გრძნობა ერეოდა და ცრემლებს ვერ ფარავდა. თავად კი იშვიათად ახსენებდა საკუთარ ლექსებს და დიდ მოკრძალებასაც იჩენდა მათი შეფასებისას.

- მე გმირი არა ვარ, - თქვა ერთხელ, როცა მას ეროვნული გმირი უწოდეს, - მე მხოლოდ მისი წინამორბედი გახლავართ და ღირსი არ ვიქნები „ხამლი შევხსნა ფერხთა მისთაო“. გულით ხარობდა, იმდენ ხალხს რომ ხედავდა თავის გარშემო და მის მეფურ სახეს უფრო მეტი ბრწყინვალება ემატებოდა.

სუფრაზე მუდამ სიტყვების კორიანტელი იდგა, გულწრფელი და გულიდან ამოსული, მაგრამ შეატყობდნენ თუ არა, მგოსანი თავად აპირებს სიტყვის წარმოთქმასო, იმწამსვე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდებოდა ხოლმე...

და იწყებოდა მგოსნის ტკბილი, ამაღელვებელი, გულსმოსახვედრი და მომხიბვლელი საუბარი.

როცა აკაკი წამოიმართებოდა ხოლმე სუფრის თავში, გეგონებოდათ, მთა წამომდგარაო; რაღაც თავისებური იყო, განსაკუთრებული და გამორჩეული. რაც უნდა ზღვა ხალხში მდგარიყო, მაინც თვალში გეცემოდათ მისი იმპოზანტური ფიგურა და ღირსებით აღსავსე სახე.

1913 წელს მოსკოვში ადგილობრივ მწერლებსა და საზოგადოებასთან შეხვედრის დროს აკაკის გამოჩენისთანავე მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა, ხოლო უხუცესი რუსი მწერალი ბობორიკინი, როგორც ღვთაებას, ისე ემთხვია ხელზე.

72 წლის იყო აკაკი, რაჭა ლეჩხუმში რომ იმოგზაურა და, თუმცა მისი ნელი სიარული პოეტის ხანდაზმულობას ამჟღავნებდა, მის შეხედვას მაინც არაფერი სჯობდა. გრუზა თმითა და ჩაწიკწიკებული თეთრი კბილებით ბევრ ახალგაზრდას არათუ ტოლს დაუდებდა, ალბათ, აჯობებდა კიდეც. დანამდვილებით ამბობდნენ და მოგონებებიც ადასტურებენ იმას, რომ, მიუხედავად ასაკისა, მგოსანი თხილსა და კაკალს ისე არ შეჭამდა, თავად თუ არ გატეხდა საკუთარი კბილითო...

- ნაყოფს რა გემო აქვს, თავად თუ არ დაამტვრიე ნაჭუჭიო, - იტყოდა თურმე სუფრაზე.

შვენოდა მგოსანს კარგი სიტყვაც და მოხდენილი ხუმრობაც, სიცილიცა და თვალზე მომდგარი ცრემლიც, - საქართველოს ხსენების დროს რომ გადმოცვივდებოდა ხოლმე თვალთა კილოებზე.

- აკაკის ბევრი გატაცება ჰქონია, მაგრამ ნამდვილი სიყვარულით მხოლოდ მისი სათაყვანებელი სამშობლო უყვარდა, - ამბობს ილია ზურაბიშვილი თავის მოგონებაში პოეტის შესახებ. - მოსკოვში ჩემი სტუდენტობის დროს არაერთ სახელოვან პირთან, ღირსეულ ადამიანთან და სულიერად მაღალ თუ ფიზიკურად შემკულ პიროვნებასთან მქონია შეხვედრა, რომელთა შორის ბევრი შესანიშნავი გარეგნობისაც ყოფილა, მაგრამ ისეთი შთამბეჭდავი შესახედაობის, როგორისაც ჩვენი სახელოვანი პოეტი იყო, მართლა ოლიმპიური და ზეშთაგონებული, მე არავინ მახსოვს, არავინ შემხვედრია.

მიუხედავად ამისა, დიდი მგოსანი ისეთი მოკრძალებული, თავმდაბალი და მორიდებული იყო, ისე უბრალოდ ეჭირა თავი და ისე ესაუბრებოდა ყველას, გეგონებოდათ, მათი დიდი ხნის მეგობარი ან ახლობელიაო.

თუ ჩვენ ვაჭარბებდით ან ვაჭარბებთ აკაკის შეფასების დროს, სხვებიც ხომ ასე ეთაყვანებოდნენ მას! ამისათვის მარტო მოსკოვისა თუ პეტერბურგის შეხვედრათა გახსენებაც იკმარებდა. თავი რომ დავანებოთ იმ უდიდეს შთაბეჭდილებას, რაც მან საფრანგეთში მოახდინა 1909 წელს. ამას იუწყება ერთ ერთი მაშინდელი ჟურნალი, მე კი ამის თაობაზე (18.9.60) გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე წავიკითხე.

წერილის ავტორი, პირველ ყოვლისა, პოეტის გარეგნულ სილამაზესა და ახოვანებას აღწერს და ბოლოს დაასკვნის:

- „გასული წლის 20 დეკემბერს საქართველომ იზეიმა აკაკი წერეთლის იუბილე. ეს იყო მთელი ერის აღტაცებულ გრძნობათა გამომჟღავნება, ისეთი, რომელსაც არც ერთი პოეტი არ ღირსებია, გარდა, შესაძლოა, ვიქტორ ჰიუგოსი. 240 დეპუტატზე მეტი წარუდგა მას, რათა პოეტისათვის გამოეხატა თანამემამულეთა და მსოფლიო მწერალთა სიყვარული და პატივისცემა.

ქვეყნიერების ყველა კუთხიდან მოუვიდა დეპეშები, ჟურნალგაზეთებმა შეწყვიტეს სხვა მასალების ბეჭდვა და მხოლოდ დიდი პოეტისადმი მიძღვნილ მასალებს აქვეყნებდნენ. თვით მოსკოვისა და პეტერბურგის პრესამ აკაკი წერეთელი ისეთი დიდებით შემოსა, რასაც დიდი ტოლსტოიც კი არ ღირსებია. სახალხო ზეიმი, - დასძენს გაზეთი, - რამდენიმე თვეს გაგრძელდა...“

ასეთი აღტაცებით წერდა ფრანგული გაზეთი აკაკი წერეთელზე ჩვენი საუკუნის დასაწყისში და ასე გადმოეცა ეს ამბავი ისტორიას...

ბედნიერად ვთვლი თავს, რომ განგებამ ასე ახლოს დამაკავშირა ჩვენი ერის სასიქადულო შვილთან. ვიდექი მის გვერდით და მესმოდა მისი მღელვარე სუნთქვა, რომელიც სიხარულისაგან მკერდში ვეღარ ეტეოდა.

ვისმენდი აკაკის მხურვალე სიტყვებს და ვხედავდი ცრემლებს, გულიდან რომ ამოდუღდებოდნენ და წამწამებზე უსხდებოდნენ პატარა მარგალიტებად...

ხოლო როცა მგოსანი ქუთაისში დაბრუნდა, თითქოს მთელი რაჭალეჩხუმი ერთიანად დაცარიელდა, თითქოს ერთბაშად დავობლდით ყველანი.

იმავე წელს მე და გრიშამ ვთარგმნეთ და მოსკოვში გამოვეცით აკაკის „ბაში აჩუკი“ და ამასთანავე მისი პორტრეტის დახატვაც მოვიწადინეთ, რომელიც მხოლოდ 1917 წელს პირადად მე დავასრულე. აკაკი, ნატურ ალურ ზომაზე დიდი, პროფილში დავხატე და დარბაზში მოწიწებით დავკიდე.

ეს პორტრეტი არა მარტო მახარებს, არამედ წარსულის სიღრმეებსაც მინათებს.

აკაკი წერეთელი მარტო შემოქმედი კი არა, სულიერი მოძღვარი და წინამძღოლიც იყო და ასეთად დარჩება იგი მომავალი თაობებისთვისაც.

ფოთის პერიოდი

მოსკოვის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1914 წელს სამშობლოში იმ დროს დავბრუნდი, როდესაც პირველი იმპერიალისტური ომი უკვე მძვინვარებდა.

მაგრამ ბრძოლის ცეცხლი უშუალოდ იმ ადგილებს მოსდებოდა, სადაც რუსეთ გერმანიის ჯარები ერკინებოდა ერთმანეთს. ზურგის მოსახლეობა კი ძველებურად განაგრძობდა ცხოვრებას და ვერ გრძნობდა მის გარშემო ატეხილ საშინელებას.

მუშაობა და ოჯახური ცხოვრება ქალაქ ფოთში მეც სწორედ მაშინ მომიხდა. და, მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ 65 წელიწადზე მეტია გასული, ყველაფერი ძველებურად მახსოვს. ახლაც თვალწინ მიდგას იმდროინდელი ჩემი მოღვაწეობის დაუვიწყარი სურათები, შეხვედრები საზოგადოების გამოჩენილ წარმომადგენლებთან, რიგით ადამიანებთან და სხვ.

მარტო იმის გახსენება რად ღირს, რომ ისეთ დიდ სავაჭრო ცენტრში, როგორიც იმდროინდელი ფოთი იყო, არავითარი კულტურული გასართობი არ არსებობდა, მათ შორის არც თეატრი, არც რაიმე კლუბის მსგავსი, არც რაიმე საკრებულო. გართობის ერთადერთ კერას, როგორც უკვე აღვნიშნე, მოქალაქე

ნიკოლაიშვილის კერძო მოზრდილი შენობა, სახელწოდებით „კომეტა“ წარმოადგენდა, სადაც ის ხშირად უჩვენებდა კინოსურათებს.

„კომეტას“ ისეთი დიდი დარბაზი ჰქონდა, რომ იქ თავისუფლად შეიძლებოდა სპექტაკლებიც გამართულიყო, ლექციებიც მოგვესმინა და სასურველ სტუმრებსაც – ხელოვანი იქნებოდა ის თუ მეცნიერი – საკადრისად დავხვედროდით.

ასე იყო თუ ისე, თეატრის უქონლობა მაინც საგრძნობი იყო. ამიტომაც ისეთი სცენისმოყვარეებიც, როგორებიც იყვნენ ნუცა ნორაკიძე, სტეფანე ხარაზიშვილი, ნოე ჟღენტი, ემელიან ნოდია და სხვები, მოუთმენლად ელოდნენ იმ დღეს, როდესაც „კომეტის“ მეპატრონე მოწყალებას გაიღებდა და რამდენიმე დღით თავის კუთვნილ შენობას მათ დაუთმობდა.

გულახდილად რომ ვთქვათ, ფოთის იმდროინდელ მოსახლეობას ჰქონდა იმის მატერიალური შესაძლებლობა, რომ თეატრის ასაგებად საჭირო თანხა შეეგროვებინა, მაგრამ არ არსებობდა საერთო ინიციატივა, საქმის სიყვარული და მონდომება მიუხედავად იმისა, რომ ხალხი თეატრებს და ამისთანა გასართობებს დიდად ეტანებოდა.

ფოთში 1914 წელს ჩავედი. ეს იყო ჩემი პირველი შეხვედრა ამ ლამაზ ზღვისპირა ქალაქთან. მანამდე კი მას ჟურნალ გაზეთებიდან ან წიგნებიდან ვიცნობდი, უფრო კი მწერალ გიორგი წერეთლის რომანის – „პირველი ნაბიჯის“ ფურცლებიდან, სადაც ასე შესანიშნავადაა დახატული იმდროინდელი ქართველი ბურჟუა, მისი ცხოვრება, რომანის ცალკეული გმირები – ერემია წარბა, ბახვა ფულავა და სხვ. რომელთა თავგადასავალი ფოთის იმდროინდელი ცხოვრების ფონზე იშლება.

და აი, ფოთის საზოგადოებისათვის სრულიად უცნობი ახალგაზრდა საურთიერთო საზოგადოების, იგივე საურთიერთო ბანკის თავმჯდომარედ ამირჩიეს დიდი სამოციანელის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის, ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის ნიკო ნიკოლაძის წინადადებით. ამის გამო, მე დიდი პასუხისგებლობით მოვეკიდე საქმეს და მთელი ახალგაზრდული ენერგიით შევუდექი მუშაობას.

მაგრამ მანამდე ჯერ საკითხის საბოლოოდ გასარკვევად სოფელ დიდ ჯიხაიშში ნიკო ნიკოლაძესთან ჩავედი. საქმე ის იყო, რომ იმ პერიოდში ოჯახს მოვეკიდე, ცოლი შევირთე და ახლობელ ნათესავები დაჟინებით მთხოვდნენ ფოთში წასვლის განზრახვაზე ხელი ამეღო, რათა იქ რაიმე სენს, კერძოდ, მალარიას არ გადავყროდი, რომელიც იმ დროს ასე იყო გავრცელებული ფოთში.

ბატონმა ნიკომ შემატყო უგუნებობა და არც გაკვირვებია, მაგრამ მან იმდენი ილაპარაკა ამ ჭორის უსაფუძვლობაზე, ისე მჭევრმეტყველურად, ისე დამაჯერებლად, რომ ეჭვის ბურუსი მაშინვე გამიფანტა და დამითანხმა მუშაობის დაწყებაზე.

აღფრთოვანებული დავბრუნდი შინ – თბილისში ოჯახის წევრებს ყველაფერი ვუამბე, საქმე შევუთანხმე და მეორე დღესვე ფოთში გავემგზავრე.

აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ორიოდე სიტყვით შევეხო თვით ნიკო ნიკოლაძის პიროვნებასაც, რომელმაც ასე მომხიბლა და მამაშვილური დახმარების ხელი გამომიწოდა; შევეხო დიდ ჯიხაიშში მის სამოთხისდარ ეზო კარმიდამოს, სახლს და სხვასაც.

მართლაც, ორიგინალური გეგმით იყო აშენებული ხეხილის ტევრში ჩაფლული მისი ვეება სახლი, რომელიც ევროპულ ფეშენებელურ ვილას

მოგაგონებდათ. ხეხილის გარდა, მას დეკორატიული ხეებითა და ყვავილნარით დაემშვენებინა ეზო კარმიდამო და ისე მოვლილი ჰქონდა, რომ იტყვიან - ავ თვალს არ დაენახვებოდა.

აღფრთოვანებული დავრჩი, როცა ასეთი სილამაზე ვნახე.

ბატონი ნიკო ძირითადად აქ, ამ სოფელში ცხოვრობდა და ფოთში იშვიათად ჩამოდიოდა, მხოლოდ მაშინ, როცა ამას ქალაქის საჭიროება მოითხოვდა.

დამშვიდობების წინ ბევრი მელაპარაკა ჩემი მომავალი მუშაობის შესახებ. დამარწმუნა, რომ ბანკში მუშაობა სერიოზული საქმე იყო, რაც განსაკუთრებულ მოთმინებას, წინდახედულობასა და შორსმჭვრეტელობას მოითხოვდა.

- მოუარეთ და გაუფრთხილდით მის სახეს, პრესტიჟს, რათა ხალხში და საკრედიტო დაწესებულებებში ნდობა არ დაკარგოს, თუ გინდათ, რომ საქმე ჩინებულად მიდიოდეს.

ბანკი და ქალი ერთი და იგივეა: ნდობაა მათი სიწმინდისა და ურთიერთობის წარმმართველი ნიშანი. და თუ მათ ეს ნდობა დაკარგეს, მორჩა ყოველი: სამუდამოდ შებღალულია სახელი მისი.

ფოთში ბატონი ნიკო კოშკში ცხოვრობდა, რომელშიც სხვა სიკეთესთან ერთად, იშვიათი ბიბლიოთეკაც ჰქონდა. ამ ბიბლიოთეკას ის თვალისჩინივით უვლიდა. ზეპირად იცოდა, სახლის რომელ სართულზე, რომელ ოთახში ან რომელ თაროზე რა წიგნი იდო, რის წყალობითაც, მათ ძებნაში ამაოდ არ კარგავდა დროს.

ერთხელ ბანკის გარშემო რაღაც საკითხის გამო მასთან, როგორც ქალაქის საბჭოს თავმჯდომარესთან, კოშკში მივედი. შეუძლოდ იყო, იწვა, თუმცა რამდენიმე ინჟინერი მაინც მიეღო და საქმიანად საუბრობდნენ მელიორაციის საკითხების გარშემო. ინჟინრებს მისგან რჩევა დარიგება ესაჭიროებოდათ.

ამ საკითხის გარშემო მასპინძელს რაღაც წიგნი დასჭირდა და მე მომმართა:

- ბატონო ვლადიმერ, თუ არ დამზარდებით, ამა და ამ სართულზე, ამა და ამ ოთახში, ამა და ამ ადგილზე და ამა და ამ თაროზე ამა და ამ სახელწოდების წიგნი იქნება, აირბინეთ და ჩამომიტანეთ.

მართლაც, ავედი თუ არა ბიბლიოთეკაში სახლის ზემო სართულზე, წიგნი ისე სწრაფად მოვნახე, ძებნა არც კი დამჭირვებია.

დიახ, იშვიათი პიროვნება იყო ეს დიდი ადამიანი - ერის დიდი მოჭირნახულე. არაჩვეულებრივად ორგანიზებული, წინდახედული და საზრიანი, ერუდირებული, ყველა დარგში გამოცდილი და გამობრძმედილი, მეტადრე კი - ეკონომიკის საკითხებში. ქალაქი ფოთი მისი გამოცდილებისა და გამჭრიახობის წყალობითაა დაგეგმილი და გაშენებული. თუ დღეს ეს ქალაქი არქიტექტურულად ასე ლამაზად გამოიყურება და აგრე რიგად ხიბლავს მნახველთა თვალს, ეს, პირველ ყოვლისა, მისი დამსახურებაა. ტყუილად როდი უწოდებენ მაშინდელ ფოთს „ნიკოპოლს“.

ურიგო არ იქნება, თუ ვიტყვით იმასაც, რომ ამ ადამიანს ჩაცმა დახურვაც ლაზათიანი და მოხდენილი უყვარდა. რაც უნდა სიცხე ყოფილიყო, მეტწილად რუხი ფერის პიჯაკს და ჟილეტს იცვამდა. ერთი სიტყვით, ამგვარი ჩაცმულობის წყალობით ისე გამოიყურებოდა, თვრამეტი წლის ჭაბუკი გეგონებოდათ.

შავ პიჯაკს უფრო საპარადოდ ხმარობდა, თუმცა საამისოდ გრძელკალთიანი სერთუკიც ჰქონდა. თავზე მუდამ შლიაპა ეხურა და მისალმებისას ენერგიულად მოიხდიდა, დაბლა დასწევდა და როცა შემხვედრს

კარგა მანძილზე დაშორდებოდა ან მასთან საუბარს გააბამდა, მხოლოდ მაშინ დაიხურავდა ხოლმე.

ნიკო ნიკოლაძე – ეს ნამდვილი ერის შვილი და ოლიმპიელი, მშობლიურ ენასავით ფლობდა ფრანგულ და რუსულ ენებს. ლაპარაკობდა ინგლისურადაც, მაგრამ შედარებით სუსტად. ჟურნალ გაზეთებსაც ღებულობდა ლონდონიდან (ერთ ჟურნალს ამერიკიდანაც), კითხულობდა, თავის აზრს გამოთქვამდა წაკითხულის ირგვლივ, ლაპარაკს კი ამ ენაზე ერიდებოდა, რის მიზეზსაც ახლავე მოგახსენებთ.

ერთხელ ბანკის საქმეებზე კვლავ ვესტუმრე კოშკში. ის რომელიღაც თავისი საგაზეთო წერილის ბეჭდვით იყო გართული პატარა საბეჭდ მანქანაზე.

მაგიდაზე ახლად მიღებული უცხოური და რუსულ ქართული ჟურნალ გაზეთები ეწყო. ერთ ერთი მათგანი ნიუ იორკიდანაც მიეღო, გადაეთვალიერებინა და გადაშლილი ედო მაგიდაზე.

დამაინტერესა ამ გაზეთმა. ხელში ავიღე და თვალი გადავავლე – ტექნიკური ხასიათისა იყო. თვალიერებას რომ მოვრჩი, ბატონ ნიკოს ვკითხე:

- ინგლისურადაც ისე თავისუფლად ლაპარაკობთ, როგორც ფრანგულად?

- თავისუფლად კი ვკითხულობ, მაგრამ ლაპარაკი მიჭირსო, - მერე მიზეზიც დააყოლა, - ინგლისური ენა პარიზში შევისწავლე, მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვიყავი. პარიზიდან ლონდონში უნდა წავსულიყავი უაქცენტო მეტყველების დასაუფლებლად, ჩვევებისა და პრაქტიკის მისაღებად. ეშმაკად ერთი ფრანგი გოგონა გავიცანი, აღარ მომეშვა, თან მდევდა და, ასე გასინჯეთ, ლონდონშიაც კი წამომყვა. მთელი დრო ინგლისში ისე დავყავი, ეს გოგონაც თან მახლდა და როცა პარიზში დავბრუნდი, ინგლისური ენის პრაქტიკა გვერდზე დამრჩენოდაო, - ღიმილით, თუმცა სინანულით მოიგონა ეს ამბავი და დაამატა: „ეს ვერ მომივიდა კარგადო“.

მასთან როცა არ უნდა მივსულიყავი, მუდამ საქმით იყო დაკავებული, წერდა, კითხულობდა, აანალიზებდა წაკითხულს. ამის გამო სულ ვცდილობდი, ბევრი დრო არ წამერთმია და მალევე გამოვეთხოვებოდი ხოლმე.

თავისუფალ დროს არაჩვეულებრივი მოსაუბრე იყო. ახლო მეგობრობა აკავშირებდა ექიმ კონსტანტინე მიქაბერიძის ოჯახთან, სადაც ხშირად დაიარებოდა.

იქ ბატონი ნიკო განსაკუთრებით ენაწყლიანი, სიტყვამოსწრებული და ლაღი გახლდათ, საზოგადოებაში კი – საოცრად დინჯი და თავდაჭერილი.

აქეთ იქით ხშირი სიარული არ სჩვეოდა, ძალზე მორიდებული ბრძანდებოდა. ერთხელ ქუთაისელი დავით ნიჟარაძის ბინაზე მივედით და ბევრიც ვისაუბრეთ, მაგრამ მეორედ იქ მისული აღარ მინახავს. არადა, მაშინ მეგობარ ნაცნობთა შორის მისვლა მოსვლა ძალზე ხშირი იყო, რადგანაც სხვა კულტურული გასართობი არ არსებობდა და დროს მეტწილად საუბრებში ვატარებდით.

ერთხელ გავკადნიერდი და ბავშვის მონათვლა ვთხოვე. ბინაზე მეწვია, რასაკვირველია, ბავშვიც მონათლა და ამით დამინათესავდა კიდეც.

არაფერი ჯობდა იმ დღეს მის შეხედვას. ღმერთივით იჯდა მაგიდასთან – ლამაზი, ახოვანი, სიტყვაძუნწი და სერიოზული. ის უფრო უსმენდა, ვიდრე ლაპარაკობდა. სამოცდაათ წელს გადაცილებული იყო, მაგრამ ბევრად ახალგაზრდულად გამოიყურებოდა.

ყველა მას მისჩერებოდა.

„ზღვა შემოღობაო“, – ამბობდნენ ფოთში ამ ადამიანზე, როცა მან გემების მისადგომად ზღვის პირას გრძელი რკინის მოაჯირი გააკეთა.

ქალთა საზოგადოებაში მეტისმეტად ენაწყლიანი და ენამოსწრებული იყო.

ასეთი გახლდათ ჩემი ვაჟის ნათლობის დღესაც.

- ნიკოლაი იაკოვლევიჩ, - სიცილით მიმართეს მანდილოსნებმა, - როგორ ახალგაზრდულად, ჭაბუკურად გამოიყურებით... რა არის ამის უმთავრესი მიზეზი?

- ეს, ბატონებო, ჩემი საიდუმლოებაა, - სიცილითვე უპასუხა მან, - მომაბარეთ ცოტა ხნით თქვენი ქმრები და მე მათ ვასწავლი, როგორ შეინარჩუნონ ახალგაზრდობა და სიჭაბუკე თვისი.

- გვითხარი, გვითხარი, ბატონო ნიკო, რა არის მაგის წამალი? - დაინტერესდენ ქალები.

- რაც შეიძლება მეტი დრო ატარონ ქალებში, - იყო ოქროპირის პასუხი.

თუ როგორი მიღებული იყო საზოგადოებაში და რად ფასობდა მისი სიტყვა და აზრი, ამის შესახებ მომდევნო მოგონებაში მოგახსენებთ.

ასეთი პიროვნება სრულიად უმნიშვნელო საქმის გამო მეფის დამქაშებმა ერთხელ პასუხისგებაშიც მისცეს. პროცესი ქუთაისში მიმდინარეობდა. სასამართლოს სხდომის დროს ფანქრით ბლოკნოტში ჩანახატებს ვაკეთებდი. მათ შორის არიან „ბრალდებული“ ნიკო ნიკოლაძე და ვექილი კაპაჩევსკი. დღეს ეს ბლოკნოტი ჩემს არქივში ინახება. ისე არ გადავშლი იმ ბლოკნოტს, რომ სინანულით ან, პირიქით, სიხარულით არ მოვიგონო ის წლები, რომლებმაც მე ასეთ დიდ პიროვნებასთან შეხვედრები და ურთიერთობა მარგუნა ბედად.

დიახ, დიდი პიროვნება იყო ნიკო ნიკოლაძე და მეგობრობაც დიდ ადამიანებთან აკავშირებდა. მათ შორის აღსანიშნავია ჩერნიშევსკი, ბაკუნინი, მიხაილოვსკი, პლეშჩეევი, უსპენსკი, გერცენი, ოგარიოვი, ვიქტორ ჰიუგო, პოლ ლაფარგი, ალფონს დოდე, ლუი ბლაზ, გამბეტა და სხვ.

პოლიტიკურ ასპარეზზეც მნიშვნელოვან პიროვნებათა გვერდით გამოდიოდა. თანამშრომლობდა ჟურნალ „კოლოკოლში“ და იმ დროს გამომავალ მრავალ სხვა პერიოდულ გამოცემებში.

როცა ასეთი ბრწყინვალე მოქალაქე და მამულიშვილი გარდაიცვალა, საზოგადოებამ გულწრფელად დაიტირა, იმდროინდელმა პრესამ შესაფერისი ქება დიდებით აღნიშნა მისი დიდი დამსახურება ერის წინაშე.

ანალოგიური ნეკროლოგი ნ.ნიკოლაძის გარდაცვალების გამო დაბეჭდა ტექნიკურმა საზოგადოებამაც. საბედნიეროდ, ჩემს არქივს შემორჩა ამ ნეკროლოგის ტექსტი. რომელიც აქ მომყავს შეუმოკლებლად: „Правление Технического Общества Грузии объявляет, что 1 апреля с.г. после 70 летней неустанной работы скончался заслуженный общественный деятель, главный инициатор и участник постройки жел. дор. линии Поти - Тифлис, организатор Ткибульских копей и постройки Ткибульской жел. дор. ветки, один из главных деятелей по Чиатурской марганцевой промышленности и постройке Чиатурской ветки, инициатор постройки Тифлисского и Бакинского водопроводов, ближайший участник и руководитель сооружения нефтепровода Баку - Батум, ближайший участник и руководитель дела развития нефтеэкспорта и нефтяной промышленности Бакинского районая создатель и строитель, поборник и деятель электрофикации Грузии и Кавказа, крупный специалист и инициативная сила по

многим другим технико-экономическим вопросам Грузии, Закавказья и России, почетный член Технического Общества Грузии, Николай Яковлевич Николадзе.“

ისევ ფოთის შესახებ. როგორც ითქვა, აქ, ამ ქალაქში, სამსახურებრივი მიზნით 1914 წელს ჩავედი და 1919 წლამდე ვიმსახურე. ამ ხნის განმავლობაში საშუალება მქონდა კარგად გავცნობოდი მას და შემესწავლა ძირფესვიანად. უმეტესწილად მის არქიტექტურას, ქუჩებს და კერძო ბაღებს, სკვერებს... ხალხს, საზოგადოებას ვაკვირდებოდი.

დავაბიჯებდი მის ქუჩებში და უნებურად მახსენდებოდა დიუმა და მისი „კავკასია“, როცა მან, ამ წიგნის მიხედვით, ნავით „ფოთის ნახევარკუნძულს“ მიაღწია რიონის გზით და იქ სხვებთან ერთად მუხლებამდე ლაფში აღმოჩნდა. „მე თავჩაქინდრული გავემართე ქალაქისაკენ, რომელიც ათი თხუთმეტი სახლისაგან შედგებოდა“, – აღნიშნავს ამ წიგნში სინანულით.

ეს, რასაკვირველია, დიუმას დროს იყო, გასული საუკუნის შუა ხანებში, მაგრამ ჩემს დროს ქალაქი ფოთი უკვე ქალაქად იყო ჩამოყალიბებული. ტერიტორიითაც საკმაოდ დიდი იყო. მაღაზიები, დახურული ბაზარი, საქალაქო და სახელმწიფო დაწესებულებები და უზარმაზარი ბაღი ქალაქის ცენტრში. ბაღში იდგა უძველესი კოშკი, რომლის გადაკეთებულ ინტერიერში ბინა დაედო ნიკო ნიკოლაძეს.

ქალაქის განაპირა უბნები სოფლებიდან ჩამოსული პორტში მომუშავე ოჯახებით იყო დასახლებული და სოფლებს უფრო წააგავდა. ამიტომაც მათ განიერ და სწორ ქუჩებში ბევრგან ძროხა და სხვა პირუტყვიც ბალახობდა.

ცენტრში იყო მოთავსებული ჩვენი ბანკის შენობაც – გურიის ქუჩის დასაწყისში, ხაზინის პირდაპირ, ერთსართულიან მზიან შენობაში.

ჩემთან ერთად ბანკში მუშაობდნენ ძველი და თავდადებული მუშაკები – თადეოზ კეშელავა და ვანო დიდია, იშვიათი ბუნების ადამიანები. აქვე იყვნენ ვლადიმერ კაჭარავა, მიშა ესაკია, ფარინა კობალაძე, პავლე ხოჭოლავა და სხვები. ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე, როგორც ითქვა, იყო ნიკო ნიკოლაძე.

ხალხში დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდნენ ექიმები კონსტანტინე მიქაბერიძე, ა.ხოჭოლავა, ს.ოსიძე, კ.თელია, ალ.მდივანი, ლევ.ზოდელავა, ჟვანიები და სხვები. მიმაჩნია, რომ მათ შესახებაც უნდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა, რადგანაც ისინი ღირსნი არიან, შთამომავლობამ იცოდეს მათი სახელები.

ქალაქის თავის მოადგილე იყო შესანიშნავი მოქალაქე და უმწიკვლო ადამიანი გ.ტყემალაძე.

ფოთის მაშინდელი ქალაქის ტრანსპორტს წარმოადგენდა „კონკა“, რომელშიც ერთი ცხენი ება და ქალაქის ცენტრიდან ნავსადგურამდე ხიდის გავლით მიდიოდა. ამ ტრანსპორტს დიდი ჯაფა არ ადგა, ხალხი დიდად არ აწუხებდა, რადგანაც ქალაქში ბევრი იყო კერძო ფაეტონი. მგზავრობის ღირებულებაც ძალზე იაფი იყო - 20 25 კაპიკი თითოეულ მგზავრზე.

მახსოვს, რიონის ადიდებისა თუ რაღაც სტიქიური მოვლენის გამო, ქუჩებში ბრტყელძირიანი ნავებითაც დავდიოდით ხოლმე.

ფოთში საცხოვრებლად კოსტა თელიას ოჯახში დავიდე ბინა. დიასახლისი ბაბო - ჯოჯუას ქალი, იშვიათი გამრჯე ადამიანი, სათნო და კეთილი - ერთ განიერ და ნათელ ოთახში, რომელიც კარგი ავეჯით იყო გაწყობილი, 10 მანეთს მახდევინებდა თვეში. ოთახსაც ეს ქალი ალაგებდა, 18 მანეთად საჭმელსაც მიმზადებდა. მენიუში კარგი ღვინო და საცივიც შედიოდა.

მაღაზიები სავსე იყო სანოვაგით. განსაკუთრებით ჭარბობდა თევზეული, ახალი დაჭერილი კეფალი. თადეოზ კეშელავა ისე არ დაჯდებოდა სუფრასთან, ზუთხი და შამფურზე შემწვარი ცხელი მწვადი თუ არ იქნებოდა ბლომად.

დაქირავებულ ბინაში დიდხანს არ გაგრძელებულა ჩემი ცხოვრება, მალე იურისტ ევგენი გაბუნიას ქვის სახლი ვიყიდე, რომელიც სვანეთის ქუჩაზე მდებარეობდა. ბინა მეტად მოხერხებული და საცხოვრებლად კარგი იყო, ნათელი, მზიანი.

ვექილი გაბუნია თბილისში გადასახლებულიყო, სახლი სახელმწიფო ბანკში დაეგირავებინა და აღარ გამოესყიდა. ამიტომ ძალზე იაფად შევიძინე, სულ რაღაც სამას მანეთად.

ამრიგად, ასე გავხდი ფოთის მოქალაქე.

ამ ფაქტზე ერთხელ ნიკო ნიკოლაძემ მითხრა: შენ ფოთის მკვიდრობა უფრო შეგშვენის, ვიდრე სადღაც მიგდებულ, დაქირავებულ კუთხეში ცხოვრებაო. თავად განსაჯე, აბა რას ჰგავდა ის ბინა, ეს არც შენ და არც ბანკის ავტორიტეტს არ შეჰფეროდა, თქვენთვის საჭიროა უძრავი ქონება, ანუ სახლი. თანხით ჩვენც დაგეხმარებით, რემონტსაც ადვილად გააკეთებთ და საქმე აეწყობაო.

ეს ასეც მოხდა.

სახლი სულ მალე გავარემონტეთ და, ასე განსაჯეთ, ჩქარა ტელეფონიც კი დამიდგეს.

ამით ისედაც საყვარელი ქალაქი კიდევ უფრო შემიყვარდა.

მადა ჭამაში მოდისო, და მეც, ამ ანდაზისა არ იყოს, ხელი მივყავი ცხოვრებისათვის აუცილებელი ქონების შეძენას. რაკიღა სახლი ვარგისი იყო და მტკიცე საძირკველზეც იდგა, ახლა საკუთარი ეტლის შეძენისათვისაც დავიწყე ზრუნვა. სულ მალე კარგ ცხენთან ერთად ორთვალა ეტლიც ვიყიდე, ცხენის მომვლელიც შევარჩიე და ცხენ ეტლი მას ჩავაბარე. მერე კი ცხენ-ეტლთა შეჯიბრებანიც მოვაწყვეთ გურიის ქუჩაზე და მის გაგრძელებაზე – მალთაყვამდე. ასე ვერთობოდი ხოლმე სამუშაოსაგან თავისუფალ დროს და დიდადაც მომწონდა გართობის ეს სახეობა. ცხადია, მანქანა არავის გვქონია.

ეს იყო 1917 წელს.

რევოლუციურად განწყობილმა ჯარისკაცებმა მიატოვეს ოსმალეთის ფრონტი და სახლებისაკენ ქნეს პირი. პორტში ბლომად ირეოდნენ ისინი და თან ფრონტიდან წამოღებულ ნივთებს მუქთად ყიდდნენ.

ერთხელ ცხენის საყიდლად მეგობრებმა მეც წამიყვანეს. თვითონაც იყიდეს და მეც მაყიდვინეს კარგი იორღა ცხენი რაღაც 500 მანეთად. იმავე „ტალკუჩკაზე“ ვიყიდე, აგრეთვე, პატარა კვიცი, რომელიც სოფლად ჩემს ათი წლის ძმას უჩას გავუგზავნე. ბლომად შევიძინე აგრეთვე ერბო, რადგანაც ჯარისკაცები მუდარითა თუ თითქმის ძალით გვაჩეჩებდნენ ყველაფერს, რაკიღა გასაყიდი ბევრი იყო, მყიდველი კი ცოტა.

- წაიღეთ, წაიღეთ იაფად, ხელი დაგვიცალეთო, - გვემუდარებოდნენ ისინი.

ჩვენი ქალაქის მაშინდელი ინტელიგენციის წარმომადგენლებს კეთილი ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთში. მაგრამ ერთხელ მაინც მოხდა გაუგებრობა, კერძოდ, ფოთის გიმნაზიის კურსდამთავრებულ მიხეილ საბახტარაშვილსა და გიმნაზიის დირექტორს შორის.

ჩხუბი და დავა სულ უბრალო რამეზე დაიწყო:

ვაჟთა გიმნაზიის დირექტორმა იაგულოვმა, რომელიც ამ სასწავლებლის დიდი მოამაგე და მზრუნველი იყო, ერთხელ ქალაქის საბჭოდან თავისთან მიგვიწვია, როგორც ქალაქის წარმომადგენელთა კომიტეტი. ერთ დღეს დაგვიძახა კიდეც სხდომაზე, სადაც პედაგოგიური საბჭოს წევრი მასწავლებლებიც გვესწრებოდნენ. ამ კომიტეტში თხუთმეტიოდე კაცი შევდიოდით. როცა თავმჯდომარისა და მდივნის არჩევაზე მიდგა საქმე, დირექტორმა სათითაოდ მოგვმართა თხოვნით – ერთერთ ჩვენგანს მდივნის მოვალეობა ეტვირთა, მაგრამ „მოუცლელობის მიზეზით“ ყველამ იუარა.

შეწუხდა დირექტორი და რაკიღა დარწმუნდა, რომ თხოვნა არ გაუდიოდა, ნაღვლიანად წარმოთქვა: Господа, в конце концов придется обратиться с просьбой к Михаилу Александровичу, - და მზერა მიხეილ საბახტარაშვილზე გადაიტანა.

- როგორ თუ ვ კონცე კონცოვ, - ზეზე წამოიჭრა აღშფოთებული მიხეილი. - მაშ, მე უკანასკნელი ვყოფილვარ აქ? ჰა?!

იაგულოვს ქაღალდის ფერი დაედო. ძალიან შეწუხდა... ჩვენ კი მიხეილს ვაწყნარებდით და ბოდიშს ვუხდიდით დირექტორის მაგიერ. მაგრამ არაფერმა გაჭრა – გაგულისებულმა დარბაზი დატოვა და წავიდა.

გვეგონა, ამით დამთავრდებოდა ყველაფერი, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. მიხეილ საბახტარაშვილმა „შეურაცხმყოფელს“ სასამართლოში უჩივლა.

მომჩივანმა აღნიშნული გიმნაზია რამდენიმე წლის წინ დაამთავრა და, როგორც ამბობდნენ, იაგულოვთან ადრეც ვერ ყოფილა კარგ დამოკიდებულებაში. სწორედ ამიტომ იფიქრა, დირექტორმა ძველი შუღლი გაიხსენა და დამცინაო.

მოსამართლედ ფოთში მეტად პატიოსანი და უმწიკვლო ადამიანი უგრენოვიჩი იყო. საქმე მას უნდა გაერჩია. მიხეილ საბახტარაშვილიც იურისტი, დახელოვნებული ვექილი გახლდათ და წესით, არ უნდა დასჭირვებოდა ადვოკატი, მაგრამ მთელს გუბერნიაში აღიარებული ქუთაისელი ნაფიცი ვექილი მექი ფაღავა მაინც ჩამოიყვანა.

ყველა გააკვირვა მიხეილის ამგვარმა საქციელმა: რა საჭირო იყო ასეთი პატარა საქმისათვის ამხელა კაცის შეწუხებაო, - ამბობდნენ.

სასამართლომ ხალხის ნახევარიც ვერ დაიტია. ყველას აინტერესებდა ამ საქმის არსი და, რაც მთავარია, სახელგანთქმული იურისტის მექი ფაღავას გამოსვლა. მაგრამ მოხდა ისე, რომ სხდომა დიდხანს არ გაგრძელებულა და სულ მალე შეწყდა.

საქმე ის იყო, რომ მექი ფაღავა სასამართლოზე ძალიან მკვახედ გამოვიდა, რაც, რასაკვირველია, მოსამართლეს არ მოეწონა. მან შენიშვნა მისცა ადვოკატს და თანაც გააფრთხილა. ეს საგუბერნიო ქალაქიდან ჩამოსულმა სტუმარმა იუკადრისა და სიტყვა შეუბრუნა, გაგულისებულმა მოსამართლემ მას დარბაზი დაატოვებინა. დარბაზიდან გაძევებული ვექილი პროცესზე აღარ დაბრუნებულა, თუმცა მერე ბევრი ეძებეს, მაგრამ ამაოდ...

როგორ დამთავრდა ეს საქმე, არ მახსოვს, მაგრამ მიხეილ საბახტარაშვილი, მგონი, მალე დარწმუნდა თავის უნიადაგო გაფიცხებაში და მიანება თავი.

მიუხედავად იმისა, რომ თეატრის შენობა არ გვქონდა, ფოთში კულტურული ცხოვრება, ასე თუ ისე, თავისი გზით მიდიოდა. ერთხანს მე იქ დრამატული საზოგადოების თავმჯდომარეც ვიყავი და ხანგამოშვებით წარმოდგენებსაც ვდგამდით იმავე „კომეტას“ დარბაზში.

ერთხელ მეუღლესთან ერთად ავქსენტი მეგრელიძემაც მიიღო მონაწილეობა ერთ-ერთ სპექტაკლში და – მისივე ინიციატივით, სუფსაშიც ჩავედით ამ წარმოდგენის საჩვენებლად. მოვაწყვეთ დიდი აკაკის ხსოვნის საღამო და მისივე „პატარა კახიც“ დავდგით; დრამატული საზოგადოების სახელით დავესწარით ვალერიან გუნიას იუბილეს თბილისში და სათანადო მისალმებითაც გამოვედით; დავესწარით აგრეთვე აკაკი წერეთლისა და ირ.ევდოშვილის დაკრძალვებს.

შემდეგ ჟურნალისტურ მოღვაწეობასაც მოვკიდეთ ხელი: გამოვუშვით გაზეთი – ყოველკვირეული ორგანო „ამხანაგი“. გამოვიდა გაზეთის მხოლოდ ხუთი ნომერი, რომელიც დღეს ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა. თუ არ ვცდები, წესით მისი ცალები უნდა მოიძებნებოდეს საჯარო და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებში, აგრეთვე, თვითონ ფოთში. მახსოვს, იოსებ გრიშაშვილსაც გამოვუგზავნეთ მისივე წერილობითი თხოვნით და მიკვირს, რომ მის ბიბლიოთეკაში ეს ნომერი არ აღმოჩნდა. გრიშაშვილის ეს წერილი დღესაც ინახება ჩემს ოჯახურ არქივში. მეც მქონდა ამ გაზეთის ნომრები, მაგრამ ცნობისმოყვარეთა ხელიდან ხელში ,,ბრუნვის” დროს, სამწუხაროდ, დაიკარგა.

სიამაყით უნდა ითქვას, რომ ფოთელი ინტელიგენციისათვის ჟურნალ გაზეთების ჯიხური იმდენად საყვარელი და აუცილებელი რამ გახლდათ, რომ უმისოდ ერთი დღეც არ შეგვეძლო გაძლება. დაუვიწყარია ჯიხურში მომუშავე ვასო ქადეიშვილისა და სიმონ ორაგველიძის სახელები. ქართული წიგნის ამ დიდი მოტრფიალეების მეცადინეობით ჯიხურებში მუდამ ეწყო მრავალი დასახელების წიგნი, ჟურნალ გაზეთები, სხვა სახის პერიოდული გამოცემები, რასაც ჩვენ ხარბად ვეტანებოდით.

ქალაქის ცენტრში ერთ-ერთ მთავარ ქუჩაზე, ბულვარის პირზე მოთავსე-ბული ჯიხური იყო ჩვენი კლუბიც და გასართობიც.

მის პირდაპირ, გურიის ქუჩის კუთხეში მდებარე რესტორანი „მაკედონია“ კი – იმათთვის, ვისაც უყვარდა ნარდი, ყავა და სხვა ამგვარი გასართობი. ისინი ისხდნენ რესტორნის განიერ დარბაზში ან რესტორნის გარეთ პირდაპირ ტროტუარზე და თამაშობდნენ ნარდს, სვამდნენ ყავას. უფრო კი ოხუნჯობით და ენამოსწრებულობით ირთობდნენ თავს.

დიახ, ჩემთვის საყვარელი ქალაქი იყო ფოთი, იქაური მეგობრები, ჩემი სახლი და კარი. ვერასოდეს ვიფიქრებდი, თუ აქედან ოდესმე სამუშაოდ სხვაგან გადავიდოდი. მაგრამ იმ დროისათვის წამოჭრილმა ლოზუნგმა - „თბილისისაკენ ქართველები!“ – მეც მაცდუნა და ქართლის გულისაკენ მაქნევინა პირი.

ა.იაგულოვის შემდეგ ფოთის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორად მიიწვიეს მაშინ სრულიად ახალგაზრდა პედაგოგი სერგი დანელია – ერთ დროს თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი, ჩემი მეგობარი მოსკოვის უნივერსიტეტიდან. მას კარგად ახსოვდა ჩემი ენთუზიაზმი და დაუზარელი საქმიანობა სტუდენტურ ლიტერატურულ წრეებში და ამიტომ გიმნაზიაში ქართული ენა ლიტერატურის მასწავლებლობა შემომთავაზა. არასოდეს დამავიწყდება გიმნაზიელთა დიდი სიხარული და აღტაცება ქართული ლიტერატურის კურსის შემოღებასთან დაკავშირებით, რაც დიდი მოვლენა იყო არა მხოლოდ ფოთელი საზოგადოების ცხოვრებაში...

ფოთის გიმნაზია ის დიდი სასწავლო კერა იყო, რომელმაც არაერთი გამოჩენილი მოღვაწე აღუზარდა სამშობლოს, მათ შორის მინდა დავასახელო: აკადემიკოსები ნიკოლოზ ანთელავა, შალვა ამირანაშვილი, ეგნატე ფიფია,

ალექსანდრე ბარამიძე, პროფესორები – იასე ცინცაძე, ვლადიმერ ზამბახიძე, ვლადიმერ ცომაია, სახალხო მხატვარი აპოლონ ქუთათელაძე – სხვანი და სხვანი. მათი სახელებით მუდამ იამაყებს ჩვენი ქვეყანა. და მეც უზომოდ კმაყოფილი ვარ, რომ მოღვაწეობა მომიხდა იმ უბრწყინვალეს სასწავლო დაწესებულებაში, რომლის დაარსების ერთ ერთი ინიციატორი ნათლით მოსილი ნიკო ნიკოლაძე გახლდათ.

თათბირზე მეფისნაცვალთან

ერთხელ ჩემთან ნიკო ნიკოლაძის მსახური მოვიდა და გადმომცა მისი თხოვნა, ერთი მეტად აუცილებელი და მნიშვნელოვანი საქმის გამო მასთან მივსულიყავი. აღნიშნულ საქმეზე თბილისიდან საგანგებოდ ჩამოსულიყო სპირიდონ კედია. მე მივატოვე ჩემი საქმეები და კოშკში წავედი. ეს იყო 1916 წლის დამდეგი. კაბინეტში ნიკოსთან ერთად სპირიდონ კედიაც დამხვდა, რომელსაც მანამდეც კარგად ვიცნობდი.

- ბატონო ვლადიმერ, თბილისიდან მეტად მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საქმის გამო ბატონი სპირიდონია ჩამოსული, - მისვლისთანავე მომმართა ბატონმა ნიკომ, - და რაც ჩვენზეა დამოკიდებული, აუცილებლად უნდა გავაკეთოთ.

თურმე საქმე შემდეგში იყო: მეფისნაცვალს კავკასიაში ერობის შემოღება გადაუწყვეტია და იმ დასკვნამდე მისულა, რომ ეს საკითხი თვით ადგილობრივ წარმომადგენლებს უნდა გადაეწყვიტათ.

თათბირზე მიწვეულნი იყვნენ გუბერნატორები, თავადაზნაურთა წინამძღოლები და მარშლები, სასულიერო წოდებათა უმაღლესი წარმომადგენლები, ქალაქის წარჩინებულნი, საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარეები, ვაჭართა და მრეწველთა მსგავსი შენაერთების ხელმძღვანელები, საზოგადოებათა დეპუტატები.

საჭირო იყო თათბირზე უმეტესად ქართველთა მოწვევა. ამას ჩვენი მეთაურებიც ცდილობდნენ.

ვინაიდან ქალაქის თავების სიაში მათი ფოთელი კოლეგა არ მოხვედრილიყო, თათბირზე ერთი ხმა გვაკლდებოდა. საჭირო გახდა რაღაც ფორმის გამონახვა და მაგიერი დეპუტატის მოყვანა.

სპირიდონ კედიაც ამ მიზეზით იყო ფოთში ჩამოსული. ბატონმა ნიკომ გონების თვალით გადახედა ფოთის საზოგადოებრივ ცხოვრებას და იქ ე. წ. საბირჟო კომიტეტი გამოარჩია. კომიტეტს ფორმალურად დიდი უფლებები ენიჭებოდა, რადგან ერთად აერთიანებდა ადგილობრივ ვაჭრობასა და მრეწველობას. ეს კი უთუოდ მნიშვნელოვანი ძალა იყო.

ასეთი კომიტეტები უფრო დიდ ქალაქებში - თბილისში, ბათუმში, ნოვოროსიისკში მოქმედებდნენ და ღირსეულ საქმეებსაც აკეთებდნენ. ნიკო ნიკოლაძის ინიციატივით, ფოთშიც დაარსდა მსგავსი კომიტეტი, რომლის თავმჯდომარეებად მუდამ კარგი სახელის მქონე მრეწველებს ირჩევდნენ. 1914 წელს, როცა მე ფოთის ადგილობრივი ბანკის თავმჯდომარედ დავიწყე მუშაობა, ბატონი ნიკო გამენდო, რომ მალე ჩატარდებოდა ფოთის საბირჟო კომიტეტის წევრთა საერთო კრება, რომლის თავმჯდომარედაც ჩემი არჩევა გადაეწყვიტა. თან

გამაფრთხილა, რომ სათანადოდ მოვმზადებულიყავი, რათა ყრილობის დროს, კომიტეტის მუშაობასთან დაკავშირებით, საქმის არსში საფუძვლიანად გავრკვეულიყავი.

რაღა ბევრი გავაგრძელო - ჩატარდა ყრილობა და კომიტეტის თავმჯდომარედაც ამირჩიეს.

საბირჟო კომიტეტის ბაზა იმავე საურთიერთო ნდობის ბანკის ბინაშივე მოვაწყვე და გამოგზავნილი წერილები სულ იქ მოდიოდა. მაგრამ საბირჟო კომიტეტში დასამუშავებელი საკითხები ათასში ერთხელ თუ გამოჩნდებოდა. გამგეობის კომიტეტის წევრებად უფრო ფოთის მსხვილი ვაჭრები და მრეწველები ითვლებოდნენ, რომლებიც საბირჟო საზოგადოების წევრთა მიერ იყვნენ არჩეულნი.

მე არაერთხელ მიმიმართავს ბატონ ნიკოსათვის იმის თაობაზე, რომ საბირჟო კომიტეტის ფუნქციები ხშირად ბანკის ზოგიერთ ფუნქციებს ემთხვეოდა, ეს კი ზედმეტად მეჩვენებოდა. მაშინ ბატონი ნიკო გაკვირვებული მეტყოდა ხოლმე: - რას გიშლის, ბატონო, ბანკიც იყოს და ისიც. მას დიდი უფლებები აქვს ჩვენს „ჟამთა სიავეში“ და დაგვჭირდება მისი გამოყენებაც.

მართლაც, თუ სადმე საზოგადოების წარმომადგენლობა იყო საჭირო, ქალაქის თავის მერე საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარეს პირველ რიგში მოუწოდებდნენ ხოლმე. ეს საშუალებას მაძლევდა ისეთ დაწესებულებათა თათბირებში მიმეღო მონაწილეობა, რომლებიც სხვა დროს მიუწვდომელი იქნებოდა ჩემთვის.

ბატონმა ნიკომ დამავალა დეპეშის ტექსტის შედგენა მეფის ნაცვლის კანცელარიის დირექტორის სახელზე და უნდა მეთხოვა ჩემი თათბირზე გამოძახება.

დეპეშის შედგენაში თვითონაც დამეხმარა. ჩემს საბუთებში ახლაც ინახება ბლოკნოტი ჩვენი ერთობლივად შედგენილი ტექსტით, რომლის დიდი ნაწილი ბატონი ნიკოს ხელითაა დაწერილი.

მეორე დღესვე მოვიდა დადებითი პასუხი. მე თათბირზე მიწვევდნენ. ამან დიდი კმაყოფილება გამოიწვია ჩვენს საზოგადოებაში. ქუთაისის გაზეთმაც კი საჭიროდ მიიჩნია ამ ამბების ქრონიკაში დაბეჭდვა.

თბილისში ჩასულმა ძლივს ვიშოვე სასტუმრო. დავბინავდი რუსთაველის (მაშინდელი გოლოვინის) გამზირზე ახლანდელი კულტურის სამინისტროს შენობაში. სასტუმროს, მგონი, „პალე როიალი“ ერქვა; იგი ვიღაც სხირტლაძეს ეკუთვნოდა. რაკი მესამე წელია ომი მიმდინარეობდა და ეკონომიკაც საკმაოდ „შენჯღრეული“ იყო, ნომერში 4 მანეთს თუ მეტსაც მახდევინებდნენ; ეს მაშინ დიდ თანხად ითვლებოდა. მეორე დღეს საგანგებოდ ჩავიცვი „ვიზიტკა“ და სასახლეში (შემდეგში პიონერთა სასახლე) წავედი. შენობასთან მისულს შემეფეთნენ სოხუმის ქალაქის თავი ნიკო თავდგირიძე და ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ცნობილი ლიტერატორი და კრიტიკოსი კიტა აბაშიძე. დიდად მესიამოვნა მათი დანახვა. მივხვდი, რომ დეპუტატებად იქნებოდნენ თათბირზე. მაგრამ მათაც არანაკლებ გაეხარდათ ჩემი ნახვა.

- ჯერ ადრეა, ზუსტად 11 საათისათვის უნდა მოვიდეთ, - გამაფრთხილეს მათ, - ამ „ვიზიტკით“ არ მოხვიდე, თორემ არ შეგიშვებენ; საჭიროა ფრაკი ან სერთუკი მაინც.

გაფრთხილებისათვის მადლობელი დავრჩი. მაშინვე უკან გამოვბრუნდი შესაფერისი ტანსაცმლის საშოვნელად. შორსაც არ დამჭირვებია წასვლა: იქვე ქაშუეთის ეკლესიის პირდაპირ მზა ტანსაცმლის მაღაზია იყო. შევედი მაღაზიაში და ვიქირავე შესანიშნავი სერთუკი.

სასახლეში შემსვლელთათვის ე. წ. ჩრდილოეთის კარი იყო გათვალისწინებული; მეორე, ე. წ. სამხრეთის კართან მუდამ გუშაგი იდგა, რადგან აღნიშნული შესასვლელი მეფისნაცვლის, მისი ოჯახის წევრებისა და სტუმრებისათვის იყო გამიზნული.

დანიშნულ დროს დეპუტატთა ჯგუფი დიდი დარბაზის წინ სასახლის მარმარილოს განიერ კიბეებზე გამოჩნდა. მეორე სართულზე, მეუღლითურთ, ხმლით დამშვენებული მეფისნაცვალი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე იდგა. ჩვენ სათითაოდ მივყვებოდით ერთიმეორეს. მასპინძლები ხელს გვართმევდნენ და იმ დარბაზში გვიწვევდნენ, რომელსაც შემდგომ მენშევიკური ხელისუფლების დროს პარლამენტის სხდომათათვის იყენებდნენ.

იმ დილით, ანუ 1916 წლის 26 აპრილს, სხდომა არ შემდგარა, მხოლოდ საუზმეზე მიგვიწვიეს. სხდომის დარბაზში თათბირის 150 წევრისათვის სუფრა იყო გაწყობილი. ყველანი დაბეჭდილი სიების მიხედვით ვისხედით. სიები თეფშებზე ელაგა.

მე კიტა აბაშიძესა და პართენ გოთუას შორის მოვხვდი. ორთავეს კარგად ვიცნობდი და ამიტომ სუფრის დამთავრებამდე არ შეგვიწყვეტია ტკბილი მასლაათი.

სუფრის თავში მეფისნაცვალი და მისი თანაშემწე თავადი ორლოვი ისხდნენ; შემდეგ სენატორები, გუბერნატორები, თავადაზნაურთა წინამძღოლები, დიდი სასულიერო პირნი, მათ შორის – კალისტრატე ცინცაძე (შემდეგში სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი), სომეხთა და მუსულმანთა მეთაურნი, კოოპერაციის, ვაჭრობა-მრეწველობისა და კულ-ტურულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ხელმძღვანელები.

ფოთის ქალაქის თავი ნიკო ნიკოლაძე თათბირზე მოწვეული არ ყოფილა; მის მოვალეობას იმ დროს იურისტი გალაქტიონ ტყემალაძე ასრულებდა.

მინდა აქ მოვიყვანო იმ ზემოხსენებული დეპეშის ტექსტი, რომელიც ბატონ ნიკოს კარნახით დავწერე და თბილისში გავაგზავნე:

Тифлис. В Канцелярию Наместника ЕИВ на Кавказе. По проникщим в печать сведениям на совещание по введению земства на Кавказе, открываемое 26 апреля под председательством Его Императорского Высочества Наместника Кавказского, приглащены представители Закавказских Бирыевых комитетов кроме Потийского. Между тем район последнего заинтересован в рещении этого вопроса и не имеет на совещании никакого голоса, так как не приглащен на совещание и и.о. Потийского Городского Головы. Поэтому Потийский Биржевой Комитет имеет честь покорнейше просить Канцелярию, исходотайствовать благосклонное разрещение ЕИВ Наместника Кавказского на вызов в совещание представителя Потийского Биржевого Комитета. Председатель Джапаридзе, Секретарь Качарава.

როდესაც სტუმრები თავთავიანთ ადგილებზე დასხდნენ, მეფისნაცვალმა, რომელიც თხელი, კარგი აღნაგობისა და ვაჟკაცური შესახედაობის ჭაღარა მამაკაცი იყო, დამსწრეთ წინადადებით მიმართა – გაგვეგზავნა მისასალმებელი დეპეშა „მისი იმპერატორობითი უდიდებულესობისათვის“.

მინდა მოვიყვანო ის სიტყვები მაშინდელი ოფიციალური ენით, რათა უკეთ წარმოვიდგინოთ ერთგვარად შავრაზმული სურათი. მოგეხსენებათ, რომ ყოველ შინაარსს თავისი ფორმაც აქვს:

Представители всех народностей Закавказия... - просят повергнуть к стопам Вашего Императорского Величества воодушевляющие их искреннейшие чувства верноподданнической преданности и любви, და სხვა ასეთები.

... Слова телеграмм, и речё Августейщего представителя Совещания были покрыты восторженным ура всех участников Совещания...

და ასე, ამისთანა ბრტყელ ბრტყელი სიტყვები, მაგრამ მე დანამდვილებით ვიტყოდი, რომ „დალეკო ნე ვსეხ"; – „ურას" მხოლოდ „ჩინოვნიკები" იძახდნენ და ისიც უფრო დიდი თანამდებობის მქონენი: გუბერნატორები, გენერლები, მეფისნაცვლის საბჭოს წევრები და სხვადასხვა ტიტულიანი „სოვეტნიკები". საზოგადოებათა წარმომადგენლები კი თავშეკავებულად ისხდნენ და ამ აღტყინებაში, რასაკვირველია, მონაწილეობას არ იღებდნენ, თუმცა არც თავიანთ სულისკვეთებას ამჟღავნებდნენ და, მით უმეტეს, დემონსტრაციულ ხასიათს ვერ მისცემდნენ მას. ეს უაზრობა იქნებოდა.

როგორც კი ოფიციალური „ღრეობა" გათავდა, თათბირის მონაწილენი სასახლის ბაღში მიგვიწვიეს, რომელიც, ცხადია, დაცული იყო და, მეფისნაცვლის საბჭოს წევრთა გარდა, უცხო ვერავინ შევიდოდა. იქ თავისი დიდი ფოტოაპარატით დაგვხვდა ცნობილი თბილისელი ფოტოგრაფი კოზაკი და მეფისნაცვალთან ერთად თათბირის მონაწილეთა საერთო სურათი გადაიღო. ეს სურათი 1922 წელს მოვსპე, რადგან მეშინოდა, ასეთ საზოგადოებაში არავის ვენახე.

საღამო ხანს გაიხსნა თათბირის პირველი პლენარული სხდომა, სადაც მეფისნაცვალმა, ანუ იმ დღეს იგივე თავმჯდომარემ, წარმოთქვა დღის შესაფერისი სიტყვა. მას ოფიციალური სიტყვებით უპასუხეს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლმა თავადმა კოტე აფხაზმა და თბილისის ქალაქის თავმა ა.ი.ხატისოვმა.

საკითხთა განსახილველად აირჩიეს 4 სექცია თავიანთი თავმჯდომარეებითა და მდივნებით.

პირველ სექციას თავმჯდომარეობდა კოტე აფხაზი; მდივნობდნენ ბათუმის საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარე, ბუდუ მდივნის ძმა – სიმონ მდივანი და იასონ აფაქიძე.

მეორე სექციას თავმჯდომარეობდა ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი თავადი ნიჟარაძე და ბაქოელი თოფჩიბაშევი, ხოლო სამდივნო საქმეებს ვაწარმოებდით მე და ჩემი სკოლის ამხანაგი ქუთაისის რეალური სასწავლებლიდან ალექსანდრე ასათიანი, აგრეთვე, ვასილ რცხილაძე.

მე თითქმის ყველაზე ახალგაზრდა ვიყავი თათბირის მონაწილეთა შორის. მეფის რეჟიმისათვის ეს ბოლო თათბირი გახლდათ და ამიტომაც ასე დაწვრილებით ვიგონებ ყოველივეს, საკუთარი თვალით ნანახს.

თათბირზე ქართველ თავად აზნაურთა წარმომადგენლებს ღირსეულად ეჭირათ თავი. განსაკუთრებით გამოირჩეოდა თბილისის გუბერნიის, ანუ იგივე აღმოსავლეთ საქართველოს, თავადაზნაურთა წინამძღოლი კოტე აფხაზი. ის თავდადებული, ფართო განათლების, კეთილშობილი ადამიანი და მშობლიური ქვეყნის ერთი ბურჯთაგანი და დიდი საზოგადო მოღვაწე იყო. მის გამოსვლებს თათბირზე ყველა უდიდესი ყურადღებით უსმენდა.

დიდებული გარეგნობით გამოირჩეოდა აგრეთვე დავით ნიჟარაძეც. ეცვა ქართული ჩოხა და ზედ პოლკოვნიკის სამხრეები ეკეთა. წარმოსადეგი და რიხიანი ვაჟკაცი იყო, ცოტა ამაყი. ქალაქში ფეხით მოსიარულე არავის უნახავს, მუდამ ეტლით დაგრიალებდა. მამულები, მართალია, შემოხარჯვოდა, მაგრამ გულს მაინც არ იტეხდა.

ერთხელ, ქუთაისში, მე და ბატონი ნიკო თავად აზნაურთა დეპუტატების საკრებულოში მოვხვდით. დავით ნიჟარაძემ ოცდაათამდე კაცი მიგვიწვია თავის სახლში, გეგუთის ქუჩაზე. მე გამაკვირვა არა შესანიშნავმა სახლმა და ბაღმა, არამედ მდიდრულმა სუფრამ და თეთრ ხელთათმანებში გამოწყობილ ფარეშთა მომსახურებამ.

როცა დავითი ფაეტონით ეკლესიაში ჩაგრიალდებოდა ხოლმე, მთელი იქ მყოფნი ლოცავდნენ იმ ერს, რომელსაც შეეძლო, ამდენი ტანჯვის შემდეგ, კიდევ წარმოეშვა ასეთი ვაჟკაცი.

ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა დაგისახელოთ ის წიგნი, რომელიც იმ წელს დაბეჭდა მეფისნაცვლის კანცელარიამ: „Материалы по вопросу о введении земских учреждений в Закавказье. Труды Краевого совещания 26 апреля 1916 г. Т.1, часть первая. Журналы пленарных и секционных заседаний. Тифлис, 1916 г.“ ზემოთ დასახელებულ პირთა გარდა, თათბირზე იყვნენ: მარშალი დ.ჩოლოყაშვილი, წარმოსადეგი გარეგნობით ცნობილი ოთარ დადეშქელიანი, გიორგი და კონსტანტინე თუმანიშვილები, გურიელი, კოწია ერისთავი, პეტრე წულუკიძე და ელისაბედ წერეთლის ვაჟი პეტია წერეთელი. ყველა ესენი თავიანთი მაზრების თავად აზნაურთა მარშლები იყვნენ; პართენ გოთუა ცნობილი საზოგადო მოღვაწე გახლდათ; გიორგი ლასხიშვილი – სოციალ ფედერალისტთა ლიდერი და გაზეთ „ცნობის ფურცლის“ რედაქტორი; ილიკო ჩიქოვანი – ქუთაისის ქალაქის თავი; ევგენი კრინიცკი (დარახველიძე) – ბათუმის ქალაქის თავი; გიორგი ჟურული – შემდეგში ფინანსთა მინისტრი საქართველოს დემოკრატიულ მთავრობაში; ფილიპე გოგიჩაიშვილი – შემდეგში პროფესორი; სოლომონ მიქელაძე – ვექილი და ქუთაისელი საზოგადო მოღვაწე; ჩემი მეგობარი მოსკოვიდან, აგრონომი და ქართველი პატრიოტი – გიორგი გამხარაშვილი, საინგილოზე დაწერილი წიგნის ავტორი; ცნობილი ლიტერატორი იონა მეუნარგია; ცნობილი კოოპერატორი კოწია კანდელაკი, ვასილ რცხილაძე, სპირიდონ ვირსალაძე და სხვანი.

ამათგან ზოგს მანამდე ვიცნობდი, ზოგიც თათბირის მსვლელობაში გავიცანი. იქვე გავიცანი ჩვენი მოწინააღმდეგენი, მაგრამ თავიანთი ქვეყნების პატრიოტები: თბილისის ქალაქის თავი ალ.ივ.ხატისოვი, ისაკ მარკის ძე დოლუხანოვი, ბაქოელი ქრისტეფორე ვერმიშევი, ალი მაჰადან ბეგ თოფჩიბაშევი, ხან ხოისკი და კიდევ მრავალი სხვა. ორ მათგანს, ქუთაისის გუბერნატორ გულოვიჩსა და ბაქოს გუბერნატორ პოტულოვს, ადრეც ვიცნობდი. ვიცნობდი აგრეთვე ზემოხსენებული ოთარ დადეშქელიანის ძმას – ჯანსუღ (გიორგი) თენგიზის ძესაც, რომელიც იმ დროს დაღესტნის გუბერნატორი იყო - ულამაზესი ქერათმიანი ვაჟკაცი, ახოვანი, კეთილშობილი და მეტად თავაზიანი. მე ის ჯერ კიდევ ბავშვობიდან მახსოვდა, როცა იგი რაჭის მაზრის უფროსად მუშაობდა. მაშინ ახალგაზრდა გახლდათ, ახლა კი გადაღლილი მომეჩვენა, მაგრამ ეს გასაკვირი არც იყო, რადგან იმ ავადსახსენებელ იმპერიალისტურ ომში მან ორი ვაჟკაცის დაკარგვით გამოწვეული უბედურება იწვნია.

თათბირის მუშაობა უფრო სექციებში მიმდინარეობდა. უნდა გენახათ, როგორ ცხარობდნენ კამათში გამოსული ორატორები, როცა ისინი ერობის ამა თუ იმ ფორმების შემოღებაზე დავობდნენ. ქართველთაგან ყველაზე უფრო ცხარედ და უფრო ხშირადაც სოხუმის ქალაქის თავი ნიკო თავდგირიძე გამოდიოდა. ასევე, მხნედ და ვაჟკაცურად იცავდნენ თავიანთ პოზიციებს გიორგი ლასხიშვილი, პართენ გოთუა, ქუთაისის ქალაქის თავი ილიკო ჩიქოვანი, ექიმი სპირიდონ ვირსალაძე, ოქროპირად წოდებული კიტა აბაშიძე, იასონ აფაქიძე, გიორგი ჟურული, მიხეილ მაჩაბელი, გაზეთ „ზაკავკაზიეს“ რედაქტორი კონსტანტინე თუმანიშვილი, თბილისის მაზრის მარშალი დიმიტრი ჩოლოყაშვილი, აგრონომი ყაზახაშვილი, ინგილო გიორგი გამხარაშვილი და სხვები; უფრო იშვიათად გამოდიოდნენ: ცნობილი ლიტერატორი იონა მეუნარგია, ბათუმის ქალაქის თავი ევგენი კრინიცკი, იგივე დარახველიძე; აგრეთვე კონსტანტინე კანდელაკი, ვექილი ივანე ზურაბიშვილი. ეს უკანასკნელი მეტად წარმოსადეგი ვაჟკაცი გახლდათ, მგონი, ნიკო ნიკოლაძის სიძე იყო.

დანარჩენები კამათში არ გამოსულან, მხოლოდ კენჭისყრაში მონაწილეობდნენ. კოტე აფხაზი კი ჩვეულებრივ გამოდიოდა ხოლმე თავისი დინჯი და საქმიანი სიტყვით და ბოლოს უღებდა ამა თუ იმ სადავო საკითხს.

ბრძოლაში აქტიურობდა დავით ნიჟარაძეც, თუმცა ორატორობით მაინცადამაინც არ გამოირჩეოდა. იგი მხოლოდ ერთხელ გამოვიდა თავადაზნაურთა სახელით. ჩვენების პოზიციები ეკავათ განჯელ და ბაქოელ მუსულმანებს, რომელთა თვალსაჩინო წარმომადგენლებიც იყვნენ ფატალი ხან ხოისკი და ალი მაჰამად ბეგ თოფჩიბაშევი.

სომეხთა მხრივ პირველები იყვნენ ცნობილი თბილისელი ვექილი ისაკ მარკის ძე დოლუხანოვი და თბილისის ქალაქის თავი ხატისოვი. ორთავე თავიანთი ორატორობით იქცევდნენ დამსწრეთა ყურადღებას.

სექციებში ხშირად შემოდიოდა ხოლმე ამა თუ იმ საკითხებთან დაკავშირებული წინადადებები. ერთხელ მეც მოვაწერე ხელი კოტე აფხაზის, გენერალ გიორგი ყაზბეგის, კიტა აბაშიძის, სოლომონ მიქელაძის, ფილიპე გოგიჩაიშვილის, ვასილ დემიდოვისა და სხვათა ხელმოწერების გვერდით. ეს იყო საბუთი, რომელშიაც აღძრული იყო ზაქათალის (საინგილო) ოლქებში საერობო დაწესებულებათა საკითხები.

გიორგი გამხარაშვილმა წინადადება წამოაყენა, რათა თბილისის გუბერნიის საერობო ერთეულში შეეტანათ საინგილო, როგორც სამაზრო ერთეული. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ზოგიერთი მათგანი მხარს უჭერდა საინგილოს ცალკე ერთეულად გამოყოფას და, ამგვარად, მის საქართველოსაგან მოწყვეტას.

სომეხთა მხრივ ყურადღებას იქცევდა შუა ხნის ინტელიგენტი, განათლებული საზოგადო მოღვაწე, ერთ დროს თბილისის თავი, ბაქოელი ქრისტეფორე ვერმიშევი.

მე პირველად მიხდებოდა ასეთ დიდ საზოგადოებაში ყოფნა; ამიტომ ვცდილობდი, ყველაფერი აღმებეჭდა გონებაში და უყურადღებოდ არაფერი დამრჩენოდა. განსაკუთრებით დიდი იყო თათბირის მონაწილეთა სწრაფვა ეროვნული საქმეების მოსაგვარებლად.

დიდად ვწუხდი, რომ ასეთ დროს იქ არ იმყოფებოდა ნიკო ნიკოლაძეც, ეს „ჩვენი დიდი ფალავანი“ – ილიას სიტყვებით რომ დავახასიათო, „მძიმე

არტილერიით“ შეჭურვილი ადამიანი, რომელიც საბოლოოდ ანადგურებდა თავის მოწინაღმდეგეს.

ნიკო იმხანად მეფის მთავრობის მიერ პასუხისგებაში იყო მიცემული და ოფიციალურად ქალაქის თავიც აღარ იყო; ის მხოლოდ ფაქტიურად ხელმძღვანელობდა ფოთის ქალაქის საქმეს, ფორმალურად კი მის მოვალეობას მისი მოადგილე გალაქტიონ ტყემალაძე ასრულებდა. რომ არა ასეთი მდგომარეობა, ის უთუოდ დაესწრებოდა ამ თათბირს და თავისი დიდი ავტორიტეტით ბევრ კარგ საქმეს გააკეთებდა.

ფოთში დაბრუნებულმა ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე ბატონ ნიკოს. როდესაც ჩვენი დეპუტატების გამოსვლებზე ვუყვებოდი, მას თვალები უბრწყინავდა, მოსწონდა მათი ეროვნული პოზიცია, მაგრამ არანაკლები ქებით იხსენიებდა მათ მოწინააღმდეგეებს: ხატისოვს, დოლუხანოვს, ვერმიშევს, როგორც თავიანთი ერის ერთგულ გუშაგებს: - ბატონო, ჭკვიანები არიან, თავისი ხალხისათვის მუშაობენ, მოქმედებენ, თავს არ იზოგავენ, მომავალს ემსახურებიან; ერთი სიტყვით, საზოგადო მოღვაწეები არიან. დიდი თუ პატარა, თავისი ქვეყნის პატრიოტები არიან. ჩვენც რომ ასე ვიბრძოდეთ, ვინ გაგვტეხდა, ვინ გვაჯობებდა უკეთესი მომავლის აშენებაში? ჩვენი ხალხი ნიჭიერია, მაგრამ ნიჭს სწორი გზა უნდა, სწორი მიმართულება; აი, მაშინ შედეგიც სასურველი იქნება! თორემ რას ჰგავს ეს: ერთი ალთას მიიწევს, მეორე – ბალთას! ჩვენ გაერთიანება გვჭირდება, ერთი ხელმძღვანელი გვინდა. ვნახოთ, ეგება ეს ერობა მაინც მოგვეშველოს! თუკი მისი შემოღება დასცალდათ!... მაგრამ არც ისე კარგადაა აწყობილი ჩვენი პოლიტიკური ცხოვრება, როგორც გვარწმუნებენ ხოლმე.

მაგიდაზე ქართულ და რუსულ ჟურნალ გაზეთებთან ერთად, საფრანგეთიდან, ინგლისიდან და ამერიკიდან მიღებული ჟურნალგაზეთებიც ეწყო. როგორც დიდი ადამიანი, ნიკო ვერ ეტეოდა ვიწრო ჩარჩოებში და მას მთელი მსოფლიოს კულტურული ამბები აინტერესებდა.

- ვნახოთ, როგორ დამთავრდება ეს დიდი შეხლა! სინათლეს მაინც მოჰფენს ჩვენს ცხოვრებას!... ვნახოთ, ვნახოთ!... მომავალი გვიჩვენებს. ის არც ისე შორსაა, როგორც ზოგიერთს ჰგონია! – ამბობდა ბატონი ნიკო დარწმუნებით.

ჰოდა, კიდევ უფრო სარწმუნო და შთამბეჭდავი ხდებოდა ამ დიდი მოაზროვნის ნათქვამი. მოკრძალებით ვუსმენდი მის საუბარს და ვცდილობდი, არაფერი გამომრჩენოდა...

72 წლის კაცი ახალგაზრდულად გამოიყურებოდა; იშვიათად გამოდიოდა გარეთ და როცა გამოდიოდა, სალამს ვერავინ დაასწრებდა.

ასეთი იყო ბატონი ნიკო ნიკოლაძე – ქართველი ხალხის ერთგული და ღირსეული შვილი.

ირადიონ ევდოშვილი ფოთში

მეოცე საუკუნე ახალი დაწყებული იყო. მოწაფე ვიყავი, მაგრამ იმდენად მოჩიტული, რომ ახალ თაობაში წილი მედო.

მაშინ რევოლუციის ხანა იყო და მოსწავლეებიც დროის შესაფერი ლიტერატურით ვიკვებებოდით. ნაბეჭდი წიგნები არ გვქონდა და პოპულარულ ნაკალმარს ერთმანეთისაგან ვიწერდით.

ჩემი ბავშვური წარმოდგენით ბევრი რამ იყო საინტერესო რევოლუციურ პოეზიაში, მაგრამ ყველაზე უფრო იროდიონ ევდოშვილის ლექსი „მეგობრებო, წინ, წინ გასწით“ მიყვარდა.

იმ ვითარებაში მე არ მეგულებოდა სხვა ლექსი, რომელშიც ასე შთამაგონებლად და მგზნებარებით, ასე სხარტად ყოფილიყო გადმოცემული რევოლუციური ბრძოლისკენ მოწოდება.

უნდა აღინიშნოს, რომ იმდროინდელი ქართველი ავტორების ნაწერთა გამოცემის საქმე ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე. ჩვენში მოწინავე ოჯახებში თუ ნახავდით ილიას, აკაკის, ვაჟასა და ყაზბეგის ცალკეულ ნაწარმოებთა წიგნებს. მათ ერთად თავმოყრილ ნაღვაწთა გამოცემებზე ოცნებაც არ შეგვეძლო. აი, ასეთ პირობებში რა იმედი უნდა მქონოდა, რომ ახალგაზრდა პოეტის ევდოშვილის ლექსებს ცალკე წიგნად დაბეჭდილს ვნახავდი, მაგრამ ვნახე და თანაც რუსი მეზობლის – ულიანოვსკის ოჯახში. ეს იყო პატარა ზომის თხელი წიგნი, იაფფასიანი გამოცემა, რომლის გარეკანზე პოეტის სურათი იყო მოთავსებული. ულიანოვსკაიას, მოხუცებულ ქვრივ ქალს ორი ქალიშვილი და ერთი ვაჟი ჰყავდა. ზუსტად არ მახსოვს, რუსები იყვნენ თუ პოლონელები, მაგრამ ქართულად კარგად ლაპარაკობდნენ და ქართულ ოჯახებთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ.

მიშა ულიანოვსკი ჯერ ისევ მოწაფე იყო, მაგრამ, რომ იტყვიან, თავდადებული რევოლუციონერი. მან იმ მგზნებარე დროის შესაფერისი ბევრი ლექსი იცოდა ზეპირად, მათ შორის ქართული ლექსი „მეგობრებო“. ვთხოვე, გადამიწერემეთქი.

- მე მაგის წიგნიც მაქვს, - მითხრა მიშამ.

- როგორ, - გავიკვირვე მე. –ევდოშვილის წიგნი გაქვს?

- ჰო, გინდა, გიჩვენო და გათხოვო კიდეც?

მიშა საჩქაროდ შეტრიალდა შინ და წიგნი გამოიტანა.

დიდხანს ვიდექი ხმაამოუღებლად და სიხარულით ვფურცლავდი ამ იშვიათ გამოცემას.

რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ და ახლაც მიკვირს, როგორ მოხვდა ის იშვიათი წიგნი ულიანოვსკების ოჯახში იმ დროს, როცა ბევრს მისი ნახვაც კი ნატვრად ჰქონდა გადაქცეული. ევდოშვილის „მეგობრებო“ იმდენად პოპულარული იყო, რომ, როგორც იტყვიან, ყველას პირზე ეკერა.

ქუთაისის სასწავლებლის დამთავრებისა და იქიდან წასვლის შემდეგ ევდოშვილის ლექსების წიგნი მე აღარსად შემხვედრია. არც მის ავტორზე გამეგონა რამე და ცხოვრების პირობების შეცვლასთან დაკავშირებით ყველაფერი თითქოს ერთგვარ დავიწყებასაც მიეცა.

1907 წლის შემოდგომაზე, წიწამურის ტრაგედიის დღეებში კვლავ გაიელვა პოეტის თითქმის მივიწყებულმა სახელმა. ის დღეები იყო, როცა მთელი ერი, საერთო რისხვით შეკრული, ჯალათებისადმი ზიზღით აღვსილიყო. იროდიონ ევდოშვილიც, რომელიც დიდი ილიას ეროვნულ იდეებზე იყო აღზრდილი, მოწინავეთა რიგებში ვიხილეთ: „ვისაც უნდა, ის გაჩუმდეს, მე არ ძალმიძს მოთმინება, თვით კალამი ბრაზ ნაღველით ათრთოლდა და ილესება“, - წერდა პოეტი.

იმხანად მოსკოვის უნივერსიტეტში ვსწავლობდი და კარგად მახსოვს ქართველი სტუდენტების ერთსულოვანი აღშფოთება და თან ის დიდი აღფრთოვანებაც, პოეტ ირეოდიონ ევდოშვილის გულწრფელი, თავდადებული გამოსვლები რომ იწვევდა.

იმ დღეებში პოეტი ტრიბუნი, პოეტი მოქალაქე ირეოდიონ ევდოშვილი კიდევ უფრო მეტად ამაღლდა სტუდენტების თვალში, ყველგან მასზე იყო ლაპარაკი, მის ლექსებს კითხულობდნენ.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ჩვენს სათვისტომოში ისეთებიც იყვნენ, რომლებსაც სრულებით არ მოსწონდათ პოეტის ასეთი გამოსვლები. ის ამით თითქოს პროლეტარულ მოტივებს უარყოფდა და ნაციონალისტების ბანაკში გადადიოდა.

1909 წელს თბილისის გაზეთ „ზაკავკაზიეში“, რომელიც მოსკოვში მოგვდიოდა, ამოვიკითხეთ ევდოშვილის შორეულ ჩრდილოეთში გადასახლების ამბავი, რაც თბილისის გუბერნატორის განკარგულების საფუძველზე მომხდარა.

1916 წლის გაზაფხული იდგა. როგორც არაერთხელ მოგახსენეთ, მაშინ ფოთში ვმუშაობდი. და აი, ერთ დღეს ჩვენს დაწესებულებაში გვეწვია ფრიად პატივსაცემი პიროვნება - ნიკო თავდგირიძე, რომელიც იმ დროს ერთ ერთი პოპულარული ქართველი საზოგადო მოღვაწე იყო. ნიკო სოხუმში ცხოვრობდა და ერთხანს ქალაქის თავის მეტად საპატიო თანამდებობაც ეკავა, იმ ხანად კი სოხუმის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში გამგეობის თავმჯდომარე გახლდათ.

ჩვენს დაწესებულებებს საქმიანი ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან, რის გამოც ნ.თავდგირიძის მოსვლა არ გაგვკვირვებია, მაგრამ საუბრისას გამოირკვა, რომ იგი თურმე თბილისში მიემგზავრებოდა, სადაც სოხუმიდან ავადმყოფი პოეტი ევდოშვილი მიჰყავდა.

პოეტ ევდოშვილის ხსენებაზე ყველა სმენად გადავიქეცით. პირადად მე ძალზე დავინტერესდი ამ ამბით, რადგან, კარგა ხანი იყო, აღარაფერი გამეგონა მასზე.

გამოირკვა, რომ ავადმყოფი პოეტი ბოლო დროს სოხუმში მკურნალობდა, მაგრამ მისი ჯანმრთელობა კიდევ უფრო გაუარესებულიყო და აუცილებლობა მოითხოვდა მისთვის ადგილის გამოცვლას. თვითონ ავადმყოფსაც თბილისში დაბრუნება უთხოვია. პოეტის სოხუმიდან თბილისში წაყვანა ნ.თავდგირიძეს უკისრია, ფოთში ჩამოსვლისას მან ჩვენთან შემოიარა, მეგობრებიც გვინახულა და საყვარელი პოეტის ამბავიც შეგვატყობინა.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მაშინ სოხუმის ცენტრთან დამაკავშირებელი რკინიგზა არ არსებობდა (გაიყვანეს 20 იან წლებში). ამიტომ სოხუმიდან თბილისში მიმავალი მგზავრები ჯერ ფოთში უნდა ჩამოსულიყვნენ ზღვით და მერე იქიდან თბილისში მატარებლით წასულიყვნენ. ჩვენი სოხუმელი მგზავრებიც ასე მოქცეულიყვნენ და ფოთში ჩამოსულები თბილისის მატარებელს ელოდნენ.

პოეტ ევდოშვილის ფოთში ყოფნის ამბავი ერთბაშად გავრცელდა მუშებსა და ინტელიგენტებს შორის. ბევრმა მოინდომა მისი ნახვა, მაგრამ გემით მგზავრობისაგან ავადმყოფი ძალზე დასუსტებულიყო და ხალხის მიღების თავი არ ჰქონდა, ამიტომ ჩვენი დაწესებულებიდან თავდგირიძეს ვაგზალზე რამდენიმე პირიღა გავყევით: მე, გამგეობის წევრი ვანო დიდია და ქალაქის

გამგეობაში მომუშავე პოპულარული მოღვაწე - ცხრაასხუთელი რევოლუციონერი მიხა ესაკია.

- ძვირფასო ეროდიონ, ხედავ, რამდენი მეგობრები გყოლია ფოთში! – შესძახა მან თავისი რიხიანი ხმით, როცა ვაგზლის ბაქანზე გავედით და იქვე მდგარი პოეტის საწოლს თავს წავადექით. - როგორც კი შენი აქ ყოფნის ამბავი გაიგეს, ყველამ შენი მონახულება მოისურვა, მაგრამ, რომ ვუთხარი მგზავრობით დაღლილი იყავი, თავი შეიკავეს, თუმცა თავიანთი წარმომადგენლები მაინც გამოგზავნეს.

ნიკოს ხმაზე სკამ ლოგინზე მწოლიარე ეროდიონმა ოდნავ წამოიწია და ნაღვლიანი თვალები გაკვირვებით შემოგვანათა, მაგრამ მალე ისევ მილულა.

სულის კვნესა ისმოდა მისი ნაღვლიანი სახიდან და გამხდარი სხეულიდან. გული მეტკინა და ხმის ამოღების ხალისიც, როგორც ყველას, მეც წამერთვა.

თვითმპყრობელობის ციხეებსა და გადასახლებებში ნატანჯი და ნაწვალები, ჭლექით შეპყრობილი, ღონემიხდილი პოეტი დაუძლურებული ესვენა საწოლზე და ნაღვლიანი თვალებით ხმაამოუღებლად მისჩერებოდა სივრცეს. გამახსენდა მისი ლექსიდან ასეთი სტრიქონი – „მე ფერფლიღა ვარ ცეცხლზე დამწვარ სალამურიდან.“

მალე მატარებელიც ჩამოდგა და ავადმყოფი ვაგონში შევიყვანეთ. იქ რბილ საწოლზე მოვათავსეთ და ერთხანს მის ახლოს მდუმარედ ვიდექით, მერე ისევ უხმოდ და ულაპარაკოდ ჩამოვედით ბაქანზე.

პოეტის ნახვის მსურველები მაინც მოსულიყვნენ და ბაქანზე მოეყარათ თავი. მათ შორის იყვნენ ქალაქის საბჭოს დეპუტატები. ვიდექით დაღვრემილნი და უმწეონი საყვარელი პოეტის ასეთი უნუგეშო მდგომარეობის გამო.

მეორე დღეს მე და ვანო დიდია ფოთში თბილისიდან დაბრუნებულ ქალაქის თავს, ნიკო ნიკოლაძეს ვესტუმრეთ და ვუამბეთ ევდოშვილის სოხუმიდან ფოთში გამოვლის ამბავი. ბატონმა ნიკომ სინანული გამოთქვა, რომ, სამწუხაროდ, იმ დღეს ფოთში არ იმყოფებოდა და საშუალება არ მიეცა შეხვედროდა ავადმყოფ პოეტსა და ნიკო თავდგირიძეს.

სულ ორიოდე კვირა არც კი იყო გასული, რომ პოეტის გარდაცვალების ცნობა მივიღეთ. დაკრძალვაზე ჩამოსული ფოთის დელეგაციის წევრთა შორის მეც ვიყავი.

ქაშუეთის ეკლესიის გალავანი და მოსაზღვრე ქუჩები სავსე იყო ხალხით, მათ შორის საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული დელეგაციებით. ბევრი რამ ითქვა საზრიანი და გულში ჩამწვდომი, მაგრამ ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ცნობილი ექიმის ივანე გომართელის შინაარსიანმა სიტყვამ. მან აღნიშნა, რომ ეროდიონ ევდოშვილმა თავის სამშობლოსა და მშრომელ ხალხს მარტო შემოქმედება კი არ მიუძღვნა, თავისი ჯანმრთელობა და სიცოცხლეც ანაცვალა. მშობლიური ქვეყნის ბედნიერებისთვის საკუთარი ნებით დაიდგა მოწამეობრივი გვირგვინიო.

მშვენიერი სიტყვა თქვა ქართველ ებრაელთა წარმომადგენელმა დავით ბაზოვმაც. მეხსიერებაში ამ სიტყვის რამდენიმე ფრაგმენტიღა შემომრჩა: „- იტირეთ ეროდიონ ევდოშვილი, ხალხნო და ჯამაათნო, ოღონდ მხოლოდ თვალით და არა გულით, - ამბობდა შავ ტანსაცმელში გამოწყობილი ვაჟკაცი, ამბობდა კი არა, უფრო მღეროდა, როგორც ეს ძველ ბიბლიურ ორატორებს

სჩვეოდათ წარსულში. – იტირეთ თვალით და არა გულით, რამეთუ იგი გმირია და ამიერიდან სამუდამოდ არის გაბრწყინებული ხალხის გულში უკვდავების სხივებით. გულით იტირეთ მხოლოდ ის, ვინც თავის ერს განზე გასდგომია...“

ქუჩებში დიდუბის პანთეონამდე ხშირად გვხვდებოდნენ ჯგუფ ჯგუფად მდგარი ახალგაზრდები, მუშები, ინტელიგენტები, პოეტის დამფასებლები, რომლებიც მწუხარე დუმილით უერთდებოდნენ პროცესიას.

ღრმა შთაბეჭდილებით დავბრუნდით პანთეონიდან. მეორე დღეს გაზეთ „ზვირთის“ რედაქციაში შევიარე და პატარა წერილი დავტოვე პოეტის დაკრძალვის გამო. წერილი სულ მალე დაბეჭდეს. იმ გაზეთს დიდხანს ვინახავდი, რადგან საინტერესო ბევრი რამ იყო მის ფურცლებზე და, მათ შორის, ჰაზირას კარგად მოზრდილი მუხამბაზი: „წადი, წადი, ნუღარ მოხვალ, შე ოხერო მარტის თვეო,“ რამდენიმე წერილი ევდოშვილზე და მის პოეზიაზე, „არჩილ ჯორჯაძის ნაწერებიდან,“ „მუშათა ცხოვრება“ და სხვა, მაგრამ შემდეგ იგი ი.ევდოშვილის სახლ მუზეუმს გავუგზავნე საჩუქრად.

ეროდიონ ევდოშვილმა თავისი შემოქმედებით ბევრი რამ ახალი შესძინა ჩვენს ლიტერატურას.

ეროდიონ ევდოშვილის ღვაწლი ღირსეულად დააფასა ჩვენმა ხალხმა. მშობლიური ლიტერატურის ისტორიაში მას საპატიო ადგილი მიუჩინა.

პოეტის დასაფლავების მეორე დღეს გაზეთ „ზვირთის“ 1916 წლის 16 მაისის ნომერში დაიბეჭდა ჩემი წერილი: „ირ.ევდოშვილის დაკრძალვაზე“ (შთაბეჭდილებანი), რომლის ნაწყვეტებსაც შემოგთავაზებთ ჩემი მოგონების დასასრულს:

კვირა. რვა მაისი. დილიდან მშვენიერი მზიანი, ხალისიანი დღე ეპირებოდა... ქვაშვეთის ეკლესიის გალავანი, რომლის სივრცე უკვე ხალხით გაჭედილიყო, მოწიწებით მოელოდა მგოსნის დახუჭულ თვალთა უკანასკნელ ხილვას. წარბებშეკრულნი შევედით მე და ერთი ჩემი მეგობარი გალავანში და ხალხის შავ ტალღას შევერიეთ...

აგერ ზარებმაც გულ საწვავად დაიწკრიალეს და... ეკლესიის სიღრმიდან შავ ტალღათა ქეჩოზე ჟამისფერი კუბოც გამოჩნდა ტივტივით..

კუბო...

ეს სულის შემზარავი სიტყვა! გულის მოსაკლავი სანახაობა! ეროდიონმაც თქვა: „...ჩავსცქერი კუბოსო“ ო, „შიგ ბადრი მთვარე ნარნარებს, სტკბება“ ო...

სიცოცხლით გამწარებულ მგოსანს ამ კუბოდან „სატრფოც კი ეალერსებოდა“ თითქოს...

გამოჩნდა კუბო, მას აცრემლებული კვნესაც მოსდევდა თან.

ონელ რაბინის სიტყვამ ღრმა წარსულში გადამისროლა, წინ თითქო სულ სხვა სურათი გადამიფინა... სამხრეთი... პაპანაქება სიცხე... გადამწვარი, ოქროსფრად გამომყურე, უფოთლო და უბალახო ქედები და... იქვე კი ქვაზე შემდგარი, ფეხშიშველი, სახედამწვარი და თმა წვერ გაბუწული ხალხის მასწავლებელი, რომელიც აღგზნებული სიტყვებით ზღვა ხალხს ცეცხლოვან სიტყვებს ესროდა...

შორს კი... ხშირი მიწურებით მოფენილი, ჩაფიქრებული, დაღვრემილი ებრაული ქალაქი.

რაბინ ბააზოვის გულსაკლავი სიტყვებით, იერუსალიმი, ბეთლემი თუ ნაზარეთი სევდიანი სიკაჟით იყო სავსე. ის იყო მწარე კვნესა, ვითა ტირილი ბაბილონის მდინარისა პირს...

მერე ისევ ტფილისი, ისევ ქუჩა, ისევ ზღვა ხალხი და ამოძრავებულს შავ ტალღათა ქეჩოზე კიდევ მოტივტივე ჟამისფერი კუბო.

სამარადისო დასვენების ადგილს მიეჩქაროდა ირადიონის უკვე მარადის დასვენებული გვამი.

თვალწინ გადამეშალა ის წარსული დრო, როდესაც მკვეთრი და გაბედული ლექსი პირველად ესმა ჩემს ყურს... გამახსენდა ბავშვობა, ქუთაისი, სასწავლებელი, ყველა ის ჩემი პატარა ამხანაგი, ვისთან ერთადაც შევიყვარე ირადიონის ნათელი პოეზია.

„ მეგობრებო, წინ, წინ გასწით,
ნუ შედრკება თქვენი გული,
დე, მკერდს სისხლის დაღი აჩნდეს
და შუბლს ოფლის ნაკადული!“

დიდუბეს რომ მივუახლოვდით, ცამ წარბი შეიკრა. ცა ღრუბლებით დაიფარა და ხალისიანი დღე მწუხრის ჟანგით შეიმოსა. ქარიც ამოვარდა და ხშირი ხეები აახმაურა.

კუბო საფლავის პირზე დაასვენეს. ეს ის კუბოა, რომლიდანაც მგოსანს „სატრფოც ეალერსებოდა“. აი, სადა ჰპოვა სიცოცხლით გამწარებულმა შვება! აქეთკენ მას ხომ თვით რაღაც უცნაური ძალაც უხმობდა:

„ვდგავარ მარტოკა, ჩავცქერი კუბოს,
შიგ ბადრი მთვარე ნარნარებს, სტკბება,
და ამ წყვდიადში, ამ კაეშანში
სატრფო კუბოდან მეალერსება.“

მისი ჩანგი მწუხარედ აჟღერდა: „სატრფო კუბოდან მეალერსებაო,“ და, ვინ უწყის, ეგება გულდატანჯულ მგოსანს მისი ხშირ მოსაუბრე ცის ფერიები უკვე აღარც კი უმალავდნენ აშკარად მოახლოებულს კუბოს და... სატრფოს ალერსით იწვევდნენ მის სულს...

ამიტომაც იყო, რომ, როდესაც ორიოდე კვირის წინ სოხუმიდან ტფილისს მიმავალი მგოსანი ფოთის სადგურზე ვიხილე, გულმა დაუმალავად მითხრა, რომ მგოსნის თვალებს უკვე საფლავი შეჰყვარებოდა:

„მიყვარს საფლავი: ჩემი სატრფოა,
იქ ჩავასვენე მე სიყვარული“ ო.

და ვიგრძენი, რომ მგოსანი აღარც მალავდა:

„იქ არის ჩემი წმიდათა წმიდა,
ჩემი ედემი და გაზაფხული“ ო.

მე უკვე მაშინ ჩამოვიწურე ცრემლი ღაწვთაგან და „თვალით ვიტირე“ ის, ვინც იყო არა მარტო „მგოსანი“ და „მებრძოლი“, რომელიც ხალხის გულში მარად იცოცხლებს, არამედ...

მხოლოდ და მხოლოდ უდროოდ დამდნარი და ბევრის მთქმელის შემძლე გული, რომლის სახელი ამქვეყნად იყო: ირადიონი!...

ჟურნალი „ცისფერი ყანწები“

მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჩვენში ჟურნალ „ცისფერი ყანწების“ გამოსვლა, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა ქართულ ლიტერატურაში, როგორც

დეკადენტურ სიმბოლისტური იდეების პირველმა შემომტანმა, მედროშემ და მქადაგებელმა.

ამ ჟურნალის ისტორია მისი წინამორბედის – „ოქროს ვერძის“ – გამოჩენის შემდეგ იწყება. ორივე ჟურნალს ჰქონდა ერთი სათავე, ერთი საწყისი და მიტომაც არიან ერთნაირად მიმზიდველნი და საინტერესონი. ამ ლიტერატურული მიმდინარეობის მოთავე პოეტი და ტრიბუნი პაოლო იაშვილი იყო, ქართული პოეზიის ეს მომხიბლავი რაინდი და ლაპარაკიც, ცხადია, პაოლო იაშვილით უნდა დავიწყო.

მან დიდი შრომისა და რუდუნების შედეგად გამოუშვა ზემოხსენებული ორი ლიტერატურული ჟურნალი - „ოქროს ვერძი“ (1913 წელს) და „ცისფერი ყანწები“ (1916 წელს). მან თავი მოუყარა დიდ ლიტერატურულ ძალებს, ყველას, ვისაც კი საამისო უნარი ჰქონდა და აღელვებდა ქართული ლიტერატურის ბედი.

ეს ჟურნალები მართლაც რომ ორიგინალური იყო როგორც შესახედავად, ისე შინაარსით; რაღაც ახალი, ლამაზი, თითქოს საყვარელი ადამიანისათვის საჩუქრად გამზადებული ძვირფასი ნივთი. ზომაც - კარგი, ქაღალდიც - მაღალი ხარისხის, შრიფტიც - უებრო, ყდები – მხატვრულად გაფორმებული.

„ცისფერი ყანწები“ ორი საღებავით იყო დაბეჭდილი. რითმები წითელი ფერით იყო გამოყოფილი - ისე, როგორც ეს ძველად ქართველმა კალიგრაფებმა და წიგნის მოყვარულმა გამფორმებლებმა იცოდნენ.

შემონახული მაქვს ამ ჟურნალების თითო ეგზემპლარი (ორივე ნომერი), რომელთაც აზიზად ვინახავ, ვუფრთხილდები, როგორც თვალის ჩინს. ეს უფრო იმიტომ, რომ ისინი რედაქციის მიერ ჩემთვის იყო განკუთვნილი, როგორც ჟურნალში მომუშავე კოლექტივის ერთ ერთი წევრისათვის. ეს ფაქტი აღნიშნულიც არის #1 ჟურნალის ეგზემპლარებზე. თვალსაჩინო ადგილზე სტამბურად დაბეჭდილია „ლადო ჯაფარიძეს“. ქვემოთ – ჟურნალის გერბი, გამოცემის ადგილი და თარიღი: ქუთაისი, გაზაფხული, ჩშივ, ე.ი. 1916 წ.

ეს სიურპრიზი ჟურნალის რედაქციამ და უფრო ჟურნალის ერთადერთმა თავკაცმა პაოლო იაშვილმა მიუძღვნა ყველა მონაწილეს: გრ.რობაქიძეს, ი.გრიშაშვილს, გ.ტაბიძეს, ვ.გაფრინდაშვილს, ლელი ჯაფარიძეს და სხვებს, დაახლოებით თხუთმეტ კაცს, - შესაძლოა, სტამბის მუშაკებსაც, რომლებმაც დიდი პატივი დასდეს რედაქტორს ჟურნალის ხარისხიანად და ლამაზად გაფორმების საქმეში.

მე, მართალია, ლექსი ან რაიმე ლიტერატურული მასალა აქ არ დამიბეჭდავს, მაგრამ ის კი მარგუნა ბედმა, რომ ჟურნალის ერთ ერთი მხატვარი და გამფორმებელი ვყოფილიყავი.

ჟურნალის ყდაზე ავტორთა სახელების გამოტანა მეტად შვენოდა გამოცემას, რაღაც თავისებურ იერს და ორიგინალობას ჰმატებდა. ასეთი ყურადღება რედაქციის მხრივ ჟურნალში მონაწილე ავტორების მიმართ იშვიათია. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს დროში არსად შემხვედრია. ვფიქრობ ეს რედაქტორგამომცემლის პაოლო იაშვილის მაღალი კულტურის, ტაქტის, გემოვნებისა და ავტორთა დაფასების გამოხატულებაა.

რაც შეეხება ჟურნალის მეორე ნომერს, ასეთი წარწერა მას, საერთოდ, არ ჰქონია, და მახსოვს, პაოლო ძალიან სწუხდა ამის გამო. რატომ, რისთვის? პაოლო ამას რაღაც საპატიო მიზეზს მიაწერდა, რომლის გამოსწორებაც შემდეგ შეუძლებელი შეიქნა. ეს მითხრა ფოთში რაღაც საქმეზე ჩამოსულმა პოეტმა. სწორედ მაშინ გადმომცა ჟურნალის ახლადგამოსული ნომერი.

- ნუ გეწყინება, ჩემო ლადო, რომ ამ ნომერზე მონაწილეთა გვარები ვერ მივაბეჭდეთ ისე, როგორც ეს პირველ ნომერზე გვქონდა გაკეთებული, მაგრამ არა უშავს – შემდეგისათვის ეს ნაკლი გამოსწორდება. ამ შენს კუთვნილ ნომერზე კი, მოდი, ჩემს წარწერას დავჯერდეთ და ხელით მივაწერ იმას, რაც სტამბურად უნდა დაგვებეჭდა, - თქვა მან და ჟურნალის გარეკანზე ასე წააწერა: „ლადოს, ჩვენი ცისფერი სახლის ძვირფას ხუროთმოძღვარს. პაოლო იაშვილი.“ თარიღი დავიწყნია. ეს დღეს შევნიშნე! ჟურნალის გერბის ქვეშ კი მიბეჭდილია: ქუთაისი, ზამთარი, ჩშივ“.

პაოლო იაშვილის აღნიშნული წარწერა კიდევ უფრო ამშვენებს ჟურნალის ამ ნომერს და ჩემს თვალში ამ ეგზემპლარს უნიკალურ მნიშვნელობას ანიჭებს.

პაოლოს მიერ ჟურნალი „ცისფერი ყანწები“ განსაკუთრებული მონდომებით იქნა მომზადებული და გამოშვებული. ჟურნალმა 1916 წლის დასაწყისში იხილა დღის სინათლე.

ორივე ჟურნალი - როგორც „ოქროს ვერძი“, ისე „ცისფერი ყანწები“ გამოსაცემად ისე მომზადდა, რომ პაოლო იაშვილს ამ საქმეში თითქმის არავინ დახმარებია. ის ძალზე შრომისმოყვარე იყო და ამ შრომას, აზრს, ენერგიას მთლიანად ლიტერატურას ანაცვალებდა. გიმნაზიის წლებიდან ასე მოსდგამდა. სხვათა შორის, ის ექსპრომტის დიდი ოსტატიც იყო. მოვიყვან ერთი მანდილოსნის – ქალბატონ ლენას მცირე მოგონებას. ის ქალიშვილობისას ქუთაისში სწავლობდა. თურმე ერთხელ მას ოჯახში მეზობელი გიმნაზიელები სწვევიან, მათ შორის პაოლო იაშვილიც ყოფილა. გაზაფხული იყო და ქალიშვილმა თავის ეზოში სახელდახელოდ ალუჩა დაკრიფა და სტუმრებს მიართვა. ირგვლივ ბუნება ყვაოდა და ახალგაზრდა გიმნაზიელ პაოლოში პოეტმა იფეთქა: „ლხენაა, ლხენა!... – წამოიძახა მან თურმე, - ფრინველთა სტვენა, ალუჩას გვაწოდებს ძვირფასი ლენა!“

ამ ამბავს დღესაც სიამოვნებით იგონებს ხოლმე ქალბატონი ლენა.

პაოლო რომ გამახსენდება, მისი შნო, ლაზათი და გოლიათური, ვაჟკაცური ფიგურა, ყოველთვის ჩვენი პოეზიის ნამდვილ რაინდად წარმომიდგება.

1964 წელს მეც მერგო პატივი სხვებთან ერთად მონაწილეობა მიმეღო პაოლოს დაბადებიდან 70 წლისთავის აღსანიშნავ საღამოზე ქალაქ თბილისში და ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, თუ რაოდენ განუზომელი სიყვარულით სარგებლობს იგი ჩვენს დროში. საღამო ჩატარდა მეცნიერებათა აკადემიის დარბაზში და დიდძალი ხალხიც დაესწრო. მოხსენებებით და მოგონებებით გამოვიდნენ ჩვენი ცნობილი მწერლები და ყველანი ერთნაირი სითბოთი და სიყვარულით იგონებდნენ მას. დარბაზში გამოფენილი იყო ჩემ მიერ სპეციალურად იმ საღამოსათვის დახატული პაოლოს დიდი პორტრეტი. ვის არ შევხვდი იქ ჩვენი მოწინავე საზოგადოებიდან თუ მწერლებიდან, ვისთან არ ვიჯერე გული სასიამოვნო საუბრით პაოლოსა თუ მის უახლოეს მეგობარ ტიციანზე. სხვათა შორის, ტიციანის მეუღლე ქალბატონი ნინო აქ ბრძანდებოდა და ისიც გულაძგერებული უსმენდა ორატორების მიერ თქმულ უაღრესად თბილ, მრავლისმეტყველ სიტყვებს და მალულად იწმენდდა თვალებზე მომდგარ ცრემლს.

ამ საღამოს მიეძღვნა საოცრად თბილი საგაზეთო ინფორმაცია, რომელიც „ვეჩერნი თბილისის“ იმავე წლის 15 ივნისის ნომერში დაიბეჭდა.

პაოლო ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში ჩემი უმცროსი ძმის ვალერიანის თანაკლასელი იყო, რის გამოც ბევრი რამ გამეგონა მის ნიჭსა და უნარზე.

ამდენად, ის იმთავითვე მომავალ დიდ მწერლად და ლიტერატორად მესახებოდა. ჩემი ეს პროგნოზიც სავსებით გამართლდა მაშინ, როცა გავიგონე, რომ პავლუშა იაშვილმა (მაშინ ჯერ კიდევ არ ატარებდა ახალ სახელს – პაოლოს) ჟურნალი „ოქროს ვერძი“ გამოუშვაო. იგი გიმნაზიაში სწავლობდა და ლიტერატურული გამოცდილება, რაღა თქმა უნდა, საერთოდ არა ჰქონია. მე და გრიგოლი მოსკოვში ვსწავლობდით იმ დროს და მოულოდნელად ჩვენი უმცროსი ძმებისაგან - ვალერიანისა და ალექსანდრესაგან ქუთაისიდან სულ ცოტა ხნის წინ გამოცემული „ოქროს ვერძის“ პირველი ნომერი მივიღეთ. გადავფურცლეთ და ჟურნალის პირველ გვერდზე ჩვენ მიერ შესრულებული რუსთაველის პორტრეტი გვეცა თვალში. სიხარულით ცას ვეწიეთ – იმდენად მოულოდნელი იყო ჩვენთვის ეს სიურპრიზი. მაშინვე ჩვენს ამხანაგ მეგობრებთან გავაქანეთ და ვაჩვენეთ. ყველამ გაიზიარა ჩვენი დიდი სიხარული.

ჟურნალის მომდევნო გვერდი – რუსთაველის პორტრეტის მერე – ეჭირა ლექსებს, ნოველებს და სხვა სახის ლიტერატურულ მასალას, განსაკუთრებით გამოირჩეოდა სარედაქციო წერილი, რომელშიც ჟურნალის გამოცემის მიზანდასახულობის შესახებ იყო საუბარი. შემდეგ მოდიოდა პატარა წერილი რუსთაველზე, წერილი საქართველოზე და მისი გაცნობის მიზნით, ექსკურსიების მოწყობის აუცილებლობაზე; ბოლოს, ქუთაისის საზოგადოებრივი და ლიტერატურული ცხოვრების მიმოხილვით მთავრდებოდა.

ასე დეტალურად ამას იმიტომ ვიგონებ, რომ იგი დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს და ახალგაზრდობისათვის მიუწვდომელია (მისი სულ ხუთი ნომერი გამოვიდა). სამწუხაროდ, დღეს რამდენიმე ცალი ბიბლიოთეკაში თუღაა შემონახული. დანამდვილებით ვიცი, რომ მისი მთელი კომპლექტი (ხუთივე ნომერი) დაცულია საჯარო და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თუ გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკებში. ვფიქრობ, თბილისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაშიც მოიძებნება იგი. პირადად მე ერთ დროს ამ ჟურნალის ყველა ნომერი მქონდა, მაგრამ თანდათან შემომეფანტა და დამრჩა მხოლოდ პირველი ნომერი. აქ ჟურნალის რედაქტორად ბ.ჯაიანია გამოცხადებული. ეს იმიტომ, რომ პაოლო იმ დროს გიმნაზიაში სწავლობდა და მოწაფის რედაქტორად გამოცხადება არ შეიძლებოდა. ბესო ჯაიანი ქუთაისში საადგილმამულო ბანკში მუშაობდა და პაოლოს, როგორც ახალგაზრდა ლიტერატორს, ეხმარებოდა. აი ეს იყო მიზეზი მისი ,,გარედაქტორებისა”. ფაქტიური რედაქტორი პაოლო კი ჟურნალისათვის საჭირო ყველა საქმეებს თვითონ განაგებდა. რედაქციაც თავის სახლში ჰქონდა და ოჯახიც მატერიალურად ეხმარებოდა. უფრო კი მამამისი იყო ხელგაშლილი და ამ საქმის ხელშემწყობი. მას ეკუთვნოდა კოზაკოვის შესახვევში მდებარე ლამაზი ორსართულიანი სახლი განიერი, მწვანე და ხეხილით სავსე ეზოთი.

რაკი „ოქროს ვერძზე“ ჩამოვაგდე სიტყვა, ბარემ აქვე მისი უკანასკნელი (მეხუთე) ნომრის შინაარსსაც გაგაცნობთ. მკითხველის ყურადღებას იმ ორ ლექსზე შევაჩერებ, რომელსაც ქუთაისის მაშინდელ საზოგადოებაში ცნობილ ორ ულამაზეს ქალიშვილს უძღვნიან. ერთი მათგანია „ფიორდების ასულს“. იგი გრ.რობაქიძეს ეკუთვნის: „მე შორეული ვარ – არ ვიცი არც დღე და არც ღამე ჩემი მოვლენის“. მას ორი გვერდი უკავია და თეთრი ლექსის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს. ხოლო ლექსი სათაურით - ,,მეორეს” - ეკუთვნის პაოლო იაშვილს: ,,მე მსურს, ყველამ გაიგონოს შეყვარებულ მგოსნის ლექსი...” და ესეც სიყვარულის უმაღლესი გრძნობითაა გამთბარი.

ასეა თუ ისე, ჟურნალი „ოქროს ვერძი“ მხოლოდ პაოლოს მშობლების ხარჯზე გამოდიოდა. როცა ერთხელ ამის თაობაზე ჰკითხეს თურმე პაოლოს: - სამსახურში არა ხარ, ხელფასს არ იღებ და ასე ხელგაშლილად რითი ცხოვრობო, პაოლოს მაშინვე მოსწრებულად უპასუხნია: „ჯერჯერობით ჯიბოს ჯიბითო“.

პაოლო პირველად ქუთაისში ვნახე 1914 წელს. ის ახალი დაბრუნებული იყო ევროპიდან და თითქოს მთელი იქაური ბრწყინვალება თან ჩამოეტანა. ძალზე შვენოდა ლამაზი შავი, ბრიალა თვალები, სქელი ქოჩორი, ჭაბუკური გოლიათური ფიგურა. ამასთან, ახალგაზრდა პოეტებს შორის მას უკვე სახელი მოეხვეჭა.

ისე შემხვდა, როგორც ძველ ნაცნობს და მეგობარს, რადგან კარგად ახსოვდა ჩემი და ჩემი ძმის მიერ დახატული „რუსთაველის“ პორტრეტი, ჟურნალ „ოქროს ვერძის“ პირველსავე ნომერში რომ გადაბეჭდა გაზეთ „თემიდან“. „არწივივით იმზირებაო“, ამბობდა ის ამ პორტრეტზე.

ახლა ორიოდე სიტყვა იმაზე, თუ როგორ მოხვდა რუსთაველის ეს პორტრეტი გაზეთ „თემში“. მე და გრიგოლმა ის 1912 წელს სტუდენტობის დროს დავხატეთ და აკაკი წერეთლის რაჭა ლეჩხუმში მოგზაურობისას მის ერთ-ერთ მხლებელს – გაზეთ „თემის“ რედაქტორს – გრიგოლ დიასამიძეს ვაჩუქეთ. მან ის თავისი გაზეთის 1913 წლის 15 აპრილის ნომერში მოათავსა. ამის მერე პაოლომ სურათი თავის „ოქროს ვერძშიც“ გადაბეჭდა. თურმე იმდენად მოიხიბლა ჩვენი ერთობლივი ნაწარმოებით, რომ, როცა 1915 წელს თავისი მორიგი ახალი ლიტერატურულ მხატვრული ჟურნალის („ცისფერი ყანწები“) გამოცემა განიზრახა, მხატვრული გაფორმება მე შემომთავაზა.

იმხანად ფოთში მომუშავეს ქუთაისშიც ხშირად მიხდებოდა ჩასვლა და პაოლოს ვალერიან გაფრინდაშვილთან ერთად იქ ვხვდებოდი ხოლმე. პაოლოს მეორე ახლო მეგობარი ტიტე ტაბიძე კი იმ დროს სტუდენტი იყო და მოსკოვში სწავლობდა. წერილებსაც ჟურნალისათვის პაოლოს იქიდან უგზავნიდა. მე და გრიგოლი უფროსები ვიყავით პაოლოს ჯგუფელებზე, მაგრამ ისინი ისე მეგობრობდნენ ჩვენთან, როგორც თავიანთ ტოლებთან. ჩვენს ამ ურთიერთობას სათავე რუსთაველის პორტრეტმა დაუდო. ისინი მასში რაღაც სიახლეს ხედავდნენ. სიახლე კი უმთავრესი დევიზი იყო ცისფერყანწელებისა.

უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროისათვის მე და ჩემს ძმას მთარგმნელების სახელიც გვქონდა გავარდნილი, რამაც, აგრეთვე, შეუწყო ხელი სიმბოლისტებთან ჩვენს მეგობრობას.

ერთ მშვენიერ დღეს სასურველი სტუმარი პაოლო იაშვილი ფოთში გამომეცხადა. ძალზე მესიამოვნა პაოლოს დანახვა. მას ახლდა ვალერიან გაფრინდაშვილი და, თუ არ ვცდები, ივანე ყიფიანიც (პოეტი). ამ სტუმრობისას ბევრი ვილაპარაკეთ ახალი ჟურნალის გამოცემის ირგვლივ. პაოლომ კი არ მთხოვა, პირდაპირ, დამავალა ჟურნალის გარეკანის მხატვრული გაფორმება. მე ვვუარობდი, მაგრამ ჩემმა უარმა არ გაჭრა.

აქვე მინდა გავიხსენო ერთი პატარა დეტალიც, კერძოდ, როგორ შეხვდნენ ისინი პავლე ინგოროყვას ძმას – თედოს და რაოდენ სასიამოვნო და ცრემლის მომგვრელი იყო ეს შეხვედრა.

პაოლო მეგობრებთან ერთად ქალაქს ათვალიერებდა. სწორედ ამ დროს შემოგვხვდა აბორიგენი თედო ინგოროყვა, რომელსაც ძმასავით გადაეხვივნენ და ისე ჰკოცნიდნენ, ცრემლიც კი მოერიათ.

თედო ინგოროყვას ქალაქის ცენტრში, იქვე, სასტუმროს შესასვლელთან, პატარა მაღაზია ჰქონდა. ხილით ვაჭრობდა და თავსაც ამ ვაჭრობით ირჩენდა. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მძიმე სამუშაოზე წასვლა არ შეეძლო. თედო ფოთში პატივისცემით სარგებლობდა, როგორც წესიერი მოქალაქე და საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერის პავლე ინგოროყვას ძმა.

ბოლოს და ბოლოს, პაოლოს დავეთანხმე ჟურნალის გაფორმების თაობაზე და დიდი პასუხისგებლობის გრძნობით შევუდექი დავალების შესრულებას. ისიც ვიცოდი, როგორი სიყვარულით ეკიდებოდა საჟურნალო მასალას, როგორ არჩევდა, ამუშავებდა, ასწორებდა და მხოლოდ საუკეთესოს ბეჭდავდა.

მეც, რასაკვირველია, პასუხისმგებლობით მოვეკიდე მინდობილ საქმეს, ჟურნალის ყდის რამდენიმე ესკიზი გავაკეთე და ბოლოს ერთზე შევჩერდი. ესკიზზე იყო ჟურნალის საერთო სახელწოდება და ღერბი. ნამუშევარი მაშინვე ქუთაისში წავიღე და პაოლოს და მის ჯგუფს ვაჩვენე. ყველას მოეწონა, განსაკუთრებით კი მის რედაქტორს – პაოლო იაშვილს. მან ღერბის ძვირფასი ლითონისაგან ჩამოსხმაც კი განიზრახა ცისფერყანწელთა ორდენის წევრებისათვის მკერდზე მისაბნევად, მაგრამ შეასრულა თუ არა ეს განზრახვა, დღესაც არ ვიცი.

„ცისფერი ყანწების“ პირველი ნომერი 1916 წლის თებერვალში გამოვიდა. ეს თარიღი აღნიშნული მაქვს ჩემდამი მოძღვნილი ეგზემპლარის სატიტულო ფურცელზე, რომელიც პაოლოსათვის ჩვეული აკურატულობითა და სიფაქიზითაა შედგენილი: ზემოთ, მარცხნივ, კუთხეში ღერბია დაბეჭდილი, იგივე ემბლემა ჟურნალისა, შუაში – შინაარსი. ისიც მეტად ორიგინალური; მარცხნივ – ავტორებია დასახელებული (აწყობილია ერთ ზომაზე), ხოლო მარჯვნივ – მათივე ნაწარმოებების სათაურები. იმდენად საინტერესოა ეს შინაარსი, რომ გული არ მითმენს, თანმიმდევრობით ისე არ მოვიყვანო, როგორც ის ჟურნალშია დაბეჭდილი: პაოლო იაშვილი – პირველი თქმა. მანიფესტი; მერე ლექსებია: გრ.რობაქიძე – ,,სირენას სიმღერა;“ ი.გრიშაშვილი – ,,სძინავს დედოფალს;“ გალაკტიონ ტაბიძე – ,,მთაწმინდის მთვარე.“ ,,ლურჯა ცხენები;“ ელენე დარიანი – ,,უვერტიურა.“ ,,პირამიდები;“ ივ.ყიფიანი – ,,სონეტი;“ ვ.გაფრინდაშვილი – სამი ლექსი; ტიტე ტაბიძე – „ქალდეას ქალაქები“, პაოლო იაშვილი – „პაოლო იაშვილს“, ნ.ლორთქიფანიძე – ,,ქალ ვაჟიანი;“ ლელი ჯაფარიძე – ,,დღესასწაულზე;“ ბალმონტი – ორი ლექსი; ალ.ცირეკიძე – ,,რაინდთა ლანდები;“ არ.ჭუმბაძე – მინიატურა; აკაკი ფაღავა – ,,ჩემი სურვილი;“ ტიტე ტაბიძე – ,,ცისფერი ყანწებით;“ ყდა ლადო ჯაფარიძისა; რედაქტორი პაოლო იაშვილი. იქვე, რასაკვირველია, ჩემი სახელი და გვარიც იყო მიწერილი, როგორც მხატვრისა.

„ცისფერი ყანწების“ სულ ორი ნომერი გამოვიდა, ორივე ერთიმეორეზე ლამაზად დასტამბული. ქართველმა მკითხველმა წესით და რიგით, პირდაპირ, ხელიხელსაგოგმანები განძი მიიღო ამ ჟურნალების სახით. მაგრამ...

მაგრამ მოხდა პირიქით. მოულოდნელად, მკითხველთა დიდი ნაწილი უარყოფითად გამოეხმაურა მას. არ მოეწონათ მანიფესტის ხმამაღალი განცხადება, განსაკუთრებით, მისი საწყისი სიტყვები: „საქართველოს მგოსნებს, ყველა მეოცნებეს, ქართველ ხალხს“ და ა.შ. არ მოეწონათ მისი „ცისფერი ქადაგება“ ინდივიდუალიზმისა და კოსმოპოლიტური ესთეტიზმისა; აგრეთვე, ეროტიული ხასიათის ზოგიერთი ლექსი მანამდე სრულიად უცნობი პოეტი ქალის – ელენე დარიანისა.

მერედა, ვინ იყო ეს ელენე დარიანი? საიდან მოხვდა ჟურნალში? ამიტომ, განსაკუთრებით, იერიში მიიტანეს „ყანწელთა“ ჯგუფთან ახლოს მდგომ პირებზე, რომელთა გვარებიც „იანზე“ მთავრდებოდა: გორდეზიანი, გიორგობიანი, დევდარიანი. აგრეთვე, ვისაც ელენე ერქვა. ერთი სიტყვით, ყველა ამათ დარიანობას სწამებდნენ და მათზე ილესავდნენ კბილებს.

- შენ მაინც გეცოდინება, კაცო, - მკითხა ერთმა ფოთელმა მეგობარმა, - ახლოსა ხარ ყანწელებთან, შენი მეგობრები არიან. მითხარი, თუ გიყვარდე, ვინაა ეს ელენე დარიანი?

ერთმა მანდილოსანმა, ჩემმა ახლობელმა, მეტად პატივცემული ოჯახს შვილმა, პირდაპირ მომახალა: - თქვენი ცოლი ხომ ელენე გიორგობიანია. ყველა ამბობს, სწორედ ისაა ელენე დარიანიო და რატომ მალავთ? აქ ხომ ცუდი არაფერია? პირიქით, ნიჭიერი ქალი ყოფილა და გაუმარჯოს ღმერთმა.

- რას ამბობთ, ქალბატონო... როგორ ჰკადრებთ ამას ქალბატონ ელენეს?! რის ლექსი, რის პოეზია, სიცოცხლეში სიტყვაც არასოდეს დაუწერია, მით უფრო პორნოგრაფიული ხასიათისა... გაგონილა ასეთი რამ? – ექომაგებოდნენ მეორენი, რომელთაც კარგად იცოდნენ ჩემი მეუღლის ხასიათი და პოეზიისადმი მისი დამოკიდებულება.

და ისევ და ისევ გრძელდებოდა ელენე დარიანის ძიება.

მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ აეხადა ფარდა ამ საიდუმლოს და საზოგადოებისათვის ნათელი შეიქნა, რომ პოეტი ქალის - ელენე დარიანის სახელს თვით ამ ჟურნალის რედაქტორი პაოლო იაშვილი იყო ამოფარებული.

ამ გარემოებამ კიდევ უფრო გააღიზიანა ოპოზიცია. არ დავმალავ და, მეც გადმომწვდნენ: „როგორ მოხდა, რომ ეს ყოვლად პატიოსანი ადამიანი მათში გაერიაო.“ ასეთ ოპოზიციონერთა რისხვის ერთადერთი მიზეზი ის იყო, რომ მათ ვერ გაუგეს ქართულ ლიტერატურაში ევროპიდან შემოჭრილ მოდური ლიტერატურის სიახლეთა მრავალმხრივობას. ამ ადამიანთა აზრით, „თავაშვებულმა ახალგაზრდობამ,“ ე.ი. ცისფერყანწელებმა და მათმა მიმდევრებმა ფეხქვეშ გათელეს საუკუნეებით დამკვიდრებული და განმტკიცებული ქართული კლასიკური ლიტერატურის ნორმები და ეროტიზმის მქადაგებლებად იქცნენ.

ამავე აზრისა იყო იმ დროისათვის ფოთში მცხოვრები გურია სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდე (ოქროპირიძე) – შემდეგში საქართველოს კათალიკოსი – დიდად განათლებული პიროვნება, პატრიოტი, ქართული პოეზიისა და ლიტერატურის დიდი მცოდნე. „ცისფერი ყანწების“ გამოსვლასთან დაკავშირებით მან ერთხელ გულისტკივილი ვერ დამალა და მასთან მორიგი სტუმრობის ჟამს მითხრა:

- ბატონო ვლადიმერ! დიდი ინტერესით წავიკითხე ჩვენი ახალგაზრდობის, ჩვენი ახალი პოეზიის წარმომადგენელთა ჟურნალი „ცისფერი ყანწები“. თქმა არ უნდა, ნიჭიერი ახალგაზრდები ჩანან, მაგრამ, თქვე დალოცვილებო, ჩვენს სისხლსავსე ახალგაზრდობას განა კიდევ გაღიზიანება ეჭირვება? როგორ კადრულობს პატივცემული ჟურნალი ვიღაც ელენე დარიანის ლექსების გამოქვეყნებას? მართალია, როგორც ჩანს, ნიჭიერია ეს ავტორი, მაგრამ რა? მით უარესი, რადგან უფრო საშიშია საზოგადოებისათვის და, მაშასადამე, მით უფრო მიუღებელი.

ამასობაში ჟურნალის მეორე ნომერიც გამოვიდა. „ყვითელ მტრებს“ - ასეა დასათაურებული სარედაქციო წერილი, რომელიც საკადრისს მიუზღავდა

„ფილისტერებს“: – ,,მხეცურ ყვირილში გსურთ ჩაახრჩოთ ჩვენი შეურყეველი ხმები!“ – „ვიცით, კიდევ დიდხანს იქნება ჩვენ გარშემო თქვენი საცოდავი ყვირილი“ და ა.შ.

ჟურნალი კვლავ და კვლავ საბრძოლო პოზიციაზე იდგა, მაგრამ ტონი მაინც შერბილებული იყო და ნაკლებად გამაღიზიანებელი. ნიჭიერ, დამწყებ პოეტთა რიგებს კიდევ ორი ახალი სახელი შემოემატა: ნიკოლოზ ნადირაძე და გრიგოლ ჯაფარიძე თავიანთი იშვიათი და მაღალგემოვნებიანი ლირიკით.

ცისფერყანწელთა ერთ ერთი საღამო თბილისში ჩატარდა. მე ხელთა მაქვს გაზეთ „ზაკავკაზსკაია რეჩის“ ერთი ნომერი, სადაც სწორედ ამ საღამოს შესახებ არის ლაპარაკი. რეცენზიიდან ირკვევა, რომ საღამოს მეტად მშვიდ ატმოსფეროში ჩაუვლია – არავითარი გაღიზიანება და მოწინააღმდეგეთა თავდასხმები. ქუთაისში გამოწვეულმა აურზაურმა ვერავითარი გამოძახილი ვერ ჰპოვა თბილისში. გაზეთი ქებით იხსენიებს გაფრინდაშვილის, აგრეთვე, იაშვილისა და დარიანის ლექსებს.

ქებისა და აღიარების ღირსნი სწორედაც ისინი იყვნენ. მართალია, პაოლო იაშვილი სიმბოლიზმს და კოსმოპოლიტურ ესთეტიზმსაც ქადაგებდა, მაგრამ ეს უფრო იმ დროჟამის მოდისადმი გაღებული ხარკი იყო.

ის ჭეშმარიტი პატრიოტი იყო ქართული კულტურის, ქართული ლექსის განახლებისა; მისი ფორმისა და შინაარსის გამდიდრებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი. მან, როგორც პოეტმა, ეს ბრძოლა ახალ ლიტერატურულ მიმდინარეობას - სიმბოლიზმს დაუკავშირა. ეტრფოდა ყველაფერ ახალს, რაც შაბლონს და რუტინას უპირისპირდებოდა.

ვფიქრობ, ზედმეტი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ პაოლო იაშვილის შთაგონებულმა შემოქმედებამ, ამ ორი ლიტერატურულ მხატვრული ჟურნალის გამოცემამ, იქ დაბეჭდილმა მრავალმა მაღალხარისხოვანმა ლექსმა და რუსთაველის იმ პორტრეტმა, რის შესახებაც უკვე ვილაპარაკე, დიდი ზეგავლენა მოახდინა ჩვენს ახალგაზრდობაზე.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია რუსთაველის პორტრეტმა. მაგალითად, ჩემს უმცროს ძმას უჩას, ჯერ კიდევ ბავშვს, ამ სურათმა ააღებინა ხელში ფუნჯი. ამავე პორტრეტმა უბიძგა მხატვრობისაკენ, აგრეთვე, ორ სახელოვან მხატვარს – აპოლონ ქუთათელაძეს და ნიკოლოზ კანდელაკს, რომლებიც ჟურნალის გამოცემის დროს ქუთაისში სწავლობდნენ. ამის თაობაზე მათ არაერთხელ უთქვამთ ჩემთან პირად საუბრებში.

თუ რამდენად პოპულარული იყო რუსთაველის აღნიშნული პორტრეტი, ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ 1924 წელს ჟურნალმა „თეატრი და ცხოვრება“ იგი გაამრავლა და ხელისმომწერებს დაურიგა. ხოლო 40 იან წლებში „სახელგამმა“ ის საფოსტო ბარათების სახით გამოსცა.

გავიხსენებ კურიოზსაც: გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“ მოთავსებული იყო სოფელ ნიკორწმინდელი ცნობილი ჟურნალისტის მამასახლისის წერილი, რომელიც იქაურ მასწავლებელს, მოყვარულ მხატვარს შარაბიძეს შეეხებოდა. წერილში ,,ჩვენი რუსთაველის” ავტორად შარაბიძე იყო გამოყვანილი.

რედაქციაში წავედი გაუგებრობის გასარკვევად. იქ მომიბოდიშეს, - შეცდომით გაგვეპარა, თორემ ვინ არ იცის ამ პორტრეტის ისტორია და მისი ნამდვილი ავტორიო. უყვართ ახალგაზრდებს იგი და ხატავენო.

ამ ფაქტების გახსენება მე აქ იმიტომ დამჭირდა, რომ ნათელი გახადოს პაოლო იაშვილის ჟურნალის „ოქროს ვერძის“ ის დიდი გავლენა, რასაც ის

სწავლასა და ლიტერატურას მოწყურებულ იმდროინდელ ახალგაზრდობაზე ახდენდა. თვითონაც ხომ შესანიშნავი მხატვარი იყო პაოლო და ამ საქმეშიც ალბათ ბევრს არავის უდებდა ტოლს.

აღნიშნულ პორტრეტს არც ბოლო ათეულ წლებში დაჰკლებია პოპულარობა. მაგალითად, პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა მის შესახებ ფრიად შინაარსიანი მოხსენება წაიკითხა 1954 წელს მწერალთა ერთ ჯგუფში.

ასევე თბილი, მრავლისმთქმელი წერილი მიუძღვნა მას ოსმა პოეტმა ილია კავკაზაგმა და იგი ჰექტოგრაფიულად დაიბეჭდა მედიცინის მუშაკთა კულტურის სახლთან არსებული ილია ჭავჭავაძის სახელობის ლიტერატურული გაერთიანების მიერ გამოცემულ კრებულში. ამ საქმეში განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის გაერთიანების უცვლელ ხელმძღვანელს - მწერალ იოსებ პავლიაშვილს.

კრებული 1966 წელს იქნა დასტამბული (ვიმეორებ, ჰექტოგრაფიული წესით).

*

ახლა რამდენიმე სიტყვა ტიციან ტაბიძის შესახებ:

ტიციანი პაოლოს ქუთაისის კლასიკური გიმნაზიიდან მეგობრობდა. ისინი ჯერ კიდევ მოსწავლეობის პერიოდში იყვნენ ცნობილნი, როგორც პოეტები და მხატვრული სიტყვის საუკეთესო ოსტატები.

ტიციან ტაბიძე 1912 წელს გავიცანი. ისიც ისევე, როგორც პაოლო იაშვილი, იმხანად ქუთაისში ჩემს უმცროს ძმებთან – ვალერიანთან და ალექსანდრესთან ერთად სწავლობდა. ტიტე ტაბიძე! ამ სახელს ერთგვარი სიამაყითაც წარმოთქვამდნენ გიმნაზიელები და, ბუნებრივია, მეც ამიტომ არანაკლები პატივისცემით ვიყავი განწყობილი; ხოლო, როცა პირველად ვნახე ეს სიმპათიური, ცისფერთვალება ტანმორჩილი გიმნაზიელი სქელი ტუჩებითა და ლამაზი ვარდისფერი სახით, კიდევ უფრო მეტი პატივისცემით განვიმსჭვალე მისდამი. როგორც ყოველ გიმნაზიელს, ფორმის ტანსაცმელი ეცვა, ხოლო ქუდის გერბზე და ქამრის ბალთაზე უცვლელი სამი რუსული ასო „KKG“ – ე.ი. „ქუთაისის კლასიკური გიმნაზია“ ჰქონდა ამოკვეთილი. დინჯი იყო, სერიოზული, ფიქრიანი.

1913 წლის აგვისტოში, როცა მოსკოვის უნივერსიტეტში საქართველოდან აბიტურიენტთა ჯგუფი ჩამოვიდა, მათ შორის ჩემი ძმები ვალერიანი და ალექსანდრეც იყვნენ. მოსკოვს სწორედ მაშინ ეწვია ტიტე ტაბიძეც. ის ტიციანად ჯერ კიდევ არ იყო მონათლული. ჩამოვიდნენ აგრეთვე დავით კლდიაშვილის ვაჟი სერგო, რომელსაც კარგად ვიცნობდი ქუთაისიდან, გალაკტიონ ბეჟანიშვილი – ამჟამად პენსიონერი (ცხოვრობს მოსკოვში) და მრავალი სხვა. ქალიშვილებიდან აქ იყვნენ სუსანა ჯანაშია, ნინა საყვარელიძე, ზინა კვიტაშვილი, ფენია კორძაია და სხვები.

ტიციანი უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ბეჯითად სწავლობდა და თანაც ჟურნალის გამოცემაზე ფიქრობდა. მახსოვს, ერთხელ ჟურნალის (თუ ალმანახის) გამოცემის ორგანიზებაში მთხოვა დახმარება.

მაგრამ ჟურნალი არ გამოსულა და დღესაც არ ვიცი, რამ შეუშალა ხელი ამ კეთილი განზრახვის შესრულებაში.

მოსკოვში 1914 წლამდე ვიყავი და ახალგაზრდა პოეტს ხშირად ვხვდებოდი ქართული საზოგადოებისა და უნივერსიტეტთან არსებული ქართული სათვისტომოს მიერ მოწყობილ სხვადასხვა ლიტერატურულ ღონისძიებასა თუ ცალკეულ შეხვედრებზე. ვაკვირდებოდი, ყოველთვის რაღაცას წერდა, უქმად არ იჯდა. ის მოზრდილი წერილიც კი, რომელიც მას „ცისფერი ყანწების“ პირველ ნომერში აქვს დაბეჭდილი, სტუდენტობის დროს დაწერა. მეორე ნომერშიც საკმაოდ სოლიდური ადგილი ეკავა. დაბეჭდილი აქვს ერთი ლექსი (წიგნიდან „ქალდეას ქალაქები“), აგრეთვე, ერთი ვრცელი წერილი სათაურით „ცისფერი ყანწებით“, რომელიც არსებითად პასუხია ყველა იმ გამოლაშქრებაზე, „ცისფერყანწელებს“ რომ მოუწყვეს ქუთაისში. პასუხი მეტად თამამი და მოურიდებელი იყო. „ცისფერი ყანწებით“ იწყება ახალი პერიოდი ქართულ მწერლობაში, - წერდა ის და ამტკიცებდა, რომ სიმბოლიზმი, როგორც ლიტერატურული სკოლა, არ ყოფილა ჩვენში მანამდე. ის უნდა შემოვიდეს და დამკვიდრდეს საბოლოოდო.

ტიციანი უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ 1917 წელს დაბრუნდა საქართველოში და ენერგიულად ჩაება აქაურ ლიტერატურულ საქმიანობაში. აღარ მახსოვს, რომელ წელს და რა პირობებში გადაიკეთა სახელი ტიტე ტიციანად, მსგავსად მისი თანამოკალმის პაოლო იაშვილისა, რომელმაც თავისი ახალი სახელი „პაოლო“ საფრანგეთიდან ჩამოიტანა. ტიტეს ტიციანად გადაკეთებაც პაოლოს მიბაძვით იყო. ამის შემდეგ პოეტებს შორის სახელის ახლებურად გადაკეთება თითქოს მოდად იქცა და იგი მთელ ლიტერატურულ საქართველოს მოედო.

ტიციანი, ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, უდიდესი პატრიოტი იყო. ასე რომ არა, როდი იტყოდა:

„დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა
და საქართველოს მედგას უღელი,
მაშ, გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლე,
დავრჩებით ერთად ჩვენ განუყრელი! “

ტიციანისა და პაოლოს შემდეგ ყველაზე გამორჩეული ცისფერყანწელი ვალერიან გაფრინდაშვილი იყო, ცხადია, თუ არაფერს ვიტყვით გრიგოლ რობაქიძეზე, რომელიც თავისი დიდი ავტორიტეტით და ნიჭიერებით დედაბოძი იყო აღნიშნული ჟურნალისა. მაგრამ გრიგოლს ნაკლებად ეცალა ცისფერყანწელებთან საურთიერთობოდ. ის დიდი მწერალი და ლიტერატურათმცოდნე, უბადლო ორატორი და ქართული ზეპირი სიტყვის ნამდვილი ჯადოქარი გახლდათ. მისმა ლექციებმა ვაჟა-ფშაველასა და სხვა ქართველ მწერლებზე საბოლოოდ მოხიბლა ჩვენი საზოგადოება. ამიტომ ცისფერყანწელთა საქმიანობაში მხოლოდ სპორადულად იღებდა მონაწილეობას.

ვალერიან გაფრინდაშვილმა ქუთაისში დაამთავრა კლასიკური გიმნაზია, მაგრამ მე ის მხოლოდ მოსკოვში გავიცანი - იურიდიულ ფაკულტეტზე ჩემთან ერთად სწავლობდა. ძალზე მორიდებული ახალგაზრდა იყო, თავაზიანი, ჩუმი, უპრეტენზიო. ლაპარაკი არ უყვარდა, არც ხალხში გამოსვლა, ამიტომ მთელი ცხოვრება თითქმის მარტოობაში გაატარა. მოსკოვში ვალერიანის ყველაზე ახლო მეგობარი ალი არსენიშვილი იყო, ისიც დიდი მოყვარული პოეზიისა და ლიტერატურისა, მაგრამ საკვირველია, რომ 1916 1917 წლებში ვალერიანთან ერთად ცისფერყანწელთა ჯგუფში არ იყო გაერთიანებული.

ვალერიანმა ლექსების წერა მოსკოვში რუსულ ენაზე დაიწყო და ეს ფაქტი იქ მყოფ ქართველ სტუდენტობას გვაკვირვებდა, მაგრამ მალე ქართული ლექსების წერასაც შეეჭიდა და, მართლაც, იშვიათი ოსტატობით ჭედდა ყოველ სტრიქონს, ჭედდა, როგორც კარგი ოქრომჭედელი.

„ვინ არის, სარკის უფსკრულიდან რომ მევლინება.

ვისი თვალები ემუქრება ჩემს ფერმკრთალ თვალებს?..“

ვალერიანს განსაკუთრებით რუსული ემარჯვებოდა და თითქმის მთლიანად თარგმნა ნ.ბარათაშვილის ლექსები. შესახედავად ჯმუხი იყო, წარბშეკრული, მაგრამ გული კეთილი ჰქონდა. ეს უწყინარი ადამიანი ყველას უყვარდა და პატივსა სცემდნენ, მაგრამ „ფილისტერებმა“ ისიც არ დაზოგეს და კარიკატურით გაუმასპინძლდნენ იუმორისტულ ჟურნალ „ეშმაკის მათრახში“: სურათზე რუსთაველის გიგანტური ფიგურაა დახატული და მის ორთავე მხარეს, აქეთ იქით, კლოუნის ქუდიანი პაოლო იაშვილისა და ვალერიან გაფრინდაშვილის ჯუჯა ფიგურებია. რუსთაველის გიგანტური ფიგურის ფონზე ისინი მართლა საცოდავად და სასაცილოდ გამოიყურებიან; კარიკატურას ქვემოთ წარწერა ჰქონდა ბალმონტის ცნობილი ლექსიდან: „Люблю содружных Руставели Гаприндашвили и Яшвили“.

ცისფერყანწელთა პლეადიდან თითქმის ყველასთან ახლოს და მეგობრულად ვიყავი, მაგრამ ყოველ მათგანზე ცალკე ლაპარაკი, რასაკვირველია, შორს წაგვიყვანდა. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ მათი ჟურნალი წმინდა ხელოვნების ქადაგება იყო. მაგრამ თითოეულ ,,ყანწელს” დიდი კულტურა, ტაქტი თუ აღზრდა გამოარჩევდა სხვათაგან. ისინი პირველობდნენ როგორც შემოქმედებით, ისე საზოგადოებასთან ურთიერთობით. ასეთები იყვნენ გალაკტიონ ტაბიძე, ნ.ლორთქიფანიძე, ი.გრიშაშვილი, ლელი ჯაფარიძე, ა.ჭუმბაძე, ალ.ცირეკიძე, ა.ფაღავა, ნ.ნადირაძე, გრ.ჯაფარი, ი.ყიფიანი, სხვანი და სხვანი.

აქ დასახელებულთაგან უმრავლესობა მხოლოდ თავისი შემოქმედებით იყო დაკავშირებული „ცისფერ ყანწებთან“ და ვიდრე ჟურნალი არ გამოვიდა, მისი მიმართულება ყველასათვის ცნობილი არ იყო. ასევე ვიყავი მეც, როცა მისმა რედაქტორ გამომცემელმა პაოლო იაშვილმა ჟურნალის მხატვრად ამიყვანა. ჟურნალის იდეოლოგიური მიმართულების შესახებ არაფერი უთქვამს და მეც დარწმუნებული ვიყავი, რომ იგი იქნებოდა ისეთივე ნიმუში ხელოვნებისა, როგორიც იყო მისი წინამორბედი ჟურნალი – „ოქროს ვერძი“.

„პირველთქმა“, – ასეთი იყო სათაური იმ მოწინავე წერილისა, რომელიც, საერთოდ, რედაქტორის სვეტის სახელითაა ცნობილი.

„საქართველოს მგოსნებს, ყველა მეოცნებეს, ქართველ ხალხს!“ – მიმართავდა ჟურნალი მკითხველებს, – ,,ისმინეთ ყველამ ჩვენი ქადაგება!..“

დავინტერესდი - ნეტავ, რა ქადაგებაა-მეთქი და ხარბად დავიწყე ამ სტრიქონების კითხვა:

-„ჩვენ შევიკრიბეთ ახალი სილამაზის სადიდებლად... ვუმღერით რაინდობას და ალურ სიხარულს... ახალ სილამაზეს... ჩვენ ვადიდებთ სიტყვას ახალს, მკაცრს და გაბედულს, როგორც მეფური ხელის გაქნევას გაგიჟებულ დირიჟორისა.“

ვკითხულობ განმეორებით და ვხვდები, რომ ჟურნალი სიმბოლიზმს ქადაგებს, როგორც ახალ ლიტერატურულ მიმართულებას. მაგრამ, ამასთან

ერთად, ის რუსთაველსაც აღმერთებს; წარსულს კი უარყოფს, მაგრამ ისეთ წარსულს, რომელიც უიმედო არტახებში ამწყვდევს ჩვენს აწმყოს.

- ცეცხლი, ცეცხლი ყველაფერს, რაც შობს მწუხარებას და დაღლილობას!.. – და ვგრძნობ, თანდათან როგორ მშორდება გულიდან ყოველგვარი მწუხრი და უსასოობა.

მიუხედავად ამისა, ჟურნალის მანიფესტმა, მისმა ხმამაღალმა განცხადებამ საზოგადოების ისეთი გულისწყრომა გამოიწვია, რომ ბევრს და, მათ შორის, ძველ ჟურნალისტ ფილიპე მახარაძეს კალამიც კი ააღებინა.

ჩემი აზრით, საზოგადოების ამ აღშფოთების მიზეზი იყო ყანწელთა გადაჭარბებული სითამამე: „გიყვარდეთ ქალი ვნებიანად და ამრავლეთ ადამიანები დაუზოგავად.“

ეს ქუთაისის პატრიარქალურ საზოგადოებას გულზე ტყვიასავით მოხვდა.

რასაკვირველია, საზოგადოებას განსაკუთრებით წარსულის უარყოფა აღიზიანებდა.

- მაშ, თუ ასეა, უარვყოთ ჩვენი წარსული, ილია, აკაკი; უარვყოთ საუკუნეების განმავლობაში ხალხის მიერ რუდუნებითა და სიყვარულით ნაღვაწი ლიტერატურა, ხელოვნება და ყანწელი პოეტები დავისვათ კერპებად?! - ცხარობდა მკითხველი.

მაგრამ ყანწელები ილიას და აკაკის კი არ უარყოფდნენ, პირიქით, დიდად აფასებდნენ. აღიარებდნენ მათ ღვაწლს, რომ მათ შექმნეს პატრიოტული საქართველო; ყანწელებმა კი პოეტური საქართველო უნდა შევქმნათო. პაოლო სასტიკად ილაშქრებდა იმ ხალხის წინააღმდეგ, ვინც მის ჯგუფს – ცისფერყანწელებს – ფუტურისტებად რაცხავდა. ფუტურისტები ცეცხლის ალში ხვევდნენ წარსული კულტურის ყოველგვარ ფასეულობას და მხოლოდ მომავალს აღიარებდნენ, მაგრამ მომავალი ხომ წარმოუდგენელია წარსულის გარეშე, ის ხომ მომავლის საძირკველია! პაოლო კი პირიქით: არათუ უარყოფდა წარსულს, ის იმით სუნთქავდა. რუსთაველი ღმერთი იყო მისთვის, ილია და აკაკი – უდიდესი ეროვნული მოღვაწეები.

ოპოზიციონერთა და ჟურნალის იდეების უარმყოფელთა შემოტევამ ცისფერყანწელები და უფრო კი პაოლო იაშვილი, როგორც უკვე ვთქვი, აიძულა ერთგვარად შეერბილებინათ ტონი, რაც ჟურნალის მეორე ნომრის შინაარსსაც აშკარად დაეტყო; განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ქუთაისის ერთ-ერთ მაშინდელ კაფეში ყანწელთა წინააღმდეგ გამოხდომა სკანდალში გადაიზარდა.

ყანწელთა წინააღმდეგ პრესაში გამოქვეყნებული ერთ ერთი წერილი, რომლის დაბეჭდვამ კიდევ უფრო გააძლიერა მითქმა მოთქმა მათ ე. წ. „თავაშვებულობაზე“, სწორედ ასე იყო დასათაურებული: „სკანდალი კაფეში“.

მე ეს გაზეთი ფოთში წავიკითხე და მეტად შევწუხდი; მით უფრო, რომ ამ უსიამოვნების მიზეზად გაზეთი „რუსთაველის პორტრეტს“ ასახელებდა. ჩვენი ნახატი თურმე კაფეში ეკიდა. რატომღაც (რატომ, აღარ მახსოვს) ყანწელთა მოწინააღმდეგეებს არ მოსწონებიათ. მოუთხოვიათ მისი, როგორც ვითომდა მათი ემბლემის, ჩამოხსნა. ახალგაზრდობამ და მეტადრე იქ მყოფმა პოეტებმა ეს მეტისმეტად იუკადრისეს და შეიქნა ერთი აყალმაყალი, ჩხუბი და გაწევ-გამოწევა. ბოლოს მოწინააღმდეგენი შემთხვევით იქ მყოფ ცნობილ კრიტიკოსს – კიტა აბაშიძეს ძლივს დაუშოშმინებია.

- რა შუაშია აქ რუსთაველის პორტრეტიო, - უთქვამს კიტა აბაშიძეს, - მე კარგად ვიცი, რომ ეს ნამუშევარი ჯერ კიდევ თბილისის გაზეთ „თემში“ იყო

დაბეჭდილი, როცა „ცისფერი ყანწების“ ხსენებაც არ იყო ამქვეყნად. ეს პორტრეტი ჟურნალმა დაბეჭდა, როგორც ერთ ერთი ლამაზი ვარიანტი დიდი პოეტის – შოთა რუსთაველისაო...

ჩავედი თუ არა ქუთაისში, მაშინვე ვინახულე პაოლო. ბულვარის პირას, მეგობრების წრეში შემხვდა. დამაწყნარა და მითხრა: რუსთაველის პორტრეტი მხოლოდ საბაბი იყო სკანდალისთვის, მაგრამ ჯავრი ნურაფრის გექნება, ყველას თანაბრად გავუმასპინძლდებითო.

ამ პერიოდში ჩემი უმცროსი ძმა დავით ჯაფარიძე ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა და იქვე ცხოვრობდა პანსიონში. ის ,,ომგადახდილი” კაფეც იქვე გიმნაზიის შენობას ემიჯნებოდა.

დავშორდი თუ არა პაოლოს, პანსიონში ძმასთან გავეშურე.

დავითმა დაწვრილებით მიამბო ყველაფერი. მისთვის ამხანაგებს ეცნობებინათ: „არიქა, დათიკო, შენი ძმების დახატული რუსთაველის გამო ჩხუბია კაფეში და მიეშველეო“.

რასაკვირველია, ბავშვი ვერ მიეშველებოდა მათ და ჩხუბშიც ვერ ჩაერეოდა, მაგრამ მაინც გაქცეულა და სწორედ იმ დროს მისულა, როცა ჩხუბი უკვე ჩაწყნარებულიყო და კიტა აბაშიძეც დამშვიდებული გამოდიოდა კაფედან.

პაოლოს თქმისა არ იყოს, რუსთაველის პორტრეტი მხოლოდ მიზეზი იყო, თორემ მათ გაუთავებელ ჩხუბს სხვადასხვა ჯგუფებად დაყოფა, ურთიერთშეურიგებლობა, მხატვრული სიტყვის მნიშვნელობისადმი განსხვავებული დამოკიდებულება, მოჭარბებული პრეტენზიები იწვევდა და არა ჩვენი რუსთაველის პორტრეტი. პირიქით, ის ყველას მოსწონდა, განსაკუთრებით კი ყანწელებს, რომლებიც თავიანთ ჟურნალს არ დასჯერდნენ და თეატრალურ აფიშაზეც დაბეჭდეს.

ამ აფიშებიდან ამონახევი რუსთაველის პორტრეტი დღესაც მაქვს შენახული და თვალის ჩინივით ვუფრთხილდები.

დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ მე მაინც სიამოვნებით ვიგონებ ცხოვრების იმ მონაკვეთს, „ოცნების ნაპერწკლებს რომ ფანტავდნენ პოეტური ხელით ხალხში“.

მიყვარს ის დრო - ქუთაისი, როგორც ქართული ლიტერატურისა და შემოქმედების პოეტური დუღილის საასპარეზო.

„ისმინეთ ყველამ ჩვენი ქადაგება!..“

დღესაც ზარის რეკვასავით ჩამესმის ყურში 90 წელს გადაცილებულ მოხუცს ჟურნალის ეს ფრაზა.

მიყვარს მასში დასტამბული მხატვრული ნაწარმოებები, ლექსები თუ მხატვრული ესკიზები: გალაკტიონი მისი „ლურჯა ცხენებით“, გრიშაშვილი „შეშლილი ოთახით“, ელენე დარიანი ლექსით – „მაგიჟებს სითბო“, გრ.ჯაფარიძე „ფირუზისფერი ოცნებებით“... მიყვარან - ტიციანი, ვალერიანი, კოლაუ, ლელი ჯაფარიძე, ლამაზად მოხატული ორად ორი სიტყვა: - „ცისფერი ყანწები“ და, ბოლოს, შოთა რუსთაველის ჩვენეული პორტრეტი.

და კიდევ ჟურნალის გამოცემის დროისა და ადგილის მანიშნებელი რამდენიმე სიტყვა: „ქუთაისი, გაზაფხული. ჩშივ“.

ამ „ჩშივ“ ის შემდეგ უკვე სამოცი წელია გასული. გული კი არ ბერდება – ისევ იმ ცისფერი ოცნებებით დადის და ხარობს ამ ქვეყანაზე.

გრიგოლ რობაქიძე

გრიგოლ რობაქიძე იმ დიდ ქართველთა პლეადას ეკუთვნის, რომელთა უკვდავი სახელებიც შუქურვარსკვლავივით ბრწყინავენ ჩვენი ეროვნული კულტურის ისტორიაში.

მე ბედნიერება მქონდა წლების განმავლობაში მეგობრული ურთიერთობა მქონოდა მასთან. ამიტომ თავს ვალდებულად ვთვლი, ცოტა რამ მოვიგონო მის შესახებ. მოსაგონარი კი არც თუ ცოტა მაქვს და შთამომავლობის წინაშე საფლავში მათი წაღება დანაშაულად მიმაჩნია.

ჩემი განზრახვა ერთადერთია - სიმართლე და მხოლოდ სიმართლე მოვუთხრო მომავალ თაობას. სიმართლე კი ის გახლავთ, რომ გრიგოლ რობაქიძე არათუ მოღალატე, უდიდესი პატრიოტი გახლდათ საქართველოისა, ქართველი ხალხისა, მისი წარსულისა და მომავლისა, მისი დიდი კულტურისა თუ მწერლობისა.

ამ მხრივ ის სანიმუშო მოქალაქე გახლდათ.

გრიგოლ რობაქიძეს კარგად იცნობენ, როგორც მწერალს, როგორც ძალზე გახმაურებული რომანის – „გველის პერანგისა“ და პოპულარული დრამატული ნაწარმოების – „ლამარას“ ავტორს.

მაგრამ განსაკუთრებით დიდი სახელი გრიგოლს 1908 1930 წლებმა მოუტანა, როდესაც მწერალი გერმანიიდან დაბრუნდა და ქუთაისსა და თბილისში ქართული მწერლობის საკითხების გარშემო საჯარო ლექციების ქართულ ენაზე კითხვა დაიწყო. დიახ, ქართულ ენაზე!

თამამად ვიტყვი, რომ იმ დროს გრიგოლ რობაქიძე თვალსაჩინო და უაღრესად კოლორიტული ფიგურა იყო, უნიჭიერესი ორატორი, სახელგანთქმული მჭევრმეტყველი, შარავანდედით მოსილი პიროვნება.

დიახ, გრიგოლი გახლდათ უდიდესი ნიჭის მქონე პოეტი, დრამატურგი და, ყველაფერთან ერთად - ფილოსოფოსიც. ფილოსოფია მისი ძირითადი სპეციალობა გახლდათ: მან ხომ ლაიფციჰის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი დაამთავრა და ამ დარგში დიდის წარმატებით კითხულობდა ლექციებს.

ასე რომ, გრიგოლის სახით იმ დროს საქართველოში ერთ ერთი დიდი პიროვნება მოღვაწეობდა.

ვთქვი, რომ ის ქართულ ენაზე კითხულობდა მეთქი ლექციებს. ზოგიერთმა შეიძლება მკითხოს: აბა, რა ენაზე უნდა წაეკითხა ქართული აუდიტორიის წინაშეო, მაგრამ იმ დროს რუსიფიკატორული პოლიტიკის წყალობით მთელს რუსეთის იმპერიაში ლექციების კითხვა მხოლოდ რუსულ ენაზე იყო ნებადართული.

ამიტომ ქართული ენა თითქმის დავიწყებული გახლდათ. კიდეც რომ მოენდომებინათ ამ ენაზე საჯაროდ გამოსვლა, მის აღსრულებას იმდენი წინააღმდეგობა შეხვდებოდა, რომ ფაქტიურად ვერც განხორციელდებოდა.

დიახ, საუკუნეთა მანძილზე დევნილი ქართული ენა იმდენად დაჩლუნგდა, რომ ის მხოლოდ „საშინაო ხმარებისთვისღა“ გამოიყენებოდა.

ყოველივე ამის გამო ქართველი ხალხი კარგავდა რწმენას საკუთარი ენისადმი და მისდაუნებურად რუსულზე გადადიოდა, ურომლისოდაც, ხალხის აზრით, „ნაბიჯის გადადგმაც კი არ შეიძლებოდა.“

მოკლედ, ქართული ენის დავიწყება და მოსპობა ისტორიულად გარდუვალ პროცესად აღიქმებოდა, და, ვინ იცის, სანამდე მივიდოდა საქმე, რომ ჩვენი დიდი სამოციანელების – ილიას, აკაკისა და სხვათა მოღვაწეობა არ წამოშველებოდა. სწორედ მათ აღიმაღლეს ხმა ქართული ენის უფლებათა დასაცავად და იგი კვლავ დაუბრუნეს მშობელ ხალხს.

ერთადერთი ადგილი, სადაც ქართულ ენას, ჩვენი სოფლების გარდა, სულის მოთქმა შეეძლო, იყო თეატრი, ჟურნალ გაზეთები. ცოცხალი სიტყვა ანუ საჯაროდ გამოსვლა იმ დროის გასაჭირზე ჯერ კიდევ არ ჩანდა. იგი აკრძალული იყო.

და, აი, სწორედ ასეთ ვითარებაში გამოჩნდა გრიგოლ რობაქიძე, რომელმაც ჩვენი ხალხის ფართო ფენებს საჯარო ლექციები - უაღრესად საჭირო, დიდი ხნის ნანატრი სულიერი საზრდო - მშობლიურ ქართულ ენაზე წაუკითხა.

თან როგორ კითხულობდა! როგორი ენით, დიქციით, მჭევრმეტყველებით? –ეს იყო ორატორული ხელოვნების შეუდარებელი ნიმუში. ასეთი შინაარსის გამოსვლები საქართველოში მანამდე არავის მოესმინა.

ეს იყო ცხრაასიანი წლების პირველი ათეულის მიწურულს.

იმხანად, ე.ი. 1908 წელს, ქართველი საზოგადოებრიობა ემზადებოდა დიდი მგოსნის – აკაკი წერეთლის – ლიტერატურული მოღვაწეობის 50 წლისთავის იუბილისათვის. იმ საღამოზე მოხსენების წასაკითხავად გრიგოლ რობაქიძე მიიწვიეს, მაგრამ გუბერნატორმა მას ქართულ ენაზე გამოსვლის ნება არ დართო.

აი, იმის ცოცხალი მაგალითი, თუ როგორ ეპყრობოდა მეფის ხელისუფლება ქართულ ენას!

კიდევ კარგი, რომ საქმეს გავლენიან პირთა ჩარევამ უშველა. პირველ რიგში ვგულისხმობ ცნობილ გენერალს გიორგი ყაზბეგს – წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის მაშინდელ თავმჯდომარეს. სწორედ მისი წყალობით გამოვიდა ახალგაზრდა გრიგოლი ქართულ ენაზე.

რობაქიძის მშობლიური ენის სილამაზითა და მდიდრული ლექსიკით აღტაცებული საზოგადოება აღფრთოვანებას ვერ მალავდა. დიახ, შთაბეჭდილებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ცნობილმა მწერალმა ილია ელეფთერიძემ გაზეთში წერილიც კი დაბეჭდა სათაურით: „ამომავალი მზე“.

თვით დიდი მგოსანი აკაკი იმდენად ააღელვა გრიგოლ რობაქიძის ამ მოხსენებამ, რომ იგი წამდაუწუმ იმეორებდა გულის სიღრმიდან წამოსულ სიტყვებს: „აწ განმიტევე, მეუფეო, მე მონა შენი!“

ასევე მჭევრმეტყველების ნიმუში იყო გრიგოლის მიერ ვაჟა ფშაველას შემოქმედებისადმი მიძღვნილი მოხსენებაც. ის ლექცია ნამდვილ შედევრად შეიძლება ჩაითვალოს.

გულახდილად უნდა ითქვას, რომ ვაჟა ფშაველა, როგორც მსოფლიო მასშტაბის პოეტი, რომლის შემოქმედება ფართოდ ეხმაურება კაცობრიობის მაღალ იდეალებს და მხარს უსწორებს ჩვენი პლანეტის თითქმის ყველა გენიოს მწერალს, თავდაპირველად გრიგოლ რობაქიძემ აღმოაჩინა. პირველად მან თქვა ლოგიკურად და მეცნიერულად დასაბუთებული სიტყვა. მე ეს ძალიან კარგად

მახსოვს და ამის ცოცხალი მოწმეც გახლავართ. გულახდილად უნდა ითქვას, რომ ვაჟა ფშაველას კულტი სწორედ გრიგოლ რობაქიძის მოხსენების შემდეგ დამკვიდრდა. დიდი ფშაველი რუსეთსაც მან გააცნო „Русская Мысль“- ში (1911, 8) გამოქვეყნებული წერილით...

გრიგოლ რობაქიძის სახელი პირველად სწორედ 1908 წელს აკაკი წერეთლის იუბილის დღეებში გავიგონე. მაშინ ჯერ კიდევ მოსკოვის უნივერსიტეტში ვსწავლობდი და კარგად მახსოვს ის დიდი მოწონება და აღტაცებული შეძახილები, ქართველ სტუდენტთა შორის რომ გაისმოდა შორეულ რუსეთში.

გვაინტერესებდა, ვინ იყო ეს ახალგაზრდა უცნობი ლექტორი, რა განათლება ჰქონდა და მისთანანი, - მოკლედ, ყველაფერი, რაც კი მის პიროვნებასთან იყო დაკავშირებული.

ბოლოს და ბოლოს, გავიგეთ, რომ გრიგოლი ზემო იმერეთიდან იყო, ჩხარელი გლეხის შვილი; დაემთავრებინა ქუთაისის სასულიერო სემინარია, რის შემდეგ ნიკო ნიკოლაძის, გიორგი ზდანევიჩისა და კიტა აბაშიძის უშუალო ხელშეწყობით გაუგზავნიათ საზღვარგარეთ სასწავლებლად, როგორც ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საზოგადოების სტიპენდიანტი.

ასეთი დიდი ადამიანების ერთსულოვანი მონდომება და მათი სახელის დაკავშირება მაშინ ჯერ კიდევ სრულიად უცნობი ახალგაზრდის პიროვნებასთან უკვე რაღაცას ნიშნავდა. როგორც ჩანს, გრიგოლ რობაქიძის ხალასი ნიჭი ჯერ კიდევ სემინარიის კედლებში გამჟღავნდა და ამან ქველმოქმედ ადამიანთა ყურამდეც მიაღწია. ამის საფუძველზე მათ გრიგოლის მომავალიც იწინასწარმეტყველეს და აკი არც მოტყუებულან. გრიგოლმა წარმატებით დაამთავრა ლაიფციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი და დიდი ცოდნით აღჭურვილი დაბრუნდა საქართველოში.

როგორც ზემოთაც ვწერდი, მან თავისი ლექციებით მალე გაითქვა სახელი, განსაკუთრებით, ახალგაზრდობაში. მის პატივისმცემელთა შორის ვიყავით მე და ჩემი ძმა გრიშაც.

გაგონილს თვალით ნანახი ჯობიაო, და ჩვენც გულით ვცდილობდით მასთან შეხვედრასა და საუბარს, რაც 1914 წლის გაზაფხულზე ქუთაისში, ცნობილი ექიმის დიმიტრი ნაზარიშვილის ოჯახში მოხდა. ეს ოჯახი მეტად პატივსაცემ და სტუმართმოყვარე კერად ითვლებოდა მთელ ქალაქში და იქაური მოწინავე ინტელიგენციის თავშეყრის ადგილად იყო მიჩნეული.

რომელ ცნობილ საზოგადო მოღვაწეს არ შეხვდებოდით ამ ოჯახში – ადგილობრივსა თუ ჩამოსულს. როგორც ჩანს, გრიგოლ რობაქიძეც შინაურ კაცად იყო მიღებული, მაგრამ თავი მაინც მისი ავტორიტეტის შესაბამისი სიდინჯით ეჭირა და ხალხიც მოკრძალებით ექცეოდა.

ერთი სიტყვით, გრიგოლი იმთავითვე გამოირჩეოდა თავისი განათლებით, სიდარბაისლითა და ღირსების გრძნობით.

გრიგოლი თუნდაც იმიტომ იყო საყოველთაო აღიარების ღირსი, რომ დიდ პროპაგანდას უწევდა ქართულ ენას, ქართულ სიტყვას და მას დიდი ხნის წინათ დაკარგულ სახელსა და წონას უბრუნებდა.

ეს უდიდესი რამ იყო მთელი ქართველი ხალხისათვის. ვიტყვი მეტსაც: ეს იყო ნამდვილი რევოლუცია.

ეს ყოველივე გრიგოლ რობაქიძეს დიდად ამაღლებდა ჩვენს თვალში და მას განსაკუთრებულ მოღვაწედ მივიჩნევდით.

სწორედ ამიტომ დღეს ყოველი შეგნებული ქართველი დიდად წუხს მისი სახელის ამოშლას ქართული მწერლობისა და კულტურის ისტორიიდან.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს დროებითი მოვლენაა და ისტორია ყველაფერს გადააფასებს, ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს.

გრიგოლი ტანად საშუალო სიმაღლისა გახლდათ, თხელი, პირხმელი, მხრებში გამართული, ხოლო სახე მეტად მიმზიდველი და სასიამოვნო ჰქონდა.

დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მისი ჭკვიანი, მეტყველი და ელვარე შავი თვალები; ისინი თითქოს ჩვენს სულში იმზირებოდნენ.

როდესაც გაიღიმებდა და თეთრად ჩამწკრივებულ კბილებს გამოაჩენდა, გეგონებოდათ, თქვენ ირგვლივ ყველაფერი განათდაო.

მუდამ გემოვნებით და ფაქიზად იყო ჩაცმულ-დახურულიც.

ბუნებით დინჯი იყო, საუბარიც დინჯი, აუჩქარებელი სჩვეოდა, სიარულიც ნელი იცოდა. მისი ხავერდოვანი ბარიტონით მჟღერი სხარტი და გონებამახვილური საუბარი ერთ რამედ ღირდა. ნამდვილ სიამოვნებას ანიჭებდა მსმენელს.

თხემით ტერფამდე სუფთა და ამაღლებული სულის პატრონი მშობელი ქვეყნის სიყვარულით იყო ,,დასნეულებული". მისთვის საქართველო ყველაფერი იყო, მისი მაცოცხლებელი და მასაზრდოებელი. მაგრამ დადგა დრო, როცა ის უნდა გასცლოდა მოახლოებულ საფრთხეს.

თუმცა განშორების სევდა ტანჯავდა, მაინც იმედიანად იყო: - ,,სამშობლოს გარეთ ყოფნა, ალბათ, დიდხანს არ მომიხდება და მალე დავბრუნდები. საქართველო ჩემი სუნთქვაა, ჩემი გულისცემა. უმისოდ მე არარაობა ვარ, სხვაგან რა გამაძლებინებს..." ჩემი აზრით, ამით უფრო თავს იმხნევებდა.

ამის შემდეგ არ გასულა ორი-სამი წელი, რომ ჩვენში ისეთი ხმა დაირხა, ყურო, ნუ გაიგონებო, რომ იტყვიან: გრიგოლ რობაქიძე ფაშისტებს მიმხრობია და ჰიტლერის მარჯვენა ხელიც კი გამხდარაო.

ეს, რა თქმა უნდა, ძალზე არასასიამოვნო რამ გახლდათ და რაგინდ უსაფუძვლოც უნდა ყოფილიყო, ჩვენში მაინც დიდ აღშფოთებას იწვევდა.

გრიგოლ რობაქიძე არ ყოფილა ისეთი უბრალო პიროვნება, რომ მის დაკარგვას ასე ადვილად შელეოდა ქართველი ხალხი. დაკარგვას და თანაც როგორს: სამარცხვინოსა და თავისმომჭრელს. მწერალი და ღალატი? სამშობლოს მოყვარული და გამცემლობა?! შეუძლებელი იყო ამის დაჯერება, მაგრამ მისი გამამართლებელი ფაქტებიც რომ არავინ იცოდა!

მართალია, ხმები მოდიოდა, რომ გრიგოლ რობაქიძე იქაურ პროგრესულ მწერალთა შორის იდგა და ეს მწერლები იყვნენ შტეფან ცვაიგი, თომას მანი, რომენ როლანი, მარსელ ბრიონი და სხვანი, რომლებიც ჰიტლერს ოპოზიციაში ედგნენ... მაგრამ ამქვეყნად რაღა არ ხდება მოულოდნელი.

შტეფან ცვაიგმა გრიგოლ რობაქიძის გერმანულ ენაზე გამოცემულ რომანს – „გველის პერანგს" – გულთბილი წინასიტყვაობა წარუმძღვარა ("ოგონიოკი," 1929 წ., # 26), ჰიტლერის ახლობელ მწერალს კი შტეფან ცვაიგი თავის მშვენიერ წინასიტყვაობას არ შეაწევდა! მოკლედ, ვიყავით ასეთ ორჭოფულ მდგომარეობაში... მაგრამ, როგორც ირკვევა, არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა და მის სახელს ჩირქი არ მოსცხებია.

გრიგოლ რობაქიძე იყო უბრალო, ნაზი გრძნობების პატრონი, ფაქიზი, უბოროტო. უყვარდა ყველაფერი ინტელიგენტური და უჩვეულო, ორიგინალურს იგი თვით ჩვეულებრივშიაც ხედავდა და შეიგრძნობდა.

ერთხელ მე და ჩემი ძმა გრიშა ქუთაისიდან თბილისში ჩამოვედით; მგონი, ეს, 1916 წელს უნდა ყოფილიყო, პროსპექტზე მივიჩქაროდით. უეცრად ხალხში წინ მიმავალი გრიგოლ რობაქიძე შევნიშნეთ. დინჯად, მისთვის ჩვეული ნელი ნაბიჯებით მიუყვებოდა ქუჩას. იგი აშკარად გამოირჩეოდა ყველასაგან გარეგნობით, იერით, სიარულის მანერით.

გაგვიხარდა მისი დანახვა და ნაბიჯს კიდევ უფრო ავუჩქარეთ; მალევე წამოვეწიეთ. გრიგოლსაც არანაკლებ ესიამოვნა ჩვენთან მოულოდნელი შეხვედრა.

- ვაჰ! საიდან, მეგობრებო, ასე ერთად, როგორც ყოველთვის? რა კარგია, რომ შეგხვდით!...

ლაპარაკით გული რომ ვიჯერეთ, გრიგოლი ახლა ჩვენს არცთუ ურიგო ჩაცმულობას დააკვირდა და რომ გაიგო, ქუთაისური ნახელავი იყო, სიამაყით წარმოთქვა:

- აი, უყურეთ ქუთაისს!... ბრწყინვალე ქალაქია ქუთაისი!...

ასეც იცოდა - ყველაფერი მოსწონდა იქაური. შეგიქებდა, გასიამოვნებდა...

თავად კი ევროპაში შეკერილი კოსტუმი ეცვა, პირდაპირ, იშვიათი ოსტატობის ნიმუში.

- ეჰ, თუმცა რა დროს ეგენია! – თითქოს უცბად გამოერკვა, - მოდით, ისევ ქუთაისისა და თქვენი ამბავი მითხარით; დიდი ხანია, აღარ მინახიხართ... აბა, თუ გამოგიცნობთ, რომელი ხარ გრიშა და რომელი – ლადო. ყოველთვის მეშლებით...

და ამის თაობაზე გულიანად იცინოდა.

გამოგვკითხა ჩვენი ზნე-ხასიათისა და ბუნების თავისებურებანი, ჩვეულებრივისაგან განსხვავებული. როგორც ფსიქოლოგს, დიდად აინტერესებდა ტყუპთა ფიზიკური და სულიერი მსგავსების საკითხი. სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევა არ იყო. ყოველი შეხვედრის დროს ამ საკითხის ირგვლივ აუცილებლად რაღაც უნდა ეკითხა, რათა ჩვენი პასუხებით ტყუპების, როგორც ბუნების იშვიათი ფენომენის, მისთვის საიდუმლოებით მოცული საკითხები გაერკვია.

ერთხელ მას რომელიღაც ლექციაშიც კი ვუხსენებივართ საკუთარი დებულების დასადასტურებლად იმის შესახებ, რომ ტყუპები ერთმანეთს უსიტყვოდაც კი უგებენო...

ასეთი შემთხვევები ჩვენ, მართლაც, გვქონდა და ეს გრიგოლს გაგონილი ჰქონდა ჩვენგან.

გრიგოლ რობაქიძეს კიდევ უფრო დავუახლოვდი და დავუმეგობრდი 1921 1931 წლებში, როდესაც მე სახელგამში დავიწყე მუშაობა – პავლე საყვარელიძესა და ალექსანდრე აბაშელთან ერთად.

„სახელგამში“ სხვადასხვა საკითხების გასარკვევად ხშირად მოდიოდნენ მწერლები.

„სახელგამი“ – ანუ სახელმწიფო გამომცემლობა, მოთავსებული გახლდათ რუსთაველის გაზირზე (# 22), ოპერის თეატრის პირდაპირ, წიგნის მაღაზიის თავზე, მეორე სართულზე. მეტად მოხერხებული ადგილი იყო მწერალთა

შესახვედრად თუ საგამომცემლო საქმეებზე მოსასვლელად. ბეჭდვით საქმეს პოეტი ნიკოლო მიწიშვილი განაგებდა.

ჩვენი დაწესებულება ნამდვილი მწერალთა კლუბი იყო, მათი თავშესაფარი. კარგად მახსოვს, ყოველ მწერალთან საქმეებით თუ მეგობრული ურთიერთობით ვიყავი დაკავშირებული, რაც დიდ სულიერ კმაყოფილებას მგვრიდა. ესენი იყვნენ: დავით სულიაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, დავით კასრაძე, გრიგოლ რობაქიძე, გერონტი ქიქოძე, თედო სახოკია, შიო მღვიმელი, არისტო ჭუმბაძე, შალვა დადიანი, კონსტანტინე გამსახურდია, მამედ ბეგ აბაშიძე, პავლე ინგოროყვა, გალაკტიონ ტაბიძე, სანდრო შანშიაშვილი, იოსებ გრიშაშვილი, გიორგი ქუჩიშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, სერგო კლდიაშვილი, იონა ვაკელი, იაკინთე ლისაშვილი და სხვები.

იშვიათად შემოივლიდნენ ხოლმე უფროსი თაობის მწერლებიც: ვასილ ბარნოვი, დავით კლდიაშვილი და თავიანთი დარბაისლური ბაასით გვატკბობდნენ.

მწერლებმა „სახელგამში“ სიარულს კიდევ უფრო მოუხშირეს, როდესაც სურსათ სანოვაგის ნაკლებობის გამო წარმოება დაწესებულებებში მუშა მოსამსახურეებზე სიით პაპიროსის გაყიდვა შემოიღეს.

ჩვენთან პაპიროსისა და სხვა სანოვაგის მისაღებად, მუშა მოსამსახურეთა გარდა, მწერლებიც მიამაგრეს, რომლებიც არსად არ მსახურობდნენ. სიაში მხოლოდ იმათ წერდნენ, ვინც თუთუნს ეწეოდა, რადგან სიძვირის გამო მისი ბაზარზე შოვნა თითქმის შეუძლებელი იყო. იმ გაჭირვებაში არამწეველი პატიოსანი მშრომელი კაციც მწევლებში ეწერა, რადგან მერე პაპიროსის სანაცვლოდ და საფასურით ის სხვა სახის სურსათ სანოვაგეს იძენდა.

მართალია, არც გრიგოლ რობაქიძე ეწეოდა, მაგრამ პაპიროსის სიაში ისიც ჩაეწერა და მთხოვა, უკეთუ რაიმე მიზეზით რომელიმე დღეს გამომცემლობაში ვერ მოვიდოდა, მისი კუთვნილი ნორმა მე ამეღო.

მაგრამ გრიგოლი, როგორც ყველა სხვა საქმეში, დიდ აკურატულობას იჩენდა და ყოველდღე შემოდიოდა ჩემთან მისი წილი პაპიროსის მისაღებად.

მაგრამ ერთ დღეს გრიგოლი არ მოვიდა. ეს მეტად მეუცნაურა. არ მოვიდა არც მეორე და არც მესამე დღეს. შევწუხდი და ის იყო, მის სანახავად წასვლას ვაპირებდი (ცხოვრობდა ახლანდელ კოტე მაყაშვილის ქუჩაზე, თოფურიძის სახლში), რომ მოულოდნელად მისი წერილი მივიღე: „თბილისი. რუსთაველის პრ. „სახელგამი“. ლადო ჯაფარიძეს". გულზე მომეშვა: მადლობა ღმერთს, ავად არ ყოფილა მეთქი, - ვიფიქრე ჩემთვის.

„ძვირფასო ლადო, - მწერდა გრიგოლი, - გუშინ გამოვექეც თბილისის სიცხეს. პაპიროსები დაპირებისამებრ დამიგროვე. „ლიტერატ. გაზეტა“ – ფოსტით. მომიკითხე ყველა. მისამართი: კოჯორი. ქვემო გზატკეცილი. აგარაკი სოშჩენკოსი. შენი გრიგოლ რობაქიძე.“

აი, თურმე რა ყოფილა გრიგოლის მოუსვლელობის მიზეზი!

ასეთი დიდი დეფიციტის გამო უსიამოვნებაც ხშირად გვქონდა ხოლმე, ზოგჯერ – კომიკური.

როგორც ადგილკომის თავმჯდომარე, ამ საქმეს მე განვაგებდი. ერთხელ ჩემთან თანამშრომელი ქალი შემოვიდა, რომელსაც სავაჭრო ორგანიზაციიდან სიის მიხედვით პაპიროსის მოტანა ჰქონდა დავალებული და დახმარება მთხოვა. მოხუცი ქალი იყო. როგორც ჩანდა, გაჭირვებას მოეყვანა ამ საქმეზე. ჩანდა, რომ

წარმოშობით დიდგვაროვანი უნდა ყოფილიყო და, რომ ვკითხე, „გრუზინსკაია“ აღმოჩნდა. ქართული არ იცოდა, რადგან რუსეთში იყო გაზრდილი და იქ ნაცხოვრები. რომელიღაც ბატონიშვილის შთამომავალი უნდა ყოფილიყო. შევეკითხე: - რა იყო, ქალბატონო, რამ შეგაწუხათ მეთქი?

გამოირკვა, რომ პაპიროსს სთხოვს ვიღაც უცნობი კაცი, რომელიც სიაში არ უწერია.

- Требует, скандалит, а у меня его в списке нет. Его фамилия Сезман. Вероятноя еврей!...

- ფხუი! – სიცილი წასკდა საშა აბაშელს, - სეზმან ერთაწმინდელს გაუჯავრებიაო...

იყო იმ დროს ასეთი ადამიანი, ძალიან კარგი პიროვნება.

მართლაც ასე გამოდგა: ოღონდ სეზმანი სახელი იყო და არა გვარი.

„სეზმანი“ გამყიდველს გვარი ჰგონებია და ამიტომაც სიაში ვერ მოეძებნა. ამის გამო მთხოვნელს, ცხადია, თავაზიანი უარი უთხრა. ეს კი სეზმანს არ მოუთმენია და ამტყდარა ერთი ვაიუშველებელი. საქმეში პავლე საყვარელიძეც ჩაერია, მას ნიკოლო მიწიშვილი და აკაკი გვახარიაც წამოეშველნენ. ყველაფერი გაირკვა, „სეზმანის“ მაგივრად, სიაში „ერთაწმინდელი“ მონახა და კუთვნილი პაპიროსიც უდავიდარაზოდ გადაეცა. სიცილი მოედო ყველას: სეზმანსაც და ჩვენც. მოხუცმა ქალმა მოიბოდიშა, მაგრამ ის კი ვერ გაეგო ნამდვილად, თუ რატომ ატარებდა სეზმანი ასეთ უცნაურ სახელს.

ერთხელ, პაპიროსთან დაკავშირებით ასეთი ბარათიც მოგვივიდა: „პავლეს, ან საშას, ან ლადოს, - გვწერდა შალვა შარაშიძე, იუმორისტი მწერალი, მეტად სიმპათიური და საყვარელი ადამიანი, მწერლობაში „თაგუნას“ ფსევდონიმით ცნობილი, - „ძმაო პავლე, ან ძმაო საშა, ან ძმაო ლადო, ან სამივე! გევედრებით, გაიკითხოთ დავრდომილი, სნეული, პაპიროსი მიწყალობეთ, ათეული რვეული. ვწუხვარ, ვკვნესი, არვინა მყავს მწყალობელი, მომვლელი, ფეხი მტკივა, პაპიროსებს წამალივით მოველი.

თქვენი შ.შარაშიძე.

აბა, თქვენ იცით, თუ მიშოვით რამდენიმე პაპიროსს.“

აი, ასეთი გაჭირვება იყო მაშინ თამბაქოზეც და ამიტომ ყველა ცდილობდა, თავისი ნორმა არ დაჰკარგვოდა.

გრიგოლ რობაქიძისა და თაგუნას ორთავე ბარათს დღემდე სიყვარულით ვინახავ ჩემს საქაღალდეებში.

ქუთაისში, ექიმ დიმიტრი ნაზარიშვილის ოჯახში შეხვედრის შემდეგ, გრიგოლ რობაქიძესთან ჩვენი ნაცნობობა მეგობრობაში გადაიზარდა, განსაკუთრებით 1915 წლიდან, როცა ქუთაისელ ახალგაზრდა ლიტერატორთა და პოეტთა წრეში მიხდებოდა ყოფნა.

ის უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა, როგორც აღიარებული საზოგადო მოღვაწე, პოეტი, მჭევრმეტყველი და როგორც ნამდვილი ევროპელი საქართველოში.

გრიგოლ რობაქიძემ დიდი მონაწილეობა მიიღო პაოლო იაშვილისა და მისი პოეტური წრის ჟურნალ „ცისფერი ყანწების“ გამოცემაში, დიდ დახმარებას უწევდა ამ წრეს, იყო მისი იდეური ხელმძღვანელი და, შეიძლება ითქვას, ბელადიც კი.

როგორც ჩანს, ყოველივე ეს ჩვენი ქვეყნის გარეთაც კი იყო ცნობილი, რადგან გრიგოლს „ცისფერი ყანწების“ თეორეტიკოსადაც კი ასახელებენ. აქ მინდა დავიმოწმო ესტონეთში გამოცემული წიგნი: «Сквозь годы и расстояния», რომლის ავტორია ს.ისაკოვი და დაბეჭდილია ქალაქ ტალინში 1969 წელს. ს.ისაკოვი მიმოიხილავს ტარტუს (იგივე იურიევის) უნივერსიტეტის სტუდენტთა ცხოვრებას და, სხვათა შორის, იქაურ ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს ცხოვრებასაც ეხება, კერძოდ, იმ წლებს, როცა იქ 1910 1914 წლებში გრიგოლ რობაქიძეც სწავლობდა. მან ხომ გერმანიაში ყოფნის შემდეგ ტარტუს უნივერსიტეტიც დაამთავრა!...

მე თავს ნებას მივცემ, ამოვიწერო გრიგოლზე არსებული ცნობები ამ წიგნიდან, რადგან ისინი უდავოდ საინტერესოა: „В составе землячества (грузинского – л.ы.) оказалось сильное литературное ядро, включавшее несколёко писателей. Самым крупным из них был Гр.Робакидзе, один из вождей грузинского символизма, теоретик известной литературной организации „Голубые роги“. ავტორი ვრცლად ლაპარაკობს გრ.რობაქიძის ლიტერატურულ მოღვაწეობაზე საქართველოში და შენიშნავს: „Незадолго до смерти Гр.Робакидзе предпринял шаги к установлению связи с родиной.

В советском литературоведении исследование творчества Гр.робакидзе толёко начинается.“

თავის წერილს ს.ისაკოვი ასე ამთავრებს: „В некрологах, появившихся в западной печати после его смерти в 1962 годуя Гр.Робакидзе называли даже классиком мировой литературж.“

წყაროდ მითითებული აქვს 1963 წელს ქ.ტარტუში გამოსული მსოფლიო ლიტერატურის ლექსიკონი: „Lexikon der weltliteratur“.

მე არასოდეს დამავიწყდება ჩვენი სასიქადულო მწერლის დავით კლდიაშვილის სიტყვებიც:

- გასაოცარია, ბატონო, გასაოცარი! – იტყოდა ხოლმე იგი, იმდენად შთაგონებული გახლდათ გრიგოლის ნიჭის ძლიერებით. ამ თავის შემახილზე რაიმეს დამატებას იგი უკვე ზედმეტად მიიჩნევდა.

ახალგაზრდობა და, განსაკუთრებით, „ცისფერყანწელთა“ ორდენის წევრები ჩვეული მორიდებით ექცეოდნენ, როგორც გამორჩეულ პიროვნებას.

გრიგოლ რობაქიძე ყველა თავის თაყვანისმცემელს თავადაც დიდის თავაზიანობით ექცეოდა.

გრიგოლი აქებდა „ყანწელთა“ ლექსებს, ხშირად ზეპირადაც წარმოთქვამდა ხოლმე ცალკეულ სტრიქონებს, მაგრამ თავის ნაწერებზე არ მახსოვს, როდესმე რაიმე ეთქვას. არადა, ნაწერები გრიგოლ რობაქიძეს საკმაოდ ბევრი ჰქონდა, ცალკე წიგნად გამოცემული კი – მხოლოდ სამი პიესა: „ლონდა“, „მალშტრემი“ და „ლამარა“. 1926 წელს გამოვიდა მისი „გველის პერანგი“, მაგრამ, როგორც მისი პირველი პიესების წიგნი, ეს უკანასკნელიც ძალზე მცირე ტირაჟით იყო გამოცემული: 3 ათასი ცალის რაოდენობით. და იმავე 20 იან წლებში ისინი უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენდნენ. ჩემდა იღბლად, პირველი წიგნი ადრევე შევიძინე, მეორე კი თავად გრიგოლმა მისახსოვრა თავისი ავტოგრაფით: „ძვირფას ლადო ჯაფარიძეს. გრიგოლ რობაქიძე. თბილისი... 1930, ოქტომბერი.“ ამ დროს ხსენებული წიგნის შოვნა ბაზარზე უკვე შეუძლებელი იყო.

იმ დროს გრიგოლ რობაქიძეს კიდევ გამოცემული აქვს „Портреты“ და ბროშურის სახით – „ბაქო და ჰაიასტანი“, რომელიც მწერლის ბაქოსა და ერევანში მოგზაურობის შთაბეჭდილებათა შედეგად არის დაწერილი.

რაც შეეხება მის ლექსებს, აგრეთვე კრიტიკულ ნარკვევებს ქართველ და უცხოელ მწერლებზე, წერილებს ესთეტიკურ პრობლემებზე, ისინი ცალკე წიგნებად არასოდეს ყოფილა გამოქვეყნებული და სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებშია გაბნეული.

გრიგოლ რობაქიძის ნაწერები დიდი პოპულარობით სარგებლობდა, თუმცა მისი ზეპირი გამოსვლები გაცილებით უფრო შთამბეჭდავი იყო. დიდი მწერლის სახელი რომანმა „გველის პერანგმა“ დაუმკვიდრა, ხოლო დაფნის გვირგვინი პიესა „ლამარამ“ დაადგა, რომელიც სანდრო ახმეტელმა განახორციელა რუსთაველის თეატრის სცენაზე 1926 წელს.

„ლამარას“ გამოჩენამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მან იმდენად მოხიბლა მაყურებელი, რომ ყოველი მისი დადგმა ნამდვილი დღესასწაული იყო, ხოლო, როცა 1930 წელს სრულიად საკავშირო თეატრალურ ოლიმპიადაზე აჩვენეს მოსკოვში, ისეთი აღფრთოვანება გამოიწვია, რომ რვაჯერ გაამეორებინეს მოსკოვში და რვაჯერვე უამრავი მაყურებელი ჰყავდა.

მის ერთ-ერთ დადგმას სტალინიც კი დაესწრო; იქ იყვნენ აგრეთვე საზღვარგარეთელი სტუმრები, ჟურნალისტებიც. დარბაზი გრგვინავდა თურმე და მთელი ეს წარმოდგენა ნამდვილი სახალხო დღესასწაულის ელფერს იძენდა.

ნიუ იორკის თეატრის „ვასსარი“ ის დირექტორი სანდრო ახმეტელის მისამართით გამოგზავნილ მისალმებაში წერდა: „ლამარა“ მე მომეჩვენა სრულიად არაჩვეულებრივ წარმოდგენად. მუსიკა, ცეკვა, მსახიობის მოქმედება ჰარმონიულადაა შერწყმული სცენასთან, რომელიც ერთსა და იმავე დროს წარმოადგენს მხატვრობასაც და გაბედულ არქიტექტურასაც...“

თავად გრიგოლ რობაქიძეც დიდად აფასებდა „ლამარას“,ამბობდა ხოლმე: „მართალია, მე აღარ ვიქნები ოდესმე, მაგრამ „ლამარა“ ხომ იქნება!...“ მართალიც იყო: „ლამარა“ არასოდეს მოკვდება არც ქართულ მწერლობაში და არც თეატრის სცენაზე.

მე არაერთხელ დავსწრებივარ მის წარმოდგენას და მუდამ სულით ამაღლებული და განსპეტაკებული გამოვსულვარ თეატრიდან.

სულ სხვა შინაარსისა და ხასიათის იყო გრიგოლ რობაქიძის მეორე პიესა – „მალშტრემი“.

ღირსება უთუოდ დიდი ჰქონდა: სამჯერ თუ ოთხჯერ მაინც დაიდგა რუსთაველის სახელობის თეატრში, დარბაზი მუდამ ხალხით იყო გაჭედილი. პიესას სათანადოდ აფასებდნენ რეცენზენტები ევროპული მასშტაბითაც კი. მაყურებელს ხიბლავდა პიესის სიახლე და ჯადოქარი კოტე მარჯანიშვილისაგან მისთვის ჩადგმული ნამდვილი სასცენო სული.

„აპრილის სამი ჩვენი განახლებული სცენის სრული გამარჯვება იყო, - წერდა ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ივანე გომართელი, - ჩვენს წინაშე ქართული სცენა კი არ იყო, არამედ ევროპული თავიდან ბოლომდე; და მე, როგორც ქართველი ერის შვილმა და მოქალაქემ, სრული სიამაყე ვიგრძენი. ძმობა და ერთობა დიდი რამ არის, მაგრამ მის სალაროში ხელცარიელი შესვლა საშინელებაა. „მალშტრემის“ დადგმამ კი სრულიად დამარწმუნა, რომ ჩვენ არა თუ არ ჩამოვუვარდებით ევროპას, გათანასწორებისა და ზოგიერთ ხაზებში გასწრების ნიჭი და შესაძლებლობაც მოგვეპოვება.

პიესაში, - განაგრძობს ივანე გომართელი, - ექვსი მოქმედებაა სხვადასხვა იდეებით, მაგრამ ყველა მათგანი აგებულია კრიალოსანივით ერთ მთავარ აზრზე. ეს აზრია – ბურჟუაზიული კულტურის სრული გათახსირება და გადაგვარება. ბურჟუაზიულმა კულტურამ დაივიწყა იდეალი, ადამიანის მოწოდება, მისი მიზანი, აბსოლუტი მარადიული და დაემორჩილა ფულს, გაამეფა რელატივი წარმავალი და ყოველისფერი გადააქცია მანქანად...

ავტორი ამ პიესას ფანტასმაგორიას უწოდებს ქვესათაურში და მართლაც, თავისი სახით ის მეტად ორიგინალურია; არც მისტერია არის, არც დრამა, არც ტრაგედია, არც კომედია და უფრო „გადახლართვაა“ ყოველგვარი სკოლისა და მიმართულებისა, რომელშიაც რეალიზმს ცვლის რომანტიზმი, ტრაგიკულს – კომიკური; ერთი სურათი ცრემლის ტბა არის, მეორე – სიცილის შადრევანი.

პიესის ენა, - დაასკვნის ი.გომართელი, - როგორც გრ.რობაქიძის სხვა ნაწერებში, დახვეწილია და დაწმენდილი.“

1931 წლიდან გრიგოლ რობაქიძე გერმანიაში ცხოვრობს და იქაური კულტურის, იქაური ხალხის სტუმართმოყვარეობით სარგებლობს, მაგრამ მთელი მისი გულისყური, მისი ყურადღება მაინც მისი საყვარელი სამშობლოსკენაა მიპყრობილი. ოცნებობდა სამშობლოში დაბრუნებაზე და თავის ადამიანურ, მოქალაქეობრივ მოვალეობას წუთითაც არ ივიწყებდა.

იგი, მართალია, გერმანულად წერდა, მაგრამ ნაწერების შინაარსი საქართველოსადმი დიდ სიყვარულზეა აგებული. მწერალი საქართველოთი სუნთქავდა და საქართველო იყო მისი დაუცხრომელი სულის მარადიული ღელვა.

ავიღოთ თუნდაც რომანი „მცველნი გრალისა.“ მომყავს ამონაწერი ჟურნალიდან „ბედი ქართლისა“ : „თვალი ჩასულა მტევანში“ – რომანის ენგადი. იმ ვაზის ლერწებიდან, რომელთაც ეს მტევანი გამოუსხამთ, წმინდა ნინოს ჯვარი გამოუჭრია და იგი თავის თმებით შეუხვევია. მითიური ნაწილი: ჟამთა უბედურებისა ვაზის ჯვარს მტევნები გამოუღია. ამ მტევნებიდან ზედაში რაინდებს შეუნახავთ თასით. ეს თასი „გრალი“-ა საქართველოს გული. იგი მცველთა ხელშია, რომელნიც მას ინახავენ. წვეთი დიდდება ნელ ნელა, უჩინარად. დიდდება რწმენაც და იმედიც საქართველოს უკეთესი მომავლისა.“

- უნდა აღინიშნოს, - შენიშნავს ჟურნალის რედაქტორი კალე სალია, - რომ „გრალის მცველნი“ ს მოქმედნი პირნი არიან ნამდვილნი და არა გამოგონილნი. გრიგოლს სურდა მათი ვინაობის გახსნა ერთ-ერთ ნომერში ჩვენი ჟურნალისა სათანადო წერილის დართვით. მას ეს არ დასცალდა. ჩვენ ვასრულებთ მის სურვილს:

ოდილიანი – პაოლო იაშვილი; ავალა – ტიციან ტაბიძე; მამია ოდიშვილი – შალვა დადიანი; მზისაფარ – აპოლონ წულაძე; დათა და კოსტა – ძმანი ჯაფარიძენი, ლადო და გრიშა (ტყუპები); ჰიდდირ – მამედ ბეგ აბაშიძე; საღარა – მფრინავი საღარაძე; ს.ო. – სერგო ორჯონიკიძე; აიშა – აისორი გოგონა; შავდია – ლავრენტი ბერია; ლეგი – ლევან ღოღობერიძე; ბესია – შაქრო ფალავანდიშვილი; მარჯანი – კოტე მარჯანიშვილი; უშანგ – უშანგი ჩხეიძე; ხორავ – აკაკი ხორავა; ვასსა – აკაკი ვასაძე; ვანო იაკობ ნიკოლაძე (გამოყვანილია, როგორც მხატვარი); სანდრო – ვანო ნანიშვილი (მროკავი); ყარანგოზი – ყარანგოზიშვილი (მროკავი) და მუშნი დადიანი...“

გრიგოლ რობაქიძეს დიდად უქებდნენ ქართულ ენას, მაგრამ მან, ქართულის გარდა, გერმანულიცა და რუსული ენებიც ბრწყინვალედ იცოდა, ერთნაირად ფლობდა ორივეს.

60 იან წლებში, გრიგოლ რობაქიძის გარდაცვალების შემდეგ, საჯარო ბიბლიოთეკაში მე გავეცანი ზემოთ ხსენებულ ჟურნალს – „ბედი ქართლისა“, საიდანაც მინდა ამოვწერო ზოგიერთი ადგილი იმის შესახებ, თუ როგორ სრულყოფილად იყო დაუფლებული ის გერმანულ ენას.

ცნობილი პოეტი ფრანკ მარიუნი გრიგოლს სწერდა: „განცვიფრებული ვდგევარ გასაოცარი შეთვისების წინაშე, რომლითაც თქვენ გერმანული ენა და პოეტური გამოთქმის საშუალებანი ჯერ მიუღწეველ, არნახულ დონეზე აიყვანეთ სხვა ენათა შორის; ჩემი გულწრფელი რწმენაა, რომ რილკეს შემდეგ ასე სრულყოფილი არაფერი გამოსულა გერმანულ ენაზე.“

მეორე ცნობილი გერმანელი პოეტი, ჰომეროსის მთარგმნელი, ანტიკური მსოფლიოს მკვლევარი ტ.ფონ შეფერი კი ასე წერდა: „ძვირფასო მაესტრო! რა შესანიშნავია თქვენი შაირი „მოკვდავი არწივი!“ როგორ შესძელით თქვენ, უცხოელმა, ჩვენი რთული ენის ესოდენ ამაღლება, რასაც თვით გერმანელიც კი ვერ შეძლებდა?... მე შემშურდებოდა თქვენი გენიისა, შურიანობისადმი რაიმე მიდრეკილება რომ მქონდეს, მაგრამ, რადგან ეს არა მაქვს, ისღა დამრჩენია მხოლოდ, აღფრთოვანებული ვიყო თქვენით.“

სხვათა შორის, ჟურნალი „ბედი ქართლისას“ 1964 წლის 47 ე ნომერი მთლიანად გრიგოლ რობაქიძის ხსოვნისადმია მიძღვნილი.

ახლა იმის შესახებ, თუ როგორ ფლობდა ის რუსულ ენას.

იმ დროს სხვადასხვა ხასიათის წერილებს ის ხშირად ბეჭდავდა რუსულ ჟურნალებში, რომელთაც ხელს აწერდა ფსევდონიმით - „Грю Робакидзе-Кавкасиели“. არაჩვეულებრივი იყო მისი გამოჩენილ რუს მწერალთა პორტრეტები, რომელთაც საოცარი პოეტური ფერებით ხატავდა.

1919 წელს გრიგოლ რობაქიძემ ეს ნაწერები ცალკე წიგნად გამოსცა თბილისში (Грю Робакидзе – Портреты. Выпуск первый, Т. 1919), სადაც გამოქვეყნებულია პეტრე ჩაადაევის, მიხეილ ლერმონტოვის, ვასილ როზანოვისა და ანდრეი ბელის პოეტური პორტრეტები. არაფერი სჯობს ამ წიგნის კითხვას. ეს პროზა კი არა, ნამდვილი პოეზიაა! ხალასი, ანკარა, კრიალა პოეზია! იშვიათი სილამაზისა და სიღრმის რუსული ენა! ამ წიგნს ავტორი უძღვნის დიდ რუსეთს: „Стране, где в беспредельных степях слышен далекий гул апокалиптических коней. России эти раздумья грузинский поэт любовно посвящает.“

ჩემს ოჯახურ ბიბლიოთეკაში შემომრჩა გრიგოლ რობაქიძის ხსენებული „პორტრეტები“ და თავისუფალ დროს უდიდესი სიამოვნებით ვკითხულობ მას.

სამწუხაროდ, დღეს ეს წიგნი ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა და ყველას არა აქვს მისი წაკითხვის საშუალება.

გრიგოლ რობაქიძის მჭევრმეტყველების აღიარება გახლდათ პეტროგრადში ილია ჭავჭავაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი მისი სიტყვით აღტაცებული დიდი რუსი მეცნიერის მაქსიმ კოვალევსკის შეფასება: „კიდეც რომ არ გვცოდნოდა საქართველოსა და მისი კულტურული ცხოვრების მრავალსახეობა და სიდიადე, საკმაო იყო მოგვესმინა ყოვლად ნიჭიერი ჭაბუკის

გრიგოლ რობაქიძის საუცხოო სიტყვა, რომ გადაჭრით გვეთქვა: „იმ ერს, რომელსაც ასეთი ახალგაზრდა თაობა ჰყავს, დიდებული მერმისი მოელის!“

მერე და ვინ იყო თავად მაქსიმ კოვალევსკი? – სახელგანთქმული რუსი მეცნიერი, სოციოლოგი, რუსულის ბრწყინვალე მცოდნე და არაჩვეულებრივი ორატორი. მე არაერთხელ მომისმენია მისი ლექციები სოციოლოგიაზე ქ. მოსკოვში და მუდამ უსაზღვრო კმაყოფილებით მავსებდა მისი ბრძნული, არაჩვეულებრივად პოეტური გამოსვლები.

გრიგოლ რობაქიძის არაჩვეულებრივმა ნიჭმა და შემოქმედებამ ბევრი მწერალი ბოღმითა და შურით აავსო. ზოგიერთმა განქიქება დაუწყო: - ვინ არის ბოლოს და ბოლოს გრიგოლ რობაქიძე, რა ღვაწლი მიუძღვის ჩვენი ერის წინაშე?! - მაგრამ ასეთ ვაი კრიტიკოსებს თავად დრო აძლევს საკადრის პასუხს.

გრიგოლი მოშურნეებს დიდად არ აქცევდა ყურადღებას და მიმტევებლურად ოლიმპიური სიმაღლიდან დასცქერდა მათ.

გრიგოლი „სუსტი“ მხოლოდ მხატვრული ნაწარმოების კითხვის დროს იყო. რაღაც თუ მოეწონებოდა, მაშინვე თვალზე ცრემლი მოადგებოდა. ასეთ ზემოქმედებას ახდენდა, მაგალითად, ვაჟა ფშაველას ლექსი „ფშაველი ჯარისკაცის წერილი,“ რასაც თავადაც აღიარებდა ერთ-ერთ წერილში:

„რამდენჯერ მაქვს წაკითხული „ფშაველი ჯარისკაცის წერილი,“ უცრემლოდ ვერ წამიკითხავს! მთელ საქართველოს ვგრძნობ აქ, ვითარ ცოცხალ არსს.“

მასზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ჟენევაში ქართველ მოცეკვავეთა ანსამბლის გამოსვლას, რომელსაც ნ.რამიშვილი და ი.სუხიშვილი ხელმძღვანელობენ. იგი ანსამბლის ყველა წარმოდგენას დასწრებია და მათ კონცერტებს აღფრთოვანებული წერილით გამოხმაურებია: „ქართული გენია როკვით განფენილი.“

ქართულ ბალეტს გრიგოლ რობაქიძე „ჯიშის ბალეტს,“ „რასის ბალეტს“ უწოდებდა.

„მოცეკვავეთა დასში არც ერთი ვაჟი არაა ნიჟინსკი, არც ერთი ქალი - პავლოვა. ხოლო, ვერარომელი ნიჟინსკი იცეკვებს, მაგალითად, „ქართულს“ ისე, როგორც ცეკვავს ამას რომელიმე ვაჟი ამ დასისა. ვერცარომელი პავლოვა გაჰყვება მოცეკვავე ვაჟს, მაგალითად, იმავე „ქართულში“ ისე, როგორც ამას ასრულებს რომელიმე ქალი უწყებული დასითგან. ეს იმიტომ, რომ: ქართული ბალეტი არის ბალეტი ჯიშის, რასსის.“

ამ წერილის შემდეგ გრ.რობაქიძეს დიდხანს აღარ უცოცხლია.

საინტერესოა მწერლის ანდერძიც, რომელიც აქ შემოკლებით მომყავს:

„ჩემმა მკითხველმა იცის, თუ როგორ მესახვის მე მცხეთა, იგი წმინდა საშოა ჩვენი მიწის. იქ ეგულებოდათ ჩვენს ძველებს საფლავი კარდუსი, მცხეთის მიდამოებში აირჩიეს ძველად მოგვებმა ერთი ადგილი: იქ ადიდებდნენ და თაყვანს სცემდნენ ისინი მზესა და ცეცხლს. მცხეთის უბეში მივიღეთ ჩვენ ქრისტეს სჯული... აქვე მტკიცდებოდა ხელმწიფობა საქართველოსი...

ჩემი ნატვრაა: როცა მე ამ სოფლად აღარ ვიქნები, მიდიოდეს ვინმე ქართველი დედა ყოველ წელს მცხეთას, მწიფობის, ჩემი დაბადების თვეში , სანთელს აანთებდეს პაწა სალოცავის წინ და ლოცვით ახსენებდეს ჩემს სახელს. მეტს არას ვთხოვ საქართველოს.“

გრიგოლ რობაქიძე გარდაიცვალა 1962 წელს, შემოდგომაზე და მისი ნეშტი გადასვენებულ იქნა პარიზში ქართველთა კოლონიის სასაფლაოზე. ჟენევაში აღესრულა, პარიზში ჰპოვა სამუდამო სავანე.

„1962 წლის ნოემბრის 19ს სამუდამოდ გამოგვეთხოვა... დიდი ქართველი პოეტი და მოაზროვნე გრიგოლ რობაქიძე, - წერს რუდოლფ კარმანი, ცნობილი გერმანელი მწერალი თავის მიმოხილვაში „გრიგოლ რობაქიძე და მითოსის აღორძინება." - თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე გრიგოლ რობაქიძე იყო გონებით და სულით ძლიერი. გოლიათივით ამაღლებული...

მწერალი დაწვრილებით აღწერს გრ.რობაქიძის შემოქმედებას და დასძენს: „მისი ნაწერები, უწინარეს ყოვლისა, განსხვავდებიან თავიანთი ორიგინალობით. ისინი იტაცებენ მკითხველებს თავიანთი მომაჯადოებელი სიტყვებით, ფერების სიუხვით და ამომავალი მზის ცეცხლოვანი სხივებით. მისი შემოქმედება გარდაიქცა, ვითარცა სიმბოლო ქართული ლიტერატურისა, რომელმაც სათანადო და ჯეროვანი ადგილი დაიკავა მსოფლიო ლიტერატურაში...

რაბინდრანათ თაგორის სახელი იყო პირველი სახელი, რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთში შემოშუქდა. მას მოსდევდა გრიგოლ რობაქიძე, უფრო პირველქმნილი, უფრო დაკავშირებული ბუნებასთან, ვიდრე ნობელის პრემიის მატარებელი ინდოელი.

ჩვენ, დასავლეთევროპელებს, გრიგოლ რობაქიძემ გადაგვიშალა ქართული მიწა, მისი მადლი, მისი სისხლი, სუნთქვა ქართული მიწისა, მისი შორეთიდან მომდინარე ზღაპრული ფერები."

და ბოლოს წერილს ასე ამთავრებს:

„როგორც ყველა დიდი, დროით განუსაზღვრელი ნაქმი, გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება მარად აწმყოა და უკვდავი..."

ჩვენი ქვეყნის ასეთი სახელოვანი შვილის ფასდაუდებელ შემოქმედებას, რომელმაც ევროპაც კი აალაპარაკა, მე ვფიქრობ, ცოდვად ჩაგვეთვლება, თუ სამზეოზე არ გამოვიტანთ.

ჩემი დროის თბილისი

1921 წლის დამდეგი იყო. მე იმ დროს დემოკრატიული საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ვმუშაობდი. მაშინ ახალი ჩამოსული ვიყავი ბაქოდან და გულის ტკივილით ვადევნებდი თვალყურს თბილისის მისადგომებთან წარმოებულ ბრძოლებს. ხოლო როცა 25 თებერვალს ჩვეულებისამებრ სამსახურში მივედი, იქ ორიოდე თანამშრომელიღა დამხვდა, მათ შორის პოეტი ალექსანდრე აბაშელი და ცნობილი გერმანელი ქართველოლოგი ართურ ლაისტი; ისინი ობლებივით ისხდნენ თავიანთ მაგიდებთან და დაღვრემილებმა არ იცოდნენ, რა საქმეს სწეოდნენ. მეც მათ მივემატე. დარბაზი არეულ დარეული იყო, იატაკზე ქაღალდები ეყარა, წიგნებიც უწესრიგოდ მიმოეფანტათ მაგიდებზე.

ჩანდა, სამინისტრო გახიზნულიყო და დალაგებისათვის არავის ეცალა.

საგარეო საქმეთა სამინისტრო მოთავსებული იყო შიო ჩიტაძის ქუჩაზე, სამ თუ ოთხსართულიან სახლში, რომელიც იმ დროს ერთ-ერთ საუკეთესო საცხოვრებლად ითვლებოდა თბილისში; მთავრობის თავმჯდომარესაც აქ ედო ბინა...

ის იყო, სხვა სამსახურზე დავიწყე ფიქრი, რომ მოულოდნელად საქმე სხვაგვარად წარიმართა: ერთ დღეს სახლში მეწვია ჩემი ფოთელი მეგობარი, ცნობილი ინჟინერი ანდრია კაციტაძე, რომელიც ახალ ხელისუფლებას საქართველოს რკინიგზების უფროსად დაენიშნა. მან ამ უწყებას დაქვემდებარებული სასწავლებლის სასწავლო ნაწილის გამგის თანამდებობა შემომთავაზა. მას კარგად ხსომებია ჩემი მასწავლებლად მუშაობა ფოთის ვაჟთა გიმნაზიაში.

მაშინ პირველი მაისის ქუჩაზე ვცხოვრობდი, ახალი სამსახური კი კლარა ცეტკინის # 200 სახლში იყო მოთავსებული და ამის გამო ცოტა შორი მეჩვენა, მაგრამ უარი ვეღარ ვუთხარი და საქმესაც მონდომებით შევუდექი.

არ დამავიწყდება ჩემი პირველი შეხვედრა და შემდეგ საქმიანი დამოკიდებულება სკოლის გამგეებთან, რომელთა შორის აღმოჩნდნენ ისეთი ცნობილი მასწავლებლები, როგორებიც იყვნენ ნინო ძიძიგური, ვლადიმერ კანდელაკი, ევგენი ხოშტარია, გიორგი ჩიხლაძე და სხვები. მათ გვერდით თავს მშობლიურ გარემოში ვგრძნობდი.

რასაკვირველია, სამსახურში ტრამვაით დავდიოდი, რადგან სხვა ტრანსპორტი ქალაქში არც არსებობდა, გარდა კერძო ფაეტონებისა.

ავტომანქანები, მართალია, ჩანდა აქა-იქ, მაგრამ იშვიათად; ამ პრივილეგიით მხოლოდ მთავრობის ხალხი ან დიდი დაწესებულებების ხელმძღვანელები თუ სარგებლობდნენ.

ტრამვაის ხაზი ვიწროლიანდაგიანი იყო და, შესაბამისად, ვაგონებიც - ვიწრო და მომცრო.

მიუხედავად ამისა, არ მახსოვს ხალხით გაჭედილი ვაგონები. მორიგ გაჩერებაზე მგზავრები თავისუფლად ადიოდნენ. მოსაცდელთან თითქმის არავინ რჩებოდა, არც გაჩერებაზე ჭირდებოდათ დიდხანს ცდა. მგზავრობა შაური ღირდა, მაგრამ ერთ დროს ფასი გაორმაგეს და ახლა შაური მხოლოდ ვაგზლიდან კირკის (დღევანდელი მარჯანიშვილი) მოედნამდე ღირდა, აქედან ერევნის მოედნამდე - კიდევ ერთი შაური. ასე რომ, დღევანდელთან შედარებით, ტრამვაით მგზავრობა გაცილებით ძვირი ღირდა.

ასევე ხდებოდა ჩემი სტუდენტობის დროს მოსკოვშიც და ამიტომ ხშირად რამდენიმე კილომეტრიან გზას სტუდენტები ფეხით გავდიოდით. ამით ჩვენ კაპიკებს ვზოგავდით და შემდეგ წიგნებს ვყიდულობდით ხოლმე. უბილეთო მგზავრობა შეუძლებელი კი არა, თითქმის წარმოუდგენელი იყო.

სამსახურში მისასვლელად ერევნის მოედნიდან ვაგზლის მოედნამდე მიხდებოდა მგზავრობა, ამიტომ ქალაქის იმ ნაწილს ტრამვაის ფანჯრებიდან გავეცანი.

ერევნის მოედანი დღევანდელ ლენინის მოედანს ერქვა, მაგრამ უფრო მომცრო იყო, რადგან მისი დიდი ნაწილი ქარვასლის უზარმაზარ შენობას ეკავა.

ჩემამდე იქ ენით აუწერელი ტალახი იყო თურმე, ჩემს ყმაწვილკაცობაში კი გოლოვინის პროსპექტსა და სხვა მთავარ ქუჩებზე უკვე ქვაფენილი ეგო.

ერევნის მოედნიდან რკინიგზის სადგურამდე ტრამვაი რუსთაველის გამზირის გავლით მიემართებოდა, მაგრამ თავად გამზირი დღევანდელი

ლენინის მოედნიდან კი არა, მეფისნაცვლის (დღეს – პიონერთა) სასახლიდან იწყებოდა, ხოლო მოედანსა და სასახლეს შორის პატარა, მაგრამ ლარივით სწორი ქუჩა გადიოდა - სუფთა, კოხტა და ლამაზი, მდიდარი თავისი მაღაზიებით. ნამდვილი გამზირი თბილისში სწორედ ეს ქუჩა იყო, ოღონდ გამზირის ნაცვლად „სასახლის ქუჩა“ ერქვა.

თუ რაიმე ქართული იყო მაშინდელ თბილისში, ამ ქუჩაზე იყრიდა თავს: ქართული თეატრი (დღეს გრიბოედოვის სახელობის თეატრი), ყველა ქართული ოჯახისათვის დიდად პოპულარული ქართული კლუბი; ქართველ თავად აზნაურთა ქარვასლა, ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, დავით სარაჯიშვილის სახლები, გაზეთ „ცნობის ფურცლის“ რედაქცია, წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკა და სხვა ასეთები...

სხვათა შორის, ამ ქუჩიდან წარმოთქვა თავისი ისტორიული სიტყვა აკაკი წერეთელმა ილია ჭავჭავაძის ცხედრის წინ ზღვა ხალხის თანდასწრებით 1907 წელს.

ასევე პატარა იყო მაშინდელი ნამდვილი გამზირი, რომელიც სასახლიდან იწყებოდა და გრიბოედოვის ასახვევთან მთავრდებოდა. ამის შემდეგ უკვე სხვა ვიწრო, პატარ-პატარა მაღაზიებითა და დუქნებით სავსე „ოლგინსკაიას“ ქუჩაზე გავდიოდით. ის გაივლიდა მჭიდროდ დასახლებულ პატარა მოედანს, რომელსაც დღემდე შემორჩა სახელი - „ზემელი“, იქვე, კუთხის სახლის პირველ სართულზე ერთ დროს მოთავსებული გერმანელი პროვიზორის - ზემელის აფთიაქის მისანიშნებლად დამკვიდრებული.

აქედან გადიოდა სხვა ქუჩა, რომელიც ბოზარჯიანცის თუთუნის ფაბრიკამდე (დღევანდელი აბრეშუმის ფაბრიკა) გრძელდებოდა, ხოლო ფაბრიკის იქით დაუსახლებელი და ვერანი ადგილები იწყებოდა.

ზემელის შემდეგ ოლღას ქუჩა ბოლომდე გაცილებით უკეთ იყო მოწყობილი. მან თავისი სახე თითქმის უცვლელად შემოინახა ბოლომდე, სარაჯიშვილის კონიაკის ქარხნის გამოკლებით, რომელიც უკვე აღებულია და მის ადგილზე ამჟამად „კომუნისტის“ რედაქციის შენობაა აღმართული.

ტრამვაი „ზემელთან“ მარჯვნივ, ვერის დაღმართთან ჩაუხვევდა და ვერის ხიდის გავლით მიხეილის (დღეს პლეხანოვის) გამზირზე გადიოდა.

ვერის დაღმართი იმხანად, როგორც თბილისის ბევრი ვიწრო ქუჩა, თავიდან ბოლომდე დუქნებითა და ჯიხურებით იყო გადატენილი.

საკვირველია, იქ როგორ თავსდებოდა ტრამვაის ლიანდაგი...

ეს სივიწროვე იმდენად დამახასიათებელი იყო მაშინდელი თბილისისათვის, რომ არც კი იგრძნობოდა.

მოგვიანებით ორჯერ თუ მეტად გაგანიერდა ვერის დაღმართი; დაანგრიეს ერთმანეთზე შეხორხლილი ქოხმახები, დუქნები და იგი სიგანით თითქმის რუსთაველის გამზირსაც კი გაუტოლდა. მოხდა ვერის ხიდის რეკონსტრუქცია, რომლის დაქანება ხიდის სწორმა ზედაპირმა შეამცირა.

ვორონცოვის მოედანი იმ წლებში ახლებურად გადაკეთდა. მის შუაგულში მაღალ კვარცხლბეკზე მეფისნაცვალ ვორონცოვის ძეგლი იდგა პირით მთაწმინდისაკენ მიბრუნებული და გარს მოაჯირი ერტყა. ის კლასიკურ სტილში იყო ჩამოსხმული და მნახველზე გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ახდენდა. ასეთი მთლიანი ფიგურა იმ დროის თბილისში მხოლოდ ეს ძეგლი იყო და მთელი ქალაქის სიამაყედ ითვლებოდა...

თბილისს ამშვენებდნენ და დღესაც ამკობენ, აგრეთვე, პუშკინისა და გოგოლის ბიუსტები.

შემდგომში, მეფისნაცვლის ძეგლის აღებასთან ერთად, აღებულ იქნა მის გარშემო მდგარი უმნიშვნელო ნაგებობანი და ამით მოედანი გაფართოვდა, ხოლო მოგვიანებით მოედნის გარშემო მრავალსართულიანი სახლები აღიმართა.

თბილისში საცხოვრებლად 1919 წელს ჩამოვედი. მანამდე ხუთი წლის მანძილზე, სამსახურის გამო არაერთხელ ჩამოვსულვარ, მაგრამ ქალაქს მაინც კარგად არ ვიცნობდი.

ადრე, როცა მყუდრო და მშობლიური ქუთაისიდან თბილისში მომიხდა ჩამოსვლა, იგი უზარმაზარ ქალაქად მომეჩვენა, მაგრამ სტუდენტობის წლებში, მოსკოვიდან მომავალს ახლა უკვე თბილისი მეპატარავა.

ვიდრე ახლოს გავიცნობდი ჩვენს დედაქალაქს, მასზე სულ სხვა წარმოდგენა მქონდა. ახლა, როცა თბილისს ასე კარგად ვიცნობ, მიკვირს, წლების განმავლობაში რას აკეთებდნენ ქალაქის მესვეურები ქუჩებისა და მოედნების კეთილმოსაწყობად?!

აღარაფერს ვამბობ ბაღებისა და პარკების მოუწყობლობაზე და მათ სიმცირეზე. ისეთი ბაღების შექმნაში, როგორიც იყო „ალექსანდრეს“, ბოტანიკური თუ მეფისნაცვლის სასახლის ბაღები, მუშტაიდი და სხვა - არავითარი ღვაწლი არ მიუძღვის ქალაქის გამგეობას.

ავიღოთ, თუნდაც, ვაგზლის მოედანი, რომელსაც „მოედანი“ კი ერქვა, მაგრამ ვაი მის ,,მოედნობას”! იქ თუ ორიოდე ფაეტონი ან ტრამვაი ერთად გაივლიდა, თაგვი კუდს ვეღარ მოიქნევდა. ამას მიუმატეთ პატარ-პატარა დუქნები, ჯიხურები და ვაგზლის მოედნიდან აღარაფერი რჩებოდა.

ყოველი მატარებლის ჩამოსვლაზე, როცა იქაურობა მგზავრთა ხელბარგებით აივსებოდა, ქურდ ბაცაცებს „რთველი“ ჰქონდათ. რამდენი გულუბრყვილო მგზავრი ირტყამდა თავში ხელს, როცა ხელბარგიდან რაიმეს დაჰკარგავდა და ამაოდ ეძებდა.

ვაგზლის, ანუ დღევანდელი ჩელუსკინელთა ქუჩაც, ვიწრო, მოკლე და კეთილმოუწყობელი, ახლანდელი კლარა ცეტკინის ქუჩასთან წყდებოდა. ეს იყო და ეს. 20 იან წლებში გაიჭრა დღევანდელ ცირკის შენობასა და აკადემქალაქს შორის აღმართული მთა და აიგო ჩელუსკინელთა ხიდი რითაც ქუჩა გმირთა მოედანს შეუერთდა.

მანამდე ვაგზლიდან წამოსული ტრამვაი გადაუხვევდა კლარა ცეტკინის ქუჩაზე და პიროგოვის (ახლა კარგარეთლის) ქუჩით პლეხანოვის გამზირზე ჩადიოდა. დღეს ეს მარშრუტი უკვე დავიწყებულია, აღარავის ახსოვს.

მადათოვის კუნძული კი ორ ხიდს შუა, ათონელის ქუჩიდან მარქსის მოედნისაკენ მიმავალ მონაკვეთს ერქვა, სადაც ახლა ბაღია და ერთ დროს სტალინის ძეგლიც იდგა.

კუნძული იმიტომ შეერქვა, რომ იგი მტკვრის ორ ტოტს შუა მდებარეობდა.

იმ ადგილას, რომელიც დღეს მოასფალტებულ სანაპიროს უკავია, ათონელის ქუჩიდან პირველი ხიდის ქვეშ მტკვრის მარჯვენა ტოტი მოედინებოდა, მაგრამ წყლის სიმცირის გამო, განსაკუთრებით ზაფხულობით, ტოტი ხშირად შრებოდა. ამიტომ ატალახებულ კალაპოტში აუტანელი, ჯანმრთელობისათვის საზიანო შმორის სუნი დგებოდა, რაც კოღოების ბუდეებსა და მალარიის გავრცელების კერას ქმნიდა.

ქალაქის გამგეობაში არაერთხელ დასმულა მტკვრის ამ ტოტის ამოშრობის საკითხი. მაგრამ ეს მხოლოდ შემდეგ გახდა შესაძლებელი და იგი ძვირფას სანაპირო ქუჩად გადაიქცა.

მადათოვის კუნძულზე - ხიდიდან ხიდამდე - ვიწრო ქუჩა მიუყვებოდა, რომელიც ორივე მხარეს პატარ-პატარა მაღაზიებით, დუქნებითა და სახელოსნოებით ჩახერგილიყო, დანარჩენი ადგილები კი უმთავრესად მეეტლეების, მეფაიტონეებისა თუ ცხენიანი ტრანსპორტის სხვა მფლობელთა, ტრაქტირებისა და სამიკიტნოების ადგილს წარმოადგენდა; ამას მივუმატოთ ცხენების სადგომიც - მთლიანად დაბინძურებული.

1922 წლის ზაფხულიდან თბილისის საქალაქო აღმასკომში დავიწყე მუშაობა და ჩვენი ქალაქიც სწორედ მაშინ გავიცანი ძირფესვიანად.

რაიონული აღმასკომები მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა და საქალაქო აღმასკომი თავად უწევდა მომსახურებას მთელ ქალაქს.

დამნიშნეს საფინანსო კოლეგიის წევრად და გამომყვეს კომისიის ხელმძღვანელად, რომელსაც დაევალა სავაჭრო თუ საწარმოო ობიექტებიდან საიჯარო ქირის გადასინჯვა და მათი ობიექტების ხელახლა შეფასება შემოსავლის გაზრდის მიზნით.

იმ დროს აღრიცხული და დანომრილი იყო 16 ათასზე მეტი წერტი, რომელთაგან ზოგი დიდი იყო, ზოგი პატარა.

აღმასკომის თავმჯდომარედ მაშინ ლადო დუმბაძე მუშაობდა.

ვთქვი უკვე, ავტომანქანები ქალაქში ძალიან ნაკლებად იყო, კომისიის მუშაობისათვის კი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა; ამიტომ დაიქირავეს კერძო პირის მანქანა, რაც მაშინ სრულიად დასაშვები იყო. ის მანქანა დღევანდელი მანქანებივით მოდური და ელეგანტური არ ყოფილა, პატარა იყო, თავღია, უძარო, მაგრამ კომისიის მუშაობისათვის მაინც სავსებით კმაროდა. იგი ძალიან ლამაზი გვეჩვენებოდა, სიამაყის გრძნობაც კი გვეუფლებოდა, როცა რუსთაველის გამზირზე სამუშაო ობიექტებისაკენ მივქროდით.

აი, სწორედ მაშინ გავიცანი იმდროინდელი თბილისი. სად არ ვყოფილვარ იმ ჩვენი პატარა კოხტა მანქანით, თბილისის რომელ კუთხე-კუნჭულს არ გავცნობივარ, რომელ ბაკში არ შეგვიხვევია, რომელ სარდაფში, რომელ სასტუმროში. და იმდროინდელი თბილისის სიავკარგე სწორედ მაშინ შევიცანი.

პირველი ქუჩა, რომლის გაფართოებაც აუცილებლად მიიჩნია ჩვენმა აღმასკომმა, დღევანდელი ლესელიძის ქუჩაზე მდებარე ბაზარი იყო, რომელსაც ოფიციალურად „Армянский базар“, ქართულად „შუა ბაზარი“ ეწოდებოდა. ის ბაზარს ნაკლებად ჰგავდა, ძალზე ვიწრო იყო და ფაეტონები გვერდს ძლივს უქცევდნენ ერთმანეთს. ყოველ ნაბიჯზე სავაჭრო და სახელოსნო იდგა. მუშტრის მისაზიდად, გარეთ ყოველგვარი საქონელი იყო გამოფენილი და, მიუხედავად ამისა, ქურდობა არ ხდებოდა. ყოველ შემთხვევაში, ასეთი რამ არასოდეს გამიგონია.

ჩემს დროს შუა ბაზარს ისეთივე ძველთაძველი სახე ჰქონდა შემორჩენილი, როგორც ის აღწერა ცნობილმა ტურნეფორმა ასზე მეტი წლის წინათ. თითქოს ნაკრძალად ყოფილიყო გამოცხადებული. ეს ის შუა ბაზარია, რომელზედაც პოეტი ვახტანგ ორბელიანი ამბობს: „მე არ მიყვარს კილო მუხამბაზისა, კინტოთ კილო, კილო შუაბაზრისა.“

ქუჩის გაგანიერებას დიდი გულმოდგინეობით შეუდგა ჩვენი ძველი ტექნიკური ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენელი, ცნობილი ინჟინერი

გრიგოლ ქურდიანი, თავაზიანი, კეთილი და თავისი საქმის ბრწყინვალე მცოდნე. იგი თავდადებით ხელმძღვანელობდა მინდობილ საქმეს, მაგრამ სიფრთხილით კი იქცეოდა, რადგან ასეთი დიდი მოცულობის სამუშაოებში გაწვრთნილი არ იყო. ამასთან, მოსახლეობასაც უწევდა ანგარიშს. განისაზღვრა არა მარტო შუა ბაზრის გაფართოება, არამედ ახალი ქუჩის გაყვანაც სიონიდან ,,მაიდნამდე." უნდა ითქვას, რომ ნიჭიერმა ხუროთმოძღვარმა ჩინებულად გაართვა თავი მინდობილ საქმეს და ,,მაიდნამდე" მშვენიერი, იმ დროისათვის საკმაოდ განიერი ქუჩა გაიყვანა. აბანოებისაკენ ისეთ ადგილზე გახსნა სამანქანო გზა, სადაც ადრე ფეხის დასადგმელიც არ ყოფილა და მთლიანად საცხოვრებელი სახლებით იყო ჩახერგილი. ამ საქმით ყველა კმაყოფილი დარჩა და არავინ არ განაწყენებულა მათი სახლების აღებით.

ახლაც მიკვირს, ასეთი ვიწრო ქუჩებითა და ქუჩაბანდებით ხალხი როგორ დადიოდა.

ცნობილია, ამ გზის გაყვანას როგორ ცდილობდა დიდი ნიკო ნიკოლაძე იმ ფართო ხასიათის სამშენებლო პროექტის საფუძველზე, რომელიც მან, როგორც ხმოსანმა, წარადგინა თბილისის ქალაქის გამგეობაში. მაგრამ ეს პროექტი ჩაიშალა მაშინდელმა ქალაქმა ვერ შეძლო ამ უზარმაზარი ხარჯის გაწევა, რაც კერძო მფლობელებისაგან იმ ადგილების გამოსყიდვას სჭირდებოდა. მაშინ ეს საკითხი ძალზე ძნელი და თითქმის დაუძლეველი იყო.

გრიგოლ ქურდიანმა, რასაკვირველია, იცოდა ნიკო ნიკოლაძის პროექტის შეუსრულებლობის მიზეზი. ან რომელმა ქართველმა ინტელიგენტმა არ იცოდა ეს?...

მახსოვს, სიონის ქუჩის იქით, ჩვენი კომისია პირველად გავიდა სამუშაოდ, მაგრამ მანქანა წინ ვეღარ წავიდა, ქუჩა ორსართულიანი სახლით იყო გადაკეტილი. მანქანა პირდაპირ „ბნელ რიგზე" გავატარეთ, რომელიც ცის ქვეშ არსებულ „უნივერსამს" წარმოადგენდა, რადგან, რასაც მოისურვებდით, იქ იშოვნებოდა.

ამ სავაჭროებსა და ქოხმახებს შორის იდგა გორელაშვილის საკმაოდ მოზრდილი ქარვასლაც.

ამასთან ერთად ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქალაქი ნელა იზრდებოდა, ათეული წლების განმავლობაში თითქმის შეუცვლელი იყო მისი საზღვარი, რომელიც წყნეთის ქუჩის (ამჟამად მელიქიშვილის), ანუ ვარაზის ხევის მარჯვენა ნაპირთან წყდებოდა. ცხადია, წყნეთის ქუჩაც საკმაოდ ვიწრო და კეთილმოუწყობელი იყო.

ხევზე პატარა ხიდი გაედოთ, რომლის იქით იდგა დღევანდელი უნივერსიტეტის ანუ მაშინდელი ქართული გიმნაზიის ერთ ერთი კორპუსი. აქ იმპერიალისტური ომის დროს სამხედრო ჰოსპიტალი იყო მოთავსებული. ამ შენობაში 1915 წლის ზაფხულში გარდაიცვალა დიდი ვაჟა ფშაველა.

ქართული გიმნაზიის შენობა ობლად იდგა იმ უკაცრიელ მინდორში. ირგვლივ ხრიოკი ადგილების მეტი არაფერი ჩანდა.

ერთადერთი, რაც თვალში მოგხვდებოდათ, ვიწრო ბილიკი იყო, რომელსაც სოფელ წყნეთისაკენ მივყავდით.

დღეს ეს ადგილი და, მასთან, მთელი ვაკე, ჩვენი დედაქალაქის ერთ ერთი პრივილეგირებული რაიონია.

ვარაზისხევის მთელი ის უზარმაზარი ხრამი დღევანდელი გმირთა მოედნის იქითაც აღწევდა. ხრამი ძალიან ღრმა იყო და ნაგვის საყრელად იყენებდნენ, რის გამოც ირგვლივ საშინელი სუნი ტრიალებდა.

საკმაოდ გვიან დაიწყო ქალაქმა საბურთალოს თავისუფალი მიწების ათვისება. ომის დროს ის მიწები გამოყენებული იყო დაწესებულებათა თანამშრომლების საყანე ადგილებად და ჩვენ, ფიზიკური კულტურის მასწავლებლები, 1943 თუ 44 წლებში სიმინდს ვთესავდით ხოლმე. ნამდვილი ტრიალი მინდორი იყო, ხის ჩრდილიც კი არსაით ჩანდა.

კარგად მახსოვს ის ნაკვეთი, რომელსაც მე ვამუშავებდი - დღევანდელი პავლოვის ქუჩის მიკრორაიონში. აბა რას წარმოვიდგენდი, რომ იქ ჩქარა სამედიცინო ინსტიტუტის შენობა აღიმართებოდა და სტუდენტებთან მეც მომიწევდა მუშაობა.

დღევანდელი კიროვის ბაღი იმ დროს ვერის მოქმედ სასაფლაოს წარმოადგენდა. 1919 წელს, იქ ერთი ჩემი ახლო ნათესავი, ექიმი იაშვილი დავასაფლავეთ, რომელმაც 1907 წელს ილია ჭავჭავაძის გვამი გაკვეთა. ვაკის სასაფლაო იმ დროს არ არსებობდა და კიდეც რომ ყოფილიყო, იმ სიშორეს თავის მიცვალებულს არავინ გაიმეტებდა დასაკრძალავად.

ძველი „ვერის სასაფლაოზე“ ახლაც მკაფიოდ იკითხება დანიელ ჭონქაძისა და „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის“ ავტორის - ლავრენტი არდაზიანის გვარები საგანგებოდ დაცულ მათი საფლავის ქვებზე...

ორიოდე სიტყვა „დინამოს“ სტადიონზე. 30 იან წლებში ქოხმახებითა და საბოსტნე მიწებით დაფარულ დიდუბეში აშენდა სპორტის მოყვარულთა ყველაზე საყვარელი ნაგებობა. იქვე იყო სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმიც, რომელსაც თავისი მოზრდილი მიწის ნაკვეთი ჰქონდა. „დინამოს“ კომპლექსს ხუროთმოძღვრები და მშენებლები რომ ეწვივნენ, შემთხვევით, მეც იქ ვიყავი, სადაც შევხვდი ერთ დროს თბილისის პირველი გიმნაზიის, ხოლო შემდეგში სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის სახელოვან დირექტორს, ჩემს ახლო ნათესავს ივანე ევდოკიმის ძე გამყრელიძეს. მან მითხრა: ტექნიკუმისათვის ნინოშვილის ქუჩაზე მოგვცეს სამაგიერო ადგილი და იქ გადავდივართ, აქ კი ფეხბურთის დიდი სტადიონი უნდა აშენდესო...

მართლაც, ჩქარა აშენდა ჩვენი დიდებული სტადიონი.

არ დამავიწყდება ჩემი უზომო სიხარული, როცა ოციან წლებში ერთ რომელიღაც დაწესებულებაში გამოფინეს მომავალი თბილისის რეკონსტრუქციისა და განაშენიანების ხუროთმოძღვრული ოცდახუთწლიანი გეგმა. ეს დრო ძალიან ხანგრძლივი მეჩვენა და უიმედოდ ჩავიქნიეთ ხელი, მაგრამ თურმე ვცდებოდი. ჩემ თვალწინ მოხდა თბილისის არნახული ზრდა, ძველი დაინგრა და მის ადგილზე ახალი შენობები აღიმართა.

ახლაც არ შემიძლია, გულგრილად ჩავუარო რუსთაველის გამზირზე მდებარე # 52 ვეება სახლს. მე იქ ხის ჭიშკარი მიზიდავდა, „ომჩინსკაია, # 4“ად წოდებული. ამ ჭიშკრით „თემის“ რედაქციაში შედიოდა ხოლმე დიდი აკაკი.

ერთხელ, სტუდენტობის დროს, მე და გრიშამ „თემის“ რედაქტორი გრიგოლ დიასამიძე მოვინახულეთ. გამოთხოვებისას გრიგოლმა გვითხრა: დღეს საღამოს რედაქციაში აკაკი და ოვანეს თუმანიანი უნდა გვეწვიონ და თქვენც მოდითო, მაგრამ ჩვენ ქუთაისში მიგვეჩქარებოდა და რედაქტორის მიპატიჟებაზე უარი ვთქვით. მერე ეს ამბავი მთელი სიცოცხლე სანანებლად დაგვრჩა ორივე ძმას.

ხსენებული ხის ჭიშკარი დღეს, რასაკვირველია, აღარ არის, მაგრამ ეზოს სიღრმეში დარჩენილია სახლი # 4, სადაც თავის დროზე „თემის“ რედაქცია იყო მოთავსებული.

მოსაგონარი ძველ თბილისზე ძალიან ბევრია, მაგრამ ყველაფერს ერთად ვერ ვიხსენებ. შეუძლებელია, თვალწინ არ წარმომიდგეს ხარფუხი, აშპაშხანი, ციციანოვის თავდაღმართზე დაგორებული ტრამვაი, ვერეს დაღმართი და უამრავი სხვა. მის ყარაჩოხელებზე, კინტოებზე, კრივზე თუ აბანოებზე ხომ ბევრი დაწერილა და დახატულა, ამიტომ აღარ გავიმეორებ უკვე მრავალგზის ნათქვამს. მხოლოდ გულისტკივილით მინდა აღვნიშნო, რომ 1795 წლის ჯოჯოხეთურმა მეხთატეხამ, აგრეთვე, შემდეგი დროის ავბედითობამ თბილისში უამრავი ძველი ნაგებობა, თაღოვანი ხიდი თუ შადრევნიანი ბაღები დაანგრია, რაც ჩვენი დროის სიამაყე იქნებოდა. რად ეღირებოდა თუნდაც ერეკლე მეორის სასახლე, რომელიც დღეს აღარ არის. აღარც თბილისის ცნობილი ჭალები და ტყეები შრიალებენ... სამწუხაროდ, ბევრი რამ წარიტანა დროის დინებამ.

თბილისს დიდი ქარტეხილები გადაუტანია, როცა იერემიას გოდებასავით გაისმოდა ქართველის ჩივილი: „პური მოგვდის, სხვა ვაჭრობს, ჩვენი ვენახი სხვის ხელშია, ჩვენს ღვინოს სხვა ჰყიდის და ჩვენ მეტიც აღარაფერი გაგვაჩნიაო.“ ივერიის დედაქალაქი ბევრჯერ აქციეს ნანგრევებად. სისხლის ზღვაც გამოუცურავს და მაინც მოაღწია დღემდე.

როგორც ძველმა თბილისელმა, ის გავიხსენე, რაც საკუთარი თვალით მქონდა ნანახი, რითაც ბედნიერად და ვალმოხდილად ვგრძნობ თავს.

ჩარგალში

არაერთხელ ვთქვი, რომ 1909 წელს მოსკოვში სტუდენტ ძმებს ბედნიერება გვქონდა, რუსულ ენაზე გვეთარგმნა და წიგნებად გამოგვეცა ქართული მხატვრული პროზის ზოგიერთი ნიმუში; სათარგმნელ ნაწარმოებთა შორის ჩაფიქრებული გვქონდა ვაჟა ფშაველას მოთხრობებიც, რის შესახებაც თავად ავტორს უნდა მოვთათბირებოდით; ამისათვის კი ფშავში ჩასვლა იქნებოდა საჭირო.

მაგრამ ჩვენს ახალგაზრდულ წადილს იმ ხანებში ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზი გამოუჩნდა და პოეტის მშობლიურ სოფელ ჩარგალში წასვლის საშუალება ძალიან გვიან, მხოლოდ 1935 წელს მოგვეცა, როცა ჩვენი ქვეყანა ვაჟა ფშაველას გარდაცვალების 20 წლისთავს აღნიშნავდა.

ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულმა მუზეუმმა სოფელ ჩარგალში საგანგებო ექსპედიცია მიავლინა, რომელსაც მგოსნის შესახებ ზოგიერთი ბიოგრაფიული ხასიათის მასალა უნდა შეეკრიბა და, ამასთან ერთად, მემორიალური ნივთებიც შეეძინა.

ექსპედიციაში შედიოდნენ: ლიტერატურათმცოდნე ივანე ენიკოლოფოვი და ჩემი ძმები: პოეტი და ლიტერატორი გრიგოლ ჯაფარიძე და მაშინ ჯერ კიდევ დამწყები მხატვარი უჩა ჯაფარიძე.

ექსპედიციას მეც შევუერთდი ჩემი ფოტოაპარატით.

ლიტერატურულ მუზეუმს იმხანად გიორგი ლეონიძე ხელმძღვანელობდა...

*

შემოდგომის ნამდვილი „ოქროს დღეები“ იდგა.

ავტობუსით სწრაფად გავიარეთ ჯერ დუშეთი, მერე - ანანური მისი ციხე კოშკით და გადავუხვიეთ ფშავ ხევსურეთისაკენ მიმავალ ახალ გზაზე, რომელიც სულ ორიოდე წელი იყო, რაც გაეხსნათ და ამიტომ შავი გუდრონი ისევ პრიალებდა მზეზე. ეს გზა აქაურ ადგილებს ბარისახოსთან აერთებს.

ავტობუსში ჩვენთან ერთად რამდენიმე ფშაველი და ხევსური მგზავრობდა. ისინი თბილისიდან ბრუნდებოდნენ სახლებში სავსე ხურჯინებითა და დაცლილი კასრებით; გარემო ერბოს სუნით გაჟღენთილიყო. ჩვენი თანამგზავრები ერთიმეორეზე უფრო ვაჟკაცური აღნაგობისანი იყვნენ და მზეზე გარუჯული სახეებით ვაჟას უკვდავ გმირებს - გოგოთურს, ალუდას თუ აფშინას ჩამოჰგავდნენ.

გავიარეთ ჟინვალი, ფშავის არაგვის ნაპირები და მაღაროსკარში შევედით. ძველად აქ სოფლის კანცელარია და დაწყებითი სკოლა ყოფილა, სადაც ერთ დროს ვაჟა ფშაველას ძმა - ნიკო (ბაჩანა) მასწავლებლობდა.

ახლა ეს ადგილი ამ კუთხის კულტურის ცენტრია. იქ არის საავადმყოფო, აფთიაქი, სკოლა, ფოსტა, კოოპერატივი და სოფლის საბჭო, რომელსაც ვაჟას სოფელი ჩარგალიც ექვემდებარება.

ფშავ ხევსურეთის ხსენებული საავტომობილო გზის მშენებლობა იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, განუწყვეტლივ ისმოდა ნაღმის აფეთქების ხმა და მოგლეჯილი კლდეების გრიალი. ალაგ-ალაგ რკინა ბეტონის ხიდების გვერდით ძველი ხიდ ბოგირებიც შემორჩენილიყო.

მაღაროსკარს რომ გავცდით, პატარა მდინარე „ჩარგლულა“ შემოგვეყარა, ვაჟას მშობლიურ ჩარგალზე რომ მოედინება და სახელიც ამ სოფლისაგან მიუღია. ის ტყით დაფარული ხეობით მარცხენა მხრიდან ერთვის არაგვს.

„ჩარგლისკარიდან“ უკვე სოფლის გზა მიუყვებოდა ზემოთ და ჩვენც ფეხით განვაგრძეთ სიარული, ავტობუსმა კი ბარისახოსაკენ აიღო გეზი.

აქედან ჩარგლამდე სულ რაღაც ოთხიოდე კილომეტრია.

ჩვენ წინ ვიწრო ხეობა, ალაგ ალაგ ყანები და ხშირი, ფოთლოვანი ხეებით შემოსილი მაღალი მთებია.

ეს ვაჟას მშობლიური კუთხეა...

სალამი შენდა, კურთხეულო ადგილო, დიდი მგოსნის ცხოვრებისა და შემოქმედების ცოცხალო მოწმევ!...

„მოგესალმებით, ქედებო, მომაქვს სალამი გვიანი!“

*

რაც უფრო ზევით ავდივართ და სოფელს ვუახლოვებით, მით უფრო ვიწროვდება ხეობა.

სექტემბერია, მაგრამ ქერი და სიმინდი ჯერ კიდევ მწვანედ ბიბინებს.

უკვე დაღამდა.

„დაღამდა, წვრილნი ვარსკვლავნი
აყოვდნენ, დასხდნენ ცაზედა,
მთვარე კი ჯერ არსადა ჩანს,
არ დაგვნათოის თავზედა...“

ძეხორციელი არავინ ჩანს, ვაჟას სახლისაკენ მიმავალი გზა რომ მიგვასწავლოს. ანაზდად მბჟუტავი სინათლე გამოჩნდა და შორიდან ძაღლების ყეფაც შემოგვესმა.

- მასპინძელო! - შევძახეთ ერთ-ერთ ქოხს, - მასპინძელო!

სახლიდან ვიღაცის სილუეტი გამოჩნდა და ჩვენც ჩვენთვის საჭირო მისამართს ვეკითხებით.

- ვაჟაის სახლი? - გვპასუხობს ქალის ხმა, - რა ვქნა, რომელი ვაჟაის? - მაგრამ ბოლოს მაინც იაზრა და დარწმუნებით გვიპასუხა: - რაზიკაანთ სახლი გინდათ? ჰოო... ის გაღმაა, შვილო, წყალგაღმა, აქეთ რას მოდიხართ? ქვემოდ ჩადით და რიყე-რიყე აუყევით წყალს...

ერთ ქოხში, რომელშიც, როგორც შემდეგ გავიგეთ, ვაჟას მეგობარს ბეკურა ბაჩიაშვილს უცხოვრია, სინათლე აინთო და ნაგაზებმაც ბოხი ხმით ატეხეს ყეფა. ამ სახლიდან ვიღაც ახალგაზრდა კაცი გამოვიდა, მოგვესალმა და ვაჟას სახლისაკენ გაგვიძღვა.

*

- აი, ამ გორაკზეა ვაჟაის სახლი, - გვითხრა გამყოლმა კარგახნის სიარულის შემდეგ, მერე ჩარგლულაზე გადებული ხის ბოგირი გადაგვატარა და... ჩვენ უკვე დიდი მგოსნის კარ მიდამოზე ვდგავართ, მის ეზოში.

ბნელა და ჩვენც თითქოს ვაჟას უკვდავ გმირთა ლანდებს ვხედავთ, თითქოს მათ სუნთქვას ვგრძნობთ: „უსულო საგანს სული ჩავბერე, ავასაუბრე ლოდები კლდისა.“

დიდი ინტერესით ვაკვირდებით ლანდებად ქცეულ ხეებს, სახლს, პატარა დამხმარე ნაგებობებს; აგერ კალოზე აღმართული ორიოდე ზვინი, აგერ გომური, ქვითკირის მომცრო ქოხი.

ირგვლივ სრული სიჩუმეა და მხოლოდ ჩარგლულას ჩუმი ჟღურტული მოისმის ქვემოდან.

ამ ეზოში, რატომღაც, არც ძაღლის ყეფა მოისმის, რომელიც თითქოს ჩვეულებრივი მოვლენაა იქ, სადაც სახლი განმარტოებით დგას. მგოსნის ეს მოკრძალებული სამყოფელი თითქოს ამით თუ განსხვავდება ფშაველი გლეხის ტიპიური კარ მიდამოსაგან.

ეს წმინდა სავანე, სადაც მგოსანმა თავისი ბავშვობა და შეგნებული ცხოვრების უმეტესი ნაწილი გაატარა, კიდევ უფრო წმინდა გახდა ჩვენთვის, როდესაც მისი ქოხიდან მბჟუტავმა სინათლემ გამოაშუქა.

როგორც ჩანდა, მასპინძელს ჯერ კიდევ არ ეძინა.

დიახ, ჩვენ უკვე იმ ადგილზე ვართ, ასე რომ უყვარდა ვაჟას და რის გამოც ყველას შესთხოვდა: - „ჩემს ადგილს მიმაბარეთა, სიცოცხლით გამწარებული მკვდარ მაინც გამახარეთა“ ო.

*

კარმა გაიჭრიალა და შავ ტანსაცმელში გამოწყობილი მაღალი, თხელი ტანის ჭარმაგი მანდილოსანი გამოგვეგება, რომელმაც მორიდებული მოსალმების შემდეგ, შინ თავაზიანად შეგვიპატიჟა.

ეს ვაჟას მეუღლე - თამარი გახლდათ.

ქალს ჩვენი ვინობა გავუმხილეთ და ვთხოვეთ, არაფერზე შეწუხებულიყო, რადგან შევატყვეთ, სუფრის მზადება დაეწყო.

თამარი მეტად სანდომიანი ქალი ჩანს, ზრდილობიანი და მორიდებული. გვსიამოვნებს მისი მეტყველების ფშავური კილო.

იგი უკვე ხანში შესულია, მისი სიტყვებით „სამოცზედაც გადასული“, მაგრამ გარეგნულად ჯერ კიდევ კარგად გამოიყურება. ის ლაღად, თავაწეული დაიარება.

გასაკვირი არაა, რომ სულითა და სისხლით ნამდვილ მთიელს - ვაჟას ეს ქალი მოსწონებოდა და მისი თვალტანადობით მოხიბლულიყო.

მთის პირობებში უთუოდ ლამაზი გამოჩნდებოდა და დღესაც ტოლს არ დაუდებს მეზობელ ქალთა უმეტესობას. მას ოდნავ შემაღლებული თხელი ცხვირი აქვს, შავი თვალ წარბი და დიდი ხელები; განიერ შავ ტანსაცმელს ბუნებრივად ერწყმის ასევე შავი თავსაფარი.

თამარი ვაჟას მეორე ცოლია. მგოსანმა იგი სოფელ ხორხიდან „მოიტაცა“, „ცხენის გავაზე მოიგდო.“

„ცხენის გავაზე მოვიგდო, სდიოდეს ცრემლი მწარეა,

შუაღამისას ჩარგალსა გადავიწერო ჯვარია.

მერე მოიდეს სადაოდ თუნდაც ოსმალოს ჯარია!...“

თამარს კარგად ახსოვს ეს ამბავი, რის გამოც „კინაღამ სისხლიც ჩამოვარდნილა ორ ოჯახს შუა.“ ეს მით უფრო, რომ ქალი გათხოვებას არ აპირებდა და მონასტერში წასასვლელად ემზადებოდა თურმე.

- მამაჩემმა ხანჯარსაც წამაავლო ხელი, - გვიყვება თამარი, - როცა ლუკა და მისი ძმა ნიკო მოვიდნენ ჩემ წასაყვანად; მამაჩემს ხელებში ვეცი და ძლივ დავამშვიდე: „ძალით ხომ არ წამიყვანენ მეთქი.” ლუკას მე არ ვიცნობდი მანამდე. წიგნი კი წამეკითხა ვაჟა ფშაველასი; სახლშიც მქონდა, მაგრამ კი არ ვიცოდი, თუ ის მწერალი ვაჟა ფშაველა ჩარგლელი რაზიკაანთ ლუკა იყო. ეს მერე გავიგე.“

თამარის გარდა ამ ოჯახში მისი ვაჟი, ვახტანგი, ცხოვრობდა, მაგრამ იმ დროს იგი თბილისის უნივერსიტეტში სწავლობდა და თამარს მარტოდმარტო, თითქმის უმეზობლოდ უხდებოდა ყოფნა. ამის გამო დიდი წვალებით ეწეოდა სოფლურ მეოჯახეობას.

- წყალიც ვერ მომიტანია ჯერ, დედაშვილობას, - გვეუბნება მასპინძელი, - ერთი ძროხა-ღა მყავ, დავკარგე და მის ძებნაში სულ შემოვიარე ჩვენი ტყეები; ძლივ ვიპოვე და ესაა დავბრუნდი შინ. დავიქანცე, შვილო, მაგრამ რა ვქნა, საყვედურს ვერ ვიტყვი. ცხოვრება გარჯას მოითხოვს.

დაღლილმა თამარმა სპილენძის დიდი თუნგი მხარზე შეიგდო და იმ კუნაპეტ ღამეში სადღაც გაუჩინარდა. წყალი თუმცა შორს არ ყოფილა, ხევში გამოედინება თურმე, მაგრამ იმ ბერბეცოში ჩასვლა და ისიც, ამ ღამეში, არც თუ იოლი საქმეა.

- ეეჰ, ჩემო ბატონო, მთაში ღარიბული ცხოვრება გვაქვს და, თუ არ ვიშრომებთ, არას გვარგია! - ამბობს ღრმა ამოოხვრით წყაროდან უკვე შინ დაბრუნებული თამარი და ბოდიშს იხდის, რომ „საკადრისად ვერ გაგვიმასპინძლდება.“

ქალს პატარა სუფრა შემოაქვს და ზედ უხვად აწყობს „ღარიბული ცხოვრების“ დამადასტურებელ სანოვაგეს: ახლად მოწველილ რძეს, კარაქს, ხაჭოსა და ჭყინტ ყველს, რომელსაც თამარი ვაჟას ნაქონი ბასრი დანით ვეება ნაჭრებად ჭრის. თითოეული ნაჭერი ქალაქში ვაჟკაცსაც კი დააპურებდა.

ჩვენ ბოდიშს ვიხდით მისი ასე უდროოდ შეწუხებისათვის, მაგრამ თამარი სულაც არ გრძნობს თავს შეწუხებულად და მშვიდად გვეუბნება: „არავინ მოდის

აქ, მთაში მოწყენილად ვართ. ამას წინათ მიხეილ ჯავახიშვილი იყო მხოლოდ და ისიც იმავე დღეს გაბრუნდა უკან...“

*

ეს სახლი კი არა, ერთი უბრალო ქოხია. ნუთუ ამ კედლებში იწერებოდა „გველის მჭამელი“, „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ მასპინძელი“, „ჩხიკვთა ქორწილი“ და ვაჟას სხვა დიდებული ქმნილებები?... არა, პატარა ის ფიზიკურადაა, თორემ, წმინდა საუფლო ტაძარია, მუზათა თავშესაყარი, მათი სამოსახლო...

ჩემი ცხოვრების მანძილზე არაერთი გამოჩენილი მწერლის სახლი და კარ მიდამო მინახავს, მათ შორის ილიასი - ყვარელში, აკაკისა - მშობლიურ სხვიტორში, ლევ ტოლსტოისა - იასნაია პოლიანაში. როდესაც მათ სასახლეებს ვაჟა ფშაველას ქვის პატარა ქოხს ვადარებ, გული სევდით მევსება, უცნაური, ენით გამოუთქმელი გრძნობა მიპყრობს... მაგრამ სწორედ ეს პატარა კედლები მეუბნებიან, რომ დიდი ნიჭისათვის სრა-სასახლეებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. განა ამაზე არ მეტყველებს სახელგანთქმული შოტლანდიელი პოეტის რობერტ ბერნსის ცხოვრებისეული ისტორიაც?!...

ამაზევე არ მეტყველებს გენიალური ფიროსმანის დუხჭირი ცხოვრების სინამდვილეც?!...

სად არის აქ უცხოური ავეჯი, ფრანგული პრეფერანსის მაგიდა, იტალიური სურათები, სპარსული ნოხები, „გამმონდის“ საბეჭდი მანქანა და მრავალი სხვა, რაც იმ დროის მდიდართა ოჯახებისთვის ჩვეულებრივი რამ გახლდათ?!

ეს უბრალო, ნივთები თავისი პირველყოფილებით გვაოცებენ, როგორც ვაჟას ნახევრად წარმართი, ნახევრად ზღაპრული და მითიური გმირები.

აი, ყველაფერი ის, რაც თვალში გვეცა ჩვენ, თბილისიდან მივლინებით ჩამოსულ სტუმრებს, რაც გვაფიქრებს, რაც სევდითა და ამავე დროს დიდი სიამაყითაც გვავსებს...

*

თამარი ჯარასავით ტრიალებს ოჯახში, დღე და ღამე გასწორებული აქვს.

სამი დღე დავყავით მის კერაზე და ვხედავდით ამ დაუღალავი ადამიანის გარჯას: აცხობდა, წველიდა, საქონელს უვლიდა, შეშა მოჰქონდა, წყალს ეზიდებოდა, სადილს ამზადებდა და ამ ხნის მანძილზე მხოლოდ ერთხელ ვნახეთ ოთახში დამჯდარი და განა დასასვენებლად? არა - ის წნელზე ჩამოკიდებულ „ვარიას“ უჯდა და რძისთავსა დღვებდა, რათა უცხო სტუმრები ახალი კარაქითა და გემრიელი დოთი ვესიამოვნებინეთ.

- რა ვქნა, შვილო, ასეთია ღარიბი კაცის ბედი, - გვპასუხობდა თამარი ჩვენი გაკვირვებული თვალების შემხედვარე, მაგრამ მას ყველაზე უფრო მარტოობა აწუხებდა.

მხოლოდ ოჯახის დიდი სიყვარული და მამაპაპური სახლის ერთგულება აძლებინებდა მარტოხელა ქალს.

- რატომ მეზობლის ბავშვები მაინც არ შემოვლენ და ხელს არ წაგაშველებენ ხოლმე? - ვეკითხებით თამარს.

- როგორ შემოვლენ, განა სცალიათ? - გვპასუხობს თამარი, - მთაში ბალღებიც მუშაობენ; და კიდევაც რომ ეცალოთ, უსაქმურად ისინი მეზობლის კარს არ მოადგებიან; არაა ადათი...

თავად ვაჟასაც ფიზიკური და სულიერი ძალების არაადამიანური დაძაბვა სჭირდებოდა, არსებობა რომ შეენარჩუნებინა. მაინც ვერ სძლია ნაღველს, რამაც ეს ჯანღონით სავსე ბუნების შვილი სიკვდილის პირამდე მიიყვანა სულ რაღაც 54 წლის ასაკში.

მერე და როგორ სწყუროდა სიცოცხლე და როგორ ეფიცებოდა თავის მშობელ ქვეყანას:

თუ გიღალატო, დედაო,
ნუმც დავიმარხო მთაშია,
ნუ დასდონ ვაჟის ფშავლისა
ხმალი სატირლად თავშია,
ნუ დამიტიროს ქალ რძალმა
საკაცეზეა კარშია,
შავეთში გამგზავრებულსა
ცხენი წამექცეს წყალშია.
ქვეყნისგან შეჩვენებულმა
ბინა დავკარგო ცაშია.
გამიწყდეს ბეწვის ხიდაი,
ჩავვარდე კუპრის ზღვაშია.

*

დილაუთენია გამოვდივარ ეზოში. ჩარგლულას გაღმა მთის ფერდობზე მოჩანს სოფლის ერთი უბანი; ის ჯერ კიდევ დილის ბინდშია გახვეული, მაგრამ სოფლელები უკვე ფეხზე არიან და ადრეულ საქმეს შესდგომიან. ბავშვები საქონელს მიერეკებიან ხმაურითა და შეძახილებით...

აქაურმა ხალხმა, როგორც ჩვენში ყველგან, გარჯაც იცის და დასვენებაც. დაღამდება თუ არა, მაშინვე წვებიან და ამიტომ მბჟუტავი სინათლე მათთვის საჭიროებას აღარ წარმოადგენს. უკიდურეს შემთხვევაში მამაპაპეულ კვარსაც მიმართავენ, ნავთის ლამპისათვის კი საწვავია საჭირო და აბა, მუშაობით დაღლილმა ჩარგლელმა კაცმა ნავთისათვის როგორ უნდა იაროს მაღაროსკარში? ამისთვის ნახევარი დღე მაინც უნდა დაიკარგოს!

აგერ იმავე წყალგაღმა ბილიკზე ვიღაც ქალი გამოჩნდა, ზურგზე გუდა ჰკიდია, ალბათ წისქვილისაკენ მიიჩქარის. აქ ძალაუნებურად მახსენდება ვაჟას სასიმღეროდ ქცეული ლექსი:

„გამოღმით მე ვარ, გაღმით შენ, შუაზე მოდის მდინარე,
ხიდი არ გვიძევს წყალზედა, ფიქრი მკლავს მოუთმინარე.“

*

ვაჟას სახლი ჩარგლულას გასწვრივ, ერთ მაღალ კორდზეა წამომდგარი. ეზო მწვანეშია ჩაფლული, უფრო ანწლი და, განსაკუთრებით, ჭინჭარი და „ჭინჭრის დედა“ ჭარბობს; აქა იქ მოჩანს ღოლო, „მაყალურძა“ და „ტუხტიც“.

ამ მცენარეთა ფესვებს და ნაყოფებს აქაური ხალხი სამკურნალოდ იყენებს; ან მწვანეს ხმარობენ ან ახმობენ, ხარშავენ და ნახარშს სვამენ.

ეზოდან მდინარემდე დაფერდებული ნაპირი ვაჟას ოჯახს ბოსტნად და სათიბად აქვს გამოყენებული...

ყველანი ეზოში ვსხედვართ და შევყურებთ მზრუნველი ხელით ნახარებ ვაშლისა და მსხლის ხეებს, ღოღნაშოს, ზღმარტლს, ანუ "ხუტკარას", ჭანჭურს, შინდსა და, რაც მთავარია, კაკლის ხეებს.

თამარის თქმით, ყველა ეს ხე ვაჟას დარგულია და მის მიერ არის დამყნობილი.

კაკლის ხე, როგორც ჩანს, ძალზე გავრცელებულია ფშავში. მარტო ვაჟას ეზოსა და სათიბში ათამდე ძირი მაინც დგას, გვერდით კიდევ უფრო მეტიც.

ხის ტოტებს ლამაზად შემოხვევია სვია - თავისი ღიაჩალისფერი პაწია ბურთულებით.

- ეს სვია ლუკაის მოტანილი და დარგულია, - გვეუბნება თამარი, - უმაგისოდ ლუდი არ გამაიხდებაო... უვლიდა ძალიან.

დამხმარე შენობებიდან (ასეთებს რაჭაში „შრომელს" უწოდებენ) დგას ბოსელი ანუ იგივე გომური, რომლის ზემოთ სათივე არის გაწყობილი. იქ ჩვენი მისვლის დროს ,,მშვიდობიანად მეზობლობდნენ" თამარის ძროხა და ცხენი...

ეზოს უკანა ნაწილში განცალკევებით დგას პატარა „ფურნე". ესეც თურმე ვაჟას გაუკეთებია თავისი ხელით, რათა ამით დიასახლისისათვის პურის ცხობის მძიმე საქმე შეემსუბუქებინა.

სახლი, სადაც მგოსანი ოჯახთან ერთად ცხოვრობდა, ამ დამხმარე ნაგებობათა უკან დგას და პირით ხევისკენაა მიქცეული, უკანა კედელი კი - ტყით დაფარული ფერდობისაკენ.

სახლი, როგორც ეს მთაშია მიღებული, ქვით არის ნაშენები და დახურულია კრამიტით; ეს კი, თამარის განმარტებით, შეძლებულობის ნიშანია, თუმცა ამ უკანასკნელ ხანს თითქმის ყველას ასეთი შენობა უდგას, ოღონდ კრამიტის მაგიერ ისევ ძველებური სახურავი „ყარტი" აქვს გამოყენებული. ყარტი საგანგებოდ ითესება ყანაში.

ვაჟას სახლი სულ ორიოდე ოთახისაგან შედგება. ეს ასე ყოფილა მგოსნის სიცოცხლეშიაც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ წინ ხის პატარა აივანი ჰქონია. ერთ ერთი ოთახი სასტუმროდ ყოფილა განკუთვნილი, რომელიც დუშეთის რაიაღმასკომის ინიციატივითა და ხარჯით გაუდიდებიათ როგორც სიგანეში, ისე სიმაღლეში. შენობის სხვა დანარჩენი ნაწილი ისევეა შემორჩენილი, როგორც ეს მგოსნის დროს იყო.

სახლის ერთი ოთახი ჯერ კიდევ პოეტის მამას პავლე რაზიკაშვილს ვაჟას მოწაფეობის დროს აუშენებია, მანამდე კი აქაც ბანიანი მიწური სახლი ჰქონიათ.

ამ ძველ პატარა ოთახს, რომელიც ზომით თორმეტიოდე კვადრატული მეტრი თუ იქნება, თამარი „ლუკას ოთახს" უწოდებს, რადგან ის ვაჟას სამუშაო და საწოლი ოთახი ყოფილა. მას ეზოს მხრივ ერთი პატარა კარი და ორი სარკმელი ჰქონია, რომელიც დღემდე ასევეა შემორჩენილი; მეორე ოთახის მსგავსად, იატაკი აქაც მიწისაა. ოთახის ერთ კუთხეში ბუხარია დატანებული, რომელიც განსაკუთრებით ჰყვარებია თურმე ვაჟას.

ამ ბუხრის წინ შეუქმნია თავისი არაერთი შედევრი და, მათ შორის, დაუვიწყარი „ფშაველი ჯარისკაცის წერილი":

„გულმკერდიც აგიყოვდება,
დედაო, ია ვარდითა...
ფიქრით შენთან ვარ. საჩეჩლის

კბილების მესმის წკრიალი...
გიცქერ, მატყლსა სჩეჩ, ფარტენას
ცრემლი გისველებს ტიალი...“

ვაჟას ავეჯეულობიდან მის ყოფილ ოთახში რკინის საწოლი და მცირე ზომის გამოჩორკნილი ხის უბრალო მაგიდაა. ეს იყო ვაჟას საწერი მაგიდა. მისი ერთ ერთი უჯრა გამოღებულია და, მგონი, დაკარგულიც კი...

აქვეა ერთი დაბალი და უბრალო კარადა, რომელშიც მგოსანი თავის ნაწერებსა და წიგნებს ინახავდა.

ბუხრის აქეთ იქით, კედლებში ჩატანებულ თახჩებში ორი ჭრაქია შედგმული. მაგიდაზე დგას მოშლილი მაღვიძარა საათი, რომელიც რაღაც მუსიკის მსგავს ბგერებს გამოსცემდა და ამისთვის უფრო ყიდულობდნენ, ვიდრე დროის გასაგებად. ვაჟასაც თურმე ძალიან უყვარდა ის საათი, მომართავდა და უსმენდა მის მუსიკას.

ოთახის ერთ კუთხეში ვაჟას თოფი, მისი ნანადირევი ირმის რქები და ორი ყანწი ჰკიდია.

- ლუკაის ჯიხვის რქებიც ჰქონდა აქ, - შენიშნავს თამარი, - მაგრამ რომელიღაც მეზობელს აჩუქა.

ირმის რქებს უკან მგოსანს თავისი დიდი სურათი ეკიდა თურმე, წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ ლითოგრაფიულად გამოცემული; აქვე ეკიდა მეორე დიდი სურათიც - „ქართველ მწერალთა ჯგუფი“, რომელიც იმ დროს მეტად გავრცელებული იყო ჩვენში და თითქმის ყოველ ქართულ ოჯახში ნახავდით.

იმავე ოთახის ერთ კუთხეში ეწყო ვაჟას სამუშაო იარაღები: თოხი, ბარი, ნამგალი, ხერხი, ცული და სხვა. კედელს მცირე ზომის ფარდაგიც ამშვენებს.

- ეს ფარდაგი კი ჩემი მოქსოვილია, - განმარტავს თამარი, - ჩვენთან ყველა ქსოვს და, ცხადია, მეც მოვქსოვე. ქალმა უთუოდ უნდა გააკეთოს ეს საქმე, მოქსოვოს ხალიჩა, ხურჯინები და გათხოვებისას თან გაიყოლოს. ასეთია ჩვენებური ადათი.

ოთახიდან ეზოში გამოვდივართ. მწვანე ბალახი თვალს ახარებს. თამარს მოსწონს თავისი სამოსახლო.

- ზამთარ აქ სიცივე არ იცის, როგორც მინდვრად, - გვეუბნება ის, - მყუდროდ ვართ, შეშაც ნაკლები გვჭირდება.

თამარი თავის ოთახში შედის და მცირე ხნის შემდეგ რაღაც მოძველებული და დრო ჟამს გადარჩენილი მცირე ზომის, თხელყდიანი ლუკას წიგნი გამოაქვს.

როგორი სიხარულითა და მღელვარებით გადავფურცლეთ ეს ძველი, წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ 1911 წელს დასტამბული პატარა წიგნაკი, რომლის სატიტულო ფურცელსა და გარეკანზე დაბეჭდილია:

„ვაჟა ფშაველა. სამი საყმაწვილო ამბავი რვა სურათით და ავტორის მოკლე ბიოგრაფიით“.

აქვე ვკითხულობთ: „ვაჟამ მალე მასწავლებლობას სრულიად მიანება თავი და დასახლდა ცოლშვილით თავის სოფელ ჩარგალში. სოფელში ვაჟა ფშაველა სოფლურ მუშაობას მისდევს – ხნავს, სთესავს და მხნეობს ისევე, როგორც სხვა მისი მეზობელი გლეხკაცობა, ხოლო თავისუფალ დროს ანდომებს მწერლობას.“

დიახ, ეს სრული ჭეშმარიტებაა: მართლაც, „თავისუფალ დროს“ თუ გაიმეტებდა მწერლობისათვის იმ დროს ადამიანი!...

ჩვენ ბედს უნდა ვუმადლოდეთ, რომ დიდი მგოსანი, მიუხედავად დიდი გარჯისა, კიდევ ახერხებდა „თავისუფალი დროის“ გამონახვას და ბუხრის მბჟუტავი ცეცხლის წინ, როცა „ჯალაბს ეძინა,“ საკაცობრიო მნიშვნელობის ქმნილებებს წერდა.

*

- თუნუქის ღუმელი არ ეჭაშნიკებოდა, - გვიამბობს თამარი, - „ცეცხლს თუ თვალით არ ვხედავ, ისე სითბოს რა გემო აქვსო”.

- ლექსების წერა თუმცა დღისითაც იცოდა, მაგრამ ასეთ დროს ის იშვიათად იყო მოცლილი, როგორც ოჯახის ერთ ერთი ბურჯი და მარჩენალი ამიტომ ის უფრო ღამღამობით წერდა, - განმარტავს იგი. - როცა წერდა და ჩვენ ვფხიზლობდით, ალბათ ხელს ვუშლიდით, - დაიძინეთო, გვეტყოდა. ხშირად ღამეც წამოიჭრებოდა ლოგინიდან და შემომძახებდა: „თამარ, შენს მზესა, საწერ კალამი მომიტანე ერთ წამსო.“ დაჯდებოდა და ისე წერდა რიჟრაჟამდე.

ირიჟრაჟებდა თუ არა, ვაჟა მხარზე ნაბადს მოიგდებდა და იარაღით აღჭურვილი, სანადიროდ მიდიოდა, ან სათიბ სამკალში გასწევდა.

- ძალიან იღლებოდა ბეჩავი განუწყვეტელი მუშაობით, - ნაღვლიანად დასძენს თამარი, - ღამეებიც კი არ ეძინა, ხშირად თეთრად ათენებდა.

აკი თავადაც ჩიოდა:

ისე გაივლის სთვლის ღამე,
არ მომეხუჭვის თვალია!...
მიშველე, ჩემო გამჩენო,
მიშველე, მომეც ძალია.
აკმარე ბეჩავს ჩემს თავსა
ამდენი ცოდო ბრალია!...

- ხშირად ვუსაყვედურებდი ხოლმე: - რა არის, სულ რაღაცას სწერ და ეგ შენი შრომა ჩვენი სიღარიბის წილად კი არაფერს გვარგია. ის გაიღიმებდა, მერე რვეულს ხელში აიღებდა და წამიკითხავდა თავის ნაწერს. მაგრამ, აბა, მე რა მესმოდა, შვილო? ერთი უსწავლელი ქალი ვარ..

ძალიან უყვარდა საკუთარი ლექსების ფანდურზე დამღერება; კარგი ფანდური ჰქონდა, მაგრამ დამიმტვრიეს ხელიდან ხელში ტარებით, ვერ გადავარჩინე.

სტუმარი უყვარდა, ამიტომ შინ ღვინოს არ გამაილევდა, მაგრამ სიმთვრალე კი არ იცოდა, რიგზე სომდა, ჭამაც ისე რიგზე იცოდა, ცოტა, მაგრამ ხშირად...

თავისი სოფლიდან ძნელად თუ წავიდოდა დიდი ხნით, უფრო ზამთარში მიდიოდა ხოლმე თავისი ცხენით დუშეთს ან თიანეთს. ხშირად თბილისშიაც ჩადიოდა. კახეთშიაც იცოდა გასვლა; იქ მას ქალიშვილი ჰყავდა გათხოვილი და, გარდა ამისა, ნადირობასაც ეწეოდა გარეულ ღორზე, ხანაც კიდევ ჯიხვზე...

*

ჩარგალში ვნახეთ ვაჟას ერთი მეზობელთაგანი - ივანე მოლოდინაშვილი. თუმცა ახალგაზრდა კაცი იყო, ვაჟაზე ბევრი რამ იცოდა. თავის ერთადერთ აღმზრდელად და მოამაგედ მიიჩნევდა:

- დამიძახებდა ხოლმე და მეტყოდა: - აბა, ივანე, შვილო, ხვალ დილით ქალაქს მივდივარ და დუშეთიდან ცხენი უნდა დამიბრუნოო... დილით ჯერ

კიდევ ღამეულ გავუდგებოდით დუშეთის გზას, აი, იმ ტყეებზე, ხედავთ იმ გორას?... ბილიკები ვიწრო და ისეთი სახიფათო სავალი იყო - ხან აღმართი, ხან დაღმართი, რომ სანახევროდ ფეხით მივდიოდით, რადგან ცხენზე ჯდომა შეუძლებელი იყო. დუშეთში თავის ცხენს ჩამაბარებდა, თავად ლინეიკას დაუჯდებოდა და სავსე ხურჯინით მიემგზავრებოდა ქალაქს.

ამ ხურჯინში, როგორც ცნობილია, ვაჟას ხშირად თავისი ნაწერებიც ელაგა. იქ ის ამ სავსე ხურჯინით ჟურნალგაზეთების რედაქციისათვის ყოველთვის სანატრელი და ძვირფასი სტუმარი იყო.

დედაქალაქში ღამის გასათევად თავის ძმა სანდროსთან ჩერდებოდა. სანდრო ფოსტის უწყებაში მსახურობდა და ოჯახთან ერთად ვერაზე, მლეთის ქუჩაზე ცხოვრობდა. დღეს ამ სახლის ფასადს მარმარილოს მემორიალური დაფა ამშვენებს.

მაგრამ ქალაქში ვაჟა დიდხანს ვერ ძლებდა, გული ისევ ფშავისკენ მიუწევდა.

ისევ ფშავის ხევს ვენაცვლე, გულკეთილს, თავაზიანსა.

მის მთებს, მოხდენით დაქარგულს, მის არემარეს წყლიანსა.

*

ბევრ ძვირფას ამბავს იხსენებდა თამარი მისი დაუვიწყარი „ვაჟაის“ ცხოვრებიდან - მის ყოველდღიურ ყოფაზე, მის დამქანცველ მუშაობაზე მინდვრად თუ ტყეში, სახნავ სათესსა თუ სამკალ სათიბში. წუხდა, როცა იხსენებდა საყვარელ ადამიანს, რომელმაც შემოხეული ჩოხითა და ნახევრად ძირგავარდნილი ქალამნებით დააღამა თავისი ცხოვრების დღენი.

- ღარიბები ვიყავით, მაგრამ ლუკაი გულს მაინც არასოდეს არ იტეხდა. რარიგ უყვარდა ბეჩავს ეს პატარა ღარიბული ქოხი და მთელი ოჯახი! რარიგ უყვარდა საქონელი! თუ რომელიმე მათგანი გარეთ დარჩებოდა, წავიდოდა და მთელი ღამე ეძებდა. ეძებდა და ბოლოს მაინც მოიყვანდა შინ. მაინც არ გახდიდა ნადირის ლუკმად...

თამარი მოხუცებულობას უჩივის:

- დავბერდი, შვილო, რა ვქნა?!... სიბერე ლომსაც მარევიავ, ხომ გაგიგონიათ? მეც მოვიდრიკე, აღარ შემიძლია; სანამ ლუკაი ცოცხალი იყო, ოჯახსაც თავად უვლიდა და გარეთაც თავად იყო, მაგრამ როცა აღარ არის, მაშ, ვინ უნდა მოაბას თავი აქაურობას? ისევ მე, მაშ, რა ვქნა? მე კი ჯერ მისსობასაც ვერ ვიყავი სრულ ჯანზე და ვჩიოდი ამას, მაგრამ ლუკაი ყოველთვის გამამხნევებდა ხოლმე თავისი შეძახილით:

- კარგი რა, დედაკაცო, დადექ, მოეშვი წუწუნს! მთიელი ქალი ხარ, არ გეკადრება... არ შეგიძლია? ნება-ნება იმუშავე, რა გეჩქარება? ვინ მოგდევს? ჯანიც მოგივა და ღონეც...

თამარი იხსენებს აგრეთვე ვაჟას მიერ არაერთხელ ანდერძივით ნათქვამს: როცა მოვკვდები, ნუ მიმატოვებ მარტოდმარტოო და წუხს, ასე შორს რომ არის მისი საფლავი და ვერ უვლის მას, ვერ ასრულებს საყვარელი ადამიანის ანდერძს:

მკვდარს მინდა შენი სინათლე,
ცოცხალს სიცოცხლეც მკმარია;
ტრფობით აღვსილი გულისთვის
ცა ღრუბლიანიც დარია.
თუ მზე ხარ, მაშინ მიმზევე,

მიშველე შემიბრალია...

- ბოლო წლებში ლუკა გვერდს იტკივებდა, - ნაღვლიანად იგონებს თამარი, - კარგა ხანს ჩიოდა ამას, მაგრამ რა უნდა მეშველა?... მერე ქალაქში წავიდა, მალე დავბრუნდებიო, დამიბარა, დამიბარა და ის იყო... ვეღარც ვნახე მეტი...

და ქალი თავსაფრის ყურით მორიდებით იშრობს თვალზე მომდგარ ცრემლს და თან მძიმე ფიქრებში იძირება...

*

ვაჟას გარდაცვალების შემდეგ მისი ნაქონი წიგნები, აგრეთვე საწერ კალმი, ხმალი, ფარი და ზოგიერთი რამ მისი ტანსაცმლიდან, თამარის სიტყვით, წაუღია პოეტის უფროს ვაჟს ლევანს, რომელიც გორში ცხოვრობდა. ლევანის შემდეგ რა ბედი ეწია ამ ნივთებს, თამარმა არ იცის, რადგან ლევანი 1924 წელს დახვრიტეს და მისი ნივთების ძებნას ვინ რას გაბედავდა.

- მერედა, უკვალოდ რად უნდა დაკარგულიყო ვაჟას ნაქონი ნივთები? - სწუხს ჩემი ძმა გრიგოლი, - ისინი ხომ ფასდაუდებელი ექსპონატები იქნებოდა პოეტის მემორიალური მუზეუმისათვის?...

მაგრამ ასეთები ჯერ კიდევ მაინც მოიძებნებიან ვაჟასეულ ქოხში და გრიგოლი და ვანო თამარს ამ ნივთების შეძენის შესახებ ესაუბრებიან.

თამარს ძალზე ენანება მათი მოშორება, თითქმის შეზრდილია ამ ნივთებთან, უყვარს ისინი, მაგრამ რა ქნას, უარს ვერ ამბობს და მხოლოდ მორიდებით წარმოთქვამს:

- რა ვქნა, ე ძველმანები რომ წაიღოთ ქალაქში, მერიდება, რას იტყვის ხალხი... სირცხვილია. - თან ნაღვლიანი თვალებით დასჩერებია იმ ,,ძველმანებს", თითქოს ძვირფას მეგობრებს ეთხოვებაო.

„ხსოვნაი ჩემი ქვეყნისა აქვე, ჩემთანა მარხია!..."

გულსა სწვდება პოეტის ეს ამოძახილი, თითქოს ის სიოს მიჰქონდეს სადღაც და ჩარგლის მთებსა და ხეობებს სევდით ავსებდეს.

*

უჩას, ჩემს უმცროს ძმას, უკვე მოუსწრია და აკვარელით დაუხატავს ვაჟას ეს პატარა, ჭვარტლით შემურული ბუხრიანი ოთახი. არ გამორჩენია მაგიდა, კედელზე ჩამოკიდებული ირმის რქები და, საერთოდ, ოჯახის მთელი გარნიტური. ვაჟას, როგორც თამარი ამბობს, დიდი სურვილი ჰქონია მშობლიურ სოფელში დამარხულიყო და თითქოს ანდერძივით წერდა:

აქ ნუ გამწირავთ, წამიღეთ,
ჩემს კუთხეს მიმაბარეთა,
გზა გზა ქურდულად მავლიეთ,
ნაბადი წამაფარეთა.
ჩემთ მამაპათ გვერდითა
სამარე გამითხარეთა,
დამცქერდეს დიყელის გორი,
ინოს მთა ჭიუხიანი...

მართალია, გურამიშვილისადმი მიძღვნილ ლექსში ვაჟა მეტისმეტად თავმდაბლობს, როცა ქვეყნის გასაგონად აცხადებს: „პოეტად ვიხსენიები, თუმცა ხარი ვარ ლაბაო, ჩემისთანები ბაგაზე ასიათასი აბაო", მას მაინც სჯეროდა თავისი გენიისა და კარგად იცოდა, რომ გარდაცვალების მერე აუცილებლად თბილისში

წაასვენებდნენ და იქაურ მიწას მიაბარებდნენ. ამის შესახებ თვით მეუღლესთანაც არაერთხელ უთქვამს თურმე.

და ახდა ის, რისი ღირსიც იყო ჩვენი დიდებული მგოსანი.

ვაჟას მეზობლები

აღინიშნა, რომ იმ დროს ვაჟას სახლი განმარტოებით იდგა და ახლო მეზობლები არ ჰყავდა. მაგრამ შორი იქნება ის თუ ახლო, მეზობელი მაინც მუდამ მეზობლის ჭირსა და ლხინს იზიარებს.

დილით, როდესაც მეც და ჩემი ძმებიც ქალბატონ თამართან მასლაათით და გარემოს თვალიერებით ვიყავით გართულნი, მეზობლის ექვსი შვიდიოდე წლის, ფეხშიშველა და პერანგისამარა პატარა გოგონამ შემოირბინა. რაღაც საქმეზე გამოეგზავნა დედას თამართან. არც კი ამოუსუნთქავს, ისე შედგა მასპინძლის წინაშე და სხაპასხუპით რაღაც საინტერესო ამბის მოყოლა დაიწყო; თანაც, ისე სერიოზულად ეჭირა თავი, ცხოვრებაში გამოცდილი დიდი ადამიანი გეგონებოდათ.

ცნობისმოყვარეობამ მძლია და ბავშვს მივუახლოვდი. ახლა უკვე გარკვევით გავიგე, თუ რის მაცნედ მოსულიყო ეს ცეროდენა გოგონა: თურმე მათი „ბოჩოლა“ წუხელ მგლებს დაუკბენიათ და ბიჭებს ძლივს გამოუგლეჯიათ. ახლა შედარებით უკეთ ყოფილა მათი ხბო და მისი მშობლები გულდასმით წამლობდნენ საბოლოოდ განსაკურნებლად.

ზუსტად „მზის დაბრძანების დროს“ მომხდარა ეს ყველაფერი.

- კარგა მზის დაბრძანება იქნებოდა, - გულმოდგინედ განაგრძობდა გოგონა და ჩვენც სიყვარულით მივჩერებოდით მის ნამზეურ ლამაზ სახეს, ბედნიერ ღიმილს რომ აფრქვევდა გარშემო.

ბოლოს გოგონამ დაამთავრა ტიკტიკი და ისევე სწრაფად გაბრუნდა უკან, როგორც მოვიდა. სწრაფადვე გადაირბინა ჩარგლულაზე ბოგირი, მერე - რიყე და სირბილით აუყვა აღმართს.

მეორე დღეს საგანგებოდ წავედით გოგონას სანახავად, რათა მისთვის სურათი გადაგვეღო, მაგრამ ის უკვე გათენებამდე ამდგარიყო და დედას გაჰყოლოდა „თოთო ბავშვის მისახედავად“.

ნეტავი სად არის დღეს ეს გოგონა? - ხშირად ვეკითხები ხოლმე თავს და მწყინს, დიდად მწყინს, რომ შესაძლებლობა ვერ გამოვიყენეთ მაშინ, სურათი ვერ გადავუღეთ, სახელი და გვარი ვერ ჩავიწერეთ მისი, მაგრამ სადაც არ უნდა იყოს, მჯერა, რომ დედაა და პატარა შვილებს უზრდის სამშობლოს.

ესეც დიდი ნუგეშია ჩემთვის და არა მარტო ჩემთვის...

ჭედელა რაზიკაშვილი, ბეკურა ბაჩიაშვილი, თედო, ივანე მოლოდინაშვილები

ამ ყოჩაღი გოგონას შემდეგ ფიქრად მოგვივიდა დიდი მგოსნის სხვა ზოგიერთი მეზობელიც გაგვეცნო.

ვაჟას სახლი თუმცა საკმაოდ დაშორებულია სოფლის უბნებს, ხალხს იქაც გაეგო, რომ „რაზიკაანთსა ქალაქიდან უცხო სტუმრები მოსვლიათო, ლუკაის შესახებ რაიმე ცნობებს ჰკრეფენო“ და თავად დაიწყეს ჩვენთან სიარული. აქ ნახავდით ბავშვებს, ახალგაზრდებს და მოხუცებსაც.

მოვიდნენ და გაგვეცნენ: ჭედელა რაზიკაშვილი, ვაჟას მეგობარი და ნათლიმამა - ბეკურა ბაჩიაშვილი, ახალგაზრდა თედო, სოლომონა, მაღაროსკარის თავმჯდომარე იოსება და სხვები. საუბრის დროს მოვინდომე ამ ჯგუფისათვის სამახსოვრო ფოტოსურათის გადაღება და აპარატიც მოვიმარჯვე, მაგრამ მათ ხელები გაასავსავეს:

- ნუ, თქვენი ჭირიმე, სამაგისო სამოსელი არ ჩაგვიცვამს და არ ივარგებსო...

სამაგიეროდ, უჩა აკეთებს ჩარგლელთა ჩანახატებს და ფანქრით ხელში რიგრიგობით მისჩერებია ბეკურას, ჭედელას, ივანეს, თედოსა და სხვებს.

ბეკურ ბაჩიაშვილმა ბევრი რამ იცის თავის სიყრმის მეგობარზე. ჭედელა და თედოც ბევრ რამეს გვიამბობენ საინტერესოს...

- წინათ ასეთი სახლები არ იცოდნენ ჩვენში, - ამბობს თედო, - ისეთი კი არ იყო, ვაჟას ქვითკირი რომ არის: სახლები აქ მხოლოდ ბანიანი, მიწაში შეჭრილი შენდებოდა, „მოქცეულს“ რომ ეტყოდნენ. მაშინ არც ბუხარი ჰქონდა და არც სანათური, თქვენებურად - ფანჯარა, მხოლოდ ერთი კარი ჰქონდა და ეგ იყო სულ... ცეცხლი კერაზე ენთო, თბილოდა კიდეც და მოსახერხებელიც იყო ღარიბი კაცისათვის. მაგრამა ქვეყანა გამოიცვალა, ბატონო, ყველგან ქვიტკირის სახლი მოიწყვეს! ეს კიდევ ფანჯარაო, ეს ბუხარიო, და რა ვიცი, კიდევ რა. ლუკაის მამასაც მიწური ჰქონდა ჩემს ბავშვობაშია, აი, იქ, - ხელით გვიჩვენებს ეზოს ბოლოს, - ხედავთ ნასახლარს? ის ღვდელი იყო, შაძლებული, და თავისთვინა მერე ქვითკირის სახლი დაიდგა. ეხლა ყველა ქვითკირის სახლს ეტანება. ამ ახლოში ცოტაღა დარჩა ძველებური მოქცეული... „მოქცეული სახლი“.

- განა ასეთ მოქცეულში არ გაზარდა შვილები პავლემა? - დასძენს თედო, - გიორგი, ლუკაი, ნიკო და ყველა. გიორგი ხომ პეტერბუხში სწავლობდა და დიდი კაცი იყო, მაგრამ განა სხვაზე ნაკლები განათლება ჰქონდათ თედოსა და სანდროსა?

ბებო ბაბალე

საუბარში ისიც გამოირკვა, რომ ვაჟას სახლიდან ერთი საათის სავალზე, მთაში, აფხუშოს ახლოს, ხიდის სოფელში თურმე პოეტის ბიძის - ღვდელა რაზიკაშვილის - ქვრივი, მოხუცი ბაბალე ცხოვრობს ასეთ „მოქცეულ სახლში.“ ჩვენც დიდი მონდომებით და ინტერესით გავწიეთ მისკენ.

გზა სულ აღმართით მიდის. ქვემოთ ნაირფერად მორთული ველები და ტყეები მოჩანან... ჩვენთან ერთად მოდის ახალგაზრდა ფშაველი სოლომონა. იგი მგლის მუხლით მიაბიჯებს და თან განმარტებებს გვაძლევს: - აგერ „ჩარგლისთავი“ ალპიური საძოვრებითა და კლდოვანი წვერით, აგერ „დიყელისგორი“ ხშირი ფოთლოვანი ტყით, „ინოს მთა“, მგოსანი „ჭიუხიანს“ რომ უწოდებს, აგერ კიდევ „შალდაყიანი ხევები!“ ვაჟა ალბათ ამ ადგილებს გულისხმობდა: „დამცქერდეს დიყელის გორი, ინოს მთა ჭიუხიანი, ყინჩად ნაღრანტი აქა იქ ხევები შალდაყიანი.“

აი, მთის ჯანსაღი და სუფთა ჰაერი.

აი, კენკრა და მწიფე შინდი, ჭკუტა ვაშლი, თხილი და კოწახური.

გზა ზევით და ზევით მიიწევს, ტყესაც ბოლო არ უჩანს... ფშაველები გვაიმედებენ, - მალე აფხუშოში ავალთ, სადაც ერთ დროს ვაჟას ძმა ნიკო, იგივე - პოეტი ბაჩანა ცხოვრობდაო.

მალე კიდევაც გამოჩნდა მთის წვერზე გადმოყუდებული გომურის სილუეტი.

ჩვენი ფშაველი თანამგზავრი ნაგაზების მოსაგერიებლად დაწინაურდა. მას ვეებერთელა ხანჯარი ჰკიდია მხარზე და ძაღლების სულაც არ ეშინია. ჩვენ შევდივართ პატარა ეზოში და „მოქცეულ სახლს“ ვუყურებთ.

აი, ადამიანის უშუალო კავშირი ბუნებასთან!...

აი, ფშავური ყოფის ნამდვილი ნივთიერი ძეგლი. სადღაა ასეთი „მოქცეული სახლი?“ თითქოს წარსული შემოგვცქერის თავისი უმწეობითა და სიბეჩავით.

კარ მიდამო სრულიად განმარტოებით დგას, უმეზობლოდ და მოწყენილი. ირგვლივ მხოლოდ ტყეა და სიმყუდროვეს ჩიტების გალობა არღვევს.

ეზო ხარიხითაა შეღობილი; მის იქით კალო, ორიოდე ზვინი, „თივის სარი“ და „მუხლის ძნა“ მოჩანს. მარცხნივ საბძელდაშენებული გომურია. საბძელი ყარტითაა დახურული. ბანიანი ანუ „მოქცეული სახლი“ მთის ფერდშია შეჭრილი. ეზოს გარშემო კაკლის უზარმაზარი ხეები დგანან, უფრო იქით კი წიფელი, ცაცხვი, ვერხვი, არყი, თუ მუხა...

„მოქცეული“ ფიქალის ქვითაა ნაშენები. თუ უკანა სამი კედელი მიწაშია შეჭრილი, წინა მეოთხედი - პატარა კარითა და დერეფნის საშუალებით - დღის სინათლეზე გამოდის. ამ დერეფანს ფშავში „საჩეხს“ უწოდებენ. საჩეხი ფარდულია, რომელიც, სულხან საბა ორბელიანის განმარტებით, „დერეფნის პირის საჩრდილობელ ფიცარს ჰქვიან,“ ხოლო ნიკ. ჩუბინაშვილის „ქართული ლექსიკონი“ ამ სიტყვას ასე განმარტავს: „დერეფანთა ზედან გავლებულ ფიცრულს...“

ჩვენ რომ მოვედით, ამ საჩეხში მოხუცი ქალი იჯდა და პატარა საჩეჩელზე მატყლსა ჩეჩავდა. მას შავი ტანსაცმელი ემოსა. შავი თავსაფარი ისე ჩამოეფხატა შუბლზე, რომ თვალები ძლივსღა მოუჩანდა. უცხო სტუმრებს, ცხადია, არ ელოდა და როცა შეგვამჩნია, გაკვირვებით შემოგვაშტერდა:

- ღმერთმა თქვენ თავ მიცოცხლოს! - გვპასუხობს მისალმებაზე და თან ძაღლებს უტევს, მერე საჩეჩელს გვერდზე დებს და ფეხზე დგება.

სოლომონა ჩვენს ვინაობაზე ესაუბრება, უხსნის ჩვენი მოსვლის მიზეზს, მაგრამ, როცა ვაჟას უხსენებს, გაკვირვებით ამბობს:

- ვაჟაი?... ვაჟაი ვინაა?... ლუკა? - ჰოოო, ლუკა, ჩემი ლუკა, ჩემი გაზრდილი ლუკაი, - სიხარულით იმეორებს... მასახელეთ, შვილებო, მასახელეთ, ჩემ მკვდარ ცხონებამა!...

ეს მოხუცი ბაბალეა, ვაჟას „ძალუა ბაბალე“, მისი ბიცოლა, პავლე რაზიკაშვილის უფროსი ძმის ღვდელა რაზიკაშვილის ქვრივი.

მოხუცი „ძალუა“ ვაჟა ფშაველას საკუთარ დედასავით ჰყვარებია და სანადირიოდან თუ სამუშაოდან მომავალი, თუ, პირიქით, იქით მიმავალი, უთუოდ შეივლიდა თურმე ბიცოლასთან...

- ავი იყო, ავი ლუკაი, - ხუმრობს მოხუცი ქალი, - სულ მაჯავრიდა, დაბერდიო, აღარ გეყო ჯახირი, რატომ არა კვდებიო, მერე შემომხვევდა ხელს და

ჩამიკრავდა გულში სიყვარულით... ეეჰ, ჩემო ლუკაი, ჩემო ლუკაი! - მწარედ აქნევს თავს მოხუცი და თვალები ცრემლებით ევსება, - ახალგაზრდა მოკვდა უბედური, ახალგაზრდა... სულ რაღაც ორმოცი წლისა!

ბაბალეს სახლის ბანს სქლად აყრია მიწა, რომელიც ზემოდან ბალახითა და ხავსით შემოსილა. შუა ადგილზე ბანი გახსნილია საკვამურად და სანათურად.

საჩეხშივე ბაბალეს გვერდით წვანან და იცოხნიან ერთი ხნის ხბოები, იქვე აბია ორი ძროხაც. სათავსი სავსეა სხვადასხვა ძველმანებით და იარაღით; ძელებზე აცმული ჩირი ჰკიდია.

მოხუცი გრძნობს ჩვენს ინტერესს მისი სახლისადმი და ამბობს: - მეთაკილება, შვილებო, რომ ყველას კაი სახლები აქვ და მე კი ეს როდინდელი მოქცეული მიდგა და ვერ კი გამიახლებია.

შევდივართ „კერაში“. იქ შედარებით ბნელა, რადგან ირგვლივ ყრუ კედლებია. როცა კარი მოხურულია, ერთადერთი სინათლე საკვამურიდან ჩამოდის,. ამიტომ კარი თითქმის სულ ღიაა. წვიმისა და თოვლის დროს ეს საკვამური - იგივე სანათური - იხურება, და „კერა“ კიდევ უფრო ბნელდება.

„შუა ცეცხლს“ თავზე ჯაჭვის საკიდელი, იგივე ოჯინჯალი, ჰკიდია ქვაბებისათვის.

აქვეა ხის თვითნაკეთი ჭურჭელიც: ჯამები, გობები, ჩოგნები, კოვზები, კოფიები, სკივრები და მრავალი სხვა. კერასთან „ვარია“, ანუ სადღვებელი, ჰკიდია; გვერდით დგანან რძით, ყველით, ხაჭოთი, შრატით, ნაღებით, დოთი და ნადუღით სავსე ხისა თუ თიხის ჭურჭლები. ოჯახი უფრო რძით იკვებება, იშვიათად - ქათმის ან ცხვრის ხორცით, რომელიც ძალიან ძვირად გამოჩნდება ხოლმე ბაბალესა და მისი ქალიშვილის ღარიბ სუფრაზე.

მოქცეულის თავსა და ბოლოში ორი დედაბოძი დგას, ორთავე ლამაზი ძველებური ორნამენტებითაა შემკული და კვამლისაგან შავად გაპრიალებული.

ბაბალეს სახლი ნამდვილი სამუზეუმო ექსპონატია, წარსული ცხოვრების იშვიათი ნაშთი.

- წიგნში რომ რამეს დაწერთ, მეც მასახელეთ, შვილებო, რახან ლუკაის ბიძაის ცოლი ვარ, - ტკბილი ღიმილით გვეუბნება მოხუცი და თან ფეხზე დგება, რათა ვაჟას სახელთან დაკავშირებული ნივთები გვიჩვენოს.

- აგერაი ლუკასობინდელი ხანჯარი, ფანდური, ეს კიდევ მის უწინდებური ყანწები, კიდევ მის უფრო უწინდებური ფეშხუმი... ერთი ცხენი გვყავს, აგერაიც მისი უნაგირი.

ჩვენ კითხვას კითხვაზე ვაძლევთ მასპინძელს.

- ე რა ჩქარა მეკითხებით, შვილებო? მეც ხომ დოტორღლივ უნდა გაჩვენოთ ყველაფერი?... მერე და განა შამიძლია ცისა და ქვეყნის ტოლ დედაკაცს?... ამას რა ჰქვია? - ცრემლაი ჰქვია, შვილო, ცრემლაი; ფარდაგის საქსოვია, შვილო, ფარდაგისა... ამასა კიდევ ქობაი, მარილი გვიყრია შიგა... ეს ქობის (ქვაბის) ჩამოსაკიდია, ქობისა, - ცოცხლად და დაუზარელად გვპასუხობს ბაბალე.

ბაბალე 92 წლისად წერებულა სოფლის სამეურნეო სიაში, თვითონ კი ამბობს - „ორასისა ვარო“. და მაინც ოჯახის დედაბოძია, რადგან ოჯახის მეორე და უკანასკნელი წევრი - მისი ქალიშვილი, რომელიც ავადმყოფობის გამო გაუთხოვრად დარჩენილა, ბევრს ვერაფერს ეხმარება მოხუც დედას. ახლა სამწყემსაოდ არის მთაში წასული.

ვანომ და გრიგოლმა აქაც არაერთი ნივთი შეიძინეს მუზეუმისათვის და მეტად კმაყოფილები გამოვბრუნდით ჩარგლისაკენ.

სალომე

ჩვენ უკვე ვაჟას სახლთან ვიყავით, როცა ერთმა ქალმა ცხენი მგოსნის ეზოში შემოაჭენა, ძირს მარჯვედ ჩამოხტა და იქვე გომურის წინ დააბა.

თამარმა მოსული ქალი გაგვაცნო. ის აფხუშოელი სალომე იყო, თამარის მეგობარი, მოხდენილი, თვალტანადი, ბრიალა თვალებითა და თეთრად მოელვარე კბილებით. ჩამოჯდა თამარის გვერდით და ჩვენთან საუბარში ჩაერთო.

სალომე ქვრივია და თავის სამ პატარა ბალღს ზრდის; ამათგან ორი ბავშვი უკვე სკოლაში დადის სოფელ აფხუშოში. ცხოვრობს ვაჟას ძმის - პოეტ ბაჩანას ნასახლარზე სრულიად განმარტოებით, რადგან მეზობლები ძალიან მოშორებით ჰყავს.

ნამგზავრ ქალს დაღლილობა არ ეტყობა. მაღაროსკარში ყოფილა ექიმთან. დილით ადრე ღამეულ ჩაჭრილა მასთან, რათა სოფელში ძაღლისაგან დაკბენილი მეზობლის ბავშვის სამკურნალოდ ამოეყვანა, მაგრამ მისი ერთადერთი ნუგეში სხვას წაეყვანა და სალომე გაწბილებული დაბრუნდა უკან. ის ისევ ხელმეორედ ცხენით უნდა წავიდეს ექიმთან. იქიდან კი, რასაკვირველია, თავად ფეხით წამოვა, აბა, ექიმს ხომ არ ატარებს ქვეითად.

- რატომ არ გეშინია, სალომე, მარტოდმარტო სიარული ასეთ ტყიან და უდაბურ ადგილებზე, თანაც ღამე? - ეკითხება გრიგოლი სალომეს: - ხომ შეიძლება ნადირი შეგეფეთოს ან უცხო მამაკაცი გადაგეყაროს?

- ნადირისა რაის მეშინია?!... - მოკლედ მოუჭრა სალომემ, - კაცი კი, თუ შემხვდება, ჩვენი ვინმე იქნება, რაის მეშინია?!... მარა ეს კია, - დაუმატა მან ჩაფიქრების შემდეგ, - რო ბოლო ხანში ფოშტის გზის სამუშაოზე სხვაი ვინმე მოუყვანიათ, ქალაქელები, რუსები და რუსობაჩი რაი ადამიანია, რა ვიცი!...

კარგა ხანს იყო სალომე და თამარს რაღაც სამუშაოზე წაეხმარა კიდეც, მერე თავის დაკვრით გამოგვეთხოვა ყველას, „ცხენაის“ მარდად შეახტა და გზას გაუდგა.

ძალღონითაა სავსე ეს დაუღალავი მთიელი ქალი, მთის წიაღში დაბადებული და გაზრდილი. იგი კმაყოფილია თავისი მარტივი ცხოვრებით და შიშიც ამიტომ არაფრისა აქვს. „რაისა ეშინია,“ როცა ალალმართალსა და სრულიად ჯანსაღს სხვებიც ამნაირივე ეგულება ამ ვეებერთელა და უკიდეგანო ქვეყანაზე. სჯერა მის მშობლიურ კუთხეში ოდითგანვე დამკვიდრებული ქალის ხელუხლებლობისა და მისი პატივისცემის ვაჟკაცური ადათისა.

*

ვაჟა ფშაველას ცხოვრებაში არასდროს შევხვედრივარ, არ მქონია ბედნიერი შემთხვევა მისი ნახვისა და ეს გარემოება კიდევ უფრო მიძლიერებდა სურვილს, გავცნობოდი მის სახლ კარსა და გარემოს, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა იგი.

კიდევ კარგი, რომ დროზე მოვახერხე და ჩარგალში იმ დროს ჩავედი, როცა იქ ჯერ კიდევ ცხოვრობდა მისი მეუღლე თამარი, მისი უახლოესი ადამიანი და, როგორც იტყვიან, მისი „მესაიდუმლე“. ვინ მოგვაწვდიდა მგოსნის შესახებ უფრო

ნამდვილსა და ჭეშმარიტ ცნობებს, თუ არა იგი? 1935 წელს შესრულებულ ჩანაწერებს დღეს უკვე თავისი ისტორიული ღირებულება აქვს. მით უფრო, რომ ახლა თამარიც აღარაა ამქვეყნად.

მისი მოყოლილი ამბები იმ დროისაა, როცა ვაჟას ოჯახი ინერციით ჯერ კიდევ ძველი ყაიდით განაგრძობდა არსებობას, სახლ კარსაც ისევ ვაჟას დროინდელი ელფერი ჰქონდა შერჩენილი ყოველგვარი შეკეთება შელამაზების გარეშე, რაც დღეს, სამწუხაროდ, აღარა აქვს.

რამდენი რამ შეიცვალა მას შემდეგ ჩარგალში!... სოფელმა ძირეულად იცვალა სახე... აღარც ის დიდებული ადამიანები არიან, რომლებიც სისხლხორცეულად იყვნენ დაკავშირებულნი გენიალურ პოეტთან, მაგრამ მე მაინც ზუსტად 40 წლის შემდეგ კვლავ ცხადად ვხედავ ქვითკირის სახლს, ისევ ჩამესმის თამარის ფშავური კილოს სიტკბოება.

მინდა ეს ბედნიერება ქრისტეს პურივით თქვენც გიწილადოთ, ჩვენი დროის ახალო თაობავ!

შოვში დავით კაკაბაძესთან ერთად

ქართული საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი ჩვენი ეროვნული კულტურის ერთ ერთი დიდი წარმომადგენლის, გამოჩენილი მხატვრისა და თაობათა აღმზრდელის დავით კაკბაძის სახელი.

ქართულ სახვით ხელოვნებაში დავითი ნამდვილი დედაბოძი და წამყვანი მოაზროვნე მხატვარია.

მისი სახელი ჯერ კიდევ 1918 19 წლებში გავიგონე და დიდი პატივისცემითაც განვიმსჭვალე. ხელში ჩამივარდა დავითის მიერ პარიზში ქართულ ენაზე გამოცემული ხელოვნების საკითხებისადმი მიძღვნილი წიგნები და აღტაცებული დავრჩი მისი თეორიული აღმოჩენებით. ეს წიგნები დღემდე სამაგიდო ნაშრომებად რჩება არა მარტო ქართულ, მსოფლიო ხელოვნებათმცოდნეობაშიც კი. მათი წაკითხვის შემდეგ კიდევ უფრო მეტი სულიერი ნათესაობა ვიგრძენი დავითთან, რადგან იმხანად მეც მხატვრობის დიდი ტრფიალი გახლდით და უკვე მქონდა ათობით საკუთარი ტილო თუ გრაფიკული ჩანახატი.

1929 წელს კინორეჟისორმა ნინო ღოღობერიძემ ფილმის გადასაღებად რაჭაში დააპირა წასვლა და მე, როგორც იქაური, კონსულტანტად მიმიწვია. რაოდენ დიდი კმაყოფილება ვიგრძენი, როდესაც კინოჯგუფში დავით კაკაბაძეც აღმოჩნდა. ის ახალი დაბრუნებული იყო პარიზიდან და თბილისის სამხატვრო აკადემიაში მუშაობდა პედაგოგად. ჩვენ ძალიან მალე დავუახლოვდით და დავუმეგობრდით ერთმანეთს. ჯგუფში იმ დროისათვის მეტად პოპულარული და აღიარებული, ენამოსწრებული მსახიობი პეტრე ჭიჭინაძეც იყო. აი, ამ კაცთან მე და დავითმა ერთგვარი „ტრიუმვირატი“ შევკარით და შოვში რომ ჩავედით, სასტუმროშიც ერთად დავბინავდით. ერთად დავდიოდით მჟავე წყლებზე, შოვის მიდამოებში და ვტკბებოდით ბუნების სიმშვენიერით.

,,სასტუმროელებს” ყოველთვის ხალისიან გუნებაზე გვაყენებდა პეტრეს დაუსრულებელი ოხუნჯობა, ენამოსწრებული ექსპრომტები და ანეკდოტები.

ჩვენი სიცილ-ხარხარი მთელ სასტუმროს იკლებდა, მაგრამ დავითი თითქოს სხვა ქვეყნიდან იყო მოსული და ჩვენი ენა არ ესმოდა, არც იცინოდა და არც ლაპარაკობდა. ხანდახან თუ გაიღიმებდა. თითქოს რაღაც სხვა აწუხებდა, ჩვენთვის უჩვეულო ფიქრები და ნაღველი. ევროპიდან ჩამოტანილი თავისი განუყრელი ფოტოაპარატი „ლეიკათი“ მხოლოდ იმას იღებდა, რაც მოეწონებოდა, თუმცა მისი მოსაწონი ირგვლივ ცოტა თუ მოიძევებოდა... ჩვეულებრივ, მშვენიერი და თვალმიმტაცი მის ყურადღებას არ იმსახურებდა... მაგგვარი აქ იმდენია, ფირი არ მეყოფაო...

მაგრამ ფირის ეკონომია სულ არ გახსენებია, როცა ერთხელ ონში, ებრაელთა უბანში ნახევრად წაქცეული ხის ძველი ჭიშკარი დაინახა; უცბად მოიმარჯვა „ლეიკა“ და სხვადასხვა მხრიდან რამდენჯერმე გადაიღო.

დავითმა მეტად საინტერესო, მიმზიდველი და შინაარსიანი საუბარი იცოდა, მაგრამ ბევრი ლაპარაკი არ სჩვეოდა, სიტყვაძუნწობდა, სულ ფიქრებში იყო ჩაძირული. ერთხელ, როდესაც ევროპაში თავისი ცხოვრების შესახებ მიყვებოდა, ნაღვლიანად შემომჩივლა, რომ პეტერბურგიდან ასე უგვიანებენ სტერეოსკოპული კინოს გამოგონების პატენტს. მერე დანანებით დაამატა, რა დრო, ძალა და ენერგია დასჭირდა ევროპაში ყოფნისას სტერეოკინოს გამოგონებისათვის, როგორი მიღწევები აქვს ამ დარგში და რა სახის პატენტები მიუღია.

- ჩემი გამოგონებით ვიღაც სხვა ისარგებლებს და მე პირში ჩალას გამომავლებენ. რამდენი ბოროტი საქმოსანია ამქვეყნად, - არადა, კინოს ამ ახალ დარგს, რომელიც მხოლოდ ახლა იდგამს ფეხს, დიდი მომავალი აქვსო. და დაწვრილებით ამიხსნა ფიზიკაში ახალი აღმოჩენების, ოპტიკის საგანთა მოცულობის და სხვა სახის სიახლენი.

მოჯადოებული ვუსმენდი და მიკვირდა მისი ესოდენ დიდი განსწავლულობა და ფართო ერუდიცია. თუმცა ისიც მახსოვდა, რომ მან უმაღლესი განათლება პეტერბურგში საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე ფიზიკა-მათემატიკის განხრით მიიღო.

დავითის შიში, რომ მისი გამოგონებით სხვა ისარგებლებდა, უსაფუძვლო არ გამოდგა. მართლაც, დღეს მისი გამოგონებული სტერეოკინო, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი, უკვე სხვის გამოგონებად აღიარებული, მთელ მსოფლიოშია გავრცელებული.

ამ საოცნებო საქმით დავითი იმდენად იყო დაკავებული, რომ მხატვრობა თითქმის აღარც კი ახსოვდა; მის შესახებ გაცილებით მეტს ლაპარაკობდა, მეტი ხალისითა და შთაგონებითაც კი, ვიდრე ხელოვნების საკითხებზე. ისე განვლეს შოვში ყოფნის დღეებმა, რომ დავითს ერთი უბრალო ჩანახატიც კი არ გაუკეთებია, ფანქარიც კი არ აუღია ხელში.

ეს ამბავი ძალიან მაწუხებდა, რადგან დავითის შემოქმედების დიდი პატივისმცემელი ვიყავი და მსურდა ჩემი თვალით მენახა მისი მუშაობა ტილოზე; ალბომიც კი არ ჰქონდა წამოღებული, ზოგიერთ მხატვარს გამუდმებით რომ უკავია ხელში და წამდაუწუმ აკეთებს ჩანახატებს.

დავითის სტერეოკინოთი გატაცება, როგორც ჩანს, დღესაც არ დავიწყებულა და შარშან ზაფხულს ამის შესახებ გაზეთ „თბილისში“ (9.VI-1981 წ.) შესანიშნავი წერილი გამოქვეყნდა ასეთი სათაურით: „სტერეოკინო და საქართველო.“

დავით კაკაბაძეს მე ვიცნობდი, როგორც მარტოოდენ მხატვარს და ვნანობდი, რომ თავის დიდ ნიჭსა და უნარს სხვა დარგში ფლანგავდა, თუნდაც ისეთ სფეროში, როგორც მაშინ ჯერ კიდევ სრულიად უცნობი მოცულობითი კინო იყო. როცა საუბარი მის მნიშვნელობაზე ჩამოვარდებოდა, მე საუბარს განგებ ფერწერაზე გადავიტანდი ხოლმე, მაგრამ დავითი „სივრცეზე“, „მოცულობაზე“ და „რელიეფზე“ მელაპარაკებოდა, რაც, მისი აზრით, დასავლეთ ევროპის პლასტიკურ ხელოვნებას ახასიათებდა. მე ამ ფილოსოფიას მაინც ნაკლებად ვუგდებდი ყურს, არ მაინტერესებდა არც „კუბიზმი“, არც „ნეოკუბიზმი,“ რომელთა შესახებ ის თეორიულად კი ლაპარაკობდა, მაგრამ პრაქტიკულად რეალისტური ტრადიციებით განაგრძობდა მუშაობას. მისი შესანიშნავი ფერწერული ავტოპორტრეტები, დედის პორტრეტი და „წურბლების გამყიდველი,“ ხოლო გრაფიკაში - ძველი თბილისის რამდენიმე ჩანახატი აშკარად მეტყველებდა მისი რეალისტური ხელოვნებისადმი ერთგულებას, მაგრამ, ბუნებრივია, შემოქმედებითი ძიების პროცესში გამოსახვის სხვადასხვა ფორმებითაც იყო გატაცებული.

მისი ღმერთი გენიალური ფერმწერი ლეონარდო და ვინჩი იყო; ხშირად იმეორებდა ხოლმე მის გამონათქვამებს ხელოვნებაზე, მაგრამ იმასაც ამბობდა, რომ ხელოვნებას ბუნებისათვის არ უნდა მიებაძა, არ უნდა დამონებოდა მას. პირიქით რაც უფრო თავისუფალია ნაწარმოები ბუნების მონური მიბაძვისაგან, მით უფრო მხატვრულია იგიო...

ერთხელ სოფელში დავპატიჟე. ვიცოდი, ამით ძალიან გავახარებდი ჩვენი ოჯახის წევრებს, განსაკუთრებით დავითის სტუდენტს, ჩემს ძმას უჩას, რომელიც იმ დროს თბილისის სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა და სულ თავის მასწავლებელთა - ლადო გუდიაშვილისა და დავით კაკაბაძის - ხსენებაში იყო.

ლინეიკით ონისაკენ გავწიეთ. ჩვენი მელინეიკე გადაღმელი ოსი იყო და ქართული ენა საერთოდ არ იცოდა. ერთ ადგილას გზატკეცილის შემკეთებელი გლეხები შემოგვხვდნენ. ერთი მათგანი ჩვენი გამყოლის ნაცნობი აღმოჩნდა და ძალზედ ესიმოვნათ ერთმანეთის ნახვა.

- Не хотел работать за пять долларов, так вот работай за два рубля! - სიცილით მიუტრიალდა ნაცნობს ოსი მამაკაცი, როცა უკვე მუშებისაგან შორს ვიყავით და შეკეთებულ გზაზე თქარათქურით მივექანებოდით. მერე ჩვენც განგვიმარტა, თუ როგორ მუშაობდნენ ერთად ამერიკაში ხე ტყის დამზადებაზე და როგორ მოაწყვეს გაფიცვა ხუთი დოლარის გამო, დღიურად რომ აძლევდნენ, მაგრამ მომატების მაგიერ, სულაც დაუთხოვიათ სამსახურიდან. ამ სიტყვებზე ოსი ხმამაღლა ხარხარებდა და ჩვენც გულიანად გვაცინებდა. ხმამაღლა იცინოდა დავითიც. ამან, ცხადია, ძალიან გამაკვირვა, რადგან ასეთი რამ მთელი ზაფხულის მანძილზე არ გამეგონა მისგან.

საზოგადოდ, დავითი სულითა და ხორცით ჯანსაღი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ტანად საშუალო სიმაღლისა იყო, მკვრივი აგებულების, მხრებში ლამაზად გაშლილი. გეგონებოდათ, თავის დღეში ფრჩხილიც არ წამოსტკივებიაო. იცვამდა სადად, უმეტესად რუხი ფერის კოსტუმს და დინჯად მიაბიჯებდა ქუჩაში, მიაბიჯებდა მთელი თავისი ღირსების შეგნებით, მაგრამ, ამასთან, უაღრესად თბილი, თავმდაბალი და მოკრძალებული გახლდათ.

ერთხელ ჩვენი ლინეიკით უწერაში წავედით და გზის პირას ქვედა უბნის ცივ მჟავე წყლებს შევექცეოდით. უცბად ქვემოდან ორი მსუბუქი მანქანა

მოსრიალდა და ორივე მჟავე წყალთან გაჩერდა. მგზავრებიდან შამშე ლეჟავა, აბელ ენუქიძე, ალექსანდრე სვანიძე და შალვა ელიავა შევიცანი. იყვნენ აგრეთვე ჩემთვის უცნობი პირებიც. შალვას მეუღლეც ახლდა.

ძალიან გამეხარდა და გულით მივესალმე მათ. მოიკლეს თუ არა წყურვილი, შოვისაკენ განაგრძეს გზა და ჩვენც დავედევნეთ. გლოლის ხიდთან, სადაც ასევე ცივი წყალი მოჩუხჩუხებს, სტუმრები ისევ გადმოვიდნენ მანქანებიდან და მინდორზე მუხლი გამართეს. აქ კი დავითმა ვეღარ მოითმინა და თავისი „ლეიკა“ მოიმარჯვა. ხომ არ იუკადრისებენ გადაღებასო, მკითხა დავითმა, მაგრამ მათ არათუ იუკადრისეს, შეგროვდნენ ერთად კლდიდან მოგლეჯილ ლოდზე, რომელიც რიონშია ჩახერგილი და მეც მათთან ერთად გადავიღე სურათი.

მანქანებში რომ სხდებოდნენ, შალვა ელიავამ მკითხა, - ვინაა ეს ახალგაზრდა ფოტოგრაფიო და, როცა ვუპასუხე, - დავით კაკაბაძეა მეთქი, თვალები გაუფართოვდა და ყურადღებით მიაჩერდა მას.

- ცნობილი მხატვარია? - ისევ გამიმეორა კითხვა შალვამ.

- რა თქმა უნდა, - ვუპასუხე სიამაყით. და მან თავის მეუღლესაც გააცნო იგი. შამშე ლეჟავას და ალექსანდრე სვანიძეს კი არ დასჭირვებიათ მისი გაცნობა, ისედაც კარგად იცნობდნენ.

დავითი ჩვენს ოჯახში ორი დღე დარჩა. უჩა ღირსეული სტუმრის სამასპინძლოდ დატრიალდა. ზოგიერთი თავისი ნამუშევარიც აჩვენა. აჩვენა აგრეთვე ონში აკაკის სტუმრობის დროს ჩემ მიერ დახატული მგოსნის პორტრეტიც, გააცნო ჩვენი მაშინდელი სოფლური კარ მიდამო და დიდად ასიამოვნა ძვირფას მასწავლებელს.

უჩასაც ტკბილ მოსაგონრად დარჩა დავითის ორდღიანი სტუმრობა. ჩვენებიც ძალზე კმაყოფილნი იყვნენ. მაგრამ უჩას გული წყდებოდა, რომ დავითისთვის რაიმე ჩანახატის შესრულება არ უთხოვია; მეც არაფერი დამრჩენია მისგან სამახსოვროდ, უბრალო ავტოგრაფიც კი. ეს იმ დროს, როცა დიდი ლადო გუდიაშვილისაგან მშვენიერი ნახატი მაქვს სახსოვრად მეგობრული წარწერით დამშვენებული. დღემდე სათუთად ვინახავ. სულითა და გულით მიყვარს ეს მშვენიერი ქმნილება.

შოვის შემდეგ დავითს ხშირად ვხვდებოდი თბილისში და ვხარობდი მასთან საინტერესო საუბრებით, შოვში გატარებული დღეების გახსენებით.

1934 წელს ჩემმა ვაჟმა, რომელმაც იმ წელს დაამთავრა პირველი საშუალო სკოლა, უმაღლესი განათლების მისაღებად სამხატვრო აკადემიაში შესვლა მოისურვა. კარგადაც ხატავდა.

სოფლიდან რომ დავბრუნდით თბილისში, უკვე გვიანი იყო და გამოცდები ყველა უმაღლეს სასწავლებელში დამთავრებული გახლდათ, მაგრამ მე მაინც შევედი აკადემიაში და დავითი თავის კაბინეტში მოვინახულე. მაშინ ის აკადემიის პრორექტორი იყო.

ვუთხარი ჩემი გასაჭირი.

ძალიან შეწუხდა: - დაგვიანებულია, ძალზე გაუძნელდება ამხანაგების დაწევა, მაგრამ მაინც ვსინჯოთო... - მიიღო და, გივი არათუ ჩამორჩა თანატოლებს, ბევრ მათგანს გაუსწრო კიდეც. დავითის ეს სიკეთე არასოდეს დამავიწყდება...

დიდი ხანია აღარ არის დავითი...

კიდევ კარგი, ერთი ფოტოსურათი მაინც დამრჩა, ერთად რომ გადავიღეთ საწალიკეს მთაზე, სოფელ წკადისში.

ათას კაცში გამოარჩევდით ამ კეთილშობილ ადამიანს მისი მეტად თავისებური და მიმზიდველი გარეგნობით, ამაღლებული სულით.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადასვენება დიდუბიდან მთაწმინდაზე

როგორც ცნობილია, ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტი განჯიდან გადმოსვენების შემდეგ დაკრძალეს დიდუბის პანთეონში 1893 წლის 25 აპრილს.

1938 წელს მწერალთა კავშირის ინიციატივით ისევ დაისვა საკითხი პოეტის დიდუბიდან მთაწმინდის პანთეონში გადასვენებისა.

ამ საქმის ხელმძღვანელობა დაევალა ლიტერატურულ მუზეუმს და დიდუბის პანთონის დირექტორს ივანე ენიკოლოფაშვილს.

ლიტერატურის მუზეუმში იმხანად მუშაობდა ჩემი ძმა გრიგოლი და მასთან ერთად მეც ამ მზადებას განსაკუთრებული ინტერესით ვადევნებდი თვალყურს. დიდი სურვილი მქონდა, გადასვენების ისტორიულ მომენტს აუცილებლად დავსწრებოდი. ამ განზრახვას მაინცდამაინც არ ახმაურებდნენ, რათა ხალხის მოსალოდნელ მოზღვავებას მისი განხორციელებისათვის ხელი არ შეეშალა.

პირველ ყოვლისა დაშალეს პოეტის ძეგლი, რომელიც ნეშტთან ერთად უნდა აეტანათ მთაწმინდაზე. 15 ოქტომბერს დილით ადრე საფლავიც გათხარეს. იქ იყვნენ საგანგებოდ გამოყოფილი კომისიის წევრები: ალიო მაშაშვილი, გიორგი ლეონიძე, შალვა დადიანი, სანდრო შანშიაშვილი, პავლე ინგოროყვა, ილო მოსაშვილი და სხვები. როცა აკლდამა გამოჩნდა, მუშებმა სიფრთხილით ჩატეხეს ქვითკირით ამოშენებული სახურავი და კომისიის წევრებმა საფლავის სიღრმიდან ამოიღეს თუთიის საკმაოდ მოზრდილი ყუთი, რომელშიც მოთავსებული იყო პოეტის ნეშტი. ყუთი ფრთხილად ხის კუბოში ჩადგეს და საბარგო მანქანით მთაწმინდისაკენ წაასვენეს.

ჩვენც ამ მანქანას გავყევით.

ვინაიდან პანთეონამდე ჯერ კიდევ არ იყო საავტომობილო გზა, ბესიკის ქუჩის აღმართზე კუბო მწერლებმა და გამყოლებმა მხრებით აიტანეს.

მთაწმინდაზე ნეშტს დახვდნენ მწერალთა კავშირის წარმომადგენლები, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწენი, შემთხვევით მოსული ხალხი.

ვიდრე კუბოს საფლავში ჩაასვენებდნენ, პროფესორმა ვ.ჟღენტმა კომისიის წევრთა თანდასწრებითა და დახმარებით თუთიის ყუთიდან მაგიდაზე გადმოიტანა მიცვალებულის ჩონჩხი და მოახდინა მისი მეცნიერული დათვალიერება, აღდგენა გაზომვა, რის შემდეგ კომისიის წევრებთან ერთად შეადგინა სათანადო ოქმი.

ამ გასინჯვამ ხელახლა დაადასტურა პოეტის მარცხენა ფეხის წვივის ძვლის დაზიანება, რომელიც შეამჩნიეს განჯაშიც, საფლავიდან ამოღების დროს 1893 წელს.

თუთიის ყუთში ჩონჩხთან ერთად აღმოჩნდა ლითონის ერთი ღილი, შესაძლოა მიცვალებულის მუნდირიდან დარჩენილი. ღილი, როგორც მახსოვს, ყუთში აღარ ჩაუბრუნებიათ და ის შემდგომში ლიტერატურული მუზეუმისათვის უნდა გადაეცათ.

ჩონჩხი თუთიის ყუთში მოთავსდა, ეს ყუთი ისევ ხის კუბოში ჩაიდგა და დამსწრეთა დუმილში ნელ ნელა ჩაუშვეს ახალ საფლავში.

მან ბინა დაიდო „წინაპართა საფლავებს“ შორის, მის საყვარელ მთაწმინდაზე.

შემოდგომის შესანიშნავი, მზიანი დღე იდგა. დამსწრენი მდუმარედ იდგნენ და გულჩათხრობილნი დასჩერებოდნენ პოეტის მესამე სამარეს. გულში თუმცა კაეშანი დასადგურებულიყო, იქვე, თითქოს, დიდი აკაკის სიტყვაც ჩაგვესმოდა, პოეტის დაკრძალვის დღეს რომ წარმოთქვა დიდუბეში 1893 წელს. „არავის გეგონოთ, აქ ჩვენი შეკრება თითქოს გლოვა და ზარი იყოს, ეს ჩვენი ლიტანიობაა და მზეშინა, პოეტის სამარე ეს კი არაა, ყოველი ქართველის გულია. სამშობლოს გარეთ თუ ჩაესვენა, ეს იმიტომ, რომ სამშობლოში მეტის ძლიერებით აღმობრწყინებულიყოო.“

ჭეშმარიტად აღმობრწყინდა კიდეც უკვდავება დიდი პოეტისა და კიდევ უფრო მეტი ნათელი მოჰფინა ჩვენს ეროვნულ შეგნებას.

პოეტის დაკრძალვას მთაწმინდაზე, კომისიის წევრთა გარდა, ესწრებოდნენ: სიმონ ჩიქოვანი, გრიგოლ აბაშიძე, გერონტი ქიქოძე, ირაკლი აბაშიძე, კონსტანტინე გამსახურდია, შალვა აფხაიძე, დიმიტრი ბენაშვილი, სერგო კლდიაშვილი, ალექსანდრე აბაშელი, ალექსანდრე გომიაშვილი, ვასო გორგაძე, პლატონ კეშელავა და სხვები.

დაკრძალვის მონაწილეთა შორის იყო აგრეთვე პოეტის დისწული გიორგი სუმბათაშვილი.

ძეგლიც მალე იქნა აღდგენილი და იგი დღესაც ამაყად დგას სხვა უკვდავთა ძეგლებს შორის.

გიგო გაბაშვილის ერთი უცნობი ნამუშევრის გამო

ჩვენი ხალხი ჯეროვნად აფასებს მშობლიურ სახვით ხელოვნებას, სიყვარულით და ყურადღებით ექცევა ყოველ ნაწარმოებს, როგორც ეროვნული სულის გამოვლინების მრავლისმეტყველ ნიმუშს.

კერძოდ, ასეთი სულისკვეთებითაა გამსჭვალული ის ჩვენი დიდი მხატვრის გიგო გაბაშვილის შემოქმედებისადმი, რომელიც მეტად მნიშვნელოვანია, როგორც უაღრესად ხალხური და ღრმად ეროვნული მოვლენა. მისი ყოველი ნამუშევარი, როგორც აქამდე გვეგონა, აღრიცხული და დაცული იყო.

მაგრამ თურმე გამონაკლისიც ყოფილა. მისი მხატვრული მემკვიდრეობის ნაწილს ჯერ კიდევ არ იცნობდა ხელოვნებათმცოდნეობა.

აი, რას ამბობს პროფ. მ.დუდუჩავა: „გიგო გაბაშვილმა ორი ათასზე მეტი სურათი, ესკიზი, ნახატი, ეტიუდი და მონასმი შექმნა, და უდიდესი ნაწილი ამ შესანიშნავი მემკვიდრეობისა უცნობია და უგზო უკვლოდ გაფანტული.“

თითქმის ასეთივე აზრისაა გიგო გაბაშვილის შემოქმედების მეორე მკვლევარი ი.ურუშაძე, რომელიც აგრეთვე მიიჩნევს, რომ მხატვრის მრავალრიცხოვან ნაწარმოებთაგან ბევრი დაკარგულია ან საზღვარგარეთაა გატანილი.

ამ გარემოებათა გამო მით უფრო სასიამოვნო უნდა იყოს, თუ სადმე აღმოჩნდება მისი რომელიმე ნამუშევარი.

და აი, აღმოჩნდა კიდეც! აღმოჩნდა სრულიად შემთხვევით და ყოველგვარი კვლევისა და ძიების გარეშე. ესაა ზეთის საღებავებით დაწერილი პორტრეტი (ტილო 75 X 40), რომელიც ასახავს ახალგაზრდა ქალის სახეს, ზომით ნატურალურზე ოდნავ მეტი, მარგალიტის მძივის ყელსაკიდითა და მოზრდილი „ბროშით“ გულზე. ეს ქალი არის ელენე მაჩაბელი ჩერქეზიშვილისა, ასული ჩვენი სასიქადულო მწერლის, შექსპირის უბადლო მთარგმნელის, ივანე მაჩაბლისა.

აღმოჩნდა ის, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩერქეზიშვილების ოჯახში.

როდის და რა პირობებში დაიწერა ეს პორტრეტი? რა მიზეზით დარჩენილა უყურადღებოდ სავსებით დასრულებული ნაწარმოები ფართო საზოგადოებისათვის?

სახელოვანი მხატვარი გიგო გაბაშვილი იმთავითვე მეგობრობდა ივანე მაჩაბლის ოჯახს და ხშირი სტუმარიც იყო მისი, მაგრამ ოჯახის წევრთა ფერწერული ასახვა, როგორც ჩანს, არ უფიქრია, თუმცა ისინი მეტად მიმზიდველ მასალას წარმოადგენდნენ საამისოდ.

მართალია, ჟურნალ „დროშის“ 1963 წლის მე 12 ნომერში მოთავსებული გიგო გაბაშვილის სურათი - „ქართველი ქალი აღდგომის კვერცხით ხელში“ ივანე მაჩაბლის მეუღლის და ელენე მაჩაბლის დედის - ტასოს პორტრეტად მიიჩნეოდა, მაგრამ ეს შეცდომა აღმოჩნდა. როგორც თვით ელენემ თქვა, სურათზე არ არის გამოსახული ტასო მაჩაბელი.

მხატვარს მხოლოდ სიცოცხლის უკანასკნელ ხანს - ოცდაათიან წლებში განუზრახავს დაეწერა ელენე მაჩაბლის პორტრეტი და მიუმართავს კიდეც მისთვის. ეს იყო 1930 1933 წლებში.

როგორც ქალბატონი ელენე იხსენებს, პორტრეტის შექმნას თითქმის ათამდე სეანსი მონდომებია, რადგან მხატვარი დაჟინებით ეძებდა ზუსტ მსგავსებას, რაც მოხუცებულობის გამო, ალბათ, ადვილად აღარ უხერხდებოდა.

- მე მეამაყებოდა, რომ ასეთი გამოჩენილი მხატვარი წერდა ჩემს პორტრეტს, მაგრამ ჩემთან სათანადო მსგავსებას ვერ ვატყობდი და ამიტომ ნახატის სილამაზეც არ მიტაცებდა მაინცდამაინც, - ამბობს ქალბატონი ელენე, - მით უფრო, რომ თვითონ მხატვარიც საკმაოდ ნერვიულობდა ამის გამო.

მაშ, როგორ მოხვდა მხატვრის არქივიდან ეს სურათი ელენე მაჩაბელი ჩერქეზიშვილის ოჯახში, თუკი ის ქალბატონ ელენეს „არ იტაცებდა მაინცდამაინც?“

იგი ელენე მაჩაბლისათვის მხატვრის მეუღლეს 1936 წელს გამოუგზავნია, როცა მან ქმრის გარდაცვალების შემდეგ მთელი მისი მემკვიდრეობა, რაც კი

ბინაში აღმოჩენილა, ქართველი საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს გადასცა.

მას შემდეგ იწყება ამ პორტრეტის „მეორე ისტორია“, თუმცა ჩერქეზიშვილების ოჯახში მას ისტორია არც ჰქონია, რადგან რაიმე ფუნქციას არ ასრულებდა. მას სათუთად ინახავდნენ, როგორც დიდი შემოქმედის ნაწარმოებს და, როგორც ვფიქრობ, არც მის საჯაროდ გამოტანაზე უფიქრიათ. წლების განმავლობაში ჩერქეზიშვილების ოჯახში ჩემი მრავალგზის სტუმრობისას ეს სურათი არ მინახავს, არც არაფერი მსმენია და ამიტომ არც არსებობა ვიცოდი მისი.

მაგრამ, ერთხელ სრულიად შემთხვევით, ჩერქეზიშვილების ოჯახში ჩვეულებრივი საუბრის დროს ელენე მაჩაბელ ჩერქეზიშვილისამ, რომელიც ცნობილია არა მარტო მაღალი სულიერი თვისებებით, არამედ იშვიათი გარეგნობითა და მოკრძალებულობითაც, თავის ფერწერულ პორტრეტთა შორის, რომლებიც ჩვენს მხატვრებს ოდესმე დაუწერიათ, გაკვრით გიგო გაბაშვილის ნამუშევარიც მოიხსენია.

ქ ნ ელენეს დიდი ხანია ვიცნობ და ასეთი რამ მისგან არასდროს მსმენია, ამიტომ აღარ მოვეშვი, ყველაფერი დაწვრილებით გამოვკითხე...

- შენახული მაქვსო, - მითხრა არც ისე ხალისით.

მე - მოსვენება დაკარგული მეორე დღეს, ისევ გამოვეცხადე ჩერქეზი-შვილების ოჯახს და ბოლის და ბოლოს, როგორც იქნა, ვიხილე გიგო გაბაშვილის მანერითა და იშვიათი კოლორიტით დაწერილი ახალგაზრდა ქალის პორტრეტი, რომელიც ქვეჩარჩოზე არაა გადაჭიმული, უფრო კი ამოჭრილია იქიდან, ამიტომ ფერები აქა იქ დამსკდარი და დაზიანებულია.

- რატომ არ ფენდით ოჯახში, ან რატომ არაფერს ამბობდით მის შესახებ? - ვკითხე ქ ნ ელენეს.

- მე უკვე მოგახსენეთ, რარიგ გულგრილად იყო განწყობილი მისდამი ავტორი და არ გამოუქვეყნებია. მეც ამიტომ შევიკავე თავი, მით უფრო, რომ ჩემი პორტრეტი, როგორც ასეთი, საზოგადოებისათვის საინტერესოს არაფერს წარმოადგენს. მე მაინც მოწიწებით ვინახავდი მას, რადგან მწამდა, რომ ის თავის მნიშვნელობას არ დაკარგავდა. ოდესმე მხატვრულს თუ არა, ისტორიულ როლს მაინც შეასრულებდა.

ხსენებული ნამუშევარი, რასაკვირველია, ვერ გაუტოლდება ავტორის მიერ ახალგაზრდობაში შექმნილ შედევრებს, როგორიცაა „მძინარე ხევსური“ და მრავალი სხვა, მაგრამ მხატვრის შემოქმედებითი ბიოგრაფიისათვის მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს.

პორტრეტზე არც ავტორის ხელწერაა და არც თარიღია აღნიშნული; ამიტომ, როგორც კი მისი მფლობელის ქ ნ ელენეს ნებართვა მივიღე, ჩემს ძმას უჩას ვაჩვენე. უჩამ უმალვე იცნო მისი მასწავლებლის ხელი, მეტად ნასიამოვნები დარჩა და დიდხანსაც უცქერდა ყურადღებით.

- პირწავარდნილი გიგო გაბაშვილია! - თქვა მან ბოლოს, - ოღონდ მისი სიცოცხლის უკანასკნელი წლების.

გიგო გაბაშვილი, ელენე მაჩაბლის სიტყვით, გრიბოედოვის ქუჩაზე, ახლანდელ სამხატვრო აკადემიის შენობაში ცხოვრობდა, ზედა სართულზე, სადაც ორი ოთახი ეკავა. ამ ოთახთაგან დიდი სახელოსნოდ და სასტუმროდ ჰქონდა გამოყოფილი, უფრო პატარა კი - საოჯახოდ. იქ მისი მეუღლე ო.მიულბაუმი საქმიანობდა, სიმპათიური გერმანელი ქალი, რომელმაც

მიუნხენში გაიცნო მხატვარი და შეიყვარა. ხოლო გარკვეული ხნის შემდეგ მასთან ერთად ჩამოვიდა საქართველოში და ცხოვრების გზაზე ერთგულად უწევდა უღელს.

- ო.მიულბაუმი ხშირად წერდა დღიურებს, - შენიშნავს ელენე მაჩაბელი, - სადაც, ალბათ, არცთუ მცირე მასალა იქნება გიგო გაბაშვილის ცხოვრებაზე.

ზამთარში, როდესაც დიდ ოთახში აცივდებოდა, ხოლო მისი გათბობა არც ისე ადვილად შეიძლებოდა, გიგო მთელი სამუშაო იარაღით გადადიოდა პატარა ოთახში, რომელსაც პაწია თუნუქის ღუმელით ათბობდა და იქ მუშაობდა. ჩემს პორტრეტსაც იმ პატარა ოთახში წერდა, რადგან ზამთარი იყო და ციოდა, - ამთავრებს დიდ მხატვარსა და მის ოჯახზე თავის საინტერესო საუბარს პატივცემული ელენე მაჩაბელი.

მეტად სავალალოა, რომ საცხოვრებელი ბინა და სახელოსნო, სადაც მხატვარს არაერთი ბრწყინვალე ტილო შეუქმნია, არაა ცნობილი საზოგადოებისათვის. სულ უბრალო მემორიალური დაფა სამხატვრო აკადემიის ღირსებას სხვა ელფერს შემატებდა. მით უფრო, რომ გიგო გაბაშვილი აქტიურად მონაწილეობდა აკადემიის დაარსებაში. ცნობილია ისიც, რომ მას წლების განმავლობაში პროფესორად უმუშავია და არაერთი სახელოვანი ოსტატი აღუზრდია ჩვენი ქვეყნისათვის.

სახელოვანი მხატვარი ჭეშმარიტად იმის ღირსია, რომ ის წმინდა ადგილი, სადაც მას უცხოვრია და უმოღვაწია, ცნობილი იყოს ჩვენი საზოგადოების ფართო წრეებისათვის. მისი ხელიდან გამოსული არც ერთი ნაწარმოები უცნობი არ უნდა დარჩეს ხალხისათვის.

ი. მ. სარკიზოვ-სერაზინი

ივანე მიხეილის ძე სარკიზოვ-სერაზინს ჯერ კიდევ მოსკოვის უნივერსიტეტიდან ვიცნობდი, როდესაც ის სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლობდა. ეს იყო 1910 - 1912 წლები.

მოსკოვის უნივერსიტეტის შემდეგ, უკვე თბილისში, 1941 წლის გაზაფხულზე შევხვდი. იგი თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტში გამოსაშვები გამოცდების თავმჯდომარედ იყო მოვლინებული. ივანე მიხეილის ძე იმ დროს უკვე ხანდაზმული გახლდათ, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მწერალი და არაერთი საინტერესო წიგნის ავტორი, რომელთა შორისაა მეტად საჭირო გამოკვლევა: „Путь к здоровью.“ თბილისში ჩამოსვლის მომენტში ივანე მიხეილის ძე მოსკოვის ფიზკულტურის ცენტრალური სახელმწიფო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის კათედრის გამგედ მუშაობდა; იყო უბადლო ლექტორი და ენციკლოპედიური ცოდნის მეცნიერი.

დიდად გავიხარეთ ერთმანეთის ნახვით. გავიხსენეთ ჩვენი ძველი ნაცნობები, მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტები, სტუდენტური ცხოვრება, ხოლო როცა მოსკოვში გაბრუნდა, ერთმანეთთან ხშირად გვქონდა მიწერ მოწერა.

1958 წლის აპრილში მოსკოვში მივლინებით ვიმყოფებოდი. რა თქმა უნდა, ჩემს მეგობარსაც მივაკითხე. ძალიან გაეხარდა ჩემი დანახვა და საყვედურიც მითხრა, - წინასწარ რატომ არ მაცნობე მოსკოვში ჩამოსვლაო. ჩვეულებისამებრ მეგობრული საუბარი გავაბით და მთელ რიგ ამბებთან ერთად, მისი თბილისში ყოფნის დღეებიც გავიხსენეთ.

საქართველოში ივანე მიხეილის ძე მხოლოდ ორჯერ იყო ნამყოფი, მაგრამ მისი წარსული და აწმყო კარგად იცოდა; იცნობდა ბევრ ქართველ მოღვაწეს, განსაკუთრებით მხატვრებთან მეგობრობდა, მათ შორის - ალექსანდრე ციმაკურიძესთან, ქეთო მაღალაშვილთან, ელენე ახვლედიანთან, უჩა ჯაფარიძესთან, გრიგოლ მესხსა და სხვებთან. ხელოვნებაში ყველაზე უფრო ფერწერა იზიდავდა. მოსკოვში მის ბინაზე (ჩკალოვის ქუჩა) შეიძლებოდა გენახათ აივაზოვსკის ორიგინალები, რომელთა რაოდენობა ოცდაათამდე აღწევდა. არც თუ პატარა განძია! ეს უკვე სახვითი ხელოვნების ნამდვილი მუზეუმია! მაგრამ ივანე მიხეილის ძის ბინაში მარტო აივაზოვსკის ნახატები კი არა, უცხოელ მხატვართა ორიგინალებიც ბევრი იყო გამოფენილი: ტიციანი, გრინიე, არხიპოვი, კუკრინიქსები და კიდევ სხვა დიდოსტატთა ნამუშევრები. 1960 წელს სარკიზოვ სერაზინმა ხსენებული ორიგინალები ტრეტიაკოვის გალერეას გადასცა უფასოდ. ეს ამბავი ხაზგასმით აღნიშნა 1960 წლის (№ 178) გაზეთმა „იზვესტიამ“. ტრეტიაკოვს სულ 90 ცალი ნამუშევარი გადაეცა საჩუქრად.

ივანე მიხეილის ძე, მისი მეუღლე და ქალიშვილი მთხოვდნენ კიდევ ორი დღე დავრჩენილიყავი მათთან. მაგრამ მე გადაუდებელი საქმეების გამო არ შემეძლო; ამიტომ მასპინძელმა პირდაპირ თავის წიგნთსაცავში გამიყვანა. დამათვალიერებინა მეცნიერული ხასიათისა და ხელოვნების ამსახველი წიგნების უზარმაზარი კოლექცია. ამ განძს ის მხოლოდ ყველაზე ახლობელ მეგობრებს თუ უჩვენებდა ხოლმე. საცავის კედლები ნახატებით იყო დამშვენებული, რომელთა შორის აივაზოვსკის ნამუშევრები ჭარბობდა. ზოგი ნახატი პირდაპირ იატაკზე ეწყო.

მე მხოლოდ ახლაღა მივხვდი, ასე დაბეჯითებით რატომ ეპატიჟებოდა ხოლმე უჩას, - ტიციანის, გრინიეს, დობინიასა და სხვათა ორიგინალებს გიჩვენებო...

ის წლების მანძილზე იძენდა ამ ნამუშევრებს. როგორც თავის საყვარელ წიგნებს, ისე უვლიდა მათაც და ბოლოს ეს ყველაფერი ტრეტიაკოვის გალერეას გადასცა, რომელიც ისედაც მდიდარია მსოფლიოს ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშებით. მამის ეს კეთილშობილური საქციელი ძალიან აღიზიანებდა ივანეს ერთადერთ გათხოვილ ქალიშვილს და ამ ნიადაგზე დიდი უსიამოვნებაც ჰქონდათ, მაგრამ პროფესორი მაინც არ იშლიდა თავისას და ბიბლიოთეკამუზეუმებს ორი მილიონი მანეთის განძი უსაჩუქრა. მამასთან ბრძოლაში დამარცხებულმა ქალიშვილმა შური იმით იძია, რომ როცა ივანე სახლში არ იყო, ქმართან ერთად გაიტაცა მამის მთელი ოქროულობა და ვერცხლეული. სარკიზოვ სერაზინმა ეს ამბავი მწუხარებით მაუწყა თბილისში. მისმა ქალიშვილმა სვეტლანამ, ბანდიტ ქმართან ერთად, თურმე პირწმინდად გაძარცვა მისი ბინა. საშინლად წუხდა პროფესორი.

თითქოს ბუკინისტურ მაღაზიაში მოვხვდი, მაშინვე ვიგრძენი უძველესი და უნიკალური წიგნების სუნთქვა. იატაკი, ფანჯრის რაფები, თაროები მთლად წიგნებით იყო ავსილი. ეტყობა, პროფესორი ახარისხებდა მათ.

- ესაა ბუკინისტებთან ჩემი ორმოცი წლის სიარულის შედეგი, - მითხრა მასპინძელმა, - უკანასკნელ კაპიკს არ ვიშურებდი ამ წიგნებისათვის. რასაც ინატრებთ, ყველაფერი მაქვს ჩემს ბიბლიოთეკაში, თითქმის ყველა ენაზე გამოცემული, სხვადასხვა დროის, შინაარსის, მხატვრული ღირსების... მაგრამ როდემდე უნდა ვუყურო ამ წიგნებს პუშკინის ძუნწი რაინდივით? მე უკვე მოვხუცდი და ჩემ შემდეგ ყველაფერი ისე გაიფანტება, კაპიკად არ ეღირება ჩემი ამდენი ხნის წვალება. ამიტომ დარგობრივად ვალაგებ მათ და ნელ ნელა ვუგზავნი სხვადასხვა ბიბლიოთეკებს, მათ შორის თბილისშიაც გავგზავნე რამდენიმე წიგნი, რომლებშიაც აღმოსავლეთის საკითხებია გაშუქებული. ვფიქრობ, ყველას დაგაინტერესებთ ისინი. სხვა ბიბლიოთეკაში რომ მოხვდეს და მკითხველი არ ჰყავდეს, ასეთი წიგნების ფასი კაპიკი იქნება.

- თბილისი ინტერნაციონალური ქალაქია. იქ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები ცხოვრობენ, ამდენად თქვენ მიერ გაგზავნილი წიგნები, რომლებიც აღმოსავლეთმცოდნეობას შეეხება, მათთვისაც გამოსადეგი იქნება, - დავამშვიდე სარკიზოვ სერაზინი. - ამიტომ თქვენ თუ კიდევ გექნებათ ასეთი შინაარსის წიგნები, უმჯობესია, თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში გაგზავნოთ.

მასპინძელი მაშინვე დამეთანხმა, ხოლო 1960 წლის 2 აგვისტოს წერილში კიდეც მწერდა, რომ 10 მანქანა წიგნი გაიზიდა მისი ბიბლიოთეკიდან მოსკოვის სხვადასხვა დაწესებულებებისა და ბიბლიოთეკებისათვის - როგორიცაა ისტორიული მუზეუმი, პუშკინის მუზეუმი და სხვ. თბილისში შეეძლო უფრო მეტი წიგნის გაგზავნა, მაგრამ სიშორის გამო ეს ცოტა მოუხერხებელი იყო. საჭირო შეიქნა მათი გადარჩევა, შეფუთვა, ფოსტაში მიტანა და თბილისში გაგზავნა, ეს კი მოხუცი ადამიანისათვის ძალიან ძნელი გახლდათ. ამის გამო თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში ყველაზე ნაკლები წიგნი მოხვდა და, შესაძლოა, ისინიც არ მოხვედრილიყო, მე რომ არ ჩავსულიყავი მოსკოვში მივლინებით და არ ვწვევოდი ჩემს ძველ მეგობარს... ჩემ წინ ელაგა კლაპროთის, ტურნეფორის, პაროტის, გამბას, ვერდერევსკის, ბოლხოვიტინოვის, პლატონ იოსელიანისა და სხვათა წიგნები... რომელი ერთი ამეღო, რომელი გადამეფურცლა, არ ვიცოდი; პირდაპირ თავგზა ამებნა...

იტალიურ ენაზე გამოცემულ წიგნს „შე ნავიგატიონი“ ივანე მიხეილის ძის ხელით ასეთი რამ აქვს მიწერილი: „მე 16 საუკუნის იტალიელი მოგზაურის ფრანჩესკო ფლორის იშვიათი აღწერები მაშინდელი ოსმალეთის, საბერძნეთის, სომხეთისა და აფრიკის ჩრდილო ნაპირისა. წიგნი მიძღვნილია სახელოვანი დონ ჟუან ავსტრიელისადმი და შემკულია ძვირფასი გრავიურებით. წიგნი გამოცემულია 1577 წელს.“

ზოგი წიგნი 1607 წელსაა დაბეჭდილი, ზოგიც - ცოტა მოგვიანებით. მათი უმეტესობა პირდაპირ უნიკალურია; აქ არის გასული საუკუნის პირველ ნახევარში რუსულ ენაზე გამოცემული მხატვრული ნაწარმოებები „Черный год“, „Искатели сильнжх ощущений“, რომლებიც იმდროინდელი კავკასიისა და საქართველოსადმია მიძღვნილი. აგერ საქართველოს სამხედრო გზის იშვიათი ფოტოსურათების ალბომი. რომელი ერთი ჩამოვთვალო. სადღაა დღეს ასეთი წიგნები?...

- ბევრი იშვიათი წიგნი უკვე გადავეცი კიევის შევჩენკოს მუზეუმს, ლერმონტოვის ორთავე მუზეუმს პიატიგორსკსა და ტარხანში, ტურგენევისა და ტოლსტოის მუზეუმებს და სხვებს, - მეუბნება ჩემი მასპინძელი, და კიდევ კარგი, რომ თბილისისთვისაც საკმაოდ დამრჩა!...

კურსკის რკინიგზის სადგურამდე თავად გამომყვა ივანე მიხეილის ძე და თბილისის საჯარო ბიბლიოთეკისათვის იშვიათი წიგნების შეკვრა გამომატანა. ჯერ მითხრა, დაგამძიმებს და მე თავად გამოგიგზავნით ფოსტითო, მაგრამ რა გული მომითმენდა მათ დასატოვებლად. სიხარულით მეცხრე ცაზე ვიყავი. ვხარობდი, რომ ასეთი ბრწყინვალე წიგნები მომქონდა ჩვენი მკითხველებისათვის.

პირველად სარკიზოვ სერაზინის წიგნები იოსებ გრიშაშვილს მივუტანე. პოეტი გაოცდა. ფურცლავდა და ფურცლავდა მათ, მერე მთხოვა მეორე დღემდე დამეტოვებინა და დავუტოვე კიდეც ხელწერილით. ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ საჯარო ბიბლიოთეკას გადავეცი. მისი მაშინდელი დირექტორი პავლე კანდელაკი და მწერალი ვლადიმერ ზამბახიძე აღტაცებულნი დარჩნენ ამ დაუფასებელი საჩუქრით და, წესისამებრ, სამადლობელი წერილიც გაუგზავნეს სარკიზოვ სერაზინს.

ამის შემდეგ ჩემს მისამართზე, კიდევ არაერთხელ მოვიდა გამოგზავნილი წიგნები, რომელთაც უმალვე გადავცემდი ხოლმე საჯარო ბიბლიოთეკას. ამის შესახებ ცნობები ეგზავნებოდა პროფესორს მოსკოვში. ერთხელ მან საჯარო ბიბლიოთეკის მისამართი მთხოვა, რათა ზედმეტად აღარ შევეწუხებინე. მერე მომწერა, რომ თბილისის ბიბლიოთეკას კიდევ გაუგზავნა 1692 წელს გერმანულ ენაზე გამოცემული იშვიათი წიგნი, რომელშიაც 600 მანეთი გადავიხადეო. ამ წიგნს პროფესორი, სამწუხაროდ, არ ასახელებდა და დღესაც არ ვიცი, რომელ მათგანზეა საუბარი. ეს წერილი დათარიღებულია 1960 წლის 23 ივნისის რიცხვით.

მისივე წიგნები მიიღო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკამაც. ეს გამოცემები პირადად მე მივუტანე მის დირექტორს. სარკიზოვ სერაზინი მთხოვდა, რომ ჩემი ბიბლიოთეკისათვის დამეტოვებინა მისგან გამოგზავნილი წიგნების გარკვეული ნაწილი, რომელიც კი მომესურვებოდა, მაგრამ ამის უფლება ჩემს თავს არ მივეცი...

გაზეთმა „ზარია ვოსტოკამ“ გადაწყვიტა სარკიზოვ სერაზინზე წერილის გამოქვეყნება და ამისათვის რედაქციამ სურათი მოითხოვა პროფესორისაგან, მაგრამ თავმდაბალმა ადამიანმა ეს არ ისურვა, უარი განაცხადა. პირიქით, მადლობას თავად იხდიდა მისი წიგნების მიღებისა და შეფასებისათვის.

ივანე მიხეილის ძე ხუთი წელი მძიმედ დაავადებულ მეუღლეს უვლიდა საავადმყოფოში; ყოველ ცისმარე დღეს მასთან იყო, მერე სამსახურში გარბოდა, სამსახურიდან - სახლში და ბიბლიოთეკებისათვის წიგნებს არჩევდა, ფუთავდა, ფოსტით აგზავნიდა. ასე აგრძელებდა ის მეუღლის გარდაცვალების შემდეგაც. სულიერმა ტკივილებმა და სიმარტოვემ ვერ გატეხა მისი ნებისყოფა და კვლავინდებურად განაგრძობდა თავის საყვარელ საქმიანობას.

ჩემი ძვირფასი მეგობარი, როგორც ექიმი, სამკურნალოდ ბინაზე არავის არ იღებდა. მე ეს ვიცოდი, მაგრამ ერთხელ, როდესაც მხატვარმა ლადო ქუთათელაძემ თავისი ავადმყოფობის შესახებ შემომჩივლა, მაინც გავუწიე პროტექცია. მან ავადმყოფი მიიღო და ერთი თვის განმავლობაში მკურნალობდა სახლში; ხოლო, როდესაც პაციენტმა გასამრჯელო შეაძლია პროფესორს, მან ცივი უარი უთხრა: - ფული იმდენი მაქვს, არ ვიცი, სად დავხარჯო, შენი ფული შენ თვითონ გქონდეს, წაიღე, გზაში გამოგადგებაო...

ასე გამოისტუმრა ჩვენი ლადო ქუთათელაძე ამ განუმეორებელმა ადამიანმა.

დიახ, მართლა განუმეორებელმა და უიშვიათესმა ადამიანმა.

ნაშრომი განძად დაშთებისო, ნათქვამია და ეს განძი მომავალ თაობებსაც მადლობას ათქმევინებს ამ დიდი ღვაწლის საზღაურად.

კურთხეულ იყოს იგი უკუნითი უკუნისამდე!...

შიო მღვიმელი

შიო მღვიმელმა ჩვენს საზოგადოებას და განსაკუთრებით ჩვენს მოზარდ თაობას შესანიშნავი მემკვიდრეობა დაუტოვა. ესაა მისი ტკბილხმოვანი საბავშვო ლექსები, აღსავსე მაღალი პოეტური ნიჭიერებითა და პატარებისადმი მხურვალე მამაშვილური სიყვარულით.

ბავშვების გულს ახარებს ლექსების სადა, ლამაზი ქართული ენა, რომელიც ასე ადვილად გასაგებია მათთვის. მისი ლექსები ხშირად საყვარელ მშობლიურ ბუნებასა და მის მოვლენებს ეხება:

„მარტი გავიდა, გათბა დღე,
დარები დგება მზიანი,
მიწა გაფუვდა, მინდორში
გამოჩენილან იანი.
მოფრინდა გვრიტი, შოშია,
ოფოფი სავარცხლიანი,
მწვანედ ბიბინებს მინდორი,
ოლე და ველი ცვრიანი...“

ბავშვებს ხომ უმისოდაც მიუწევთ გული მშვენიერი, ლამაზი და კეკლუცი მინდორ ველებისაკენ,

„პირველი გაზაფხულია,
ბიჭო, გავიდეთ ველადა,
მინდორი ამწვანებულა,
ბიბინებს სანატრელადა.“

შიო მღვიმელის პოეზია ბუნების სიყვარულსაც უნერგავს პატარას და მშრომელი ადამიანისადმი პატივისცემასაც.

ბავშვებიც უხვად ჰპოვებენ მის წმინდა, თავანკარა პოეზიაში ზნეობრივ თუ გონებრივ საზრდოს. მათთვის ის ერთნაირად საყვარელია, ამიტომაცაა, რომ „ძია შიოს“ აზრიანი და ლამაზი პოეზია ასე მახლობელია ყველასათვის. თვით პოეტიც, მისი სიტყვით, „მაშინაა ბედნიერი, მხოლოდ მაშინ სტკბება გული, როცა ესმის ნორჩი ყრმების სიცელქე და ჟრიამული.“

პირველად შიო მღვიმელის სახელი ჯერ კიდევ ოთხმოცდაათიან წლებში საბავშვო ჟურნალ „ჯეჯილის“ ფურცლებიდან გავიგე და ჩემი ბავშვური გული მყისვე მისი ლექსების სიყვარულით აივსო. მაგრამ შეხვედრით შიო მღვიმელს მხოლოდ 1929 წელს შევხვდი, როცა სახელმწიფო გამომცემლობის მხატვრული ლიტერატურის ხაზით საგამომცემლო განყოფილებაში დავიწყე მუშაობა. მგონი, ვთქვი უკვე, განყოფილებას იმხანად პოეტი ნიკოლო მიწიშვილი განაგებდა -

იშვიათი ადამიანი, დაუზარელი, მოუსვენარი და საყვარელი საქმისათვის თავდადებული. რომელსაც მომსვლელთათვის იშვიათად ეცალა.

ამიტომ დიდად გამიკვირდა, როდესაც ერთ დღეს, გახურებული საქმიანობის დროს, მეტად თავაზიანად მიესალმა მასთან მისულ მამაკაცს. ასე გასინჯეთ, კარგა ხნითაც კი გადასდო თავისი საქმე და გულთბილ საუბარში გაერთო. ეს იყო შიო მღვიმელი.

ამის შემდეგ შიო ჩვენი ხშირი სტუმარი გახდა.

აქ ისიც სიამოვნებით უნდა გავიხსენო, რომ შიო არაფრით არ ჰგავდა რომელიმე კარჩაკეტილ პოეტს და ძალიან უყვარდა მეგობრებთან სადმე პატარა სარდაფში ჩასვლა, მოლხენა და მწერლობის გარშემო გულითადი საუბარი. ჩვენი დიდი კლასიკოსები - ილია, აკაკი, ვაჟა, ყაზბეგი - მუდამ მისი საყვარელი სალაპარაკო თემა იყო.

მეც ხშირად შევსწრებივარ მის ასეთ დიდებულ საუბარს, ჩემს სულს ახალ ახალი გრძნობებით რომ ავსებდა.

ამის გამო რომელიღაც მისმა მეგობარმა მწერალმა, მგონია, გიორგი ქუჩიშვილმა, შიოს სახუმარო ლექსი გამოუთქვა. ლექსიდან მხოლოდ ორი პწკარი დამამახსოვრდა: „საყვარელი ჩვენი შიო დინჯად ჩადის მარანშიო," რომელიც შიოს ძალიან მოსწონდა და ხშირად გულიანად იცინოდა.

იმხანად, ესე იგი 30 იან წლებში, შიო მღვიმელი უკვე საკმაოდ დაფასებული ლიტერატურული მოღვაწე იყო, „დამსახურებული მწერლის" საპატიო წოდებით დაჯილდოებული და პერსონალური პენსიონერი; მეგობრებთან ყოფნისათვის მას ხალისიც საკმაოდ ჰქონდა და მოცლილობაც, მით უფრო, რომ ჩუმი და უპრეტენზიო ადამიანი, თავისი ხალასი და თავაზიანი ბუნების გამო, ძალიან შორს იყო ყოველივე ცრუ განდიდებისა და მედიდურობისაგან.

ტანმორჩილი, ფარფლებიანი ქუდითა და განუყრელი ხელჯოხით ღიმილით შემოაბიჯებდა ხოლმე გამომცემლობის სამმართველოში და თავისი შინაარსიანი, ჭკვიანური საუბრითა და ხუმრობით უზომოდ გვატკბობდა ყველას.

დღეს შიო მღვიმელის სახელი ისტორიას ეკუთვნის, მისი დიდებული საბავშვო ლექსები კი - ჩვენი მწერლობის ოქროს ფონდს.

შეხვედრები იოსებ იმედაშვილთან

იოსებ იმედაშვილი (1876 1952) ჩემს მეხსიერებაში დარჩა, როგორც ბიბლიური პატრიარქი თეთრად მოელვარე ლამაზი გრძელი თმაწვერით, რომლის ერთი დანახვაც მოწიწებას იწვევდა ყველაში.

ერთხელ იოსები შემხვდა ბერიას მოედნიდან მომავალი. მხნედ და განიერი ნაბიჯით მოაბიჯებდა სასახლის წინ; თუშური ქუდი ეხურა, მხრებზე ნაბადი მოესხა, ხელში თავისი საყვარელი მსხვილი ხელჯოხი ეკავა.

შემმაკაცებულივით მკითხა:

- რომელი ხარ: გრიშა თუ ლადო?

როგორც ბევრ სხვა მეგობარს, ცხადია, იოსებსაც უჭირდა ჩვენი ერთმანეთისაგან გარჩევა.

კარგა ხანს მესაუბრა. როცა გამომეთხოვა და დამშორდა, მაშინღა დავინახე, რარიგ იქცევდა გამვლელთა ყურადღებას. რამდენიმე ახალგაზრდა კიდეც მომიახლოვდა და ცნობისმოყვარეობით მკითხა, - ვინ იყო თმათეთრი წვეროსანი ვაჟკაცი. - ალბათ კათალიკოს პატრიარქია ან სხვა ვინმე დიდი კაციო.

მე ავუხსენი, რომ ის იყო მწერალი, მსახიობი და საზოგადო მოღვაწე იოსებ იმედაშვილი.

კმაყოფილი ახალგაზრდები დიდხანს აყოლებდნენ თვალს ქუჩაში მიმავალ იოსებ იმედაშვილს.

თუმცა იოსებს იმ დროიდან ვიცნობდი, როდესაც წვერ ულვაშს სულაც არ ატარებდა და პირგაპარსული უფრო მსახიობს ან ევროპელ მწერალს მოაგონებდა კაცს, მაგრამ ჩემს მეხსიერებაში მაინც ბიბლიურ პატრიარქად დამკვიდრდა, სწორედ ისეთად, როგორც ის გამოსახულია ჩემი ძმის უჩა ჯაფარიძის მიერ ზეთის საღებავებით შესრულებულ დიდ პორტრეტზე - ლაღი, ლამაზი, აზრიანი...

*

იოსები ძალზე ენერგიული ადამიანი, ცნობილი ლიტერატორი, მწერალი, რედაქტორ გამომცემელი, მუდამ მშფოთვარე და დაუღალავი საზოგადო მოღვაწე იყო.

1923 თუ 1924 წელი იყო. იოსების რედაქტორობით გამოდიოდა ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება.“ რედაქციას პუშკინის სახელობის სკვერთან, ცეკავშირის ქვეშ ერთ პატარა ოთახში დაედო ბინა. გამომცემლობაც იქვე იყო. ყველა საქმეს თვითონ იოსები უძღვებოდა, თუმცა თანაშემწეობას მისი უფროსი ვაჟი - შალვა უწევდა, რომელიც იმ ხანებში უკვე ყრმობის ასაკში შედიოდა.

იგი ხშირად შეირბენდა ხოლმე რედაქციაში, ათასგვარი საქმისაგან დაღლილ დაქანცული.

- როგორაა, შვილო, საქმეები? - შეეკითხებოდა შალვას იოსები, - იმ საქმისა რა ჰქენი?... ამ საქმისა?... სტამბაში თუ იყავი?... მავანსა და მავანს წერილი გამოართვი? - დააყრიდა კითხვებს ისედაც საქმეებით წელში გაწყვეტილს. იოსები, როცა სასურველ პასუხს მიიღებდა, მორიგ დავალებებს მისცემდა. თავად კი ისევ მხნედ და იმავე ენერგიით განაგრძობდა თავის საქმეს. შალვაც ახალ დავალებათა შესასრულებლად მიეშურებოდა. მას ხანდახან მისი უმცროსი ძმა გაიოზი თუ წამოეშველებოდა. ისეთი ერთგულებითა და სიყვარულით ასრულებდნენ თავიანთ საქმეს, მათი გარჯა ყველასათვის სამაგალითო ნიმუშად გამოდგებოდა.

იოსების დანარჩენი შვილები პატარები იყვნენ და სარედაქციო საქმეებში მონაწილეობის მიღება არ შეეძლოთ, თუმცა გული ყველას ერჩოდა: - თამარს, ქეთოს, პატარა ნინოს და კიდევ უფრო პატარა ფარნაოზს. ისინი ხელიხელჩაკიდებულნი შემოვიდოდნენ ხოლმე რედაქციაში მამასთან...

იოსები ნამდვილი ინტელიგენტი იყო, მშრომელი, და თავის შვილებსაც ასეთი სულისკვეთებით ზრდიდა. სულაც არ ნაღვლობდა იმას, რომ მრავალშვილიანი ოჯახი მატერიალურ ხელმოკლეობას განიცდიდა.

- დე, ბავშვებმა თავიდანვე იგრძნონ, რომ ცხოვრების გზა იავარდით მოფენილი ხალიჩა არაა და რისიმე მოპოვებისათვის შრომაა საჭირო, დაუცხრომელი შრომა, - იტყოდა ხოლმე იოსები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში (არ მახსოვს, რომელში) იოსებმა ჩემი და გრიგოლის მიერ დახატული და შემდეგ ქართულ ჟურნალ გაზეთებში არაერთხელ დაბეჭდილი ახალგაზრდა შოთა რუსთაველის პორტრეტის მასიური ტირაჟით გამოცემა განიზრახა. მას მოსწონდა ეს პორტრეტი და ცდილობდა თავისი ჟურნალის საშუალებით ის ფართო მასებამდე მიეტანა. თქვენ წარმოიდგინეთ, იმ გაჭირვებაში აღასრულა კიდეც განზრახული. ის ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ წლიურ ხელისმომწერთა უფასო დამატებად გამოაცხადა და, დიდი ტირაჟით დაბეჭდილი, მრავალი ქართული ოჯახის საჩუქრად აქცია.

- დეე, ყველას ჰქონდეს უფლება, ნათელი წარმოდგენა იქონიოს უკვდავი პოეტის თქვენეულ პორტრეტზე!...

*

იოსებ იმედაშვილი მუდამ მტკიცედ იდგა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების სადარაჯოზე, თვალყურს ადევნებდა მის მაჯისცემას; მას არ გამოეპარებოდა თუნდაც ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენა.

1924 წლის მიწურულს რაჭის განათლების განყოფილებამ და ადგილობრივმა საზოგადოებამ ონში იუბილე გადაუხადა მხცოვან მასწავლებელს - მამაჩემს, მალაქია ჯაფარიძეს - პედაგოგიურ ასპარეზზე მისი მოღვაწეობის 45 წლისთავის აღსანიშნავად. ეს ამბავი არ გამორჩენია იოსებს და ამ მოვლენას თავისებურად გამოეხმაურა: ჟურნალში იუბილარზე თბილი წერილი დაბეჭდა და ხაზი გაუსვა არა მარტო მის მოღვაწეობას პედაგოგის ეკლიან გზაზე, არამედ მის სანიმუშო ოჯახურ ცხოვრებასაც, მის მოქალაქეობას და მამულიშვილობას.

თავისი დაუდგრომელი ცხოვრების უკანასკნელ წლებში იოსებმა ხელი მოჰკიდა ქართველთა რიცხობრივი ზრდის პროპაგანდას. ამ საქმემ იგი იმდენად გაიტაცა, რომ ყველაფერი დათმო თბილისში და, მიუხედავად ხანდაზმულობისა, რაიონებში იწყო მოგზაურობა, სადაც კითხულობდა სათანადო შინაარსის ლექციებს.

ერთხელ ჩვენთან ბინაზე (თბილისში) პირდაპირ ქარიშხალივით შემოიჭრა. დაჯდა, კარგა ხანს გველაპარაკა და ბოლოს ჩვენი ოჯახური ფოტოსურათი გვთხოვა, სადაც ექვსივე ძმა მშობლებთან ერთად ვართ გადაღებული.

- ასეთი ფოტოები ჩემს ლექციებზე ყოველ სტატისტიკაზე უკეთ გაჭრის, მსმენელები საკუთარი თვალით დაინახავენ მრავალშვილიანობის მთელ სილამაზეს... ბავშვებს დიდი მოვლა უნდათო, ხარჯებიც დიდიო და, რა ვიცი, რას არ იმიზეზებენ ახალგაზრდა მშობლები. აი, სწორედ ასეთი მშობლებისათვის მაქვს მომზადებული მრავალშვილიანი ოჯახების ფოტოსურათები. მაშ, ამდენი შვილები ამათ როგორღა გაზარდეს მეთქი, - ვეუბნები. ისევ ჩვენი დალოცვილი სოფელი! ის იყო მუდამ ჩვენი მხსნელი და იქნება კიდეც, - ფიცხად და აღგზნებით ლაპარაკობდა ეს მგზნებარე პატრიოტი.

ერთხელ ამ მიზნით რაჭაც კი შემოიარა... 1950 წლის ზაფხული იყო, მგონი. სოფელში ვისვენებდი. ერთ საღამოს ონიდან დაბრუნებულმა მეზობლებმა

მითხრეს, თბილისიდან ჩამოსული იოსებ იმედაშვილის ლექციას დავესწარით და მეტად კმაყოფილი დავრჩითო. გულზე მეცა... როგორ? იოსები ამოსულა რაჭაში და ვერ გავიგე? - ძალიან შევწუხდი, თუმცა თავი იმითი დავიმშვიდე, რომ დილაადრიან ჩავიდოდი ონში და ძვირფას მეგობარს სახლში ამოვიყვანდი, მაგრამ იოსები გადაუდებელი საქმის გამო გათენებისთანავე გაბრუნებულიყო თბილისში. მან დაყოვნება არაფერში იცოდა.

იოსები იშვიათი ენერგიის მშრომელი კაცი იყო, წერაც ემარჯვებოდა. ჩემს წიგნებს შორის მის ერთ პოემასაც ვინახავ - „მზეთამზეს“ - რომლის უკანა მხარეს მისი დაწერილი სხვადასხვა ხასიათის შრომების სიაა დაბეჭდილი. მათ შორის არის უცხო სიტყვათა ლექსიკონი, გამოჩენილ ადამიანთა საძიებელი ცნობარი, ლექსები, პოემები, მოთხრობები, რომანები, პიესები და მრავალი სხვა. ასეთი ხელხვავიანი გახლდათ ეს „ჩუმი მუშაკი“!

ქართველ მოღვაწეთა ცნობარს რომ ადგენდა, ხშირად ვყოფილვარ მასთან მთაწმინდაზე და საკუთარი თვალით მინახავს, რაოდენ შრომისმოყვარე იყო იგი. ეს პირდაპირ გაოცებას იწვევდა ჩემში.

ლექსიკონისთვის აუარებელი მასალა ჰქონდა დაგროვილი - უამრავი წიგნი, ძველი გაზეთები თუ ხელნაწერები. იგი ფაუსტივით იჯდა ამ თავმოყრილ მასალებს შორის და თავდავიწყებით წერდა.

იოსების დიდებული წამოწყება ფართო მასშტაბისა გახლდათ. რომელი ქართველი მოღვაწე არ იყო გათვალისწინებული ამ ცნობარისათვის! უმნიშვნელო საქმის მოქმედსაც კი თავის ადგილს აკუთვნებდა, არავის არაფერს უკარგავდა.

სწორედ თავისი მომავალი ცნობარის თაობაზე ამბობდა შემდგენელი:

- თუ ამ წიგნის დამთავრება დამცალდა, მთელი საქართველო ხელისგულზე გვეყოლებაო...

იოსების პოემა „მზეთამზესთან“ დაკავშირებულია ჩემი ძმის უჩას შემოქმედების პირველი ნაბიჯები; ამიტომ ამ საკითხის გახსენება განსაკუთრებულ სიამოვნებას მგვრის.

ეს იყო 1925 წელს. უჩა მაშინ სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა და თავისუფალ დროს ხშირად შეივლიდა ხოლმე „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში. უჩას თან დაჰქონდა თავისი განუყრელი ალბომი და რაიმე ჩანახატის გაკეთების შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებდა. იოსები ხედავდა ყოველივე ამას და სიამოვნებით აკვირდებოდა დამწყები შემოქმედის ძიებებსა და შრომისმოყვარეობას. ამიტომ, როცა თავისი პოემის - „მზეთამზეს“ გამოცემა დააპირა, მისი მხატვრული გაფორმება უჩას შესთავაზა. ჩემ ძმას წიგნის გაფორმების გამოცდილება არ ჰქონდა და შეკვეთა იუარა.

იოსებმა გაამხნევა:

- შვილო, თუ გამოუცდელობის მიზეზით ამბობ უარს, მაშინ მუდამ გამოუცდელი დარჩები. მე ვხედავ შენს ნიჭს, შესაძლებლობას და ამიტომ გთავაზობ ამ სამუშაოს. აბა ახლა მოკიდე ხელი საქმეს და დარწმუნებული ვარ, გაიმარჯვებ...

სხვა გზა არ იყო, უჩა მისთვის ჩვეული გულმოდგინებით შეუდგა წიგნის გაფორმებას. ბოლოს კმაყოფილიც დარჩა. განსაკუთრებით ეამაყებოდა სატიტულო ფურცლის მეორე გვერდზე დაბეჭდილი სიტყვები: „ყდა და ნახატები უჩა ჯაფარიძისა.“

ვინ იცის, იქნებ ამ თითქოს უმნიშვნელო წარწერამ ჩემს ძმას ფრთები შეასხა, საკუთარ ძალებში დაარწმუნა და მომავალი შემოქმედებისათვის ძალა შემატა.

როგორც ჩანს, უჩა იოსებ იმედაშვილის მიმართ მადლიერების გრძნობით განიმსჭვალა და უკვე მოწიფულმა ოსტატმა ხალისით შეასრულა მხცოვანი მწერლის დიდი პორტრეტი, რომელიც ამჟამად საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ინახება. იოსები ტილოზე წარმოდგენილია თავისი განუყრელი ნაბდითა და თუშური ქუდით. ეს დიდი პორტრეტი მიუძღოდა წინ განსვენებულ მწერალს საიმსოფლო გზაზე. მადლიერ ხალხს, რომელიც დიდუბის პანთეონისაკენ მიაცილებდა იოსებ იმედაშვილს, თვალთა კილოებზე ცხელი კურცხლები უბრწყინავდა. თეთრი თმა წვერით შემოსილი იოსები ნამდვილ პატრიარქს ჰგავდა. ასევე დარჩა იგი ჩემს მეხსიერებაში. ის ხომ ჩვენი ხალხის კულტურის, ისტორიისა და მწერლობის პროპაგანდით ცხოვრობდა. ხალხის სამსახურში ხელჩართული ბრძოლით გალია მან ცხოვრების გზა.

თბილისის მასწავლებელთა სახლთან არსებობდა და დღესაც არსებობს ლიტერატურული წრე, რომელსაც მაშინ პოეტი და მთარგმნელი სავლე აბულაძე ხელმძღვანელობდა. აქ ნახავდით როგორც ახალგაზრდა ავტორებს, ისე მწერლებს, მათ შორის: იპოლიტე ვართაგავას, ლიტერატორ სოლომონ ცაიშვილს, მასწავლებლებს, პოეტებს, სხვა დარგის წარმომადგენლებს.

იოსებ იმედაშვილი ამ ლიტერატურული წრის ერთ ერთი აქტიური წევრი იყო. იგი მუდამ ხალისით მონაწილეობდა ამა თუ იმ საკითხის განხილვაში, ლიტერატურულ კამათში. ზედმიწევნით ერკვეოდა ქართული კულტურის ისტორიის პრობლემებში. როდესაც ჩემმა ძმამ, გრიგოლმა, პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილის შესახებ მოხსენება წაიკითხა, მომხსენებლის მისამართით წრის წევრები საქებარ სიტყვებს არ იშურებდნენ; მაგრამ იოსებ იმედაშვილის გამოსვლამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, მხურვალე სიტყვა თქვა და თავისი გამოსვლა ასე დაამთავრა:

- ვაი, რომ ჩვენი კულტურის ასეთ უანგარო და ნაყოფიერ მოღვაწეს უმადურად მივაყარეთ დავიწყების ფერფლი! მისი გამოკვლევები რომ არა, ჩვენთვის კიდევ დიდხანს იქნებოდა უცნობი საქართველოს ისტორიისა და კულტურის არაერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი.

ეს ისეთი გულწრფელობით წარმოთქვა, რომ მაშინვე პ. საყვარელიძისადმი გაგზავნილ მის ღია წერილში ნათქვამი გამახსენდა: „გრძელ ჭაპნად მომდევს გლეხურ მუშური შთამომავლობაო...“

აქ მისი მოკრძალებაც ჩანს და თავაზიანობაც, მეორეს მხრივ კი ვაჟკაცური ბრძოლის უნარი და ქედუხრელობა.

*

თავაზიანი და მოკრძალებული მოღვაწე იოსებ იმედაშვილი თავის თავს „პატარა მუშაკს“ უწოდებდა, მაგრამ ამასთანავე ისეთ მოღვაწეს, „რომელსაც მთელი თავისი ძალ ღონე შეძლებისდაგვარად შეუწირავს ქართველი მშრომელი ხალხის გამოფხიზლებისათვის.“

მარტო მისი „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“ რად ღირს!... ის ხომ ჩვენი საზოგადოების სამაგიდო წიგნად იქცა!...

მას რომ დაწყებული წიგნი - „ქართველ მოღვაწეთა ცნობარიც“ დაემთავრებინა, როგორც იტყვიან, ეს იქნებოდა მისი ხელთუქმნელი ძეგლი; მაგრამ, ვაგლახ, რომ ვერ მოასწრო დაწყებული შრომის დამთავრება!

იოსებ იმედაშვილის გამოცემული წიგნი - „ცხოვრების სარკე“ პირდაპირ მალამო იყო სოფლის სცენისმოყვარეთათვის. აქ ისეთი პიესები იყო შერჩეული, რომელთა წარმოდგენაც ადვილად და გასაგებად შეიძლებოდა სახელდახელოდ მოწყობილ სცენებზე. ამ მხრივ, მაშინ, ხსენებული წიგნის ბადალი არ იყო.

*

იოსებ იმედაშვილს მდიდარი არქივი დარჩა. იგი ყველგან წერდა, შინ თუ გარეთ, ნიადაგ აგროვებდა მასალებს ხალხისთვის მეტად საჭირბოროტო საკითხებზე. მე არაერთხელ ვსტუმრებივარ და აღტაცებული დავრჩენილვარ მის მიერ თავმოყრილი ძველი ჟურნალ გაზეთებით, წიგნებით, რვეულებით, დავთრებით, ხელნაწერებით. ეს მდიდარი მასალა ზოგი მაგიდაზე ეწყო, ზოგი თაროებზე, ზოგიც... პირდაპირ იატაკზე. იოსებს არასოდეს ბეზრდებოდა თავის არქივში ფუსფუსი...

*

ერთხელ, საღამო ხანს, უჩამ დამირეკა.

- ეს-ეს არის მაცნობეს იოსებ იმედაშვილის ავადმყოფობა. ახლავე უნდა წავიდეთ, მით უფრო, რომ იოსებს ჩემი ნახვაც მოუსურვებია.. დამელოდე, გამოგივლი და ერთად ავიდეთ ავადმყოფის სანახავად...

მართლაც, უჩამ ბევრი არ მალოდინა და მალე მანქანით კოტე მესხის ქუჩაზე ავედით, მთაწმინდის მიდამოებში, სადაც იოსების ძველი სახლი იდგა, გარდასული დროის სამუზეუმო ექსპონატივით რომ ჩანდა.

კარებში იოსების ქალიშვილები შემოგვეგებნენ და ავადმყოფის ოთახში შეგვიძღვნენ. იოსები ღრმად იყო თავჩარგული საწოლში და, როგორც ჩანს, ეძინა.

- მამა! - ყურში ჩასძახა ერთმა ქალიშვილმა, - უჩას რომ ნატრობდი, აგერ მოვიდა კიდეც...

- ჰა, უჩა მოვიდა? - დასუსტებული ხმით ამოიძახა ავადმყოფმა, - აბა, შვილებო, ქეთო, ნინო, სადა ხართ? მომეშველეთ, წამომაჯინეთ ლოგინზე.

ქეთოს უჩაც მიეშველა და ავადმყოფი რის ვაი ვაგლახით წამოაყენეს საწოლიდან.

- უჩა, შვილო, - ძლივს წარმოთქვა იოსებმა და ჩემი ძმა გულში ჩაიკრა, - ამ ოხერმა ავადმყოფობამ გლახად მომკიდა ხელი... მგონი, ვკვდები კიდეც... რამდენი სამუშაო მრჩება დაუმთავრებელი, რა ვქნა? - კვნესოდა ჯაფით დაქანცული შემოქმედი, ნაღვლიანი თვალებით მიჩერებოდა მის ირგვლივ შემოწყობილ ფოლიანტებს. - ვინღა უპატრონებს ჩემს ამდენ ნაწვალებს?...

მე და უჩა უგუნებოდ წამოვედით. რა უნდა გვეთქვა სანუგეშო?

-ვაითუ, ვერ გაუძლოს, - თავისთვის ლაპარაკობდა ნაღვლიანი უჩა. - ეჰ, ასე თანდათან, თვალსა და ხელს შუა მიდიან ამაგდარი ადამიანები... აფსუს!...

რამდენიმე დღის შემდეგ იოსები გარდაიცვალა.

მაგრამ წლოვანებამ კი არ გატეხა ეს „გლეხურ მუშური შთამომავლობის“ რკინის ვაჟკაცი, არამედ დარდმა, მძიმე მატერიალურმა მდგომარეობამ, ხელშემშლელ მიზეზთა გამო თავმოუბმელ საქმეებზე ფიქრმა.

ასეთი მტკივნეული განცდები რომ არა, იოსები კიდევ დიდხანს ემსახურებოდა თავის საყვარელ საქმეს, ხალხს, მის კულტურას, მაგრამ, რაც შექმნა, ისიც ფასდაუდებელია და ძვირფასი მადლიერი შთამომავლობისათვის.

დიახ, იგი კიდევ დიდხანს ივლიდა თავისი განუყრელი ნაბდითა და ჯოხით და არა ყავარჯნით, როგორც შეცდომით წერდა გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“ (20.6.57). მხნედ მიმავალ თეთრწვერა მოხუცს ყველა აღტაცებით გააყოლებდა ხოლმე თვალს... ყავარჯენი იოსებს არასოდეს სჭერია, ან კი რაში სჭირდებოდა სრულიად ჯანმრთელსა და საღ სალამათ კაცს?

იოსებ იმედაშვილი დიდი პოპულარობით სარგებლობდა ქართულ საზოგადოებაში და არაერთ გამოჩენილ მწერალსა და მოღვაწეს მეგობრობდა. არ დამავიწყდება აკაკი წერეთლის სოფლიდან გამოგზავნილი წერილი, რომელშიაც დიდ მადლობას უძღვნის მას ჟურნალის გაგზავნისათვის, მაგრამ ამასთანავე საყვედურით იხსენიებს ზოგიერთს: „დროება“ რომ არ მომდის, არ მიკვირს, მაგრამ „მათრახი“ მაინც რატომ ენანებათ ჩემთვის?...“

.*

ეს მოგონება უკვე დამთავრებული მქონდა, როდესაც ხელში ჩამივარდა ჟურნალ „ისკუსტვოს“ 1963 წლის მე 6 ნომერი, სადაც გამოქვეყნებულია ხელოვნებათმცოდნე ნ.პროკოფიევას წერილი ჩემი ძმის უჩას შემოქმედების შესახებ. ტექსტთან ერთად მოთავსებულია მხატვრის რამდენიმე ნაწარმოების რეპროდუქცია და მათ შორის იოსებ იმედაშვილის პორტრეტიც. ავტორი აღნიშნავს, რომ უჩა ჯაფარიძის პორტრეტების ერთ ერთი ღირსებაა ადამიანის შინაგანი სამყაროს გადმოცემისადმი ინტერესი და მოჰყავს ამის დამადასტურებელი ნიმუშები; ხოლო იოსებ იმედაშვილის პორტრეტზე წერს: - „სულ სხვა გრძნობებს იწვევს მხცოვანი მწერლის იოსებ იმედაშვილის მონუმენტური პორტრეტი - პორტრეტი ამ ძლიერი, ენერგიული და ნებისყოფიანი ადამიანისა. აქ ჩვენ წინაშეა ცხოვრებით დაბრძენებული ჭკვიანი ადამიანი, რომლის ჭაღარა დიდ პატივისცემას აღძრავს ჩვენში. მწერლის შორსმჭვრეტელი თვალებიდან გამოკრთის ღრმა ადამიანური თვისებები.“

ამ წერილის წაკითხვა უფრო იმიტომ მესიამოვნა, რომ ავტორმა სწორად შენიშნა უჩას პორტრეტების ღირსებები, განსაკუთრებით კი, ფერებით ,,მოთხრობილი” იოსებ იმედაშვილის შინაგანი თვისებები, მისი მდიდარი სულიერი სამყარო და ამით მკითხველებს სწორი წარმოდგენა შეუქმნა მხატვრის შემოქმედებაზე.

იოსების პორტრეტმა მოიარა თითქმის მთელი ევროპა და ბოლოს უნგრეთშიც გამოიფინა, სადაც საბჭოთა კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრთა და, მათ შორის, უჩას ნახატების გამოფენაც მოეწყო. უჩას ოჯახში ინახება იქ გამოცემული მშვენიერი კატალოგი შესაბამისი რეპროდუქციებითა და სიით, რომელთა შორის იოსების პორტრეტიცაა...

ვიცი, ეს ნამუშევარი მხცოვან მწერალსაც დიდად უყვარდა და, როგორც მისმა ქალიშვილებმა - ქეთომ და ნინომ მიამბეს, მამის სურვილი ყოფილა, უკანასკნელ განსასვენებელ გზაზე მისთვის უჩას მიერ შესრულებული პორტრეტი წაემძღვარებინათ წინ...

სასიამოვნოა, რომ უჩას ნახატზე სრულყოფილად არის გადმოცემული იოსებ იმედაშვილის ღრმა ადამიანური თვისებები. ასეთად შემორჩა მისი სახე მადლიერ შთამომავლობას.

იოსებ გრიშაშვილი

მე ხალხს ვუმღერი ავად თუ კარგად,
არა მქონია წარსული ცუდი...
ი. გრიშაშვილი

ცხოვრებაში არიან ისეთი ბედნიერი ადამიანები, რომელთაც ბუნებამ იმთავითვე უკარნახა მათი სამომავლო გზის მიმართულება.

მე ასეთად იოსებ გრიშაშვილს ვთვლი, ვისაც ბუნებამ სიყრმითვე საერო მოღვაწეობის, პოეტური სიტყვის მსახურების ტვირთვა დააკისრა.

პოეტ გრიშაშვილის სახელი პირველად 1907 წელს გავიგონე. იმ დროს მე უკვე უნივერსიტეტში ვსწავლობდი და, როგორც სტუდენტი, მაშინდელი ტრადიციის მიხედვით, საზოგადოებრივი საკითხებისადმი დიდი ინტერესით ვიყავი განსმჭვალული.

ამიტომ სასიამოვნოდ მრჩებოდა, როცა ამა თუ იმ წრეში ჩვენი მხატვრული ლიტერატურის აწმყოსა თუ მომავალზე ლაპარაკს დავესწრებოდი ხოლმე. იქ ხშირად ახალგაზრდა პოეტების გამოჩენაზე, მათ ნიჭსა და უნარზეც ლაპარაკობდნენ.

მაშინ პოეტები თითებზე ჩამოსათვლელები იყვნენ და ამიტომ ხალხი ყველას კარგად იცნობდა. მათი გამოჩენა არავის არ გამოეპარებოდა და ყველა იმედის თვალით შეჰყურებდა. ხოლო განსაკუთრებულ ნიჭს თუ შეატყობდნენ, მაშინვე „აკაკის მემკვიდრედ“ მიიჩნევდნენ ხოლმე.

აკაკი იმ დროს, როგორც „ღვთივკურთხეული,“ ერთადერთი იდგა ჩვენი პოეზიის პარნასზე და მასთან ვინმეს შედარება, ცხადია, მეტად დიდ შეფასებად მიიჩნეოდა.

აი, ამ ახალგაზრდა პოეტებს შორის გავიგონე გრიშაშვილის სახელიც. საზოგადოების თვალში ის გარკვეული პოეტური ხმის პატრონად იყო აღიარებული, ამიტომ მომავლისათვის საიმედო ძალად ასახელებდნენ. წარმოიდგინეთ „აკაკის მემკვიდრედაც“ კი რაცხდნენ, ისე როგორც ერთ დროს პოეტ გ.ჭალადიდელს, შემდეგ გრ.აბაშიძესა და სხვებს. მაგრამ აკაკი არა მარტო მგოსანი იყო, არამედ დიდი ეროვნული მოღვაწე, იმდროინდელი საქართველოს ნამდვილი დროშა და წინამძღოლი.

მიუხედავად ასეთი ,,მოთხოვნებისა”, ნიჭიერ ახალგაზრდა პოეტს მაინც მას ადარებდნენ ხოლმე.

ვიდრე პოეტი თავის თავს გრიშაშვილად გააცნობდა საზოგადოებას, მისი ბედი პოეზიის ასპარეზზე იმდენად საინტერესოა, რომ ამ ფაქტს გვერდს ვერ ავუვლი.

1906 წელს იოსებს, ჯერ კიდევ 17 წლის ჭაბუკს, თავისი ნამდვილი გვარით ლექსების პატარა კრებული დაუბეჭდავს. ეს ლექსები თავისი შინაარსით და, რაც მთავარია, ფორმის პრიმიტიულობით „უფრო თბილისური ფოლკლორის მიბაძვის ნიმუში ყოფილა, ვიდრე დამოუკიდებელი პოეტური გააზრების

ნაყოფი“, - როგორც ამას ამბობს აკ.ხინთიბიძე. ის კრებული ძველებური გამოცემებისათვის დამახასიათებელი სახელწოდებით ყოფილა დაბეჭდილი:

- „ვარდის კონა და თელავის მუხამბაზი და სხვადასხვა ლექსები და სიმღერები, შედგენილი მამულაშვილის მიერ,“ ისე, როგორც ეს იცოდნენ სახალხო მთქმელებმა და „მოდის მოტრფიალე“ ახალგაზრდებმა.

ეს ყოველივე, წინაისტორიად უნდა ჩაითვალოს ი.გრიშაშვილის შემოქმედებითი ბიოგრაფიისა.

,,ალბათ, მაშინ არავინ იფიქრებდა, - ამბობს პატივცემული ლექტორი აკ.ხინთიბიძე სავსებით სამართლიანად, - რომ ამ კრებულის ავტორი ოდესმე მწერლის სახელს მოიხვეჭდა”.

როგორც ვხედავთ, ი.გრიშაშვილის პირველი ნაბიჯები პოეზიაში ხელმოცარვას უფრო ჰგავდა, მაგრამ ამ მარცხმა მას იარაღი არ დააყრევინა. შექმნილ ვითარებას სხვანაირად აუღო ალღო და ისევ ის ქალაქური ფოლკლორი მოიშველია, იმ დროს მეტად პოპულარული ახალგაზრდებში.

ასეთი ხასიათის ლექსი გახლავთ, თუნდაც, „არ შეგცივდეს, ბარაშკაჯან“ და სხვა ამისთანები. მახსოვს, მან ერთბაშად მიიქცია მთელი ჩვენი საზოგადოების ყურადღება.

გაგვეგონა გრიშაშვილი, მაგრამ, ვინ იყო და სადაური, ეს მხოლოდ შემდეგში გავიგეთ, - კერძოდ ის, რომ იგი იყო თბილისელი ხელოსნის ოჯახიდან და ბავშვობა ხარფუხში გაატარა, სადაც მას მამის დანატოვარი პატარა სახლიც ჰქონდა. სწავლა უსახსრობის გამო 11 12 წლის ასაკში მიუტოვებია.

მაგრამ რამდენად ნიჭიერი ყოფილა ეს თავმდაბალი ახალგაზრდა, იქიდან ჩანს, რომ თითქმის უსწავლელი კაცი, შემდეგში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრიც გახდა, ლაურეატი და საქართველოს სახალხო პოეტიც.

განა ასეთივე ბედი არ ხვდა წილად მაქსიმ გორკისაც, ვისაც უსწავლელობამ ხელი ვერ შეუშალა, ქცეულიყო გამოჩენილ მწერლად და საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად?!

რაც დრო გადიოდა, ი.გრიშაშვილის სატრფიალო მოტივები სულ უფრო ხიბლავდა ჩვენს საზოგადოებას; ხიბლავდა მისი პოეტური სიტყვის თავისებური სიახლე, უაღრესად ცინცხალი და მეტყველი რიტმი, პოეტის მკითხველისთვის ადვილად გასაგები ჩანაფიქრის სიმარტივე...

ი.გრიშაშვილმა თავიდანვე შეიყვარა ქართული წიგნი და ხარბად ეცნობოდა ყოველ მათგანს. დროთა განმავლობაში მან დეტალურად შეისწავლა ჩვენი ქვეყნის წარსული, ძველი და ახალი ლიტერატურა. ენერგიულად მოჰკიდა ხელი თვითგანვითარებას. ჩემს მეგობრებში, რომელთა გახსენება ყოველთვის სასიამოვნო და საამაყოა ჩემთვის, ერთერთი პირველი ადგილი იოსებ გრიშაშვილს უკავია.

იგი დაახლოებით 1909 1911 წლებში გავიცანი, გრიგოლ დიასამიძესთან, გაზეთ „თემის“ რედაქციაში.

გრიგოლ დიასამიძე გაზეთ „თემის“ რედაქტორიც იყო და გამომცემელიც. რედაქციაც თავის ბინაში ჰქონდა მოთავსებული, დღევანდელ რუსთაველის გამზირზე #50 სახლის უკან. ეს ორსართულიანი ქვის კაპიტალური შენობა დღესაც დგას. გრიგოლი ამ სახლის ბელეტაჟზე ცხოვრობდა. ის მეტად კეთილშობილი და საყვარელი ადამიანი იყო, დიდად განათლებული ინტელიგენტი, იურისტი, ლიტერატორი, პატრიოტი, ყველას მეგობარი, ყველას

დამხმარე და გულისხმიერი რედაქტორი. 50 წლის გრიგოლი - ქართული საზოგადოებრიობის აქტიური წევრი - ყველგან იყო, სადაც სასიკეთო ქართული საქმე კეთდებოდა, მზად იყო მიშველებოდა და დახმარებოდა ყველა გაჭირვებულს .

ი.გრიშაშვილმა რომ პოეზიაში პირველი ნაბიჯი გადადგა, გრიგოლმა ფართოდ გაუღო „თემის“ რედაქციის კარი და სამუშაოდაც ხშირად იწვევდა.

სწორედ აქ შევხვდით პირველად მე და ჩემი ძმა გრიშა იოსებ გრიშაშვილს.

გრიგოლ დიასამიძე დიდი მეგობარი გახლდათ აკაკისა და როცა ის რაჭა ლეჩხუმში სამოგზაუროდ ჩამოვიდა, გრიგოლი პირველთაგანი იყო მის ამალაში.

იმ დღეს მოსკოვიდან თბილისში ჩამოსული ძმები მაშინვე „თემის“ რედაქციაში გრიგოლ დიასამიძის სანახავად წავედით. გრიგოლი, როგორც ყოველთვის, ხელგაშლილი შემოგვეგება. თან ასე გულიანად იმიტომაც მიგვიღო, რომ ჩვენი თარგმნილი „გლახის ნაამბობი“ (რუსული ეგზემპლარები) უკვე თბილისშიაც მიეღოთ და ამ ამბავს დიდი გამოხმაურებაც მოჰყოლოდა. ერთი კი იყო: ყველას აკვირვებდა ის გარემოება, რომ მთარგმნელი ორი იყო და ისიც ვიღაც „ჯაფარი“.

გრიგოლის მიერ ჩვენი ასე გულთბილად მიღება უყურადღებოდ არ დარჩა იქვე მჯდომ ახალგაზრდას, რომელიც, ჩვენდა სასიხარულოდ, უკვე ცნობილი პოეტი იოსებ გრიშაშვილი აღმოჩნდა. ბლუზა მოწაფესავით ეცვა, თხელი და პირტიტველა იყო, ჭაბუკობაში ჯერ კიდევ არ შეედგა ფეხი, ნაზი და ქალიშვილივით მორიდებული ჩანდა.

ჩვენი ვინაობა რომ გაიგო, ძალიან ესიამოვნა, - თქვენი თარგმნილი „გლახის ნაამბობის“ რამდენიმე ცალი ვიყიდე და შევინახეო. გაკვირვებით მოგვჩერებოდა ხან ერთს, ხან მეორეს და განმასხვავებელ ნიშნებს ეძებდა: - ასეთი მსგავსება ჯერ არსად მინახავსო.

- მაშ თქვენა ხართ „გრ. და ვლ.ჯაფარი“? - გვეკითხებოდა ახლად შეძენილი მეგობარი, - მე კი უფრო ხნიერები მეგონეთ, ეს რა დიდი საქმე გიკისრიათო, - შეგვაქო.

ასეთი ვითარება სუფევდა იმ დროს ჩვენი ხალხის ცხოვრებაში: პატარა მოვლენასაც კი, თუკი მას საერთო ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა, სახალხო საქმედ მიიჩნევდნენ. პოეტიც ამ თვალსაზრისის იყო და ამიტომაც გულთბილად გვიღიმოდა.

სოსოს საზოგადოებაში ყოფნა განსაკუთრებით 1914 წლიდან მიხდებოდა, როცა უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ფოთში დავიწყე მუშაობა და სამსახურის გამო თბილისში ხშირად ჩავდიოდი. მე უთუოდ შევივლიდი ხოლმე გაზეთ „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში, რომელიც მოთავსებული იყო სასახლის ქუჩაზე (ახლანდელი რუსთაველის გამზირის # 1) აწ უკვე არარსებულ სამსართულიან სარაჯიშვილისეულ სახლში და სიყვარულით მივაკითხავდი იქ მომუშავე მეგობრებს: თედო ღლონტს, სამსონ ფირცხალავას, ქრისტეფორე რაჭველიშვილს, მიხეილ საყვარელიძეს და მათთან ერთად სოსო გრიშაშვილსაც.

ერთხელ სურათიც კი გადავიღეთ ერთად თედომ, სოსომ და მე. არ ვიცი, შერჩათ თუ არა მათ ის სამახსოვრო ფოტო, მე კი დღემდე ვინახავ, როგორც ძვირფას რელიქვიას.

ერთხელ სოსომაც წამიყვანა ხარფუხში და თავისი საცხოვრებელი სახლი მიჩვენა. ეს იყო ორსართულიანი ხის პატარა შენობა, რომლის ქვემოთ სოსოს

დედა ცხოვრობდა, ზემოთ - თვითონ. ორი პატარა ოთახი ეკავა, ერთი მათგანი წიგნებით იყო სავსე.

სოფლური იერი დაჰკრავდა მაშინ ხარფუხს. აღმართ დაღმართი და ოღროჩოღრო შუკები, ირგვლივ ყველაფერი ღარიბული და შეუხედავი გახლდათ. იქ უფრო მუშა ხალხი, ხელმოკლე ხელოსნები ცხოვრობდნენ და ყველას ერთნაირი, გაჭირვებით აშენებული თითქმის ასეთივე ულაზათო სახლი ედგა. სამაგიეროდ, ქალაქთან შედარებით, ჰაერი უფრო სუფთა იყო და ხმაურიც ნაკლები. არ დამავიწყდება ერთი პატარა ამბავი, რომელიც იქ შემემთხვა.

1916 წელი იყო. თბილისში ჩამოვედი. კვირადღე გახლდათ, რედაქციაშიც არავინ მუშაობდა. სოსოს ნახვა მხოლოდ ხარფუხში შეიძლებოდა. ვიფიქრე, მოდი, წავალ - ხარფუხსაც ვნახავ და გრიშაშვილის სახლ კარსაც უფრო ახლოს გავიცნობ მეთქი. გავიცნობ იმ გარემოს, სადაც იოსები იზრდებოდა და მისი ნიჭი ისხამდა ფრთებს. მით უფრო მაინტერესებდა იქ წასვლა, რომ ხარფუხი ქალაქის მეტად ორიგინალური, მიგდებული, მიტოვებული, „ღვთისაგან მივიწყებული“ კუთხე იყო, - კარჩაკეტილი, გარეშე ქვეყნისას რომ არაფერს კითხულობდნენ, მაგრამ, სამაგიეროდ, აინტერესებდათ იქაური, შინაური, მეზობლური ამბები. მეზობლებმა კი ერთმანეთის ავან-ჩავანი ყველაფერი ზედმიწევნით იცოდნენ. თითქოს ერთი ოჯახი იყო მთელი ის კუთხე.

გაზაფხულის კვირადღე იყო, მზიანი და თბილი. ავიარე აღმართი, ამჟამად გრიშაშვილის ქუჩა რომ ეწოდება, ირგვლივ მივიხედ მოვიხედე, მაგრამ ვერაფრით ვერ ვინიშნე, რომელი უნდა ყოფილიყო პოეტის სახლი. უფრო იმ გარემოებამ დამაბნია, რომ გრიშაშვილის სახლის ახლოს ქუჩის შუა ნაწილში ერთი უშნო გორაკი მახსოვდა (ქუჩა სად იყო მაშინ?). მისთვის აუცილებლად გვერდი უნდა აგევლო. მართალია, ეს კარგად მახსოვდა, მაგრამ ის გორაკიც ვერსად დავლანდე. მაინც არ გავიტეხე იხტიბარი, ალბათ, ქუჩის კეთილმოწყობის დროს გაასწორეს-მეთქი.

- აქ სადღაც გრიშაშვილის სახლია, მაგრამ ვერ მიმიგნია. ხომ ვერ მეტყვით, რომელია მეთქი, - შევეკითხე ერთ-ერთ გამვლელს, რომელიც ადგილობრივი ჩანდა.

- გრიშაშვილის? - დაფიქრდა ის, - არ გამიგონია.

ვკითხე მეორეს:

- ვისი, გრიშაშვილის? - ისიც დაფიქრდა, - არა, არ გამიგონია.

ვკითხე სხვა გამვლელსაც. ყველა გაკვირვებულია. არა. ასეთი არავინ იცის. არც გაუგონია...

- კი მაგრამ, ხარფუხში მეზობლის სახლი არ იცით, რომელია?

- მეზობლის?! მეზობლის როგორ არ ვიცით... მაგრამ ასეთი გვარის მეზობელი არა გყავს. ვინაა გრიშაშვილი? ვინაა აქ გრიშაშვილი? - ეკითხებიან ერთიმეორეს.

იქვე ქუჩის მეორე მხარეს, სიღრმეში სახელდახელოდ აკოწიწებული, ხის პატარა ფარდული შევნიშნე, შიგ ვიღაც წინსაფრიანი მოხუცი იჯდა და დაზგაზე დადებული ძველი წუღის ნაკერებზე რაღაც სიმძიმეს უბაგუნებდა. გადავედი მისკენ და მივუახლოვდი.

- უკაცრავად, - ვეკითხები, - თქვენ აქაური ხართ? ხარფუხელი? მან ძველი სათვალის ქვემოდან გაკვირვებით შემომხედა.

- მა სადაური ვიქნები, შე დალოცვილო? აქაური ვარ.

- აბა, პოეტ გრიშაშვილის სახლს ვეძებ და თქვენ გეცოდინებათ, რომელია. - ხარაზი შეფიქრიანდა.

- გრიშაშვილისა? სახელი რა ჰქვია? იოსები? არა, გეთაყვა, ასეთი აქ არავინ გამიგონია.

დაწვრილებით გამომკითხა, რა კაცია ის გრიშაშვილი, რა ხელობისაა, რამდენი ხანია რაც ხარფუხშია და სხვა. მერე ვიღაც მეზობელს გადასძახა ჭიშკარს იქეთ, აქ გრიშაშვილს კითხულობენ და ხომ არ გაგიგონია ვინააო. სხვასაც ჰკითხა. ეტყობოდა, გულით სწადდა ჩემთვის დახმარება გაეწია, მაგრამ ვერაფერს ახერხებდა და თავს უხერხულად გრძნობდა. ის იყო, გამობრუნებას ვაპირებდი, რომ მეწუღესთან ვიღაც ახალგაზრდა მოვიდა, - ძველი, დასაკერებელი წუღები ეჭირა. მოხუცი ამ ყმაწვილსაც შეეკითხა, აქ ასეთი და ასეთი კაცი ვინ არის, იქნებ შენ მაინც იცოდეო. ამისთანა გვარი არსად გამიგონიაო, - მიპასუხა მანაც გულდაჯერებით.

- ვა, ე როგორა? - შფოთავს მოხუცი, - თუ ვინმე ხარფუხელია, რატომ არ ვიცი? - მერე თითქოს რაღაც მოაგონდაო, - ხომ არ გეშლება მისი გვარი? ეგება არაა ეგრე?

- არა, - ვეუბნები დარწმუნებით, - ნამდვილად ასეთი გვარი აქვს, მას მთელი საქართველო იცნობს, მწერალია, პოეტი, საკუთარი წიგნებიცა აქვს დაბეჭდილი; მისი ნამდვილი გვარი მამულაშვილია, გრიშაშვილი კი ფსევდონიმია მეთქი, განვუმარტე, მაგრამ მაინც ვერაფერი გაიგო და ფსევდონიმმა ხომ სულ დააბნია ის კეთილი მოხუცი.

ბოდიში მოვიხადე შეწუხებისათვის და უკან გამოვბრუნდი. ანაზდად მოხუცისა და ახალგაზრდა მამაკაცის ლაპარაკი შემომესმა.

- რა ვქნა, ვერ გამიგია, ვინაა ეს გრიშაშვილი, - კითხულობდა მოხუცი ხარაზი.

- ე მანდ ფირუზაზე ხომ არ იძახის ნეტა ეს ადამიანი? - უცბად წამოისროლა ახალგაზრდა მუშტარმა, თითქოს რაღაც საინტერესო რამეს მიაგნოო, - რაღაც ისე მენიშნება, აი, წიგნები აქვსო, წერსო, რაღაც ჰგავს იმასა, აი! – და მომაძახა: - გაზეთჩიკს ხომ არ ეძებ, ძიაჯან? აი, თიატრშიც გამოდის, წიგნის კაცია, წარმოდგენებსა დგამს, ფირუზას ვეძახით.

- ფირუზა, ხო, აი ეგაა სწორედ, ეგ! - შევძახე გახარებულმა და უკანვე მივტრიალდი, გამახსენდა, რომ სოსოს ბავშვობისას ფირუზას ეძახდნენ თურმე, - ეგ არის სწორედ! გაზეთჩიკი, თეატრში მომუშავე! - ესეც ხომ ვიცოდი, რომ ერთ დროს თეატრში მუშაობდა.

- მაშ, ფირუზაზე იძახის? ჩვენს ფირუზაზე? - წამოიძახა მეწუღემ და მუხლზე ხელი დაირტყა, გახარებულმა იმით, რომ, ბოლოს და ბოლოს, უცხო ადამიანი უპასუხოდ არ გამიშვა და არ შერცხვა თავისი უცოდინარობით. მერე მე მომიბრუნდა:

- შე დალოცვილო, თავიდანვე ეგრე გეთქვა, რაღა! განა მე აქ ისეთი გაუგებარი ვარ, რომ ფირუზას ამბავს ვერ გეტყოდი? ფირუზას ვინ არ იცნობს აქა? ჩვენი ხარფუხის თვალია. ვაა, მისი სახლი როგორ არ ვიცი, ვისაც გინდა ჰკითხე - გეტყვის. განა ეგრე ყრუ ვარ, შე დალოცვილო!... - მერე თავის ახალგაზრდა მუშტარს მიუბრუნდა:

- აბა, შვილო, მაიტა ეგ წუღები და შენ ამ პატიოსან ადამიანს ფირუზას სახლისაკენ გაუძეხი. ვაა, ფირუზას ეძებს თურმე ეს დალოცვილი და ვიღაც გრიშაშვილს კი მეკითხება. განა მე ფირუზას სახლს ვერ გეტყოდი... -

ბუზღუნებდა მოხუცი მეწუღე, - ამ ხარფუხში ვინ უნდა ცხოვრობდეს, მე რომ არ ვიცოდე, აქაური კაცი ვარ, განა მოსული... მე და ჩემმა ღმერთმა, ჯავრით ძილი დამეკარგებოდა.

ახალგაზრდამ კი მიმიყვანა გრიშაშვილის სახლში, მაგრამ სოსო ადგილზე არ დამხვდა და შინ დაბრუნებულს ეს ამბავი მიმავიწყდა.

ამის შემდეგ საკმაოდ დიდი დრო გავიდა...

1951 წლის გაზაფხული იყო. ფიზკულტურის ინსტიტუტი, სადაც მე მასწავლებლად ვმუშაობდი, იმხანად დროებით ხარფუხში, გრიშაშვილის ქუჩაზე, საშუალო სკოლის შენობაში იყო მოთავსებული. ერთხელ, დღის დასასრულს, როცა ინსტიტუტში ლექციები მოთავდა და შინ მიმავალი ზემო სართულიდან ჩამოვდიოდი, ვესტიბიულში ხალხის უჩვეულო სიმრავლემ გამაკვირვა: დიდი და პატარა დარბაზისაკენ მიიწევდა, ყველას უნდოდა იქ შესვლა, ეზოშიაც აუარებელი ხალხი იდგა.

თურმე იმ დღეს ი.გრიშაშვილს უწყობდნენ შეხვედრას. მეც გაჭირვებით შევეჭედე კარებში.

ტრიბუნიდან ორატორის აღფრთოვანებული ლაპარაკი მოისმოდა. პოეტი პრეზიდიუმში იჯდა გარინდებული, მაგრამ სახეზე ეტყობოდა, რომ უბრალო ხარფუხელი ხალხის მისდამი ასეთი დიდი ყურადღება ძალზე აღელვებდა. იქნებ იმასაც ფიქრობდა, რომ მისი ცხოვრების დაღმართი უკვე დაწყებული იყო და ამის გამო გულიც სტკიოდა...

მაგრამ მის მაშინდელ ლექსებში ეს სულაც არ იგრძნობოდა, მხნედაც გამოიყურებოდა და სიბერის სიახლოვეს არაფრად აგდებდა:

„დავბერდი? არა! ლექსების ფერებს
დაჰკრავს სურნელი საუკეთესო!... “

სოსომ შემამჩნია კარებთან ხალხში ჩაჭედილი და ხელით მანიშნა, სცენაზე ამოდიო. მეც სცენისაკენ გავემართე და მის გვერდით დავიკავე ადგილი. ვკითხე, რასთან არის დაკავშირებული ეს შეხვედრა მეთქი. სოსომ მაგიდაზე დადებული ქაღალდებიდან ერთი მოსაწვევი ბარათი მომაწოდა, რომელშიაც ასეთი რამ ამოვიკითხე: „1951 წლის 12 მაისს, საღამოს 8 საათზე ფიზკულტურის ინსტიტუტის დარბაზში (გრიშაშვილის ქ. 15) გორკის სახელობის #22 მასობრივი ბიბლიოთეკა აწყობს პოეტ გრიშაშვილთან შეხვედრას. გთხოვთ დაესწროთ. დირექცია.“ ამ ბარათს დღესაც სასოებით ვინახავ ჩემს ქაღალდებში.

სულგანაბული ვუსმენდი ორატორებს, რომლებიც ერთიმეორეზე უფრო მჭევრმეტყველურად და აღფრთოვანებით ლაპარაკობდნენ გრიშაშვილის პოეზიაზე, მის პოპულარობაზე და, უნებლიეთ, თვალწინ დამიდგა 1916 წლის ხარფუხი, სადაც გრიშაშვილის გვარი არც კი გაეგონათ და ეს იმ დროს, როცა მას მთელი საქართველო იცნობდა.

ბოლოს ორატორების სია ამოიწურა და სოსომ მთხოვა, მეც მეთქვა ორიოდე სიტყვა.

ხალხით გაჭედილი აუდიტორიის წინაშე გამოვთქვი ჩემი გულწრფელი აღფრთოვანება იმ დიდი და უჩვეულო ზეიმის გამო, რასაც მაშინ ხარფუხში, პოეტ გრიშაშვილის შეხვედრასთან დაკავშირებით ვხედავდი, როცა მისი პოეზია ქებითა და დიდებით ცამდე აჰყავდათ. მერე ის ამბავიც მოვყევი, რაც აქ, ხარფუხში, 1916 წელს შემემთხვა. რა ხდებოდა დარბაზში ჩემი ლაპარაკის დროს, უნდა გენახათ, ყველა ისე მომჩერებოდა, თითქოს სხვა ქვეყნიდან ვიყავი ჩამოსული; სულგანაბული მიგდებდნენ ყურს, მაგრამ მერე „ფხუო“ დაიძახეს და

სიცილი ვეღარ შეიკავეს; კითხულობდნენ, ვინ იყო ის მეჩუსტე?! მაგრამ აბა 35 წლის წინანადელ ამბავს ასე უცბად ვინ გაიხსენებდა. ვინ მოიგონებდა ან მას, ან თუნდაც იმ ახალგაზრდას, რომელმაც გრიშაშვილის სახლამდე მიმაცილა... ხოლო იმ საღამოს ძველი და ახალი თაობის ხარფუხელები, უკვე სათანადოდ განათლებულნი, ტაშს უკრავდნენ თავის ფირუზას. დიახ, ფირუზას, რომელსაც ერთ დროს „გრიშაშვილზე“ უფრო მეტად იცნობდნენ ხარფუხში.

ყველაზე მეტად თვითონ სოსო იცინოდა, იცინოდა ჩემს მაშინდელ გაჭირვებაზე.

- დიახ, - დავასრულე ჩემი სიტყვა - ჩამორჩენილი იყო ძველი ხარფუხი, უწიგნური და კარჩაკეტილი, მაგრამ, სამაგიეროდ, ხედავთ ჩვენს დღევანდელ განათლებულ ხარფუხს, როცა გრიშაშვილს არა მარტო იცნობენ, არამედ ასეთ ბრწყინვალე შეხვედრასაც უწყობენ. აი, რამდენად წინ წასულა ჩვენი ცხოვრება, რარიგ გაზრდილა ხალხის კულტურის დონე სულ რაღაც 35 წლის მანძილზე.

- ვაშა ჩვენს საყვარელ პოეტს, ვაშა მის დიდ ადამიანობას!

- ვაშა, ვაშაა! - შესძახა ხალხმა და მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა.

იოსები უსაზღვროდ გახარებული იყო ამ ჩემი უბრალო მოგონებით, ხელს მართმევდა, მეხვეოდა და ბოლოს სიტყვაც კი ჩამომართვა, რომ უსათუოდ დავუწერდი ჩემს ნაამბობს.

- დამიწერე, ლადო, გენაცვალე, ყველაფერი, რაც თქვი. მაგისთანა ამბებს მე მთლიანად ვინახავ ჩემს ქაღალდებში, უთუოდ დამიწერე.

და მეც დავპირდი, მაგრამ ერთხელ რომ მიმავიწყდა, მერე ვეღარ მოვაბი თავი.

მხოლოდ 1972 წლის გაზაფხულზე გამახსენდა ეს ამბავი და გადავწყვიტე დამეწერა პოეტის 83 წლისთავის აღსანიშნავ საღამოზე წასაკითხავად, პოეტის სახელობის ბიბლიოთეკაში - ხარფუხში, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო, დასწრება ვერ შევძელი. წერილი კი „ხარფუხელი ფირუზას“ სათაურით გამოქვეყნდა გაზეთ „თბილისში“ (11.08.72). ხარფუხი მას სათუთად უყვარდა. საამაყოდ ჰქონდა, რომ იქაურ მთავარ ქუჩას მისი სახელი - გრიშაშვილის ქუჩა - ერქვა.

როგორც ცნობილია, იოსებ გრიშაშვილი წიგნების ნამდვილი „მუსუსი“ იყო. თუკი სადმე დაინახავდა მას, მაღაზიაში იქნებოდა ის თუ ოჯახში, არ შეიძლებოდა არ აეღო და თავიდან ბოლომდე არ გადაეთვალიერებინა. თუ გასაყიდი იყო და ის წიგნი არ გააჩნდა, უკანასკნელ კაპიკს არ დაიშურებდა.

როცა მე 1929 1931 წლებში სახელგამის სამმართველოში საგამომცემლო განყოფილებაში ვმუშაობდი, სოსო ხშირად შემოდიოდა ჩემთან, მით უფრო, რომ იქ, ჩემ გარდა, კიდევ ეგულებოდა კეთილი მეგობრები: პავლე საყვარელიძე (დიდი პავლე) და საშა აბაშელი; აქვე ხვდებოდა ხოლმე მეგობარ მწერლებსაც - გოგლას, გიორგი ქუჩიშვილს, მიხეილ ჯავახიშვილს, დავით კასრაძეს, შიო მღვიმელსა და სხვებს. ამასთან, ძალიან უყვარდა ჩვენი ოთახის კარადაში ახალ ახალ გამოცემათა დათვალიერება.

ყოველთვის ისე ფაქიზად იყო ჩაცმული, წვერგაპარსული და დამშვენებული, თითქოს საქორწილოდ ყოფილიყოს გამზადებული. ორიოდე მისებური თბილი სიტყვის შემდეგ მიადგებოდა ხოლმე კარადას.

- რამე ახალი თუ მიიღეთ, მომეცით ჩემი ბიბლიოთეკისათვის. სულ ერთია, სხვა წაიღებს, თქვენ მაინც არ დაგრჩებათ, - მოგვმართავდა სოსო მეგობრებს, მაგრამ ჩვენ თხოვნა არ გვჭირდებოდა, უმისოდაც სიამოვნებით

ვამარაგებდით ჩვენი გამოცემებით. ხოლო, როცა შეაგვიანდებოდა შემოსვლა და კარადაში ახალ ახალი წიგნები დაგროვდებოდა, მისთვის ხშირად გადავდებდით ხოლმე ცალკე თითო ეგზემპლარს.

განსაკუთრებით უყვარდა ძველი, ბუკინისტური წიგნები. - კარგია ეს ახალი წიგნები, მაგრამ მადლი მაინც ძველში უფროა, ანტიკვარულში. იმ ძველშია პოეზია, მისი გადასული შრიფტის ოხშივარი, მაგრამ რომ აღარსადაა... რაც დრო გადის, მით უფრო იშვიათია ასეთი წიგნები. ჰაი, გიდი!... რა წაწკაპული იყვნენ ბუკინისტები ქაშუეთის ეკლესიის ქვემოთ. რა გინდოდა, რომ არ გენახა იმ დამტვერილ გროვაში. ახლაც დავდივარ, მაგრამ აღარაფერია.

სადაც არ უნდა ყოფილიყო სოსო, პირველ რიგში მაინც წიგნები ახსოვდა და მათ შესაძენად არაფერს იშურებდა.

ერთხელ, ალბათ 1959 წლის დამდეგს, საღამო ჟამს, ჩვეულებისამებრ, შევიარე სოსოსთან.

ჩვენი იმ დღის სასაუბრო, ისევ და ისევ, ლიტერატურა, პოეზია და წიგნები იყო. გამოირკვა, რომ სოსო რაღაც საქმეების გამო იმ დღეებში მოსკოვში მიდიოდა და რადგან ამ ქალაქს კარგად არ იცნობდა, ბევრ რამეს მეკითხებოდა. თანაც კმაყოფილი იყო, რომ სულ მალე ნახავდა დიდი ქვეყნის დედაქალაქს.

უცბად, თითქოს რაღაც საინტერესო იპოვაო, გახარებულმა წამოიძახა:

- მართლა, ლადო, კინაღამ დამავიწყდა! შენ რომ მოსკოვში კარგი მეგობარი გყავს, ვინც ძველ წიგნებს უგზავნის ჩვენს საჯარო ბიბლიოთეკას, მოდი რა, თათარიახნად, ერთი კარგი ბარათი მიმიწერე. მივალ და ახლოს გავიცნობ. ძალიან მაინტერესებს მისი ნახვა, შეიძლება ბიბლიოთეკაც მაჩვენოს თავისი... - სოსომ მაგიდის უჯრიდან ფოსტის ქაღალდი ამოიღო და წინ დამიდო. კალამიც მომირბენინა. მეც, დაახლოებით, ასეთი რამ მივწერე მეგობარს:

„თბილისი. 1959 წლის 4 თებერვალი, პოეტ გრიშაშვილის ბინა.

ძვირფასო ივან მიხაილოვიჩ! ამ წერილს გწერთ სრულიად შემთხვევით. შემოვიარე ჩვეულებისამებრ ჩემს მეგობარ პოეტ იოსებ გრიშაშვილთან აქაური რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ერთ-ერთ პასუხისმგებელ თანამშრომელთან ერთად და გაგიხსენეთ თქვენც ჩვენი საჯარო ბიბლიოთეკისათვის იშვიათი წიგნების გამოგზავნასთან დაკავშირებით. უცბად იოსებ გრიშაშვილმა მომიტანა ქაღალდი და კალამი და მთხოვა, მოგწეროთ წერილი, რომელსაც პირადად გადმოგცემთ მოსკოვში ჩამოსვლისას ამ მოკლე ხანში.

მას დიდი სურვილი აქვს, გაიცნოს თქვენი „წიგნების მუზეუმი“. ისიც ხომ დიდი ბიბლიომანია თქვენსავით, როგორც უკვე გწერდით ამას წინათ. უყვარს ეს საქმე, მასთან ერთად ასეთი „სულიერი ნათესავებიც“ უყვარს, კერძოდ, თქვენც უყვარხართ, როგორც წიგნის დიდი მოყვარული; ის გიცნობთ თქვენ ჩემგან და ახლა უნდა პირადადაც გინახულოთ და გაგიცნოთ, რომ თვითონ დაგიდასტუროთ უღრმესი პატივისცემა. მეგობრული სალმით ლადო ჯაფარიძე.“

სოსო მეტად კმაყოფილი დარჩა მინაწერით და სათუთად ჩადო გამზადებულ კონვერტში.

როგორც უკვე გაგაცანით, ი.მ.სარკიზოვ სერაზინი დიდი დიაპაზონის მოღვაწე იყო, მეცნიერი და მწერალი. ის ბევრს მოგზაურობდა საზღვარგარეთ და ბევრიც იცოდა როგორც ჩვენი ქვეყნის, აგრეთვე უცხოეთის ცხოვრებისა. იშვიათი მოსაუბრე გახლდათ და ამიტომ მოუთმენლად ველოდი იოსებ გრიშაშვილის მასთან შეხვედრას, რაც, ორივე მათგანისათვის სასიამოვნო უნდა ყოფილიყო.

მაგრამ, სამწუხაროდ, სოსო ვერ შეხვდა ამ სასურველ ადამიანს მისი იქ შემთხვევით არყოფნის გამო.

იგი დაღონებული შემხვდა უკვე თბილისში დაბრუნებული, რამდენიმე ხნის შემდეგ კი ივან მიხაილოვიჩისაგან შემდეგი წერილი მივიღე:

Милый Владимир Малакиевич!

Я только что вернулся из сердечного санаторияя в котором пролежал два месяца.

Дома мне сказалия что ко мне неоднократно звонил какой-то гражданин из Тбилиси с письмом. От кого письмо, он не говорил.

Из Вашей открытки я узналя что этот гражданин был поет Гришашвили. Какая досада, что я не познакомился с этим выдающимся поэтом Грузии, которого я очень уважаю и ценю, как достойного представителя старой когорты великих грузинских поэтов.

Если бы мне сказали (жена и дочь), что звонил Гришашвилия я бы его пригласил к себе в санаторий. Место здесь красивое, старые дворянские уголки тургеневского времени, чудесные пруды, мощный лес, красивейшие виды подмосковия. Его бы, как поэта, захватило бы.

Прошу Вас извиниться перед ним и объяснить ему, что больным лежал в санатории.

Пожелайте т.Гришашвили дальнейших творческих успехов.

Москва. 8 мая 1959 г. Жму Вашу руку и дружески обнимаю.

Ваш И.Саркизов Серазини

შევწუხდი, მაგრამ რაღას ვიზამდი!

სანუგეშო ისღა მქონდა, რომ დიდი რუსი ინტელიგენტი ასე თბილად მწერდა ჩვენს საყვარელ პოეტზე. ასე კარგად იხსენებდა მას და გულწრფელად წუხდა, მათი შეხვედრა რომ არ მოხდა.

ეს დიდად სასიამოვნო იყო ჩემთვის და თანაც საამაყო. ვიცოდი, რომ სოსოსაც გავახარებდი ამ ამბით და ამიტომ სპეციალურად წავედი მეგობართან ამ ამბის სათქმელად.

სოსოს სახე გაუბრწყინდა. კიდევ უფრო მეტი სინანული გამოთქვა იმ „უიღბლობის“ გამო. რაც შეეხება მის ქებას, ბევრი ლაპარაკი აღარ განაგრძო. ერთი კი თქვა: ეჰ, რა საქები ვარო.

მართლაც და, ძალიან მორიდებული იყო, თავმდაბალი, თავაზიანი. „მგოსანი ვარ სუსტი, ნაზიო,“ ამბობს ერთ თავის ლექსში და ეს, მე ვფიქრობ, პირდაპირი აზრით უფროა ნათქვამი, ვიდრე გადატანითი მნიშვნელობით.

როდესაც აქებდით, თავს უხერხულად გრძნობდა, ხოლო თუ სხვას თავად აქებდა, გულით და ხშირად გადაჭარბებითაც. ამიტომ იშვიათ წარწერებს აკეთებდა გასაჩუქებელ წიგნებზე. პირადად მე ბევრი მაქვს მისგან ნაჩუქარი წიგნი და თითქმის ყველას აქვს მარტივი და გულწრფელი წარწერა „ჩემს მეგობარს“, „ჩემს ძმას და პირის ზიარებას,“ „ლადო ჯაფარიძეს, პოეტს, მხატვარს, ილიას პირველ მთარგმნელს და ჩემს მეგობარს, მოღვაწეს. სიყვარულის და სიხარულის ნიშნად ი.გრიშაშვილისაგან. 1958 წ. 20.V.“ 1916 თუ 1917 წელს ფოთში რომ დავპატიჟე და მეწვია, თავისი ლექსების წიგნს ასე წააწერა:

„მიყვარს მე შენი ორმაგი ნიჭი,
ნიჭი მხატვრული, ესთეტიკური,
და ჰა, მიიღე საჩუქრად, ლადო,

ეს ჩემი წიგნი, ეს ტეტიური“.

წერილებსაც ისე უბრალოს წერდა, მარტივს. შემომრჩა 1917წ. მისგან ფოთში მოწერილი ერთი ღია ბარათი: გ.Pოტი. Lადო D[აპარიდზე, - ასე წერს სოსო მისამართს. კიდევ კარგი, ფოთში მიცნობდნენ და არ დაიკარგა უმისამართოდ მოწერილი ბარათი. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო შემოღებული მისამართის ქართულად წერა. ტექსტი, რასაკვირველია, ქართულადაა დაწერილი: „ლადო! გთხოვ შენი გაზეთი, რომელიც ფოთში გამოდის, გამომიგზავნო აქ ერთი ცალი. მეც დაგეხმარები, შენი ი.გრიშაშვილი.“ თარიღი არაა აღნიშნული, მაგრამ ფოსტის ბეჭდის მიხედვით გამოგზავნილია ბორჯომიდან 1917 წ. თავის მისამართს იწერება: „ბორჯომი, სასტუმრო „ფირუზა“.

გაზეთი, რომლის შესახებაც სოსო მწერს, იყო ე. წ. „ამხანაგი,“ რომელიც გამოდიოდა ფოთში 1917 წელს, თებერვლის რევოლუციის შემდეგ, სოციალისტ ფედერალისტთა ჯგუფის ინიციატივით. ის სულ რაღაც ათიოდე ნომერი დაიბეჭდა. მას რედაქტორობდა ნიჭიერი ახალგაზრდა სევერიანე მუსერიძე. გაზეთი „ამხანაგი“ დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს და ი.გრიშაშვილმა თავის უნიკალურ ბიბლიოთეკაში ის სრულ განადგურებას გადაარჩინა.

ჩემს ქაღალდებში სოსოს ერთი წერილი აღმოჩნდა. ოღონდ, ბარათს მე არ მწერს. მისი ადრესატია აბასთუმანში დამსვენებელთა ერთი ჯგუფი. კონვერტზე პოეტის ფაქიზი ხელითაა გამოყვანილი მისამართი: „აბასთუმანი, სანატორიუმი „აღობილი“ და ქვემოთ ადრესატებს ჩამოთვლის: ა.ლოლუას, ე.ჯაფარიძეს, ი.ჯაფარიძეს, თ.ნოზაძეს, ნ.სალუქვაძეს.

გამგზავნის მისამართი ასეთია: თბილისი. რუსთაველის პრ. #2. ეს არის ყოფილი ქარვასლის შენობა (უკვე აღებული), სადაც პოეტი ცხოვრობდა 40 იან წლებში. წერილიც ისეთი თბილია, მეგობრული, როგორც მან იცოდა მხოლოდ.

„თქვენი საახალწლო მოლოცვა მივიღე, ჩემი ლექსების მკითხველებო. გამეხარდა! თქვენი გულწრფელი სიტყვები მაფრთოვანებს, რომ შემდეგში უფრო მძლავრად ვემსახურო ჩვენს დიდ ეპოქას და საყვარელ სამშობლოს.

დიდი მოკითხვა არეთას, რომელთანაც მითამაშნია თედოს როლი პიესა „მსხვერპლში.“

დაილოცოს ახალგაზრდობა!

მეგობრობას არაფერი სჯობია“.

აქვე, ცალკე გვერდზე მოყვანილია შემდეგი ლექსი - „მეგობარი.“

„მომივლია შოთას მხარე, მშობლიური მთა და ბარი,

მიძებნია, მიპოვნია გულითადი მეგობარი.

ვისაც არ სწამს მეგობრობა, ქურდია და მეკობარი.

ამტანია, გამტანია, მხოლოდ ერთი - მეგობარი.

ამიტომაც გამიგონეთ, გესმათ ჩემი ნაუბარი:

შეიძინეთ, შეიძინეთ, შეიძინეთ მეგობარი.

ი.გრიშაშვილი“.

- Обоятельный! - თქვა ერთმა ჩემმა რუსმა მეგობარმა მისი მისამართით. ალბათ შემოქმედებაც მიტომ ჰქონდა ისეთივე მომხიბვლელი, ჯანსაღი და ძარღვმაგარი.

ი.გრიშაშვილის ლექსები გაზეთ „ცნობის ფურცელში“ („სახალხო ფურცელში“) იბეჭდებოდა და მათი დანახვა გაზეთის გვერდებზე დღესასწაული

იყო ჩვენთვის - ახალგაზრდებისათვის. მაგრამ, სამწუხაროდ, არც ისე ხშირი იყო ასეთი დღესასწაული - იშვიათად თუ გამოერეოდა; სამაგიეროდ, ნამდვილი სიხარული და სიამოვნება იყო. ტყუილად არ უთქვამთ ჩვენს წინაპრებს: დაილოცოს ყველაფერი, რაც იშვიათიაო. ჩანს, ზომიერება უყვარდათ და აფასებდნენ მხოლოდ იმას, რაც თავსაყრელად არ ჰქონდათ.

- გრიშაშვილის ლექსია დღეს გაზეთში!.. - ვახარებდით ერთიმეორეს და თან იმ ლექსის ორიოდე პწკარს ზეპირად ვკითხულობდით. მაგალითად:

„შეითანბაზარს რომ გასცდება თათრის ფოლორცი,
ტრიოლეტივით დავყიალობ გაღმა გამოღმა...“

მოგვწონდა რითმათა სიმდიდრე და ორიგინალობა, ძველი თბილისის, ძველი გმირებისა და პოეტების ხსენება და ეს სიტყვები დიდხანს გვადგა ენაზე:

„მიყვარს თბილისი! ირაკლივით მუდამ მშფოთარი!
და მსურს აქ მოვკვდე, რომ მისი მზე სწვავდეს ჩემს კუბოს.
ან მსურს, მტკვრის ტალღამ ორთაჭალის ხრამს დამაგუბოს
(მიყვარს თბილისი, ირაკლივით მუდამ მშფოთარი).
და მე არ მინდა სხვა ანდერძი არავითარი:
ახლიჩეთ მწვადი... სთქვით ლექსები... აჟღერეთ თარი...
რომ საიქიოს საიათნოვა არ წამეჩხუბოს!
მიყვარს თბილისი! ირაკლივით მუდამ მშფოთარი
და მსურს აქ მოვკვდე, რომ მისი მზე სწვავდეს ჩემს კუბოს“.

- შემოალაჯე, ლადო!.. - მეტყოდა ხოლმე, როცა საღამო ჟამს მეგობრები ბინაზე მივაკითხავდით.

მას სტუმარი არ დაჰკლებია, რაც ლამაზი ოჯახი ააწყო და დიასახლისიც მშვენიერი შეხვდა - სტუმართმოყვარე, გულუხვი და გულკეთილი, ყველასათვის საყვარელი და პატივსაცემი ქეთო ჯაფარიძე.

მე არ მახსოვს, ამ შესანიშნავ ოჯახში მივსულიყავი და იქ ვინმე არ დამხვედროდა - ან სოსოს ახლობლები და მეგობრები, ან ქეთოს სასურველი ადამიანები.

რა ჯობდა მათთან მხიარულ ბაასს...

თინა ჯაფარიძე - ქეთოს და - რუსთაველის თეატრის მსახიობი და მისი ქმარი - ემანუილ აფხაიძე; სოსოს დისწული, მისი ბიბლიოთეკამუზეუმის გამგე, ანი ციციშვილი მეუღლითურთ; რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ცნობილი ბიბლიოგრაფი თამარ მაჭავარიანი; პოეტის ვაჟი ვახტანგი, მოქანდაკე ზაქარია კრაწაშვილი და მრავალი სხვა, ვინც მე სოსოს ოჯახში შემხვედრია, საუკეთესო ადამიანები იყვნენ, სოსოს სხვა მეგობარ მწერლებთან ერთად.

ი.გრიშაშვილის ბედი ის იყო, რომ ხანდაზმულობის ჟამს იგი შეხვდა შესანიშნავ, ერთგულ მეუღლესა და მეგობარს - ქეთო ჯაფარიძეს. თუ მანამდე ნამდვილ ბოჰემურ, დაუდეგარ ცხოვრებას ეწეოდა, ქეთოსთან შეუღლების შემდეგ წყნარი, ნანატრი ცხოვრების ჟამი დაუდგა. მთავრობამაც შესანიშნავი, საკადრისი ბინა გამოუყო ლენინის ქუჩაზე. როგორც იქნა, მიეცა „სადგური მყუდროებისა“.

ქეთო დაიბადა და აღიზარდა იურისტ კონსტანტინე ჯაფარიძის ოჯახში. ლექსებს კონსტანტინეც წერდა და ბეჭდავდა კიდეც, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა ისინი პერიოდიკაშია გაბნეული და ერთ კრებულში მოქცევა არ ღირსებია. თუმცა, მისი ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაშრომი მაინც მომეძევება, რომელსაც თუკი ვინმე უპატრონებს, მომავალი თაობებისთვის არ დაიკარგება.

და ვინ იცის, ვის რაში დასჭირდეს. ეს გახლავთ მიხეილ ლერმონტოვის პოემა „დემონის“ თარგმანი. ის ცალკე წიგნაკად 1928 წელს თბილისშია გამოცემული და 1929 წლის დეკემბერში, მასთან ოჯახში სტუმრობისას, თავად მთარგმნელმა - ძვირფასმა კონსტანტინემ მისაჩუქრა სათანადო თბილი წარწერით. თარგმანი ასე იწყება:

„დემონ მწუხარე, სული დევნილი,
ცოდვილი მიწის ზევით ფრინავდა.
უკეთეს დღეთა მოგონებანი,
მის წინ შეყრილნი, იდგენ მწკრივადა“.

მაგრამ კ.ჯაფარიძე (და ბევრი სხვა ნიჭიერი პიროვნება) ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების ფონზე არ ჩანდნენ, რადგან იმ დროს პოეტს სხვა მოთხოვნილებებს უყენებდნენ. ის უნდა ყოფილიყო ბელადი, მებაირახტრე, წინასწარმეტყველი, ნაციონალური და სოციალური საკითხების წინა პლანზე წამომწევი, მოქალაქეობრივი პრინციპების ერთგული.

მაშინ ჩვენი იდეალი იყო პოეტი მებრძოლი, პოეტი მეთაური და წინამძღოლი.

მართალია, ქეთო ჯაფარიძემ უმაღლესი სასწავლებელი თბილისში დაამთავრა და შემდეგ გერმანიაშიც სწავლობდა, ლაურეატობაც დაიმსახურა, როგორც სახელოვანმა მომღერალმა, მაგრამ მას ყველაფერზე მეტად ქალური მოკრძალება და სიფაქიზე ამშვენებდა, რაც, თავის დიდ ადამიანობასა და სილამაზესთან ერთად, უხვად ჰქონდა მომადლებული.

ომის დროს სვერდლოვსკში მომიხდა მოგზაურობა და როცა ჩემს გვარს გაიგონებდნენ ხოლმე, ყველა იმწამსვე ქეთო ჯაფარიძის შესახებ შემეკითხებოდა. აქებდნენ და ადიდებდნენ, როგორც მშვენიერ მომღერალსა და დიდებულ ადამიანს.

ქეთომ იშვიათი მეგობრობა გაუწია თავის სოსოს, უვლიდა და პატარა ბავშვივით თავს ევლებოდა.

ემანუილ აფხაიძემ ტყუილად კი არ უთხრა ქეთოს მის იუბილეზე ჩვეული ოხუნჯობით:

„შენ მითი ხარ მოგებული, სოსოზე ხარ მორგებული“ ო.

ეს იუბილე ქეთოს მადლიერმა ჩვენმა საზოგადოებრიობამ 1959 წლის 27 იანვარს მოუწყო.

ხელოვნების მუშაკთა სახლში მახარაძის ქუჩაზე ტევა არ იყო. ქეთო ღირსეულად შეამკეს ჩვენი საზოგადოების წარმომადგენლებმა. ქეთომაც ახალგაზრდობა გაიხსენა და თავისი ლამაზი სიმღერით დამსწრეთა ყურთასმენა დაატკბო.

უკვე ვთქვი, მისალმებით მსახიობი ემანუილ აფხაიძეც გამოვიდა. დარბაზი სმენად გადაიქცა. მისი ენამოსწრებულობა ყველას ხიბლავდა.

- იშვიათ ადამიანს, საუცხოო მომღერალს, ძვირფას ქეთოს, - დაიწყო ემანუილმა და წაიკითხა შემდეგი ლექსი:

„იშვიათი მომღერალი, მოქალაქე გაგებული.
ეჰ, რამდენი ტაში გახსოვს და ფულები აღებული.
სხვაზე ზრუნვა! ეს ცხოვრება შენ ასე გაქვს აგებული.
ვინც სხვას შველის, არასოდეს არ იქნება წაგებული.
თუმცა ბევრჯერ გაგამწარეს, დაგიკოდეს, მოკლეს გული.
მაგრამ მაინც მსუქნადა ხარ, სულ არა ხარ მოკლებული.

არ გვენახოს შენი გული გადაღლილი, შენიღბული,
არ გვენახოს შენი სული შერისხული - შენისლული.
შენ იმით ხარ მოგებული, სოსოზე ხარ მორგებული.
აქ დამსწრეთა სურვილია, ერთი საქმე გავაკეთოთ:
სანამ ძალგიძს, ესტრადიდან ფეხი თვით არ აღიკვეთო.
მოგისმინოთ, ყველას გვეთქვას: „ჩვენი ქეთო, ჩვენი ქეთო...“
და კნავილა მომღერლები გაგვიფანტო, დაგვიფეთო.
რაგინდ ნიჭით შევიმოსო, მაინც მჯობნის შენი სოსო.“

ქეთომ ამ შეხვედრაზე არაერთი სიმღერა შეასრულა და დამსწრე საზოგადოება ძალზე ასიამოვნა.

ის საღამო, შეიძლება ითქვას, მისი ნამდვილი „გედის სიმღერა“ იყო. შემდეგ საჯაროდ გამოსული აღარც მინახავს. მთელი ძალა და ენერგია ოჯახურ ცხოვრებას, საყვარელი მეუღლის მოვლა-პატრონობას მიუძღვნა. გაიტაცა ოჯახურმა ცხოვრებამ, საყვარელ მეგობართან ურთიერთობამ. მთელი დღეები ოჯახურ საქმეებს დასტრიალებდა და სოსოს ჯანმრთელობაზე ზრუნავდა, უვლიდა ბავშვივით, ხოლო როცა მეუღლე გარდაეცვალა, ყველაფერი გააკეთა სოსოს ანდერძის შესასრულებლად. დასაფლავების დღეს და წლისთავზეც თავის ფართო ბინაში თავი მოუყარა სოსოს მეგობრებსა და პატივისმცემლებს და, ძველი ჩვეულებისამებრ, გარდაცვლილი მოიგონეს ისე, როგორც პოეტმა ერთ ლექსში დაწერა:

- ახლიჩეთ მწვადი... სთქვით ლექსები... აჟღერეთ თარი!..

მერე ვინ აღარ იყო იქ. აუარებელი ხალხი!... თითქმის მთელი თბილისი.

მის შემდეგ ქეთოსაც აღარ უცოცხლია დიდხანს. იგი დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში.

ი.გრიშაშვილი საინტერესო პიროვნება გახლდათ: ყველაფერი სასიამოვნო იყო მასში, ყველაფერი მიმზიდველი. ადამიანებთან კეთილ დამოკიდებულებას უადვილებდა აუღელვებელი და მშვიდი ხასიათი, თავმდაბლობა და უბრალოება.

როგორ კოხტად აღადგენდა ხოლმე ძველ წიგნებს!

ლექსს წერდა თუ ნარკვევს, ყველაფერს დიდი დაკვირვებითა და პასუხისგებლობის გრძნობით ასრულებდა.

გამორჩეულად აღელვებდა ძველი, გარდასული ცხოვრების წესი, ნივთები თუ სიტყვები, აფიშები, არღანი... დუდუკი, კრივი... ჭიდაობა... და მაინც, უპირველესად ძველი წიგნები იწვევდნენ მის განსაკუთრებულ ინტერესს... გულს სხვაგვარად უჩქროლებდა მათი „ფურცლების ნესტი და ჟანგი“.

- მე შემიყვარდა ძველ წიგნების ნესტი და ჟანგი!

ვეტრფი ყოველგვარ ძველ დანაშთომს, ძველ ნატამალსა.

ახ, ნეტავ იმ დროს, როცა სწერდა „დასტურლამალსა“

მეფე ვახტანგი!...

1918 წლის მაისში გაზეთ „სახალხო ფურცელში“ ი.გრიშაშვილმა დაბეჭდა ერთი ლექსი, სადაც ის პირდაპირ აცხადებდა:

„მიყვარდა ტუჩი! - და შევიძაგე,
თვით ალერსსაც კი ვეტყვი უარსა.
რად მინდა ვარდი, რად მინდა ბაგე!
დღეს საქართველო ჯვარს იწერს... ჯვარსა...
და მე დამკოცნის სხვა ანგელოზი

და მეც დღეიდან დამეუფლება
თავისუფლება საქართველოსი
და ჩემი ლექსის თავისუფლება!“

ასე რომ, დიდმა პოლიტიკურმა ძვრებმა ი.გრიშაშვილის ლიტერატურულ ინტერესებს საკმაოდ დიდი სახეცვლილებაც განაცდევინა და მისი პოეზიის ინტიმურ სატრფიალო თემა საზოგადოებრივ მოქალაქეობრივი მოტივებით შეიცვალა.

ამ თემაზე ბევრი კარგი ლექსი აქვს პოეტს, მაგრამ მეხსიერებაში ყველაზე უფრო ღრმად მისი „დათოვლილი მედროშე“ ჩამრჩა.

ეს ლექსი ავტორმა ვალერიან გუნიას მიუძღვნა და მის იუბილეზე წაიკითხა პირველად არა უგვიანეს 1920 წლისა.

როგორც ცნობილია, ვ.გუნია პირველი იყო, ვინც ობლად დარჩენილ იოსებ გრიშაშვილს პატრონობა გაუწია და მისი გზის წინამძღოლობა იკისრა. პოეტი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ამჟღავნებდა მისდამი უღრმეს პატივისცემას და მეორე მშობელ მამას უწოდებდა.

ეს ლექსი, ალბათ, უფრო ამიტომაც ჩამრჩა მეხსიერებაში.

გაზაფხული იყო. არა მარტო ბუნებაში, პოლიტიკურ ცხოვრებაშიც დიდი ცვლილებების სასიხარულო ჟამი დადგა.

ქართული საზოგადოებრიობა ცნობილ მსახიობს და საზოგადო მოღვაწეს ვალერიან გუნიას იუბილეს უმართავდა.

ასეთი ამბავი იმ დროს ჯერ კიდევ იშვიათობას წარმოადგენდა, რადგან მეფის მთავრობა ძნელად თუ დასთანხმდებოდა რომელიმე ქართველი მოღვაწისათვის იუბილის გამართვას. ამ ზეიმში ფართო საზოგადოებამ მიიღო მონაწილეობა. მე, როგორც არაერთხელ მითქვამს, იმ დროს ფოთში ვმუშაობდი. ადგილობრივმა დრამატულმა საზოგადოებამ პატივი დამდო და იუბილეზე თავის წარმომადგენლად მიმავლინა ფოთის საზოგადოებრიობის სახელით მისასალმებელი სიტყვის სათქმელად.

ოპერის თეატრში ტევა არ იყო. მისალმება მისალმებას მოსდევდა. ბოლოს იოსებ გრიშაშვილი გამოვიდა და ვალერიანისადმი მიძღვნილი ლექსი უბადლო დეკლამაციით ისე წაიკითხა, რომ მქუხარე ოვაციამ კედლები შეაზანზარა.

აი, ეს ლექსიც:

„- ამირანმა დაფქვა ჯაჭვი, ცხრამთას იქით გადიარა.
შენ შეთოვლდი! და შენს ერსაც გაუმთელდა კვლავ იარა...“
„- ხომ აღსრულდა შენი ფიქრი და ქართველებს სხვა რა გვინდა?
ჰა, ასი წლის ნანატრი სულ ერთ წამში დაგვირგვინდა!...“
„- არ შევდრკებით, რაგინდ მტერი ჩვენს წინაღმდეგ მახეს ქსოვდეს,
უნდა აღდგეს საქართველო - ეხლა, ანდა ... არასოდეს!... “

- „ყველა ტუჩზე ვარდი მღერის, - განაგრძობს პოეტი, - ყველას ღიმი დღეს ატყვია, დღეს კაცისმკვლელ ტყვიის ნაცვლად - მოზუზუნებს ტაშის ტყვია!...“

დასასრულ პოეტმა მიმართა დამსწრეთ:

„და თქვენ, ხალხო, თუ ოდესმე მოგიძღვნიათ ჩემთვის ქება,
თუ ყოფილა თქვენს თვალებში ჩემი ლექსის აშუქება,
თუ ოდესმე მეც ვყოფილვარ სიყვარულის უსტაბაში
და სცენაზე გამოსვლისას თუ დაგიკრავთ ჩემთვის ტაში,
იგი ტაში, იგი ქება, აჰ, მეკუთვნის მე კი არა,
ეს ეკუთვნის ჩემს ვალიკოს, ვინც მე ლექსებს მაზიარა,

ვინც მე მზრდიდა ბალღობიდან, ვის ვეძახდი მშობელ მამას,

მე არა ვარ ტაშის ღირსი, ის ეკუთვნის ამას... ამას...“

დეკლამატორის იუბილარისაკენ შთამბეჭდავად გაწვდილმა ხელმა, ეფექტური ტონალობით, ანუ წამღერებასავით წამოძახილმა „ამას... ამას!...“ გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა...

იუბილარი - დიდი მსახიობი და ეროვნული მოღვაწე ვალერიან გუნია - უძრავად იდგა და ოლიმპოზე მდგარ ზევსს მოგაგონებდათ... იმ წუთებში ძნელი გასარჩევი იყო, ვის უფრო ეკუთვნოდა ის დაუსრულებელი ოვაცია და ვისი მისამართით უფრო ქუხდა ხალხის ერთსულოვანი ტაში.

მე ხშირად ვყოფილვარ მოწმე იოსებ გრიშაშვილის სცენაზე გამოსვლისა და მისი მისამართით აღფრთოვანებული ოვაციებისა, მაგრამ ასეთი ერთსულოვანი აღტაცება მე არ მახსოვს. ეს რაღაც განსაკუთრებული იყო, რაღაც იშვიათი.

ახლაც ისე მკაფიოდ ჩამესმის ხოლმე „ის ეკუთვნის ამას... ამას!...“, თითქოს გუშინ იყოო.

სოსო, როგორც უკვე ვთქვი, ძალზე მორიდებული გახლდათ. დიდ შეკრებილობებში არ უყვარდა ყოფნა, ხალხს თავს არიდებდა.

ერთხელ, რაღაც მიზეზის გამო, წვეულება განვიზრახე. დავპატიჟე ხალხი. სოსოსაც და ქეთოსაც ვთხოვე მწვეოდნენ. დამპირდნენ, სიამოვნებითო.

მაგრამ, რა მერე, არც სოსო და არც ქეთო არ მოვიდნენ.

შევწუხდი, ვიფიქრე, ავად თუ გახდნენ მეთქი და ამბის გასაგებად მათთან შევიარე.

ორივე საღ-სალამათი დამხვდა. ბოდიში მომიხადეს, უფრო კი სოსომ, - გავიგე, აუარებელი ხალხი გყოლია და, ხომ იცი, როგორ ვერიდები ასეთ ამბებს, ასეთ თავყრილობაზე რა ცუდად ვგრძნობ თავს. თან ღამის გატეხვას ვერ ვიტან. ქეთოც უჩემოდ მარტო აღარ წამოვიდა.

გულწრფელი იყო ეს განმარტება და მეც კმაყოფილი დავრჩი.

მიყვარდა მასთან ბაასი, მისი ტკბილი საუბარი.

ერთხელ თავისი უნიკალური ბიბლიოთეკა დამათვალიერებინა. ბინაში ყველაზე დიდი ოთახი მისთვის მიეჩინა. აუარებელი წიგნი მწყობრად ჰქონდა დალაგებული თაროებზე. მიკვირდა, როგორ აუდიოდა მათ მოვლას!

ყველაფერს დაწვრილებით მიხსნიდა და, თანაც, ზოგიერთ მათგანს ისეთი მძაფრი ინტერესით ფურცლავდა, თითქოს პირველად ეცნობაო.

ძველი არღანიც მაჩვენა. „გადაატრიალა“ კიდეც და სამოთხის ხმებად ჩაგვესმა ორივეს მისი ძველისძველი ჰანგები.

იქვე იდგა მისი ბიუსტი, მისი სკულპტურული პორტრეტი, რომელიც მოქანდაკე ზაქარია კრაწაშვილს გამოეძერწა დიდი ოსტატობით.

გავიდა საკმაო ხანი, რაც სოსო აღარ მენახა.

სამსახური და ყოველდღიური ცხოვრებისეული ამბები იმდენ დროსა და ენერგიას მართმევდა, რომ სურვილები განზე მრჩებოდა.

ერთხელ მე და ჩემი მეუღლე ლენინის ქუჩით ვაკისაკენ მივდიოდით. შემოდგომის მზიანი დღე იყო და ჩვენც აუჩქარებლად მივაბიჯებდით. ჯერ კიდევ შორიდან შევამჩნიეთ, რომ ბელინსკის ქუჩაზე გამომავალი ფანჯრიდან (მესამე სართულზე) სოსო და ქეთო ქუჩას გადმოჰყურებდნენ. გაგვიხარდა მათი დანახვა. იმათაც შეგვამჩნიეს და აღფრთოვანებით გვიქნევდნენ ხელს. სოსო თავის ქუდსაც აქნევდა და შინ მეპატიჟებოდა. - შემოალაჯეთ, ლადო, ორივემ, -

ჩამოგვძახოდა ზემოდან, შემოდით, რა! - მაგრამ საიმისო დრო არ გვქონდა და შესვლა ვერ მოვახერხეთ. „მერე შემოვივლით“, - შევძახეთ გამოთხოვებისას, მაგრამ ტყუილად არ უთქვამთ ძველებს, - „გადადებული საქმე ეშმაკისაა“ და ჩვენც შეუსრულებელი დაგვრჩა დაპირება.

*

1965 წლის აპრილის შუა რიცხვებში გაზეთ „კომუნისტში“ აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძის წერილი წავიკითხე, სადაც ავტორი დიდი გულისწუხილით მოუთხრობდა ქართულ საზოგადოებრიობას, თუ როგორ უნუგეშო მდგომარეობაში იხილა მისი და მთელი ქართველი ხალხის უსაყვარლესი მგოსანი იოსებ გრიშაშვილი.

თავის საგულისხმო წერილს პატივცემული გიორგი ასე ამთავრებდა:

„მიმდინარე (1965) წლის 23 აპრილს იგი (ი.გრიშაშვილი) უნდა დაესწროს თავისი ცხოვრების სამოცდამეთექვსმეტე გაზაფხულს. ეს არ იქნება მისთვის ჩვეული პოეტური გაზაფხული, რომელსაც წინათ ახალი სიმღერებით ეგებებოდა. მაგრამ მან მთელი ცხოვრება ქართული ლექსის უანგარო სამსახურს შეალია. ვინც სახელოვნად დაიფერფლა პოეზიის გრძნეულ პარნასზე და თავისი ერის სულიერი კულტურა გაამდიდრა, მისთვის სავალდებულო აღარ არის დიდების ახალ გვირგვინებს წნავდეს; მას შეუძლია დაიმედებული იყოს, რომ ხალხის მიერ საყოველთაოდ აღიარებული ძველი გვირგვინებიც ყოველთვის ახალ პოეტურ გაზაფხულს მიულოცავენ“.

წერილთან ერთად მოთავსებულია ს.კილაძის მიერ გადაღებული პოეტის ფოტოსურათი, საიდანაც აშკარად ჩანს მისი ავადმყოფობა.

ყველაფერმა ამან გული მატკინა და, განსაკუთრებით, პოეტის ფოტომ. ბევრი ვიფიქრე, წავსულიყავ თუ არა, რადგან ვშიშობდი, არ შემეწუხებინა ჩემი მისვლით. ბოლოს მაინც გადავწყვიტე წასვლა, რათა ერთხელ კიდევ მენახა ძვირფასი მეგობარი.

ვნახე კიდეც (ეს იყო 1965 წლის 16 მაისს) და ჩემი მძიმე შთაბეჭდილება შინ მოსვლისთანავე ჩავწერე რვულში.

მინდა პოეტზე ეს მოგონებები იმ ნაუცბადევად დაწერილი ჩემი შთაბეჭდილებებით დავამთავრო:

,,16.V.65.

დღეს სოსო გრიშაშვილთან ვიყავი.

კარგა ხანია, აღარ მინახავს, ვერაა კარგად. სამწუხაროდ, სულ სახლში ზის და გარეთ ვეღარ გამოდის. დავურეკე და ტელეფონთან ქეთო მოვიდა.

- ცუდადაა, გენაცვალე, - მითხრა მან, - მაგრამ, თუ მოხვალ, არ იქნება ურიგო, ეგება ესიამოვნოს შენი ნახვა.

წავედი. კარი მოსამსახურე ქალმა გამიღო, მაგრამ ზარზე ქეთომაც გამოიხედა, მომეგება გულთბილად და მისაღები ოთახისკენ გამიძღვა. იქ განიერ დივანზე იჯდა სოსო, მარტო, როგორც ყოველთვის, სუფთად ჩაცმული. ლამაზი პიჟამოს ქვეშ თეთრად გაქათქათებული პერანგი მოუჩანდა. ახალი გაპარსული იყო და თავზე მისი საყვარელი კახური ქუდი ეხურა. იატაკის ერთ წერტილს მისჩერებოდა გაყინული თვალებით.

- სოსო, გენაცვალე, აი, რა გახარო! - მიმართა ქეთომ, - შეხედე ვინ მოსულა! შენი ლადო! ხომ იცანი? მიესალმე, გენაცვალე, შენს ლადოს...

სოსომ თავი ასწია და გაქვავებული სახე ჩემკენ მოაბრუნა. ნელა, გაჭირვებით... კარგად დამაკვირდა, წარბები შეჭმუხნა, თითქოს მეხსიერებას იშველიებსო და... უცბად ძირს დაშვებული მკლავები გამოიშვირა, მომკიდა ხელი, მიმიზიდა და გულში ჩამიკრა...

ტიროდა... გულამომჯდარი ტიროდა, ჩუმად, უნუგეშოდ.

- როგორა ხარ, სოსო, გენაცვალე? - ძლივს ვახერხებდი ხმის ამოღებას და თან გულში ვნანობდი, რომ ჩემი მისვლით ტკივილი მივაყენე.

სოსო მომჩერებია ცრემლებით სავსე თვალებით და სდუმს... რაღაცის თქმა უნდა, მაგრამ ვერ ახერხებს... სახეზე ცრემლები ჩამოსდის, ენა არ ემორჩილება, რომ რაღაც მითხრას, თუნდაც ერთი სიტყვა.

- ეჰ, ამ საბრალოს ისეთი უბედურება ეწია, რომ ხმის ამოღებას ვეღარ ახერხებს, - ამბობს აცრემლებული ქეთო, - მაგის ცოდვით აღარა ვარ...

მე ვზივარ გარინდებული და ხმას ვერ ვიღებ.

- კარგი, გენაცვალოს ქეთო, კარგი, თორემ შეწუხდება შენი ლადო... ხომ გსიამოვნებს, როცა მოდის ხოლმე? ჰოდა, აბა, როგორ მოვიდეს, შენ თუ ასე შეწუხდები მის ყოველ მოსვლაზე?!

ის კი ზის თავჩაკიდებული და გულამომჯდარი ქვითინებს, ქვითინებს საცოდავად...

გაბრუებული ავდექი და მძიმე შთაბეჭდილებით დათრგუნული წამოვედი...

ბედნიერი იყო გრიშაშვილი, თავის მოწოდებას რომ მისდია და ცხოვრების მიზანს ეწია.

იმ გზამ ქართული პოეზიის პარნასზე აიყვანა!

თბილისში, ლენინის ქუჩაზე, ბელინსკის ქუჩის კუთხეში ლამაზი ხუთსართულიანი სახლი დგას. მის სადარბაზოში შესასვლელს მარმარილოს მემორიალური დაფა ამშვენებს, რომელზედაც იოსებ გრიშაშვილის სახის ბარელიეფია ამოტვირფული. ქვემოთ კი წარწერაა:

„ამ სახლში 1951 1965 წ.წ. ცხოვრობდა საქართველოს სახალხო პოეტი აკადემიკოსი ოისებ გრიშაშვილი“.

თითქოს ახლაც ამჩნევია სოსოს ფეხის ნაკვალევი ამ ადგილს!... მაგრამ ის უკვე ისტორიის კუთვნილებაა.

დღესაც, როცა ბელინსკის ქუჩაზე გავივლი ხოლმე, სოსოს ყოფილი ბინის ფანჯარას შევხედავ და ასე მგონია, ქეთოსთან ერთად აგერ აგერ გამოჩნდება და სიხარულით გადმომძახებს:

- შემოალაჯე, ლადო, ჩვენთან!...

იპოლიტე ვართაგავა

იპოლიტე პეტრეს ძე ვართაგავა ჩემზე დაახლოებით ოცი წლით იყო უფროსი, მაგრამ ეს ასაკი სრულებით არ უშლიდა ხელს ჩვენს დიდ მეგობრულ ურთიერთობასა და სიყვარულს. ათეული წლების მანძილზე ხშირად მიხდებოდა მასთან ბინაზე სტუმრობა გალაკტიონ ტაბიძის ქუჩაზე, სადაც ქმნიდა თავის მშვენიერ მოგონებებსა თუ კრიტიკულ წერილებს, სადაც სტუმრობდა მისი დიდი

ნამოწაფარი თბილისის სასულიერო სემინარიიდან - გალაკტიონ ტაბიძე აგრეთვე, ლეო ქიაჩელი და სხვანი, უფროსები თუ უმცროსები, რომელთა შორის ვიყავით მეც და ჩემი ტყუპისცალი გრიშაც, ბატონ იპოლიტეს კოლეგა გორის პედაგოგიური ინსტიტუტიდან.

ბატონი იპოლიტე და ჩემი ძმა ძალზე ახლოს იყვნენ ერთმანეთთან, მაგრამ ეს მეგობრობა მანამდე გრძელდებოდა, სანამ ერთად მსახურობდნენ გორში და ერთად უხდებოდათ იქ სიარული. გრიშას გარდაცვალების შემდეგ ბატონმა იპოლიტემ ჩემი ძმის სიყვარული ჩემზე გადმოიტანა. მის გულში დარჩენილი მეგობრის ხსოვნას ერთი მშვენიერი მოგონება მიუძღვნა, რომელიც, პატარა ბარათთან ერთად, სახლში გამომიგზავნა. ეს იყო 1962 წლის 20 თებერვალს.

ბარათში ვკითხულობთ:

“ძვირფასო ლადო!

სალამი! გიგზავნი მცირე მოგონებას გრიშას შესახებ. ჩემმა, ღრმა მოხუცებული ადამიანის, მეხსიერებამ მეტი ცნობები ვერ შემოინახა მის შესახებ. სხვა საჭირო ფაქტობრივი მასალა, სამწუხაროდ, მე არ მქონდა. ერთი დღის განმავლობაში და ისიც კარნახით დაიწერა, მაგრამ რა გაეწყობა! ნათქვამია: „სულით და გულით მიძღვნილი მცირედიც შეიწირებისო.“

სიყვარულით იპ.ვართაგავა

P.შ. თუ რამე შეცდომა და შეუსაბამობა ნახოთ, წაშალეთ. ი.ვ.“

დიდი სიყვარულით ჩავიკითხე ეს ბარათი და კიდევ ერთხელ ვიგრძენი, რომ მეგობრულ სიყვარულს ღრმა მოხუცებულობის ასაკიც კი ვერ აქრობს.

როდესაც იპოლიტე ვართაგავამ ჩემს ძმას მოგონება მიუძღვნა, 90 წლის მოხუცი იყო. იმ ასაკში რაკიღა წერა თავად აღარ შეეძლო, თავის ნანახ-ნაფიქრალს ახლობლებს კარნახობდა. ამ მხრივ მას დიდ სამსახურს უწევდნენ ქალიშვილი თინა, სოფელში დასვენებისას - რძალი ნინა, ხოლო ზოგჯერ შვილიშვილები ტარიელი და ავთანდილი.

ასე კარნახით დაწერა მან თავისი „თანამედროვე ქართველი მწერლები,“ რომელიც მის სიცოცხლეშივე დასაბეჭდად მოამზადა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“, უშუალოდ მისი მაშინდელი დირექტორის ელგუჯა მაღრაძის ინიციატივით. მაგრამ, სამწუხაროდ, ავტორის გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის მერე გამოიცა მხოლოდ.

მახსოვს ის დღეები, როდესაც აღნიშნული წიგნი გამოჩნდა ქალაქში; ელვისებურად გაქრა მთელი მისი ტირაჟი, მაგრამ მთავარი ეს როდი იყო: უმთავრესი ის გახლდათ, რომ მისმა ავტორმა სრულიად ახლებურად გაიაზრა მისი მრწემი თაობის შემოქმედება და ყოველ მათგანს ნამდვილად პოეტური საგალობელი უძღვნა.

რამდენ ახალგაზრდას გაეხსნა ჭეშმარიტი შემოქმედების გზა, მანამდე მავანთა და მავანთა წყალობით საგულდაგულოდ ჩაკეტილი რომ იყო.

მოკლედ, ამ წიგნმა მაშინ მთელი ლიტერატურული სამყარო აალაპარაკა. გადაჭარბებული არ იქნება ვთქვა, რომ ამ წიგნით გამოწვეული აღტაცება დღემდე არ განელებულა, როგორც არ განელებულა ვაჟას შემოქმედებაზე მისი გამოხმაურებითა და ვაჟას საპასუხო წერილის ექოთი გამოწვეული შთაბეჭდილება.

გადავიკითხე ბატონ იპოლიტეს მიერ ჩემს ძმაზე დაწერილი მოგონება და ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ჩემი ძმა გაცოცხლდა, მკვდრეთით

აღდგა. შეუსაბამობა, რა თქმა უნდა, არაფერი შემინიშნავს და კიდეც რომ შემენიშნა, თავს უფლებას როგორ მივცემდი, შემესწორებინა.

ამ მოგონების დაწერის შემდეგ იპოლიტე ვართაგავამ კიდევ ხუთი წელი იცოცხლა, ხუთი შემოქმედებითი წელი, რადგან უკანასკნელ დღეებამდე ქმნიდა, აზროვნებდა და კარნახობდა.

მანამდე კი ერთად დავდიოდით თბილისის მასწავლებელთა სახლთან არსებულ ლიტერატურულ წრეში, რომელსაც მწერალი, მთარგმნელი და ლექტორი სავლე აბულაძე ხელმძღვანელობდა.

ჩვენ, ამასთანავე, თავისუფალ დროს დავდიოდით თბილისის მედმუშაკთა ი.ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლთან არსებულ ლიტერატურულ წრეში, რომელსაც თითქმის ორმოცი წლის მანძილზე უცვლელად ხელმძღვანელობდა უკეთილშობილესი ადამიანი, მწერალი იოსებ პავლიაშვილი.

და აი, ამ წრემ დაბადებიდან 90 წლის იუბილე გადაუხადა იპოლიტე ვართაგავას. რა თქმა უნდა, დაიბეჭდა მოსაწვევი ბარათი, რომლის გარეკანზე მოთავსებულია ნახევრად პროფილში გადაღებული სურათი და ამ სურათის ქვეშ მისივე სიტყვები, რომელიც ჯერ იოსებ ნონეშვილმა დაბეჭდა „ლიტერატურულ გაზეთში“, ხოლო შემდეგ შევიდა მწერლის ზემოხსენებულ წიგნში. ეს სიტყვები ამოღებული იყო შოთა ნიშნიანიძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი წერილიდან: „კიდევ რამდენიმე წელი და მზადა ვარ, ამოვიღო საუკუნის გასაღები ჯიბიდან.“

მაგრამ ამ გასაღების ამოღება მხცოვან მწერალს აღარ დასცალდა და აღნიშნული საიუბილეო საღამოს შემდეგ მალე გარდაიცვალა.

დაუვიწყარი იყო ეს საღამო. მას ესწრებოდა საქართველოს მაშინდელი კათალიკოს პატრიარქი, ბატონ იპოლიტეს ნამოწაფარი თბილისის სასულიერო სემინარიიდან ეფრემ II, რომელიც გულმხურვალედ მიესალმა თავის სახელოვან მასწავლებელს.

გამოსულთა შორის იყვნენ: მწერალი იოსებ პავლიაშვილი და პოეტი შოთა ხოდაშნელი, აგრეთვე თავად იუბილარი, რომელსაც ფეხზე დგომა აღარ შეეძლო და პირდაპირ სავარძლიდან ლაპარაკობდა:

- მე რომ თვით მწერალთა კავშირშიაც მივეწვიეთ, რომლის ჩამოყალიბებასა და შენობის ხელში ჩაგდებაში, კოტე მაყაშვილთან ერთად, ერთ ერთი უპირველესი წვლილი მიმიძღვის, ან რომელიმე თეატრში გადაწყვეტილიყო ჩემი საიუბილეო საღამოს მოწყობა, არსად არ მივცემდი თანხმობას, გარდა ამ ლიტერატურული წრისა, ამ ისტორიული შენობისა, სადაც თვით დიდი ილია ჭავჭავაძე მსახურობდა და ხელმძღვანელობდა თავად აზნაურთა ბანკს, სადაც მას სეიფი ჰქონდა, სადაც ის ფიქრობდა ქართველი ერის ბედზე. სწორედ ამ დიდმა ადამიანმა პირველად მიკურთხა ჩემი პატარა კალამი და ჯერ კიდევ ყაზანის სასულიერო აკადემიის სტუდენტს ფართოდ გამიხსნა გაზეთ „ივერიის“ რედაქციის კარები.

მადლობა მის ნათელ აჩრდილს, რომელსაც თითქოს აქ ვხედავ... ჩვენს შორის...

აი, რატომ არის დღევანდელი საღამო ჩემთვის ძვირფასი, აი, რატომ მოვედი დღეს აქ - 90 წლის მოხუცი ადამიანი.

თქვენ კი, ყოველ აქ დამსწრეს, დიდ მადლობას გწირავთ იმ თბილი სიტყვებისა და კეთილი სურვილებისათვის, რაც თქვენ ჩემ მისამართით წარმოთქვით.

მე ღრმად მოხუცი... მივედი ისეთ ასაკამდე, რომ უკვე შევანელე მუშაობა და აი, ახლაა საჭირო ნამდვილი გამამხნევებელი შეძახილი საზოგადოებისა, რათა ჩვენმა ენერგიამ ისევ იფეთქოს და ძველებურად შეისხას ფრთები... და თუ თქვენი სურვილი ახდა, თუ მართლა მივაღწიე საუკუნის ჭერს, მაშინ ისევ ამოვალ ამ სცენაზე, საუკუნის გასაღებს ამოვიღებ და ყველას დაგლოცავთ...

მიმსალმებელთა შორის ვიყავი მეც. ბევრი რამ გავახსენე ძვირფას იუბილარს და ბოლოს ვუკურთხე ის მარჯვენა, რომელსაც იგი ართმევდა დიდ ილიას, ვაჟასა თუ აკაკის...

ეს საღამო და იპოლიტე ვართაგავას გამოსვლა გედის სიმღერა აღმოჩნდა: მწერალი მალე აღესრულა და, თუმცა საუკუნეს ბევრი აღარაფერი უკლდა, მაინც სამწუხარო იყო ისეთი კაცის სიკვდილი, რომელიც თავისი სიცოცხლით ამთელებდა მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეებს.

დღეს იგი მშვიდად განისვენებს დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში და უმწიკვლო პატიოსნება შარავანდედად ადგას მის ნათელ სახელს.

საქართველოს დამოუკიდებლობა

მოგონებების ეს კრებული პაპაჩემის სიცოცხლეშივე (1981 წლის ნოემბრამდე) იყო გამოსაცემად მომზადებული. მოგეხსენებათ, ამ კრებულში ვერ შევიდოდა მოგონებები საქართველოს დამოუკიდებლობაზე და შემდგომ მის დაპყრობაზე ბოლშევიკური რუსეთის მიერ. პაპაჩემს ვთხოვე დაეწერა მოგონებები ორივე მოვლენაზე, რადგან იგი თვითმხილველი იყო ყოველივესი. ვუთხარი, ეს მოგონებები არ გამოქვეყნდება (მაშინ საბჭოთა პერიოდი გახლდათ), მაგრამ შთამომავლობას მაინც დარჩება თვითმხილველის ნაამბობი მეთქი. მან ეს თხოვნა შემისრულა და დამიტოვა წარწერით „დათოსთვის“. ახლა მეძლევა საშუალება, გამოვაქვეყნო ორივე, რასაც დიდი სიამოვნებით ვაკეთებ.

დათო მაჭავარიანი.

ჩემი წერილი გრიშასთან, რომელიც იმ დროს ოჩამჩირეში მუშაობდა გიმნაზიის დირექტორის თანამდებობაზე:

თბილისი 1920 წ. მარტის პირველი. ორშაბათი.

ძვირფასო გრიშა!

ვერ იქნა და ვერ მოვიგდე ხელში დრო, რომ გულდასმით დავმჯდარიყავ და შენთვის წერილი მომეწერა. ისეთი კი არა, რომ „ჩვენ კარგადა ვართ და თქვენ როგორა ხართ მეთქი“, არამედ უფრო დაწვრილებით, უფრო ბუნებითი. დრო, მართალია, არც ისე მაქვს დანაწილებული, რომ ვეროდეს მოვიცალო, მაგრამ, სამაგიეროდ, უადგილობა (სათანადო ადგილის არქონა) უფრო მიშლის ხელს. შენც იცი, თუ როგორი მოწყობილი ვართ ჩვენს ბინაზე. იმ პატარა ოთახში უკვე ხაბაკების მეტი არაფერია (სხვა აღარაფერი ეტევა) და ამიტომ ყველამ თავი მოვიყარეთ წინა ოთახში; დიდი და პატარა ერთად ვართ, სასადილოც ისაა, სასტუმროც და საწოლიც; და აბა, როდის უნდა დავჯდე და ან სად, რომ წერილი დავწერო გულდასმით! სწორედ ახლა მივხვდი, თუ რა ცხოვრება დამიკარგნია

ფოთის დატოვებით. გახსოვს, რა ბედნიერად ვცხოვრობდი იქ საკუთარ სახლში, რა მოწყობილი! მერე რა სახლი! ახლა სამსახურს არ იტყვი? ის სამსახურს კი არა, სამფლობელოს უფრო ჰგავდა და საბატონოს. მოწყობილიც მშვენიერი. აქ კი - დიდი პასუხისმგებლობა და დიდი მუშაობა, ჯამაგირი კი პატარა. ერთადერთი преймущество ამ ჩემი ახალი მდგომარეობისა ისაა, რომ ფოთის მალარიას მოვშორდი და თბილისის ჯანსაღი ჰაერით ვსარგებლობ. მაგრამ, სამაგიეროდ, მალარია აქ ჯიბეს გაუჩნდა.

ჩემი მეზობელი მოსამართლე, რომელთანაც ერთ კაბინეტში ვზივარ, დიდი ხანია „ყრილობაზეა“ გაწვეული და იქ მუშაობს, მისი უბანიც მე მაბარია; ასე რომ, თუმცა მუშაობა მეტი მაქვს, მაგრამ სიმარტოვით ვსარგებლობ და, აი, ვიხელთე კიდეც დრო, რომ შენ ერთი კარგი გულიანი წერილიც მოგწერო.

ვზივარ სულ მარტო ჩემს განიერ კაბინეტში და არავინ მაწუხებს, მით უფრო, რომ მსახური მყავს ძველი მოსამართლიდან დარჩენილი, რუსი, ყოფილი ჯარისკაცი, ისეთი დისციპლინირებული, რომ ჩემთან არავის უშვებს უმოხსენებოდ. სულ „სმენად“ დგას.

შენ შემდეგ, რაც აქედან წახვედი, ჩემო გრიშა, აქ ბევრი ამბავი დატრიალდა. მადლობა ღმერთს, რომ მამაჩემმა ყველაფერი ეს თავისი თვალით იხილა! და ძალიან კმაყოფილიც იყო, მითუმეტეს, რომ სწორედ იმ დროს მოუხდა ჩამოსვლა, როცა საქართველოს დამოუკიდებლობის მიღების ცნობა მოვიდა საზღვარგარეთიდან. დიდებული მზიანი დღეები იდგა. ჩვენს სასამართლოში 12 საათზე გავრცელდა ხმა ამ აღმტაცი ამბის შესახებ. მე იმ დროს სხდომა მქონდა და ორ საათამდე ვერ გავთავისუფლდი.

მერე კი, მოგეცა ღვთის წყალობა, წავედი, რასაკვირველია, სახლისაკენ გავექანე პირდაპირ.

ქალაქი მთლად „გაბდღიალებული“ იყო ეროვნული დროშებით. ტრამვაი შეწყვეტილიყო, რადგან მუშებმა მანიფესტაციაში მონაწილეობის მიღება მოინდომეს. რუსთაველის პროსპექტი სავსე იყო ხალხით... გასაკვირია, ყველაფერი ისე უცბად მოხდა... საიდან გაიგო ასე სწრაფად ყველამ, რომ ასეთი ხალხმრავალი მანიფესტაცია მოეწყო. სამწუხაროდ, მე საკმაოდ შემაგვიანდა და ვეღარ მივუსწარი იმ აღფრთოვანებულ სიტყვებს, რომლებიც წარმოეთქვათ სასახლის აივნიდან ნოე ჟორდანიას და მთავრობის სხვა წევრებს, აგრეთვე დამფუძნებელი კრების დეპუტატებს. უდიდესი აღფრთოვანება გამეფებულიყო... ვინ ვის არ ჰკოცნიდა და ეხვეოდა... აღდგომის დღესასწაული გეგონებოდა, სოფელში რომ იციან ეკლესიის გალავანში აღდგომის წირვის დამთავრებისას... მეც, რასაკვირველია, გავერიე ხალხში, მეგობრებში, ნაცნობებში; მამაჩემიც და დათიკოც იქ იყვნენ და ერთად ვხარობდით.

იმ დღესვე დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის და მთავრობის სხდომაზე გადაეწყვიტათ, აეშვათ სასახლის თავზე ეროვნული დროშა (შტანდარტი) ნაცვლად წითელი დროშისა, რომელიც იქ ფრიალებდა რევოლუციის პირველი დღის შემდეგ.

შენც კარგად წარმოიდგენ, ჩემო გრიშა, თუ რა აღტაცებას გამოიწვევდა ყოველ ქართველში პარლამენტის თავზე საქართველოს ეროვნული დროშის აფრიალება!... ერთი კია, გორში მომხდარი სამწუხარო ამბის (მიწისძვრის) გამო, ნიშნად გლოვისა, მთავრობის დადგენილებით ახლა ის დახრილია...

იმ დღეებში - ამ ერთი კვირის წინ - საზღვარგარეთიდან აკაკი ჩხენკელი ჩამოვიდა რომელსაც მოხსენება უნდა წაეკითხა, საქართველოს საერთაშორისო

მდგომარეობის შესახებ სახელმწიფო (საოპერო) თეატრში. მეც და მამასაც, აგრეთვე ლენას და დათიკოს წინასწარ გვქონდა ბილეთები შეძენილი, უნდა დავსწრებოდით სახუმარო ოპერას „ქეთო და კოტეს“; მაგრამ, როცა თეატრში მივედით, გავიგეთ, რომ დღესასწაულის გამო (12 იანვარს), „ქეთო და კოტეს“ ნაცვლად მიდიოდა „აბესალომ და ეთერი.“ მამას ეს ძალიან ესიამოვნა, რადგან „აბესალომი“ არ მოესმინა; ჩვენ, დანარჩენები, „ქეთო და კოტესათვის“ ვიყავით უფრო განწყობილნი და კინაღამ სახლისაკენ გამოვბრუნდით, მაგრამ შევხედეთ, რომ ბილეთებით თუ უბილეთოდ დიდძალი ხალხი აწყდებოდა თეატრს. როგორც გავიგეთ, დიპლომატიური მისიებიც იყვნენ მოწვეულნი და მთავრობის მთელი შემადგენლობაც მოვიდა. რასაკვირველია, რაღას წავიდოდით შინ, იმწამსვე შევედით თეატრში და ჩვენი ადგილები დავიკავეთ.

რა სანახაობა ვიხილეთ, ჩემო გრიშა!... რა სანახაობა! შენ რომ აქ ყოფილიყავი, უთუოდ ცრემლებს ვერ შეიკავებდი, შენი ამბავი რომ ვიცი, დიდად მგრძნობიარე იყო ყველაფერი და გულის ამაჩუყებელი. ჩვენმა ალიოშამ, წუწუნავამ, ჯერ კიდევ ფარდის ახდამდე სცენიდან მიულოცა ხალხს „საქართველოს ბორკილის საუკუნოდ დამსხვრევა“ და, აიხადა თუ არა ფარდა, ჩვენს თვალწინ გამოჩნდა შესანიშნავი სურათი - ცოცხალი სურათი - ქალ ვაჟნი ქართულ ტანსაცმელში და „თეთრი გიორგი“ და ასეთები. მისი აღწერა შორს წამიყვანდა. ორკესტრმა შეასრულა ეროვნული ჰიმნი და მთელი ხალხი ფეხზე წამოდგა. შემდეგ დაუსრულებელი აპლოდისმენტებით და „ვაშას“ შეძახილით ეგებებოდა ყოველ - სცენას. ყველა დამოუკიდებლობაზე და მის მომავალზე ლაპარაკობდა. გამონაკლისი არ იყო. იმ ღამეს შინ უზომოდ ნასიამოვნები და კმაყოფილები დავბრუნდით.

მეორე დღეს აკაკი ჩხენკელის ლექციას დავესწარით სახელმწიფო თეატრში. ფეხზე ამდგარი ხალხი დიდი ოვაციებით შეხვდა და დიდხანს არ აცლიდა ლაპარაკს. ბოლოს, როცა „ქანცი გამოილია“, დაიწყო, როგორც იქნა, აკაკიმ, აღელვებით, მგრძნობიერად... დაიწყო იმით, რომ „დიდი დღე გაგვითენდაო,“ და ყველაფერი ეს ჩემს ბავშვობას მაგონებსო, როდესაც აღდგომის დღესასწაულზე სიხარულით ვეგებებოდით ერთმანეთსო, დიდ დღესასწაულს ვულოცავდით ერთიმეორეს ყველანიო. ჩვენი ეროვნული აღდგომის დღეც დადგა და მეც გილოცავთ საქართველოს აღდგომას მკვდრეთითო. ,,საქართველო აღდგა, ბატონებო!...” - შემოგვძახა აღტაცებით და, უნდა გენახა, რა ამბავი შეიქნა ამ სიტყვებზე, რა ამბავი! ბევრი ცრემლებს ვერ იკავებდა და ტიროდა კიდეც, არც რცხვენოდათ, ტიროდნენ პირდაპირ დიდი სიხარულისაგან... ტაშის ცემისაგან ხელები გვტკიოდა ყველას. ვლასა მგელაძე წამოხტა ადგილიდან და შესძახა აკაკის სცენაზე - „ჭეშმარიტად აღდგაო“ და ამან ხომ მთლად გადარია ხალხი. ვლასა კინაღამ სცენაზე შეხტა აღტაცებული, რომ გადახვეოდა აკაკის და გადაეკოცნა.

დიდი აღტყინება იყო სწორედ, დიდი, ჩემო გრიშა, და ეს წუთები მე არასოდეს დამავიწყდება. სიზმარი მეგონა. მამამაც კი იჯერა გული ცრემლებით.

აკაკის ლექცია-მოხსენება მის საზღვარგარეთ საქმიანობას შეეხებოდა - კერძოდ, საქართველოს რესპუბლიკის ცნობის თაობაზე სხვა დიდ სახელმწიფოთა მიერ. სხვაც ბევრი კარგი ილაპარაკა, მეტად საინტერესო და ამაღელვებელი.

მერე მწერალთა კავშირმა მამადავითზე ილიას, აკაკის და დიმიტრი ყიფიანის პანაშვიდის გადახდა გამოაცხადა და მათთვის საქართველოს

დამოუკიდებლობის მილოცვა. დიდძალი ხალხი იყო იქაც, მშვენიერი მზიანი დღე იდგა. ნოე ჟორდანიაც მოვიდა და დაესწრო წირვასა და პანაშვიდს... ნამდვილი ერთსულოვნება სუფევდა ირგვლივ. სად გაქრა პარტიული შუღლი და ბრძოლა, რომელიც ისე შხამავს მუდამ გულწრფელ მუშაკთა შორის დამოკიდებულებას.

მეორე კვირადღეს კი დიდუბის პანთეონში მიულოცა ხალხმა გარდაცვლილ მოღვაწეებს.

ამის შემდეგ რამდენიმე კვირამ და თვემაც გაიარა და უკვე ყველაფერი ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა, სიცივეებიც კი დაიწყო, ნამდვილი მოსკოვური, ჩვენთვის ჩვეულებრივი. ახლაც ყინავს, თუმცა ისე აღარ. მამამ თვალების მკურნალობაც მოასწრო; შატილოვთან დამყავდა და წამლებიც წაიღო.

7.III. ეს წერილი უკვე რამდენიმე დღეა, რაც დავწერე, მაგრამ ვერავის გამო-ვატანე. რაღაც იღბლად ამას წინათ აქ ვიქტორ ჟორჟოლიანი ვნახე და იმას ვატან ამ წერილსაც და შენს წიგნსაც (ჩელპანოვს), აგრეთვე, ჟუკის „Мать и дитя“-ს.

როგორც იქნა, ვალიკოს ფეხსაცმელები ვიყიდეთ, მივეცით 2000 მანეთი.

ჩვენ გვარიანად ვართ. თქვენი ამბავიც გვაცნობეთ მალე. გიგზავნი „საქ. რესპუბლიკის“ კვიტანციას.

ლენამ და ბავშვებმა გაკოცეს.

გუშინ მამას 5000 გავუგზავნე ფოსტით. მეშინია, სიძვირის გამო უხეიროდ დამთავრებული არ დაგვრჩეს ჩვენი სახლი. ახლა, თუ მოასწრებს შეიძინოს სახლის დამთავრებისთვის საჭირო მასალა, თორემ, ხომ ხედავ, როგორ ძვირდება ცხოვრება.

ყველაფერი იქეთ, სოფლისაკენ მინდა წავიღო. ისე მენატრება ერთი კარგი დასვენება ჩვენს სახლში. დიდი ფარდაგი ვიყიდე 4 არშინი X 7,5 არშინზე. 6000 მანეთი მივეცი საკომისიოში. დიდებული იქნება ჩვენს დიდ ოთახში მისი დაფენა.

სააღდგომოდ უთუოდ გეწვევით მე და ლენა ბავშვებით. სხვა რა მოგწერო? დათიკო დღეს დილით გორში წავიდა. საშაც ჩავა იქ ქუთაისიდან და ერთად დაათვალიერებენ, თუ რა უბედურება მოუტანა ქალაქს მიწისძვრამ. ხომ იცი, რომ ამჟამად ქალაქის თავად იქ პარმენია, ჩვენი პარმენი, ქველის.

მეც ვაპირებ სულ მალე გორში წასვლას.

ასე, ჩემო გრიშა, მოუთმენლად ველი, როდის ჩამოვალ შენთან და პირადად მოგიყვები უფრო დაწვრილებით.

შენი ლადო

დამოუკიდებლობის დაკარგვა

1981 წ. თებერვალი

რა მდგომარეობა იყო თბილისში ამ სამოცი წლის წინათ, სანამ ბოლშევიკები შემოვიდოდნენ, - უფრო იმხანად, როცა ამიერკავკასიის კომიტეტი იდგა თბილისში და ქვეყანას დამოუკიდებლად მართავდა, რადგან მოსკოვთან თითქმის აღარ იყო ურთიერთობა.

იყო ერთი ამბავი, პარტიათა შეხლა შემოხლა. ამას დაემატა უთანხმოებები ეროვნებათა შორისაც.

ამით ისარგებლა ომში დამარცხებულმა თურქეთმა და რუსეთის ჯარების მიერ დაპყრობილი ტერიტორია ბათუმიდან ტრაპიზონამდე, რომელიც უპატრონოდ მიატოვა ფრონტზე მდგომმა ჯარებმა, თოფის გაუსროლელად კვლავ დაიკავა და ძველ საზღვრებს მოადგა. ულტიმატუმიც გამოგზავნა, ბათუმიც დაცალეთ, ის ჩვენიაო.

გადაწყდა ოსმალეთთან მოსალაპარაკებლად დელეგაციის გაგზავნა, მაგრამ თურქეთმა, როგორც ამბობდნენ, ამიერკავკასიის დელეგაცია არ მიიღო, მე კავკასია არ ვიცი, მელაპარაკოს საქართველოს მთავრობაო. ამიტომ ამიერკავკასიის კომიტეტს გამოეყო საქართველოს წარმომადგენლობა და საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

ამასთან ერთად ცალ ცალკე დარჩნენ სომხეთიც და აზერბაიჯანიც, აზერბაიჯანელები ბაქოში გაემგზავრნენ, ხოლო სომხეთის წარმომადგენლებმა მოულაპარაკებლად ერევანში წასვლა არ ისურვეს. ლაპარაკი ეხებოდა თბილისს, რომელიც მათი წინადადებით, თავისუფალ ქალაქად უნდა გამოცხადებულიყო, საქართველოს დედაქალაქი ქუთაისი იქნებოდა, ხოლო სომხეთის - ერევანი.

მაგრამ საქართველოს დელეგაციამ ძალიან შორს დაიჭირა ეს აზრი, დედაქალაქად თბილისი გამოაცხადა და დაიკავა სასახლე თავის ადგილსამყოფლად.

ამგვარად, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ ოსმალეთთან მოლაპარაკება შესაძლებელი გახადა. მოგვარდა საზღვრების საკითხიც.

მთავრობის თავმჯდომარედ ნოე ჟორდანია აირჩიეს, როგორც ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი პარტიის ლიდერი. ირგვლივ უზომო სიხარული სუფევდა, ხუმრობა ხომ არ იყო: ერმა თოფის გაუსროლელად, უბრძოლველად და უსისხლოდ მოიპოვა თავისუფლება. მაგრამ ამას ხომ შენარჩუნება უნდოდა და აკი ყველაფერი კეთდებოდა საამისოდ. საზღვარგარეთ წავიდნენ რესპუბლიკის წარმომადგენლები - საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი და აკაკი ჩხენკელი, რათა იქ ე. წ. „უმაღლეს საბჭოში“ იურიდიულად ეცნოთ საქართველო, როგორც სახელმწიფო. გამოვუშვით საკუთარი ფული; შეიქმნა ჯარი და სხვა საჭირო სახელმწიფოებრივი ორგანოები... ავად თუ კარგად, ასე ვიცხოვრეთ სამ წელიწადს, დამოუკიდებლად, ჩვენივე თავის პატრონად. მაგრამ ამას ვერაფრით ვერ ეგუებოდნენ გარეშე მტრული ძალები. ყველაფერს აკეთებდნენ ქვეყნის დამოუკიდებლობის ძირის გამოსათხრელად. გზავნიდნენ აგენტებს, ჯაშუშებს, აწყობდნენ ვითომ აჯანყების ინსცენირებებს... რაშიც თავი, განსაკუთრებით, ოსებმა გამოიჩინეს. მაგრამ მენშევიკური მთავრობა არ მოერიდა თავის სოციალისტობას და სასტიკად გაუსწორდა მათ, რომ იტყვიან - ცეცხლითა და მახვილით... ამას გარდა, აქტიურობდნენ დენიკინელები, მაგრამ მტრებმა ვერაფერი წაიღეს, პირიქით, გენერალ მაზნიაშვილის რაზმმა კრასნოდარამდე სდია მათ და კუდით ქვა ასროლინა... მოსვენება კი მაინც არ იყო: ახლა სომხებმა წამოყვეს თავი, ვითომ უსამართლო საზღვრის გამო და ფიცხლად შემოგვიტიეს, მაგრამ ჩვენმა ჯარმა ისინიც მოიგერია და დიდხანს სდია დამარცხებულს, სანამ ინგლისელები არ ჩაერივნენ და ჩვენს მთავრობას არ მოსთხოვეს ქართული ჯარის შეჩერება.

ერთი სიტყვით, მოუსვენარი და დაულაგებელი ცხოვრება იყო... თუმცა არც სხვაგან სუფევდა მშვიდობა, უფრო მეტიც, ე. წ. რევოლუციის შემდეგ

რუსეთის მთელ იმპერიაში ისეთი უბედურობა ტრიალებდა, რომ ყველა ისევ საქართველოსკენ მორბოდა, აქ ეძებდა შედარებით დაწყნარებულ ცხოვრებას და პოულობდა კიდეც. ვის არ ნახავდით თბილისის ქუჩებში, განსაკუთრებით, რუსებს - მწერლებს, მეცნიერებს, ხელოვნების მოღვაწეებს.

ჩვენი დამოუკიდებლობა ერთერთმა პირველმა რუსეთმა ცნო. ჟორდანიამ გრიგოლ უროტაძე გაგზავნა ლენინთან. მან აღიარა საქართველოს სახელმწიფოებრიობა და ოფიციალურად მიიღო ჩვენი რესპუბლიკის ელჩი - გერასიმე მახარაძე. რუსეთის ელჩად თბილისში - კიროვი გამოგზავნა. მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ევროპის სახელმწიფოების მიერ ცნობას და მართლაც, 1920 წლის დასაწყისში ასეც მოხდა.

ჩემს ქაღალდებში გრიშასთან გაგზავნილი წერილი აღმოვაჩინე. გრიშა იმხანად ოჩამჩირეში გიმნაზიის დირექტორი გახლდათ, მე თბილისში ახლანდელი პირველი მაისის ქუჩაზე ვცხოვრობდი და მომრიგებელ მოსამართლედ ვმუშაობდი.

ბევრი რამე გამახსენა იმ წერილმა. მინდა მოკლედ გიამბოთ, დამოუკიდებელი საქართველოს ბოლო დღეებზე.

1919 წლის შემოდგომაზე მე ბაქოში წავედი სამუშაოდ ჩვენი რესპუბლიკის საელჩოში პირველი მდივნის თანამდებობაზე. გაბრიელ ხუნდაძე დაინიშნა იქ სრულუფლებიანი ელჩის პოსტზე გრიგოლ ალშიბაიას ნაცვლად და აღარ მომეშვა, - წამოდი და წამოდიო. გაბო ჩემი ამხანაგი იყო მოსკოვის უნივერსიტეტიდან, იშვიათი კეთილშობილი, უშიშარი ვაჟკაცი და შესანიშნავი ორატორი. ბოლშევიკი იყო, ლენინის მიმდევარი და მეგობარიც. ცნობილი იყო, როგორც ალექსეი მოსკოვსკი და პოპულარული გაუტეხელი მებრძოლი, ბაქოს „ბაილოვკის“ და მოსკოვის ბუტირკის ხშირი „სტუმარი“. ასე რომ, გამობრძმედილი რევოლუციონერი იყო და, თანაც, მეტად პოპულარული. მის ბინაზე მოსკოვში სტოლეშნიკოვის შესახვევში ხშირად იმალებოდა სტალინი.

საელჩოს «советник»-ად გაბომ მიშა ჩოჩია წამოიყვანა, ჩვენი საერთო ამხანაგი მოსკოვის უნივერსიტეტიდან, ხოლო საფინანსო განყოფილების გამგედ - მიშა გერმანოვიჩი, ქუთაისელი.

ბაქოში ჩვენი საელჩოს თანამშრომლები საბჭოთა დაწესებულებების კოლეგებთან შედარებით უკეთ ცხოვრობდნენ, რადგან ხელფასს იღებდნენ საქართველოს ვალუტით - ფულის ნიშნებით, რომელიც საბჭოთა ფულზე მეტად ფასობდა და დიდი მოთხოვნილებაც იყო. ამიტომ მე იქ ჩემი ხელფასით ბევრი კარგი ნივთი შევიძინე და ზოგიერთივით კომერციული ნიჭი რომ მქონოდა, კიდევ უფრო მეტს შევიძენდი, მით უფრო, რომ წამოსვლისას ცალკე ვაგონი მომცეს, ხოლო ჩემს ბარგს თან ხელშეუხებლობის სათანადო საბუთები ახლდა. მე ამ უპირატესობით, რასაკვირველია, არ მისარგებლია და თბილისში დიდი სიხარულით ჩამოვედი, რადგან თავი ცოცხალი ჩამოვიტანე. არ დაგავიწყდეთ, მეთერთმეტე არმიის საქართველოს საზღვრებისაკენ დაძვრისთანავე ბაქოში ჩვენი საელჩოს ყველა თანამშრომელი დააპატიმრეს და მხოლოდ თებერვალში გაათავისუფლეს, როცა აქაც კომუნისტური ხელისუფლება დამყარდა.

თბილისში ჩამოსვლისას წარვუდექი საგარეო საქმეთა მინისტრს - ევგენი გეგეჭკორს, მოადგილეს კონსტანტინე საბახტარაშვილს, გადავეცი ელჩის მოხსენება და პირადადაც მოვახსენე ჩვენი რესპუბლიკისადმი ბაქოს დამოკიდებულების შესახებ. სამინისტროში ბევრი კარგი მეგობარი მყავდა. ყველაზე უფრო ახლობელი იყო საშა აბაშელი (ჩოჩია), ჩვენი ცნობილი პოეტი,

აგრეთვე, არტურ ლაისტი, დიდი ილიას მეგობარი გერმანელი მწერალი. თვითონ კ.საბახტარაშვილიც, - ის ხომ საფრანგეთში უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ფოთში ცხოვრობდა; ევგენი ხომ თავისთავად, როგორც ჩემს დროს მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი. მოკლედ, ყველა ახლობელი იყო. ყველას დიდი შიში ჰქონდა ჩვენს რესპუბლიკაზე მეთერთმეტე არმიის თავდასხმისა. ნოე ჟორდანიას მთავრობა ყოველმხრივ ემზადებოდა ამისათვის და ხალხსაც ამზადებდა ფსიქოლოგიურად: კაციჭამია ბოლშევიკები უღმერთოები არიან და არავის ზოგავენო, რაც ნამდვილად იყვნენ. შიშით ყველანი ვცახცახებდით. კომუნისტების პროპაგანდა კი, პირიქით, მენშევიკებს აგინებდა, ჩვენ - მოსახლეობას, სამოთხის ბედნიერებას გვპირდებოდა, პირველ რიგში, პურის თეთრ ფქვილს. ეს უფრო იმიტომ, რომ ჩვენს მთავრობას პურის ფქვილი აკლდა და მოსახლეობისათვის უმეტესად სიმინდს იყენებდნენ, რასაც თბილისელები ცუდად ეგუებოდნენ. მაგრამ ბოლშევიკები ფქვილს საიდან მოგვიტანდნენ, როცა თვითონაც არა ჰქონდათ და მთელს რუსეთში შიმშილი მძვინვარებდა.

ნაიანვრევს დავბრუნდი ბაქოდან იმის გამო, რომ ვეღარ გავუძელი საშინელ პირობებს. „საშინელი“ იმიტომ იყო, რომ ახალად დამყარებული კომუნისტური რეჟიმი მკაცრობდა, ბაქო კი ვერ ეგუებოდა ცხოვრების ასეთ პირობებს, რაც ვერ წარმოედგინა მანამდე. ამიტომ ყველაფერი არეული და აშლილი იყო... ქალაქის მაშინდელი მდგომარეობა ენით არ აიწერებოდა: ყველაფერი ჩაბნელებული და ჩალეწილი, მაღაზიები დახურული, ბაზარშიც არაფერი იშოვებოდა. ყველა გარბოდა ქალაქიდან, სად?! საქართველოში, თბილისში, რომელსაც სამოთხეს ეძახდნენ. ნახევარი ბაქო ჩეკაში იჯდა - ზოგი სიმდიდრისათვის, ზოგი საბოტაჟისათვის, ვითომ სპეკულაციისათვის და, რა ვიცი, კიდევ რისთვის. ჩეკა ნამდვილი რისხვა იყო ყველასათვის.

მეც კი დამაპატიმრეს, სრულიად უდანაშაულოდ, რასაკვირველია. როგორც მერე გამოვარკვიე: - თბილისში აზერბაიჯანის საელჩოს პირველი მდივანი დაეპატიმრებინათ. სამაგიეროდ, (ვ ოტმესტკუ) ბაქოში გადაწყვიტეს, მე დავეპატიმრებინე - საქართველოს საელჩოს პირველი მდივანი. მაშინებდნენ კიდეც ჩეკაში, თქვენო, მძევლად გვყავხართ და რა სასჯელსაც ჩვენს მდივანს გამოუტანს საქართველოს ხელისუფლება, იმ სასჯელს მიიღებთ თქვენცო. ასე რომ, ჩემი ბედი ჩემზე კი არ იყო დამოკიდებული, არამედ სხვაზე. მე თუგინდ უდანაშაულო ვყოფილიყავი და „აბრაამის ბატკანი“, სასჯელს მაინც ვერ ავცდებოდი, თუ თბილისში დაპატიმრებულს დასჯიდნენ. ჰოდა, რა გული დამიდგებოდა ამის შემდეგ ბაქოში. ამიტომ, როგორც კი გამათავისუფლეს, იმ დღესვე შევეხვეწე ჩვენს ელჩს, გაბრიელ ხუნდაძეს, გავეთავისუფლებინე სამსახურიდან.

ბაქოს კომუნისტები ძალიან ცუდად გვიყურებდნენ საქართველოს საელჩოს თანამშრომლებს; მათ წინააღმდეგ მებრძოლებად გვთვლიდნენ, თუნდაც იმისთვის, რომ სხვებთან შედარებით, ცოტად თუ ბევრად უკეთ ვცხოვრობდით, ბინა კარგი გვქონდა, ულუფებიც კარგი გვეძლეოდა და მზარეულიც ცალკე გვყავდა. თანაც, ჩვენი ფული დიდად ფასობდა და იქ ოქროს ვალუტასავით გადიოდა. თან, მშვენიერი მანქანაც გვქონდა, რომელზედაც ჩვენი ეროვნული ალამი ფრიალებდა. მანქანები კი ამ დროს მხოლოდ დიდი თანამდებობის პირებს ჰქონდათ.

ყველაფერი ეს ლურსმანივით ესობოდათ იქაურ მაშინდელ ხელისუფალთ თვალში და სულ მიზეზს ეძებდნენ ჩვენ წინააღმდეგ; გაზეთში სულ საქართველოსა და მისი მთავრობის გინება ეწერა, - „ყვითელი“ საქართველოსი, სადაც „მუშებს სისხლის ღვარში“ ახრჩობდნენ და „აწვალებდნენ“.

ბაქოს დაკავების შემდეგ საქართველოს ჯერიც დადგა. ორჯონიკიძე იმ დროს ბაქოში იყო და მეთერთმეტე არმიით საქართველოზე გამოსალაშქრებლად ემზადებოდა. ის იქ არა მარტო სარდალი და კომუნისტების მეთაური, არამედ, ერთპიროვნული მბრძანებელიც ბრძანდებოდა.

მაგრამ საქართველოს, ანუ დამოუკიდებელი სახელმწიფოს საზღვარს უმიზეზოდ ხომ ვერ გადმოლახავდა, არადა, საქართველოში შემოსვლა უზომოდ სწყუროდა. საზოგადოებას ფსიქოლოგიურად ამზადებდა: ვითომ საქართველოში მუშებს ავიწროებენ, აწამებენ და აჯანყება აჯანყებას მოსდევსო და ნუთუ მუშურგლეხური ხელისუფლება ასე გულგრილად უნდა მისჩერებოდეს მათ ტანჯვას. ჩვენი ლოზუნგი ხომ ერების თვითგამორკვევაა... ეს ლოზუნგი ჩვენს მუშებს დიდხანს ჰქონდათ საანეკდოტოდ, მათ შორის, ასეთი ლექსიც: „თვითგამორკვევა ერების ლოზუნგად ჰქონდათ ქცეული, საქმით კი ყველა გასრისეს, ვინც ნახეს გამორკვეული.“ ასე მოუვიდა ჩვენს ქვეყანასაც, კრემლის ნებართვისთანავე, მეთერთმეტე არმია საქართველოსკენ დაიძრა.

მაშინვე მთელი ამერიმერი ფეხზე დადგა. დიდი, პატარა, მუშა თუ მრეწველი, პარტიული თუ უპარტიო, ყველა თოფ იარაღს მოითხოვდა ფრონტზე წასასვლელად - თვით ბოლშევიკებიც კი, ქართველი ბოლშევიკები, რადგან მათ სწამდათ, რომ ჯარებით ნამდვილი ბოლშევიკები კი არ მოდიან, რომლებიც ერის თავისუფლებისათვის იბრძვიან ყველგან და ყოველთვის, არამედ რუსები, და ისიც მხოლოდ შავრაზმული ნაწილი, შოვინისტები, „დიდი და განუყოფელი რუსეთის“ „წარმომადგენლები,“ რომლებიც ვერ ითმენენ რომელიმე ერის რუსეთიდან გამოყოფას. მუშებთან მათ არაფერი აქვთ საერთო და პირწავარდნილი იმპერიალისტები არიან.

ასე იყო თუ ისე, წამოვიდა მეთერთმეტე რუსის არმია. ორი კვირა გრძელდებოდა ბრძოლა. განსაკუთრებით გააფთრებით ქართველი მუშები იბრძოდნენ, იბრძოდა ახალგაზრდობა, მოწაფეებიც კი, ბიჭებიც, და გოგოებიც. თავს არავინ იზოგავდა. ნამდვილი სახალხო ბრძოლა გაუმართეს ოკუპანტებს.

მე იმ დროს თბილისში ვიყავი და გულის ფანცქალით ვადევნებდი თვალს შექმნილ მდგომარეობას. ცოლშვილი გახიზნული მყავდა ქუთაისში და მთელი დღეები, ისე როგორც თითქმის ყველა თბილისელი, ფრონტიდან ახალი ამბების მომლოდინე რუსთაველის პროსპექტზე, სასახლის წინ ვიდექი. ფრონტზე კი გაცხარებული ბრძოლები მიმდინარეობდა. იმდენად გაცხარებული, რომ იყო მომენტები, როცა მტერი უკვე დამარცხებულიც კი გვეგონა. მახსოვს გაზეთი «Борьба» - თბილისის იმდროინდელი რუსული გაზეთი - 20 თებერვლის ნომერში წერდა: თუ როგორ დაამარცხეს ჩვენმა ჯარებმა კარზე მომდგარი მტერი: «Победа!» - იყო სათაური ჩვენი გენერალური შტაბის ცნობისა.

მაგრამ მიუხედავად ამ გამარჯვებისა, ჩვენმა მცირერიცხოვნებამ ვერ გაუძლო რიცხვმრავალ მომხდურს. ისინი სხვადასხვა მხრიდან მოადგნენ რესპუბლიკის საზღვრებს. თვით მამისონის გადმოსავალიც კი არ დაუტოვებიათ გამოუყენებელი. იქ ჩვენი ჯარი არ იდგა, რადგან ის ბუნებრივად დიდი თოვლით იყო გამაგრებული, რომლის გადმოლახვას არავინ მოელოდა.

ვთქვი, იმ დღეს თბილისში ვიყავი მეთქი, და ჩემი თვალით ვიხილე ის ჯოჯოხეთი, რომელიც შემოსულებმა დაატრიალეს.

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, მოსახდენი მოხდა! მერე და მერე, რუსის ურდოებმა თბილისს აღამაჰმადხანი დაავიწყეს.

გამოვედი ქუჩაზე, ირგვლივ სიცარიელეა. ბოლოს ერევნის მოედანზე რომ ამოვედი, ორიოდე უძილობისაგან თვალებჩაღამებული მოხუცებული დავინახე, ერთს წითელი ქსოვილი შემოეხვია მკლავზე. მითხრეს, ჩვენმა ჯარებმა დატოვეს ქალაქი და სულ მალე რუსის ჯარები შემოვლენო. ესენი თურმე ჩემსავით შემორჩენილები ყოფილან და „სეირის“ საყურებლად მოსულან.

მე გულშემოყრილი ვიდექი და წასვლას არ ვაპირებდი. ან სად უნდა წავსულიყავი? სახლში? - სამსახურში ხომ სულ არავინ აღარ იქნებოდა. ვიდექი და ვუცდიდი ჯარების შემოსვლას. აქა იქ გამოჩდნენ ჩემსავით შემორჩენილები - ორი სამი კაცი - და, ბოლოს, რუსის ქალების ერთი პატარა ჯგუფიც. დამლაგებლები იყვნენ თუ კერძო ოჯახებში მოსამსახურენი, მხიარულად მოდიოდნენ პროსპექტის მხრიდან და მზესუმზირას აკნატუნებდნენ, ცხადია ჩენჩოს ქუჩაში აფურთხებდნენ. ძალიან გახარებულნი იყვნენ, - ეტყობოდათ და უცდიდნენ თავიანთი ძმების შემოსვლას. იცინოდნენ, ხარხარებდნენ ამ უსაზღვრო ნაღვლითა და წუხილით შეპყრობილ გარემოში.

- Ха ха ха! А помнится Груня, ერტი, ორი, ერთი, ორი, - სიცილით ერთმანეთს ასკდებიან.

ჩვენ - მე და ჩემსავით დამუნჯებული ის ორიოდე მოხუცი - ახლანდელი აღმასკომის შენობის წინ ვიდექით. ამ დროს ერთი ინტელიგენტი მოვიდა და ისიც ჩვენთან დადგა. რომ შემატყო დაღონება, გამომელაპარაკა. პოლონელი ვარო, მითხრა. ისიც ძალიან შეწუხებული იყო - ჩემზე არანაკლებ, მაგრამ თავს ინუგეშებდა და მეც მარწმუნებდა, რომ სამ თვეში ჟორდანიას მთავრობა ისევ თბილისში იქნებაო. ესენი აქ მეტს ვერ გაძლებენო და უგუნურად მოხითხითე რუსის ქალებს ბრაზმორეული მისჩერებოდა.

ამასობაში ახლანდელი ლესელიძის ქუჩიდან, რომელიც იმ დროს მეტად ვიწრო იყო, ცხენოსანთა რაზმი გამოჩნდა. დაღლილ დაქანცულობისა და უძილობის გამო თვალებჩაღამებული მხედრები, განუყრელი ბუდიონოვკებით თავდამშვენებულნი, მშიერმწყურვალნი ძლივს მოლასლასებდნენ. ერთნაირ მაზარამოსილთაგან მეთაურს ვერ გამოარჩევდით. აღმასკომის წინ კიდევ მოეყარა თავი რამდენიმე კაცს. რაზმი მცირე ხნით აღმასკომის შენობის წინ შედგა და დაიძახა, - Да здравсвует советская власть, ура! მაგრამ საპასუხო ,,ურას" მთქმელი არავინ იყო, გარდა იმ რამდენიმე რუსის ქალისა.

- Да здравствует Советская Грузия! - დაიძახა ერთმა მათმა ალბათ მეთაურთაგანმა და ჩვენც გამოვფხიზლდით. ცოტა მომეშვა, გრუზია რომ ახსენეს. რუსის ქალებმა კი გაკვირვებაც გამოხატეს. ვინმე ეფიმოვი უსირცხვილოდ „იგონებს“ ,,Заря"-ს ფურცლებზე: „На улицах масса народа, красные флаги, много цветов, приветственные возгласы". და რაც მთავარია, «Повсюду радость!» - გვარწმუნებს, თითქოს მართლა ვისმეს რაიმე უხაროდა, გარდა იმ მზესუმზირაჭამია რუსი გოგოებისა.

კარგა ხანს ვიდექი ქალაქის გამგეობის შენობის წინ, ჯარები თავის გზას გაუდგნენ. მე სასახლისაკენ წავედი, იქნებ ვინმე ნაცნობს გადავყროდი და გამეგო, რა უბედურება იყო ჩვენ თავს. ზოგი ამბობდა, ჩვენი ჯარები მცხეთის სიმაღლეებზე გამაგრებულანო და უბრძოლველად წითელ არმიას

დასავლეთისკენ არ გაუშვებენო, ზოგი კიდევ რას. პროსპექტზე დამფრთხალი ხალხი დაბოდიალობდა. ამ დროს შევხედე და... „ზემელის“ მხრიდან რუსი ჯარისკაცების კონვოის მოჰყავდა ჩვენი ჯარის ნაწილები, დატყვევებულნი. იქ ოფიცრებიც ერივნენ, მათ შორის, ჩემი ნაცნობებიც. ისინი შტაბში მიჰყავდათ.

უაზროდ დავბორიალობდი ნახევრადდაცარიელებულ პროსპექტზე მთელი დღე და ნაცნობებთან გამოლაპარაკებისას ხავსივით ვებღაუჭებოდი, ვინმე რამე საიმედოს თუ იტყოდა. იმ დღეს შევხვდი აბელ ენუქიძეს, თბილად ეცვა, თავზე ფაფახი ეხურა, გვერდზე ვიღაც მოჰყვებოდა. გამაცნო. ალიოშა სვანიძე გამოდგა, შემდგომში ჩვენი რესპუბლიკის მთავრობის ერთ ერთი წევრი - ფინანსთა მინისტრი (სტალინის ცოლისძმა). აბელი, როგორც მითხრა, ნოე ჟორდანიასთან შესახვედრად ჩამოსულიყო, ლენინის დავალებით, მაგრამ ვეღარ ჩამოასწრო და იმავე დღეს ქუთაისისკენ გაემგზავრა, იქნებ სადმე წამოსწეოდა.

მემედბეგის ამბავი

მემედბეგ აბაშიძე, აჭარელი თავადიშვილი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე. მან ერთერთმა პირველმა მაჰმადიანმა ქართველმა, თავის ძმებთან ჰაიდარბეგთან და ზიაბეგთან ერთად, ორიენტაცია დედასამშობლო საქართველოზე მაშინ აიღო, როდესაც რელიგიური ფანატიზმით გონებაარეული სხვა მისი თანამემამულენი ჯერ კიდევ ოსმალეთისკენ იმზირებოდნენ.

ეს სამი ძმა აბაშიძე დიდ პროპაგანდას ეწეოდა მაშინდელ აჭარაში და ეროვნულ, პატრიოტულ შეგნებას აღვივებდა ხალხში.

მემედბეგი ხშირი სტუმარი იყო ხოლმე ჩვენი „სახელგამისა“, როდესაც მე იქ ვმუშაობდი. ადრეც მოგახსენეთ, ჩვენი დაწესებულება მოთავსებული იყო რუსთაველის პროსპექტზე #22ში, ოპერის პირდაპირ. მწერლები, პოეტები, მხატვრები, - გამომცემლობათა „შტაბში“ ვინ გინდა, არ მოდიოდა საქმეზე, თუ მეგობრებთან შესახვედრად; მით უფრო, მეტად მარჯვე ადგილი იყო ამისათვის და დასვენებაც შეიძლებოდა, დარბაზში სკამები ბლომად გვქონდა.

ჰოდა, მემედბეგიც ასე შემოივლიდა ხოლმე და პირდაპირ ჩვენს ოთახს მოაშურებდა. ვისხედით და ვსაუბრობდით. მემედი განსაკუთრებით შეხუმრებული იყო თავის ძველ მეგობართან - პავლე საყვარელიძესთან. შესანიშნავი მოსაუბრე იყო აჭარელი თავადი, ასეთივე შესანიშნავი გარეგნობის, მაღალი, მხარბეჭიანი, რკინასავით კუნთები ჰქონდა, მაგარი. ხელს რომ გართმევდა, შიში გიპყრობდა, - არ მომამტვრიოსო; ქერა გახლდათ, თმახუჭუჭა, ცისფერთვალება. დიდი პატრიოტი იყო და ყველგან დიდი პატივით მიღებულიც.

ერთხელ პავლე ცუდ გუნებაზე მოვიდა სამსახურში, - „ტრამვაიში საათი ამომაცალეს ჯიბიდანო“ და ძალიან წუხდა, მთელი დღე დაღვრემილი იყო, არც გაუღიმია. შუადღისას თავისი განიერი ნაბიჯით შემოაბიჯა მემედმა. - გამარჯობა. როგორა ხართ? პავლე, რა გუნებაზე ხარ, კაცო?... დანა კბილს არ გიხსნის... რა მოგივიდა? - პავლემ შესჩივლა თავისი გაჭირვება.

- ხა,ხა,ხა,ხა... - ხითხითებს მემედი, - აგრე მოგიხდება!... ლოთები ხართ, ბიჭო, და მისი ბრალია!... ალბათ ჩაგეძინა და იმიტომ ვერაფერი გაიგე... აბა, მე კი არ დამეკარგება ჩემი საათი, ვენაცვალე ამას, - თქვა მემედმა, პიჯაკის ჯიბიდან უშველებელი საათი ამოაგორა „Doxa“-ს ფირმის, ძველი, იშვიათი სიზუსტით მომუშავე. - როგორ დაკარგე, ბიჭო, საათი?... დაბერდი ალბათ უკვე და ისაა... სად უნდა გამოყო თავი სირცხვილით! - აღიზიანებს პავლეს.

მემედს ხაკისფერი კოსტუმი ეცვა, თავზე კრაველი ეხურა. პავლეს გასართობად ის დრო ხუმრობაში გაატარა.

არ გასულა ერთი კვირა, რომ მემედი ისევ გვეწვია. 192930 წლები იყო. რაღაც უხალისოდ გამოიმზირებოდა.

- ეჰ, ბიჭებო, „ნუ დასცინი სხვასაო, გადაგხდება თავსაო“. რა კარგად უთქვამთ იმ ცხონებულ ჩვენს წინაპრებს. მეც შენსავით არ დამემართა, ჩემო პავლე?!... საათი ამაძვრეს, ის ჩემი დიდი საათი, ჩემი „დოქსა“. რა საათი, რა საათი, რა მომუშავე, რა საიმედო!... სადღა ვიშოვი ახლა ასეთს?!... - არა, როგორ ვერ შევამჩნიე მე ოხერმა, მეძინა, თუ რა მომივიდა?... - სასოწარკვეთილი შუბლზე ირტყამდა ხელს. - ვაი, მის დედასა, რა იღბალი ჰქონია, რომ ვერ შევამჩნიე, თორემ მარილივით მივაფშვნიდი იმ ორივე ხელს!...

მართლაც, მემედი იშვიათი ძალის პატრონი იყო, მტერსაც კი არ ვუსურვებდი მის „მარწუხებში“ ჩავარდნას...

მემედი ახალგაზრდა წავიდა ამ ქვეყნიდან. დიდი ხანი არაა, რაც მისი ნაწერები გამოვიდა ერთ წიგნად. მე დაუყოვნებლივ შევიძინე ის და სიყვარულით ვინახავ ჩემს წიგნებში..

იმ დღესვე მემედის საათის ამბავი უკვე თითქმის ყველა მწერალმა იცოდა, რომელიც ჩვენს გამომცემლობაში დადიოდა. ისინი მეტისმეტად გაამხიარულა ამ ამბავმა და მემედბეგს ათასნაირი ეშმაკური კითხვებით ახელებდნენ.

- კაი, ბატონო, რა მოხდა ასეთი?... - იგერიებდა მემედი აბეზრებს. - ნეტავი სულაც არ გამემხილა ეს ამბავი!... პავლე, სულ შენი ბრალია ეს, თავი რომ მომჭერი... თქვენ არაფერი დაგკარგვიათ, თქვე დალოცვილებო?... - იცინოდა თვითონაც და ჩვენც გვაცინებდა.

იგდირი

1904 - 1909

იგდირი იყო ერევნის გუბერნიის სურმალინის მაზრის ცენტრი. მამაჩემი იქ ქუთაისიდან გადაიყვანეს სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორად 1904 წლის სექტემბერში. ქუთაისში კი პირველ სამოქალაქო სასწავლებელში მასწავლებლად მუშაობდა.

ჩვენ (მე, გრიშა, ვალიკო, საშა) იქ, მშობლებთან, საშობაო არდადეგებზე ჩავედით. სუსხიანი ზამთარი იყო. სადგურ კარხუნიდან 25 კილომეტრი ფაეტონით გავიარეთ და კინაღამ გზაში გავიყინეთ. გიმნაზიელის ფორმაში გამოწყობილ 1011 წლის საშას ფეხები გაეყინა, სიცივისაგან ტირილი დაიწყო, ეტლიდან გადმოვიდა, - იქნებ ფეხები გამითბესო და ეტლს გვერდით სულ

ტირილ-ტირილით მოსდევდა; ვერ გავაჩერეთ, ცრემლები ღაპაღუპით მოსდიოდა.

მეეტლემ პირდაპირ სასწავლებელში მიგვიყვანა, სადაც ჩვენები ცხოვრობდნენ. ჩვენ დანახვაზე დედა სიხარულისაგან ატირდა. 7 წლის დათიკო ყველა ძმას კისერზე გვეხვეოდა და აღარ გვშორდებოდა. სომეხ ტოლ-ამხანაგებთან ურთიერთობისას სომხური აეთვისებინა.

სასწავლებელი ძალიან კარგ, ერთსართულიან ქვის შენობაში იყო მოთავსებული, სადაც სამი ოთახი მამას ეკავა. ერთი სამუშაო კაბინეტი იყო, ორი მოზრდილი ოთახი დიდი აივნით კი - ბინა.

ჩვენი ჩასვლა იგდირის მთელ ინტელიგენციას იმავე დღეს გაეგო. ბევრი მოდიოდა ჩვენ სანახავად. ისინი უკვე დამეგობრებოდნენ ჩვენს ოჯახს, უხაროდათ, რომ ახალგაზრდა მშობლებს უკვე ასე მოსწრებული და ამდენი შვილი ჰყავდათ. მართლაც, მამაჩემს ხუთი ვაჟი ვყავდით. მეექვსე - ჩვენი დაიკო - სწორედ იმ ზაფხულს დაგვეღუპა დიფტერიით. დედაჩემი გულმოკლული იყო მისი დაკარგვით, ჯერ კიდევ ვერ შერიგებოდა ამ უბედურებას და ჩვენს დანახვაზე ტირილიც ამიტომ ვეღარ შეიკავა...

რამდენიმე წელიწადს ცხოვრობდა მამაჩემი იგდირში და ადგილობრივი მაცხოვრებლების დიდი სიყვარული დაიმსახურა.

იგდირში ცხოვრობდნენ სომხები და თათრები, აგრეთვე, ჩასული მუშა-მოსამსახურეები, უფრო რუსობა. მოსამსახურეებიდან ბევრი იყო ქართველიც: მამაჩემი - სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორი (ე.ი. გამგე, დირექტორი), არჩილ ციხისთავი - ფოსტის კანტორის უფროსი, ილია ჭყონია - მომრიგებელი შუამავალი, დავით დათეშიძე - ამოსაღებთა ინსპექტორი, ავქსენტი ტყემალაძე - ბოქაული და ა.შ. მახსოვს შესანიშნავი ადამიანი, ჩვენი ოჯახის დიდი მეგობარი, პოლკოვნიკი დულაევი, მგონი, ზაურბეგი ერქვა, ოსი იყო ეროვნებით, ლამაზი, წარმოსადეგი ვაჟკაცი. კიდევ უფრო ლამაზი, ნაზი და მეტად სიმპათიური ცოლი ჰყავდა, ოსი ქალი. შვილები - ბიჭებიც, გოგოებიც. ნეტავ სად არიან და როგორ არიან ეს კეთილშობილი და საყვარელი ადამიანები?!. შვილები, თორემ თვითონ ზაურბეგი და მისი მეუღლე, რასაკვირველია, ცოცხლები აღარ იქნებიან უკვე.

ილია ჭყონია და მისი მეუღლე ანა - მერაბ ლორთქიფანიძის ასული - ბოლო დროს თბილისში ცხოვრობდნენ, გარდაიცვალნენ 30იან წლებში. ილია მწერალი იყო და მე და გრიშას თავისი ერთტომეული გვაჩუქა; ავქსენტი ტყემალაძეც იმავე ხანებში გარდაიცვალა. ერთადერთი მისი ქალიშვილი ოლია ვასო გოლოვინს გაჰყვა ცოლად და მშვენიერი გოგონა დარჩა, თვითონ სულ ახალგაზრდა გარდაიცვალა; არჩილ ციხისთავი, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური განათლება არ ჰქონდა, დიდი პატრიოტი იყო, მოყვარული ქართული ლიტერატურის, თვითონაც წერდა პატარ-პატარა მოთხრობებს, მგონი ბეჭდავდა კიდეც. ცეკვავდა მშვენივრად, ხშირად ჩოხა-ახალუხს და უფრო ძველებურ ქართულ ქულაჯას ატარებდა. ფოსტის უწყებაში ნახევარ საუკუნეზე მეტი იმსახურა. გარდაიცვალა 1959 წელს თბილისში. დარჩა ვაჟი და ორი ქალიშვილი. დავით დათეშიძესაც ქალიშვილები დარჩა, ცხოვრობენ თბილისში.

ქართველებიდან, მართლა, კინაღამ დამავიწყდა სიმონ აგიაშვილი, ორკლასიანი სასწავლებლის გამგე. მასწავლებლებიდან: გიორგი კუპრაშვილი, ანანია გოგუაძე (ჯამლეთის ძე), კონსტანტინე გამყრელიძე (გიორგი ჯაფარიძის ქალიშვილი ჰყავდა ცოლად). მასთან ერთი წლის ცხოვრების შემდეგ 1909 თუ 1910 წელს ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე: ჯერ ახალგაზრდა ცოლი მოკლა

რევოლვერით და იქვე თვითონაც მოიკლა თავი. ეს მოხდა ვერის დაღმართზე, იქ, სადაც შემდეგ მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი ცხოვრობდა.

ადგილობრივი მაცხოვრებლებიდან მახსოვს მაღაზიების პატრონები: ისაბეკიანები, კანაიანცები, შახსუვარიანები, ტერმანუილიანი, აკოფიანი. ყველა ესენი დიდი მეგობრები იყვნენ მამასი და კიდევ უფრო არჩილ ციხისთავისა. სულ ერთად იყვნენ, ჭირში, ლხინში. თათრებიდან მახსოვს დიდი გვარის მაკინსკები, მგონი, თავადები იყვნენ, ანუ ბეგები; მაკინსკი რაშიდხანი, მუხტარბეგი, მუსახანი, შამშადინოვები და სხვანი.

მგონი, იმ იგდირელი ისაბეკიანის შვილია თუ შვილიშვილი მხატვარი ედუარდ ისაბეკიანი, რომელსაც არჩილ ციხისთავის მშვენიერი პორტრეტი დაუხატავს ზეთის საღებავებით, ქულაჯით (თბილისის სამხატვრო აკადემია დაუმთავრებია).

იგდირში ქართველებიდან იყო აგრეთვე ქსანტე დგებუაძე თავის მეუღლე პელაგეა ჯაფარიძესთან ერთად. გამოსაღებთა მეორე ინსპექტორს სოკოლოვს ქართველი ცოლი ჰყავდა (როგორც ელიკო ციხისთავმა მითხრა, არჩილ ქურდიანის სიმამრი ყოფილა თურმე,). ს.კულპში, სადაც ქვამარილის საბადოები იყო, ე.ი. ჩვენებურად აღზევანში, ფოსტის უფროსად აგიაშვილი მუშაობდა, ს.აშტარაკში სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორად მამას ამხანაგი - მელიტონ ჭიჭინაძე; ერევნის გუბერნიის სახალხო სასწავლებლების დირექტორი იმ დროს ცნობილი პედაგოგი ალექსი ჭიჭინაძე იყო.

მამაჩემს რამდენი ჰქონდა ჯამაგირი, არ ვიცი, მაგრამ 1906 წელს მან ინსპექტორის პენსია დაიმსახურა, ამიტომ ჯამაგირი და პენსია ერთად კარგა „ბლომად“ გამოდიოდა. იმ დროს შესანიშნავი ხორცი (ახალი, რასაკვირველია, განა გაყინული!) გირვანქა - შაური ღირდა, ე.ი. ოყა - 15 კაპიკი (კილო 1213 კაპიკი), გირვანქა ბრინჯი - 3 კაპიკი, „აქულა“ ბრინჯი - 4 კაპიკი, ბოთლი ღვინო - შაური (5 კაპიკი), ასევე იაფი იყო რძის ნაწარმი. შესანიშნავი მსხვილთვალა „განჯური“ ყურძენი გირვანქა 1 კაპიკი ღირდა, ფუთი - 40 კაპიკი.

ცუდი იყო, რომ სასმელი წყლის უქონლობის გამო არაქსის მღვრიე წყლით სარგებლობდნენ, რომელიც ბაღებისა და ყანების მოსარწყავად ქუჩებში მოზრდილი თხრილებით მოედინებოდა. სასმელად სპეციალურ ქვის გობებში გაფილტრულ წყალს ხმარობდნენ. ასე რომ, ყოველ ოჯახში იდგა დიდი ქვის გობები, რომლებშიც არაქსის მღვრიე წყალი ესხა და მთელი დღის განმავლობაში უკვე დაწმენდილი წვეთ-წვეთად ჩადიოდა იმ გობებს შედგმულ ჩაფში. ავსების შემდეგ, ცრემლივით ანკარა წყალს სხვა ჭურჭელში გადაასხამდნენ და იმ ჩაფს ისევ შეუდგამდნენ ქვის ფილტრს. გასუფთავებული წყალი უკვე გემრიელიც იყო და კრიალაც.

ჩვენი ოჯახისათვის ძნელი იყო ასეთ წყალთან შეგუება, მაგრამ რას ვიზამდით. რაჭაში ისეთი კარგი წყლებია, მტკნარიც, მჟავეც და ასეთ სიკეთეს მიჩვეულნი, იძულებულნი ვიყავით, წვეთობით მიღებული წყლით დავკმაყოფილებულიყავით.

იქ ტყეები არსად არის. ირგვლივ უნაყოფო მარილიანი მიწაა. შეშა არსად იშოვება, ამიტომ ისე, როგორც ყველა, ღუმელს წივით ვათბობდით, რომელიც საქონლის ნაკელისაგან კეთდება (პურივით ზელენ და მერე მზეზე აშრობენ). წივა წვის დროს დიდ კვამლს უშვებს, ამიტომ იქაურ ხალხს სულ დაწითლებული, დაავადებული თვალები აქვს.

ქუთაისიდან იგდირში მივდიოდით ერევნის მატარებლით, თბილისის გავლით. ჩავდიოდით სადგურ კარხუნში, საიდანაც იგდირამდე 25 ვერსი ეტლით უნდა გაგვევლო. მაგრამ გზა იყო ლარივით სწორი და მეეტლეები ხშირად გააქანებდნენ ხოლმე ცხენებს ისე, რომ სულ ხვითქი გასდიოდათ საწყლებს. ირგვლივ ტრიალი, მოხმეტილი, უნაყოფო ველები ჩანდა, თითქოს თეთრი მარილით მოფრქვეული. თუ სადმე ალვის ხეები გამოჩნდებოდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ იქ სოფელი იყო. ჩანდა მხოლოდ ლამაზი, ამაყად მომზირალი დიდი არარატი.

პარმენ ცახელი

პოეტმა ცახელმა ჩემს ცნობიერებაში ჯერ კიდევ იმ დროს დაიკავა საკმაოდ საფუძვლიანი ადგილი, როდესაც სკოლის ასაკში შეგნებული ცხოვრების გზაზე პირველ ნაბიჯებს ვდგამდი. წაკითხულ წიგნებს ბავშვური უშუალობით აღვიქვამდი; შესაძლოა ბუნდოვნად, მაგრამ ცხოველი ინტერესით.

1890იანი წლები იყო. მე იმ დროს ონში სამაზრო სასწავლებელში ვსწავლობდი და ძალიან მიყვარდა ჩვენი ოჯახის საწიგნე კარადასთან ტრიალი.

ერთხელ მე და ჩემმა ძმამ გრიშამ ჩვენ ,,წიგნსაცავში" ასეთი სათაურის წიგნი აღმოვაჩინეთ - „გურგენ რაინდი"; ლეგენდა ცახელისა, - ეწერა ყდაზე. გადავფურცლეთ:

„ლომსავით ქეჩოაყრილი,
ადიდებული, მძვინვარი
მოჰქუხს რიონი, მთებს შუა
ამყად ჩამომდინარი"...

რიონი? ჩვენი რიონი!... ცას ვეწიეთ ბავშვური სიხარულით. „ზევით ცას შეჰყეფს მუქარით და ქვეშ გლეჯს დედამიწასა", - ასე იყო მოცემული იქ ჩვენი საყვარელი მდინარის სურათი; შემდეგ აღწერილია პეიზაჟები - კორდები, სერები, ძველი კოშკები და ციხე-დარბაზები, საიდანაც „სათოფურები მრისხანედ იყურებიან":

„თავზარსა სცემენ მოსულ მტერს
და სიკვდილს ემუქრებიან".

გაგვიტაცა გურგენ რაინდის თავგადასავალმა, მტრებთან საბრძოლველად მისმა სალაშქროდ წასვლამ, შემდეგ მზაკვარი მოურავის ღალატმა და გურგენის ოჯახში დატრიალებულმა უბედურებამ, რასაც საბოლოოდ სიმართლის გამარჯვება მოჰყვება: „გამხიარულდა სასახლე კვლავ გურგენ ბედნიერისა". მისი ფინალი ჩვენს ბავშვურ გულებს სიხარულით ავსებდა.

მას შემდეგ, რაც მამაჩვენმა განგვიმარტა, თუ ვინ იყო ცახელი - იგივე თვალჭრელიძე, მისდამი ინტერესი კიდევ უფრო გაგვიძლიერდა და უფრო გულმოდგინედ გადავიკითხეთ მისი პატარ-პატარა წიგნები. ამ გამოცემებს ლამაზ, გმირულ წარსულში გადავყავდით, სადაც ქვეყნის სასიკეთოდ იწვოდა ვაჟკაცთა სული. გარდა ამისა, დაგვაინტერესა პოეტის მშობლიურმა კუთხემაც, კერძოდ, მისმა სოფელმა ცახმა. ამიტომ ქუთაისიონის გზაზე მგზავრობისას მუდამ დიდი ინტერესით ვაკვირდებოდით ჭრებალოს გაღმა ამართულ მთებს, სადაც ხშირი ტყეებით გარშემორტყმული პოეტის სოფელი ცახი გვეგულებოდა.

ჩვენი ბავშვური წარმოდგენით, შესაძლოა, იქ თვით გურგენ რაინდსაც არაერთხელ უვლია თავისი ჯარით.

სამშობლოს, ერის ერთგულებითაა გამთბარი ცახელის შემოქმედების ყოველი სტრიქონი, ამიტომ დიდი სიყვარულით ვიყავი განწყობილი მისი შემოქმედებისა და პიროვნებისადმი. სურვილი მქონდა, ავსულიყავი პოეტის სოფელ ცახში, გამეცნო თავად პოეტიც და მისი პოეტური სამყაროც.

მოგიყევით უკვე, - 1906 წელს მოსკოვის ერთერთ სტუდენტურ წრეში თვალჭრელიძის გვარი ამოიკითხეს. მე ყურადღებით მოვათვალიერე შეკრებილნი, მაგრამ ქართული სახე ვერსად დავინახე, ამიტომ ძალიან გამიკვირდა, როცა ერთერთ სტუდენტზე მიმითითეს. მას მეტად სიმპათიური რუსული სახე ჰქონდა; ტანმორჩილი, ქერა, სერიოზული გამომეტყველებით

გამოირკვა, რომ ეს სიმპათიური სტუდენტი თუმცა თვალჭრელიძე იყო, მაგრამ ქართველს თითქმის არავის იცნობდა.

- პოეტი ცახელი თუ გაგიგონიათ? - ვკითხე ბოლოს, - ის თქვენი გვარისაა, თვალჭრელიძეა.

სტუდენტს უეცრად სახე გაუბრწყინდა, სათვალის ჩარჩოებიდან ღია ფერის ჭკვიანი თვალებით შემომაცქერდა და მეტად კმაყოფილი ღიმილით მიპასუხა:

- პოეტი ცახელი ბიძაა ჩემი. თქვენ იცნობთ მას? - და ახალგაზრდა მომიყვა თავის ამბავს: ის ცახელის უფროსი ძმის ანტონის ვაჟი გამოდგა, რომელიც ბიძამისის მგზნებარე პატრიოტიზმით სუნთქავდა და უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ საქართველოში მუშაობაზე ოცნებობდა.

მართლაც, ალექსანდრე თვალჭრელიძემ შემდგომში მთელი თავისი დიდი ცოდნა, გამოცდილება საქართველოს და მის კეთილდღეობას მოახმარა. გამოჩენილმა მეცნიერმა - გეოლოგმა და მინერალოგმა განუზომელი ღვაწლი დასდო ჩვენს ქვეყანას.

მერე, როცა ჩვენ ერთმანეთს ვხვდებოდით, მუდამ ერთნაირი სიამოვნებით ვიხსენებდით ჩვენს პირველ შეხვედრას მოსკოვის უნივერსიტეტში და იმ ტკბილ საუბარს, რომელიც გამოიწვია მგზნებარე პოეტის საერთო სიყვარულმა.

სასიქადულო მეცნიერს მთელი თავისი კეთილშობილი გულით უყვარდა პოეტი ბიძა.

- სამშობლოს ტკბილი სიყვარული ბავშვობიდანვე ბიძაჩემმა ჩამინერგაო, - იტყოდა ხოლმე ის, - და ეს დიდი გრძნობა თურმე, მის ნათელ სახელთან ერთად მიუძღვოდა ყოველ საქმიანობაში.

ბიძის ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ სახელოვანმა ძმისწულმა თავად იტვირთა დაობლებული ოჯახის მფარველობა და საჭირო მზრუნველობას არასდროს აკლებდა. ჩანს, ტყუილად არ უმღერდა პოეტი ჩვილ ძმისწულს, სამშობლოს დიდ ქომაგს მომავალში:

„და როს ომიდან დაბრუნდე მხსნელის სახელით მკობილი,
მამულის გმირთა წინამძღვრად, ხელში მძლე დროშა
პყრობილი,
ჩემს საფლავზედა მახარე მტრის მუსვრა, ჩვენი ლხინება,
და ამის შემდეგ სამუდმოდ მეც ტკბილად დამეძინება“.

პირადად ცახელს მე მხოლოდ 1917 თუ 1918 წელს შევხვდი. იმ წელს ქუთაისის გიმნაზიაში მასწავლებლობა დაიწყო ჩემმა ძმამ გრიშამ. ერთხელ, როცა გიმნაზიაში ძმას მივაკითხე, სადაც საცხოვრებელი ბინაცა ჰქონდა, ჩვენი

სასიქადულო პოეტიც სწორედ მაშინ გავიცანი; ცახელი გიმნაზიაში იმ დროს ქართულს ასწავლიდა.

პოეტი მეტად გულთბილად შემხვდა. კეთილ თვალებს არ გვაშორებდა ხან მე, ხან ჩემს ძმას, გაოცებული იყო ჩვენი უჩვეულო მსგავსებით.

ასეთი იყო ჩემი შეხვედრა საყვარელ პოეტთან. მერეც არაერთხელ შევხვედრივარ და მისი არაერთი ტკბილი საუბარი მომისმენია.

გარეგნობით პოეტი მეტად მიმზიდველი იყო: შავი წვერ-ულვაში და სქელი ქოჩორი ამშვენებდა მის სანდომიან შავგვრემან სახეს. განიერი მხარბეჭი, მაგარი მკლავები და ხელის მოზრდილი მტევნები ვაჟკაცურ იერს აძლევდა და ფიზიკურ შრომაში მის გამოცდილებაზე მეტყველებდა. თავისუფალ დროს ის მართლა მუშაობდა მიწაზე, ქუთაისის ახლოს თავის კარმიდამოში.

მახსენდება პოეტთან საუბრის ერთი დეტალიც: ერთხელ ლაპარაკი ჩამოვუგდე იმ წლებში თითქმის უკვე მიყუჩებულ, მაგრამ მანამდე მეტად გახმაურებულ ლიტერატურულ მოვლენაზე, კერძოდ, ქუთაისში მოღვაწე ცისფერყანწელებსა და სიმბოლისტებზე. არ ესიამოვნა. შენს ძმასთანაც არაერთხელ გვქონია ამაზე ლაპარაკი, აბა, რა საწამებელია ის მწერლობა, რომელიც ჩვენს წმინდა წარსულს უდიერად ახსენებს; ვინც წარსულს არაფრად მიიჩნევს, ის მომავალსაც ვერ იწამებს; ადამიანს კი მე წარსულის სიყვარულით და მომავლისათვის ბრძოლის უნარით ვაფასებო. ე. წ. წმინდა ხელოვნების პრინციპები არა სწამდა. მისი სათაყვანებელი იყო საქართველოს გმირული წარსული და ჩვენი დიდი კლასიკოსების ილიასა და აკაკის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მაღალი იდეებით გამსჭვალული მგზნებარე პატრიოტული შემოქმედება. მათზე რაიმე უპატივცემულო სიტყვის გაგონებას ვერაფრით ვერ ითმენდა.

მიუხედავად იმისა, რომ თავისი პოეტური შინაგანი ხედვით ცახელი მხოლოდ წარსულში იყო, პრაქტიკულ საქმიანობაში ის, როგორც პროგრესულად მოაზროვნე პატრიოტი და მოქალაქე, დიდ მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, აქტიურად ეხმარებოდა ხალხის კეთილდღეობისათვის ყოველ პატიოსან მებრძოლს; ამ მიზეზით სოფელში მამაპაპური სახლიც კი გადაუწვეს.

ცახელი უბრალო იყო და უპრეტენზიო, თავაზიანი, პირდაპირი, შეურიგებელი მოწინააღმდეგესთან, ხოლო ფაქიზი და ნაზი თანამოაზრესთან. მშვიდი, კაცთმოყვარე და გულკეთილი. გაჭირვებამ ადრე მოტეხა:

„ადრე მომტეხა ცხოვრებამ და მაწყევლინა თავბედი,

ძლივს დავჭაბუკდი, დავკაცდი და, ვხედავ, უკვე დავბერდი“.

ცახელის ნაწერები მხოლოდ პატარ-პატარა წიგნების სახით მახსოვს: „ზარნაშო“, „უკვდავი სარდალი“, „გურგენ რაინდი“, „შალვას თავგადასავალი“ და ე. წ. „რამდენიმე ლექსი ცახელისა“. მათი გამომცემლები კერძო პირები იყვნენ, უმთავრესად - ქართული წიგნის მოყვარული ენთუზიასტები და პოეტის პირადი პატივისმცემლები, მათ შორის, ცნობილი ზ.ჭიჭინაძე, ძველი მწიგნობარი და მწერალი. ეკონომიკურ ბაზას მოკლებულ გამომცემლებს ცოტად თუ ბევრად, მოზრდილი წიგნის გამოცემის შესაძლებლობა არ ჰქონდათ. მკითხველიც არ ჰყავდათ დიდი რაოდენობით, რომ დაბეჭდილი პროდუქცია დროზე გაესაღებინათ. ეს სავსებით ნათლად ჩანს ცახელის ერთი წიგნის უკანა ყდაზე დაბეჭდილი განცხადებიდან: „ზ.ჭიჭინაძის მაღაზიაში, იარმუკაზე,

ალექსანდროვის ბაღის გვერდზე, რუსის საყდრის ზემოთ, არჯევანიძის სახლებში ისყიდება სხვადასხვა ქართული წიგნები“.

ცნობილია, რომ ეს არჯევანიძის სახლები, სადაც ბინადრობდნენ ბუკინისტები, ქართული წიგნის იმდროინდელი გულწრფელი მოამაგენი, ახლანდელ არჩილ ჯორჯაძის ქუჩაზე იყო მოთავსებული. საკვირველია, ნუთუ მაშინ ამ ქუჩას თავისი სახელწოდება არ გააჩნდა, რომ ასეთი მრავალსიტყვიანი მინიშნებები არ დასჭირვებოდათ?!.

თუმცა ცახელის მთლიანი კრებული არც იქ იყო, ქართული საზოგადოება მაინც დიდ ინტერესს იჩენდა მისი ნაწერებისადმი როგორც მხატვრული ღირსებების გამო, ისე პედაგოგიურ-აღმზრდელობითი თვალსაზრისითაც, რადგან პოეტის ყოველი ნაწარმოები ხმამაღლა და გაბედულად ქადაგებდა ბრძოლას უსამართლობის წინააღმდეგ და ბავშვებისადმი განსაკუთრებულ სათუთ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა.

პოეტს ორი სამყარო ჰქონდა. ერთი მათგანი იყო იქ, „სადაც გრიგალი გრიალებს და შემოდგომის ფურცელი უგზაკვლოდ ცაში ტრიალებს“ - ე.ი. მებრძოლი და შეუპოვარი, მეორე კი - „სად გაზაფხული ირთვება და დილის ნამი ფოთლებზე მოედებ-მოეზვირთება“.

1919 წლის 31 აგვისტოს მის მებრძოლ სულს შავი ბურუსი გადაეფარა და

„კეთილს, უძლურად მიმომსვლელს
ამ მუხთალ ქვეყანაზედა
განრისხებული ბოროტი
გადაეღობა გზაზედა“.

ნაძირალების მიერ მოგზავნილი ავაზაკების ტყვიამ გაუგმირა გული, რომელიც სამშობლოს სიყვარულით ფეთქავდა.

პოეტის მკვლელობას საზოგადოება დიდი აღშფოთებით გამოეხმაურა, მაგრამ ბოროტება მძლავრობდა, ძაღლი პატრონს ვერ ცნობდა, ხელისუფლებასაც არ გააჩნდა საკმარისი ძალა ავაზაკთა შესაპყრობად. პრესაში გამოქვეყნდა სამგლოვიარო წერილები, მათ შორის, ქუთაისის გაზეთ „სამშობლოში“ ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ვასილ წერეთლისა, რომელიც ზიზღს და კრულვას უგზავნიდა მკვლელებს.

მერე კაცის მკვლელს მარტო ზიზღი უნდა მიეზღოს?

ჩემმა ძმამაც დაბეჭდა მეგობრობის გრძნობით გამთბარი წერილი გაზეთ „სახალხო საქმეში“, რომელიც პოეტის შემოქმედებასაც ეხებოდა მოკლედ.

თეოფილე ხუსკივაძე

იმ დროს, 1900იან წლებში, ჯერ კიდევ ქუთაისის რეალურ სასწავლებელში ვსწავლობდი. სკოლაში მიმავალი, მე და ჩემი ძმა გრიშა, გზაზე შემხვედრებს ვაკვირდებოდით, უფრო კი „ფორმაში“ გამოწყობილებს, რომლებიც ჩვენს წარმოდგენაში „დიდი თანამდებობისანი“ უნდა ყოფილიყვნენ. ერთხელ მათ შორის თვალი მოვკარი ერთ სანდომიანი სახის, წვერ-ულვაშით დამშვენებულ, მაღალ, მხარბეჭიან „ფორმიანს“, რომელიც პუშკინის ქუჩაზე მოდიოდა და ნაცნობებთან შეხვედრისას თავაზიანად ქუდს იხდიდა.

გრიშამ ხელი გამკრა: - იცი, ვინ არის? ჩვენი ვალიკო ხუსკივაძის მამაა (ვალიკო ჩვენი თანაკლასელი იყო), მწერალი თეოფილე ხუსკივაძე, გახსოვს, სოფელში რომ ვკითხულობდით?

მართლაც, მაშინვე გამახსენდა სოფელი, ჩვენი სახლი, მამას ბიბლიოთეკა და პატარა წიგნი - „თხზულებანი“ თეოფილე ხუსკივაძისა. „ახალსენაკიც“ გამახსენდა, ყდაზე რომ ეწერა იმ ადგილის აღსანიშნავად, სადაც დაიბეჭა. გრიშა წიგნების მუსუსი იყო, არაფერი გამორჩებოდა წაუკითხავი. მე ამ საქმეში საკმაოდ ჩამოვრჩებოდი, მაგრამ „თხზულებანი“, მისი შინაარსი მაინც კარგად მახსოვდა და გულით თანავუგრძნობდი მის გმირებს - სტუდენტ ბედკრულაძეს, მასწავლებელს გულკეთილიშვილს და სხვებს, რომლებიც მაშინდელი ცხოვრების ულმობელი პირობების გამო სულ ახალგაზრდები იღუპებიან. ეს მე უღრმესი პროტესტის სულისკვეთებით მავსებდა და სოციალურ უსამართლობასთან მებრძოლთა ბანაკისაკენ მეწეოდა.

ჩვენს ბიბლიოთეკაში თეოფილე ხუსკივაძის სხვა წიგნებიც მოიძევებოდა. მათგან ყველაზე უფრო მოგვწონდა ისტორიული მოთხრობა „კონსტანტინე ბატონიშვილი“. ეს წიგნი მარტო იმით კი არ გვიზიდავდა, რომ მოთხრობის გმირი - ახალგაზრდა კონსტანტინე - მეფე სოლომონის ძალადობის მსხვერპლი შეიქნა და თავისი მწარე ხვედრით ჩვენს ბავშვურ თანაგრძნობას იმსახურებდა, არამედ იმიტომაც, რომ მასში ჩვენი მშობლიური რაჭის ზოგიერთი ადგილიცაა მოხსენიებული; ეს კი ჩვენთვის უცხო ხილი იყო, თანაც, სასიამოვნო. გარდა ამისა, მის პერსონაჟთა შორის ჩვენი წინაპარიცაა გამოყვანილი: მუხურის ციხეში დაპატიმრებული კონსტანტინეს დედის თხოვნით რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა სათანადო სიგელით იმერეთის მეფე სოლომონთან ელჩი სოკოლოვი მოავლინა, სადაც მეფე კონსტანტინეს გათავისუფლებას „ურჩევდა“. მოვლინებული სოკოლოვი რუსეთიდან რაჭის მთებით გადმოვიდა, სოფელ ღებზე, სადაც მას მეფის წარმომადგენელი, ზემო რაჭის მოურავი თავადი ჯაფარიძე შეხვდა. მან უცხო სტუმარი, მხლებლებითურთ, ჯერ თავის სოფელში მიიპატიჟა, შემდეგ მეფესთან წაიყვანა, ხვანჭკარაში შეახვედრა და სხვა.

ყველაფერი ეს ჩვენს ნორჩ გულებს აღელვებდა, მოთხრობას მიმზიდველს და ახლობელს ხდიდა, ავტორს კი ჩვენი გულწრფელი სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობით მოსავდა.

და, აი, ისიც!

მწერლის ეს მომხიბვლელი გარეგნობა ზუსტად ეხმიანებოდა მასზე ჩემს წარმოდგენას. კმაყოფილი დიდხანს მივჩერებოდი მიმავალს, ვიდრე ის მეორე ქუჩაზე გაუხვევდა და ქალთა გიმნაზიის შენობას მიეფარებოდა.

ამის შემდეგ დიდ დროს არ გაუვლია, რომ ჩვენ ძვირფასი მწერლის ოჯახშიც მოვხვდით.

ქუთაისში იმხანად ძალიან ინტენსიურად მუშაობდნენ პოლიტიკური პარტიები, რათა მოსწავლე ახალგაზრდობა მიემხროთ და თავიანთ არალეგალურ წრეებში ჩაებათ. ჩვენც - მე და გრიშა - ჩაწერილი ვიყავით ასეთ წრეში. იქ მეცადინეობებს ატარებდა ახალგაზრდა სტუდენტი დანიელ ქინქლაძე - შემდეგში თბილისის უნივერსიტეტის რუსული ენის ლექტორი. წრეში ვსწავლობდით პოლიტიკურ ეკონომიკას, სოციალიზმის საკითხებს და ბევრ სხვას, რაც პროლეტარიატის ბრძოლის ისტორიას აშუქებდა კლასობრივი თვალსაზრისით.

ყველაფერს გულმოდგინედ ვსწავლობდით და თავი რევოლუციონერებად, სოციალური უსამართლობისაგან გათავისუფლებისათვის მებრძოლებად მოგვქონდა. მაგრამ ჩვენი სულის ერთ პატარა კუნჭულს მაინც ღრღნიდა რაღაც, ეს ლექციები რაღაცას მაინც ვერ პასუხობდა მთლიანად და ამომწურავად. ეს რაღაცა, როგორც შემდეგში აღმოვაჩინეთ, ჩვენი მშობლიური ხალხის ეროვნული ჩაგვრისაგან გათავისუფლების პრობლემა იყო. ეს საკითხი ჩვენს წრეში ღიად რჩებოდა, უფრო სწორად - არც დასმულა.

და, აი, ჩვენს მოწაფეებში გაჩნდნენ ისეთები, რომელნიც სოციალურ პრობლემებთან ერთად, ეროვნული საკითხის შესწავლასაც თვლიდნენ საჭიროდ.

ერთიმეორის დახმარებით ჩვენს წარსულზე, ჩვენს ლიტერატურაზე დავიწყეთ ქართული წიგნების შეგროვება. დავიხმარეთ მშობლებიც. დავუკავშირდით ქართული ენის მასწავლებელს იოსებ ჩიმაკაძესაც. ის განსაკუთრებულად გვიყვარდა იმისათვის, რომ თავის გაკვეთილებზე, რომელიც კვირაში ერთხელ გვქონდა და ისიც მეექვსე საათი, ყოველმხრივ ცდილობდა ჩვენში ქართული ლიტერატურისა და ისტორიის სიყვარული ჩაენერგა. გადავიკითხეთ ზოგი რამ, რისი შოვნაც მოვახერხეთ, მათ შორის, ხახანაშვილის „ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“. ის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენდა და მხოლოდ რუსულ ენაზე იყო დაბეჭდილი.

ამ საქმიანობისას ჩვენი ნაკლი ის იყო, რომ დაქსაქსულნი ვიყავით და უსისტემოდ ვმუშაობდით, საჭირო იყო წრის ორგანიზება, ხელმძღვანელის გამოძებნა. ამ მხრივ დიდი დახმარება გაგვიწია ჩვენმა თანაკლასელმა გოლა ახრახაძემ, რომელიც კლასში გამოირჩეოდა არა მარტო თავისი ლამაზი თვალტანადობით, არამედ მხურვალე პატრიოტიზმითაც. მან ათიოდე მოწაფე, რომელთა შორის, ჩემ და გრიშას გარდა, შედიოდნენ გიორგი (კუკური) ხუნდაძე, ამბროსი დევდარიანი, პლატონ საყვარელიძე, ვანო ხელაძე და სხვები, ერთ საღამოს „ძველ თბილისის“ ქუჩაზე წაგვიყვანა, სადაც ხეებით დაჩრდილულ ეზოში ერთსართულიანი ხის მოზრდილი სახლი იდგა. სახლს განიერი აივანი მთელ სიგრძეზე მიუყვებოდა. აქ გოლასაგან გავიგეთ, რომ თურმე მწერალ თეოფილე ხუსკივაძის ბინაზე მოვუყვანივართ. გოლამ ისიც გვამცნო, რომ ამიერიდან წრის შეკრებები აქ გვექნებოდა ხოლმე. წრეს კი თვითონ ბატონი თეოფილე გაუწევდა ხელმძღვანელობას, რაც ჩვენთვის მეტად გასახარელი და თანაც საამაყო იყო.

მაშინღა მივხვდი, საიდან ჰქონდა ჩვენს თანაკლასელს ვალიკო ხუსკივაძეს ასეთი კარგი ცოდნა ქართული ლიტერატურისა: რა აახლოებდა მას ამ საგანში ასევე კარგად მომზადებულ ჩემს მეორე ახლობელ ამხანაგთან კუკური ხუნდაძესთან. კუკური შვილი იყო ქართული ენის დიდი სპეციალისტის, მგზნებარე პატრიოტის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის სილოვან ხუნდაძისა, რომელიც ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში ჩვენს მშობლიურ ენას ასწავლიდა.

ქართული ენის ცოდნაზე რომ ვლაპარაკობ, ნუ გაიკვირვებთ, იმ დროს, ე.ი. რევოლუციამდელ ხანაში, ქართულ ლიტერატურას სკოლებში არ ასწავლიდნენ. ამის საპასუხოდ, მისი გამძაფრებული სიყვარული გაუნელებლად ენთო შეგნებული და ეროვნულად განწყობილი ახალგაზრდების გულებში, განათლებულ ოჯახებში რომ იზრდებოდნენ. სხვები კი, განსაკუთრებით, მედროვე, უწიგნურ ოჯახთა ნაშიერნი, არა თუ სიყვარულს, უბრალო ინტერესსაც არ ამჟღავნებდნენ მშობლიური ენისა და ლიტერატურის მიმართ. ასეთებს ჩვენ „შეუგნებელს“ ვუწოდებდით და ყოველმხრივ ვცდილობდით „მოგვენათლა“

ისინი, გაგვერკვია ეროვნულ საკითხებში. ახლა ძველ ჟურნალებს რომ გადავხედავ და იმ პირთა სიას ვეცნობი, რომელთაც ეს ჟურნალი (ვთქვათ აკაკის „კრებული“) ეგზავნებოდა ხელმოწერით ამა თუ იმ ქალაქში, გაკვირვებას ვარ მათი სიმცირით. მაშინდელი „გარუსების პოლიტიკა“ იმდენად ძლიერი იყო, რომ პატარა ერები მას თითქმის ვერ უძლებდნენ. ხოლო ჩვენ ჩვენი მცდელობით რას გავხდებოდით.

ქუთაისის რეალური სასწავლებლის მოწაფეთა შორის ყველაზე უფრო გამოირჩეოდა ვლადიმერ ემუხვარი. ის თავისი მომზადებით მასწავლებლებსაც კი ანცვიფრებდა. ყოველ საკითხში ის იყო ჩვენი ლიდერი, ჩვენი დიდი ავტორიტეტი. მასთან ერთად იყვნენ გერონტი ქიქოძე და დიმიტრი უზნაძე, რომელნიც, თუმცა უფროს კლასებში სწავლობდნენ, მაინც ახლოს იყვნენ ჩვენთან. ნიჭიერ და მომზადებულ მოწაფეთა შორის მკვეთრად გამოირჩეოდა, აგრეთვე, ახოვანი, მეტად ლამაზი სახის ალეკო თავდგირიძე, საუკეთესო ორატორი, დინჯი, სერიოზული, უცვლელი ფრიადოსანი. პოლიტიკურად მომზადებულად ითვლებოდა და არალეგალურადაც მუშაობდა იცკა რიჟინაშვილი, რომელიც 1906 წლის რეაქციამ იმსხვერპლა, მაგრამ ის უფროსებში დაიარებოდა და მოწაფეებში თითქოს უცხო იყო.

მასპინძელი ხალისით გამოგვეგება, განიერ ოთახში შეგვიპატიჟა. ყველანი გრძელ მაგიდას შემოვუსხედით და გულითად საუბარს შევყევით. მხოლოდ მუსაიფისას გავიგე, რომ ბატონი თეოფილე მწერლობის გარდა საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. ის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ახალგაზრდობის საზოგადოებრივ პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საქმეს. იმ საღამოს და ორიოდ შემდგომ შეკრებაზე მასპინძლისაგან ბევრი რამ თავმოსაწონი გავიგეთ ჩვენი წარსულის შესახებ. რაც მთავარია, დავრწმუნდით, რომ რევოლუციურ ლოზუნგებს - ხალხთა სოციალური ჩაგვრისაგან გათავისუფლებას უნდა მიმატებოდა ლოზუნგი, პატარა ერების ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართული.

ეს იმ დროს უთუოდ დიდი მიღწევა იყო, რადგან რევოლუციურ წრეებში ყურადღება მხოლოდ კლასთა ბრძოლაზე იყო გამახვილებული და ეროვნული საკითხი უმართებულოდ იჩქმალებოდა, რის გამოც მთელი ეს ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი ყოველგვარ ფასს და აზრს კარგავდა.

ვალოდია ოკუჯავა

მინდა ორიოდე სიტყვით მაინც გავიხსენო ჩემი თაობის ყველა ქუთაისელი მოწაფისათვის ტკბილად მოსაგონარი ვალოდია ოკუჯავა - დიდი ერუდიციის მქონე ახალგაზრდა, ღრმად მოაზროვნე ფილოსოფოსი, გულწრფელი რევოლუციონერი და პოეტი, თავისი საჯარო გამოსვლებით ცნობილი ორატორი.

საშუალო ტანის თმახუჭუჭა ყმაწვილი, მუდამ ჩაფიქრებული და სერიოზული, მუდამ წიგნებით ხელში, ჩვენი ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობის რჩეული იყო, ყველა ჩვენგანს პირზე მისი სახელი ეკერა, ყველა მასზე ლაპარაკობდა, მის ღირსებებზე.

ვალოდია ე. წ. „ესერი“ იყო, სოციალისტ-რევოლუციონერი. ასე ეწოდებოდა რუსეთის ერთერთ დიდ პარტიას, რომელიც მიწის სოციალიზაციას

ქადაგებდა და იდეალისტურ ფილოსოფიას იზიარებდა. მაგრამ ჩვენ ამის გამო კი არ ვიყავით მისი თაყვანისმცემლები, არამედ იმიტომ, რომ კარგი ლაპარაკი იცოდა, ლამაზი გამოსვლები ჰქონდა. ჩვენ ასევე გვხიბლავდნენ სხვა პარტიების წარმომადგენლებიც: კოლია ქარცივაძე, ვლადიმერ ემუხვარი და, განსაკუთრებით, ანარქისტი მიხაკო წერეთელი. ყველა ესენი შესანიშნავი ორატორები იყვნენ. ასე რომ, ჩვენთვის პარტიულ მიმართულებას კი არ ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა, არამედ ორატორის პირად ღირსებებს.

დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა აგრეთვე ვალიკო შავგულიძე, ისიც დიდად ნიჭიერი. ტომსკის პოლიტექნიკური სასწავლებლის სტუდენტი, ის მხოლოდ ფილოსოფიურ საკითხებზე გამოდიოდა. გარეგნულადაც ნამდვილი ფილოსოფოსი იყო, მაღალი, მხრებში მოხრილი, თმაგაჩეჩილი, დიდი თავით. მუდამ სახემოღუშულს, თვალები ღრმად ჰქონდა ჩამჯდარი. ხოლო ყოველთვის შავპერანგიანს, მაშინდელი წესისამებრ, წელზე ძაფისგან ნაგრეხი, ფოჩებიანი ქამარი ერტყა. ის იმდენად იყო გატაცებული თავისი ფილოსოფიით, რომ გონებრივად გადაიღალა და ფსიქიურად დაავადებული სულ მალე გარდაცვლილა კიდეც. ძალიან დამწუხრებული იყო მისი უდროო დაკარგვის გამო მაშინდელი ქუთაისელი ახალგაზრდობა. რომ დასცლოდა, დიდი, თვალსაჩინო პიროვნება იქნებოდა. ისიც, როგორც მახსოვს, ესერების იდეალისტურ ფილოსოფიას იზიარებდა.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ვალოდიას. ის, ეტყობოდა, ღარიბი ოჯახიდან უნდა ყოფილიყო. უბრალო თხელი პალტო ეცვა შეძველებულ სტუდენტურ „ტუჟურკაზე“ და შეხუნებული ფორმის ქუდი ეხურა. იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო შემდეგ „მოდაში შემოსული“ უქუდოდ სიარული. ამხანაგებისგან მქონდა გაგებული, რომ ვალოდიას ძმები კიდევ უფრო ნიჭიერები არიანო. განსაკუთრებით აქებდნენ მის ძმას მიშას, რომელიც „შესანიშნავი მარქსისტია, ნიჭიერი და დიდად მომზადებულიო “. ძმებს, თურმე შინ თუ გარეთ, ხშირად ჰქონდათ პაექრობა; არაერთხელ საჯარო პაექრობაზეც გამოსულან ერთი მეორის წინააღმდეგ. მაგრამ, სამწუხაროდ, მე ასეთს არ დავსწრებივარ.

ცხოვრობდა ვალოდია სადღაც შორს, ორპირის ქუჩის ბოლოში, ხონის გზის ახლოს, - „გადასაკარგავშიო“, როგორც იტყოდნენ მაშინ.

გრიშა ცხაკაია

დღეს თვალცრემლიანმა ლენამ ჩუმად გამანდო: - ესაა, ანიკო ცხაკაიამ დამირეკა და მეტად უსიამოვნო ამბავი მითხრა, პარიზში გრიშა გარდაცვლილაო.

ტყვიასავით მომხვდა გულზე. თავბრუ დამესხა. უკვე კარგა ხანია ველოდი გრიშას წერილს და მიკვირდა, რომ ახანებდა. მან არ იცოდა წერილის დაგვიანება და მის მიუღებლობას ფოსტის დაუდევრობას ვაბრალებდი. ვაგლახ, ვაგლახ!..

გრიშა ცხაკაია პარიზში 1921 წელს წავიდა, როცა საქართველოს მენშევიკური მთავრობა ბოლშევიკურ რუსეთთან ორკვირიანი წარუმატებელი ბრძოლის შემდეგ ევროპაში გაიხიზნა. არ ვიცი, რატომ წავიდა, რა მიზეზით. შეიძლება იფიქრა, რომ ორი-სამი თვის შემდეგ ბოლშევიკები წავლენ და მეც

დავბრუნდებიო. მაშინ ხომ ასე არაერთი ფიქრობდა. მაგრამ, ასე იყო თუ ისე, წავიდა და სამშობლოს გარეთ, პარიზში, ზუსტი 52 წელი და 2 თვე იცხოვრა. ამდენივე ხანი აღარც მე მინახავს.

გრიშამ ქუთაისის გიმნაზია 1907 წელს დაამთავრა. მე მგონია, იგივე გიმნაზია იმავე წელს დაამთავრა შალვა ნუცუბიძემ, შალვა სანებლიძემ, დათიკო ლომინაძემ, დათიკო გაგუამ, მგონი, სერგო დანელიამაც და ბევრმა სხვამ, რომლებიც გამოირჩეოდნენ თავიანთი ნიჭიერებით და ქუთაისის გიმნაზიას სახელს უხვეჭდნენ.

ჩვენთან რეალურში ასეთები არ ყოფილან. გიმნაზია ახალგაზრდობას მაინც მეტ ზოგად განათლებას აძლევდა, არისტოკრატულ პეწს მატებდა. გიმნაზია დამთავრებული შეიძლებოდა პირდაპირ პარლამენტში გაეგზავნათ ხალხის ნამდვილ წარმომადგენლად, მებრძოლ დეპუტატად. ასეთი იყო გრიშაც. მოსკოვში ის რომ სათვისტომოს სხდომაზე სიტყვით გამოვიდოდა, განსაკუთრებით კი პოლემიკური ხასიათის სიტყვით, მოსასმენად ღირდა; რუსულად, რასაკვირველია, რადგან ქართულად სიტყვის თქმა იმ დროს მხოლოდ რჩეულებს შეეძლოთ - გრიგოლ რობაქიძეს, სპირიდონ კედიას, გრიგოლ ლაღიძეს და შეიძლება კიდევ ორიოდეს. გრიშამ ბრწყინვალედ დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი და საქართველოში დაბრუნდა. მე და ის ერთად ვმეცადინეობდით და ერთადვე ვაბარებდით გამოცდებს. მიკვირდა, რა სწრაფად ითვისებდა საგნებს და რა უნაკლოდ ეუფლებოდა მათ. ვერც ერთი რუსი ორატორი ვერ გაუტოლდებოდა მას, ყოველ შემთხვევაში, ვერ აჯობებდა თუნდაც რუსული ენის ცოდნაში. ის ქართულადაც ლამაზად ლაპარაკობდა. მე ვფიქრობ, ეს ოჯახიდან მოსდგამდა. მისი ძმები მიშა და პეტრეც მეტად ნიჭიერები იყვნენ, მაგრამ გრიშა მაინც სულ სხვა იყო. ის რომ მაშინდელ სახელმწიფო სათათბიროში მოხვედრილიყო, არანაკლებ გაითქვამდა სახელს, ვიდრე, ვთქვათ, კაკი წერეთელი. ჩვენს სტუდენტურ სათვისტომოში ბევრი იყო კარგი ორატორი - შალვა მესხიშვილი, გიორგი ჟორდანია, ევგენი გეგეჭკორი, გიორგი კონიაშვილი, კოსტია ფანიევი, პავლე მესხი, სილოვან გაბუნია, სერგო დანელია, ლაზარე შურღაია, გრიგოლ ლაღიძე და სხვები, მაგრამ გრიშა ცხაკაია მაინც სხვა იყო, სხვა ტემპერამენტის და ბრძოლის სხვა ჟინის მქონე.

მახსენდება ერთი ანეკდოტური შემთხვევა: ერთხელ მე და გრიშა იურიდიული ფაკულტეტის მეორე აუდიტორიაში რომელიღაც საგანში გამოცდას ვაბარებდით. იქ თითქმის ყველა აუდიტორია უზარმაზარი იყო, ამფითეატრის მსგავსი. მრავალ სტუდენტთა შორის კარგა ხანს ვისხედით, ვუცდიდით გამოძახებას. უცბად, პროფესორმა მიმართა აუდიტორიას:

- Господа студентж! Здесё у меня по списку экзаменуется одна девушка, давайте освободим ее первым долгом. Возражений не будет?

- Нет, нет! - შევძახეთ ყველამ ერთხმად, მაგრამ აუდიტორიაში ეს „დევუშკა“ არსადა ჩანდა. პროფესორი ჩასჩერებია სიას და ძლივძლივობით არჩევს: Г.И.Цха...цха...Цхакая.

- Господин профессоря это не девущкая это – я, Григорий Иванович Цхакая! - შესძახა გრიშამ ადგილიდან. ამაზე სტუდენტებმა ბევრი იცინეს...

გრიშამ როგორც კი დაამთავრა სახელმწიფო გამოცდები და დიპლომიც მიიღო, სულ მალე წამოვიდა მოსკოვიდან ქუთაისში. იქ მას ორი და და ორი ძმა ეგულებოდა უდედმამოდ (მშობლები ადრე დაკარგეს). ცხადია, მათ მიხედვას ეშურებოდა; დაძმების იშვიათი მოყვარული იყო. თუ რამეს ზედმეტ კაპიკს

იშოვიდა, ქუთაისში აგზავნიდა. მუდამ მათ წერილს ელოდა, მათი ჯავრი ჰქონდა.

მე და ჩემი ძმები, აგრეთვე გრიშა ცხაკაია, დათიკო გაგუა, ვანო მჭედლიძე, გრიგოლ ლაღიძე, მიშა თუხარელი, ლადო რამიშვილი და სხვები, ერთხელ, მარჯანიშვილთან (ნეზლობინის თეატრში) ვიყავით სტატისტებად მიწვეული და კარგი ფულიც ავიღეთ სტუდენტების კვალობაზე. გრიშამ ის ფული სულ ქუთაისში გამოუგზავნა თავის დაძმებს.

თითქმის 8 წელიწადი გვქონდა მე და გრიშას მიწერმოწერა პარიზსა და თბილისს შუა. მისი წერილები განძია ჩემთვის სხვა მეგობრებისაგან მიღებულ წერილებს შორის.

ილიკო ქურხული

ილიკოზე დაწერილი მაქვს პატარა ნარკვევი, რომელიც ერთ მის საღამოზე წავიკითხე, მგონი, ხალხური შემოქმედების სახლში (მახარაძის ქ.8). ილიკოზე სერგეი იაბლონოვსკიმაც დაწერა მოსკოვში გამომავალ გაზეთ „რუსკოე სლოვოში“ და ენგელმაც („რუსკიე ვედომოსტი“). ილიკო ჩემსობას ძალიან პოპულარული იყო მოსკოვში. ის პირდაპირ ანთებული იყო იდეით, რაც არ უნდა დაჯდომოდა, რა სიძნელეების გადალახვაც არ უნდა დასჭირვებოდა, „გასულიყო ხალხში“ და, შეძლებისდაგვარად, სამსახური გაეწია ხალხის იმ ფენებისათვის, რომლებიც მოკლებულნი იყვნენ მუსიკას.

მთელი მოსკოვი შემოიარა თავისი ვიოლინოთი და პეტერბურგსაც ეწვია; იქაც იმუშავა, იქაურებსაც გააცნო თავისი მუსიკა. ბოლოს კი საზღვარგარეთაც წავიდა და ბულგარეთში დაიწყო მოღვაწეობა. ილიკომ იქ რამდენიმე წელი დაჰყო და მთელმა ბულგარეთმა გაიცნო. ამასობაში მათი ენაც შეისწავლა, წიგნიც დაწერა და გამოსცა კიდეც - «За Грузия лазурна». როცა საბოლოოდ დაბრუნდა სამშობლოში, ერთი ეგზემპლარი ამ წიგნისა გრიშას უსაჩუქრა, ჩემს ძმას; გრიშას ძალიან მოსწონდა მისი ბულგარული ენა და როგორც კარგ ლექსებს, ისე კითხულობდა, ტკბებოდა მისი მუსიკით. არ ვიცი, კიდევ შერჩა თუ არა ეს წიგნი გრიშას ბიბლიოთეკას.

მეორე მსოფლიო ომის წლებში ილიკო თბილისში იმყოფებოდა; ხშირად მოდიოდა ჩემთან და მოსკოვში გატარებულ სტუდენტურ ცხოვრებას ვიგონებდით. 1942 წლის ზამთარში კი, როცა ფრონტზე წასული ჩემი შვილის, გივის, გმირულად დაღუპვის ამბავი გავიგე და ცუდად შევიქენი, ილიკო არ მომეშვა, ჩემთან წამოდიო, მეუბნებოდა, გულს გადააყოლებო; იმხანად კასპის რაიონში მიდიოდა სოფელ-სოფელ სამუშაოდ. ზამთარი იყო, დიდი თოვლი იდო. თანაც, გიორგი ხეჩუაშვილსაც სთხოვა, ჩვენთვის კამპანია გაეწია და ისიც წამოგვყოლოდა. მე წასვლა გადავწყვიტე და სამივე ერთად გავემგზავრეთ. ხელთ გვქონდა რაიონის სკოლებისა და სათანადო დაწესებულებებისადმი განათლების სახკომის მიწერილობა - ხელი შეეწყოთ ჩვენი კულტურულ საგანმანათლებლო საქმიანობისათვის. იმ ზამთარში მთელი რაიონი ფეხით შემოვიარეთ. ცნობილ „კალმასობას“ მოგაგონებდათ ჩვენი ის სოფელ-სოფელ სიარული.

მინდა გავიხსენო უკანასკნელი დღეები იმ დაუდგრომელი ენთუზიასტ მუსიკოსისა.

თბილისში ილიკო ბოლო ხანებში დოლიძის ქუჩაზე ცხოვრობდა, საბურთალოზე, თავისი მეგობრის სვანიძის (მომღერლის) ბინაში. შესასვლელი ეზოდან იყო (თუმცა ჩვენ მასთან უფრო პეკინის ქუჩით შევდიოდით სხვისი ეზოს გავლით). ეკავა ერთი პატარა ოთახი.

არ მახსოვს, რომელი წელი იყო, ილიკო ავად გახდა და გარეთ ვეღარ გადიოდა. მას ახალგაზრდა რუსი ქალი - მისი უკანასკნელი ცოლი უვლიდა, რომელიც, თუ არ მეშლება, ასევე ხალხში დადიოდა, მგონი, გიტარით. არ ვიცი სად, რომელ რაიონში შეხვდა ილიკოს, იმხანად მარტო რომ იყო და ცოლის „ვაკანსია“ თავისუფალი ჰქონდა. ამიტომ ახალგაზრდა, ჯანმრთელ გოგოზე უარს ხომ არ იტყოდა! მით უფრო, რომ არც იმ გოგოს დაუწყია გაპრანჭვა!...

აღარ მახსოვს, რამდენ ხანს იყვნენ ერთად. ავადმყოფ ქმარს რომ უვლიდა და გულიანადაც, კარგად მახსოვს, მაგრამ სანამდე ეყო მოთმინება და რა მდგომარეობაში მიატოვა ის, აღარ მაგონდება; ეს კი ვიცი, რომ როცა ილიკოს უკვე მაგრად მოერია ავადმყოფობა, იმ ქალის მაგიერ იქ ვიღაც დაქირავებული მომვლელი დამხვდა. ილიკომ შემომჩივლა, რომ ვალია (თუ ტანია) საკმაოდ ძვირადღირებული ნივთებიანად ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, არავინ იცისო. მაგრამ ტყუილად უკვირდა, ეს ხომ ასეც უნდა მომხდარიყო! სხვაგვარი ბოლო არ ეწერა ამნაირ ,,შეუღლებას". კანონზომიერი იყო ეს ყველაფერი!

ასე თუ ისე, ილიკო სერიოზულად იყო ავად და საყვარელი ადამიანის მაგიერ ვიღაც დაქირავებული ქალი უვლიდა. ისიც - ხან ერთი და ხან მეორე.

ერთ დღეს გაზეთში წავიკითხე, რომ ბულგარეთიდან კულტურის მუშაკები - მომღერლები თუ მსახიობები ჩამოსულიყვნენ და ქართულ საზოგადოებასთან შეხვედრისას განუცხადებიათ, რომ კარგად იცნობენ ერთ ქართველს - ილიკო ქურხულს - მევიოლინეს, რომელიც დიდად პოპულარულია ბულგარეთშიო. სურვილიც გამოუთქვამთ მასთან შეხვედრისა ბულგარელი ხალხის სახელით მადლიერების გამოსახატავად. მან ხომ ბულგარულ ენაზე დაწერილი შესანიშნავი წიგნით «За Грузия лазурна» პირველმა გააცნო ჩვენს ხალხს საქართველო და მისი კულტურაო.

წავიკითხე თუ არა ეს, - სამწუხაროდ, ის გაზეთი არ შემომრჩა, - მაშინვე გავიქეცი ილიკოსთან, რომ ეს ყოველივე მეცნობებინა და მისი ბულგარელებთან შეხვედრაც მომეწყო. მაგრამ ავადმყოფი კიდევ უფრო ცუდად გამხდარიყო და ჩემი დანახვა მხოლოდ სიამოვნების ღიმილით გამოხატა, ლაპარაკი თითქმის აღარ შეეძლო. მე მივახარე რის სათქმელადაც მივედი. მას თვალები გაუბრწყინდა და რაღაც წაილაპარაკა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერაფერი გავიგე. ეს იგრძნო, უნუგეშოდ ჩაჰკიდა თავი და თვალებზე ცრემლი მოადგა. წუხდა, ალბათ, რომ ასეთ სასურველ სტუმრებთან შეხვედრის თავი აღარ ჰქონდა. შევეცადე ოდნავ მაინც გამომეკეთებინა მისი გუნებაგანწყობა. დავპირდი, რომ თავად შევხვდებოდი სასურველ სტუმრებს და მასაც ვაწვევდი. უთუოდ მოგიყვან, ჩემო ილიკო, ოღონდ შენ იყავ კარგადმეთქი.

მაგრამ ვხედავდი, რომ მისი საათებიც კი დათვლილი იყო უკვე.

- ორიოდე დღით მაინც ადრე ჩამოესწროთ იმ დალოცვილებს, - ვიფიქრე გუნებაში, - ცოტას მაინც გაიხარებდა ეს საცოდავი!...

ავადმყოფის ოთახში ვიღაც ქალი ტრიალებდა. მე მიჩვეული ვიყავი მომვლელთა ხშირ ცვლას და ყურადღება არ მიმიქცევია, მაგრამ წამოსვლისას მაინც შევეკითხე, ვინა ბრძანდებითმეთქი. ცოლი ვარო.

- რომელი ცოლი?!.

გაეცინა. თვითონაც კარგად იცოდა, რომ ჩემი გაკვირვება არ იყო უსაფუძვლო და განმიმარტა, - ავჭალის ქუჩაზე რომ ვცხოვრობდიო.

გაზეთ „თბილისში" დაბეჭდილი ერთი წერილის ავტორის მეზღაპრეობა, ანუ ცოტა რამ ალექსანდრე ციმაკურიძეზე

13 ნოემბერს გაზეთ „თბილისში" დაიბეჭდა წერილი - „დიდი მხატვრის ცხოვრების ეპიზოდები", რომელიც უპასუხისმგებლოდ ეკიდება მხატვარ ალექსანდრე ციმაკურიძის წარსულს და ისეთ „ეპიზოდებს"„იგონებს", როგორიც სინამდვილეში არასდროს მომხდარა.

მოგონება იშვიათი და მეტად ძვირადღირებულია, თუ ის ნამდვილის მოგონებაა, მაგრამ ძალზე მიუღებელია, გაყალბებული.

ავტორი სრულიად არ იცნობს ა.ციმაკურიძის წარსულს და ისეთ ზღაპრებს ჰყვება, განგაცვიფრებს.

ჯერ ერთი, ა.ციმაკურიძე „მოსკოვის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი" არ ყოფილა იმ უბრალო მიზეზით, რომ მოსკოვში სამხატვრო აკადემია არასოდეს ყოფილა და არც ახლაა. იყო მხოლოდ სამხატვრო სასწავლებელი, ხოლო ამ ორ ცნებას შორის განსხვავება არც ისე უმნიშვნელოა. მაგრამ ეს უნებლიე უცოდინარობა ვაპატიოთ ავტორს. ის მერე და მერე უფრო მეტს „მეზღაპრეობს". ციმაკურიძეს თურმე თავისი პროფესორისათვის სურათები უთხოვია და „დიდი წვალებით" ოცამდე საუკეთესოს თბილისში წამოღებაც მოუხერხებია. მერე აქ „სამხატვრო გალერეაში" „ამ სურათების გამოფენა" მოუწყვია. არადა, იმ დროს (ლაპარაკია 1907 წელზე) სამხატვრო გალერეა სულ არ ყოფილა თბილისში და დღევანდელ სამხატვრო გალერეას თუ გულისხმობს, იმ შენობას იმ დროს „დიდების ტაძარი" ერქვა, სადაც სამხედრო უწყების ძველი ნაალაფევი (იარაღი, ალმები, დროშები და ა.შ.) იყო გამოფენილი.

სინამდვილეში მოსკოველ მხატვართა გამოფენა მოაწყო სამხატვრო სასწავლებლის სტუდენტმა გრიგოლ მესხმა, რომელმაც არა 1907 წელს, არამედ 1909 წლის გაზაფხულზე ჩამოიტანა თბილისში არა „ოცამდე", არამედ 142 სურათი. იმავე წლის 6 მაისს მოაწყო გამოფენა არა „სამხატვრო გალერეაში", არამედ ზუბალაშვილების სახლში, კავკასიელ მხატვართა საზოგადოების სკოლაში, რომლის დირექტორი იმხანად იყო ჩვენში კარგად ცნობილი მხატვარი ოსკარ შმერლინგი. მართალია, ა.ციმაკურიძე და ა.არაქელიანი დახმარებას უწევდნენ ამხანაგს, მაგრამ სურათების შეგროვების, მათი ჩამოტანის და გამოფენის ავტორობა გრიგოლ მესხს ეკუთვნის (იხილე გაზეთი „დროება", 1909.05.01. #95).

რაც შეეხება რევოლუციონერი ციმაკურიძის მოკვლის ამბავს, მისმა ძმამ ალექსანდრემ მოსკოვში გაიგო და იქვე გამოიგლოვა ისე, რომ თბილისში არც წამოსულა. შვილის მოკვლისას ალექსანდრე ციმაკურიძის მშობლების იქვე ყოფნაც მეტად საეჭვოა და თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მთელ ამ დიდ წერილში სიმართლის ნატამალი არაა, უნდა დავასკვნათ, რომ ესეც ავტორის გამოგონილია.

მაგრამ ყველაზე უფრო სკანდალურია, აი, ეს ამბავი: თითქოს იმ დროს, როცა რუსთაველის პროსპექტზე სამხატვრო გალერეის კარი გაიღო, „ხალხმა დენა დაიწყო“, ხოლო ქუჩაში თოფი გავარდა და ხალხის ყვირილი გაისმა - „კაცი მოკლესო“ (ა.ციმაკურიძის ძმა, რევოლუციონერი). გამოფენაზე თურმე „ამ დროს თავისი ამალით შემოვიდა მეფისნაცვალი ვორონცოვ დაშკოვი, დაათვალიერა, მოეწონა და იკითხა, ვინ ითავა მისი მოწყობაო. როცა გაიგო, რომ მისი ორგანიზატორი ა.ციმაკურიძე იყო, მხლებლებს შეეკითხა: - ციმაკურიძე? აი ის ციმაკურიძე, დღეს რომ მოკლეს, რევოლუციონერი, ბუნტისთავი? - ის ციმაკურიძე ამ სტუდენტის ძმა არისო, - მოახსენეს. - კარგად უთქვამთ ქართველებს: ერთი ხიდან ბარიც გამოიჭრება და ნიჩაბიცო, - ამ სიტყვებით მეფისნაცვალს გამოფენის დარბაზი დაუტოვებია“.

მეფისნაცვალი და გალერეაში სიარული?! ისიც ვიღაც სტუდენტის მიერ მოწყობილ გამოფენაზე „ოციოდე სურათით“, მით უფრო იმ დროს, როცა გამოფენა ის იყო გაიხსნა და „ხალხმა დაიწყო დენა“, ხოლო ქუჩაში ყვირილი ისმოდა, ,,კაცი მოკლესო“. ეს უპასუხისმგებლოზე უპასუხისმგებლო განცხადებაა და მეტი არაფერი. ვის უნახავს, რომ მეფის ნაცვალი ასე დასეირნობდა ქუჩაში? ასეთ დროს, როცა ხალხი შედიოდა გალერეაში, თავისი პრესტიჟისათვის უბრალო პრისტავიც კი შეუფერებლად მიიჩნევდა იმ ხალხში გარევას... ეს არის აბსურდი და სრული უმეცრება!.

რაც შეეხება წერილის მეორე ნაწილს, აქ თითქოს 1921 წლის გაზაფხულზე, როცა ა.ციმაკურიძე თავის სოფელ ქვიშხეთში ვენახში მუშაობდა „უბრალო გლეხივით“, ის ვიღაც თოფიანმა კაცმა დააპატიმრა, წაიყვანა ფეხშველა, ტანჩაუცმელი და რევკომის თავმჯდომარეს ჩააბარა. თურმე თავმჯდომარემ მხატვარს დაავალა, „ლენინის სურათი არა გვაქვს და უნდა დაგვიხატოო“, ეს ხომ მთლად ზღაპარია და უფრო მეტიც. თურმე რევკომში ლენინის სურათი არა ჰქონიათ და დაპატიმრებულ მხატვარს უბრძანებენ, „ერთი სულის შებერვით“ დაეხატა ბელადი... ამ დროს მხატვარს არათუ ხატვისთვის საჭირო მასალა არ გააჩნდა, პერანგიც არ ეცვა, ისე წამოაჩიქჩიქეს სოფლიდან.

წერილის ავტორს ამის გამოგონება იმისთვის დასჭირდა, რომ დაგვარწმუნოს, როგორ ზრუნავდა რევკომი ლენინის პორტრეტის მოპოვებაზე... ეს ალბათ კომედიის თემაა.

„ვცდი, - გაიფიქრა ალექსანდრემ, - თუმცა პორტრეტულ ფერწერაში გაწაფული არა ვარ და არც უფუნჯოდ მიმუშავია ადრე. გააკრა ტილო, ბამბა თითზე დაიხვია, ხატვას შეუდგა... (მერე როგორ გგონიათ? - ზეპირად, უდედნოდ, მერე როდის? 1921 წელს, განა დღეს, როცა ლენინის სახე ასეა ჩაბეჭდილი ყოველი საბჭოთა ადამიანის მეხსიერებაში! მაშინაც ასე იყო?) მაგრამ მხატვარმა უტყუარი ინტუიციის წყალობით დიდი ბელადის სურათი მალე დაამთავრა ისე, რომ რევკომის თავმჯდომარემ „აღტაცება ვერ დამალა“.

აი, ასე, უნატუროდ, თითზე გადახვეული ბამბით, რევკომის მთელი შტატის თვალწინ იქმნება პორტრეტი იმ მხატვრის მიერ, რომელიც ნამდვილად არ იყო გაწაფული პორტეტულ ფერწერაში.

„ასე შეიქმნა ლენინის ერთერთი პირველი სურათი საქართველოში“, - დასძენს ავტორი, მეტად კმაყოფილი იმით, რომ კვლევითი საკითხიც გადაჭრა და ლენინის პორტრეტის შექმნის პირველობაც საქართველოში ხაშურის რევკომის თავმჯდომარის ბრძანებით დაპატიმრებულ მხატვარს მიაკუთვნა.

სირცხვილო, სად არის შენი სიწითლე?!.

გრიგოლ მესხის დამოკიდებულება უჩა ჯაფარიძის ნახატებისადმი

დღეს უკვე ნამდვილი გაზაფხულის დღეა და ინსტიტუტიდან გრიგოლ მესხს თავის სახელოსნოში (ლ.კავსაძის ქუჩაზე) გამოვუარე. ვისხედით, ვილაპარაკეთ. მერე შევედით რომან დავლიანიძის სახელოსნოში (მოქანდაკეა); პირდაპირ დავტკბი მისი ხელოვნებით, განსაკუთრებით იაკობ გოგებაშვილის ბიუსტი მომეწონა. მაგრამ რაა მერე? მოქანდაკეები „შიმშილობენ“, აღარავითარი დაკვეთა ან რამე სამუშაო. გრიშამ ძალიან აქო უჩას ნაწარმოები „მშობლიურ მიდამოებში“ (დედის დიდი პორტრეტი), - იშვიათი ნახელოვნებია. წავიდეთ ვნახოთ, გალერეაში აკადემიკოსების გამოფენაა და უჩას სურათიც იქააო. წავედით. გალერეაში ბევრი მნახველი იყო, უფრო - მხატვრები. გრიშა ყველას ესალმებოდა და ესაუბრებოდა, მე კი სურათებს ვათვალიერებდი. კარგი გამოფენა იყო, ან რა გასაკვირია, - აქ ხომ მხოლოდ აკადემიკოსები იყვნენ წარმოდგენილი.

ვნახეთ უჩას კუთხეც. მისი რამდენიმე ნამუშევარია: „დედა“, „ტყუპები“, ,,აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე” (პორტრეტი) და სხვა.

გრიშა დიდხანს იდგა დედის პორტრეტის წინ. სხვებიც ბევრნი იყვნენ, ბჭობდნენ. აქებდნენ. იანქოშვილმა (მხატვარმა ქალმა, ლადო ავალიანის მეუღლემ) კარგა ხანს ილაპარაკა ამ სურათის ღირსებებზე. მერე მომიბრუნდა და მითხრა, - მხოლოდ თქვენთან ვლაპარაკობ ამას. რა შედარებაა აქ გამოფენილ სხვა სურათებთან, უჩა მთელი თავით მაღლა დგას ყველა აქ წარმოდგენილ აკადემიკოსზეო. ამ ნამუშევარს ძალიან აქედებდნენ აგრეთვე ლადო გრიგოლია და მისი მეუღლე. აი, აქ უფრო გამოჩნდა უჩას ნამდვილი სიძლიერე, როცა სხვა მხატვრებთან ერთადაა გამოფენილი, მისი ეროვნული ელფერი, მისი პოეტურობა... ბევრი სხვაც მითხრეს ქათინაური, აღარ დამამახსოვრდა. ვლადიმერ წილოსანიც იქ იყო, ახალგაზრდა მხატვრებიც... მაგრამ ყველაზე აღფრთოვანებული მაინც გრიშა მესხი იყო. ის პირდაპირ არ შორდებოდა ამ სურათს. მერე, როგორც იქნა, მოვაცილე, სხვაგანაც ვნახოთმეთქი. - რა უნდა ნახო ასეთიო, - მიპასუხა, - მე პირდაპირ ვტკბები ამ სურათით, სიამოვნების ცრემლებს ვერ ვიკავებ, ხომ ხედავო. და, მართლაც, ცრემლებს იშრობდა თვალებზე ცხვირსახოცით. მთელი გამოფენა დავათვალიერეთ. კარგა ხანს დავრჩით გალერეაში. წამოსვლის წინ გრიშა ერთხელ კიდევ მივიდა იმ სურათთან, - მე თითქოს იმასვე ვგრძნობ, რასაც ღრმად მორწმუნე ღვთისმშობლის ხატის წინ, გაუთავებლად მინდა ვიდგე და ვილოცოო.

რაფიელ ერისთავის ქონება

გუშინ ჩვენს პოლიკლინიკაში ვიყავი. იქ ბევრი ნაცნობი მხვდება. მაგრამ შეიძლება დიდი ხნის უნახაობით დავიწყებულ ახლობელსაც გადააწყდე, თავს რომ გაგახსენებს, შენ კი შეიცხადებ, - ეს რა მომსვლია, შენი თავი რამ დამავიწყაო.

იმ დღესაც ასე მოხდა. უცებ თვალი მოვკარი თმათეთრ სანდომიან მანდილოსანს. მეცნაურა, მაგრამ ვერ გავიხსენე და გვერდი მორიდებით ავუარე.

რამდენიმე წუთის შემდეგ თერაპევტთან უნდა შევსულიყავ და ვიდრე ექიმი ჩემთვის მოიცლიდა, მისი კაბინეტის წინ მოსაცდელად დავჯექი. კარი რომ გაიღო, ის მანდილოსანი დავინახე, ექიმთან იჯდა. მეც შემამჩნიეს კაბინეტიდან და მთხოვეს, შევსულიყავი.

- ბატონო ვლადიმერ, თქვენ ვერ ცნობთ ამ ქალბატონს? - მკითხა ექიმმა მერიმ. მაშინ კი ვიფიქრე, ნამდვილად შევმცდარვარ და ნაცნობი ვეღარ მიცვნიამეთქი; ბოდიში მოვიხადე მანდილოსანთან და აღარ მახსოვსმეთქი, ვუპასუხე.

- ეჰ, ჩემო ბატონო, რა გასაკვირია, რომ ვეღარ მიცნოთ, რამდენი ხანია აღარ შევხვედრივართ. ჩვენ კი კარგად ვიცნობდით ერთმანეთს. გახსოვთ, თამარ ჭავჭავაძე და მანია ერისთავი, უსინათლოთა სკოლის ახალგაზრდა მასწავლებლები?... ეჰ, უნდა გენახათ ერთად ეს ორი ძმა ახალგაზრდობაში, - მიუბრუნდა მანდილოსანი ექიმს, - ამათ შეხედვას არაფერი სჯობდა. თანაც ერთნაირები, ვერ გაარჩევდით, რომელი გრიშა იყო და რომელი - ლადო. ვინ არ იცნობდა ამათ, ამ ორ ძმას?!.

კარგა ხანს ვისაუბრეთ, გავიხსენეთ ძველი შეხვედრები, თამარი (ჭავჭავაძე), ვიქტორი (ანჯაფარიძე) და სხვანი.

დაახლოებით ოციან წლებში ჩემმა კარგმა მეგობარმა ვიქტორ ანჯაფარიძემ გამაცნო თავისი ახალგაზრდა მეგობრები, უსინათლოთა სკოლის მასწავლებლები თამარ ჭავჭავაძე (შემდეგში ცნობილი მსახიობი), მანია ერისთავი, რაფიელ ერისთავის, ჩვენი სასიქადულო მწერლის, ქალიშვილი. ჩვენ არაერთხელ ვყოფილვართ მათთან სკოლაში და შემდეგშიც არაერთხელ შევხვედრივართ ერთმანეთს. მაგრამ დრო მიდის და ვბერდებით. თამარ ჭავჭავაძე უკვე აღარ არის, აღარც ვიქტორ ანჯაფარიძე, შესანიშნავი ჯენტლმენი, უაღრესად ზრდილი ადამიანი. მეც წლებმა მიწია და გამოვიცვალე.

ვისაუბრეთ. სხვათა შორის, ქალბატონმა მანიამ გაიხსენა ძველი ამბები და სინანული გამოთქვა, რომ მამის მრავალი კარგი ნივთიდან ვერაფერი გადაარჩინა მუზეუმისათვის ჩასაბარებლად. ეს ამბავი იმასთან დაკავშირებით გაიხსენა, რომ წინა დღით ტელევიზორში ენახა ზუგდიდის მუზეუმი.

- რამდენად უფრო სიძველის პატივისმცემელი ხალხია სამეგრელოში, უფრო შეგნებული, ვიდრე ჩვენ, კახელები. ასეთი მშვენიერი და მდიდარი მუზეუმი ჰქონიათ და ინახავენ კიდეც მოწიწებით, - თქვა მან, - ჩვენ კი, მიუხედავად იმისა, რომ მამა პაპათაგან დატოვებული იმდენი სიმდიდრე გვებადა სოფელში, მარტო იმ ნივთებისაგან გაივსებოდა ერთი მუზეუმი, ვერაფერი გამოვიყენეთ სამუზეუმოდ და ყველაფერი ასე უკვალოდ გაიბნა. მარტო ის რად ღირდა, რაც ქართულმა საზოგადოებამ მამაჩემს იუბილეზე მიართვა. სხვას რომ თავი დავანებოთ, თუნდაც დაკრძალვაზე, სხვადასხვა ზომის, სხვადასხვა სახის, მხატვრულად გაფორმებული ოცდაათი მარტო

ვერცხლის გვირგვინი იყო, თბილისელი დურგლების მიერ სპეციალურად მისი იუბილისათვის გაკეთებული საწერი მაგიდა, საუცხოოდ მორთული და მოკაზმული; ბუკინისტების მორთმეული ძველი წიგნები; ნაირნაირი, ხელით ნაკეთები ნივთები. რა ვიცი, რა არ გვქონდა. რევოლუციის დღეებში სოფლიდან გამოვიქეცით და მივატოვეთ ყველაფერი, რაღა დროს ნივთებზე ფიქრი იყო... დასავლეთში კი ასეთი ამბები არ ყოფილა, არც არაფერი გაბნეულა და დაკარგულა.

დიდი დანანებით იგონებდა ყველაფერ ამას ქალბატონი მანია და წუხდა, რომ მამამისის - რაფიელ ერისთავის ქონებიდან აღარაფერი დარჩა სამუზეუმოდ. მართლა დასანანია, რადგან იუბილარ პოეტს ბევრი რამ მიართვეს საჩუქრად. აი, თუნდაც საგანგებოდ გაკეთებული საწერი მაგიდა!.. სად წავიდა? ეს ხომ პატარა რამე ნივთი არ იყო, რომ დაკარგულიყო? ან თუნდაც 30 ვერცხლის გვირგვინი! ეს მთელი კაპიტალია. როგორ გაიბნა ასე შეუმჩნევლად?.. აფსუს!..

გულბათ - ქართული ლეგენდა

გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ 1955 წლის 11 აგვისტოს ნომერში წავიკითხე სოლომონ ცაიშვილის წერილი გულბათის შესახებ და ძალიან დამაინტერესა, რადგან გულბათს მე და გრიშა კარგად ვიცნობდით.

ის იყო ილია ბატონიშვილის (გიორგი XII-ს ვაჟის) ქალიშვილი ოლღა გრუზინსკაია (უგანათლებულესი თავადი - светлейшая княгиня). იგი იმ წელს (1906), როცა მე და გრიშა პირველად ჩავედით მოსკოვში, გადმოსახლებულიყო პეტერბურგიდან და ცხოვრობდა კერძო სახლში კუდრინის მოედანთან „ბოლშაია გრუზინსკაია“-ს ქუჩის დასაწყისში. მაშინ უკვე სამოცი წლის ქალი იყო, მაგრამ ახლა რომ მახსენდება, უფრო ხნიერად გამოიყურებოდა. მე და გრიშა დავდიოდით ხოლმე მასთან, ყოველ აღდგომას მასთან ვიყავით. ყველას გვირიგებდა თითო წითელ კვერცხს, გვილოცავდა აღდგომას და გვკოცნიდა. ჩვენ ხელზე ვეამბორებოდით ხოლმე. უფროსებიდან ამ დროს მასთან სტუმრობდნენ ალექსანდრე ხახანაშვილი, ივანე თულაშვილი, ჯიბილო ლორთქიფანიძე, ანდრო ხორავა, პოლკოვნიკი გერასიმე ქავთარაძე და სხვები ; სტუდენტებიდან - მე, გრიშა, ალექსანდრე კვიტაშვილი, გიორგი და თედო ჟორდანიები, ვანო მჭედლიძე, გრიშა ცხაკაია, დავით გაგუა, მიშა თუხარელი, შალვა ქარუმიძე. გულბათმა ყველას დაგვირიგა თავისი წიგნები „გრუზინსკიე ლეგენდი“ და გვიყვებოდა ხოლმე თავისი ბავშვობის დროის შთაბეჭდილებებს საქართველოზე; ბავშვობის მერე ის სამშობლოში აღარ ყოფილა, არ აძლევდნენ უფლებას. ახსოვდა მას ყურთმაჯებიანი ქულაჯები, ქათიბები. - ეჰ, მე ვიცი, ახლა აღარ ატარებენ იმ ტანსაცმელს, და იმიტომაც აღარ მინდა იქ წასვლა, კიდეც რომ მომცენ უფლებაო. - ნაღვლიანად იტყოდა ხოლმე, - აბა, რაღა ქართველია ის, ვისაც ასეთი, ყველასათვის მოსაბეზრებელი ევროპული კოსტუმი აცვიაო. სახელებს არ გვეძახდა, შეიძლება, ვერ იმახსოვრებდა და ყველას მოგვმართავდა „სულიკო“-თი. ქართული არ იცოდა, ერთი ორი სიტყვა თუ ახსოვდა ბავშვობიდან. გარეგნულად ძალიან ლამაზი ეთქმოდა, ქალის პირობაზე ცხვირი ოდნავ მოზრდილი ჰქონდა, ბაგრატიონებისეული. შესანიშნავად ლაპარაკობდა ფრანგულად და ევროპის სხვა ენებიც იცოდა. ბავშვობაში ის პეტერბურგში

ცხოვრობდა, ფრეილინად ყოფილიყო სასახლეში და 1906 წელს, არ ვიცი რის გამო, გადმოსახლებულა მოსკოვში.

ილია ბაგრატიონს (გრუზინსკის) ჰყოლია სულ 12 შვილი - 8 ქალი და 4 ვაჟი, რომელთაგანაც ოლღა ყველაზე უმცროსი ყოფილა. იგი გარდაიცვალა მოსკოვში 1913 წლის ივნისში.

ოლღას, რამდენადაც ვიცი, ზვენიგოროდის მაზრაში ჰქონდა დიდი მამული, რომლის მმართველად, ჩვენსობას, ჰყავდა ჯიბილო ლორთქიფანიძე. ჯიბილო „კნიაჟნა ოლგას“ მოურავი იყო და უფრო ზვენიგოროდის მაზრაში ცხოვრობდა, „კნიაჟნას“ სოფელში. ერთ ზაფხულს იმ სოფელში არდადეგებზე სანდრო კვიტაშვილი სტუმრობდა და ძალიან კმაყოფილი იყო, ყველაფერი მზამზარეული მოსდიოდა, ფული საჭმელ-სასმელში არ ეხარჯებოდა. მე და გრიშას გვეხვეწებოდა, წამოდით თქვენცო, არ მოგაწყენთ, კარგ დროს გაგატარებინებთო; მაგრამ ჩვენ იქ კი არა, ჩვენი მშობლიური სოფლის სიყვარულით საზღვარგარეთ ექსკურსიებზე არ წავსულვართ და იქ როგორ წავიდოდით.

სოლომონ ცაიშვილი კი წერს, რომ ოლღას თავის მოურავად არტილერიის პოლკოვნიკი ივანე თულაშვილი ჰყავდაო, მაგრამ რაღაც მეეჭვება. ჯიბილო რომ იყო მოურავი, ეს დანამდვილებით ვიცი, მაგრამ, თუ ივანე თულაშვილიც მისი მოურავი იყო, ეს მე არ გამიგია. ვფიქრობ, სოლომონს არ მოაწოდეს, ალბათ, სწორი ინფორმაცია. ან რატომ უნდა ყოფილიყო ვინმეს მოურავი, როცა უიმისოდაც კარგი თანამდებობა ეჭირა. პოლკოვნიკი იყო და ალექსანდრეს სახელობის სამხედრო სასწავლებელში კითხულობდა ლექციებს Воздвиженка-ზე. ასეთ პირობებში რამდენად შეძლებდა ის მეორე სამსახურის ტვირთის ზიდვას, არ ვიცი.

რაც შეეხება იმას, რომ ოლღას სიკვდილის შემდეგ მისი ლიტერატურული და სხვა მემკვიდრეობა ივანე თულაშვილის ხელში გადასულიყო, ეს კი ადვილი შესაძლებელია და უთუოდ დამაჯერებელიც, რადგან თულაშვილი ძალიან ახლოს იყო ოლღასთან, - შეიძლება ითქვას, ერთადერთი პატრონი მოხუცისა. ამის შემდეგ აბა სხვა ვინ უნდა გამოსჩენოდა მას მეურვედ და, ისიც, 1913 წელს? მაგრამ მე სოლომონის ამ მშვენიერი წერილის იმ ნაწილს არ ვეთანხმები, სადაც წერს, რომ თითქოს „პირველი მსოფლიო ომის შემდეგ თულაშვილი ჰორიზონტზე არ გამოჩენილიყო...“ თულაშვილს კარგად ვიცნობდი და მოსკოვში მის ოჯახშიც არაერთხელ ვყოფილვარ - ვოზდვიჟენკაზე. მსოფლიო ომის შემდეგ ის კარგა ხანს თბილისში ცხოვრობდა, ვფიქრობ, ახლანდელ გალაკტიონ ტაბიძის ქუჩაზე. ხშირად ვხვდებოდი და ყოველთვის ტკბილად ვიგონებდით მოსკოვსა და იქაურ ყოფას. სამწუხაროდ, ოლღას შესახებ მას არაფერი უთქვამს, არც მის ლიტერატურულ თუ სხვა მემკვიდრეობაზე. ვანო როდის გარდაიცვალა, არ ვიცი, მაგრამ მისი ვაჟი კი (ორი ქალი და ერთი ვაჟი ჰყავდა) ახლაც მხვდება ხოლმე. ის რომელიღაც რედაქციის ფოტოკორესპონდენტი უნდა იყოს.

ოლღას მეგობრობდა ცნობილი ქართველი მოღვაწე პოლკოვნიკი ბორის ესაძე (სიმონის ძმა), რომელმაც გამოსცა სქელტანიანი წიგნი „К 300-летию Романовых“.

სიმონ ჯაფარიძე (სოფელი ხირხონისი)

სიმონთან ყოველთვის დიდი სტუმრიანობა იცოდნენ. ვინ არ იჯდა მის სუფრასთან და ისიც ყოველდღე! უსტუმროდ ამ ოჯახში პურის ჭამაც უგემური იყო. ორი თონე ჰქონდათ და ორივეში ყოველდღე პური ცხვებოდა - მერე რა პური! ახლაც მახსოვს მისი არომატი, გემო და გარეგნული სილაზათეც. განსაკუთრებით დიდ წვეულებას იხდიდა სხიერობას, სოფლის დღეობაზე. ორასი, სამასი კაცი და ქალი მაინც იჯდა სუფრასთან შიგნით და გარეთ, ე.ი. ეზოში, კაკლებქვეშ, იყო ერთი ცეკვა, თამაში, სიმღერა, ღრეობა.

სიმონი თვითონ სუფრასთან არ ჯდებოდა ხოლმე. ის ნელი-ნელ დასეირნობდა აივანზე თუ ეზოში და ხანდახან თუ შემოიხედავდა დიდ დარბაზში. ერთხელ გახურებული სიმღერის დროს დინჯად შემოაბიჯა. ზაფხული იყო და მსუბუქად ეცვა. ახალუხის საყელო გახსნილი ჰქონდა, ხოლო ჩოხა - შეუკრავი, მისი მარჯვენა კალთა მარცხენა მხარზე გადაეგდო და სახეზე სასიამოვნო ღიმილი დასთამაშებდა. კარგა ხანს უგდო ყური სიმღერას. მერე, როცა შეწყდა, მომღერლებს მიუბრუნდა:

- რომელი იყო, მაღალ ბანს რომ ამბობდა, ახალგაზრდებო?

- მე, ბატონო სიმონ, - წამოხტა თავმომწონედ ნ. გ.

- შეგირცხვა თავი, გააფუჭე მშვენიერი სიმღერა!

უჩა ჯაფარიძის ნაამბობი

- ამომიღო სული მარგარიტამ. მეუბნება, - კაცო, სულ ტაქსით რას დადიხარ, გეყოფა, როგორც ყველა ახლა ტროლეიბუსშიც ჩაჯექი. მთელი შენი ხელფასი იმ ტაქსებს უნდება.

- ჰო, კარგი, - ვიფიქრე, - ჩავჯდები მეც ტროლეიბუსში, დიდი ხანია აღარ ვმჯდარვარ. ჩემს წარსულს გავიხსენებ.

მართლაც, მეორე დილით სამსახურში მიმავალმა, პირდაპირ ტროლეიბუსის გაჩერებას მივაშურე და, როგორც კი სამხატვრო აკადემიისაკენ მიმავალი ნომერი ჩამოდგა, ავედი. ხალხი ბლომად იყო და დიდი ნაწილი ფეხზე იდგა. ძლივს მოვახერხე ჯიბეში ხელის ჩაყოფა საფულის ამოსაღებად და კონდუქტორს ფული მივაწოდე. მგზავრები ყოველ გაჩერებაზე ჩადიოდნენ და ამოდიოდნენ. როგორც იქნა, მივაღწიე ჩემს გაჩერებას და ძლივს, ვაივაგლახით გადმოვედი ტროლეიბუსიდან, თავისუფლად ამოვისუნთქე.

- ღმერთმა დასწყევლოს ასეთი გაჭირვებული მგზავრობა, - ვიფიქრე გუნებაში. - მართალია, რაღაც კაპიკები დამიჯდა, მაგრამ, სამაგიეროდ, როგორ გავწვალდი, ახლა აქედან სამსახურამდეც ხომ ფეხით უნდა ვიარო. ღირდა კი წვალებად ასეთი „მომჭირნეობა“?

ამ „მსჯელობაში“ რომ ვარ, რატომღაც მექანიკურად ხელი პალტოს ჯიბეში ჩავყავი... ხელში რაღაც მომხვდა...

- ეს რა არის?! - გავიფიქრე გუნებაში, - მე იქ არაფერი ჩამიდვია... საიდან?...

ამოვიღე, დავხედე და... ეს ხომ ჩემი საფულეა?! პიჯაკის ჯიბეში მედო! აქ რა ჯანდაბამ გადმოიტანა!? მე თვითონ ჩავდე და აღარ მახსოვს? ისევ პიჯაკის ჯიბეში დავაპირე ჩადება... მაგრამ ჯერ რატომღაც გავხსენი და...

-ბიჭოს!... ეს რა ამბავია? საფულეში გროშიკაპიკი აღარ არის! საიდან და როგორ? აქ ხომ ორი ოცდახუთიანი მედო და რამდენიმე თუმნიანიც!... ვიფიქრე... ვიფიქრე და მერეღა გამახსენდა, რომ ტროლეიბუსში ვიღაც ახალგაზრდები ტრიალებდნენ ჩემ გარშემო, - ამოუღიათ პიჯაკის ჯიბიდან. - როგორ? რა სასწაულით?!. - და მერე ცარიელი ჩემი პალტოს ჯიბეში ჩაუბრუნებიათ?!

ჯიბგირების ასეთმა მაღალმა პროფესიულმა ხელოვნებამ (ოსტატობამ) პირდაპირ გამაოცა... აი, ყოჩაღ!...

ასე გავაკეთე „ეკონომია“, რომელმაც უკანასკნელი 80 თუ 90 მანეთი მაზარალა.

მცირე ჩანაწერები

მოგონებები! მაგრამ არა მარტო ის, რაც პირადად მახსოვს, არამედ ისიც, რაც ჩვენი ოჯახის შორეულ წარსულზე ბაბუა ნესტორისაგან ბავშვობაში გამიგონია. ბაბუაჩემი დიდი მოყვარული იყო გარდასულისა და ხშირად იცოდა მასზე ლაპარაკი ხან სიამაყით, ხან ნაღვლიანად. ჩვენი წინაპრებიდან არც იმ პირთა აუგად მოხსენიებას ერიდებოდა, რომლებმაც თავისი უგუნურებით ხელი შეუწყვეს (უნებურად, რასაკვირველია) ჩვენი ოჯახის ქონებრივად დაკნინებას. ამ მხრივ ბაბუა ყველაზე ცუდად თავის უახლოეს წინაპარს „პატარა ჯაფარას“ იხსენებდა - მის ბაბუას თუ პაპას, აღარ მახსოვს. „პაპას“ ჩვენი, რაჭული გაგებით ვხმარობ. პაპა აქ ბაბუის მამაა. პატარა ჯაფარა, განსხვავებით დიდი ჯაფარასაგან, რომელიც ამ „პატარას“ ბაბუა იყო თუ პაპა, უხასიათო ყოფილა. „პაპლავაქი“ (ამპარტავანი) იყოო, - ამბობდა ბაბუაჩემი, ე.ი. „ყოყოჩა“, „ცხვირაწეული“. თურმე არავის არაფრად აგდებდა. მას თავისი და იმერელი კურცხალიასათვის მიუთხოვებია და მზითვად მამულები მიუცია. ეს ძალიან დასტყობია ჩვენს ოჯახს, თანაც, იმ მამულებთან სიძეს სხვაც მიუყოლებია და ამიტომ მოყვრებს შორის დავა და გაუთავებელი საჩივრები ჩამოვარდნილა. ისე, კურცხალიას გვარს მაინც სიამოვნებით ვიგონებ, რადგან მასში სადღაც ჩემი წინაპრის სისხლი მეგულება.

გარდა იმ ჯაფარასი, ბაბუა უკმაყოფილო იყო აგრეთვე ერთი რომელიღაც წინაპრისა, რომელსაც ერთ დღეს (ის, როგორც დიდი თავადი, იმერეთის მეფის სამსახურში, მგონი, ზემო რაჭის მოურავი იყო) მოახსენეს, რომ ქუთაისიდან მეფის მგალობლები გვეახლნენ და თქვენს შეგებებას და მოპატიჟებას ელიანო.

- რა დროს მათი შეგებებაა და სტუმრად მოპატიჟებაო, - მკვახედ მიუხლია მოსულისათვის, - მე ისეთი გაჭირვება მადგას, რომ მაგათთვის არა მცხელაო. თავადს თურმე ცოლი ჰყოლოდა მოსალოგინებლად მწოლიარე და ამ გაჭირვების გამო მთელი ოჯახი ფეხზე იდგა. განაწყენებული მგალობლები გატრიალებულან და სოფელ ლაგვანთისაკენ წასულან, სადაც სწვევიან იქაურ აზნაურს ჯაფარიძეს - ვახტანგიშვილს - და მთელი კვირა მასთან მოულხენიათ. ქუთაისში დაბრუნებულებს კი მეფისთვის მოუხსენებიათ თავად ჯაფარიძეჯაფარაშვილის

საქციელის შესახებ და „მაგრადაც“ მოუხსენიებიათ, როგორც მეფის წარმომადგენელთა არაფრად ჩამგდები და „მირონცხებულის“ „ორგული“. მეფე დიდად განრისხებულა ჯაფარაშვილის ასეთ ამპარტავნობაზე, მისი წარგზავნილებისადმი ასეთ უყურადღებობაზე და სათანადო მკაცრი ზომებიც მიუღია: ჩამოურთმევია მისთვის თავადიშვილობა (ალბათ თანამდებობაც) და ის ლაგვანთელი ჯაფარიძისათვის (ვახტანგიშვილის შტოდან) მიუნიჭებია.

ჩვენი გვარის თუ ოჯახის წარსულის ამ ეპიზოდს ბაბუა ნესტორი დიდი გულისტკივილით იხსენებდა. ამბობდა: უღირსი ადამიანის ცუდი და შეუფერებელი ნაბიჯის გამო ჩვენმა ოჯახმა დაკარგა ისეთი დიდი პატივი, როგორიც იყო ზემო რაჭის მოურავობა და თანაც თავადიშვილობაო. მაგრამ ჯაფარაშვილები - ე.ი. ჯაფარ ჯაფარიძის შთამომავლობა - მაინც თავადიშვილებად ითვლებოდნენ. ბავშვობაში გამიგონია ესაო, - ღარველი ჯაფარიძეა ანუ „დიდი ჯაფარიძეებიდანაო“.

შემდეგში ეს ტიტული ნელნელა უფერულდებოდა თუ ხელიდან გვეცლებოდა. თუმცა ბაბუა ნესტორი თავადად ითვლებოდა, უფრო - იწერებოდა. ასე იყო მამაჩემის საბუთებშიც, რომლებიც დაცულია თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის (Закавказский Учительский Институт) ფონდში, ცენტრალურ არქივში. მე თვითონ წამიკითხავს მამაზე «из князей», მაგრამ მამას ეს ტიტული აღარაფრად მიაჩნდა და არც ახსენებდა მას.

აკადემიკოსი გიულდენშტედტიც მოიხსენიებს ჩვენს გვარს რაჭის წარჩინებულ გვარებში. რაჭის ერისთავიო, - ამბობს ის, - წულუკიძე, ჯაფარიძე, იაშვილიო; შემდეგ კი აზნაურთა გვარებზე გადადის.

* * *

ჩვენი გვარის წარმომავლობაზე ვერაფერს ვიტყვი. ის შორეული წარსულიდან უნდა მომდინარეობდეს. ბაბუა ნესტორი გვეტყოდა ხოლმე, რომ ჩვენი წინაპარი ოსეთიდან გადმოსულა ოდესღაცო. შეიძლება. ეს კი ცხადია, რომ ჯაფარიძეების ფუძე ზემო რაჭაა, სვანეთის მიჯნა. სვანეთიდან - სვანი ჯაფარიძეებიდან - აქვთ მათ დასაბამი, თუ პირიქით, იქაური ჯაფარიძეები არიან რაჭიდან წასული, ძნელი სათქმელია. ეს კია, რომ ძეთი დაბოლოებული გვარები სვანეთში არაა და, თუ არის, უნდა ვიფიქროთ, უფრო გვიანდელია. თუმცა ჯაფარიძეებს სვანეთში, როგორც ვიცი, ჯაფრანებს ეძახიან. თუ ეს ასეა და ისინი უფრო ჯაფრანები არიან, ვიდრე ჯაფარიძეები, მაშინ ის ნამდვილად სვანური გვარი ყოფილა დასაბამიდანვე. ყოველ შემთხვევაში, მისი გარკვევა ისტორიული მონაცემების უქონლობის გამო ჩემთვის შეუძლებელია. ან რა საჭიროა?!. ისე კი, ისტორიიდან ცნობილია დიდი ბრძოლა რაჭის თავად ჯაფარიძისა და სვანებს შორის, რომელიც კარგადაა გაშუქებული ეგნატე გაბლიანის „თავისუფალ სვანეთში“ და პროფესორ ბარდაველიძის წიგნში.

ბრძოლის შედეგად ჯაფარიძეს დარჩენია სვანეთის დიდი ნაწილი, რომელიც ამჟამად „მთის რაჭად“ იწოდება და სოფლების ღების, ჭიორასა და გლოლისაგან შედგება. ეს სოფლები რომ ნამდვილად სვანების საცხოვრისი იყო, ამას იქ უამრავი სვანური კოშკის არსებობა ადასტურებდა. კოშკები დღეს უკვე თითქმის მთლიანადაა აღებული. ხოლო მერე, ეს სოფლები რომ ჯაფარიძეების

კუთვნილება იყო, ამის საბუთები მოიპოვება, - თუნდაც როსტომ ერისთავისადმი ჯაფარ ჯაფარიძის მინაწერი (ლექსად) , - ღები და ჭიორა წამართვიო; როსტომს ჯაფარისათვის - ალბათ ღალატის გამო - თვალები დაუთხრია. ამნაირად, ჩვენი გვარი ზემო რაჭიდანაა.

სხვათა შორის, ამჟამად ეს გვარი ძალიან მომრავლებულია, ამიტომ გასარჩევად დამატებით გვარებს იშველიებენ. მაგალითად - მერაბიშვილები, ნასყიდაშვილები, ელიზბარაშვილები, გელაშვილები, ლომკაციშვილები, კუნკულიშვილები, ვახტანგიშვილები და კიდევ მრავალი სხვა. ჩვენი ოჯახი ცნობილია - როგორც ჯაფარიშვილები, რადგან ძველად ჩვენს შტოში მიღებული ყოფილა ბავშვისათვის ჯაფარის დარქმევა, ორი თაობის შემდეგ მაინც.

როსტომ ერისთავის დროინდელი ჯაფარ ჯაფარიძე, როგორც ბაბუასაგან გამიგონია, თურმე ღარულას პირას ცხოვრობდა, სადაც შემდეგ ჩვენი დიდი ყანა და ბაღჩა იყო. უზარმაზარი კაკლის ხე კი, რომელიც „კოლმეურნეობამ“ 30იან წლებში მოჭრა, მის ეზოს ამშვენებდა. სახლკარი გაშლილ ვაკეზე ჰქონდა: ოდა (სასტუმრო), საჯალაბო, სამეურნეო შენობები, საჯინიბოები და მრავალი სხვ. ეს ნაგებობები დიდ სივრცეზე კოხტა ქალაქივით იყო თურმე გადაჭიმული. თანაც, იქვე ჰქონდათ კარის ეკლესია და ციხე.

ონის ციხე რომელიღაც ჯაფარიძეს აუშენებია. მე მაქვს ფრაგმენტი ჟურნალისა („Журнал Министерства Внутренных Дел“. 1840 г. ч.XXXВИИИ) „Обозрение древних зданий в Закавказском Крае“, სადაც სხვათა შორის წერია: „В местечке Они - крепость построенная тавадом Джапарой Джапаридзевым в XV столетии. Посреди сей крепости находится развалившаяся церковь...“ თვალდათხრილი ჯაფარ ჯაფარიძე ამ ციხეზედაც სწერს როსტომს: „ონისა ციხე წამართვი და ზედ პატარა ქალაქი...“

მე მახსოვს ძველი ციხის ნანგრევები ჩვენს ყანაში, ე.ი. ჩვენი წინაპრების ნამოსახლარზე, აგრეთვე პატარა ეკლესიის „საჯვარეს“ ნანგრევები, 1890იან წლებში ბაბუამ ყანის გაწმენდის მიზნით რომ აიღო. მას უკვე სხვაგან ჰქონდა სამოსახლო.

ძველი თვალუწვდენელი თავადური მამულებიდან ბაბუაჩემის დროს უკვე აღარაფერი იყო. ბაბუაჩემი - ერთადერთი ვაჟიღა დარჩენოდა მის მშობლებს, მამულებიდან თითქმის აღარაფერი მიუღია და ღარიბად ცხოვრობდა. ორი და ჰყოლია; ორივე სოფელ სომიწოში იყო გათხოვილი. ერთი მათგანი, ევგენი ჩიკვილაძის ბებია, კარგად მახსოვს, ბაბუდას ვეძახდით. მეორე და სანდრო ჩიკვილაძის ბებია იყო.

ბაბუას გვიან, 1858 წელს, შეურთავს ცოლი. დაბადებული იყო 1828 წელს (ლევ ტოლსტოის კბილა ყოფილა და გარდაიცვალა 1911 წელს, ლევ ტოლსტოის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ). ბებია მართა კი, იაშვილის ქალი სომიწოდან, გათხოვებისას 18 წლის ყოფილა. მახსოვს მისი უფროსი ძმა სოფრომი, ნაპოლეონ იაშვილის მამა, ის ხშირად დადიოდა ხოლმე ჩვენსას.

ბებია და ბაბუა ღარიბად ცხოვრობდნენ, აღარც მამულები შემორჩენოდათ და აღარც ძველი დიდების რაიმე ნაშთი. ყველაფერი გამქრალიყო, არ ვიცი, რა გზით: გაიყიდა თუ დაინგრა, არაფერი მახსოვს ბაბუას ნათქვამიდან. ეს კი ვიცი, იმდენად ღარიბად ცხოვრობდნენ, თურმე, რომ, როცა გაღმა ღარს, ორდინიძეებში, მისი ერთერთი ნაყმევი უშვილოდ გადაეგო და ამიტომ მისი ავლადიდება, სახლკარი, მამული და ქონება, კანონის საფუძველზე მას დარჩა, როგორც მის ბატონს, ბაბუა თავისი ოჯახით მის დანატოვარ სახლში გადასულა.

მამაჩემი და მისი და-ძმანი (ვანო, ზენოპია, აპოლონი, მაშა), ამნაირად, გლეხურ სახლკარში გაიზარდნენ. მიუხედავად ამისა, ყველა მაშინდელი საბუთი ბაბუაჩემს თავადს უწოდებს.

ჩვენი შტოს გარდა, ჯაფარიძეებში თავადებად მხოლოდ ონჭეველი ჯაფარიძეები (კუნკულიშვილები) და აგრეთვე ლაგვანთელი ვახტანგიშვილები იწოდებოდნენ, - მე ვამბობ რუსული მმართველობის შემოღებამდე. დანარჩენი ჯაფარიძეები აზნაურებად მოიხსენიებოდნენ. ძალიან მიკვირს, ველთეთელი ჯაფარიძეები (იგივე ლომკაციშვილები) რად არ მიიჩნეოდნენ თავადიშვილებად, რადგან მათი წინაპარი ლომკაც ჯაფარიძე იმერეთის მეფის სოლომონის ელჩი იყო რუსეთში.

ბაბუაჩემს ჭკუა უხმარია და თავისი ვაჟებისათვის განათლების მიცემა უფიქრია. ისინი ონის სამაზრო ორკლასიანი დაწყებითი სასწავლებლის შემდეგ თბილისში წაუყვანია; ჯერ უფროსი ვანო, რომელსაც სამასწავლებლო ინსტიტუტთან არსებული სამოქალაქო სასწავლებელი დაუმთავრებია და მერე - თვით ინსტიტუტიც; მის შემდეგ უკვე მამაჩემისთვის და ბოლოს აპოლონისთვისაც უზრუნია. მამაჩემს სამასწავლებლო ინსტიტუტი (Закавказский Александровский учительский институт) 1881 წელს 19 წლის ასაკში (დაიბადა 1862 წელს) დაუმთავრებია და იმავე წელს დაუქორწინებიათ მშობლებს. უფროსი ძმა ვანო ინსტიტუტის დამთავრებისთანავე გარდაცვლილა, ამიტომ უფრო შეშინებულ მშობლებს მამაჩემის დაქორწინება დაუჩქარებიათ.

და ამ ქვეყანას ჩვენ მოვევლინეთ.

კურიოზები

მე და ჩემი ძმა გრიშა

მე და გრიშა დავბადებულვართ რაჭაში 1887 წლის 14 მაისს. მე მასზე დაახლოებით ნახევარი საათით გვიან დავბადებულვარ და ტანით უფრო დიდი ვყოფილვარ. ამიტომ ჩვენს მშობლებს ის შეცოდებიათ და, როცა დედას დასახმარებლად ძიძა მოუყვანიათ, მე თურმე ძიძის ძუძუს მაწოვებდნენ; გრიშას კი, როგორც უფრო სუსტს, დედა აწოვებდა. საბოლოოდ, რატომღაც, მაინც გრიშაზე უფრო ჯანმრთელი და ძლიერი გავიზარდე.

გრიშას წიგნების კითხვა უყვარდა. კითხვა ისე იტაცებდა, რომ გაკვეთილების მომზადებაც ავიწყდებოდა; უფრო კი ეზარებოდა, რადგან წიგნის მოშორება ემძიმებოდა. განსაკუთრებით არ უყვარდა მათემატიკური საგნები. მე უფრო ბეჯითად ვეკიდებოდი სასწავლო პროგრამას და, თუმცა გულზე არც მე მეხატებოდა მათემატიკა, სწავლით მაინც ვსწავლობდი. ჩვენი საყვარელი საგნები იყო რუსული ლიტერატურა, ისტორია, გეოგრაფია და, განსაკუთრებით, ხატვა; ქართული ლიტერატურა ხომ - თავისთავად. გრიშას წერაც ძალიან უყვარდა: როცა რაიმე თემას მოგვცემდნენ, რუსულში იქნებოდა ეს თუ ქართულში, მისი ,,აღდგომა“ ის იყო, შეუდგებოდა წერას და დაწერდა, მართლაც, ლამაზად და შინაარსიანადაც. უფრო სტილის სილამაზით გამოირჩეოდა. შემდეგში გრიშამ ლექსების წერაც დაიწყო, რომელიც მრავლადა აქვს დაბეჭდილი ,,,,იმპრესიონისტულ” ჟურნალებში „,,ცისფერ ყანწებში“, „,,ნიამორებში“ და სხვა. ლექსებს რუსულადაც წერდა. მეც ვწერდი, მაგრამ ამ საქმეში მას ვერ

შევედრებოდი. მოსკოვში რომ ვიყავით, ის ხშირად გზავნიდა წერილებს თბილისის რუსულ გაზეთ «Закавкаье»-ში და ზოგჯერ მართლა კვლევითი ხასიათის დიდ წერილებსაც, რისთვისაც ხშირად იჯდა ხოლმე ე. წ. „რუმიანცევის“, ახლა „საჯარო“ ბიბლიოთეკაში. ლიტერატურის სიყვარულით ის ფილოლოგიის ფაკულტეტზე მოეწყო, რისთვისაც არ მოერიდა დამატებითი ბერძნული ენის ჩაბარებას. მთელი წელიწადი მოანდომა ამ ენის დაუფლებას და დაეუფლა კიდეც. გამოცდა მოსკოვის „სასწავლო ოლქში“ ბრწყინვალედ ჩააბარა; ბეჯითად სწავლობდა, პირდაპირ ღამეებს ათენებდა.

მე კი უფრო თანმიმდევრული ვიყავი როგორც საგნების სწავლაში, ისე გარეშე წიგნების კითხვაში. როცა გამოცდები მქონდა, მხოლოდ სახელმძღვანელოები მახსოვდა, გარეშე წიგნებსაც გადავდებდი, წერასაც, ხატვასაც და ნაცნობ ქალიშვილებთან სტუმრობასაც.

გრიშა ქალიშვილებთან წასვლას არაფრით არ გადადებდა. ერთხელ გამოცდაზე წავიდა და შინ დაბრუნება დააგვიანა. შევწუხდი, ვიფიქრე, ან ჩაიჭრა, ან რამე დაემართამეთქი. თურმე ვიღაც გოგონა გაუცვნია უნივერსიტეტში მიმავალს, მოსწონებია და თითქმის მთელი დღე მასთან ჟღურტულში გაუტარებია, გამოცდა კი სრულიად დავიწყნია, „გადაუდვია“ სხვა დროისთვის.

მე კი ბერძნულის გამო ფილოლოგიურ ფაკულტეტზე შესვლას თავი დავანებე და იურიდიულ ფაკულტეტზე ჩავეწერე. ასე რომ, მე უფრო ანგარიშიანი ვიყავი, ის კი - უფრო გრძნობათა ამყოლი, უფრო „ემოციური“.

როცა მამაჩემმა გიმნაზიაში მისაბარებლად ქუთაისში წაგვიყვანა, დედასთან დაშორების გამო გზაზე სულ ტიროდა, მე უფრო გულმაგრად ვიყავი. წლის განმავლობაშიც, როცა მშობლებს წერილსა ვწერდით ხოლმე, ის იცრემლებოდა და მე შემომნატროდა - ნეტავი შენ, რა გულმაგარი ხარო. ასეთი დარჩა ბოლომდე - მგრძნობიარე, მოყვარული... უსიამოვნების პატარა ნიავსაც ვერ უძლებდა. შეიძლება იმიტომაც, რომ რაღაც აწუხებდა. მოწაფეობის დროს მისი ავადმყოფობა მხოლოდ ერთხელ მახსოვს, გაცივდა და ფილტვების ანთება დაემართა. თვეზე მეტი იწვა და მკურნალობდა, რის შემდეგ სოფელში გაგზავნეს მშობლებმა, სწავლასაც კი თავი დაანებებინეს - აკადემიური შვებულება აუღეს. ამის შემდეგ ის სულ კარგად იყო, მაგრამ ბოლო წლებში კუჭის ავადმყოფობა დასჩემდა. ალბათ ფრონტზე 1914-16 წლებში არანორმალურმა კვებამ დააავადა. კუჭის ავადმყოფობამ თანდათან სძლია გრიშას ჯანმრთელობას და ბოლოს ოპერაციამდე მიიყვანა, რომელსაც ვეღარ გაუძლო.

შეიძლება ითქვას, რომ გრიშამ სიცოცხლე მე შემომწირა: ძველი კანონი ტყუპი ძმებიდან მხოლოდ ერთს ავალდებულებდა სამხედრო სამსახურს, რასაც თავად ძმები წყვეტდნენ. და აი, გრიშამ ჩემს წასვლას, თვითონ არჩია წასვლა; უცოლო იყო, მარტოხელა, მე კი - ცოლშვილიანი, თანაც სამსახურშიც ვიყავი. მოკლედ, ვინ ჩასწვდენია წუთისოფლის გამოცანას!

ვახსენე უკვე წიგნისადმი გრიშას განსაკუთრებული სიყვარული. მაგრამ ნაკლებ ლტოლვას არც ხატვისადმი ამჟღავნებდა. ძმებს ხატვის ინტერესი მამამ გაგვიღვიძა. როცა სკოლაში შესასვლელად გვამზადებდა, გვაძლევდა ხოლმე რაიმე ლამაზ ნახატებიან წიგნს და იქიდან ვიხატავდით. თვითონაც გვიხატავდა ფანქრით ცხენებს, ცხენიან კაცებს. ის ალბათ წიგნის სიახლოვეს გვაჩვევდა, მის სიყვარულს, ფანქრის ხელში ჭერას და მის ხმარებას. ხატვის ეს სიყვარული ძალიან გაგვიღრმავა ქუთაისის რეალურმა სასწავლებელმა, სადაც ამ საგნის სწავლის საქმე ძალიან კარგად იყო დაყენებული; განსაკუთრებული, დიდი

დარბაზი იყო ამ საგნისათვის გამოყოფილი. დარბაზში თაბაშირის ლამაზი ფიგურები და ბიუსტები იდგა. სკოლაში მე და გრიშას ხატვაში ვერავინ გვჯობდა. მაგრამ ნიჭს კი ბევრი ამჟღავნებდა, მათ შორის - პატარა დიმიტრი შევარდნაძე, შემდგომში ცნობილი მხატვარი, თბილისის სამხატვრო გალერეის დირექტორი.

გრიშას უფრო სურათის გალამაზება უყვარდა, ერთგვარი სტილიზაცია. მე უფრო, ასე ვთქვათ, რეალისტურად ვუდგებოდი სამუშაოს, მოდელის მიმგვანებაზე ვფიქრობდი. ის კი მსგავსებას დიდად არ დაგიდევდა, ოღონდ ლამაზად გამოეყვანა, თავისებური იერი მიეცა.

როცა მოსკოვში შოთა რუსთაველის ახლებურად, ჩვენებურად გაგებული პორტრეტის დახატვას ვფიქრობდით, ბევრი ვიწვალეთ: ხან უქუდოდ დავხატეთ, ხანაც - ქუდით, ხან წვერით, ხან - უწვეროდ; ახლაც მაქვს სადღაც შემონახული ერთი იმ საცდელ მონახაზთაგანი - პატარა წვერი აქვს, ქოჩორა თმა, უქუდოდ. ის უფრო გრიშას ნამუშევარია. არც ის მოგვეწონა. ხანში შესულის წვერიანი სახე „არ ჩაჯდა“, „არ ჩაეწერა“ რუსთაველზე ჩვენს წარმოდგენაში. გვინდოდა რაღაც არაჩვეულებრივი ყოფილიყო, რაც ჩვენს რუს მეგობრებს, სტუდენტობას, საქართველოს წარსულს, ქართულ კულტურას დაანახვებდა, მათ წარმოდგენაც რომ არ ჰქონდათ. ზოგადად გვესახებოდა, როგორი იქნებოდა მე12 საუკუნის ქართველის სახე და თანაც - გენიოსისა, თავადვე რომ გვიხატავს ,,ვეფხისტყაოსანში”: - „ავთანდილ იყო სპასპეტი, ძე ამირსპასალარისა, საროსა მჯობი, ნაზარდი, მსგავსი მზისა და მთვარისა“. დიახ, - ვამბობდით ორივე, - რუსთაველი უნდა იყოს ნიმუში არა მარტო ბრძენკაცის, არა მარტო სულიერი სილამაზისა, არამედ - ფიზიკურისაც, „მსგავსი მზისა და მთვარისა“. არც ერთი არ ვაკლებდით ცდას, გვეპოვა ის ,,რაღაც”, ის შტრიხი, ის ფერი და ხაზი... თავს არ ვზოგავდით... ამას ე. წ. „ზემლიაჩესტვოს“ ყოველდღიური ცხოვრებაც გვავალებდა, როგორც მის აქტიურ წევრებს.

ჩემს ბედს ნამდვილად ვემდური, მეტად პატარა როლი დამეკისრა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მეტს ველოდი და მონაცემებიც მქონდა. განსაკუთრებით, ჩემი და გრიშას ერთობლივი მოღვაწეობა იქნებოდა მეტი სიკეთის მომტანი. ამას ხაზს იმიტომ ვუსვამ, რომ მარტო მე ვერაფერს ვაკეთებდი, გრიშასთან ერთად კი რაღაც ისეთი ძალით დავიმუხტებოდი, მეგონა, ყველაფერს შევძლებდი. ასე იყო ისიც და მეუბნებოდა კიდეც.

მაგრამ ჩვენ, ორივე, წითელმა კატასტროფამ გვიმსხვერპლა... თითქოს ჩვენი შესაძლებლობებიდან აღარაფერი დაგვიტოვა... ყველაფერზე ხელი ჩავიქნიეთ, რაკიღა ყველამ ერთად წამოყო თავი, მცოდნემ თუ უვიცმა, ღირსეულმა თუ უღირსმა და ცხოვრების „გაშლილ სუფრას“ მიესია. ასეთ დროს ჩვენი ადგილი აღარსად დარჩა. უკადრებელს ვერ ვიკადრებდით და უღირსთა დარად ცხოვრებას მუჯლუგუნებით ვერ გავარღვევდით... ასე თანდათან მდაბიოთა და უვიცთა ხელში აღმოჩნდა ქვეყანა. თუ პროლეტარული წარმოშობის არ იყავი, არ გენდობოდნენ არაფერში. თუ ნასწავლი იყავი, კიდევ უარესი, თუ გეცვა ადამიანურად და გეხურა, ეჭვის თვალით გიყურებდნენ და „ცილინდრიო“, გაიძახოდნენ. სანდო არ იყავი და შენთვის გზაც გადაკეტილი იყო.

ასე და ამნაირად ჩამოვრჩით ცხოვრებას, უიმედონი და გულგატეხილნი... სამაგიეროდ, თავხედი და უმეცარი, წერა-კითხვის უცოდინარი ,,პროლეტრევოლუციონერები” მიიწევდნენ ზემოთ და ზემოთ...

მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, რაც არ უნდა დაეკისრებინათ ჩემთვის, მაინც ყველაფერს სინდისის კარნახით ვასრულებდი, ჩემი პატიოსანი ადამიანური შეგნებით. მამაჩემის და ჩვენი დიდი ოჯახის წმინდა სახელი არ შეგვიბღალავს არც მე, არც ჩემს ძმებს. ჩვენ ყველანი ერთნი ვიყავით ადამიანური შეგნებით, სინდისით, პატიოსნებით. ეს მაღალი ცნებები ყველას ერთნაირად გვესმოდა და გვესმის დღესაც.

ზოგი რამ ჩემი და გრიშას წარსულიდან

როცა მე და გრიშა ქუთაისის რეალურ სასწავლებელში ვსწავლობდით, ხშირად ვეშლებოდით მასწავლებლებსაც და მოწაფეებსაც. ერთხელ, პირველ კლასში რომ ვიყავით, დიდ დასვენებაზე, მოწაფეები ეზოში გამოეფინენ და თამაშობდნენ. რაღაც საქმეზე გრიშას დავუწყე ძებნა. დავინახე თუ არა მოწაფეების გუნდში, დავუძახე: - „გრიშაააა!...“

უცებ იმ ჯგუფიდან ჩემი მისამართით მუქარა შემომესმა და მუშტმოღერებული ერთი უფროსკლასელი მოწაფე, გვარად ბახტაძე, საცემრად გამოექანა: ,,მე შენ გიჩვენებ სეირს, დამაცადეო“, მაგრამ მოვასწარი გაქცევა.

საქმე ის გახლდათ, რომ ბახტაძე იყო ბრგე ბიჭი, ღონიერი და გულადი. მისი ყველას ეშინოდა. იგი ვერ იტანდა, როცა წითური თმის გამო ვინმე „რიჟას“ დაუძახებდა. ამას, რასაკვირველია, ვერავინ ბედავდა, რადგან კარგად იცოდნენ, რომ არავის შეარჩენდა დაცინვას.

ჩემკენ რომ მუქარით გამოექანა, მაშინვე მივხვდი, - გრიშა „რიჟად“ მოეჩვენა.

არ გასულა რამდენიმე წუთი, რომ გრიშამ მოირბინა და ტირილ-ტირილით მისაყვედურა: - ბახტაძემ მცემა, „შენი რიჟა ვარ მეო“?... რატომ დაუძახე რიჟა, შენ მაგიერ მე გამლახა. - თან აკვირვებდა ჩემი საქციელი, რადგან იცოდა, რომ ვინმეს შეურაცხყოფა არ მჩვეოდა, მოჩხუბარაც არ ვიყავი. მართლაც, მე და გრიშას ყველა გვიცნობდა, როგორც მშვიდობისმოყვარე ბავშვებს, ზრდილობიანებს და მოკრძალებულთ უფროსებთან.

მაგრამ სულ მალე ყველაფერი გამოირკვა და ბევრიც იცინეს მეგობრებმა. ბახტაძემაც მოგვიბოდიშა, როცა გაიგო თავისი ორმაგი შეცდომა: პირველი, და მთავარი, ის, რომ მე „რიჟა“ არ დამიძახნია, და მეორეც - შეცდომით უდანაშაულო გრიშას გაუსწორდა.

ფრანგულის გაკვეთილზე

მეხუთე კლასში, ფრანგული ენის მასწავლებლად ვინმე პორაკოვი გვყავდა, პარიზში ნამყოფი და ნასწავლი თბილისელი ახალგაზრდა, თურმე ქართველი ფორაქიშვილი. მაგრამ იმ დროს ბევრს ურუსულებდნენ გვარს, არ მოსწონდათ ქართული დაბოლოება „შვილი“. ამიტომ რუსი გვეგონა.

ფორაქიშვილი კარგი მასწავლებელი იყო. მოწაფეებთანაც ზოგიერთივით არ იბღინძებოდა და ყველას გვიყვარდა.

ერთხელ გამიძახა, მკითხა გაკვეთილი, მოეწონა ჩემი პასუხიც და კარგი ნიშანიც დამიწერა. შემაქო კიდეც. ჩემი მერხისკენ რომ წამოვედი, გრიშა გამოიძახა. მაგრამ გრიშა თურმე ფანქარს თლიდა, თითი გაეჭრა და სისხლის შეჩერებას ცდილობდა, გაკვეთილის საპასუხოდ არ ეცალა. წამჩურჩულა: ისევ შენ გადი, რას გაიგებსო.

რაღას ვიზამდი, - ძმა ძმისთვისო და გავედი. მასწავლებელი შემომაჩერდა, შემომაჩერდა და... გაიცინა: - კაცო, ეს ძმები როგორ ჰგვანან ერთმანეთს. მე ისევ ის მეგონა, წეღან რომ მპასუხობდაო. - წეღან ვლადიმერი პასუხობდა, მე კი გრიგოლი ვარმეთქი, - ვთქვი უტეხად.

დამიჯერა, რასაკვირველია, მაგრამ ბევრი კი იცინა თავის „შეცდომაზე“. გაკვეთილის შემდეგ თურმე მასწავლებლებს უყვებოდა ამ გაუგებრობზე, რომელიც სინამდვილეში სულაც არ იყო შეცდომა.

კოსმოგრაფია

1906 წლის გაზაფხულია. სასწავლებლის დამამთავრებელ გამოცდებს ვაბარებთ. დღეს კოსმოგრაფიაში გვაქვს გამოცდა. საგანი საინტერესოა, თან მოცულობითაც პატარაა, მასწავლებელიც კარგი გვყავს და ამიტომ კარგადაც ვარ მომზადებული. გულმაგრად ვარ. ესაა, რომ ბოლომდე ვერ გავიმეორე, თუმცა არ მეშინია, რაღა მაინცადამაინც ის ბოლო ბილეთი შემხვდება-მეთქი, ვიფიქრე.

და, აი, უიღბლობა! გავედი თუ არა გამოცდაზე, მე-17 ბილეთი ავიღე. ფუ, დაგწყევლოს ღმერთმა! ხუთოსანი ვიყავი ამ საგანში და 4-ზე მეტი კი ვერ მივიღე. სამაგიეროდ, მასწავლებლებთან საუბარში ეს ბილეთიც კარგად დავამუშავე.

მე უკვე ჩემს მერხზე ვიჯექი, გრიშა რომ გამოიძახეს. მაგრამ სად არის გრიშა! რაშია საქმე? იგვიანებს, ჯერ არა ჩანს. მოწაფეები ჩამციებიან, გადი იმის მაგივრადო, მაგრამ მე ვერ ვბედავ, ვაი, თუ მიცნონ. არადა, საქმე დაყოვნებას ვერ ითმენდა. გავდივარ, მომჩერებიან მასწავლებლები: ილარიონ ლორთქიფანიძე (ინსპექტორი), კონსტანტინე ღოღობერიძე, ზარგარიანი და სხვანი. მე გულადად ვარ, რომ შიში არ შემატყონ.

- Григорий? - მეკითხებიან. – Да, Григорий! - ვპასუხობ მე. გაშალეს ბილეთები. გაშალეს ხელახლა, რადგან ბილეთები ცოტა იყო კურსის სიპატარავის გამო, მოწაფეები კი - ბევრი.

დავწვდი ბილეთებს, ვცდილობ პირველი ნომრებიდან ავიღო... ავიღე, გადავაბრუნე. ისევ ის მე-17 ნომერი! მასწავლებელს რომ გადავეცი რეგისტრაციისათვის, გაეცინა და კოლეგებს მიმართა: - უყურეთ ამ სასწაულს, წეღან ეს მე-17 ნომერი ვლადიმერმა ,,დაისაკუთრა” და ახლა გრიგოლმაც იგივე ბილეთი არ ამოიღო!... - ისე ძალიან ჰგვანან ძმები ერთმანეთს, რომ ბილეთსაც ერთი და იგივეს ,,ირჩევენო”. ბევრი იცინეს. მე მიხარია გუნებაში, რომ ყველაფერი რიგზეა და უკვე წეღან დამუშავებულ ბილეთში მოცემული მასალა, რასაკვირველია, უფრო უკეთ ჩავაბარე და ხუთიანიც მივიღე (გრიშასთვის!).

მათემატიკა

კოსმოგრაფიის გამოცდებს რომ მოვრჩით, მოწაფეები სულ ჩვენს - ძმების ეშმაკობებზე ლაპარაკობდნენ და თურმე ამ ამბავმა მასწავლებლების ყურამდეც მიაღწია, მაგრამ მათ ეს ხუმრობად მიიჩნიეს და ყური არ უგდეს.

თუმცა ყოველი შემთხვევისათვის, Зарубили на носу და მათემატიკაში, მგონი, ალგებრაში, ორივე ერთად გაგვიძახეს. ჯერ ზეპირად გვეკითხებოდნენ, მერე თითო ამოცანა მოგვცეს და დაფებისკენ გაგვისტუმრეს, ზეპირად კი სხვა ორ მოწაფეს ცდიდნენ.

მე ჩემი ამოცანა გამოვიყვანე, მაგრამ გრიშას რაღაც არ გამოსდიოდა, მალმალე შლიდა დაწერილს. როგორ უნდა მივხმარებოდი, არ ვიცოდი. დაფის უკან ფანჯარაზე წყალი იდგა გრაფინით და იქ მივედი, ჭიქაში წყალი ჩავასხი და ვსვამ. ამ დროს გრიშაც მოვიდა, მითხრა, ბიჭო, ამ ამოცანას ვერაფერი გავუგე და მიშველე რამეო. მე ვუთხარი: ჩემი ამოცანა გამოყვანილია და წადი ჩემს დაფასთანმეთქი, მე კი გრიშას დაფისაკენ გავწიე. გვეცვა სულ ერთნაირად და ვინ რას მიხვდებოდა. მაგრამ მასწავლებლებს ფიქრადაც არ მოსვლიათ, რომ ჩვენ აქ რაიმეს ვიეშმაკებდით, მით უფრო, რომ ზეპირი ორივემ კარგად ჩავაბარეთ. რაღაც იღბლად ვერც მოწაფეები მიხვდნენ რაიმეს, თორემ ატყდებოდა სიცილი და... სანამ კომისია იმ ორი მოწაფით იყო დაკავებული, რომლებიც ჯერ კიდევ ზეპირს აბარებდნენ, გრიშა ჩემს დაფასთან იდგა გამარჯვებულის სახით და მეც უკვე ვამთავრებდი გრიშას ამოცანის გამოყვანას. გათავდა ზეპირი. ჩვენ ვდგავართ და ვუცდით. გადახედეს დაფებს. ყველაფერი რიგზეა. მერე ჯერ გრიშას მიმართეს: - ვლადიმერ, როგორაა თქვენი ამოცანის საქმე, - ეკითხებიან გრიშას, ანუ მათი აზრით - მე. - კარგად, მასწავლებელო, ყველაფერი რიგზეა, ამოცანა გამოყვანილია, - პასუხობს გრიშა. გადახედა მასწავლებელმა: - სწორია, - თქვა მან, თქვენ ყოჩაღი ხართ, ვლადიმერ. თავისუფალი ხართ, წაბრძანდით. გახარებული გრიშა უკანმოუხედავად გავარდა გარეთ. - თქვენ კი, გრიგოლ, რაღაც გაგირთულდათ, მგონია, არა? - მეკითხება მასწავლებელი, - გაგიძნელდათ?

- კი გამიძნელდა, მაგრამ მაინც დავძლიე-მეთქი, - ვუთხარი და დავსვი წერტილი.

- შენც ყოჩაღი ხარ, გრიგოლ, მარა ხანდახან წაიზარმაცებო, - მითხრა მასწავლებელმა და გრიშას გასწვრივაც დაწერა 5.

ფეხსაცმელების მაღაზიაში

მოსკოვში, 1906 წელს, მე, გრიშა და ანდრო რაზმაძე ერთად ვცხოვრობდით ბოლშაია ნიკიტსკაიაზე, სემენკოვიჩის სახლში (კონსერვატორიის პირდაპირ). ერთხელ სამივენი ფეხსაცმელების საყიდლად წავედით. მაღაზიაში რომ შევდიოდით, გრიშა უკან ჩამოგვრჩა, ვიღაცას ელაპარაკებოდა.

მე და ანდრო დარბაზში შევედით, დაგვსვეს და, როგორც ყველა, ვიზომავთ ფეხსაცმელებს. მაგრამ გრიშა სადაა ამდენ ხანს? ამ ფიქრში რომ ვარ, გავიხედე პირდაპირ და გამიკვირდა: გრიშა აგერ ზის და ჩემსავით ახალ ფეხსაცმელს იზომავს. - ანდრო, გრიშა აგერ ყოფილა, კაცო... მანაც შეხედა და მერე ხარხარი აუტყდა. მაღაზიაში სწორედ იმ დროს შემოვიდა გრიშაც. მე კი თურმე

უზარმაზარ სარკეს შევუყვანივარ შეცდომაში, ჩემი თავი რომ გრიშად ,,მომაჩვენა". სამივემ დიდხანს ვიცინეთ, მაგრამ მე მაინც ვერ გამეგო, როგორ მომივიდა, რომ ჩემი თავი გრიშა მეგონა.

თბილისის ქართულ კლუბში

მე და გრიშა მოსკოვიდან საზაფხულო არდადეგებზე შინ მოვდიოდით და თბილისში შევჩერდით. მაშინ გზა ბაქოს გამოვლით იყო. საღამოს მეგობრებთან ერთად „ქართულ კლუბში" წავედით. ეს კლუბი მოთავსებული იყო დღევანდელ ილია ჭავჭავაძის კულტურის სახლში. მთელი შენობა თავის ბაღიანად საუცხოოდ ჰქონდათ მოწყობილი. ქართული თეატრიც, შემდეგში - გრიბოედოვის სახელობის რუსული თეატრი - იქვე იყო. კლუბში დიდხანს შევყევით მეგობრებთან საუბარს და დროსტარებას. წამოსვლა დავაპირე, მაგრამ გრიშა ვერ ვნახე. ვიფიქრე: ალბათ უკვე წასულია, ქვევით თუ მიცდისმეთქი. ბაღიდან რომ შენობის გამოვლით, აუარებელ ხალხთან ერთად, ქვევით ჩამოვდიოდით, უცებ ამ ხალხში თვალი გრიშას მოვკარი და გამეხარდა, ძებნა აღარ დამჭირდებოდა. ისიც კიბეზე ჩამოდიოდა და მანაც დამინახა.

- სადა ხარ, კაცო, გეძებმეთქი, - შევძახე და ამდენ ხალხში მე მისკენ, ის კი ჩემკენ მოიწევს, მოარღვევს ხალხს და უცბად შუბლით სარკეს დავეჯახე. თურმე მთელ კედელზე სარკე ყოფილა.

ვისაც ქართული კლუბი ახსოვს, უთუოდ ემახსოვრება ის დიდი სარკეც, რომელიც მთელ კედელს ფარავდა ჩამოსასვლელ კიბესთან შენობის მეორე სართულზე.

გრიშა, მართლაც, მიცდიდა ქვევით ამხანაგებთან ერთად და, როცა ჩემი შეცდომის ამბავი მოვუყევი და შუბლზე კოპიც ვაჩვენე, ბევრი ვიცინეთ ყველამ.

სახელგამში

ერთხელ გრიშა სოხუმიდან ჩამოვიდა. ის იქ ქართული ტექნიკუმის დირექტორად მუშაობდა და ჩემ სანახავად სამსახურში „სახელგამის" სამმართველოში მეწვია. მოსულა გრიშა „სახელგამში" და მეძებს, არ იცის, რომელ ოთახში ვზივარ. შეიხედა პირველსავე ოთახში. იქ ბუხჰალტერი იჯდა, სახელი აღარ მახსოვს, გვარად კი მაისურაძე იყო. გრიშამ ჯერ სალამი მისცა ყველას, როგორც იცოდა, და შეეკითხა: - ბოდიში, აქ ლადო ჯაფარიძე რომელ ოთახში ზის, ხომ ვერ მეტყვით? მაისურაძე გაშტერებული მისჩერებია. ვერ გაუგია: რა მოუვიდა ამ ლადო ჯაფარიძეს, თავის თავს რომ კითხულობსო, მაგრამ იღბლად იქ ძველი თანამშრომლებიც ისხდნენ, რომლებმაც იცოდნენ ჩვენი ამბავი, მიხვდნენ მისახვედრელს და გრიშა ჩემს ოთახში შემოიყვანეს.

მაისურაძეს კი დიდხანს არა სჯეროდა, რომ ის, ვინც წეღან ლადო ჯაფარიძე იკითხა, თვითონ ლადო არ იყო და შიშნეულად კითხულობდა თურმე: სკლეროზი ხომ არა აქვს ლადო ჯაფარიძეს, თავის ოთახსაც რომ ვეღარ აგნებსო.

სოხუმში

1931 წელს, შემოდგომაზე, გრიშასთან სოხუმში ჩავედი, რომელსაც ქალაქში ყველა კარგად იცნობდა.

სოხუმში მატარებლით დილით ჩავედი და იქაურობა ძალიან მომეწონა, ყველაფერს ინტერესით ვათვალიერებდი, ვაკვირდებოდი. მივდივარ ნელნელა ქუჩა-ქუჩა, ყველანი სალამს მაძლევენ, დარწმუნებული ვარ, გამვლელებს გრიშა ვგონივარ. მეც თავაზიანად ვპასუხობ მათ.

არ ვიცი, საით წავიდე, რომელი მიმართულებითაა ნეტავ გრიშას ტექნიკუმი! ვიკითხო? მრცხვენია. რას იტყვიან, თავის ტექნიკუმს კითხულობს, ხომ არ გაგიჟდაო. არადა, როგორ მოვიქცე?

ბოლოს, გავბედე და მაინც ვკითხე ერთს, რომელიც, ჩემი ფიქრით, არ უნდა ყოფილიყო გრიშას ნაცნობი: - უკაცრავად, ხომ არ იცით, სადაა აქ ქართული ტექნიკუმი? ის შემომაშტერდა, კარგა ხანს მიყურა და მერე უკან-უკან დაიხია, გამეცალა. შევატყვე, შორიდან მითვალთვალებდა. ვინ იცის, რა იფიქრა, რა მოუვიდა ამ ადამიანსო... შევწუხდი, ირგვლივ ტრანსპორტიც არაფერი ჩანდა, არც ტაქსი, არც ცხენიანი ეტლი, არც ავტობუსი! ის ხომ პირდაპირ მიმიყვანდა ტექნიკუმში.

ბოლოს, ერთს ვკითხე ტექნიკუმის მისამართი, თანაც, დავუმატე, რომ ჯაფარიძის ძმა ვარ, თბილისიდან ჩამოვედი, მასთან მივდივარმეთქი და იმან მიმასწავლა. თანაც, ბევრი მიყურა და მეზობლებს ჩემკენ უთითებდა, ალბათ უკვირდა თვითონაც და სხვასაც უყვებოდა ჩემს მსგავსებაზე ძმასთან.

როგორც იქნა, მივედი ტექნიკუმთან. იქ ბევრი მოწაფე დარბოდა ეზოში. აგერ გრიშას „კაზბეკამაც“ მოირბინა და შემომახტა წინა ტორებით, ლაქუცი დამიწყო, შინაურ ადამიანად მიცნო. მოწაფეები სალამს მაძლევენ გრიგორი მალაკიევიჩს.

და ბოლოს, როგორც იქნა, გრიშაც გამოჩნდა. რომ დამინახა, ჩემკენ გამოქანდა. ერთმანეთს ტარიელ-ავთანდილივით გადავეხვიეთ. მოწაფეების განცვიფრებას საზღვარი არა აქვს, მოგვჩერებიან და, რომელია მათი დირექტორი და რომელი მისი ძმა, ვერ გაუგიათ.

შეხვედრა მიშა ქორქიასთან

(1918 - 1919)

გრიშამ რომ უნივერსიტეტი დაამთავრა, თბილისში ჩამოვიდა და კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის, რუდოლფის, კანცელარიას ეწვია. კავკასიის ფარგლებში იქნებ სადმე მასწავლებლის ადგილს მომიხერხებდეთო. ეს მაშინ ოცნება იყო ქართველი კაცისათვის. საერთოდ, ქართველებს სამუშაოდ რუსეთში აგზავნიდნენ, უფრო - ციმბირში.

როცა იმედი გადაუწურეს - არაფერი გამოგივათ, ტყუილად იმედი ნუ გაქვთ, რუსეთში წადითო, გრიშამ გადაწყვიტა, თვითონ რუდოლფი ენახა პირადად. ინახულა კიდეც, მაგრამ რუდოლფმაც იგივე უთხრა, ადგილები არა მაქვს გიმნაზიებში, რუსეთში წადითო. მერე უთქვამს, - ყოველ შემთხვევაში, დამიტოვეთ საბუთები და, რაც მთავარია, დახასიათებაო. როცა მამის სახელს დააკვირდა, ჰკითხა:

- Малакиевич? Какого Малакия, не ланчхутского инспектора Вы сын?

- Да, Ваще превосходительство, - მიუგო გრიშამ.

- Нууя... Очень хорошо! Значит характеристики ващей мне больше никакой не надо. Сыну ващего отца можно поверить и на слово, что будете отличным преподавателем. და გრიშა სალიანის გიმნაზიაში დანიშნა ბაქოსთან ახლოს.

გრიშა რომ იქ ჩავიდა, გიმნაზია ახალი გახსნილი იყო. მოსაწყენი ადგილი აღმოჩნდა, მაგრამ ორიოდ ქართველი მაინც იპოვა, ახალგაზრდები, გრიშასავით სამუშაოდ ჩასულნი. ერთი, ვეტექიმი მიშა ქორქია, მეორე - ახალგაზრდა პროვიზორი სპირიდონ ხაბურზანია, მესამე - ფოსტის მოხელე ლადო მაჭარაშვილი.

ზაფხულში არდადეგებზე შინ რომ დაბრუნდა, გრიშა ხშირად მიყვებოდა სალიანის ამბებს - მიშა ქორქიაზე, სპირიდონ ხაბურზანიაზე, ლადო მაჭარაშვილზე, რომლებიც ძმებივით შეჰყვარებოდა და, როცა ქუთაისში გადმოიყვანეს, ძალიან განიცდიდა მათთან დაშორებას.

იმ დროს ფოთში ვმუშაობდი და ხშირად მიხდებოდა ქუთაისში ყოფნა. ერთხელ, ქუთაისის ვაგზალზე ვარ, ფოთში მივდივარ. შუადღეა. გავედი ბაქანზე, მაგრამ ჯერ ადრეა. რაღაც საგარეუბნო მატარებელი იდგა საზაფხულო, ღია ვაგონებით, ხალხით იყო სავსე, მაგრამ ნაცნობი ვერავინ შევნიშნე. უცბად, იმ ხალხში ერთი ახალგაზრდა წამოხტა და აღტაცებით შემომძახა: - გრიშა, ჩემო ძამიკო! - წაავლო თავის ხაბაკს ხელი, გაარღვია ხალხის ნაკადი, ჩამოხტა ვაგონიდან, გამოექანა, მეცა, ჩამიკრა გულში და მკოცნის... მე მეღიმება მის შეცდომაზე (ასეთი ამბავი უცხო ხომ არ იყო ჩვენთვის - ძმებისთვის!) და რას იტყვის, როცა გაიგებს, რომ გრიშა არ ვარ. მაშასადამე, მეც, შეძლებისდაგვარად, უნდა შევიშნოვო გრიშაობა... როცა მოვრჩით ხვევნაკოცნას და მკითხა, - კაცო, სადა ხარ, როგორა ხარო, შეიძლება რაღაც იგრძნო კიდეც, თუმცა ძალიან ვცდილობდი მასავით გახარებული სახე მიმეღო.

ბოლოს, მეტი რა გზა იყო, განვაცხადე, - ნუ გაგიკვირდებათ და მე ლადო ვარ და არა გრიშამეთქი. - ლადოო?...

როგორ შეწუხდა!... იუხერხულა... - კი ვიცოდი თქვენი მეტისმეტი მსგავსება, მაგრამ ასეთი?!. დაუჯერებელია... ღმერთმანი... დაუჯერებელი!.. მერე გამეცნო: - მე მიშა ქორქია ვარ, გრიშას მეგობარი სალიანიდანო. ძალიან გამეხარდა მეც, რადგან გრიშა მას ყოველთვის დიდი სიყვარულით იხსენებდა, როგორც იშვიათ ახალგაზრდას და მის მეგობარს.

მე და მიშა შემდეგში ისეთივე კარგი მეგობრები გავხდით, როგორც ის და გრიშა. მართლა მეტად საყვარელი ადამიანი იყო. მეტად გულთბილი და გულმართალი.

მიშას შესანიშნავი ვაჟები დარჩა. ორი მათგანი ფიზკულტურის ინსტიტუტში ჩემი სტუდენტი იყო - ოთარი და, მგონი, კონსტანტინე. ოთარი ქართული კალათბურთის დიდოსტატია და ისეთივე კეთილშობილი და კარგი, როგორც მამამისი.

საპარიკმახეროში

ერთხელ, მოსკოვში, მე და გრიშა ახალ ბინაზე გადავედით, გაზეტნი შესახვევში (ახლა ოგარიოვის ქუჩა). ეს იყო 1910 წელს. იქვე, ჩვენთან ახლოს საპარიკმახერო იყო და დილით, სანამ ლექციებზე წავიდოდი, წვერის გასაპარსავად შევედი.

პარიკმახერმა სავარძელზე მიმითითა, მერე სამართებელი მოიმარჯვა და რომ შემომხედა, თვალები გაუფართოვდა, ცოტა უკან დაიხია და ისევ შემომხედა: - Господин студент, - - შეშინებულს ხმა უკანკალებდა: - Вы ведь только-что брились!... Этим утром же!... - არა, მე არ ვყოფილვარ; მე ძმა მყავს, ძალიან მგავს, ის უფრო ადრე გამოვიდა სახლიდან და ალბათ ის იყომეთქი, - ვარწმუნე ბევრი, მაგრამ არ სჯეროდა. - არაო, თქვენ იყავითო. და როცა ორიოდე დღის შემდეგ მე და გრიშა ერთად შევედით, მხოლოდ მაშინღა ირწმუნა სინამდვილე. კი მინახავს ტყუპი ძმები, მაგრამ ასეთი მსგავსება ჩემს დღეში არ მინახავსო.

კარგი საპარიკმახერო იყო, ორი შაური ღირდა გაპარსვა. თუ აბონემენტს იყიდდი 10 გაპარსვაზე, მანეთის მაგიერ 80 კაპიკი ღირდა, ე.ი. გაპარსვა 8 კაპიკი გამოდიოდა.

* * *

ერთ დღეს პაპუნა წერეთელი შემხვდა მეორედ. - ახლა კი გიცანი, შენ გრიშა ხარ, ლადო უნივერსიტეტში ვნახეო. ახლაც ლადო ვარმეთქი, - ვუპასუხე მე.

* * *

ჩემი ქალიშვილი რომ გათხოვდა, დედაჩემმა შეცდომით Gგრიშას მიულოცა შვილის გაბედნიერება.

იკორთის მაგალითით

თუ ერი სოციალური ერთეულია, ხოლო ჩვენ - ცალკეული პიროვნებები - მისი ცოცხალი ნაწილები, მაშინ სავსებით ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს ამა თუ იმ ეროვნული მნიშვნელობის მოვლენის ისეთივე შეგრძნება, როგორც ცოცხალი სხეულის განცდები გადაეცემა სხეულის თითოეულ ნაწილს.

სწორედ ამიტომაც დამრჩა 88 წლის ასაკში დიდად გასახარად ის გარემოება, რომ ჩვენი ახალგაზრდობის თაოსნობით (ბიძინა ჩოლოყაშვილის მეთაურობით) ა.წ. 1 ივნისს სოფელ იკორთაში აღინიშნა იქაური ტაძრის 800 წლისთავი და სახალხო დღესასწაულიც მოეწყო.

ეს ჩვენი მშობლიური კულტურის ნამდვილი ზეიმია!

ჩვენი ქვეყნის წარსულის მატერიალური კულტურის ძეგლებისადმი ასეთი ზრუნვა და ყურადღება მარტო მეცნიერული ღირებულებით კი არ ამოიწურება, მას დიდი მორალურ აღმზრდელობითი მნიშვნელობაც აქვს და პატრიოტულ გრძნობას უღვივებს მოზარდ თაობას.

ამ შესანიშნავმა ამბავმა, მეც კი - ესოდენ ხანდაზმული ადამიანი - ბავშვივით გამიტაცა და შემდგომი ასეთი კეთილშობილური აქციებისათვის სრულიად გასაგები ხალისიც აღმიძრა. მერე რამდენი ისტორიული ძეგლია, ჩვენს ყურადღებას და პატრონობას რომ საჭიროებს.

ასეთ ძეგლთა შორის პირველ რიგში ცნობილი ერთაწმინდის ეკლესია მინდა დავასახელო. ის კარგად აქვს აღწერილი ჩვენს ისტორიკოსს პლატონ იოსელიანს.

- ამ ეკლესიის შენების დაწყებას - წერს ის, - მიაწერენ მეფე ვახტანგ I-ს, რომელიც V საუკუნეში ცხოვრობდა.

მაშ, რა ხნის უნდა იყოს ეს სახელოვანი ძეგლი!...

ერთაწმინდის ეკლესია დაბა ახალქალაქის თავზეა, პლატოზე, სოფელ ერთაწმინდაში (კასპის რაიონი) და მეფური სიდიადით გადასჩერებია ძირს ქართლის დაცემულ ვაკეს, მტკვარს, თეძამს.

ვახუშტი ბაგრატიონი ასე წერს მასზე:

„თეძამზე არის ახალქალაქი. ამის ზევით - ეკლესია გუმბათიანი ერთაწმინდისა. სასწაულთმოქმედი, თლილი ქვით ნაშენი, კეთილოვანი. საარქიმანდრიტო. არამედ კათალიკოზს უპყრია ტახტად“.

ერთაწმინდა იშვიათი სოფელია, კარგი ჰაერით და საუცხოო სასმელი წყლით. მისი მიდამოები მდიდარია ისტორიული ძეგლებით. ის ნამდვილი გმირთა სამკვიდროა. იქვე მის ზემოთ ლუარსაბ მეფის საზაფხულო რეზიდენციის ციხე-დარბაზის - ცხირეთის ნანგრევებია, ქვემოთ - ნოსტე, უკვდავი გმირის გიორგი სააკაძის სოფელი და ციხე; ოდნავ მოშორებით ძველი მეტეხის ეკლესია და სოფელი მეტეხი.

მაგრამ მარტო ამით არ ამოიწურება ამ თვალსაჩინო ძეგლის მნიშვნელობა. მის კედლებს შორის ხომ საუკუნო განსვენების ადგილი მიუჩინეს გმირ ჭაბუკს - გიორგი სააკაძის ვაჟს პაატას, რომელიც, შაჰ-აბასის ბრძანებით წამებით იქნა მოკლული სპარსეთში 1625 წელს.

ჭაბუკი პაატა არა მარტო გმირია, ის იშვიათი მაგალითია მამულისათვის უყოყმანო თავდადებისა ახალგაზრდობისათვის.

ამიტომაა სახელი გმირისა უკვდავი ყველგან და ყოველთვის.

ჭაბუკი პაატა დაკრძალულია ერთაწმინდის ტაძარში, ცალკე ეკვდერში. მაგრამ მის საფლავს არაფერი ამკობს, გმირისა და ზვარაკის საკადრისი. საფლავის ქვა კი ადევს, მაგრამ ამ ქვაზე წარწერა იმდენად გაცვეთილი და წაშლილია, რომ ტექსტი აღარ იკითხება.

ისტორიიდან ცნობილია, რომ შვილის ცხედრის დასაფლავების მერე გიორგი სააკაძემ მას ცალკე ეკვდერიც აუშენა. მაგრამ ეს ეკვდერი მაინც ნაწილი იყო ეკლესიისა და საუკუნეების მანძილზე საფლავის ქვაზე მლოცველთა დგომამ და სიარულმა თავისი ქნა, წარწერა სავსებით გაცვითა და წაშალა. იქ ამჟამად სხვა საფლავებიცაა და ახალ საფლავთა შორის გმირის ძველი საფლავი თითქმის ჩაიკარგა.

ამ ახალთა შორის ერთერთი ქვის წარწერა სანიმუშოდ გადმოვიწერე:

„98 წელი შემაშფოთებდნენ ღელვანი სოფლისანი. აწ ვეწიე მყუდროსა ნავთსაყუდელსა. ესე არს განსასვენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე. აქა დავემკვიდრე ნებითა უფლისა ჩემისათა მაიორი თდი ნ.დ.თარხანმოურავი. აღვსრულდი ჩყ... წელსა. ანუგეშე, უფალო, ძენი ჩემნი ასლან, დიმიტრი, გიორგი და ესტატე“.

პაატას საფლავზე კი ასეთს ვერაფერს წაიკითხავთ. მისი წარწერა უკვე აღარ არსებობს. ის წაშლილია დროის ულმობელი ხელით. მას არც პლატონ იოსელიანი ახსენებს თავის წიგნში, თუმცა დაწვრილებით აღწერს ერთაწმინდის ეკლესიას. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს წარწერა მაშინაც (1847წ.) ასეთ უნუგეშო მდგომარეობაში იყო.

მაგრამ ის, რაც მაშინ იყო, ძველ დროში, დღეს უკვე აღარ გვეკადრება. გმირის საფლავი ღირსია იმისა, რომ მოვლილი იყოს და სათანადო წარწერით დამშვენებული.

ეს ჩვენი ეროვნული ღირსების საქმეა! ერთაწმინდის ისტორიული ძეგლი, რომელსაც არაერთი და ორი საუკუნე „აღაშფოთებდნენ ღელვანი სოფლისანი“, მოწმეა ჩვენი ბობოქარი ისტორიის მრავალი დრამატული და ტრაგიკული მომენტისა... პაატას ნათელი ხსოვნის უკვდავსაყოფად, მისი წამებიდან 350 წლისთავს, რომელიც წელს სრულდება, დარწმუნებული ვარ, ახალგაზრდობა სათანადოდ აღნიშნავს, როგორც ეკადრება ჩვენს განათლებულ ეპოქას, ნიჭიერ თაობას, მთელ ჩვენს კულტურას, ჩვენს წარსულს.

დამატება

წერილები ლადოზე

ვლადიმერ ჯაფარიძე - ვამაყობ, რომ ვიყავი მისი მოწაფე.

ბნ ვლადიმერს პირველად 1947 წელს შევხვდი, როდესაც მე თბილისის სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი გავხდი. ჩემი დაახლოვება ბნ ვლადიმერთან, როგორც პედაგოგთან და აღმზრდელთან, მისმა გასაოცარმა ადამიანურმა თვისებებმა განაპირობა. იგი უჩვეულოდ კეთილი, თბილი, უბრალო, სტუდენტებისადმი გულშემატკივარი და, ამავე დროს, მაღალი კულტურის პროფესიონალი იყო. მისმა პედაგოგიურმა ხელოვნებამ, თავისი საქმის ღრმა ცოდნამ, სტუდენტებთან უშუალო დამოკიდებულებამ და ახლო ურთიერთობამ წარუშლელი კვალი დატოვა ჩემს სულში და გაუზვიადებლად შემიძლია ვთქვა, რომ მან თავისი დამრიგებლური რჩევებით, პედაგოგიური ტაქტით, ყურადღებიანი დამოკიდებულებით დიდი როლი ითამაშა ჩემი, როგორც მომავალი სპორტსმენის, მოქალაქის ჩამოყალიბებაში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფიზკულტურის ინსტიტუტის კედლებში აღზრდილი ყველა ცნობილი სპორტსმენის წარმატებაში ლომის წილი ბნ ვლადიმერს ეკუთვნოდა. ისე დაგმუხტავდა გამარჯვების ჟინით, ისეთ ცეცხლს დაგინთებდა გულში, უმალ სიკვდილს ვირჩევდი, ვიდრე ორთაბრძოლაში დამარცხებას.

პირველად მსოფლიო პირველობაზე რომ მივდიოდი, დამიძახა და, აი, რა მითხრა: - ეს ერთი მუჭა ქვეყანა, თავისი მტკიცე ხასიათითა და შეუპოვრობით იყო, დღემდე რომ მოვიდა. ჩვენს მამა-პაპას იმდენი ნახმლევი, ნახანჯლარი და ნატყვიარი ჰქონდა, რომ ვერც კი დაუთვლიდა კაცი. საქართველო ყოველი კუთხით მტრიანი იყო: ირანელი თუ ოსმალო, სკვითი თუ ხაზარი, მონღოლი თუ ლეკი, ოსი, ჩერქეზი, ღლიღვი, დიდო, ქისტი - ყველა ამ ერთმტკაველა მიწის მისატაცებლად მოდიოდა და რადგანაც ქართველი ქალ-ვაჟები ათასი თვისების - სილამაზის, სიჩაუქის გამო ძალიან ძვირად ფასობდნენ სტამბოლის თუ ეგვიპტის ბაზრებზე, იტაცებდნენ და ცხვრებივითა ჰყიდდნენ. ეს იყო დიდი შემოსავლის წყარო...

ქართველი კაცი ერთ ხელში ხმლით, მეორეში გუთნით ხვდებოდა მტერსა და მოყვარეს. ერთი ქართველი ათს მაინც ებრძოდა. ამ ბრძოლამ გამოგვაწრთო. ასე რომ, ერთი ქართველი მეომარი თავის მამულს იცავდა და ათი კაცის დამარცხებას ახერხებდა. ერთი რამ გულის ფიცარზე გეწეროს - შენზე ძლიერი არ არის არც თურქი, არც ირანელი, არც ევროპელი, არც რუსი. შენ რომ უცხოეთში ვინმემ წაგაქციოს, ეს საქართველოს შერცხვენა იქნება და ეს თუ მოხდა, იცოდე, აქ, ამ ინსტიტუტში, ფეხს აღარ დაგადგმევინებ. აქ არ დაბრუნდე. დაბრუნდები მხოლოდ გამარჯვებული, როგორც შენი ჯიშისა და ნიჭის კაცს, როგორც ქართველს ეკადრება და შეეფერება. ტრადიცია არ დაარღვიო. ერთი ათს უნდა უდრიდე. იცოდე, რომ შენი დამარცხებით საქართველო მარცხდება. ყოველ წუთს და წამს გახსოვდეს, - შენ ათჯერ მეტი უნდა შეძლო და შეძლებ კიდეც.

ყოველი გამოსვლის წინ სულ ეს მაგონდებოდა და გაათმაგებული ძალით ვჭიდაობდი. ისე მოწინააღმდეგეების არ შემშინებია, როგორც ვლადიმერ მალაქიევიჩისა, რომელიც მართლა აღარ შემიშვებდა ჩემს მშობლიურ, საყვარელ

ინსტიტუტში და ეს სხვანაირ მხნეობას და ძალას მმატებდა. ეს მუხტი მუდამ თან დამყვებოდა. ასე რომ, ჩემს გამარჯვებებში ოლიმპიურ, მსოფლიო და საერთაშორისო შეჯიბრებებში ვლადიმერ მალაქიევიჩის უდიდესი წვლილია და, ახლა, ათეული წლების შემდეგ დიდი მადლიერების გრძნობით ვიხსენებ მას.

მე, ბ-ნი ვლადიმერის შობილმა სტუდენტმა - რომელმაც დავამთავრე ფიზკულტურის ინსტიტუტი, შემდეგ თსუ ისტორიის ფაკულტეტი, ჩემი სპორტული მოღვაწეობის პერიოდში მოვიარე მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, ხოლო სპორტული კარიერის დამთავრების შემდეგ დღემდე ვმოღვაწეობ სპორტის სფეროში, ვხვდები უამრავ ადამიანს - ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ ბ-ნი ვლადიმერის მსგავსი ადამიანი არ შემხვედრია. იგი ნამდვილად სასწაულთმოქმედი, დიდი ღირსებისა და მაღალი სულის მქონე პიროვნება იყო. ბნმა ვლადიმერმა მიწინასწარმეტყველა, რომ გავხდებოდი დიდი სპორტსმენი, მსოფლიოს ჩემპიონი და მივაღწევდი წარმატებებს არა მარტო სპორტში. მე ბედნიერად ვთვლი თავს და მეამაყება, რომ ყველასათვის საყვარელი ადამიანის - ბ-ნი ვლადიმერის წინასწარმეტყველება გავამართლე, არ გავუცრუე იმედი და გავხდი მსოფლიოში პირველი ჩემპიონი საქართველოდან. ბ-ნი ვლადიმერი ყოველთვის სიხარულით ხვდებოდა ჩემს ყოველ გამარჯვებას და გულწრფელი გრძნობით მილოცავდა წარმატებებს. მე ნამდვილად ვამაყობ იმით, რომ ვიყავი ამ დიდებული ადამიანის მოწაფე. მან თავისი კაიკაცობით წარუშლელი კვალი დატოვა ჩემზე. იმ უამრავ ადამიანთა შორის, რომელთაც რაიმე წვლილი მიუძღვით ჩემ, როგორც მოქალაქისა და სპორტსმენის, ჩამოყალიბებაში, ერთერთი უთვალსაჩინოესია ბ-ნი ვლადიმერი. იგი ჩემს მეხსიერებაში სამუდამოდ დარჩა ადამიანობის - ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით - ნიმუშად.

ვახტანგ ბალავაძე.
2001 წ. 27 ოქტომბერი.

*

ახლა მე 85 წლისა ვარ. ეს მოხდა 1939 წელს. ფიზკულტურის ინსტიტუტი მაშინ ორთაჭალაში იყო კუნძულზე, ყოფილ მაკარონის ფაბრიკაში. ბ-ნი ლადო რუსულ ენას გვასწავლიდა. ერთხელ ცურვაში მეცადინეობა გვქონდა სანაპიროზე. სადაც ახლა რესტორანი „არაგვია", იმ ადგილას საცურაო აუზი იყო. ცურვას რომ მოვრჩით, ჩვენთან ბ-ნი ლადო მოვიდა, რათა მეცადინეობა რუსულ ენაში იქვე ჩაეტარებინა.

აქეთ-იქიდან შემოვუსხედით. უცბად გამოვარდა გველი და მოცურავს ჩვენკენ. გავიქეცით. ბ-ნი ლადო კი იჯდა, ფეხი არ მოუცვლია. მოგვაძახა - ნუ გარბიხართ, ნუ გეშინიათო. თვითონ არც ამდგარა. გველი მისკენ მიცურავს. დავიწყეთ ყვირილი... ბ-ნი ლადო მიაჩერდა გველს და გააჩერა... გველმა აუქცია გზა და გაცურდა სხვა მხარეს. მერე ბ-ნი ლადო მოგვიბრუნდა და გვითხრა: „მე სოფელში ვარ გაზრდილი და ვიცი მაგათი გაჩერების ხერხი. არ უნდა შეგეშინდეს. თუ არ გააბრაზე, არაფერს გერჩისო", - ასეთი იყო გულმაგარი რაინდი, ვაჟკაცი და საინტერესო პედაგოგი ლადო ჯაფარიძე.

პროფესორი აკაკი დოკვაძე.
2001 წ. სექტემბერი.

*

ბატონი ლადო უაღრესად ინტელიგენტი, ერუდირებული და კეთილი ადამიანი იყო, სახეზე სულ ნათელი გადასდიოდა. მახსოვს, პირველი გაკვეთილიდანვე პედაგოგსა და სტუდენტებს შორის შესანიშნავი ურთიერთობა დამყარდა. ჯგუფში ბევრმა კარგად არ იცოდა რუსული და ხშირად ქართულად გვესაუბრებოდა, გვიყვებოდა საინტერესო ისტორიებს, ზოგჯერ პირადი ცხოვრებიდანაც. თუმცა ის, რომ მას ასეთი გამოჩენილი ძმა ჰყავდა, ძალიან გვიან გავიგეთ.

მახსოვს, სათხილამურო შეკრების დროს ბაკურიანში მეცადინეობის ჩასატარებლად ბატონი ლადო ჩამოვიდა. მეცადინეობა სასადილოში გვიტარდებოდა, სადაც ჩვენს ზურგს უკან რკინის ღუმელი გიზგიზებდა. ერთერთმა სტუდენტმა ღუმელთან ჩაიმუხლა და მალულად სიგარეტის მოწევა დაიწყო. ჯგუფელი გვყავდა, რომელმაც, ვითომ ხუმრობით, ღიად დაბეზღება იცოდა. ახლაც ასე მოიქცა: შენ! - მიმართა მწეველს, - არ იცი, რომ მეცადინეობაზე სიგარეტს არ ეწევიან?! მასწ, უთხარით რამე, დაგვახრჩო კვამლით!

- ბიჭებო, მე ყველაფერს ვხედავ, იმასაც, რასაც ის აკეთებდა, და იმასაც, რაც შენ გააკეთე, - ღიმილით მიუგო ბატონმა ლადომ.

ერთხელ - მე უკვე მასწავლებელი ვიყავი - ბატონმა ლადომ 1415 წლის ლამაზი ყმაწვილი მომიყვანა და მითხრა: „ეს ჩემი შვილიშვილია - დათო, ძალიან მოსწონს ფარიკაობა და უნდა, რომ თქვენთან ივარჯიშოს". რასაკვირველია, დავთანხმდი და გარკვეული პერიოდი დათო ჩემთან ვარჯიშობდა, შეჯიბრებებშიც იღებდა მონაწილეობას. დღეს ეს ვაჟკაცი უნივერსიტეტის ლექტორია და ისეთი მოწიწებით მხვდება, თითქოს ისევ პატარა ბიჭი იყოს. თავმდაბლობა პაპისაგან დაჰყვა, ალბათ. დათოს რომ ვხვდები, მაშინვე ბატონი ლადო მახსენდება, როგორ უბრწყინავდა თვალები, როცა შვილიშვილი მის გვერდით იყო.

დღეს, როდესაც ყოფილი სტუდენტები ვიხსენებთ ჩვენს მასწავლებლებს, ბატონი ლადო პირველ რიგშია, - ალბათ იმიტომ, რომ იგი შესანიშნავი ადამიანური თვისებებით იყო დაჯილდოებული.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია,
მწვრთნელთა ფაკულტეტის დეკანი, ბიოლოგიურ
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ჯ. ზალდასტანიშვილი

ცოცხალი მემატიანე

ბატონ ვლადიმერ ჯაფარიძესა და ჩვენი ტურისტული ჯგუფის წევრთა შორის დიდი ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, გულწრფელი მეგობრული ურთიერთობა ჩვენ შორის არასოდეს მოშლილა. 70 წელს გადაცილებული ძია ლადო ერთნაირად მეგობრობდა როგორც ასაკოვან, ისე ახალგაზრდა ტურისტებთან. ხშირად ასაკოვანი ტურისტების - ლაშა შუბლაძის, ვლადიმერ ნორაკიძისა და სხვათა წინადადებით გზაშივე შეგვიცვლია და გაგვირთულებია ლაშქრობის მანძილი.

ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა, როდესაც რადიოს ან ტელევიზიას გაუკეთებია რეკლამა ჩვენი ტურისტული ჯგუფისათვის, ხაზგასმით გამოუყვია საუბარი ბნ ლადოზე და მეორე დღეს ტელეფონის ზარებსაც შევუწუხებივართ, - ნუ აჭარბებთ, 70ს გადაცილებული კაცი ერთ დღეში ამხელა მანძილს როგორ ფარავსო.

ალბათ, ამიტომაც იყო,რომ ბნ ვლადიმერს ღრმა სიბერემდე არ შეუწყვეტია აქტიური პედაგოგიური საქმიანობა და ყოველთვის ითვლებოდა სტუდენტთა საყვარელ მასწავლებლად. მახსოვს, ფაკულტეტის დეკანად ჩემი მუშაობის დროს კაბინეტში შემოვიდა საკმაოდ შეწუხებული სტუდენტი, გვარად სულაშვილი, რომელმაც მაუწყა, რომ მალაქიევიჩთან (მაშინ ხშირად ასე მიმართავდნენ ხოლმე ბნ ვლადიმერს) დარჩენილი ბოლო გამოცდა ვერ ჩავაბარე და ალბათ გამრიცხავენო. თან მატრიკული გამომიწოდა, აი, ნახეთო, - მითხრა მან და შიგ ჩაწერილ ნიშანზე მანიშნა. მე გავოცდი. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ მატრიკულში ორიანი არ იწერება. მან მატრიკულში ჩაწერილ ნიშანს თითი გააყოლა და „განმარტა", - აი, ნახეთ, მალაქიევიჩმა მატრიკულში „უდოვ" ჩაწერა, ე.ი. ჩამჭრაო. ეჰ, სულაშვილო, - ბევრი იცინა მაშინ ჩვენმა აღმზრდელმა, - წესიერი ბიჭი რომ არ იყო, ეგ „უდოვ" ახლა „ნეუდოვად" უნდა გადაგიკეთდესო.

ყველამ ვიცოდით, რომ ჩვენი ძია ლადო საოცრად ჰგავდა თავის ტყუპისცალ ძმას და როდესაც მათ შევხვდებოდით, ცოტას შევაყოვნებდით ხოლმე სალმის მიცემას. რომელიც გაგვიღიმებდა, ის იყო ჩვენი თანამშრომელი.

ტურისტული ლაშქრობის დროს ტურისტები ვცდილობდით ძია ლადოსთან ახლოს ვყოფილიყავით, ვიცოდით, რომ იგი ყოველთვის რაიმე საინტერესო ამბებს გაიხსენებდა. მოსაყოლი კი, იცოცხლეთ, ბევრი ჰქონდა. რად ღირს თუნდაც ის ამბავი, რომ იგი ლევ ტოლსტოის დასაფლავებას ესწრებოდა და მოსკოველ სტუდენტებთან ერთად მისი კუბოც აუწევია თურმე.

თავად განსაჯეთ, სტუდენტ ახალგაზრდობასთან რამდენი რამ ჰქონდა მოსაყოლი ამ ცოცხალ მემატიანეს.

ავთანდილ ციბაძე.
პედაგოგიკის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი.

ბატონო ლადო!

გილოცავთ 85 წლისთავს, მაპატიეთ, რომ საპატიო მიზეზის გამო ვერ ვესწრები თქვენს იუბილეს.

მიიღეთ ეს ექსპრომტი ნიშნად თქვენდამი უდიდესი პატივისცემისა და სიყვარულისა.

თქვენი ავთანდილ ციბაძე

მკაცრი სარგის ჯაფარიძე,
ულმობელი ჯაფარა,
ვის არ ახსოვს, მისმა ჯარმა
ხომ ყველა გზა დაფარა?

და როდესაც შენ გიყურებ,
აზრი მთლად ამერია,
მკაცრი კაცი იმ თქვენს გვარში
როგორ გამოერია.

ულმობელი კი არა და,
ხარ ნიმუში კაცობის,
შენით ლაღობს, შენით ხარობს
უცნობი თუ ნაცნობი.

ჯაფარიძეთ დიდებულ გვარს
მხოლოდ შენ რომ ჰყოლოდი,
მის საქებრად მარტო ესეც
ეყოფოდა ბოლომდი.
კარგო კაცო, დიდო კაცო,
დიდებულო ქართველო,
მე მზადა ვარ, შენ ქებაში
ვაღამო და ვათენო.

დაილოცოს, ვინც გაგზარდა, -
შენი კუთხე პატარა,
შენი ღარი, და ღარულა,
შენი წყარო ანკარა.

მამის სიტყვა ვაჟკაცური,
დედის ტკბილი ნანინა,
რამაც სული დიდქართული
დღემდე მოგატანინა,

შენი ნიჭი, შენი ხელი,
მოლბერტი და კალამი,
მინდა ასე ულევად ვთქვა
ლოცვა წმინდა, ალალი.
და როგორ არ ვიამაყო:
მე ხომ ფერხთა მტვერი ვარ,
მეც ხომ შენთა მეგობართა
დიდ სიაში ვწერივარ.

ჩვენ ხომ ფეხით დაგვილახავს
ჩვენი კოხტა მთაბარი,
და ორივეს მისი ტრფობით
გულები გვაქვს გამთბარი.

სიხარული, სიყვარული
ფიანდაზად დაგეგოს,
შენზე მხოლოდ წარმატება,
მხოლოდ კარგი გაგვეგოს.

მინდა წლები ამდენივე
ისევ აკაბადონო,
სასურველო, საყვარელო,
ჩვენო ლადო - ბატონო.

ჩვენი საყვარელი მასწავლებელი

ასე ვეძახდით სტუდენტები ჩვენთვის ძვირფას ადამიანს ბატონ ვლადიმერ მალაქიას ძე ჯაფარიძეს. არიან ადამიანები, რომლებიც თავისი კეთილშობილებით, ადამიანური სითბოთი, უსაზღვრო ყურადღებითა და სიახლოვით სამუდამოდ აღიბეჭდებიან მეხსიერებაში. ასეთ ადამიანად დარჩა ჩვენში ბ-ნი ვლადიმერი. პირველად მას 1948 წელს შევხვდი ფიზკულტურის ინსტიტუტში მისაღები გამოცდების ჩაბარებისას, ხოლო ახლოს გავიცანი იმავე წლის სექტემბერში რუსულ ენაში სემინარულ მეცადინეობაზე, როგორც პედაგოგი. პირველი შეხვედრისთანავე ჩვენ შორის ისეთი თბილი და ახლო ურთიერთობა დამყარდა, რომ მიუხედავად ასაკობრივი განსხვავებისა, მეგობრობაში გადაიზარდა და ბნ ვლადიმერის სიცოცხლის ბოლო დღემდე გაგრძელდა. ის ჩემს მეხსიერებაში დარჩა, როგორც დიდი პედაგოგი, თავის საგანზე შეყვარებული ადამიანი, საუკეთესო მცოდნე, მაღალი ინტელექტისა და კულტურის მქონე პიროვნება. მის მიერ მასალის ახსნა და გადაცემის მეთოდი, მეტყველების მაღალი კულტურა და დამაჯერებელი მსჯელობა ნამდვილად ქრესტომათიული იყო. თუ მართალია სენტენცია, „პედაგოგად უნდა დაიბადო", მაშინ იგი ბნ ვლადიმერზეა ზედგამოჭრილი.

ბნი ვლადიმერი ძალზე კეთილი ბუნების, უაღრესად თბილი, ყურადღებიანი და მეტად მოკრძალებული ადამიანი იყო, რომელიც პირველი შეხვედრისთანავე ხიბლავდა ადამიანს. მისი ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში არ მახსოვს შემთხვევა, რომ მას რაიმე გართულება ჰქონოდეს სტუდენტებთან თუ სხვებთან ურთიერთობაში. იგი ხშირად გვიყვებოდა საინტერესო ეპიზოდებს თავისი მდიდარი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან. მას თხრობის მანერა, სტილი მეტად საინტერესო და მიმზიდველი ჰქონდა. ბ-ნი ვლადიმერი გულჩვილი კაცი იყო. მახსოვს, პირველ კურსზე, ლექციებს შორის შესვენებაზე მასთან საუბრისას გაირკვა, რომ ერთი ჩვენგანი (შემდგომში ცნობილი მეცნიერი) სტიპენდიას არ ღებულობდა, რადგან მისაღებ გამოცდებზე ბნ ვლადიმერთან სამიანი ჰქონდა მიღებული. ეს ფაქტი ბნმა ვლადიმერმა ისე მწვავედ განიცადა, ისე შეწუხდა, რომ დიდხანს ვამშვიდებდით. თვით იმ სტუდენტმა უთხრა, რომ ის შეფასება მისი პასუხის სრულიად ადექვატური იყო და მეტს არ იმსახურებდა. ამის მიუხედავად, ეს შემთხვევა დიდხანს ახსოვდა და შეხვედრისას იტყოდა ხოლმე: „აბა, კაცო, როგორ მომივიდა ესო". ბ-ნი ვლადიმერი ქველმოქმედიც იყო, თუმცა იგი თავად შეძლებულად არ ცხოვრობდა, მაგრამ ხშირად ეხმარებოდა გაჭირვებულ სტუდენტებს. იმ წლებში, როდესაც მეორე მსოფლიო ომი ახალი დამთავრებული იყო, ხალხს ეკონომიკურად უჭირდა. ჩვენთან კურსზე იყვნენ ხელმოკლე სტუდენტები, რომლებსაც ბ-ნი ვლადიმერი მატერიალურ დახმარებას უწევდა. ბევრი შემთხვევა ვიცი, როცა ბნმა ვლადიმერმა გაჭირვებულ სტუდენტს ნიშანი აუწია, რათა მას სტიპენდია არ დაეკარგა. იგი კარგად ხატავდა. მისი ნაამბობიდან ვიცი, რომ მის უმცროს ძმას, შემდგომში სახალხო მხატვარს ბნ უჩას ხატვა მან შეასწავლა. მის მიერ შესრულებული ცნობილი მეცნიერის დიმიტრი უზნაძის პორტრეტი დღესაც ჰკიდია საქ. ფიზაღზრდისა და სპორტის აკადემიის პედაგოგიკის და ფსიქოლოგიის კათედრის ოთახში. მან იგი კათედრას საჩუქრად გადასცა.

ბნი ვლადიმერი სულით ხორცამდე პატრიოტი იყო. მახსოვს, 1956 წლის მარტის მღელვარე დღეებში, როდესაც ქართველმა ახალგაზრდობამ ხმა აიმაღლა მოსკოვის ხელისუფლების წინააღმდეგ ი.სტალინის კულტთან დაკავშირებით,

მასთან ერთად ვიყავით სტალინის ძეგლთან, სადაც ყოველდღიურად ხალხმრავალი მიტინგები იმართებოდა. როდესაც ვუყურებდით ახალგაზრდობის გმირულ შემართებას, ამ მოვლენით აღტაცებულმა ვლადიმერმა მითხრა: „არ მეგონა, თუ ასეთი კარგი, მებრძოლი ახალგაზრდობა გვყავდაო".

მეტად საწყენი და გულდასაწყვეტია, რომ ბ-ნი ვლადიმერი საქ. სახ. ფიზკულტურის ინსტიტუტში მრავალი ათეული წლის პედაგოგიური მოღვაწეობის შემდეგ (იგი ინსტიტუტის დაარსების პირველი დღიდანვე მუშაობდა იქ) ინსტიტუტის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ისე გაუშვა პენსიაზე, რომ ამ დამსახურებულ და ამაგდარ ადამიანს, მრავალი თაობის აღმზრდელს, მადლობაც კი არ უთხრა - უბრალო გაცილებაც არ მოუწყვიათ. ჩვენ, ფიზკულტურის ინსტიტუტის 1952 წლის კურსდამთავრებულებმა, 1962 წლიდან დავიწყეთ ყოველ 5 წელიწადში ერთხელ შეკრება. ჩვენი საყვარელი და საპატიო სტუმარი მუდამ ბ-ნი ლადო იყო. 25 წელიწადი გრძელდებოდა ეს შეკრებები. ბოლოს 1977 წელს შევიკრიბეთ და ძალიან გავიხარეთ, რადგან ჩვენი ინსტიტუტის დამთავრებიდან 25 წლის იუბილეს ბნ ლადოს დაბადებიდან 90 წლის იუბილე დაემთხვა. იქვე მოვილაპარაკეთ, რომ 1982 წლის ივნისში შესაბამისი 30 და 95 წლის იუბილეები ერთად აღგვენიშნა. 1977 წელს ბნ ლადოს 90 წლის იუბილე, თუ არ ვცდები, პედაგოგიურმა საზოგადოებამ გადაუხადა, სადაც მისი თანატოლი და მეგობარი, დიდი მეცნიერი აკაკი შანიძე მისალმებისას გადაეხვია და უთხრა: „ჩემო ლადო, ჩვენ 100 წლის იუბილე ერთად უნდა ვიზეიმოთო". ბნმა აკაკი შანიძემ 100 წელი მართლაც იზეიმა, მაგრამ ბ-ნი ლადო ამ თარიღს, სამწუხაროდ, ვერ მოესწრო, - იგი 1981 წლის 8 ნოემბერს გარდაიცვალა. მე იმ დროს მოსკოვში ვიყავი და ამ ძვირფასი ადამიანის დაკრძალვას ვერ დავესწარი. მისმა ქალიშვილმა, ქნმა ელისომ მითხრა: „ძნელია მამის სიკვდილი, მაგრამ მამაჩემი ტკბილი კაცი იყო და ამ ქვეყნიდანაც ტკბილად წავიდაო". იგი თბილისის „დინამოს" მატჩს ტელევიზიით ადევნებდა თვალს, შესვენებისას ცუდად შეიქნა, თავის ოთახში გავიდა, წამოწვა, ერთი ამოიოხრა და სული დალიაო". ბ-ნი ლადოს გარდაცვალებამ, როგორც ყველას, ასევე ჩვენ, მის ყოფილ სტუდენტებს, დიდად დაგვწყვიტა გული. ბ-ნი ვლადიმერისთანა ადამიანებს დავიწყება არ უწერიათ. იგი სამუდამოდ დარჩა ჩვენს გულსა და მეხსიერებაში კაცური კაცის, დიდი პედაგოგის, დიდი მოქალაქისა და ჰუმანისტის ბრწყინვალე ნიმუშად.

შოთა ბუაძე
საქ. ფიზ. აღზრდისა და
სპორტის აკადემიის დოცენტი
თბილისი, 2001 წ. ოქტომბერი.

სარჩევი

შემდგენლისაგან 4
ლადო ჯაფარიძე 4
გოგლა ლეონიძე 6
ჩემი მეგობრები და ხელისშემწყობნი, ჩემი „მოგონებების“ წერის შეფები! 8
მცირე მოგონება ონის სკოლასა და მის პედაგოგებზე 10
მოსკოვი ჩემი დროისა. უნივერსიტეტი 11
მოსკოვის ქართული სათვისტომო 23
რაც ჩემი თვალით მინახავს 36
ლევ ტოლსტოის დაკრძალვაზე 39
ანდრია რაზმაძე 45
მაიაკოვსკების ოჯახი 49
შეხვედრა კოტე მარჯანიშვილთან მოსკოვში 55
ი.ჭავჭავაძისა და ალ.ყაზბეგის თხზულებათა 56
თარგმანის ისტორიისათვის 56
ყველაფერი ხალხს მისცა... 60
შეხვედრა ანატოლ ფრანსთან 65
შეხვედრები კომპოზიტორ დიმიტრი არაყიშვილთან 70
მცირე მოგონება კნუტ ჰამსუნზე 84
ჩემი სცენისმოყვარეობა 91
მაქსიმ გორკი ქალაქ ონში 100
აკაკისთან ერთად რაჭა ლეჩხუმში 104
ფოთის პერიოდი 109
თათბირზე მეფისნაცვალთან 118
ირეოდიონ ევდოშვილი ფოთში 124
ჟურნალი „ცისფერი ყანწები“ 129
გრიგოლ რობაქიძე 142
ჩემი დროის თბილისი 154
ჩარგალში 161
ვაჟას მეზობლები 172
ჭედელა რაზიკაშვილი, ბეკურა ბაჩიაშვილი, თედო, ივანე მოლოდინაშვილები 172
ბებო ბაბალე 173
სალომე 176
შოვში დავით კაკაბაძესთან ერთად 177
ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადასვენება დიდუბიდან მთაწმინდაზე 181
გიგო გაბაშვილის ერთი უცნობი ნამუშევრის გამო 182
ი.მ. სარკიზოვ-სერაზინი 185
შიო მღვიმელი 189
შეხვედრები იოსებ იმედაშვილთან 190
იოსებ გრიშაშვილი 197
იპოლიტე ვართაგავა 213
საქართველოს დამოუკიდებლობა 216
დამოუკიდებლობის დაკარგვა 219
მემედბეგის ამბავი 225
იგდირი 226
პარმენ ცახელი 229
თეოფილე ხუსკივაძე 232
ვალოდია ოკუჯავა 235
გრიშა ცხაკაია 236
ილიკო ქურხული 238

გაზეთ ,,თბილისში” დაბეჭდილი ერთი წერილის ავტორის მეზღაპრეობა, ანუ ცოტა რამ ალექსანდრე ციმაკურიძეზე 240
გრიგოლ მესხის დამოკიდებულება უჩა ჯაფარიძის ნახატებისადმი 242
რაფიელ ერისთავის ქონება 243
გულბათ - ქართული ლეგენდა 244
სიმონ ჯაფარიძე (სოფელი ხირხონისი) 246
უჩა ჯაფარიძის ნაამბობი 246
მცირე ჩანაწერები 247
კურიოზები 250
მე და ჩემი ძმა გრიშა 250
ზოგი რამ ჩემი და გრიშას წარსულიდან 253
ფრანგულის გაკვეთილზე 253
კოსმოგრაფია 254
მათემატიკა 255
ფეხსაცმელების მაღაზიაში 255
თბილისის ქართულ კლუბში 256
სახელგამში 256
სოხუმში 256
შეხვედრა მიშა ქორქიასთან 257
საპარიკმახეროში 258
იკორთის მაგალითით 259
დამატება 262
წერილები ლადოზე 262
ვლადიმერ ჯაფარიძე - ვამაყობ, რომ ვიყავი მისი მოწაფე. 262
ცოცხალი მემატიანე 265
ჩვენი საყვარელი მასწავლებელი 267

რედაქტორები *რუსუდან მახათაძე,*

რუსუდან ყუბანეიშვილი

ტექნიკური რედაქტორი *ზაირა დონდუა*

კორექტორი *ნინო სვანიძე*

კომპიუტერული უზრუნველყოფა

ნინო ღვინერია

ზურაბ ჯაფარიძე

ფოტოებისა და დოკუმენტების სკანირება

რამაზ ჯაფარიძე

ქაღალდის ზომა 60x84 , პირობითი ნაბეჭდი თაბახი 25,11.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 22,63. ტირაჟი 500 ეგზ.

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „ნაკადული“. თბილისი
კონსტანტინე გამსახურდიას ქ. №28.